საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
სამინისტრო

სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი

ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

თბილისი, 2023

სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი
LEPL Circassian (Adygian) Cultural Center

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

პროექტი – «ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი» – განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The Project – «Explanatory dictionary of the ethno-linguistic terms» – has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. All the ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

შემდგენლები:

ნუგზარ ანთელავა, მანანა ბუკია, მერაბ ჩუხუა

Compilers:

NUGZAR ANTELAVA, MANANA BUKIA, MERAB CHUKHUA

ISBN 978-9941-503-94-8

წინასიტყვაობა

ეთნოლინგვისტიკა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში შედარებით ახალი დისციპლინაა; მისი ამოცანები, საგანი და ობიექტი, ასევე მომიჯნავე დარგებთან მიმართების საკითხები XX საუკუნის 90-იან წლებში იქნა საბოლოოდ ფორმულირებული. თანამედროვე ეთნოლინგვისტიკა, როგორც კომპლექსური დისციპლინა, ენათმეცნიერების, ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის, მითოლოგიის მიჯნაზე ჩამოყალიბდა. მისი შესწავლის ობიექტია არა მხოლოდ ენა, არამედ სუბსტანციათა სხვა ფორმები, რომლებშიც გამოხატულია კოლექტიური ცნობიერება, ხალხური მენტალიტეტი, ამა თუ იმ ეთნოსში ჩამოყალიბებული მსოფლხატი, ანუ ხალხური კულტურა მთლიანად, მისი სახეები, ჟანრები და ფორმები. ლინგვისტიკის ეს მიმართულება მოწოდებულია ენობრივი მონაცემების საფუძველზე განახორციელოს კულტურული, ხალხურ-ფსიქოლოგიური და მითოლოგიური წარმოდგენების რეკონსტრუქცია მათ დიაქრონულ მოძრაობაში.

„ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც მოიცავს 800-მდე ტერმინსა და მის ვარიანტებს, გარკვეულწილად აჯამებს თანამედროვე ლინგვისტური კვლევების შედეგებს და მეტნაკლები სისრულით ასახავს ეთნოლოგიურ და ლინგვისტურ ტერმინოლოგიას, როგორც ზოგადს, ისე კავკასიის რეგიონთან დაკავშირებულს. ამავდროულად, ლექსიკონი, რომელიც პირველ რიგში სამეცნიერო სფეროს განეკუთვნება, საინტერესოა მკითხველთა ფართო სპექტრისათვის, ვინაიდან ქართულ ენაზე საკმაოდ ვრცლად განმარტავს, სისტემურად აღწერს პრაქტიკაში (სამეცნიერო მიმოქცევაში) არსებულ, ეთნოლინგვისტურ ტექსტებში გამოყენებულ ძირითად ტერმინებს.

რამდენადაც ეთნოლინგვისტიკა დისციპლინათშორისი მეცნიერებაა და მოიცავს კულტურულ და ლინგვისტურ ასპექტებს, სავსებით ბუნებრივია, რომ მის ტერმინოლოგიას საფუძვლად დაედო ეთნოლოგიური და ლინგვისტური ტერმინები, რომლებიც, როგორც წესი, ეთნოლინგვისტურ ტექსტებში ზუსტდება და ივსება დამატებითი შინაარსით. ნათელია, რომ რეალურად არსებული ეთნოლინგვისტური ტერმინოლოგიის მრავალფეროვნება ამით არ ამოიწურება, რადგანაც დისციპლინა დინამიკურად ვითარდება და მრავალი უცხოელი თუ ადგილობრივი ავტორი მიდრეკილია ინდივიდუალური ტერმინშემოქმედებისაკენ; სასურველია ტერმინთა შეგროვება-შევსება და ინტერპრეტაცია მომავალშიც გაგრძელდეს.

ა

აბაზური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში შემავალი ენა. შედგება აშხარული და ტაპანთური დიალექტებისაგან. მათ შორის განსხვავებას ქმნის ფონემატური სტრუქტურა. სამწერლობო ენა ეყრდნობა ტაპანთურ დიალექტს. დამწერლობა შექმნილია 1932-33 წლებში ლათინური გრაფიკის საფუძველზე, რომელიც 1938 წელს შეიცვალა რუსული გრაფიკით.

აბორიგენები (ლათ. aborigines <– ab origine - დასაბამიდან, თავიდან) – ქვეყნის, ამა თუ იმ ადგილის მკვიდრი, ძირძველი მოსახლეობა, გვიან მოსულებისგან განსხვავებით. ტერმინი „აბორიგენები“ ჩვეულებრივ გამოიყენება აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიის, ანუ იმ ტერიტორიების ძირძველი მკვიდრი მოსახლეობის აღსანიშნავად, რომლებიც ევროპელებმა ახალ პერიოდში აღმოაჩინეს. კოლონიზაციის პერიოდში აბორიგენთა მნიშვნელოვანი ნაწილი კოლონიზატორებმა დახოცეს, დანარჩენები რეზერვაციებში განათავსეს.

ავსტრალიიდან სამხრეთით მდებარე კუნძულ ტასმანიის აბორიგენები ინგლისელმა კოლონიზატორებმა მთლიანად ამოწყვიტეს. თუ ევროპელთა გამოჩენამდე ტასმანიელები 3-4 ათას კაცს ითვლიდა, 1876 წელს გარდაიცვალა უკანასკნელი ტასმანიელი ქალი, სახელად თრუგანინი. მცირედით უკეთესი აღმოჩნდა ავსტრალიელ აბორიგენთა ბედი, რომლებიც ასევე დახოცეს ან მატერიკის ძნელად მისადგომ და ბუნებრივი რესურსებით ღარიბ ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში გადაასახლეს. XIX საუკუნის დასაწყისში ძირძველ ავსტრალიელთა რიცხვი ზოგიერთი მონაცემით 250-300 ათას კაცს აღწევდა. დღეისათვის მათი რაოდენობა დაახლოებით 150 ათასია. ასეთივე ტრაგიკული იყო ამერიკელ ინდიელთა ბედი, რომელთა რიცხვი XVI საუკუნეში, ევროპული კოლონიზაციის დაწყებამდე, 50 მილიონს ითვლიდა, ამჟამად კი 38 მილიონი არიან.

ზოგჯერ რთულდება დადგენა, ამა თუ იმ ქვეყანაში ვინ განეკუთვნება და ვინ არა აბორიგენს. ავსტრალიელ ან ახალ ზელანდიელ აბორიგენებთან მიმართებაში ასეთი ეჭვი არასოდეს დგება, რადგან ისინი ათასწლეულებია იქ მკვიდრობენ, მაგრამ, მაგალითად, ყალმუხები, რომლებიც ვოლგისპირეთში XVII საუკუნიდან ცხოვრობენ, შეიძლება თუ არა ჩაითვალონ აბორიგენებად? ან, მაგალითად, 1811 წელს სირდარიის ქვემო წელიდან თანამედროვე ყარაქალფაქეთის რესპუბლიკის (უზბეკეთის შემადგენლობაში) ტერიტორიაზე გადმოსახლებული ყარაქალფაქები შეიძლება თუ არა ჩაითვალონ აბორიგენებად? რა თქმა უნდა, ყალმუხებიცა და ყარაქალფაქებიც მოცემული ტერიტორიის ძირძველ მოსახლეობად უნდა ჩაითვალონ.

ჩრდილოეთ ამერიკაში, ისევე როგორც კონტინენტის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში, აბორიგენები, ცხადია, ინდიელები არიან. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმოქცევაში არსებული „ძირძველი ამერიკელები“ გულისხმობს ძველი ახალმოშენეების პირდაპირ შთამომავლებს, განსხვავებით კონტინენტის სხვა, აგრეთვე, ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან გვიან მოსული ემიგრანტებისაგან. აღნიშნული იმის დასტურია, რომ ძირძველი მოსახლეობისა და ახალმოსულების დაპირისპირება ძალზე პირობითია.

აბორიგენული (მკვიდრი) სახელი /ავტოქთონური სახელი/ – ამა თუ იმ რეგიონის აბორიგენთა საკუთარი სახელი. მათ შორის აბორიგენული ანთროპონიმი, აბორიგენული ტოპონიმი და ა. შ.

აბჟუური – აფხაზური ენის დიალექტი, გავრცელებულია საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გამოირჩევა შედარებით მარტივი ფონოლოგიური სისტემით, ამიტომაც დაედო საფუძვლად აფხაზური სალიტერატურო ენას.

აბრაკადაბრა (ლათ. Abracadabra) – 1. უაზრო სიტყვა, რომელსაც აწერდნენ ამულეტზე; ძველი ებრაელებისა და ბერძნების რწმენით, მაგიური ძალა ჰქონდა. 2. უაზრო სიტყვები, აბდაუბდა.

აბძახური – ადიღეური ენის დიალექტი. ადიღეს რესპუბლიკაში წარმოდგენილია მხოლოდ სოფელ ჰაკურინოჰაბლში. აბძახურზე მეტყველებენ აგრეთვე ბალკანეთის კონფლიქტის შემდეგ სამშობლოში რეპატრირებული კოსოვოელი ჩერქეზები. ამჟამად ისინი სახლობენ სოფელ მაფეჰაბლში. აბძახთა უდიდესი ნაწილი ჩერქეზეთის / კავკასიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, თურქეთის რესპუბლიკაში, სირიაში, იორდანიაში, ისრაელში, კოსოვოში.

აგორალექტი – (ბერძნ. Agora „(სავაჭრო) მოედანი“ + lect) ვაჭრობის სფეროში გამოყენებული ლექსიკა, მეტყველება.

აგორონიმი – ურბანონიმის სახეობა. ქალაქის ცალკეული ნაწილების / ადგილების სახელწოდება.

აგროლექტი – (ბერძნ. Agros „მინდორი“ + lect) სოფლად მცხოვრებთათვის დამახასიათებელი სამეტყველო თავისებურებათა ერთობლიობა.

აგრონიმაცია – სტილისტური ფიგურა ემყარება სიტყვების ან მათი ფორმების თამაშს ბგერით მსგავსი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით.

აგროონიმი – ტოპონიმის სახეობა. სახნავის, სათიბის, ახოს, მინდვრის სახელწოდება.

ადათი (არაბ. عادة - ჩვეულება) – მუსლიმთა იმ ქცევითი ნორმების, ინსტიტუტებისა და პრაქტიკების კომპლექსი, რომელიც შარიათში არ ასახულა. გამოიყენება ორი ძირითადი მნიშვნელობით: 1) ჩვეულებითი სამართალი, 2) არასამართლებრივი ჩვეულება. ადათის ჩვეულება ისლამამდელ არაბეთში ჩამოყალიბდა და ისლამიზაციის მიმდინარეობისას (VIII-XIX სს.) ფართოდ გავრცელდა ევრაზიასა და აფრიკაში.

ადათობრივი სამართლის ძირითადი წყარო სასოფლო და სატომო ყრილობების, სამედიატორო სასამართლოსა და სამედიატორო მოსამართლეების გადაწყვეტილებები იყო. ისლამამდელი არაბეთის ადათმა დიდი როლი ითამაშა ისლამური სამართლის ჩამოყალიბებაში. მაგრამ მუსლიმური სამყაროს უმრავლეს რეგიონში ადათობრივი ნორმები გვევლინებოდა როგორც შარიათის ალტერნატივა. ამ რეგიონებში XVII-XIX საუკუნეებამდე სისხლის სამართლისა და ნაწილობრივ საოჯახო და საადგილმამულო სამართლის სფეროში ადათი იყო გაბატონებული, ხოლო შარიათი - სამოქალაქო, სავაჭრო და საერთაშორისო სფეროში. სამედიატორო მოსამართლეები, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ადათის პრინციპებს იყენებდნენ. ადათის თანდათანობითი ისლამიზაცია ხორციელდებოდა ადგილობრივ ადათში მუსულმანური სამართლის ზოგადი პრინციპების რეცეფციით. მუსულმანური სამყაროს რეგიონებში ჩვეულებითმა სამართალმა

სუნიტური და შიიტური ისლამის სხვადასხვა რელიგიურ-სამართლებრივი სკოლის გავლენა განიცადა. თავის მხრივ, ადათმა არცთუ მცირე გავლენა იქონია შარიათის ადგილობრივ ინტერპრეტაციაზე. ადათის სახელმწიფო კოდიფიკაცია ოსმალეთის იმპერიაში დაიწყო. მისი ნორმები გამოყენებულ იქნა პირველი სამოქალაქო კოდექსის შედგენისას. XIX საუკუნის კოლონიური სახელმწიფოები მუსლიმ აჯანყებულებთან ბრძოლაში ცდილობდნენ ადათს დაყრდნობოდნენ. გაჩნდა ადათის პირველი ეთნოგრაფიული აღწერები. შეიქმნა ადათობრივი სასამართლოების სისტემა. მსგავსი რეფორმები გატარდა რუსეთის მიერ კავკასიასა და შუა აზიაში, საფრანგეთის მიერ – ჩრდილოეთ აფრიკაში, ბრიტანეთის მიერ – ინდოეთში.

ადათის არასამართლებრივი ჩვეულებები ძირითადად ოჯახში ქცევებს, წეს-ჩვეულებებს, სამოსსა და ხალხური სამზარეულოს კერძებს ეხება. შარიათის დანაწესებისაგან განსხვავებული ჩვეულებები მუსლიმანი სამართალმცოდნეების მხრიდან მძაფრი კრიტიკის საგანი გახდა. მაგრამ, რამდენადაც ისლამიზაციის პროცესი ევრაზიისა და აფრიკის ბევრ რეგიონში ასეული წლობით გაიწელა, ყოფითი ადათის აღმოფხვრა უკიდურესად ნელა მიმდინარეობდა.

ადაპტაცია (ლათ. adaptatio „შეგუება“) – ეთნიკური კულტურისა და ენის მატარებლის (მატარებელთა კოლექტივის) შეგუება განსხვავებულ სოციალურ, ეთნიკურ, კულტურულ და ენობრივ გარემოსთან. იწვევს ინდივიდუალური და / ან კოლექტიური ბილინგვიზმის განვითარებას, ენის ცვლილებას, ორმაგი კულტურული და ლინგვისტური ცნობიერების ცვლილებას ან ჩამოყალიბებას, ახალი ქცევითი უნარების ათვისებას, მათ შორის მეტყველებას. განასხვავებენ ენობრივ, სოციალურ, კულტურულ (იგივე აკულტურაცია) ადაპტაციას, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ასპექტზე კეთდება ინდივიდუალური (კოლექტიური) ცნობიერებისა და ქცევის ცვლილების სემანტიკური აქცენტი.

ადგილობრივი ენა – ადგილობრივი მოსახლეობის ენა, რომელიც ძირითადად შინაურულ ურთიერთობებში გამოიყენება.

ადეკვატური ბილინგვიზმი – იხ. ინტეგრალური ბილინგვიზმი.

ადეპტი (ლათ. Adeptus მიღწეული) – რაიმე მოძღვრების მომხრე, დამცველი.

ადიღეური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში შემავალი ენა. აქვს ოთხი დიალექტი: ჭემგუური, აბძახური, ბჟედუღური და შაფსუღური. სალიტერატურო ენის საფუძველია ჭემგუური დიალექტი, რომელსაც შედარებით მარტივი კონსონანტური სისტემა ახასიათებს. ადიღეური ანბანი შეადგინეს 1918 წელს არაბული გრაფიკის საფუძველზე, 1927 წლიდან გავრცელდა ლათინური ანბანი, 1938 წლიდან დამწერლობა ეფუძნება კირილიცას.

ადიღეურ-ყაბარდოული (ჩერქეზული) ენები – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ერთ-ერთი შტო. შეიცავს ადიღეურ, ყაბარდოულ და უბიხურ (აწ მკვდარ) ენებს. ადიღეური და ყაბარდოული ახალდამწერლობიანი ენებია. ადიღური ენების პარალელურად საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი „ჩერქეზული ენები“.

ადიღური (ჩერქეზული) ენები – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი შტო. შეიცავს ადიღეურ, ყაბარდოულ და უბიხურ (აწ მკვდარ) ენებს.

ადმინისტრაციული ქორონიმი – ქორონიმის სახეობა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის / სახელმწიფოს, რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, რაიონის, სასოფლო საბჭოს... / ოფიციალური სახელწოდება.

ადორაცია (ლათ. adoratio – პატივის მიგება, თაყვანისცემა) - სიტყვა, ჟესტი, სხვა ნიშნები, რომლებიც ვისიმე უპირატესობას და მისგან საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს. ადორაცია საერო მნიშვნელობით ღირსეულ, პატივსაცემ ადამიანთა თაყვანისცემის აქტია, აგრეთვე, იმ ადამიანებისა, რომლებიც ძალაუფლებას ფლობენ, რელიგიური მნიშვნელობით - ღმერთისა და იმ პირებისა, რომლებსაც ღვთაების პრეროგატივები მიეწერება (იმპერატორები ძველ ეგვიპტეში, ბაბილონში, რომში და სხვ.), წმინდანებისა, მათთან ან ღვთაებასთან დაკავშირებული საგნებისა. რელიგიაში ადორაცია გვევლინება, როგორც კულტის ერთ-ერთი არსებითი ელემენტი. ზოგიერთი რელიგიათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ რელიგია უძველესი დროიდან, უპირველეს ყოვლისა, ადორაციაში ვლინდება. შეიგრძნობს რა თავის დამოკიდებულებას ყოვლისშემძლე და იდუმალ ღმერთზე, რელიგიური ადამიანი მიდის დასკვნამდე, რომ, რამდენადაც ღვთაება შეიძლება იყოს მისი მწყალობელი ან უარმყოფელი, საჭიროა, სიტყვის ან ჟესტების დახმარებით თხოვნით მიმართოს კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ადორაციის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი. ქრისტიანული დოგმატიკის თანახმად, ადორაციას აბსოლუტური მნიშვნელობით იმსახურებს მხოლოდ სამერთიანი ღმერთი. იესო ქრისტე, როგორც ღვთის სიტყვის ხორცშესხმა, თავის ადამიანურ ასპექტში ადორაციის ღირსია, რამდენადაც ადამიანური მხარე განუყოფელია მისგან, როგორც ღვთის ძისგან. ქალწულ მარიამს, ანგელოზებს და წმინდანებს არ შეუძლიათ იყვნენ ადორაციის (მისი აბსოლუტური მნიშვნელობით) პრეტენდენტები; ქება-დიდება, რაც მათ მიეგებათ, არსებითად განსხვავდება ღმერთის ადორაციისგან. ადორაცია მიწიერ მეუფეებთან მიმართებაში ქრისტიანული იერარქიის უმდაბლეს საფეხურზე დგას.

ადსტრატი (ლათ. ad „თან“, stratum „ფენა, შრე“ -> adstrat) – 1. უცხო ენის (ახალმოსახლეთა ენის) შეჭრა აბორიგენთა (ადგილობრივთა) ენაში. 2. ბილინგვიზმის სახეობა, რომელიც წარმოიქმნება ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა ენების ხანგრძლივი თანაარსებობით. შდრ. სუბსტრატი, სუპერსტრატი.

ავესტური ენა – ირანულ ენათა ჯგუფის, როგორც ღვთისმსახურების, ერთ-ერთი არქაული ენა, რომელზეც შექმნილია ზოროასტრული ტექსტების კრებული ავესტა. ავესტური ან ისტორიულად ზენდი-ენა არის ქოლგა ტერმინი ორი ძველი ირანული ენისთვის: ძველი ავესტური (ლაპარაკობდნენ ძვ. წ. II ათასწლეულში) და ახალი ავესტა. (ლაპარაკობენ ძვ. წ. I ათასწლეულში). ორივე ვარიანტი ადრეული აღმოსავლურ-ირანული ენებია ინდოევროპული ენების ოჯახის ინდო-ირანული ენის შტოში. მისი უშუალო წინაპარი იყო პროტო-ირანული ენა, პროტო-ინდო-არიული ენის მონათესავე ენა, ორივე განვითარდა ადრინდელი პროტო-ინდო-ირანული ენიდან; ავესტური გრამატიკითაც და ლექსიკითაც საკმაოდ ახლოსაა ვედურ-სანსკრიტთან.

ავსტრალიის ენები – ავსტრალიას ლეგალურად არ აქვს ოფიციალური ენა. თუმცა, ინგლისური ყველაზე ხშირად სალაპარაკო ენაა და ის დე ფაქტო ეროვნულ ენად დამკვიდრდა კონტინენტზე ევროპელთა დასახლების დღიდან. ავსტრალიური ინგლისური არის ინგლისური ენის ძირითადი ვარიანტი, გამო-

რჩეული გამოთქმითა და ლექსიკით, იგი ოდნავ განსხვავდება ინგლისური ენის სხვა სახეობებისგან. 2021 წლის აღწერის მიხედვით, ინგლისური ერთადერთი ენაა, რომელსაც ოჯახში ლაპარაკობს ქვეყნის მოსახლეობის 72%. შემდეგ მოდის ათი ყველაზე გავრცელებული ენა: მანდარინული (2,7%), არაბული (1,4%), ვიეტნამური (1,3%), კანტონური (1,2%), ჰენჯაბური (0,9%), ბერძნული (0,9%), იტალიური (0,9%), ტაგალოგური (0,9%), ჰინდი (0,8%) და ესპანური (0,7%).

ავსტრალიური ენები – ავსტრალიის აბორიგენი ტომებისა და ხალხების ენები. ავსტრალიის ავტოქთონური ენების რიცხვი ასეულობითაა, ზუსტი რიცხვი დაუზუსტებელია, თუმცა არსებობს შეფასებათა დიაპაზონი მინიმუმ 250-დან 360-მდე. ავსტრალიის ძირძველ ენებზე მეტყველებენ კონტინენტური ავსტრალიის ძირძველი ხალხები და რამდენიმე მიმდებარე კუნძული. ენათა ჯგუფებს შორის ურთიერთობები ამჟამად არ არის ნათელი, თუმცა არსებობს თვალსაზრისები. მიუხედავად ამგვარი გაურკვევლობისა, ავსტრალიის მკვიდრი ენები ერთობლივად დაფარულია ტექნიკური ტერმინით „ავსტრალიური ენები“.

ავსტროაზიური (**ავსტრალო-აზიური**) **ენები** – ენათა ოჯახი, რომელიც გავრცელებულია (მიმოფანტულია) სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში, აღმოსავლეთ ინდოეთში, ასევე ინდოეთის ოკეანის კუნძულებზე. მოიცავს დაახლოებით 150 ენას, რომელზეც ლაპარაკობს 65 მილიონზე მეტი ადამიანი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ამ ენების უმეტესობას მრავალი დიალექტი აქვს. ხმერული, მონი, მუნდარი (მუნდა), მიაუ-იაო და ვიეტნამური ენები, კულტურული თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი წევრებია, რომელთაც აქვთ ყველაზე ხანგრძლივი ტექსტური ისტორია. დანარჩენი კი უმცირესობების ენებია, მათ შესწავლას, როგორც ენობრივ სუბსტრატს, წონადი მნიშვნელობა აქვს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თითქმის ყველა ენისთვის. ზოგი ენათმეცნიერის მოსაზრებით, ამგვარი დაყოფა პირობითია. სხვა კლასიფიკაციით ენათა ნაწილი სხვა ენობრივ ოჯახებში განიხილება.

ავსტრონეზიური ენები – ენათა ოჯახი ფართოდ გავრცელებული საზღვაო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მადაგასკარში, წყნარი ოკეანის კუნძულებზე და ტაივანში (ტაივანის ძირძველი ხალხების ენა). არაერთი მოლაპარაკე გვხვდება კონტინენტურ აზიაში, ხოლო აფრიკაში მალაგასური ენა (მადაგასკარი). ავსტრონეზიურ ენებზე საუბრობს დაახლოებით 386 მილიონი ადამიანი (მსოფლიო მოსახლეობის 4,9%). ეს ხდის მას ერთ-ერთ უმსხვილეს ენათა ოჯახს მოლაპარაკეთა რაოდენობით. ძირითადი ავსტრონეზიური ენებია: მალაიური (დაახლოებით 250–270 მილიონი მხოლოდ ინდონეზიაში, მისივე ლიტერატურული სტანდარტით, სახელით ინდონეზიური), იავური (იავანეზური), სუნდანეზური და ტაგალოგური (ფილიპინური). ზოგიერთთა შეფასებით, ოჯახი შეიცავს 1257 ენას.

ავტოეთნონიმი – ხალხთა და ტომთა თვითდასახელება.

ავტონომია (ბერძნ. Αὐτος – თვით, nomos – კანონი) – კონკრეტულ სახელმწიფოში მცხოვრები ეთნიკური (ეთნო-ლინგვისტური) ჯგუფის სამართლებრივი სტატუსი. დამოუკიდებლად წყვეტს განათლების, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების საკითხებს. ავტონომიის სახეებია: ეროვნულ-ტერიტორიული და კულტურული (ეროვნულ-კულტურული).

ავტონომიურობა – (ბერძნ. autos „თვით“ + nomos „კანონი“) ენის სტანდარტიზებული და კოდიფიცირებული სახესხვაობის, მისი არსებობის ფორმის

თვისება. ავტონომიურია ენის არსებობის ის ფორმა, რომელიც არ არის დამოკიდებული ენის სხვა რომელიმე სახესხვაობაზე სოციალური, კულტურული ან საგანმანათლებლო თვალსაზრისით.

ავტოქთონები – მკვიდრი, ძირძველი ხალხი, აბორიგენები. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს შეიძლება აღმოჩნდნენ სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ისინი ინარჩუნებენ თავიანთ კულტურულ და ყოველდღიურ სპეციფიკას, რომლის მთავარი ფაქტორი ეთნიკური (ეროვნული) ენაა. ტერმინი ჩვეულებრივ მიემართება ტრადიციული ყოფის მიმდევარ მცირერიცხოვან ხალხებს. ტერმინი „ავტოქთონები“ პოპულარული იყო XX საუკუნის 40-50-იან წლებში. ამჟამად იგი იშვიათად გამოიყენება ეთნოლოგიაში, ინტენსიურად – ბიოლოგიაში. ჩაენაცვლა რა ტერმინ „ავტოქთონებს“, სამეცნიერო მიმოქცევაში უფრო ხშირად იხმარება ტერმინი „აბორიგენები“.

ავტოქთონური ენა – მოცემულ ტერიტორიაზე ძირძველი, მკვიდრი მოსახლეობის ენა.

აზერბაიჯანული ენა – ალთაურ ენათა ოჯახში შემავალი ენა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ენა. აზერბაიჯანული ნაწილობრივ გავრცელებულია დაღესტანში, საქართველოსა და სომხეთში, აგრეთვე თურქეთში, ერაყსა და ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში. თანამედროვე აზერბაიჯანული ენა ჩამოყალიბდა ბაქოს და შამახის დიალექტების საფუძველზე. 1929 წლამდე აზერბაიჯანული დამწერლობა ეფუძნებოდა არაბულს, შემდგომ – ლათინურს, 1939 წლიდან დამწერლობას საფუძვლად დაედო რუსული გრაფიკა. 1991 წლიდან აზერბაიჯანული კვლავ ლათინურ გრაფიკაზე გადავიდა. დღესდღეობით აზერბაიჯანელები სარგებლობენ სამი სახის დამწერლობით: არაბულით – ირანში, ლათინურით – აზერბაიჯანში, კირილიცით – დაღესტანში.

აინუ ენა - აინუ (აინუ-იტაკი) ან უფრო ზუსტად ჰოკაიდო აინუ, არის ენა, რომელზეც საუბრობენ აინუ ხალხის რამდენიმე ხანდაზმული წევრი ჩრდილოეთ იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოზე. აინუს ენა კლასიფიცირებულია, როგორც კრიტიკულად საფრთხის ქვეშ მყოფი ენა. მე-20 საუკუნემდე აინუზე აქამდე შემორჩენილ ჰოკაიდოს აინუ დიალექტზე, ისევე, როგორც ახლად გადაშენებულ კურილის აინუსა და სახალინის აინუს დიალექტებზე მეტყველებდნენ სახალინის კუნძულის სამხრეთ ნახევარში და კურილის კუნძულებზე. აინუ ხალხი არის ძირძველი (აბორიგენი) მოსახლეობა, რომელიც დღემდე ცხოვრობს ჰოკაიდოსა და ისტორიულად ასევე ჰონსიუში (იაპონია), კურილისა და სახალინის კუნძულებზე. ეს უკანასკნელი ორი მიტაცებული (ოკუპირებული) აქვს რუსეთის ფედერაციას. საკითხი ისმის აინუ და ქართველ-კავკასიური ენების გენეტიკური მიმართებების შესახებ.

აკომოდაცია (ლათ. Accomodatio) – მეტყველების კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც იწვევს თანამოსაუბრეებს შორის კომუნიკაციის მანძილის შემცირებას ან, პირიქით, გაზრდას. აკომოდაცია ვლინდება კონვერგენციის სახით, რომლის დროსაც საუბრის მონაწილეები ერგებიან თანამოსაუბრის აქცენტს, დიალექტურ თვისებებს ან სხვა ენობრივ მახასიათებლებს. ნაკლებად გავრცელებულია განსხვავების სახით, როდესაც მოსაუბრე ცდილობს თავისი ენა უფრო განსხვავებული გახადოს თანამოსაუბრის ენისგან, რათა ხაზი გაუსვას სოციალურ დისტანციას ან გამოხატოს თავისი უკმაყოფილება. როგორც წესი, აკომოდაცია პირად

საუბარში ვლინდება; იგივეა, რაც **ადაპტაცია.** შეწყობა, შეგუება ახალ ეთნიკურ, ეკონომიკურსა და სოციალურ გარემოში ცხოვრებასთან.

აკროლექტი (ბერძნ. acron „მწვერვალი“ + lect) – ენის ყველაზე პრესტიჟული ლექტი, ვარიანტი მის სხვა სახესხვაობებთან შედარებით. ბაზილექტისა და მეზოლექტისგან განსხვავებით, მას ახასიათებს სტანდარტიზაციის გარკვეული ხარისხი. აკროლექტი გამოიყენება საზოგადოების განათლებული ფენების მიერ, აქვს უმაღლესი სოციალური პრესტიჟი და უჭირავს უმაღლესი დონე პოსტკრეოლური კონტინიუმის ლინგვისტური ვარიანტების იერარქიაში.

აკრონიმი – იგივეა, რაც ინიციალური საკუთარი სახელი.

აკულტურაცია (**კულტურული ადაპტაცია**) – ეროვნული კულტურებისა და ენების ურთიერთმოქმედება, რაც წარმოადგენს ინდივიდუალური ან კულტურული საზოგადოების ადაპტაციას უცხო კულტურულ გარემოში. აკულტურაციის შედეგად კოლექტივს ან ინდივიდს უვითარდებათ ორმაგი კულტურული და ენობრივი ცნობიერება და ვითარდება ბილინგვიზმი.

ალბანური ენა – ინდოევროპულ ენათა ოჯახის ალბანური ჯგუფის ენა. ვარაუდობენ, რომ ალბანური ენა გამქრალი პალეობალკანური ენების წარმომადგენელია. ეს ენები ინდოევროპულ ოჯახში დამოუკიდებელ განშტოებას ქმნიდა. ალბანურზე საუბრობენ ალბანელები ბალკანეთში და ალბანური დიასპორა (დაახლოებით 7,5 მილიონი), რომელიც ძირითადად კონცენტრირებულია ამერიკაში, ევროპასა და ოკეანიაში. ასევე გავრცელებულია თურქეთში, საბერძნეთში, იტალიაში, ბულგარეთსა და უკრაინაში. ალბანური არ არის მჭიდროდ დაკავშირებული არცერთ სხვა ინდოევროპულ ენასთან. გაირჩევა ორი დიალექტი: გეგური და ტოსკური. ალბანური ენის ლექსიკაში ბევრია ბერძნული, თურქული, სლავური და რომანული სიტყვა. ალბანური ენის ადრინდელი ძეგლები (ცალკეული სიტყვები) XV საუკუნიდანაა ცნობილი; გაბმული ტექსტები XVII საუკუნისაა.

ალბანური (**კავკასიის ალბანელთა**) **ენა** – ალბანეთი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო ამიერკავკასიაში, მოიცავდა დასავლეთ კასპიისპირეთის (ახლანდ. აზერბაიჯანისა და დაღესტნის სამხრ. ნაწილი) ტერიტორიებს. ისტ. წყაროებში შემონახული ცნობები ადასტურებენ მის არსებობას უკვე ძვ. წ. IV ს-ში. ახ. წ. XI ს-ში ალბანეთის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ტრადიციულად კავკასიის ალბანელების უშუალო მემკვიდრეებად მიჩნეული არიან უდიები. ამ მოსაზრებას ადასტურებს ენობრივი მონაცემებიც. სპეციალისტების ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ალბანურსა და უდიურს ბევრი საერთო აქვთ ლექსიკასა და გრამატიკაში. ალბანური ტექსტის სტატისტიკური ანალიზი ავლენს ალბანური და უდიური ტექსტების ფონემურ სტრუქტურათა თითქმის სრულ იდენტურობას. 1996 წელს, საქართველოში ხელნაწერთა ცენტრის წარმომადგენელმა პროფ. ზაზა ალექსიძემ, ეგვიპტეში, სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში აღმოაჩინა პალიმფსესტი, უცნობი დამწერლობით. ავტორმა შეძლო ანბანის და მანუსკრიპტის იდენტიფიცირება, როგორც კავკასიური ალბანურისა. უცნობი დამწერლობით შესრულებული პალიმფსესტი აღმოჩნდა ადრეული ქრისტიანული ლექციონარი დაახლოებით V ან VI საუკუნეში შესრულებული. ლექციონარი შეიძლება იყოს ყველაზე ადრეული ლექციონარი ქრისტიანული რელიგიის ისტორიაში.

ალეგორია (ბერძნ. Ἀλληγορία) – გადატანით ნათქვამი; ავტორის აზრის შენიღბვის მიზნით გამოყენებული სიტყვა, ან სიტყვათა რიგი, რომელშიც ნათქვამია ერთი და იგულისხმება მეორე. გამოიყენება ზღაპრებში, ანდაზებში, გამოცანებში.

ალთაური (თურქულ-მონღოლური) ენები – ენათა ოჯახი, რომელიც აერთიანებს თურქულ, მონღოლურ და ტუნგუსურ-მანჯურიულ ენებს. ალთაური ენების ოჯახი დაახლოებით 60 ენისგან შედგება. ალთაურ (თურქულ-მონღოლურ) ენათა ოჯახში შედის: მათგან ყველაზე ცნობილია: აზერბაიჯანული, რომელიც ნაწილობრივ გავრცელებულია საქართველოსა და სომხეთში, აგრეთვე თურქეთში, ერაყსა და ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში; თურქმენული, თურქმენეთის გარდა გავრცელებულია ნაწილობრივ, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ყაზახეთსა და სტავროპოლის მხარეში, ასევე, ირანში, ავღანეთში, თურქეთში, ერაყში; უზბეკური, უზბეკეთის გარდა, გავრცელებულია ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, ავღანეთსა და ჩინეთში; ყაზახური (ძველად: ყაზახ-ყირგიზული), გავრცელებულია უზბეკეთში, თურქმენეთში, ყირგიზეთში, ჩინეთში, მონღოლეთში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანსა და თურქეთში; ყირგიზული (ძველად: ყარა-ყირგიზული), ახლოს დგას ყაზახურ ენასთან. გავრცელებულია ძირითადად ყირგიზეთში, აგრეთვე – უბზეკეთში, ყაზახეთში, ჩინეთში, ავღანეთსა და პაკისტანში; ბაშკირული – ბაშკირეთის მკვიდრი მოსახლეობის ენა; ჩუვაშური; თათრული, გავრცელებულია თათრეთში (თათარისტანში), აგრეთვე, ბაშკირეთში, ჩუვაშეთსა და რუსეთის ზოგიერთ სხვა ოლქში; იაკუტური – აღმოსავლეთ ციმბირში, იაკუტიაში; თურქული (1923 წლამდე – თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებამდე, ოსმალური) – თურქეთის სახელმწიფო ენა (დედაქალაქი – ანკარა); გავრცელებულია თურქეთის რესპუბლიკაში, აგრეთვე, რუმინეთში, ირანში, ერაყში, სირიაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე, საბერძნეთში, კვიპროსზე, ბულგარეთში... იმავე წრეს ეკუთვნის ყუმიკური ენა (ძირითადად დაღესტანში, აგრეთვე, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და ჩრდ. ოსეთში), ნოღაური, გავრცელებული სტავროპოლის მხარეში, დაღესტანში, ჩეჩნეთში, ყარაჩა-ჩერქეზეთში; გაგაუზური – უმთავრესად მოლდოვეთში, ნაწილობრივ უკრაინაში, ყაზახეთისა და უზბეკეთის რამდენიმე სოფელში; ყარაჩაულ-ბალყარული, გავრცელებული ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩა-ჩერქეზეთში, აგრეთვე, ნაწილობრივ, ყირგიზეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში; ალთაური ენა (1948 წლამდე ოიროტული), მთის ალთაის, ყოფ. ოიროტთა ოლქში; ყარაყალპაკური ენა – უზბეკეთში; ხაკასური; ტუვიური ენა (ტუვა ენა) – ტუვის ავტონომიური რესპუბლიკის ენა, ნაწილობრივ გავრცელებულია, აგრეთვე, მონღოლეთსა და ჩინეთში; ურუმ(ელთა)ი ენა (უკრაინა), ხორასანი ენა (ირანი), შორული ენა (კრასნოიარსკის მხარე), ქაშქაი ენა (ირანი), ყირიმელ თათართა ენა (უკრაინა). ალთაურ ენათა უძველესი დოკუმენტაცია მოცემულია ორხონის წარწერებში (VII-VIII სს. ჩვენი წელთაღრიცხვისა); მონღოლური ენა – მონღოლეთის გარდა, ნაწილობრივ გავრცელებულია ჩინეთშიც; ბურიატულ-მონღოლური (ბურიატული) ენა – ბურიატ-მონღოლთა და შიდა მონღოლეთის მკვიდრთა ენა (ჩინეთში). თურქულ ენათა ჯგუფისაა აწ მკვდარი ენებიც: ყივჩაყური (მსგავსებას ავლენს ყარაიმულსა და ყუმიკურთან), ხაზარული (კავშირი ჩანს ჩუვაშურთან, ყარაიმულთან, ყუმიკურთან და აზერბაიჯანული ენის ჩრდილოურ დიალექტებთან), პაჭანიკური...

ალოგლოსია (ლათ. allos „სხვა“ + ბერძნ. glossa „ენა“) – სახელმწიფოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის მიერ თავისი, ოფიციალური სტატუსის არმქონე ან უმრავლესობის ენის გამოყენება.

ალოეთნონიმი – ეთნონიმის სახეობა, ამა თუ იმ ხალხისათვის სხვა ხალხის მიერ დარქმეული სახელი. შდრ. ავტოეთნონიმი.

ალოლექტი (ბერძნ. allos „სხვა“ + lect) – ენის ლოკალური ვარიანტი, გარდა ნორმალიზებული (სტანდარტული) ვარიანტისა, რომელიც ჩვეულებრივ არ ისწავლება სკოლაში. ალოლექტებს შორის განსხვავებები ხელს არ უშლის წარმატებულ კომუნიკაციას და ურთიერთგაგებას ერთი და იმავე ენის სხვადასხვა ალოლექტის მოსაუბრეებს შორის.

ალონიმი – საკუთარი სახელის ვარიანტი ან პარალელური სახელწოდება. მაგ.: გიორგი – გოგი, გოჭკადილი - გაჭედილი, ძაუგი - ვლადიკავკაზი.

ამბილინგვიზმი (ლათ. ambo „ორივე“ + lingua „ენა“) – ორი ენის თანაბარ დონეზე ფლობა. მისი სინონიმებია „ბალანსირებული ბილინგვიზმი“ და „ეკვილინგვიზმი“, თუმცა ზოგიერთ ნაშრომში ისინი ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობებითაც გვხვდება ხოლმე. იხ. ორენოვნება.

ამერიკის (ინდიელთა) ენები – ენები, რომლებზეც საუბრობენ პლანეტის დასავლეთ ნახევარსფეროს აბორიგენი (მკვიდრი) მოსახლეობა და მათი თანამედროვე შთამომავლები. ამერიკელი ინდიელების ენები არ ქმნიან ერთ ისტორიულად ურთიერთდაკავშირებულ ენათა ოჯახს. ასევე არ არსებობს რაიმე სტრუქტურული მახასიათებელი (ფონეტიკაში, გრამატიკაში ან ლექსიკაში), რომლითაც ამერიკელი ინდიელების ენები შეიძლება გამოიყოს ერთიან ჯგუფად. კოლუმბამდელ ეპოქაში ამერიკელი ინდიელების ენები მოიცავდა ორივე კონტინენტს და დასავლეთ ინდოეთის კუნძულებს. ისტორიულად დასტურდებოდა მნიშვნელოვანი განსხვავებები ენებისა და ენობრივი ჯგუფების განაწილებაში და ამ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობაში. ჩვეულებრივ, გეოგრაფიული პრინციპის შესაბამისად, ყოფენ სამ ძირითად ჯგუფად: ჩრდილოეთ ამერიკის, ცენტრალური ამერიკის და სამხრეთ ამერიკის ენებად. ეს ენებია: ჩრდილოეთ ამერიკაში: ატაბასკთა, ალგონკინთა, იროკეზთა, სიუ-დაკოტა, მუსკოგი ენები; მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში: უტო-აცტეკთა, მაია, ოტომი-საპოტეკი ენები; სამხრეთ ამერიკაში: არავაკათა, კარაიბთა, ტუპი-გუარანი, ჩიბჩა, კეჩუმარა, კეჩუა, აიმარა ენები. 200-ზე მეტი ტომის ენები გაქრობის საშიშროების წინაშე დგას. ამერიკაში, მექსიკის ჩრდილოეთით, არსებობდა რამდენიმე ენობრივი ჯგუფი, მაგალითად, ესკიმო-ალეუტური, ალგონკიური, ათაბასკანური და სიუანური, რომელთაგან თითოეული მოიცავდა დიდ ტერიტორიებს და ოცამდე უფრო მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ენობრივ იდიომს. თუმცა, სხვა ენობრივი ჯგუფები მასშტაბებით კი იყო უფრო მცირე, მაგრამ მათი მომცველი ტერიტორიები, შესაბამისად, მეტად მრავალფეროვანი ენობრივი ლანდშაფტით გამოირჩეოდა; მხოლოდ კალიფორნიის რეგიონში, 20-ზე მეტი განსხვავებული ენობრივი ჯგუფი იყო წარმოდგენილი. მექსიკის ჩრდილოეთით ამერიკას, მთლიანობაში, ჰქონდა დაახლოებით 300 განსხვავებული ენა, რომლებზეც ლაპარაკობდა დაახლოებით 1,5 მილიონი მოსახლეობა. მესოამერიკაში (მექსიკა და ჩრდილოეთ ცენტრალური ამერიკა) გაცილებით მოზრდილი ინდიელთა მოსახლეობა იყო – დაახლოებით 20 მილიონი – რომელიც საუბრობდა მინიმუმ 80 ენაზე. ამ ენებიდან ზოგიერთი –

მაგალითად, ცენტრალური მექსიკის აცტეკანური და იუკატანისა და გვატემალის მაიას ენები – ეკუთვნოდა დიდ და კომპლექსურად ორგანიზებულ წარმონაქმნებს და, სავარაუდოდ, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ადგილობრივი წარმომავლობისა იყო. ყველაზე დიდი ლინგვისტური მრავალფეროვნების არეალი, როგორც ჩანს, იყო სამხრეთ მექსიკაში და მის მიმდებარე რეგიონებში, რომელიც ახლა შედის ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკებში - აშშ, კანადა. სამხრეთ ამერიკაში წარმოდგენილი იყო აბორიგენული მოსახლეობა 10-დან 20 მილიონამდე და ენათა უაღრესად გამორჩეული მრავალფეროვნება – 500-ზე მეტი ენა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ანდების რეგიონში იყო კონცენტრირებული, სადაც მდებარეობდა ინდიელი ინკების ძლიერი იმპერია. ინკების სახელმწიფოს კეჩუური (კეჩუა) ენები ვრცელდებოდა ქვეყნის მიღმაც, სამხრეთ პერუს მაღალმთიანეთში, რამაც დროთა განმავლობაში გამოიწვია მრავალი სხვა ინდიელთა ენის შეკუმშვა-გადაშენება. ევროპელთა დამპყრობლურ-კოლონიზაციურმა პოლიტიკამ შედეგად გამოიწვია ამერიკელი ინდიელების მრავალი ჯგუფის (ენის) გაქრობა, ხოლო გადარჩენილ ჯგუფებში რადიკალური ცვლილებები. დასავლეთ ინდიელებში აბორიგენული ენები თითქმის მთლიანად გაქრა, ხოლო მექსიკის ჩრდილოეთით, აბორიგენული ენების მესამედი გადაშენდა. სიტუაცია გარკვეულწილად განსხვავებულია მესოამერიკასა და სამხრეთ ამერიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, ენების უფრო დიდი რაოდენობა მაინც გადარჩა და ზოგიერთ მათგანზე მოსახლეობის დიდი ნაწილი ლაპარაკობს. ამერიკელი ინდიელების ენებიდან, რომლებზეც ჯერ კიდევ საუბრობენ, ბევრზე მხოლოდ რამდენიმე ადამიანიღა თუა მოლაპარაკე. მექსიკის ჩრდილოეთით, შემორჩენილი ენების 50 პროცენტზე მეტს 1000-ზე ნაკლები მოსაუბრე ჰყავს. ასეთ პატარა თემებში ადამიანების უმეტესობა ორენოვანია, ხოლო ახალგაზრდები, რომლებსაც განათლება ინგლისურად აქვთ მიღებული, ხშირად მხოლოდ ზედაპირულად ფლობენ მშობლიურ იდიომებს. მიუხედავად იმისა, რომ ინდიელთა მოსახლეობა მექსიკის ჩრდილოეთით ფაქტობრივად იზრდება, აბორიგენული ენების უმეტესობა ნელ-ნელა მაინც კვდება. მხოლოდ რამდენიმე ენა ჰყვავის: ნავაჰო-ენა, რომელზეც საუბრობენ ნიუ-მეხიკოსა და არიზონაში; ოჯიბვა-ენა, ჩრდილოეთ შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კანადაში; ჩეროკი-ენა, ოკლაჰომასა და ჩრდილოეთ კაროლინაში და დაკოტა-ასინიბოინური ენა ამერიკის შეერთებული შტატების შუა-დასავლეთის ჩრდილოეთ ნაწილებში. ორენოვნება ამ ჯგუფებშიც მეტად ხშირია. სამხრეთ ამერიკისა და მესოამერიკის ნაწილებში ჯერ კიდევ არსებობს არაერთი ფართოდ გავრცელებული და აყვავებული ენობრივი ჯგუფი. კეჩუა-ენა ერთ-ერთი მათგანია. დადგენილია, რომ კეჩუა-ენის მჭიდროდ ურთიერთ-დაკავშირებულ დიალექტთა ჯგუფები რამდენიმე მილიონი მოლაპარაკეს ითვლიან: ეკვადორში, პერუში, ბოლივიისა და არგენტინის ნაწილებში. ინკების იმპერიის ერთ-ერთ ძირითად ენაზე (კუზკოს დიალექტი პერუში) დღემდე მეტყველებენ. მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის თანამედროვე ინდიელები კვლავ საუბრობენ იმ ენებზე, რომელთა პირველი ფიქსაციები თარიღდება ესპანელთა ექსპანსიის პერიოდით.

ამერიკული ეთნოფსიქოლოგიური სკოლა – ხალხთა კულტურულ-ისტორიული სახის თავისებურებების ახსნის კონცეფციების ერთობლიობა, რომელიც აშშ-ში XIX საუკუნის პირველ ნახევარში მუშავდებოდა. ამერიკული ეთნოფსიქო-

ლოგიური სკოლის კვლევების, შეხედულებებისა და კონცეფციების საფუძველი იყო სხვადასხვა ხალხებში სპეციფიკური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ეროვნული ხასიათის ნიშნების არსებობის აღიარება, ნიშნებისა, რომლებიც წარმოადგენენ მდგრად ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს; განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა „პიროვნების“, როგორც მთელის განმსაზღვრელი სტრუქტურის ამოსავალი ერთეულის ძირითადი კომპონენტის, ცნების დამუშავებას. ამერიკელი ეთნოფსიქოლოგებისათვის ნამდვილ და პირველად რეალობას წარმოადგენდა პიროვნება და ამიტომაც, მათი აზრით, თითოეული ხალხის კულტურის შესწავლა პიროვნების, ინდივიდის შესწავლით უნდა დაიწყოს.

ამერიკული ეთნოფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის ფსიქოლოგიაში გადამწყვეტ როლს ეთნოკულტურული ნორმები თამაშობენ და არა – ბუნებრივი უნარები და მონაცემები, ემოციურ-გრძნობითი სურვილები. მათი აზრით, ეროვნული ხასიათის ისეთი თვისებები, როგორიცაა აგრესიულობა, ძალადობისკენ მისწრაფება, ეჭვიანობა და სხვ., ხალხთა კულტურების თავისებურებებით, მათი ეროვნული ფსიქოლოგიის განსაკუთრებულობით აიხსნება. თავიანთ კონცეფციებში ამერიკელი ეთნოფსიქოლოგები ფართოდ იყენებდნენ ფსიქიატრიულ ტერმინებსა და ფსიქოანალიზის დებულებებს ჩანაცვლების, ოიდიპოსის კომპლექსის შესახებ.

მოგვიანებით ეთნოფსიქოლოგიურმა მეცნიერებამ თანდათანობით უკუაგდო წარმოდგენები „ძირითადი პიროვნების“ შესახებ, რამდენადაც იგი ადამიანთა ეროვნულ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ დიდწილად იდეალიზებულ სურათს ქმნიდა და არ ითვალისწინებდა მათი ნიშან-თვისებების ვარიაციულობას ერთი ეთნიკური ერთობის სხვადასხვა წარმომადგენლებში. წარმოდგენებს „ძირითადი ინდივიდის“ შესახებ ჩაენაცვლა „მოდალური პიროვნების“ თეორია, ანუ ისეთის, რომელიც მხოლოდ აბსტრაქტულ-ზოგადი სახით გამოხატავს ამა თუ იმ ხალხის ფსიქოლოგიის მთავარ თავისებურებებს, რეალურ ცხოვრებაში კი ყოველთვის შეიძლება არსებობდეს ეთნოსის ფსიქოლოგიური წყობის საერთო თვისებების გამოვლენის სხვადასხვა სპექტრი.

ამულეტი (არაბ. حَمَائِل - ტარება) - მაგიური ძალის მატარებელი აპოთროპეის (იხ.) სახეობა, საგანი, რომელიც ადამიანს ვნებისგან იცავს ან კეთილდღეობას ანიჭებს. ამულეტის გამოყენების პრაქტიკა დამახასიათებელია თითქმის ყველა რელიგიისათვის. ჩამოყალიბდა რა არქაული რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე, რამდენადმე შეცვლილი სახით შემოინახა გვიანდელი რელიგიების კულტში. ფორმის მიხედვით ამულეტი შეიძლება იყოს ბუნების ობიექტი (ქვა, მცენარე, ცხოველი ტყავი, ბრჭყალი, კბილი და სხვ.) ან ხელოვნურად დამზადებული ნივთი (ანთროპომორფული ან ზოომორფული ფიგურა, ბეჭედი, სარტყელი, ნალი და მრ. სხვ.). მოგვიანებით ფართო გავრცელება ჰპოვა ამულეტის სახით ქაღალდზე ან სხვა მასალაზე წარწერილი შელოცვების, ლოცვების გამოყენების პრაქტიკამ. განვითარებულ რელიგიებში ამულეტის დამზადება თანხლებულია სპეციალური რიტუალებით, რომლებსაც განსაკუთრებული რელიგიური სტატუსის მქონე პირები (შამანები,, ქურუმები, მონაზვნები და სხვ) ასრულებენ. დანიშნულების მიხედვით ამულეტს ატარებენ სხეულით, სამოსით ან ათავსებენ შესაბამის ადგილზე (სახლის კედელზე, კარებს ზემოთ, საფლავზე და სხვ.).

ანაგრამა (ბერძნ. Ἀναγραμματίσμος)– 1. სიტყვა, სიტყვა-კომბინაცია, ასოე-

ბის გადალაგების შედეგად მიღებული: მარატი - მართა; იყენებენ გამოცანებში, თამაშებში; 2. ტექსტში ფონეტიკური მნიშვნელობების გამოხატვის საშუალება.

ანათემა (ბერძნ. Anathema) – საეკლესიო დაწყევლა, შეჩვენება, განკვეთა, უდიდესი სასჯელი უფლის სახელით, წყრომა.

ანაქრონიზმი (ფრანგ. Anachronisme < ბერძნ. ana უკან და chronos დრო) – 1. ქრონოლოგიური შეუსაბამობა; ამა თუ იმ ფაქტის შეცდომით მიკუთვნება სხვა დროისათვის, სხვა ეპოქისათვის. 2. ძველი დროის გადმონაშთი, რომელიც არ შეეფერება თანამედროვე ცხოვრების პირობებს; მოძველებული შეხედულება ან ჩვეულება.

ანდალალური – ხუნძური ენის დიალექტი. გავრცელებულია ღუნიბის რაიონში, ასევე, სოფლებში არკასი და მანასაული; მე-19 საუკუნის შუა წლებში დიალექტის მატარებლები გადასახლდნენ ბუინაკსკის რაიონში. ანდალალური დიალექტი აერთიანებს ათ კილოკავს: ბუხტური, რუგუჯული, კეგერული, კუიადური, სოგრატლური, ობოხური, გამსუტლური, ხოტოჩ-ხინდახური, კუდალური, ჭოხური.

ანდიური ენა – იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ხუნძურ-დიდოურ-ანდიურ ენათა ქვეჯგუფში შემავალი ენა. გაირჩევა თქმათა ორი ძირითადი ჯგუფი: ზემოანდიური ანუ საკუთრივ ანდიური (ანდის, ღუნხის ღაღათლის, აშალის, რიკვანის, ჩანხოს და ზილოს თქმები) და ქვემოანდიური ანუ მუნიბ-ქვანხიდათლური (მუნიბისა და ქვანხიდათლის თქმები). 2018 წლიდან დამწერლობის მქონეა. მანამდე იყენებდა ხუნძურ დამწერლობას.

ანდიური ენები – იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-დიდოურ-ანდიურ ენათა ქვეჯგუფში შემავალ ენათა ერთობა. მოიცავს ანდიურ, ბოთლიხურ, ღოდობერიულ, ჭამალურ, ტინდიურ, ბაგვალურ, კარატაულ, ახვახურ ენებს. გავრცელებულია დაღესტნის დასავლეთ ნაწილში, მდინარე ანდის ყოისუს ხეობაში. ძირითადად ანდიური ენებისთვის სამწერლო ენად გამოყენებულია ხუნძური.

ანდროლექტი (ბერძნ. andros „მამაკაცი“ + lect) – მამაკაცებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო თავისებურებათა ერთობლიობა; გენდერლექტის მამრობითი ქვესახეობა.

ანდრონიმი – ანთროპონიმის სახეობა. ქალის სახელი, გვარი ან მეტსახელი, შერქმეული ქმრის სახელის, გვარის ან მეტსახელის მიხედვით.

ანთროპოგენეზი (ბერძნ. Anthropos ადამიანი, genesis – შობა, წარმოშობა) – სწავლება ადამიანის წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესახებ.

ანთროპოგენური სუქცესია / ანთროპოსუქცესია (ბერძნ. ἄνθρωπος - ადამიანი + γένεσις - წარმოშობა, ლათ. succesio - მემკვიდრეობითობა, მონაცვლეობა) - ახალ ლანდშაფტებში ეთნიკური სისტემის გავრცელებით გამოწვეული ცვლილება: მოცემულ ტერიტორიაზე ეთნიკური შედგენილობის შეცვლა. ტერმინი ლ. გუმილიოვმა ეთნოლოგიაში გადმოიტანა გეობოტანიკიდან, სადაც სუქცესია ამა თუ იმ რაიონში მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის ცვლილებას აღნიშნავს.

ლ. გუმილიოვი მიიჩნევდა, რომ ანთროპოგენური სუქცესია კაცობრიობის ისტორიის ყველა ეპოქასა და დედამიწის ყველა ადგილზე ხდებოდა. რა იწვევს ამას? რატომ აძევებენ ერთმანეთს ეთნოსები? ლ. გუმილიოვის აზრით, ექსპანსიისკენ ეთნოსების მიდრეკილების, ახალი ლანდშაფტების ათვისების ერთა-

დერთ ახსნას ემსახურება პასიონარობის კონცეფცია. ახალგაზრდა, აგრესიული ეთნოსი, რომელიც პასიონარული ბიძგის შედეგად გაჩნდა, აუცილებლად იწყებს თავისი საცხოვრებელი არეალის გაფართოებას, ითვისებს და ცვლის რა ახალ ლანდშაფტებს. ამასთანავე, იგი აძევებს, იქვემდებარებს, ასიმილირებს ან ხოცავს იქ მცხოვრებ შედარებით ძველ ეთნოსებს, რომლებმაც ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგეს თავიანთი აქტიურობა. მაგრამ შეიძლება შემდგომში მოხდეს ახალი პასიონარული ბიძგი და მაშინ უწინ აგრესორის როლში მყოფი ეთნოსი ამოძირკვული იქნება ახალი, შედარებით ახალგაზრდა მეზობლების მიერ. მაგალითად ესპანეთი, ოდესღაც რომის იმპერიის ყოფილი პროვინცია, მიტაცებულ იქნა ბარბაროსების (სვევების, ალანების, ვანდალების, შემდეგ გოთების) მიერ. VII საუკუნეში იგი დაიპყრეს არაბებმა, რომლებიც VI საუკუნის ბიძგისგან წარმოიშვნენ; მაგრამ VIII საუკუნეში მოხდა ახალი პასიონარული ბიძგი, რომელმაც დასავლური სუპერეთნოსი წარმოშვა. ამის შედეგად ესპანელებმა არაბები განდევნეს.

ანთროპოლოგია (ბერძნ. ανθρωπος - ადამიანი + λόγος - მეცნიერება) – საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების ზღვარზე ჩამოყალიბებული დისციპლინა, რომელიც ადამიანის, როგორც განსაკუთრებული სოციობიოლოგიური სახეობის, წარმოშობასა და ევოლუციას, ადამიანთა რასების ჩამოყალიბებას, ამ რასებს შიგნით ადამიანის ფიზიკურ ვარიაციებს იკვლევს. როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ანთროპოლოგია XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, თუმცა ტერმინი პირველად გამოიყენა არისტოტელემ ადამიანის სულიერი ბუნების შესწავლისას. ანთროპოლოგიის ძირითადი განაყოფებია: ადამიანის მორფოლოგია, ანთროპოგენეზი, რასათმცოდნეობა. XX საუკუნის შუა ხანებიდან ანთროპოლოგიის, ადამიანის ფიზიოლოგიისა და მედიცინის ზღვარზე ვითარდება და ფორმირდება სამეცნიერო დარგების კომპლექსები სახელწოდებით „ადამიანის ბიოლოგია“ (შეისწავლის ადამიანის ორგანიზმის აგებულების ვარიაციებსა და განვითარებაზე ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და გენეტიკური ფაქტორების ზემოქმედებას) და „ადამიანის ეკოლოგია“ (იკვლევს ადამიანზე ბუნებისა და სოციალური ფაქტორების ზემოქმედებას).

ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა (ლინგვისტური ანთროპოლოგია) (ბერძნ. anthropos „ადამიანი“ + logos „მოძღვრება“ + ლათ. linguistica) – ინტერდისციპლინარული კვლევის მიმართულება, რომელიც აერთიანებს ენობრივ, ეთნოლოგიურ, კულტუროლოგიურ ძიებებს და გამოიყენება ეთნოლინგვისტური თემების შესწავლისას. იგი აერთიანებს საკუთრივ ენობრივ, ეთნოგრაფიულ, კულტურულ მიდგომებს.

ანთროპომორფიზმი (ბერძნ. ανθρωπος – ადამიანი, μορφή – ფორმა, სახე, გარეგნობა) - ადამიანის გარეგნობისა და თვისების გადატანა მატერიალურ და იდეალურ ობიექტებზე, რის შედეგადაც მოცემული ობიექტები ადამიანის მსგავსნი ხდებიან. ანთროპომორფიზმი აზროვნების მეტაფორული ბუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. ძველ კულტურებში ადამიანის ხატი „ბაზისური მეტაფორა იყო“ (ფ. მიულერი): „საგანთა ქაოსში ჩვენეული სულის შთაბერვითა და მათთვის ჩვენივე სახის მინიჭებით ყალიბდებოდა წარმოდგენები სამყაროზე, მითოლოგია და ენის სტრუქტურა. ანთროპომორფიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ სამყაროს სურათში უსულო საგნები და მთლიანად

უნივერსუმი ადამიანისათვის დამახასიათებელ ფიზიკურ, ფსიქიკურ, ინტელექტუალურ თვისებებს და ხშირად სქესობრივ ნიშნებსაც დემონსტრირებენ. რიგი არქაული კოსმოგონიების თანახმად, ჩნდება ადამიანის მსგავსი არსება (გეა ძველბერძნულ მითოლოგიაში), რომელიც საწყისს აძლევს ღმერთებსა და ბუნების მოვლენებს ან რომლის (ინდოარიული პურუშა - მაკროკოსმი) რიტუალურად დანაწევრებული სხეულიდან სამყარო იქმნება. აზრი მსოფლწესრიგის „მამაკაცური“ და „დედაკაცური“ საწყისების თაობაზე ბევრი კულტურისათვის არის დამახასიათებელი (შდრ.: ჩინური იანი და ინი). გარემომცველი სამყაროს ანთროპომორფიზაცია არქაული აზროვნების ტიპური ხერხია, რომლის გამოყენებამ ანიმიზმის (იხ.), ტოტემიზმის (იხ.), ფეტიშიზმის (იხ.) წარმოქმნა განაპირობა. ბუნების ძალების, სოციალური ინსტიტუტების, ადამიანის სულიერი თვისებების ანთროპომორფიზაციამ ძველი რელიგიების პანთეონისა და პანდემონიუმის შემადგენლობის გაფართოებაში არსებითი წვლილი შეიტანა. უსულო ობიექტისთვის ან მითოლოგიური არსებისთვის ადამიანის მგზნებარების მინიჭება რელიგიათმცოდნეობით ლიტერატურაში აღინიშნება ტერმინით „ანთროპოპატიზმი“ (სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ფ. შულცმა). განვითარებული რელიგიები ღვთაების შესახებ წარმოდგენებში ინარჩუნებენ ანთროპომორფიზაციის ნიშნებს, თუმცა რელიგიურ სწავლებებში ეს ნიშნები განიხილება როგორც მეტაფორები. ლ. ლევი-ბრიული ამტკიცებდა, რომ რეალობის ანთროპომორფიზაციისკენ მიდრეკილება იმდენად მაღალია, რამდენადაც დაბალია ცნობიერების დონე. ანთროპოლოგთა, ფსიქოლოგთა, ფილოსოფოსთა უმრავლესობამ ეს თვალსაზრისი არ გაიზიარეს, თუმცა აზროვნების რაციონალისტური როლის ზრდის კვალდაკვალ ანთროპომორფიზაციის კულტურული როლის დავიწროების ტენდენცია არ უარუყვიათ. აღიარებულია, რომ განვითარებული კულტურული ცნობიერების ანთროპომორფიზმისაგან სრული განცალკევება შეუძლებელია. ბევრი ენა, კერძოდ ინდოევროპული ენები, სიტყვების კლასიფიკაციაზეა აგებული, რაც ნიშნავს, რომ ობიექტების ნომინაციაც უპირატესად მამრობითი და მდედრობითი სქესის მიხედვით ხდება; არის რა ძველი ანთროპომორფიზმის მემკვიდრე, ეს თავისებურება ენის მატარებელს გარემომცველი ობიექტების ქვეცნობიერი ანთროპომორფიზებისკენ უბიძგებს. ანთროპომორფულია ბევრი მდგრადი სიმბოლო და ალეგორია: მაგალითად, ევროპულ კულტურაში ალეგორიულობის ფილოსოფია გამოიხატება მშვენიერი და დიდებული ქალის სახით, ძილი და სიზმარი წარმოდგენილია ჰიპნოსის, მორფეის სახეებით.

ანთროპონიმი (ბერძნ. anthrōpos „ადამიანი“, onoma „სახელი“) – ადამიანის საკუთარი სახელი. ანთროპონიმებში შედის პირადი სახელები, პატრონიმიკა; გვარები, ასევე მეტსახელები და ფსევდონიმები.

ანთროპონიმია – ანთროპონიმთა ერთობლიობა.

ანთროპონიმიკა (ბერძნ. anthrōpos „ადამიანი“, onima „სახელი“) – ონომასტიკის დარგი, რომელიც სწავლობს ადამიანთა საკუთარი სახელების სისტემას. მისი კვლევის ობიექტებია: პიროვნული სახელები, პატრონიმები, გვარები, მეტსახელები, ფსევდონიმები, კრიპტონიმები და ა.შ. ანთროპონიმიკის საგანია ანთროპონიმების გაჩენისა და განვითარების ნიმუშების, ანთროპონიმების სტრუქტურისა და სისტემის, ისტორიული ფენების, ანთროპონიმიაში ენების ურთიერთქმედების (ნასესხები) შესწავლა.

ანთროპონიმიკონი – 1. ანთროპონიმთა ლექსიკონი ან სია. ჩვეულებრივ, ადგენენ ცალ-ცალკე პიროვნული სახელებისას, მეტსახელებისას, გვარსახელებისას; 2. ამა თუ იმ ხალხის ან სოციუმის პიროვნულ სახელთა ნუსხა გარკვეული პერიოდისათვის.

ანთროპონიმური ლექსემა /ანთროპოლექსემა/ – სიტყვა, როგორც ენის სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ანთროპონიმის როლს ასრულებს. ორ- ან მეტ-შემადგენლიან ანთროპონიმში ანთროპოლექსემაა თითოეული სიტყვა, რომელიც შედის ამ სახელში. მაგ.: სულხან, საბა, ორბელიანი; ვახტანგ, გორგასალი.

ანთროპოსოფია (ბერძნ. anthropos – ადამიანი, Sophia – სიბრძნე) – მისტიკური მოძღვრება ადამიანზე, რომელსაც თითქოს შინაგანი ღვთაებრივი უნარის გახსნით შეეძლოს ბუნებაზე ბატონობა, I მსოფლიო ომის დროს გამოეყო თეოსოფიას.

ანთროპოცენტრიზმი (ბერძნ. anthropos – ადამიანი, Centrum – ცენტრი) – რელიგიურ-ფილოსოფიური იდეალისტური შეხედულება ადამიანზე, როგორც სამყაროს წყობის ცენტრსა და საბოლოო მიზანზე. ამტკიცებს, რომ დასაბამითვე არსებობს ადამიანის მიღმური, წინასწარდადგენილი მიზანმიმართებითი ობიექტური ძალა, რომლის მიზანი და შუაგულია ადამიანის ფენომენი.

ანიმალური (ლათ. animal ცხოველი) – ცხოველური; ცხოველთან დაკავშირებული.

ანიმატიზმი – ანიმიზმის (იხ.) სპეციფიკური ფორმა – რწმენა-წარმოდგენები უსახო არამატერიალურ ძალაზე – ენერგიაზე, რომელიც მატერიალური სამყაროს ყველა ობიექტს მსჭვალავს, ასულიერებს და მათზე ზემოქმედებს. ლიტერატურაში ტერმინი შემოვიდა სახელწოდებით „მანა“, იყენებდნენ ოკეანიის ხალხები, რამდენადაც პირველად სწორედ მათთან დაფიქსირდა მსგავსი წარმოდგენები. აღნიშნულ წარმოდგენათა თანახმად, საგანი შეიძლება იყოს ფეტიში (იხ. ფეტიშიზმი) მხოლოდ მაშინ, თუ იგი დიდ მანას ფლობს. მანას შეუძლია ერთი საგნიდან მეორეში გადაინაცვლოს; ასეთ შემთხვევაში მათ შორის პირველის, როგორც ფეტიშის, ღირებულება მცირდება, ხოლო მეორის - იზრდება. ბელადები, ჯადოქრები და წარმატებული ადამიანები მანას დიდი რაოდენობით ფლობენ, ვიდრე უბრალო მოკვდავნი; მონები და ავადმყოფები მანას საერთოდ მოკლებულნი არიან. ადამიანთა კოლექტივს შეუძლია გააერთიანოს თავისი მანა საერთო მიზნის მისაღწევად, მაგალითად, არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმად აღდგომის კუნძულის გიგანტური ქვის ქანდაკებების აღმართვა ბელადმა მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა მას ტომის ყველა წევრმა თავისი მანა გადასცა. ანიმატიზმის კვლევების საფუძველზე შეიქმნა პრეანიმიზმის თეორია (რ. მარეტი). ამ თეორიის მიხედვით, უსახო, ყოვლისმომცველი ძალის (მანას) არსებობის შესახებ რწმენა გახდა წყარო ყველა გვიანდელი რელიგიური რწმენა-წარმოდგენისა (მათ შორის ანიმიზმისა), რომლებშიც ზებუნებრივს უკვე პერსონიფიცირებული სახე გააჩნია.

ანიმიზმი (ლათ. anima - სამშვინველი, animus - სული) - რწმენა სხეულში დაბუდებული (სამშვინველი) ან დამოუკიდებლად მოქმედი (სული) ზებუნებრივი არსებების შესახებ. ამ მნიშვნელობით ტერმინი პირველად გამოიყენა ინგლისელმა ეთნოგრაფმა ე. ტაილორმა პირველყოფილ ეპოქაში წარმოქმნილი იმ რწმენა-წარმოდგენების აღწერისათვის, რომელიც, მისი აზრით, ნებისმიერ რელიგიას უდევს საფუძვლად. ე. ტაილორის თეორიის თანახმად, ეს წარმოდგე-

ნები ორი მიმართულებით ვითარდებოდა. ანიმისტური რწმენის პირველი რიგი წარმოიშვა არქაული ადამიანის მიერ ისეთი მოვლენების ახსნის პროცესში, როგორიც არის სიზმარი, ხილვა, ავადმყოფობა, სიკვდილი, აგრეთვე, ტრანსისა და ჰალუცინაციის განცდა. არ შეეძლო რა ამ რთული მოვლენების მართებული გააზრება, „პირველყოფილმა ფილოსოფოსმა“ ირწმუნა სხეულში დაბუდებული სულის არსებობა, რომელსაც დროდადრო მისი დატოვებაც შეეძლო. მოგვიანებით ყალიბდება უფრო რთული წარმოდგენები სხეულის კვდომის შემდეგ სულის არსებობის, ახალ სხეულში მისი გადასახლების, საიქიოს შესახებ. ანიმისტური რწმენა-წარმოდგენების მეორე რიგი წარმოიქმნა გარემომცველი სინამდვილის განსახიერებისა და გასულიერების მისწრაფებიდან. ძველი ადამიანი ობიექტური სამყაროს ყველა მოვლენასა და საგანს მოიაზრებდა, როგორც თავის მსგავსს, ანიჭებდა რა მათ საკუთრივ მისთვის დამახასიათებელ ყველა თვისებას. აქედან წარმოიშვა რწმენა ბუნების მრისხანე ძალების, მცენარეების, ცხოველების, გარდაცვლილი წინაპრების დამოუკიდებლად არსებული სულების შესახებ, რაც რთული ევოლუციის პროცესში პოლიდემონიზმიდან პოლითეიზმში, შემდეგ კი მონოთეიზმში ტრანსფორმირდა. ეფუძნებოდა რა პირველყოფილი საზოგადოების კულტურაში ანიმისტური რწმენა-წარმოდგენების ფართოდ გავრცელების თვალსაზრისს, ე. ტაილორმა დაასკვნა: „ანიმიზმი მინიმუმ რელიგიის განმსაზღვრელია“. თავის შრომებში ამ ფორმულას ეყრდნობოდა ბევრი ფილოსოფოსი და რელიგიათმცოდნე, მაგრამ ანიმიზმის ტაილორისეული თეორიის განხილვისას მისი სუსტი მხარეებიც გამოვლინდა. ძირითადი კონტრარგუმენტი იყო ეთნოგრაფიული მონაცემები, რომელთა თანახმად, ე. წ. პრიმიტიული ხალხების რელიგიური წარმოდგენები ხშირად არ შეიცავდნენ ანიმიზმის ელემენტებს. ასეთ რწმენა-წარმოდგენებს „პრეანიმისტური“ ეწოდა (იხ. პრეანიმიზმი). გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ტაილორის თეორია არ ითვალისწინებს რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სოციალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ტაილორის ანიმისტური თეორიის კრიტიკისა და ბევრი მისი დებულების დრომოჭმულად მიჩნევისა, თანამედროვე ფილოსოფოსები და რელიგიათმცოდნეები აგრძელებენ ტერმინ „ანიმიზმის“ გამოყენებას; აღიარებენ, რომ ანიმისტური რწმენა-წარმოდგენები შედის ყველა მსოფლიო რელიგიაში, როგორც მათი ძალზე არსებითი ნაწილი.

ანიმისტური მეტაფორები (ლათ. anima „სული“) – ადამიანის დამახასიათებელი მეტაფორები მისი გარეგნობის, ფსიქიკური მდგომარეობის, გონებრივი შესაძლებლობების, ქცევის, მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის, პროფესიის, ეროვნების, ასაკის და ა.შ. თვალსაზრისით.

ანკლავი (ფრანგ. enclave - ჩანერგილი) - ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, რომელიც გარშემორტყმულია სხვა სახელმწიფოს / სახელმწიფოების ტერიტორიით / ტერიტორიებით, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოს საზღვრებში არსებული ეთნიკური ტერიტორიის ნაწილი.

ანოლექტი (ლათ. annus „წელი“ + ბერძნ. lect) – ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდისათვის დამახასიათებელი იდიოლექტი.

ანტიენა – მარგინალური (ან მარგინალიზებული) ჯგუფის სამეტყველო თავისებურებათა ერთობლიობა, რომელიც გაუგებარი უნდა იყოს საზოგადოების დანარჩენი წევრებისათვის და რომელიც ერთგვარი პროტესტის, ანტაგო-

ნისტური ნიშან-თვისების მატარებელია. ანტიენის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე ტერმინი კონტრენა.

ანტისემიტიზმი (გერმან. antisemitismus; ფრანგ. antisemitisme) – შოვინიზმის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა, რაც გამოხატულია ებრაული ეროვნების პირთა მიმართ მტრობაში. განსხვავებით ნაციონალიზმის სხვა ფორმებისგან, რომლებიც განადიდებენ „თავიანთ“ ეთნოსს და სძულთ, ეზიზღებათ ყველა „სხვისი“ ხალხი, ანტისემიტიზმის არსი ისაა, რომ აქცენტირებს მხოლოდ ებრაელების სიძულვილსა და დევნაზე. ანტისემიტიზმი თავისი ფესვებით უკავშირდება შორეულ წარსულს, ბიბლიური ეპოქის ახლო აღმოსავლეთში არსებული ტომებისა და სახელმწიფოების ორმხრივ მტრობას, რომის იმპერიის მიერ დამონებულ ებრაელთა დიასპორას, ებრაელთა ხეტიალს ევროპის ქვეყნებში, სადაც ისინი იყვნენ უცხოტომელები უცხო ენით, ჩვეულებებითა და არაქრისტიანული რელიგიით. იყვნენ რა უუფლებონი და განიცდიდნენ რა რელიგიურ და ეროვნულ დევნას, ფეოდალურ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში ებრაელები ცხოვრობდნენ გეტოებში, ხოლო რუსეთის იმპერიაში - ე. წ. „ებრაელთა მუდმივი ბინადრობის ხაზში“ (1791-1917 წწ.). ანტისემიტიზმი ვლინდებოდა სხვადასხვა ფორმებში - ებრაელთა დაცალკევებიდან და დისკრიმინაციიდან დარბევამდე, რაც სოციალური დაძაბულობის პერიოდებში პოლიტიკური რეაქციების გაძლიერებას ემთხვეოდა. ანტისემიტიზმის ახალი აფეთქება XX საუკუნეში მოხდა. 30-40-იან წლებში ფაშისტურ გერმანიაში ებრაელი მოსახლეობის გენოციდი და დევნა სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა გახდა. ჰიტლერულმა ფაშიზმმა 6 მილიონი ებრაელი გაწყვიტა.

ანტისემიტიზმი არც გერმანიის დამარცხების შემდეგ შეწყვეტილა. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში (აშშ-სა, კანადასა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა, საფრანგეთსა და ინგლისში), სადაც ებრაელთა დიდი ნაწილი ცხოვრობს, დღემდე შეინიშნება ანტისემიტიზმის ღიად გამოვლენა. ასეთივე და უფრო მძიმე სურათი გვაქვს რიგ არაბულ ქვეყნებში, თუმცა იქ ანტისემიტიზმი სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლისგან მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ.

ანწუხური – ხუნძური ენის დიალექტი. ჭარულთან ერთად მიეკუთვნება ხუნძურის სამხრეთულ დიალექტს. ანწუხურის გავრცელების არეალი მოიცავს დაღესტნის რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიას, თლარატის ადმინისტრაციულ რაიონს. ანწუხურში გამოიყოფა კილოკავები: ტოხური, ჭადაქოლოური, ანწროს-უნჰადური, ბოჰნოდური, ტომურული, ტლანადური. თითოეული დასახლებული პუნქტი (სოფელი) ანწუხის ტერიტორიაზე ხასიათდება საკუთარი სპეციფიკური თქმით, გამოირჩევა მეტყველების თავისებურებით. ანწუხელი ხუნძები ამჟამად სახლობენ საქართველოშიც, კახეთის ტერიტორიაზე, ყვარლის რაიონის სოფელ თივში. მცირე ნაწილი ხუნძებისა ცხოვრობს ქალაქ ლაგოდეხის ერთ-ერთ უბანში – კალინოვკაში. კახეთის მკვიდრი ხუნძები მეტყველებენ ანწუხური დიალექტის ტოხურსა და ჭადაქოლოურ კილოკავებზე.

აპრიორული ენა – საერთაშორისო ხელოვნური ენა, რომლის ლექსიკა და გრამატიკა არ არის ნასესხები ეროვნული ენებიდან.

აპტრონიმები (ლათ. aptus შესაფერისი) – გვარი, რომელიც მიუთითებს ადამიანის ცხოვრების წესზე, პროფესიაზე (მაგ. მჭედლიძე)

არაფორმალური ენა – მეტყველებისა და წერის სტილი, რომელიც გამოიყენება მავანის მიმართვისას, რომელსაც ვიცნობთ ან ვისი გაცნობაც გვინდა.

არაფორმალური ენა გამოიყენება მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, თანაკლასელებთან და კოლეგებთან საუბრისას.

არასრული სინონიმი (კვაზისინონიმი) – შინაარსით მსგავსი, მაგრამ არაიდენტური მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

არგო (ფრ. Argot) – ენის ქვესისტემა, რომელიც ძირითადად განსხვავდება ლექსიკური მახასიათებლებით. არგოს მატარებელი არის სოციალური ჯგუფი, რომელიც ისწრაფვის საზოგადოების ძირითადი ნაწილისგან იზოლაციისაკენ. იგი კვალიფიცირდება, როგორც ენის ერთ-ერთი სოციოლექტი ან ენის არსებობის ფორმა; ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიის, წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის.

არეა ლინგვისტიკა (area linguistics) – ისტორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგი, რომელიც უარყოფს ფონეტიკური კანონების არსებობას გამონაკლისების გარეშე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ცალკეული ენების რეკონსტრუქციის მცდელობებს საერთო-, იგივე ფუძე-ენამდე და უმთავრეს აქცენტს აკეთებს ენობრივი ინოვაციების სივრცეში გადაცემის შესწავლას, რაც ითვლება, რომ საკმაოდ ადვილად მიმდინარეობს თუნდაც არა საერთო წარმომავლობის ენებს შორის; დარგს ასევე ეწოდება ნეოლინგვისტიკა.

არეალური ლინგვისტიკა – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ეთნოსთა მეზობლობით გამოწვეულ ურთიერთგავლენას ენობრივ დონეზე, როცა რეგიონის ენები, ენობრივი კოლექტივი ითვისებენ მეზობელი ენისთვის დამახასიათებელ თვისებებს.

არეალური ონომასტიკა – ონომასტიკური მასალის კვლევა არეალური მეთოდით.

არისტოლექტი (ბერძნ. aristos „დიდგვაროვანი“ + lect) – არისტოკრატიისათვის დამახასიათებელი ან მათ მიერ უპირატესობამინიჭებული ენა ან ლექტი.

არქაიზმი (ბერძნ. Archaios „ძველი“) – 1. მოძველებული მოვლენა, ძველი დროის გადმონაშთი. 2. (ლინგვ.). მოძველებული, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვა, გამოთქმა ან გრამატიკული ფორმა.

არქაიკა (ბერძნ. archaios ძველი) – 1. ადრინდელი, პრიმიტიული საფეხური ხელოვნების განვითარებისა. 2. ძველი დროის დამახასიათებელი ნიშნები.

არქეტიპი (ბერძნ. archē „საწყისი“, typon „ნიმუში“) – წინასახე, საწყისი. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით გენეტიკურ ურთიერთმონათესავე ენათა შედარებისა და შესატყვისის ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე დადგენილი ფორმა, რომელიც ისტორიულად დადასტურებულ ფორმათა ადრეულ საფეხურად ითვლება.

არქილექტი (ბერძნ. archi „უფროსი“ + lect) – ჰიპოთეტური ინვარიანტი, ძირითადი არქეტიპული ფენა მოცემული ენის ყველა სხვა ნაირსახეობის მიმართ.

არჩიბული ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია მდინარე ხატარის აუზში, სოფლებში: არჩიბი, ალჩინუბი, კუბათლი, ხილიხი, კესერიბი, ხიტაბი, კალიბი, (დაღესტნის რესპუბლიკა, ჩაროდინსკის რაიონი). მოქცეულია ხუნძური და ლაკური ენების გავრცელების არეალში. თანამედროვე არჩიბულ ენას გარდამავალი ადგილი უჭირავს ლეზგური და ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენებს შორის.

ასიმეტრიული ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის ტიპი, რომელიც ვითარდება საზოგადოებაში ფუნქციონირებულ სხვადასხვა ენას შორის ასიმეტრიული (ფუნქციურად არათანაბარი) ურთიერთობის შედეგად; ვლინდება პასიური და ფარული ბილინგვიზმის ფორმებით.

ასიმეტრიული ტერიტორიული წყობა (ბერძნ. ασυμμετρία – არათანაბარზომიერება) – სახელმწიფოების ისეთი ტერიტორიული წყობა, რომელშიც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, ან ფედერაციის სუბიექტებს (ფედერალურ სახელმწიფოში) უთანაბრო სტატუსი აქვთ. მაგალითად, აშშ-ის შემადგენლობაში 50 შტატთან ერთად შედიან: კოლუმბიის ფედერალური ოლქი, თავისუფლად მიერთებული პუერტო-რიკოს სახელმწიფო და სხვ., რომლებსაც შტატის სტატუსი არ გააჩნიათ. რიგ ქვეყნებში (მაგალითად, ინდოეთში, რუსეთში) ტერიტორიული წყობის ასიმეტრიულობა ფედერაციის სუბიექტებზეც კი ვრცელდება. რაც შეეხება უნიტარულ სახელმწიფოებს, სიმეტრიული წყობა არცთუ ხშირად გვხვდება: დედაქალაქებს აქვთ რამდენიმე ან არსებითად სხვა სტატუსი, ვიდრე მაღალი დონის დანარჩენ ტერიტორიულ ერთეულებს.

ასიმილაცია – ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული, უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსების ურთიერთმოქმედების პროცესი, რის შედეგადაც ერთი ეთნოსის წარმომადგენლები ითვისებენ მეორე ეთნოსის ენასა და კულტურას და სრულებით კარგავენ წინანდელ ეთნიკურ კუთვნილებას. ასიმილაცია არსებობს ორგვარი: ბუნებრივი (ნებაყოფლობითი) და იძულებითი.

ასტრალური კულტი, ასტროლატრია (ბერძნ. astron – ვარსკვლავი) – ციურ მნათობთა და მოვლენათა რელიგიური თაყვანისცემა და მისი თანმხლები მაგიურ-რელიგიური მოქმედებები. წარმოიქმნება ნეოლითის ეპოქაში სამყაროს სტრუქტურის, ციური მნათობების შესახებ იმჟამინდელი წარმოდგენების საფუძველზე, ანუ მაშინ, როდესაც ციური მოვლენების დაკვირვებადი ციკლურობა ადამიანთა ცნობიერებაში სისტემად ყალიბდებოდა. ამავე პერიოდიდან იწყება სხვადასხვა საკულტო ობიექტებზე სოლარული, ლუნარული და სხვა ასტრალური სიმბოლიკის გამოყენება წრეების, ჯვრების, ვარსკვლავების სახით. ადრესამიწათმოქმედო თემებში ქურუმები ვალდებულნი იყვნენ დაკვირვებოდნენ ბუნების სეზონურ ცვლილებებს, მდინარეების ადიდებას, მნათობთა მოძრაობას. ციურ მნათობებთან ასოცირებული ღვთაებების ასტრალიზაციის კვალდაკვალ კოსმოლოგიური ორიენტაცია გავლენას ახდენდა კალენდრის შექმნასა და სრულყოფაზე (ძვ. ბაბილონი), ხოლო მოგვიანებით დროის ათვლის თორმეტჯერადი სისტემის ჩამოყალიბებაზე. ძვ. წ. I ათასწლეულის ასირიაში ასტრალური კულტის განვითარებამ ციურ მნათობებთან ღვთაებების გაიგივების საფუძველზე გამოიწვია რამდენიმე ღმერთისგან შემდგარი პანთეონის წარმოქმნა, მის სათავეში მდგარი უზენაესი ღმერთით, აშურით (მარდუქით, ენლილით), რომელიც მზესთან იყო გაიგივებული. მოგვიანებით, ძვ. წ. V საუკუნეში ანტიკურ მისტერიებში მკვიდრობდა წარმოდგენები სიკვდილის შემდეგ მმართველებისა და მათი ცოლების ხორცშესხმაზე ვარსკვლავის სახით. ამ იდეის მიღებამ რომაელები იმპერატორთა გაღმერთებამდე მიიყვანა. ასტრალურ კულტში გაღმერთების მთავარ ობიექტებს მზე და მთვარე წარმოადგენდა. შესაბამისად, ისინი მეთაურობდნენ დანარჩენ გაღმერთებულ ასტრალურ ობიექტებს. ასტრალური კულტის განვითარების ადრეული ეტაპებისთვის ტიპური იყო უშუალოდ ციურ მნათო-

ბთა გაღმერთება, რომელთა აღქმა, რელიგიური წარმოდგენების გაღრმავების კვალდაკვალ, ღვთაებათა სიმბოლიკის მარტივიდან რთულისკენ ევოლუციით ხასიათდებოდა. რწმენა გარემომცველი სამყაროსა და ადამიანთა ცხოვრების მდგომარეობაზე მნათობთა გავლენის შესახებ გაღმერთებულ ციურ ობიექტებსა და მოვლენებზე დაკვირვებას მოითხოვდა. ასეთი დაკვირვებების შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ასტროლოგიის წინამორბედად, შემდეგ კი - ასტრონომიისაც. ასტრალური კულტის ევოლუციას პირობითად სამ ეტაპად ყოფენ. მისი უძველესი სისტემატიზება განეკუთვნება ბაბილონური და ასირიული რელიგიების აყვავების პერიოდს (ძვ. წ. 1000-612 წწ.) და ასტროლოგიის ფორმირების მომასწავებელია. შედარებით გვიანი ეტაპი მითრაიზმის, ზურვანიზმისა და ორფიზმის აყვავებაა (ძვ. წ. 612-539 წწ.), ემთხვევა პრიმიტიული ზოდიაქალური ასტროლოგიისა და ასტრონომიის სისტემატიზაციის პირველ მცდელობებს. მესამე ეტაპი (539-331 წწ.), დაკავშირებული ზოროასტრიზმთან, ჰოროსკოპული ასტროლოგიისა და სისტემური ასტრონომიის დასაწყისი გახდა. ამგვარად, სახეზეა ასტრალური კულტის განვითარების ფაზების დამთხვევა ასტროლოგიიდან ასტრონომიისკენ მიდრეკილი ცოდნის ევოლუციასთან, რაც რელიგიური და მეცნიერული წარმოდგენების განვითარების პარალელურ მიმდინარეობაზე მეტყველებს. მაგრამ ძველ ბაბილონში ჩასახული ასტრალური კულტის ისეთი ნიშან-თვისება, როგორიც არის ბედისა და ისტორიის სრული დამოკიდებულება ციურ მნათობთა გავლენაზე, მოგვიანებით ამ რელიგიური მიმართულების ერთდროული კონფლიქტის მიზეზი გახდა მეცნიერებასთანაც და ახალ რელიგიურ მსოფლმხედველობასთანაც, რომელიც უაღრესად აბსტრაქტული კატეგორიებით ოპერირებდა.

ასტროლატრია – იხ. ასტრალური კულტი.

ასტროლოგია (ბერძნ. Astrologia) – ცრუ მეცნიერება, რომელიც ცდილობს იწინასწარმეტყველოს ადამიანის მომავალი ვარსკვლავთა განლაგების მიხედვით; გავრცელებული იყო ძველად (ზოგ კაპიტალისტურ ქვეყანაში მას დღესაც მისდევენ); ვარსკვლავთმისნობა.

აფრიკის ენები – აფრიკაში ათასობით ენა-კილოს ითვლიან. მათ შორის გამოიყოფა დიდი χგუფები: სუდანის ენები, შედგება თექვსმეტი პატარა χგუფისაგან; ბანტუ ენები (ტომთა შორის ურთიერთობისათვის იხმარება სუაჰილი ენა); ბუშმენთა და ჰოტენტოტთა ენები. აფრიკის ენები იყოფა რამდენიმე ძირითად ენათა ოχახად: ნიგერულ-კონგოს ან ატლანტიკურ-კონგოს ენები (მოიცავს ბანტუს და არაბანტუს, და შესაძლოა მანდეს და სხვ.) – ლაპარაკობენ დასავლეთ, ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში. აფრიკის კონტინენტის აფროაზიური ენები გავრცელებულია დასავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, აფრიკის რქასა და საჰელის ნაწილებში. ინდოევროპულ ენებზე ლაპარაკობენ სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიაში (აფრიკაანსი, ინგლისური, გერმანული) და გამოიყენება როგორც ლინგვა ფრანკა გაერთიანებული სამეფოსა და ლიბერიის ყოფილ კოლონიებში, რომელიც მოიცავდა ამერიკული კოლონიზაციის საზოგადოების ნაწილს (ინგლისური ენა), საფრანგეთისა და ბელგიის ყოფილ კოლონიებს (ფრანგული ენა), პორტუგალიის ყოფილ კოლონიებს (პორტუგალიური ენა), იტალიის ყოფილ კოლონიებს (იტალიური ენა), ესპანეთის ყოფილ კოლონიებს (ესპანური ენა). ინდოევროპულ ენებზე ლაპარაკობენ ასევე ესპანეთის ამჟამინდელ ტერიტორიებში სეუტა, მელილა და კანარის კუნძულები და ამჟამინდელი

საფრანგეთის ტერიტორიებში – მაიოტა და ლა რეუნიონი. ნილო-საჰარული ენების სხვადასხვა ოჯახებზე ლაპარაკობენ ტანზანიიდან ერითრეა-სუდანამდე და ჩადიდან მალიმდე. ავსტრონეზიურ ენებზე ლაპარაკობენ მადაგასკარში და კომორის ნაწილებში. ხოე-კვადი ენებზე ძირითადად საუბრობენ ნამიბიასა და ბოტსვანაში. არსებობს კიდევ რამდენიმე პატარა ოჯახი და იზოლანტი ენები, ასევე კრეოლი ენები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის კლასიფიცირებული. გარდა ამისა, აფრიკას აქვს ჟესტების ენების მრავალფეროვნება, რომელთაგან ბევრი ასევე ენობრივი იზოლანტია. აფრიკის ნიგერულ-კონგოური ენები წარმოდგენილია კონტინენტის დასავლეთში და, შესაძლოა, მსოფლიოში ყველაზე დიდ ენობრივ ოჯახს შეადგენს, ენების რაოდენობის მიხედვით. ამ ოჯახის ენათა დიდი უმრავლესობა, როგორიცაა: იორუბა, იგბო, აკანური და ევე, ტონური ენებია. ნიგერულ-კონგოური ენების ძირითადი განშტოებაა ბანტუ ენები. ნიგერულ-კორდოფანური ენების ოჯახი, რომელიც ერთიანდება ნიგერულ-კონგოურ, სამხრეთ-ცენტრალური სუდანის კორდოფანის ენებთან, შემოთავაზებულიქნა 1950-იან წლებში ჯოზეფ გრინბერგის მიერ. დღეს ენათმეცნიერები ხშირად იყენებენ „ნიგერიულ-კონგოურ“-ს, როგორც ერთიან ოჯახს და მათ შორის მოიაზრებენ კორდოფანურ ენებსაც, როგორც ქვეოჯახს. ნიგერულ-კონგოური ოჯახის არსებობა ზოგადად გაზიარებულია ლინგვისტების მიერ, თუმცა ზოგჯერ ეჭვქვეშ დგება მანდე და დოგონი ენების ჩართვა, ისევე, როგორც არ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება უბანგიური ენების გენეალოგიაზე. აფრიკის ნილოს-საჰარული ენები შედგება ასამდე მეტად დიფერენცირებული ენისაგან. შემოთავაზებულ ოჯახს აქვს მეტყველების გავრცელების არეალი, რომელიც გადაჭიმულია ნილოსის ველიდან ჩრდილოეთ ტანზანიამდე, მათზე მეტყველებენ ნიგერია-კონგოსა და დრ-კონგოში (DR Congo); მდინარე ნიგერის შუა დინების გასწვრივ კი ცნობილია სონღაი ენები, როგორც გეოგრაფიული გამონაკლისი. ამ ენებს შორის გენეტიკური კავშირი ბოლომდე არ არის დადასტურებული, ამიტომაც სონღაი ენების ჩართვა საკამათოა; ეჭვები ჩნდება კომანის, გუმუზისა და კადუს კლასიფიკაციისას. მეტ-ნაკლებად ცნობილი ნილოსურ-საჰარული ენებია: კანურული, ფურული, სონღაი, ნობიინური; აქვე ფართოდაა გავრცელებული ნილოსურ (ნილოტურ) ენათა ოჯახი, რომელიც მოიცავს ლუო, დინკა და მაასაი ენებს. ნილო-საჰარული ტონური ენებია. სამხრეთ აფრიკის კიდევ სამი პატარა ყოისანური ენობრივი ოჯახი ვერ მტკიცდება, რომ მჭიდრო კავშირშია კონტინენტის რომელიმე სხვა ძირითად ენათა ოჯახთან. დაახლოებით ხოე-ჯგუფის 10 ენა, ნამიბიასა და ბოტსვანაში, შეიძლება იყოს ყოისანურ ენათა ოჯახთან დაკავშირებული. სანდავე-ენა ტანზანიაში, შესაძლოა, ასევე იყოს დაკავშირებული ხოე-ჯგუფთან. ყოისანური მოსახერხებელი ტერმინია და მოიცავს დაახლოებით 30 ენას, რომელზეც ლაპარაკობს დაახლოებით 300,000–400,000 ადამიანი. ყოისანური ენების უნიკალური თვისება, და ხშირად მათი დაჯგუფების მიზეზიც, არის ტკაცუნა თანხმოვნების (click consonants) პოვნიერება. ზოგიერთ მეზობელ ბანტუ ენაშიც (განსაკუთრებით ზულუ და ხოსა ენებში) ასევე გვაქვს ტკაცუნა თანხმოვნები, მაგრამ ისინი განვითარებულია ყოისანური ენების ზეგავლენით. ზოგადად, ყოისანური ენებიც ტონურია. აფრიკაში მანდე-ს ენობრივი ჯგუფი, დაახლოებით 70 ენას ითვლის, ისინი მალისა და გვინეის ძირითადი ენებია. ცენტრალური აფრიკის უბანგიური ჯგუფი ასევე დაახლოებით 70-ამდე ენას მოიცავს. ამასთან,

აფრიკის იზოლანტი ენებია: ბაიოტი (სენეგალი), ბანგიმე / ბანჯიმე (მალი), გომბა (ეთიოპია), გუმუზი (სუდანი, ეთიოპია), დომპო (განა, სწორია ღანა), ვეიტო (ეთიოპია), ვუტანა (ნიგერია), იენი (კამერუნი), ირიმბა (გაბონი), ლაალი (ჩადი), ლუო (კამერუნი), ლუფუ (ნიგერია), მავა (ნიგერია), მეიობე (ბენინი, ტონგო), მიმი (ჩადი), მპრა (ღანა), ობლო (კამერუნი), ონგოტა (ეთიოპია), ოროპომი (კენია, უგანდა), რერ ბარე (ეთიოპია), ტუუ (ნამიბია), ქხა (სამხრეთაფრიკა), შაბო (ეთიოპია), ჯალაა (ნიგერია), ჰაძა (ტანზანია).

აფროაზიური ენები – გავრცელებულია ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიებზე, ატლანტის ოკეანის სანაპიროდან და კანარის კუნძულებიდან წითელი ზღვის სანაპიროებამდე, დასავლეთ აზიაში და კუნძულ მალტაზე. ჰიპოთეტურად რეკონსტრუირებულია აფროაზიული პროტოენა, რომელიც, როგორც ჩანს, დიალექტურ ჯგუფებად დაიშალა ძვ.წ. 8-9 ათასწლეულში. აფროაზიური ენები (ან აფრო-აზიური), ასევე ცნობილია როგორც ქამიტურ-სემიტური, ან სემიტურ-ქამიტური (იგივე აფრაზიული, ერითრეული ან ლისრამული) და არის 300-მდე ენისგან შემდგარი მაკრო-ოჯახი. ლაპარაკობენ ძირითადად დასავლეთ აზიის, ჩრდილოეთ აფრიკის, აფრიკის რქისა და საჰარა/საჰელის ნაწილებში. აფროაზიურ ენებზე 500 მილიონზე მეტი მშობლიური მოლაპარაკეა, რითაც ის მეოთხე ადგილზეა ინდოევროპული, სინო-ტიბეტური და ნიგერულ-კონგოურის შემდეგ. ენობრივ ფილუმს აქვს ექვსი განშტოება: ბერბერული, ჩადური, კუშიტური, ეგვიპტური, სემიტური და ომოტური. ყველაზე ფართოდ გავრცელებული თანამედროვე აფროაზიური ენა (დიალექტური კონტინუუმი) არის არაბული, რომელიც წარმოიშვა პროტო-არაბულიდან (დღეისათვის დაახლოებით 313 მილიონი ადამიანისთვის მშობლიური ენა). აფროაზიური მოიცავს მრავალ უძველეს ენას, როგორიცაა ეგვიპტური, რომელიც ოჯახში ცალკე განშტოებას ქმნის; ხოლო სემიტურში შედის: აქადური, ებრაული, ფინიკიური, ქანაანური ენები, ამორ(იტ)ული, უგარიტული და არამეული. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კონსენსუსი კომპარატივისტებს შორის აფროაზიური ოჯახის თავდაპირველი სამშობლოს შესახებ, ლინგვისტთა უმეტესობა თანხმდება, რომ მათი პროტოსამშობლო მდებარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონში.

აფხაზურ-ადიღური (**აფხაზურ-ჩერქეზული**) **ენები** – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალი ენობრივი ჯგუფი, ასევე მოიხსენიება, როგორც ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენათა ჯგუფი. მოიცავს აფხაზურ, აბაზურ, ადიღეურ, ყაბარდოულ და უბიხურ ენებს. მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში განხორციელებული გენოციდის შემდეგ მათი ძირითადი ნაწილი იძულებით გადასახლებულ იქნა თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, რასაც შეეწირა უბიხური, რომელიც დღეს მკვდარ ენად ითვლება. ამ ენებისთვის დამახასიათებელია ხმოვანთა მარტივი (2-3 ფონემა) და თანხმოვანთა რთული (80-ზე მეტი ფონემა) სისტემა. ერთი მხრივ აფხაზური და აბაზური, მეორე მხრივ ადიღეური და ყაბარდოული ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან. სხვადასხვა, მათ შორის ქართული, ანბანის საფუძველზე აფხაზური, აბაზური, ადიღეური და ყაბარდოული ენებისათვის მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა დამწერლობები.

აფხაზური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფის ენა. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის

ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასევე მუჰაჯირობის შედეგად განბნეულ აფხაზთა შორის აჭარაში, თურქეთში, იორდანიაში, სირიაში. აფხაზურ ენაში გამოყოფენ ორი დიალექტს – აბჟუურსა და ბზიფურს, სალიტერატურო აფხაზური ენა ეყრდნობა ფონემატურად შედარებით მარტივ აბჟუურ დიალექტს. აფხაზური ანბანის პირველი ვერსია შექმნა პეტრე უსლარმა კირილიცაზე დაყრდნობით (1862 წ.), შემდგომ რამდენჯერმე შეიცვალა ლათინურით, ქართულით, კვლავ კირილიცით. აფხაზური ენის შესახებ ჩვენამდე მოღწეული პირველი ცნობა ეკუთვნის თურქ მოგზაურს ევლია ჩელების. კავკასიაში მოგზაურობისას (1640-1670 წწ.) მას ჩაუწერია აფხაზური სიტყვები. აფხაზური, ქართულთან ერთად, არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა.

აქტიური ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის სახეობა, რომლის შემთხვევაშიც ბილინგვი სწავლობს მეორე (არამშობლიურ) ენას მეორე ენის მშობლიურ მოლაპარაკეებთან პირდაპირი კომუნიკაციის პროცესში. ეს ჩვეულებრივ ხდება ორი ეთნიკური ჯგუფის საზღვრებზე ან ეთნიკურად შერეულ დასახლებებში.

აქცენტი (ლათ. accentus „მახვილი“) – გამოთქმის თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელია მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეებისთვის. ის ჩვეულებრივ შენარჩუნებულია იმ პირებში, რომლებმაც ზრდასრულ ასაკში ისწავლეს არამშობლიური ენა.

აღულური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ლეზგურ ენათა ქვეჯგუფში შემავალი ენა. გავრცელებულია აღულისა (21 სოფელი) და ქურახის (5 სოფელი) რაიონებში. აღულურ ენაში გამოიყოფა რამდენიმე თქმა: საკუთრივ აღულური, ქერენული, ბურკიხანული, ყოშანური და ფიტას თქმა. ლეზგური ქვეჯგუფის ენათაგან ყველაზე მეტ სიახლოვეს ავლენს თაბასარანულთან.

აჭარული – ქართული ენის დიალექტი, აჭარაში, ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე გურიაში – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში. აჭარულად ლაპარაკობენ აჭარის იმ ნაწილშიც, რომელიც მოქცეულია თურქეთის ტერიტორიაზე. გამოიყოფა 2 კილოკავი: ზემოაჭარული და ქვემოაჭარული. ზემოაჭარული მოიცავს ხულოს, ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს (მდ. აჭარისწყლის ხეობაში), ქვემოაჭარული – ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს. ზოგი აჭარულს ყოფს „ბარის აჭარულად“ და „მთის აჭარულად“. ამ კლასიფიკაციით მთის აჭარული მდ. აჭარისწყლის ხეობაში (ხულოს, შუახევის, ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში) მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაა, ბარის აჭარული – ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მოსახლე აჭარლებისა. აჭარული ძალიან ახლოს დგას შავშეთ-კლარჯეთის მეტყველებასთან. ზემოაჭარულს მრავალი საზიარო ფორმა აქვს მესხურთან და ჯავახურთან, ქვემოაჭარულს – გურულთან. აჭარულის ზოგ რეგიონში თავს იჩენს ზანურის ზეგავლენის კვალი (განსაკუთრებით კირნათ-მარადიდის მეტყველებაში). აჭარულს უხვად შემოუნახავს არქაიზმები. აჭარული ლექსიკა შეიცავს თურქულ და თურქული ენიდან შემოსულ არაბულ-სპარსულ სიტყვებს. დღევანდელ აჭარულში თურქული ელემენტები თანდათან იზღუდება და მათ ნაცვლად ქართული ლექსიკური ეკვივალენტები ბატონდება.

ახვახური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ჯგუფში შემავალი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია

ახვახისა და სოვეტსკოეს რაიონების აულებში. დამწერლობა არა აქვს. სამწერლობო ენად გამოიყენება ხუნძური და რუსული. ახვახურ ენაში განარჩევენ ორ დიალექტს – ჩრდილოურს (წუნტა-ახვახისა და რატლუბის მეტყველება) და სამხრულს (წუნტა-ახვახისა და რატლუბის მეტყველება). ზაქათალის რაიონის (აზერბაიჯანი) სოფ. ახვახ-დერეში გავრცელებულია წუნტა-ახვახური დიალექტი, რომელთა მატარებლებიც იქ XVIII საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ.

ბ

ბაგვალური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ჯგუფში შემავალი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფის ენა. ბაგვალური ენა ძალიან ახლოს დგას მეზობელ ჭამალურ და ტინდიურ ენებთან. სპეციალისტები გამოყოფენ სამ კილოკავს: კვანადურ-ჰემერსოულს (კვანადური და ჰემერსოული თქმებით), თლონდოდურ-ხუშტადურს (თლონდოდური და ხუშტადური თქმებით), თლისურ-თლიბიშოურს (თლისური და თლიბიშოური თქმებით). ამ სამ კილოკავთაგან პირველი ორი ერთმანეთთან საკმაოდ ახლოსაა, ხოლო თლისურ-თლიბიშოური შედარებით ცალკე დგას. ბაგვალური ენის შესახებ პირველი ცნობას გვაწვდის რ. ერკერტი. ბაგვალური სამწერლო ენად იყენებს ხუნძურს.

ბავშვის ენა – 8-9 წლამდე მოზარდის მეტყველება. ახასიათებს ბავშვთა აზროვნების თვისებებით განსაზღვრული არაერთი თავისებურება: ხმაბაძვითობა, რეგულარულ მოდელებში არარეგულარული ფორმების წარმოქმნა, სიტყვის გამოყენების დიფუზურობა, განსაკუთრებული სინტაქსი და სხვ.

ბაზილექტი (ბერძნ. basis „საფეხური“ + lect) – ენის ხალხური, სასაუბრო ვარიანტი; ყველაზე დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ვარიანტი, ლექტი, აკროლექტისაგან ყველაზე განსხვავებული.

ბალანსირებული ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის სახეობა, ორი ენის თანაბარი ფლობა.

ბალსზემოური – სვანური ენის დიალექტი. გავრცელებულია ენგურის ხეობაში, მესტიის მუნიციპალიტეტის უშგულ-ლატალის ტერიტორიაზე. მოიცავს შემდეგ სოფლებს: უშგული, კალა, იფარი, მულახი, ლენჯერი, ლატალი და საკუთრივ მესტია. შესაბამისად, ბალსზემოურში განირჩევა უშგულური, კალურ-იფარული, მულახურ-მესტიური, ლენჯერული, ლატალური კილოკავები. ბალსზემოური, გარდა ამ კილოკავებისა, წარმოდგენილია ცალკეული თქმებითაც. ბალსზემოურისთვის სვანური დიალექტებისაგან (ჩოლურულთან ერთად) ერთდროულად რელევანტურია უმლაუტი, ხმოვანთა სიგრძე და რედუქცია.

ბალსქვემოური – სვანური ენის დიალექტი. გავრცელებულია ენგურის ხეობაში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოდან სამეგრელომდე. მოიცავს სოფლებს: ბეჩო, ცხუმარი, ეცერი, ფარი, ჭუბერი, ლახამულა, ლათა, აჟარა. ბალსქვემოური კილოკავებია: ბეჩოური, ცხუმარული, ეცერული, ფარული, ჩუბეხეური, ლახამულური. ბალსზემოურისგან განსხვავებით, ბალსქვემოურში არ გვხვდება გრძელი ხმოვნები. ლახამულური სხვა კილოკავებისგან საკმაოდ განსხვავებულადაა წარმოდგენილი (სავარაუდოდ, მეგრულთან სიახლოვის და ინტენსიური ენობრივი კონტაქტების გამო).

ბალტიური ენები – ინდოევროპულ ენათა ოჯახში შემავალი ჯგუფი. ჯგუფში შედის ლატვიური, ლიეტუვური და მკვდარი ძველი პრუსიული ენები. ბალტიური ენების ჯგუფში ივარაუდება აგრეთვე რუსულ მატიანეებში მოხსენიებული გოლიადების, იატვიაგებისა და კურების (კურონების) ენები. ლიეტუვური უძველესი სამწერლო ძეგლი XVI საუკუნისაა (1547 წ.). უძველესი ტექსტი თარიღდება XVI საუკუნით (1586 წ.). ძველი პრუსიული ხმარებიდან გამოსული (მკვდარი) იყო ჯერ კიდევ XVII საუკუნეში. მისგან დარჩა ლექსიკური მასალა (ე. წ. „ელბინგის ლექსიკონი“ – 800 სიტყვამდე), XV საუკუნისა და XVI საუკუნეში შესრულებული მცირეოდენი ნათარგმნი სასულიერო ტექსტი (კატექიზმო... თარგმანი შესრულებულია 1561 წელს).

ბალყარული ენა – თურქულ-ალთაურ ენათა ოჯახის ენა, გავრცელებულია ჩრდილოეთ კავკასიაში, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ბალყარული ენისთვის 1920-1924 წლებში ძირითადად არაბულ დამწერლობას იყენებდნენ, 1924-1936 წლებში ლათინურს, ხოლო 1936 წლიდან კირილიცას. ბალყარული სალიტერატურო ენის საფუძველს ბაქსანურ-ჩეგემური დიალექტი წარმოადგენს.

ბარბარიზმი – ენაში საჭიროების გარეშე შემოტანილი უცხო ენის სიტყვა, რომელსაც აქვს შესატყვისი მშობლიურ ენაზე (ხშირად რამდენიმე შესატყვისიც).

ბასკური ენა – მსოფლიო ენათა კლასიფიკაციაში იზოლირებულად მდგარი ენა. იყო მცდელობა, დაეკავშირებინათ იგი სხვა ცოცხალ ან მკვდარ ენებთან, მაგალითად, აკვიტანურ ენასთან, შემდეგ – იბერიულთან, რაც გენეტიკური ხასიათისაა. იკვეთება ენობრივი შეხვედრები ბურუშაულ ენასთან. ბასკურს ასევე ადარებდნენ უნგრულ-ფინურ, ქამიტურ, ამერიკის ინდიელთა ენებს, ევროპის იბერიულ ენებთან. ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთობის საკითხი. ეს ენები ტიპოლოგიურად დიდ სიახლოვეს ავლენენ. ბასკური ენის გრამატიკული სტრუქტურის ყველა არსებითი თავისებურება შეიძლება დავადასტუროთ იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, განსაკუთრებით მათ სამხრეთულ – ქართველურ ენათა – ჯგუფში. ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეზისური კავშირის ჰიპოთეზას ბევრი მომხრე ჰყავს: ნ. მარი, კ. კ. ულენბეკი, ჟ. დიუმეზილი, რ. ლაფონი, კ. ბოუდა, ი. ჰუბოლდტი, ა. ჩიქობავა, იან ბრაუნი, მ. ქურდიანი, მ. ჩუხუა და სხვ. ბასკური ენა გავრცელებულია ბისკაის ყურესა და პირინეის ნახევარკუნძულზე – ესპანეთის ჩრდილოეთ და საფრანგეთის სამხრეთის რეგიონებში. ბასკური ენის დიალექტებია: ბისკაიური, გიპუსკოური, ზემონავარული (სამხრეთული), ზემონავარული (ჩრდილოური), ლაბურდული, სულეტური დიალექტი (სულ.), ქვემონავარული (აღმოსავლური) დიალექტი, ქვემონავარული (დასავლური) დიალექტი (ქვ. ნავ. დას.). ბასკური ენის წერილობითი ძეგლები გვხვდება XVI საუკუნიდან. გრაფიკა ლათინურია. მწერლობაში აისახებოდა სხვადასხვა დიალექტი. ბოლო ხანს ლაბურდისა და გიპუსკოის დიალექტების საფუძველზე ყალიბდება ერთიანი სალიტერატურო ენა. მკვლევართა ყურადღებას კარგა ხანია იპყრობს ბასკური ენის წარმომავლობისა და სხვა ენებთან მიმართების საკითხი. ბასკური ენა არ გამხდარა ინდოევროპული ენა, მიუხედავად იმისა, რომ მოქცეულია ინდოევროპულ ენათა გარემოცვაში.

ბეჟიტური, იგივე **კაპუჭური** ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფში შემავალი ენა. გავრცელებულია დაღესტნის რესპუბლიკის წუნტის რაიონის აულებში, აგრეთვე საქართველოში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში. ბეჟიტურში შეიძლება გამოიყოს სამი კილოკავი, რომლებიც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან: ტლადალური, ხაშარხუტული და კაპუჭური (იგივე ბეშტური). უმწერლობო ენაა, იყენებენ რუსულ და ხუნძურ ენებს.

ბერძნული ენა – ინდოევროპულ ენათა ოჯახის ბერძნულ შტოში შემავალი ენა. განასხვავებენ: ძველ ბერძნულს, ბიზანტიურს (VII-XVI სს.) და ახალბერძნულს (XVI საუკუნიდან). უძველესი ბერძნული წარწერები თარიღდება VI ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე. უძველესი ხანების ბერძნული მწერლობა დიალექტურ მეტყველებას ასახავს. ძველ ბერძნულში გამოყოფენ დიალექტთა ოთხ ჯგუფს; ეს ჯგუფებია: 1. იონიურ-ატიკური ჯგუფი: იონიურ დიალექტზე წერდა ისტორიკოსი ჰეროდოტე, ატიკურზე – ფილოსოფოსი პლატონი. 2 . აქეიური ჯგუფი: არკადიული, კიპრული, პამფილიური დიალექტები. ამ დიალექტებზე წარწერებია შემონახული. 3. ეოლიური ანუ ჩრდილო-აღმოსავლური ჯგუფი: თესალიური, ბეოტიური და ლესბური (კუნძულ ლესბოსზე); VII-VI სს. ლესბური, როგორც სალიტერატურო ენა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამ დიალექტზე წერდნენ პოეტები ალკეოსი და საფო. 4. დორიული ანუ დასავლური ჯგუფი; ამ ჯგუფის დიალექტებს ვხვდებით ეპირში, ლოკრიდაში; ლაკონიაში, კორინთში, კრეტის კუნძულზე; კუნძულ სიცილიაზე, იტალიაში. დორიულია არქიმედეს პროზის მეტყველება („საერთო დორიული“ სალიტერატურო ენაა – იტალიისა და სიცილიის ბერძნულ კოლონიებში). ჰომეროსის „ილიადისა“ და „ოდისეას“ ენა ახლოს არის იონიურ დიალექტთან, მაგრამ მასში ძველი ეოლიური ელემენტიც იგრძნობა (თუმცა ამა თუ იმ დიალექტამდე ჰომეროსის ენა არ დაიყვანება: ბევრი რამ საერთოა, მასთან – ძველი). IV-III საუკუნიდან ჩვენ წელთაღრიცხვამდე მუშავდება ბერძნული საერთო-სალიტერატურო ენა (ე. წ. koinē კოინე „საერთო“, რომელსაც საფუძვლად უდევს ატიკური (ლექსიკაში ეტყობა იონიურის გავლენა).

ბიბლია (ბერძნ. Βιβλία – წიგნები, < მხ. რ. Βιβλίον – წიგნი < βύβλος პაპირუსი) – ქრისტიანული საღვთო წერილებისაგან შედგენილი წიგნების სახელწოდება. ბიბლია იყოფა ორ ნაწილად: ძველ აღთქმად და ახალ აღთქმად. ძველი აღთქმა ბიბლიის უძველესი ნაწილია და აღიარებულია ქრისტიანების მიერაც. მისი 39 წიგნი, ჩვენამდე მოღწეული ძველებრაულ და ნაწილობრივ არამეულ ენებზე, წარმოადგენს იუდაიზმის წმინდა წერილებს, რომელსაც ამ რელიგიის მიმდევრები თანახს უწოდებენ. იუდაისტები თანახს სამ ნაწილად ყოფენ: პირველში შედის მოსეს ხუთწიგნეული (თორა), მეორეში – წინასწარმეტყველთა ადრეული და შედარებით გვიანდელი წიგნები (ნებინიმი). მესამეში – წერილები (ქეთუბიმი). ამ უკანასკნელს განეკუთვნება ხუთი წიგნი (მეგილოთი), რომლებსაც დიდ დღესასწაულებზე ღვთისმსახურების დროს კითხულობდნენ. ქრისტიანები ძველ აღთქმას ყოფენ თქმულებათა, სწავლებათა და წინასწარმეტყუველებათა წიგნებად. ეს კლასიფიკაცია გადატანილია ახალი აღთქმის წიგნებზეც, რომლებშიც თქმულებებს განეკუთვნება სახარებები და მოციქულთა მოღვაწეობა, სწავლებებს – მოციქულთა გზავნილები, წინასწარმეტყველებას – იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება. ძველი აღთქმის წიგნებს შორის განსაკუთრებული თაყვანისცემით

სარგებლობს პირველი ხუთი წიგნი: დაბადება, გამოსვლა, ლევიანნი, რიცხვნი და მეორე რჯული. ახალი აღთქმის 27 წიგნი, ჩვენამდე მოღწეული ბერძნულ ენაზე, საერთოა ყველა ქრისტიანისათვის. ახალი აღთქმა შედგება I საუკუნის მეორე ნახევრისა და II საუკუნის დასაწყისის ადრექრისტიანული ლიტერატურის ძეგლებისაგან. ესენია 4 სახარება (მათესი, მარკოზის, ლუკასა და იოანესი) იესო ქრისტეს ცხოვრებისა და სწავლების შესახებ. აგრეთვე, მოციქულთა მოღვაწეობა. მოციქულთა 21 გზავნილი, რომელთაგან 14 ტრადიციით პავლეს მიეწერება, 2 – პეტრეს, 3 – იოანეს, 1 იუდას (იაკობის ძმას) და ბოლოს იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, ანუ აპოკალიფსი. ძველი აღთქმა ათასზე მეტი წლის განმავლობაში იქმნებოდა (ძვ. წ. XII საუკუნიდან ძვ. წ. II საუკუნის 60-იან წლებამდე), თუმცა მისი ახსნა-განმარტებები, შესწორებები და რედაქტირება ახ. წ. IX საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა. ბერძნულ ენაზე დაწერილი ახალი აღთქმის კანონები კი 364 წლის ლაოდიკიის საეკლესიო კრებაზე დამტკიცდა. ძველი აღთქმა თავდაპირველად ითარგმნებოდა ძველებრაული ენიდან არამეულზე, რომელიც პალესტინაში, ებრაელთა ბაბილონური ტყვეობის (ძვ. წ. 587-538) შემდეგ, საყოველდღეო და ყველაზე მეტად გავრცელებული ენა გახდა. ბიბლიური წიგნების პირველი მნიშვნელოვანი თარგმანი ბერძნულ ენაზე, გადმოცემის თანახმად, განხორციელებული 72 მთარგმნელის მიერ 72 დღეში, ეგვიპტის მეფის პტოლემე II-ის (ძვ. წ. 285-246) დაკვეთით. ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ II-III საუკუნეების მიჯნაზე რომის იმპერიის ქვეყნებში გამოჩნდა ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) თარგმანი ძველლათინურ ენაზე, ხოლო IV საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში ნეტარმა იერონიმემ იგი ლათინურად თარგმნა. ქრისტიანებისათვის ბიბლია წმინდა წიგნია, „ღვთის სიტყვა“, და ამით განისაზღვრება ის ფაქტი, რომ მან ძველ პერიოდსა და შუა საუკუნეებში უდიდესი გავლენა იქონია ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბიბლია განიხილებოდა უზენაესი და ხელშეუხებელი ავტორიტეტის სახით არამარტო რწმენისა და მორალის, არამედ პოლიტიკის, ეკონომიკის, საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის საკითხებში. არცთუ იშვიათად ბიბლიის ავტორიტეტი გამოიყენებოდა მეცნიერული კამათისა და სოციალური კონფლიქტების გადასაწყვეტად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისეთი ახალი კონცეფციები ჩნდებოდა, რომელიც ტრადიციულ წარმოდგენებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, ბიბლიური ლოზუნგები და ნორმები გამოიყენებოდა.

ბიდიალექტიზმი – ორი ენის ან დიალექტის თანაბრად ცოდნა, რომელშიც ხდება სამეტყველო კოდების თავისუფალი გადართვა სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე. იხ. აგრეთვე დიგლოსია.

ბილინგვი – 1. ადამიანი, რომელიც საუბრობს ორ ენაზე, რომელთაგან „პირველი ენა“ (მშობლიური ენა) არის ენა, რომელიც მან ისწავლა ბავშვობაში, ოჯახში (როგორც წესი, მისი ეთნიკური ენა), „მეორე ენას“ სწავლობს მოგვიანებით (ნაკლებად ხშირად). - ერთდროულად). ამავდროულად, ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციის დონე ჩვეულებრივ განსხვავდება: კომუნიკაციური კომპეტენცია მეორე ენის სფეროში უფრო დაბალია. ენა, რომელსაც ბილინგვი იყენებს უდიდესი ინტენსივობით, ამ ინდივიდისთვის აღიარებულია, როგორც „ფუნქციურად პირველი“; ეს შეიძლება იყოს როგორც მშობლიური, ასევე მეორე ენა; თუმცა, ფუნქციურად აქტიური ენები ორენოვანი მეტყველების აქტივობაში კომუნიკაციის სხვადა-

სხვა სფეროში შეიძლება იყოს სხვადასხვა ენა; ბილინგვთან კომუნიკაციის ენის არჩევანი ყველაზე ხშირად დამოკიდებულია კომუნიკაციურ სფეროზე და კომუნიკაციის სიტუაციაზე. 2. ზოგჯერ გამოიყენება როგორც ზოგადი ტერმინი, მიუთითებდეს ინდივიდზე, რომელიც საუბრობს ერთზე მეტ ენაზე.

ბილინგვიზმი (ლათ. bi „ორი“ + lingua „ენა“) – ორი ან სამი ენის ფლობა და გამოყენება ერთსა და იმავე ენობრივ საზოგადოებაში. განასხვავებს ორენოვნებას, როგორც სოციალურ ფენომენს და ორენოვნებას, როგორც მოსაუბრის ან მწერლის სამეტყველო საქმიანობის ფაქტს. სოციალური ბილინგვიზმი არის ენობრივი კონტაქტები ხალხთა ისტორიაში და მათი ენები, ეს არის ენების თანაბარი ფუნქციონირება ერთ ქვეყანაში.

ბოთლიხური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ჯგუფში შემავალი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია დაღესტნის რესპუბლიკის ბოთლიხის რაიონის ორ აულში – ბოთლიხსა და მიარსუში. მათ მეტყველებაში მცირედი სხვაობაა, ძირითად ფონეტიკური ხასიათისა. ბოთლიხელები ორენოვანები არიან, ყველამ იცის ხუნძური, რომელიც მათთვის სალიტერატურო ენაა.

ბჟედუღური – ადიღეური ენის დიალექტი. ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ადიღეს რესპუბლიკაში. კავკასიის ფარგლებს გარეთ იგი წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკაში (ჩანაკალეს პროვინცია), სირიასა და იორდანიაში.

ბუდიზმი – ბუდას სწავლების (სანსკრ. ბუდადხარმა – „ბუდას სწავლება“) ევროპული სახელწოდება; მსოფლიოს სამი დიდი რელიგიიდან (დანარჩენი – ქრისტიანობა და ისლამი) ერთ-ერთი, ყველაზე ძველი, წარმოქმნილი ინდოეთში ძვ. წ. VI-V საუკუნეებში (არის სხვა დათარიღებაც); შემდგომში გავრცელდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიაში, აგრეთვე, შორეულ აღმოსავლეთში, უკანასკნელ ხანებში დასავლეთის ქვეყნებშიც. სხვადასხვა მონაცემით, დღეისათვის ბუდიზმი 600 მილიონიდან 1.300 მილიონამდე მიმდევარს ითვლის. ბუდიზმის წარმოშობა დაკავშირებულია ინდოეთში გვაროვნულ-ტომობრივი გაერთიანების დაშლასთან და მსხვილი მონათმფლობელური სახელმწიფოების ჩამოყალიბებასთან. ახალი საზოგადოებრივი წყობის პირობებში უწინდელი სატომო რელიგიები მიუღებელი გახდა. იწყება რელიგიური ჯგუფების კონცენტრაცია ორგანიზაციაში, რომლის ფორმირება ბუდას ქადაგებათა შედეგია. ბუდისტების უმაღლესი სულიერი მიზანი - არა იმდენად ინდივიდუალური ხსნაა, რამდენადაც ამქვეყნიური განსაცდელისგან სხვათა განთავისუფლება. ასეთი დახმარების აღმოჩენის უნარის გამომუშავებისთვის ბუდისტებმა უნდა განივითარონ შესაბამისი თვისებები, რისთვისაც, უწინარეს ყოვლისა, ცდილობენ თავი დააღწიონ ეგოისტურ სურვილებსა და ჟინს, შეუწყნარებლობასა და რისხვას. აქედანაა არცოდნის დაძლევის, სამყაროს არსის შეცნობის, მიწიერი ტკბობაზე, მათ შორის ძალაუფლებასა და სიმდიდრეზე, უარის თქმის აუცილებლობა. ამდენად, უბიწო ცხოვრება საკუთარ თავში ყოველგვარი ყოფიერი წყურვილის მუდმივი დაძლევის პროცესში მიიღწევა, სრული ხსნა კი – მხოლოდ სანსარიდან (სანსკრ. saṃsāra „ხეტიალი, მოგზაურობა“) ნირვანაში (სანსკრ. nirvāṇa- მოუსვენრობისგან, შფოთვისგან განთავისუფლება), ანუ არყოფნაში გადასვლით.

ბუდუხური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ლეზგური ჯგუფის უმწერლობო ენა. გავრცელებულია ძირითადად სოფელ ბუდუხში, აზერბაიჯანში, შაჰდაღის მთებში. ბუდუხური ენა, მისი გავრცელების არეალის შეზღუდულობიდან გამომდინარე, დიალექტებად არ არის დანაწევრებული; რაც მეორეული მოვლენა ჩანს.

ბუნებრივი ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის სახეობა, რომელიც გამოიყოფა მეორე ენის დაუფლების ხერხის მიხედვით: ბილინგვის მეორე ენა შეთვისებულია და არა ხელოვნურად ნასწავლი. ბუნებრივი ბილინგვიზმი ხშირად გვხვდება ორენოვან ოჯახებში, ისევე როგორც ორენოვან მცირე სოციალურ ჯგუფებში, მაგალითად, ზოგადად ბავშვთა ჯგუფებში, სადაც ბავშვები იძენენ მეორე ენას უშუალოდ თანატოლებთან ურთიერთობისას.

ბურუშასკი (**ბურუშაული**) **ენა** – გავრცელებულია პაკისტანში და ასევე ინდოეთში, ჩრდილოეთ ჯამუსა და ქაშმირში. პაკისტანში ბურუშასკიზე ლაპარაკობს დაახლოებით 120000 ენის მატარებელი და რამდენიმე ასეული მოსაუბრე ინდოეთში. პაკისტანში საუბრობენ ჰუნზას ოლქში, ნაგარის ოლქში, ჩრდილოეთ გილგიტის ოლქში, იასინის ხეობაში გუპის-იასინის ოლქში და იშკომანის ხეობაში. ბურუშაული ჩრდილოეთით ესაზღვრება პამირის დერეფანს. ინდოეთში ბურუშაულად ლაპარაკობენ სრინაგარის რეგიონის ბოტრაჯ მოჰალაში. იასინის, ჰუნზასა და ნაგარის მეტყველებები ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ აშკარად იკვეთება, რომ ყოველი მათგანი ერთი ენის დიალექტია მხოლოდ. ლინგვისტურად ბურუშაული თითქოს იზოლანტი ენაა, რომლის გენეტიკური კავშირი სხვა ენებთან ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ გარკვეული. გენეტიკურად ბურუშაულს აკავშირებენ ბასკურთან. ბურუშასკის ენობრივი მახასიათებლები მოიცავს ოთხწევრიან გრამატიკული კლასის კატეგორიას. გაირჩევა როგორც მამრობითი; ქალის კლასი, ცხოველები (სქესის მიხედვით არადიფერენცირებული), უსულო საგნები და აბსტრაქტული ნივთები თუ ობიექტები. ამით იკვეთება ბურუშაულის ტიპოლოგიური და ალბათ გენეტიკური მიმართებაც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახთან. ენას არა აქვს სტანდარტული დამწერლობის სისტემა, თუმცა სპარსულ-არაბული სისტემა 1940 წლიდან დღემდე გამოიყენება. არ არსებობს წერილობითი ლიტერატურული ტრადიცია, მაგრამ დროთა განმავლობაში დაგროვილია მდიდარი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

გ

გადასვლის რიტუალი – ინდივიდის ან ადამიანთა ჯგუფის ახალ სოციალურ კატეგორიაში გადასვლის რიტუალური ცერემონია. გადასვლის რიტუალის კონცეფციის ავტორია ფრანგი ფოლკლორისტი და ეთნოლოგი არნოლდ ვან გენეპი. მისი განსაზღვრებით, გადასვლის წეს-ჩვეულება არის ცერემონიათა თანმიმდევრობა, რომელიც გულისხმობს ერთი მდგომარეობიდან მეორეში, პროფანული სამყაროდან კოსმიურ, საკრალურ სამყაროში გადასვლას. ვან გენეპმა აღწერა და გამოიკვლია რიტუალები, დაკავშირებული ინდივიდუალური სასიცოცხლო ციკლისა (დაბადება, სქესობრივი სიმწიფე, ქორწინება, მამობა/დედობა, სიკვდილი და ა. შ.) და კალენდარული ციკლის მოვლენების კრიზისებთან. მანვე

პირველმა გამოყო გადასვლის რიტუალები წეს-ჩვეულებათა მთელი სისტემიდან. მისი კონცეფცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა იყო ტრადიციულ კულტურებში მოქმედ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებით. ვან გენეპის კვლევებს ავსებს ვ. ტერნერის შრომები ერთობების ლიმინარული (კრიზისული, მომიჯნავე) პერიოდებისა და კოლექტივის მდგომარეობის შესახებ. ვან გენეპის მიხედვით, გადასვლის წეს-ჩვეულებებიდან ყოველი მოიცავს სამ აუცილებელ სტადიას: გამოყოფას, შუალედურსა და ჩართვას. პირველი წარმოადგენს პრელიმინარულს, ანუ წინასწარს, მეორე - ლიმინარულს, ანუ გარდამავალს, ხოლო მესამე - პოსტლიმინარულს, ანუ შემდგარს, მატერიალიზებულს. წეს-ჩვეულების სამივე სტადია ყოველ რიტუალურ ციკლში შედის, მაგრამ შედარებით გამოხატული შეიძლება იყოს გარკვეული ასპექტები, დამოკიდებულნი რიტუალისა და ტრადიციის ხასიათზე. მაგალითად, საქორწილო წეს-ჩვეულებების რიტუალური ციკლისათვის დიდწილად დამახასიათებელია პოსტლიმინარულობა, დაკრძალვის ცერემონიისათვის - პრელიმინარულობა, ხოლო ინიციაციის, ორსულობა/მშობიარეობისა და სხვა ცერემონიებისთვის - ლიმინარულობა.

გადმონაშთები – წარსული მოვლენის ნაშთი (საზოგადოებრივი ურთიერთობები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ქცევის ნორმები და სტანდარტები, იდეები, შეხედულებები, წარმოდგენები ...), რომელიც ახალი საზოგადოებრივი წყობის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონის პირობებში შემოინახა.

გადმონაშთების მეთოდი (ინგლ. Survival method) – გამქრალი მოვლენების რეკონსტრუქცია თანამედროვე საზოგადოებაში შემონახული მათი გადმონაშთების მიხედვით; წარმოადგენს შედარებით-ისტორიული მეთოდის სახესხვაობას. კულტურული გადმონაშთები – ეს არის მოვლენები, რომლებიც ოდესღაც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ, მაგრამ მოგვიანებით დაკარგეს თავიანთი დანიშნულება და მათ სხვა, უფრო სრულყოფილი თუ ხელსაყრელი კულტურული მოვლენები ჩაენაცვლნენ. მართალია, გადმონაშთების მეთოდი რუსმა ისტორიკოსმა და ეთნოგრაფმა, კ. კაველინმა, წამოაყენა, მაგრამ მის შემუშავებასა და განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი ინგლისელ ეთნოლოგს ე. ტაილორს მიუძღვის. მათი თვალსაზრისით, ყოველი ხალხის კულტურაში შემონახულია წარსულის ნაშთები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი ხდება უფრო ადრეული ისტორიული ეტაპის ვითარების შესახებ დასკვნების გამოტანა. ე. ტაილორის აზრით, გადმონაშთებს შეიძლება ჰქონდეთ სამიდან ერთი მნიშვნელობა, ესენია: 1. უცვლელი ნაშთები; 2. შეხედულებები და ჩვეულებები, რომლებიც ახალ პირობებთან შეგუების პროცესში შეიცვალნენ; 3. აღორძინებული ჩვეულებები და წარმოდგენები. მისთვის გადმონაშთი გაიგებოდა, როგორც „წარსულის ცოცხალი მოწმობა ან ძეგლი“, „ის წესები, ჩვეულებები, შეხედულებები და სხვა დანარჩენი, რომლებიც, გადადიან რა კულტურის ერთი სტადიიდან მეორეში, უფრო გვიანდელში, წარსულის მოწმეებად ან ძეგლებად რჩებიან“. ე. ტაილორი ძველი დროიდან შემორჩენილ ასეთ გადმონაშთებს თანამედროვე ევროპის ხალხების ყოფაში მრავლად პოულობდა. მაგალითად, დაცემინებისას ჯანმრთელობის სურვება არის ნარჩენი რწმენისა, რომ ნესტოებიდან თავში შესვლა და გამოსვლა შეუძლიათ სულებს, მსხვერპლშეწირვა ნაგებობის ფუნდამენტის ჩაყრისას და სხვ. ასეთი კვალის საფუძველზე შესაძლებელი ხდება უწინდელი კულტურის რეკონ-

სტრუირება. რამდენადაც ხალხი ძალზე სწრაფად არ იცვლის თავის მიდრეკილებებს, ჩვეულებებსა და ნორმებს, კულტურული გადმონაშთები ინერციის ძალით საკმაოდ ხანგრძლივად აგრძელებს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ პარალელურად უფრო სრულყოფილი მოდელი არსებობს. საამისო მაგალითია ხელით ქსოვა იმ დროს, როცა უკვე სპეციალური საქსოვი დაზგები გამოგონილია. ბევრი ახლანდელი ინსტიტუტი და დაწესებულება სინამდვილეში ძველი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების გადმონაშთურ ფორმებს წარმოადგენენ. მაგალითად, მსოფლიოს უმეტეს ხალხებში განვითარების ადრეულ საფეხურზე ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტი იყო მამაკაცთა კავშირები, რომელიც მამრობითი სქესის დაუქორწინებელი მამაკაცების გაერთიანებები იყო. ისინი აქ იძინებდნენ, მუშაობდნენ და დღეობებს იხდიდნენ; ჰქონდათ თავიანთი ფასეულობები, ქცევის ნორმები, იდეოლოგია. ეთნოგრაფებმა დაადგინეს, რომ მამაკაცთა კავშირები არსად გამქრალან. მისი გადმონაშთები თანამედროვე კულტურულ ხალხებშიც იპოვება. ეს შეიძლება იყოს საარმიო ყაზარმები, მოზარდთა ბანდფორმირებები, მასონური ლოჟები, ინგლისური მამაკაცთა კლუბები, ვაჭართა გილდიები, ხელოსანთა საამქროები, თანაკლასელთა ან თანაკურსელთა გაერთიანებები და სხვ. XIX საუკუნეში χ. მაკლენანმა ეს მეთოდი გამოიყენა პირველყოფილ საზოგადოებაში ქორწინებისა და ოχახის ინსტიტუტის რეკონსტრუქციისათვის საცოლის მოტაცების პრაქტიკის გადმონაშთების მიხედვით. ლ. მორგანმა ქორწინების ფორმების აღდგენისას ივარაუდა, რომ ნათესაური ტერმინოლოგია, როგორც წესი, ისტორიული განვითარების ერთი სტადიით ჩამორჩება საზოგადოებრივ რეალობას და ამის შედეგად მუდამ ადრეულ ისტორიულ ვითარებას ასახავს. გერმანელი ეთნოგრაფის გ. შურცის აზრით, სწორედ მამაკაცთა მეგობრობიდან წარმოიქმნენ სახელმწიფო და ეკონომიკური ორგანიზაციების პირველი ღივები. რაც უფრო ბევრი რაოდენობის გადმონაშთები ფიქსირდება ამა თუ იმ ხალხში, მით უფრო დაბალია მათ ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პროგრესის დონე, მით უფრო ნაკლებად განათლებულად უნდა ჩაითვალოს საზოგადოება. გვიან შუასაუკუნეებში, კერძოდ, XIV-XVI საუკუნეებში, როცა ქრისტიანობა 1500 წელს ითვლიდა, ევროპელი გლეხები წინაპართა სულების შესახებ წარმართულ რწმენასა და სხვა წარმოდგენებს ინარჩუნებდნენ. რაც უფრო დაბალია სოციალური χგუფის განათლების დონე, მით უფრო მეტი აქვს მას გადმონაშთები. არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ანალოგიების მეთოდი შესაძლებლობას იძლევა აღვადგინოთ პირველყოფილი საზოგადოების ზოგიერთი რეალიები, განსაკუთრებით მისი მატერიალური კულტურა განათხარი მასალებით, რომელთა ინტერპრეტირება ეთნოგრაფიულ ანალოგიებთან შედარებით ხდება.

გამოთვლითი ლინგვისტიკა (Computational linguistics) – სამეცნიერო და საინჟინრო დისციპლინა, რომელიც ეხება წერილობითი და სალაპარაკო ენის გაგებას გამოთვლითი და არტეფაქტების შექმნის პერსპექტივიდან, რითაც სასარგებლოდ ამუშავებენ და წარმოშობენ ენას, როგორც ერთიან სისტემას, ისე დიალოგის პირობებში. ითვლება, რომ რამდენადაც ენა გონების სარკეა, ენის გამოთვლითი გაგება ასევე უზრუნველყოფს აზროვნებასა და ინტელექტუალურ ინფორმაციას.

გამოყენებითი ლინგვისტიკა (Applied linguistics) - ლინგვისტური ძიების განსაკუთრებული სფერო, რომელიც არა მხოლოდ სწავლობს ენას თეორიულად,

არამედ იკვლევს, თუ როგორ მოქმედებს ენა საზოგადოებაზე და ადამიანთა ცხოვრებაზე. ენის ამ ტიპის შესწავლა შეთანადებულია სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, საკომუნიკაციო და მულტიკულტურულ კვლევებთან. გამოყენებითი ლინგვისტიკა იკვლევს ადამიანის ენას ან ენებს და იყენებს ადამიანის აზროვნებისა და ქცევის გაგებას, რომელიც მიღებულ იქნა ასეთი გამოკვლევის შედეგად რეალურ სამყაროში არსებულ პრობლემებსა და აპლიკაციებში.

გამოყენებითი სოციოლინგვისტიკა – სოციოლინგვისტიკის დარგი, რომელიც სწავლობს სოციოლინგვისტური ემპირიული და თეორიული კვლევის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებში ენების ფუნქციონირების, განვითარებისა და ურთიერთქმედების სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადაჭრაში.

განვითარებადი ქვეყნები - აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის რიგი ქვეყნები, ძირითადად ყოფილი კოლონიები და დამოკიდებული ტერიტორიები, რომლებმაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და კოლონიური სისტემის დამხობის შედეგად დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მათ შორის უმრავლესობა ძალზე ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყანაა. ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილი პოლიეთნიკურია. მისი ეს მრავალგვარობა, განპირობებული ისტორიული, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური განსხვავებულობით, ეროვნული თავისებურებებითა და კულტურული ტრადიციებით, სოციალურ-კლასობრივი დიფერენციაციის ზრდის კვალდაკვალ ძლიერდება.

გაქრობის წინაშე მყოფი ენები – მცირერიცხოვან ხალხთა ენები, რომლებზეც საუბრობს მოლაპარაკეების მინიმალური რაოდენობა (რამდენიმე ადამიანიდან რამდენიმე ათეულ ადამიანამდე), გამოიყენება ძალიან ვიწრო წრეში.

გაყოფილი ხალხები – ხალხები, რომელთა ტერიტორიული მთლიანობა სხვადასხვა მიზეზთა გამო პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი საზღვრებით დანაწევრებულია. თანამედროვე მსოფლიოში არცთუ მცირეა საზღვრებით გაყოფილი ხალხები. ასეთ ხალხთა შორის არიან: ერაყსა, ირანსა, თურქეთსა და სირიაში მცხოვრები ქურთები; თურქეთსა, აზერბაიჯანსა და ირანში მცხოვრები ქართველები და აზიისა და აფრიკის სხვა ხალხები.

გენდერლექტი – (ინგლ. gender „სქესი, გენდერი“ + lect) ქალების ან მამაკაცების (ან, უფრო სწორად, ქალური ან მამაკაცური) მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექტი.

გენდერული ლინგვისტიკა (ინგლ. gender „სქესი, გენდერი“ + ლათ. linguistica) – ენათმეცნიერების მიმართულება, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ენობრივ თავისებურებებს. ქალისა და მამაკაცის მეტყველების დიფერენციაციის მიზეზი შეიძლება იყოს: 1. სოციალური; 2. რელიგიური; 3. პროფესიული და სხვ. განსხვავება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სხვადასხვა დონეზე: ა. ორთოეპიული; ბ. ფონოლოგიური; გ. ლექსიკური; დ. სიტყვაწარმოებითი; ე. მორფოლოგიური; ვ. სინტაქსური. გენდერული დიფერენციაცია შეიძლება შეგვხვდეს ეთიკურ ფორმებში.

გენეზისი – დაბადება, წარმოშობა, საწყისი. ეთნოლოგიაში გამოიყენება ეთნოსის წარმოქმნისა და კულტურის ელემენტების წარმოშობის სათავეების გამოსავლენად.

გენერაციოლექტი – (ლათ. generatio „თაობა“ + lect) ამა თუ იმ თაობისათვის დამახასიათებელი სამეტყველო თავისებურებათა ერთობლიობა.

გენეტიკური „დრეიფი“ (ეთნოლოგიაში) – პოპულაციასა და მის ფარგლებს გარეთ პასიონარული ნიშნების გავრცელების მოვლენა. ლ. გუმილიოვის თანახმად, ეს გავრცელება შემდეგი სახით ხდება: ა. პოპულაციის არეალის კიდეებისკენ ან მის საზღვრებს გარეთ პასიონარების მიგრაციის გზით, სადაც ისინი ქმნიან ოჯახებს ან თავიანთ გენოფონდს სხვა საშუალებით მიმოფანტავენ; ბ. სამხედრო ლაშქრობების, სავაჭრო ექსპედიციების დროს შემთხვევითი არასაქორწინო კავშირების გზით და სხვ. პასიონარების მაღალი მიგრაციული და დემოგრაფიული აქტივობის შედეგად პასიონარული ნიშან-თვისება შეიძლება გავრცელდეს საკმაოდ სწრაფად. გენეტიკური „დრეიფის“, რომელიც ეთნიკური პოპულაციის ცენტრიდან მისი კიდეებისკენ არის მიმართული, შედეგია ლ. გუმილიოვის მიერ გამოვლენილი კანონზომიერება: სუპერეთნიკურ სისტემაში პირველდაწყებითი პასიონარული ბიძგის ზონების განაპირა ეთნოსები და სუბეთნოსები აქტივობას შედარებით დიდხანს ინარჩუნებენ. განაპირა მხარეების პასიონარობის ხარჯზე სუპერეთნოსის სიცოცხლის ვადის დასასრულს შესაძლებელია განვითარდეს რეგენერაციის ხანმოკლე ფაზა.

გენოლექტი – (ბერძნ. genos „რასა, ჯიში“ + lect) იგივეა, რაც ეთნოლექტი.

გენოციდი (ბერძნ. genos – გვარი/მოდგმა, ტომი + ლათ. caedere – მოკვლა) – წინასწარ განზრახული მოქმედება, რომელიც ხორციელდება რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის განადგურების მიზნით. გენოციდად კვალიფიცირდება შემდეგი მოქმედებები: ასეთი ჯგუფის წევრების მკვლელობა; ასეთი ჯგუფის წევრებისთვის სერიოზული ფიზიკური ზიანის ან გონებრივი აშლილობის მიყენება; წინასწარ განზრახვით ასეთი ჯგუფისთვის ისეთი ცხოვრებისეული პირობების შექმნა, რომელიც გათვლილია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურებისათვის; ასეთ ჯგუფში შობადობის მოსპობისათვის ზომების მიღება; ასეთი ჯგუფის ბავშვების გადაცემა სხვა ჯგუფისათვის. ტერმინი გენოციდი გაჩნდა ამერიკელი იურისტის რ. ლემკინის წიგნში „ძირითადი უფლებები ოკუპირებულ ევროპაში“, რომელიც 1944 წელს ვაშინგტონში გამოიცა. ამ ტერმინის იურიდიულმა აზრმა თავისი განვითარება პოვა 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენციაში გენოციდის შესახებ, რომელიც რატიფიცირებულ იქნა გაეროს ყველა წევრი ქვეყნების მიერ. კონვენციის თანახმად, გენოციდი წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ აუცილებელი ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებიც დამნაშავენი არიან გენოციდის ჩადენაში ან მისი ჩადენის მიზნით შეთქმულების მოწყობაში, მისი განხორციელებისთვის წაქეზებაში, გენოციდის მცდელობასა და მასში თანამონაწილეობაში. გენოციდის საზოგადოებრივი საშიშროება ისაა, რომ ამ დანაშაულებრივი მოქმედების განხორციელების შედეგად მთლიანად ან ნაწილობრივ წყვეტს, ან შესაძლოა შეწყვიტოს არსებობა ადამიანთა გარკვეულმა ეროვნულმა, ეთნიკურმა, რასობრივმა ან რელიგიურმა ჯგუფმა, რომელიც ხასიათდება კულტურის, ყოფისა და ტრადიციების თვითმყოფადობით. გენოციდი იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს კაცობრიობის მრავალფეროვნების გაღარიბება, საერთაშორისო მართლწესრიგია საფუძვლების მოშლა. გაეროს კონვენციამ დაადასტურა, რომ გენოციდი, იმისგან დამოუკიდებლად, ხორცი-

ელდება იგი მშვიდობიანობის თუ ომის ჟამს, არის დანაშაული, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს. ადამიანთა დიდი ჯგუფების განადგურება ხორციელდებოდა წარსულშიც და, როგორც წერს, დაკავშირებული იყო დაპყრობით ომებთან, რომელიც თანხლებული იყო რელიგიური ფანატიზმით (არაბული დაპყრობები, ჯვაროსნული ლაშქრობები და სხვ.). გენოციდმა ფართო გაქანება მიიღო ევროპული სახელმწიფოების მიერ აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში განხორციელებული კოლონიური დაპყრობების დროს. გენოციდის „კლასიკური“ მაგალითია რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის პერიოდში (1754-1864 წწ.) განხორციელებული გენოციდი, რომელმაც კავკასიის ხალხების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა ან მოახდინა მათი უდიდესი უმრავლესობის დეპორტაცია ოსმალეთის იმპერიაში; მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერული გერმანიის მიერ ებრაელთა მიმართ ჩადენილი მასიური ხოცვა და სხვ.

გეოგრაფიული ლინგვისტიკა - იგივე ლინგვისტური გეოგრაფია ენათმეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის ენათა ტერიტორიული განაწილებისა და ლინგვისტური ფენომენების გავრცელების საკითხებს. იგი სწავლობს სხვადასხვა დონის ლინგვისტური მოვლენების (ე.წ. იზოგლოსების) გეოგრაფიას.

გეოლექტი – გარკვეულ რეგიონში გავრცელებული მეტყველება.

გეოლინგვისტიკა – ლინგვისტიკის დარგი, მისი ამოცანაა, მეცნიერულად და ობიექტურად აღწეროს ენათა განაწილება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციოლოგიური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობის თვალსაზრისით, შეისწავლოს გზები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთზე ახდენენ ზეგავლენას, და არხები, რომლებითაც ენობრივი ფაქტორი ზემოქმედებს ეროვნული კულტურისა და მსოფლმხედველობის განვითარებაზე.

გეომანტია (ბერძნ. γεωμαντεία <– γῆ - მიწა + μαντεία - წინასწარმეტყველება) – მკითხაობა მიწისა და სილის დახმარებით. არის აზრი, რომ შუასაუკუნეების ლათინური ტერმინი „geomantia”, გამოყენებული XII ს-ის ესპანეთში, წარმოადგენს არაბული ilm al-raml-ის („სილის მეცნიერება“) აზრობრივ თარგმანს. მისი პრაქტიკა ეყრდნობოდა ფიგურების ინტერპრეტაციას, წარმოქმნილს სამკითხაო მოედანზე მოპნეული მუჭა სილის შედეგად. მკითხაობის ასეთი მეთოდი ფართოდ იყო გავრცელებული შუასაუკუნეების ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში. უახლეს პერიოდში ტერმინ „გეომანტიის“ მნიშვნელობა შეიცვალა. XX ს-ის დასასრულს გეომანტიის ტრადიციულ განმარტებას დაემატა სხვაც - კეთილსასურველი ადგილების მოძიებისა და გაფორმების ხელოვნება.

გეოპოლიტიკა (ბერძნ. geos – მიწა, ქვეყანა + პოლიტიკა) – პოლიტიკური აზრის მიმართულება, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის რთულ დამოკიდებულებასა და კავშირს მის გეოგრაფიულ მდგომარეობასთან - კლიმატთან, ბუნებრივ რესურსებთან, ტერიტორიასთან და ა. შ. გეოპოლიტიკური შეხედულებები, რომელიც კაცობრიობის განვითარებას გეოგრაფიული პირობებსა და გეოგრაფიულ მდგომარეობაზე პირდაპირ დამოკიდებულებაში აყენებს, დაფუძნებულია მალთუსიანობის, სოციალური დარვინიზმის, რასების არასრულფასოვნების, „სასიცოცხლო სივრცის უკმარობის“, „ბუნებრივი საზღვრების“ იდეების გაერთიანებაზე. ისტორიულად გეოპოლიტიკის ჩამოყა-

ლიბება დაკავშირებულია გეოგრაფიული დეტერმინიზმის კონცეფციებთან. საზოგადოების ცხოვრების ობიექტურად არსებულ ბუნებრივ ფაქტორებს შორის დემოგრაფიული დეტერმინიზმის კონცეფციები გამოყოფდნენ სამდინარო კომუნიკაციებს, ზღვაზე გასასვლელის არსებობა-არარსებობას, ქვეყნის მდებარეობას სანაპიროებზე ან კუნძულებზე, მეზობლებთან კავშირის (მიმოსვლის) განვითარებისათვის ბუნებრივი წინააღმდეგობების არსებობა-არარსებობას (მთები, ჭაობები, უდაბნოები ან მშვიდი ტბები), ასეთი კავშირის (მიმოსვლის) მანძილს ქვეყნის სხვადასხვა წერტილიდან, მის სივრცობრივ მდებარეობას მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში და თითოეულ მათგანთან საზღვრების მანძილს, მოსახლეობის მდგომარეობას, მის ეთნოდემოგრაფიულ მაჩვენებელს ქვეყნის ტერიტორიაზე და მოსაზღვრე სახელმწიფოებში, ქვეყნის ეთნოსებს შორის არსებულ ისტორიულად ჩამოყალიბებულ განწყობებს როგორც მის შიგნით, ისე მეზობელი სახელმწიფოების ეთნოსებთან მიმართებაში და ა. შ. ამასთან ერთად, XIX საუკუნის მსხვილი საერთაშორისო კონფლიქტებისა და პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებამ მოითხოვა ადამიანთა დიდი მასებით, ტექნიკით, პროდუქტებით, შეიარაღებით მანევრირების თეორიული მოდელების შემუშავება რთულ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და სამხედრო პირობებთან შეხამებით. პირველი მსოფლიო ომის წლებში ტერმინი „გეოპოლიტიკა“ მიმოქცევაში შემოიტანა შვედმა პოლიტოლოგმა რ. ჩელენმა სამკვიდრო სივრცისა და საქმიანობის გაფართოების მოსურნე სახელმწიფოს, როგორც განსაკუთრებული ორგანიზმის, აღსანიშნავად. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში გეოპოლიტიკა გაძლიერებულად ინერგებოდა გერმანიაში, სადაც იგი ფაშიზმის ოფიციალური დოქტრინის რანგში იქნა აყვანილი. ფაშისტი გეოპოლიტიკოსები ამართლებდნენ გერმანიის მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისკენ, ამტკიცებდნენ მისი „სასიცოცხლო სივრცის“ გაფართოების აუცილებლობას. ინგლისში გეოპოლიტიკის პროპაგანდით გეოგრაფი ჰ. მაკინდერი გამოდიოდა, რომლის აზრით მსოფლიო პოლიტიკის საფუძველს შეადგენს ევრაზიის მატერიკზე („მსოფლიო კუნძულზე“ გაბატონებისათვის ბრძოლა. ამერიკელ გეოპოლიტიკოსთაგან ერთ-ერთი პირველი იყო ა. მეჰენი, რომელიც კანონზომიერად მიიჩნევდა ამერიკულ გლობალურ ჰეგემონიას, განპირობებულს აშშ-ის „კუნძულებრივი“ მდებარეობით, რაც მას, თითქოს, მთელ დედამიწაზე არსებულ საზღვაო გზებზე ბატონობის აუცილებლობას კარნახობდა. ამერიკულმა გეოპოლიტიკურმა თეორიებმა ტრადიციულ გეოგრაფიულს ისეთი კრიტერიუმებიც დაამატეს, როგორიცაა ქვეყნის განვითარების მეცნიერულ ტექნიკური დონე, ეროვნული ფსიქოლოგია და ა. შ. კერძოდ, ისინი მიისწრაფვიან, რომ „სამეცნიერო“ ბაზა აშშ-ის ექსპანსიონისტურ საგარეო პოლიტიკას, გლობალიზმის პოლიტიკას დაუქვემდებარონ. სსრკ-ში გეოპოლიტიკა მიიჩნეოდა უაღრესად ბურჟუაზიულ პოლიტიკურ კონცეფციად, რომელიც მოწოდებული იყო გაემართლებინა აგრესიული ომები. რა თქმა უნდა, გეოპოლიტიკურ დოქტრინებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიმართულება, მათ შორის ექსპანსიონისტურიც. მაგრამ გეოპოლიტიკას შეუძლია და ვალდებულია სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის პოზიტიურ მიზნებს ემსახუროს.

გერმანული ენები – ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი შტო, რომელიც დაახლოებით 15 ენას მოიცავს. გერმანული ენები გავრცელებულია ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში... შეიცავს სამ ჯგუფს: ჩრდი-

ლოურს, დასავლურს და აღმოსავლურს. ჩრდილოურ გერმანულ (სკანდინავიურ) ენათა ჯგუფში შედის დანიური, შვედური, ნორვეგიული, ისლანდიური; უძველესი ძეგლები ცნობილია XII საუკუნიდან; დასავლურ გერმანულ ენებად ითვლება ინგლისური, გერმანული, ჰოლანდიური, ფლამანდიური (ზოგი მეცნიერის აზრით, ჰოლანდიური და ფლამანდიური ერთი ენაა), იდიში. აღმოსავლურ გერმანულ ენებში იგულისხმება მკვდარი გუთური (გოთური) ენა, რომელზეც სახარება ითარგმნა მეოთხე საუკუნეში. ამავე ჯგუფში შემოდის ვანდალური და ბურგუნდიული ენები, თუმცა მათ შესახებ ცნობები მხოლოდ ისტორიულ ქრონიკებში დაფიქსირებულმა საკუთარმა და გეოგრაფიულმა სახელებმა შემოგვინახეს.

გერონტოლექტი (ბერძნ. geron „ბერიკაცი“ + lect) – ხანდაზმული ადამიანებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო თავისებურებათა ერთობლიობა.

გვარი / **მოდგმა** (შდრ. ბერძნ. genos, ლათ. gens, რუს. род) – სისხლით ნათესავთა ჯგუფი, რომელიც თავის წარმომავლობას დედისეული ან მამისეული ხაზით აითვლის. მეცნიერთა ძველ თაობას (ლ. ჰ. მორგანსა და მის მიმდევრებს) მიაჩნდათ, რომ გვარი თანამედროვე სახეობის ადამიანთან ერთად წარმოიქმნა, წარმოადგენს პირველყოფილი საზოგადოების უნივერსალურ და უმნიშვნელოვანეს სოციალურ სტრუქტურას და ევოლუცირდება დედისეული გვარიდან მამისეულისკენ. მაგრამ თანამედროვე ეთნოლოგიაში შედარებით ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გვარი ყალიბდება მხოლოდ გვიანი პირველყოფილობის ეპოქაში, არ არის უნივერსალური, უპირატესად ქორწინების მარეგულირებლის როლს თამაშობს და იმთავითვე არსებობს ზოგიერთ ტომში - დედისეულ, ზოგიერთში მამისეულ ფორმაში. გვარისთვის დამახასიათებელია ეგზოგამიურობა, ანუ ქორწინების აკრძალვა გვარს შიგნით, რაც მისთვის სტრუქტურის წარმომქმნელი ფაქტორია, ამიტომ გვარებს არ შეეძლოთ იზოლირებულად არსებობა და ტომებში ერთიანდებოდნენ. ეგზოგამიის ძალით გვარს არა აქვს არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა, ხოლო თავისი სოციალური მნიშვნელობით დიდად ჩამორჩება თემს. როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა, ფაქტია, რომ გვარი უმრავლეს უკლასო საზოგადოებაში იყო, და მისი ლოკალიზებულ ნაწილი (ე. წ. გვაროვნული თემი) მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა: არსებობდა მიწაზე გვაროვნული საკუთრება, თანამემამულეები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ურთიერთდახმარებითა და ურთიერთდაცვით, იმართებოდნენ საკუთარი უხუცესებითა და სამხედრო მეთაურებით, შეკრულნი იყვნენ ეგზოგამიითა და საერთო რელიგიური კულტებით. კლასების ჩამოყალიბების ეპოქისათვის დამახასიათებელია გვარის სოციალური სტრატიფიკაცია მდიდრებად და ღარიბებად, უფროსებად და უმცროსებად, უბრალო ხალხად და კეთილშობილებად. ასეთი სახით გვაროვნული სტრუქტურები, ჩვეულებები, კულტები და სხვა წარმონაქმნები არცთუ იშვიათად შემოინახა ადრეკლასობრივმა საზოგადოებამ, საბოლოდ კი ტერიტორიულ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდნენ. ასეთი წესრიგი განსაკუთრებული სიმტკიცით შემოინახა რთული გარემო პირობების მქონე მომთაბარეებსა და მთიელებში - ყაზახებსა, ყირგიზებსა, კავკასიელ მთიელებსა და სხვ.

გინეკოკრატია (ბერძნ. gyne, ნათესაობით ბრუნვაში gynaikos – ქალი + kratos – ძალაუფლება) – ქალის ძალაუფლება, ბატონობა, ტერმინი პირველად გამოიყენა შვეიცარიელმა მეცნიერმა იოჰან იაკობ ბახოფენმა კაცობრიობის განვითა-

რების ისტორიაში მის მიერ ნავარაუდევი იმ უნივერსალური სტადიის აღსანიშნავად, რომელმაც ჰეტერიზმის (იხ.) ეპოქა შეცვალა. ბახოფენი გინეკოკრატიის ძირითად ნიშნებს ხედავდა ნათესაობის დედის ხაზით ათვლასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის წარმმართველ როლში. პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის შემდგომმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ, ეს იყო დედისეულ-გვაროვნული წყობილება. სამეცნიერო მიმოქცევაში ტერმინ „გინეკოკრატიის“ ნაცვლად გამოიყენება ცნება „მატრიარქატი“.

გინოლექტი (ბერძნ. gyne „ქალი“ + lect) – ქალებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო თავისებურებათა ერთობლიობა; გენდერლექტის მდედრობითი ქვესახეობა.

გლოსონიმი (ბერძნ. glossa „ენა“ + ბერძნ. onym „სახელი“) – ენის სახელწოდება. გლოსონიმებს მიეკუთვნება შემდეგი: 1. ენათა ოჯახების, შტოებისა და ქვეჯგუფების სახელწოდებები, 2. ცალკეულ ენათა სახელწოდებები, 3. დიალექტთა, ენის არსებობის ფორმათა და დიალექტთა ჯგუფების სახელწოდებები.

გლოტოგენეზისი (ბერძნ. glotta „ენა“ და genesis „წარმოშობა, წარმომავლობა“) – ადამიანის ენის, მეტყველების ჩამოყალიბების პროცესი (მეტყველება). გლოტოგენეზისი, როგორც კომპლექსური კვლევის ობიექტი, მოითხოვს მთელი რიგი მეცნიერებების – ლინგვისტიკის, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ფსიქოლოგიის, პალეონტოლოგიის და სხვ. მეთოდების კომპლექსურ გამოყენებას.

გლოტოგონია (ბერძნ. glōtta „ენა“, gonos „დაბადება“) – მოძღვრება ენის წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

გლოტოპოლიტიკა (ბერძნ. glotta „ენა“ + politica) – იხ. ენობრივი პოლიტიკა.

გლოტოფაგია (ბერძნ. glosses „ენა“, phagos „ჭამა“) – ერთი ენის მიერ მეორის შევიწროვება უშუალო კონტაქტის პირობებში. ლინგვისტური გენოციდი, პოლიტიკური და სოციალური პროცესი, რომლის დროსაც კონკრეტული კულტურის ენა ნაწილობრივ ან მთლიანად ქრება სხვა ენის გავლენის გამო.

გლოტოფობია (ბერძნ. glotta „ენა“ + phobos „შიში“) – ენობრივი დისკრიმინაცია; როგორც ქსენოფობიის ერთ-ერთი სახე, იგი წარმოადგენს პიროვნების ან ეთნიკური ჯგუფის სამოქალაქო და/ან ეკონომიკური უფლებების დარღვევას მათ მიერ ამა თუ იმ ენის არცოდნის ან არასაკმარისი ცოდნის გამო.

გლოტოქრონოლოგია (ბერძნ. glotta „ენა“, chronos „დრო“ и logos „სწავლება“) – ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ავლენს ენის ცვლილებების პროცესებს, რათა დადგინდეს მონათესავე ენების ერთმანეთისგან გამოყოფის დრო და საერთო საბაზისო ენა (პროტოენა) და შენარჩუნებული სიახლოვის ხარისხი; მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს ენათა ოჯახების დაშლის ისტორიამდელი პროცესების დათარიღებას.

გრაფიკული ორენოვნება – ორი გრაფიკული სისტემის გამოყენება ერთი ეროვნული ენის წერილობითი ფორმისათვის. გრაფიკული ორენოვნების მიზეზები შეიძლება მოხდეს მისი მომხმარებლების დაყოფა ორ ეთნიკურ ან ეთნოკონფესიურ თემად, რომლებიც ექსტრალინგვისტური მიზეზების გამო იყენებენ სხვადასხვა გრაფიკულ სისტემას.

გრუმინგი (ინგლ. groom – მოვლა, გასუფთავება), ალოგრუმინგი (ბერძნ. Alios – სხვა + groom) – ძუძუმწოვართა კომფორტული ქცევა, რაც სხვათა ბეწვის გასუფთავებაში გამოიხატება. გრუმინგი იმ სახეობებისთვის არის დამახასიათებელი, რომლე-

ბიც კოლონიურ დასახლებებს (ვირზაზუნები და მღრღნელი ძაღლები) ან მობილურ ჩაკეტილ ჯგუფებს (პრიმატები) ქმნიან. ამ სახეობებში გრუმინგი იერარქიის დაცვას ემსახურებოდა, ხოლო პრიმატებში სექსუალური ქცევის ელემენტსაც წარმოადგენდა. პრიმატებში იერარქიული კიბის დაბალ საფეხურზე მდგომნი ასუფთავებენ მაღალრანგოვნებს, მდედრები მამრებს, ვირზაზუნებსა და მექვიშიებში კი - პირიქით. ადამიანთა საზოგადოებებში მოქმედი გრუმინგი, რომელსაც შეიძლება ჰიგიენური ინტიმი ვუწოდოთ, გავრცელებული იყო და უკანასკნელ დრომდე მოქმედებდა მსოფლიოს ბევრი ხალხის, მათ შორის ჩერქეზების, აფხაზების, ქართველების სტუმარმასპინძლურ ურთიერთობებში. ტრადიციის თანახმად, მასპინძლის ცოლი ან რომელიმე ქალიშვილი ვალდებული იყო სტუმრისთვის დაებანა ფეხი, დაეთვალიერებია მისი თავი და ტილის ან რწყილის აღმოჩენის შემთხვევაში გაესუფთავებია, გაეწმინდა ფეხსაცმელი და გაერეცხა დაჭუჭყიანებული სამოსი.

გურული – ქართული ენის დიალექტი. მოიცავს ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს; გურული გავრცელებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფლებშიც. გურულში დადასტურებულია შიდასხვაობა არა მხოლოდ მთისა და ბარის მიხედვით, არამედ თემებისა და სოფლების მიხედვითაც. გურულზე გავლენა მოუხდენია ჩრდილო-დასავლეთით მეგრულ-ლაზურს, სამხრეთ-დასავლეთით მესხურსა და აჭარულს, აღმოსავლეთით იმერულს. გამოიყოფა ორი კილოკავი ზემოგურული და ქვემოგურული. ქვემოგურული გავრცელებულია ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, გარდა სამხრეთ მთიანი ნაწილისა, ზემოგურული – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში და ოზურგეთის სამხრეთ მთიან ნაწილში. გურულში უხვად არის წარმოდგენილი ზანიზმები (მეგრულ-ჭანური ფენა). დაცულია არქაიზმებიც, რომლებიც მას ძველ ქართულ სალიტერატურო ენასთან აახლოებს, განსაკუთრებით კი იმ ლიტერატურული სკოლების ენასთან, რომლებიც ქართული ენის სამხრეთ-აღმოსავლეთის კილოებთან იყო დაკავშირებული.

დ

დაბალანსებული ბილინგვიზმი – ინდივიდუალური ბილინგვიზმის ტიპი, რომელშიც სუბიექტი თანაბრად ფლობს ორ ენას.

დამხმარე ენა – ენა, რომელიც ასრულებს ზოგიერთ „დამხმარე“ ფუნქციას. დამხმარე ენად შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ენები. დაკისრებული ამოცანების შესაბამისად, ეს ენები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: 1. ბუნებრივი წარმოშობის ენები, რომლებიც გამოიყენება როგორც ეთნიკური კომუნიკაციის საშუალება; 2. ბუნებრივი ენების ხელოვნური ანალოგები, რომლებიც ასევე განკუთვნილია ეთნიკური კომუნიკაციისთვის; 3. სპეციალიზებული ხელოვნური ენები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადად პროფესიულ საქმიანობასთან ინფორმაციის გადაცემის, მიღებისა და დამუშავებისთვის.

დარგული ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ენათა ჯგუფის ლაკურ-დარგული ქვეჯგუფის ენა. დარგული სამი დიალექტითაა წარმოდგენილი. ეს დიალექტებია: ჰურახული, ახუშური და წუდახარული, აგრეთვე

კუბაჩური და ხაიდაკური ანუ კაიტაღური (ამ ორ უკანასკნელს ჩვეულებრივ ცალკე ენად თვლიან). თანამედროვე სამწერლო დარგუულ ენას საფუძვლად უდევს **ახუშური** დიალექტი. დარგუული ენის დამწერლობა შეიქმნა 1917 წლის შემდეგ. 1928 წლამდე წერდნენ არაბული შრიფტით, 1928 წელს შემოიღეს ლათინური ანბანი, ხოლო 1938 წლიდან დამწერლობა ეფუძნება რუსულ გრაფიკას.

დაუბალანსებელი ბილინგვიზმი – იხ. დომინანტური ბილინგვიზმი.

დემოგრაფია (ბერძნ. demos „ხალხი“, grapho „ვწერ“) – მეცნიერება მოსახლეობის აღწერის კანონზომიერებების შესახებ; დემოგრაფია შეისწავლის მოსახლეობის რაოდენობას, განაწილებას, სტრუქტურასა და ცვლილებას. გარდა ამისა, დემოგრაფია გულისხმობს პოპულაციური ჯგუფების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვებას.

დემოლექტი – (ბერძნ. demos „ხალხი“ + lect) მოცემულ სახელმწიფოში ან ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის საერთო ენა.

დემონები (ბერძნ. δαίμων – სული, ღვთაება) – ფანტასტიკური არსებები, ბოროტ, უწმინდურ ძალთა განსახიერებანი – ეშმაკნი, ქაჯნი, ურჩხულნი, კუდიანები, ჯინები და ა. შ. იუდეური და ქრისტიანული ტრადიცია დემონებს დაცემულ ანგელოზებად აცხადებენ.

დემონოლოგია (ბერძნ. δαίμων – სული, ღვთაება + λόγος – სიტყვა, სწავლება, მოძღვრება) – რელიგიური სწავლება დემონთა შესახებ; მომდინარეობს ავსულთა შესახებ პირველყოფილი რწმენიდან. დემონოლოგია განსაკუთრებით განვითარდა ბაბილონურ და ძველირანულ რელიგიებში, საიდანაც მან იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამში შეაღწია. კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა დღემდე აღიარებს დემონთა რეალურ არსებობას, ზოგიერთი პროტესტანტის მიერ ისინი სიმბოლურად გაიგება. დემონოლოგია განუყოფელია რელიგიური მორალისაგან, რომელშიც ეშმაკი ცოდვის წყარო და მატარებელია. დემონოლოგიის თანახმად, ადამიანი მუდმივად დემონებითაა გარშემორტყმული, ემუქრებიან მის სულს, და მათგან განთავისუფლება ან მზაკვრული მოქმედებების ნეიტრალიზება შეუძლია მხოლოდ ეკლესიას თავისი ლოცვებით, შელოცვებით, ზოგჯერ ავსულთა განდევნისათვის დადგენილი სპეციალური საკულტო მოქმედებებით.

დენაციონალიზაცია – პოლიტიკა და პრაქტიკა (ეროვნულ საკითხზე), რომელიც მიზნად ისახავს სოციალური ცხოვრების ეროვნული ფორმების შეზღუდვასა და განდევნას, სახელმწიფოებრიობის პრინციპების განსაზღვრისას ეროვნული ფაქტორის გათვალისწინებაზე უარის თქმას.

დეპოპულაცია (ფრანგ. depopulation - მოსახლეობის შემცირება, კლება <– ლათ. de - წინსართი არარსებობის, მოშლის მნიშვნელობით + populatio - მოსახლეობა) - ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის კლების პროცესი მისი კვდომის შედეგად, ანუ დაბადებასთან მიმართებაში სიკვდილიანობის მდგრადი გადაჭარბება. თუ წარსულში დეპოპულაცია ძირითადად გამოწვეული იყო სიკვდილიანობის მკვეთრი ზრდით ეპიდემიების, გამანადგურებელი ომების, შიმშილობის და სხვა კატაკლიზმებისა და სტიქიური უბედურების შედეგად, ამჟამად მისი მიზეზები შეიცვალა: ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც სოციალური დაცვის მაღალი დონით გამოირჩევიან, დეპოპულაცია ძირითადად აიხსნება შობადობის შემცირებით. შობადობაზე გა-

ვლენის მქონე ძირითად პოპულაციურ ფაქტორებს წარმოადგენს ქორწინების ასაკი, კონტრაცეფციის საშუალებების ხელმისაწვდომობა და სოციალური განწყობა ოჯახის წევრთა რაოდენობასთან მიმართებაში. შობადობის შემცირება ქალაქის ინდუსტრიული საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. ამასთან ერთად, თანამედროვე ეპოქაში არ გამოირიცხება დეპოპულაციის პროცესები გენოციდების, ომების, მასობრივი ეპიდემიების, ემიგრაციების და სხვა ნეგატიური მოვლენების შედეგად.

დეპორტაცია (ლათ. deportatio - განდევნა, გადასახლება) – 1) სახელმწიფოს ფარგლებიდან რომელიმე პირის იძულებითი გასახლება; გამოიყენება სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნებართვოდ მყოფი უცხოელებისა და აპარტიდების, აგრეთვე, „არასასურველი პირების“ მიმართ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის; 2) სახელმწიფოს მიერ ჯგუფების, ხალხების ძალადობრივი გადასახლება, რაც, როგორც წესი, პოლიტიკური ან სამხედრო მოსაზრებით არის ნაკარნახევი.

დიალექტების ავტონომიზაცია – დიალექტის ან დიალექტთა ჯგუფის იზოლაცია ძირითადი დიალექტებისაგან გეოგრაფიული თუ სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების გამო. უცხო ენათა გარემოცვაში მოხვედრილი იზოლირებული დიალექტი / დიალექტთა ჯგუფი ყალიბდება კუნძულოვან დიალექტად, ამასთან დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებს დიალექტის ნიშნებს.

დიალექტი (ბერძნ. διαλέγομαι, dialegomai „ერთად ლაპარაკი“) – გარკვეული ლიტერატურული ენის არასტანდარტიზებული ვარიანტი, მისი რეგიონულ-კუთხური ან სალაპარაკო ფორმა, რომელიც ამავე ენის სხვა დიალექტებისგან გარკვეული რაოდენობის ლექსიკური, სინტაქსური თუ ფონეტიკური თავისებურებებით გასხვავდება. მას იყენებს მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი, თუმცა იგი ძირითადში გასაგებია სტანდარტული ენის მატარებლებისთვის.

დიალექტიზმი (ბერძნ. διάλεκτος „კილოკავი“) – ამა თუ იმ კუთხის მეტყველებისთვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები.

დიალექტოლოგია – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს დიალექტებს (ეროვნული ენის ტერიტორიულ სახეობებს). განასხვავებენ აღწერით და ისტორიულ დიალექტოლოგიას. პირველ შემთხვევაში სინქრონიზმის თვალსაზრისით შესწავლილია დიალექტის (დიალექტების) არსებული შეუსაბამობები. მეორე შემთხვევაში შესწავლილია დიალექტური განსხვავებების ფორმირების პროცესები, მათი ურთიერთქმედება ეროვნულ ენასთან ან ლიტერატურულ (სტანდარტიზებულ) ენასთან.

დიალექტური კონტინუუმი – ენის თანმიმდევრული დაყოფა უწყვეტ ტერიტორიულ სახეობებად, რომლებშიც მეზობელ დიალექტებს ან დიალექტებს აქვთ მინიმალური განსხვავებები, მაგრამ რაც უფრო შორდება „დიალექტის ჯაჭვის“ რგოლები ერთმანეთისგან, მით უფრო დიდია განსხვავებები მათ შორის. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა დიალექტური იზოგლოსები არ ემთხვევა ერთმანეთს და დიალექტებს შორის საზღვრები ბუნდოვანია. დიალექტური კონტინუუმი შეიძლება გადავიდეს ლინგვისტურ კონტინუუმში მონათესავე ენების განაწილების საზღვრებში, რის შედეგადაც წარმოიქმნება შესაბამისი იდიომების გარჩევის რთული პრობლემა.

დიასისტემა – ენის დიალექტების ფორმალური აღწერა. ამოსავალ ფორმად გამოიყენება ენობრივი სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს აღწერილ დიალექტებს.

დიასპორა (ბერძნ. diaspora – გაბნევა, განსახლება) – ხალხის ნაწილის ცხოვრება სამშობლოს ფარგლებს გარეთ უცხო ეთნიკურ გარემოში. დიასპორები იძულებითი გადასახლების, გენოციდის საფრთხის, ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების შედეგად ძველი დროიდანვე ჩამოყალიბდნენ. თავდაპირველად ტერმინი დიასპორა გამოიყენებოდა პალესტინის გარეთ მცხოვრები ებრაელების მიმართ; შემდეგში იგი მიემართებოდა ზოგიერთ ეთნიკურ (მაგალითად, სომხები, ჩერქეზები, ირლანდიელები, ჩინელები და სხვ.) და რელიგიურ (მაგალითად, ადრეული ქრისტიანები) ერთობებს.

დიგლოსია – ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ენის პირველად დიალექტებთან ერთად არსებობს ძალიან განსხვავებული, უაღრესად კოდიფიცირებული ვარიანტი; იგი უმეტესწილად სამწერლო ენად გამოიყენება ან გამოიყენებოდა, ძირითადად ითვისებენ სასწავლო დაწესებულებებში და გამოიყენება წერითი და ოფიციალური მიზნებით.

დიგრაფია – იხ. გრაფიკული ორენოვნება.

დიდოური (ცეზური) ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფში შემავალი ენა. გავრცელებულია დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის წუნტის რაიონში, აგრეთვე თურქეთში, სადაც მე-19 საუკუნის 70-იან წლებში იძულებით გადაასახლეს მუჰაჯირობის დროს; ამავე პერიოდიდან ფიქსირდებიან საქართველოში, ყვარლის მუნიციპალიტეტში. დიდოურ ენაში გამოიყოფა ორი დიალექტი: საკუთრივ დიდოური და საჰადური. დიდოური დიალექტი თავის მხრივ იყოფა ქიდიროულ, შაიტლურ, ასახურ, შაფიხურ, ელბოყურ კილოკავებად. ლექსიკაში ბევრია ხუნძურიდან შეთვისებული სიტყვები. შეიმჩნევა ქართული ენის გავლენაც. დიდოური უმწერლობო ენაა. დიდოელები სამწერლობო ენის სტატუსით იყენებენ ხუნძურს და ქართულს. ამ ბოლო დროს დაღესტანში არის ტენდენცია, შეიქმნას სამწერლობო დიდოური ენა. გავრცელებულია ხუნძურ კირილიცაზე დაყრდნობით შექმნილი ანბანი.

დიდოური ენები – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფის ენები. ცნობები დიდოელებისა და დიდოეთის შესახებ მოიპოვება „ქართლის ცხოვრებაში“. დიდოური ენებზე მოლაპარაკენი ცხოვრობენ სამხრეთ-დასავლეთ დაღესტანში და მდინარე სულაკის ხეობის მიმდებარე რაიონებში. დიდოური ენებია დიდოური (ანუ ცეზური), ჰინუხური, ხვარშიული, კაპუჭური (ანუ ბეჟიტური) და ჰუნზიბური. ზოგ მკვლევარს ჰინუხური ენა დიდოურის დიალექტად მიაჩნია; ხოლო კაპუჭურ-ჰუნზიბური – ერთ ენად. სხვები ინხოყვარულს ცალკე ენად გამოყოფენ. ლექსიკაში ბევრია ხუნძურიდან შეთვისებული სიტყვები. შეიმჩნევა ქართული ენის გავლენაც. დიდოური ენები უმწერლობო ენებია. ამ ენებზე მოლაპარაკე ტომები სამწერლობო ენად ხუნძურს იყენებენ და ეროვნებითაც ხუნძებად აღირიცხებიან.

დივერგენცია – აკომოდაციის ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც მოსაუბრე საგანგებოდ განასხვავებს თავის მეტყველებას კომუნიკანტებისაგან სოციალური დისტანციის ან სხვა სხვაობის ხაზგასასმელად.

დისკრიმინაცია – არადემოკრატიული ეროვნულ-ენობრივი პოლიტიკა, რომელიც იწვევს არათანაბარ მოპყრობას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის (ხალხების) და მათი ენების მიმართ. ეს ფენომენი ჩვეულებრივ შეინიშნება კოლონიალურ ქვეყნებში და ტოტალიტარულ მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში, რომლებშიც მცირე ეთნიკური ჯგუფების ენები უთანასწორო მდგომარეობაშია მოთავსებული უფრო დიდ ხალხებთან შედარებით.

დისკურსი (ინგლ. discourse < ლათ. dircursus „აქეთ-იქით მორბენალი“) – ფუნქციურად დასრულებული და მწყობრი საკომუნიკაციო ერთეული, გამონათქვამთა ერთობლიობა, რომელიც განიხილება ექსტრალინგვისტურ (სოციო-კულტურულ, პრაგმატულ, ფსიქოლოგიურ და მისთ.) ფაქტორებთან ერთად, როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება, რომელიც როგორც კომპონენტი, მონაწილეობს ადამიანებისა და მათი კოგნიტური პროცესების მექანიზმების ურთიერთქმედებაში.

დისლოკალური ქორწინება (ლათ. dis - მაცალკევებელი პრეფიქსი + locus - ადგილი) - საქორწინო დასახლების ფორმა, რომელიც მეუღლეების ცალ-ცალკე (თავის ნათესაურ ჯგუფში) ცხოვრებას გულისხმობს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დისლოკალური ქორწინება მატრიარქატიდან პატრიარქატზე გარდამავალ პერიოდს განეკუთვნება. გავრცელებული იყო აზიის, ოკეანიის, აფრიკის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის რიგ ხალხებში. დისლოკალური ქორწინების გადმონაშთურ ფორმებად მიიჩნევენ: მამაკაცთა ცხოვრებას მხოლოდ მათთვის განკუთვნილ სახლებში; შვილებთან ერთად ცოლის საცხოვრებლად გამოყოფილი სახლისა და ცალკე მდგარ ქმრის საცხოვრებლის არსებობას; ქორწინების შემდგომ გარკვეულ პერიოდში ცოლ-ქმრის ცალ-ცალკე ცხოვრებას; საოჯახო საცხოვრებელი ნაგებობის სამამაკაცო და სადიაცო ნახევრებად დაყოფას.

დიფუზიონიზმი (ლათ. diffusio - გავრცელება) – XIX საუკუნის დასასრულის ეთნოლოგიის, ანთროპოლოგიისა და არქეოლოგიის რიგი მიმართულება, რომელიც ცალკეულ ხალხთა კულტურების განვითარებას ხსნიდა არა მათი დამოუკიდებელი ევოლუციით, არამედ სხვა ხალხებისაგან კულტურული მიღწევების სესხების გზით. დიფუზიონიზმის ძირითადი იდეები პირველად ჩამოაყალიბა ანთროპოგეოგრაფმა ფ. რატცელმა, რომელიც მიისწრაფოდა მოვლენა კონკრეტულ გეოგრაფიულ პირობებთან კავშირში შეესწავლა.მსგავს პირობებში მსგავსი კულტურების ავტონომიური წარმოქმნისა და განვითარების ევოლუციონისტურ იდეას დიფუზიონისტებმა განსაზღვრულ გეოგრაფიულ პირობებში კულტურის ელემენტების წარმოქმნისა და ჩასახვის ცენტრებიდან მათი შემდგომი გავრცელების იდეა დაუპირისპირეს. დიფუზიონიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც უბრალო გადაადგილება სივრცეში, როგორც აღიარება იმისა, რომ ისტორიული პროცესის ძირითადი შინაარსია კულტურების დიფუზია, კონტაქტი, სესხება, გადატანა და ურთიერთზემოქმედება. საკუთარი და მეზობელთა კულტურების შედარებითი შეფასება და საყოფაცხოვრებო საგნებში, ჩვეულებებში თუ კულტურის სხვა ელემენტებში მსგავსებისა და განსხვავების ახსნა ადამიანს უძველესი დროიდან აინტერესებდა. ჩვენამდე ანტიკური პერიოდიდან მოღწეულ პირველ ისტორიულ თხზულებაში, რომლის ავტორია ჰეროდოტე (ძვ. წ. 480-425 წწ.), გვხვდება იმდროინდელი მიდგომის ნიმუში სხვადასხვა ხალხში არსებული მსგავსი მოვლენების ასახსნელად. ჰეროდოტე გამოთქვამს ვარაუდს კოლხებისა და

ეგვიპტელების ნათესაობის თაობაზე. ჰეროდოტეს თვალსაზრისი ამ ხალხების წეს-ჩვეულებებისა და მატერიალური კულტურის ელემენტების მსგავსების შესახებ, ახლოსაა კულტურის დიფუზიის თეორეტიკოსების ზოგიერთ დებულებასთან. XX საუკუნის პირველი სამი ათწლეული ერთი ეტაპია ეთნოლოგიაში დიფუზიონისტური იდეების ისტორიისა და წარმოადგენს ამ მიმართულებით ყველაზე პროდუქტული თეორიული ძიებების პერიოდს. 1940-1950 წლების ნაშრომები მხოლოდ გამოძახილი ან, უკეთეს შემთხვევაში, უფრო ადრეული მიღწევების დამატება იყო. ახალი სკოლები არ ჩამოყალიბებულა, ხოლო უწინდელნი ან გაქრნენ (მაგალითად, მანჩესტერისა და ამერიკის), ან უკვე შემუშავებულ დებულებებში რაიმე არსებითი ცვლილებები არ შეუტანიათ. დიფუზიონისტური იდეების განვითარებაში ახალი, მომდევნო პერიოდს დიდწილად საფუძველი ჩაუყარა არქეოლოგიური გათხრების მასშტაბების გაფართოებამ და აბსოლუტური დათარიღებისათვის დიდი შესაძლებლობების გაჩენამ. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეთნოლოგებისა და არქეოლოგების შრომებში ძველ და ახალ სამყაროს შორის კავშირების პრობლემა ძირითადი მიჯნა ხდება, სადაც შორეულ წარსულში ფართო კულტურული კავშირების არსებობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა კამათი მიმდინარეობდა: დისკუსიის საკითხი იყო ამერიკელი ხალხების წყნარ ოკეანეში ცურვის შესაძლებლობას. ამ იდეის დამცველი გახდა ნორვეგიელი მეცნიერი ტურ ჰეიერდალი, რომლის ენერგიულობამ და დაჟინებულობამ წყნარი ოკეანის გავლით ამერიკელი ინდიელების კულტურაზე აზიელების გავლენის მომხრეები გამოაცოცხლა; უძველეს დროში ტრანსოკეანური კავშირების იდეის მომხრეებისა და ამ თემაზე შექმნილი ლიტერატურის რაოდენობა დიდად გაიზარდა; სავსებით საფუძვლიანად დაიწყო ტრანსატლანტური კავშირების შესაძლებლობის გაშუქებაც. ამდენად, დიფუზიონისტური იდეები XIX საუკუნის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე ჩნდება. სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთისგან დიდად დაშორებულ, კულტურებში მსგავსი მოვლენების წარმოშობის მიზეზების შესახებ საკითხი ეთნოლოგიაში ჯერ კიდევ მისი, როგორც მეცნიერების, ფორმირების პერიოდში შევიდა. XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა ძალზე წონადი თვალსაზრისი ძველ ხალხებს შორის კულტურული კონტაქტების როლის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დიფუზიონისტური იდეების წარმოშობა არ იყო მხოლოდ ევოლუციური თეორიის უკმარობაზე რეაქცია. ევოლუციონისტები, კერძოდ, ე. ტაილორი და ლ. მორგანი, არ უარყოფდნენ მსგავსი კულტურის ელემენტების სესხების შესაძლებლობას, მაგრამ მათი არ აინტერესებდათ ჭეშმარიტი ნასესხობების პრინციპების შემუშავება, მათი ფორმებისა და როლის კვლევა. ეს საკითხები სხვა მკვლევართა ყურადღებას იქცევდა, და ეთნოლოგების მიერ სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტის ცდებისას დაიბადა ეთნოლოგიაში ის მიმართულება, რომელსაც დიფუზიონიზმი ეწოდა. კაცობრიობის ევოლუციისა და მისი კულტურის ზოგადი სქემები კონკრეტული ხალხების ისტორიაში ჩასაღრმავებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. დიფუზიონიზმის ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული წარმომადგენელი იყო ფ. გრებნერი, რომელიც მიიჩნევდა, რომ მატერიალური თუ სულიერი კულტურის ყოველი მოვლენა ისტორიაში მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ ერთ ადგილზე წარმოიშვა და შემდგომ ამ ცენტრიდან მთელ დედამიწაზე გავრცელდა. რაც უფრო დაშორებულია ცენტრს, მით უფრო დამახინჯებული და დაკნინებული სახით აღწევს კულტურული

ინოვაციები სხვა ხალხებამდე. დიფუზიონიზმის საფუძველზე „კულტურული წრეების“ თეორია და კულტურული მიგრაციის თეორია. დიფუზიონიზმი უწინაც და ახლაც კრიტიკის ობიექტია. საზოგადოების ევოლუციური განვითარების პოზიციაზე მდგარი ბევრი მეცნიერი ამტკიცებდა ცალკეული საზოგადოებების დამოუკიდებელ, გარეგანი გავლენების გარეშე განვითარებას, აგრეთვე, სხვადასხვა კულტურებში ერთნაირი მოვლენებისა და საგნების დამოუკიდებლად გაჩენის შესაძლებლობას. დიფუზიონისტებს არცთუ უსაფუძვლოდ ადანაშაულებენ გადაჭარბებაში, ფართო კულტურული კავშირებისა და ყოველი ცალკეული კულტურის ჩამოყალიბებაში მათი როლის ცალმხრივი გაშუქებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ დიფუზიონიზმი თავისი განვითარების მწვერვალზეც კი ეთნოლოგიაში ერთადერთი მიმართულება არ იყო. ამასთან, დიფუზიონიზმთან ასოცირებულ სხვადასხვა ავტორებს კულტურის დიფუზიის პრობლემების მიმართ სხვადასხვა პოზიცია ეკავათ. ზოგიერთი მეცნიერისთვის დიფუზია კულტურის შესწავლის ერთ-ერთი მეთოდი იყო, ზოგისთვის იგი მხოლოდ მსგავსი მოვლენების ახსნის საშუალებას წარმოადგენდა, უმცირესობაში მყოფნი კი კულტურის დიფუზიას განიხილავდნენ, როგორც კულტურული პროგრესის ძირითად მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდნენ, თუმცა არც ისინი გამორიცხავდნენ ყოველი კულტურის შინაგანი განვითარების შესაძლებლობას. დიფუზიონიზმის მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს დებულება კულტურული კონტაქტების, კულტურული კავშირების ნაყოფიერების შესახებ. XX საუკუნის 40-50-იან წლებში თეორიული დიფუზიონიზმის დაქვეითება შეიმჩნეოდა; 60-70-იან წლებში ცდილობდნენ, კულტურული ისტორია და კულტურის გავრცელება არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი კულტურული კომპლექსების დათარიღების საშუალებით აღედგინათ. დღესაც არიან მეცნიერები, რომლებიც ეთნოლოგიაში ერთ-ერთ მთავარ საკითხად კულტურის დიფუზიას მიიჩნევენ. ამგვარად, კულტურული დიფუზიის იდეა უცხო არაა თანამედროვე ეთნოლოგიური თეორიისთვის. დიფუზიონიზმის იდეები საფუძვლად დაედო რიგი სოციოლოგიური და კულტუროლოგიური კონცეფციის წარმოქმნას, კერძოდ: მოდერნიზაციის თეორიას, აკულტურაციის კონცეფციებს, კროს-კულტურული კვლევების მეთოდებს და სხვ. დიფუზიონიზმის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ ბ. ანკერმანი, ფ. გრებნერი, უ. რივერსი, კ. უისლერი.

დოკულექტი (ინგლ. documentation „დოკუმენტაცია“ + lect) – ენის ლექტი, სახესხვაობება, რომელიც ამა თუ იმ სახითაა დოკუმენტირებული და ილუსტრირებული (გრამატიკული აღწერა, ლექსიკონი, სიტყვანი, წარწერები, ტექსტები, მოგზაურთა მიერ გაკეთებული შენიშვნები, მოხსენიება უძველეს წყაროებში და ა.შ.).

დომინანტი ეთნოსი – ხალხი მრავალ ეთნიკურ სახელმწიფოში, რეგიონში, რომელიც დომინირებს სხვებზე (ჩვეულებრივ უფრო პატარაზე).

დომინანტური (**დომინანტი**) **ენა** – 1. ენობრივი სახესხვაობა, რომელშიც მოლაპარაკეს აქვს კომპეტენციის უმაღლესი დონე; 2. ენის სახესხვაობა, რომელიც სარგებლობს ლეგალური, სოციალური და კულტურული სტატუსით სხვა სახესხვაობებზე მეტად მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე.

დომინანტური ბილინგვიზმი – ინდივიდუალური ბილინგვიზმის სახეობა, რომელიც ხასიათდება ბილინგვის ენობრივი კომპეტენციის განსხვავებული დონით. როგორც წესი, ბილინგვები მშობლიურ ენაზე ბევრად უკეთ საუბრობენ, ვიდრე მეორე ენაზე.

დომინიონები (ინგლ. dominion < ლათ. dominium – ფლობა, სამფლობელო) - სახელწოდება ყოფილი ბრიტანული იმპერიის თვითმმართველი ნაწილებისა, ხოლო 1931 წლის შემდეგ ზოგიერთი ქვეყნებისა - ყოფილი ინგლისური კოლონიებისა, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს, მაგრამ თანამეგობრობის წევრებად დარჩნენ და სახელმწიფოს მეთაურად აღიარებენ ინგლისელ მონარქს, რომელიც ამ ქვეყნებში ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის სახით არის წარმოდგენილი. ტერმინი „დომინიონი“ მოხმარებიდან ფაქტიურად გავიდა, თუმცა პოლიტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ გამოიყენება გამოთქმა „ავსტრალიის, კანადისა და ახალი ზელანდიის ე. წ. თეთრი დომინიონები“. ტერმინ „დომინიონის“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „თანამეგობრობის წევრი“.

დრავიდული ენები – სამხრეთ ინდოეთში გავრცელებული ენათა ოჯახი. ცხოვრობენ ცეილონის ნახევარკუნძულზე, ასევე კალკუტის დასავლეთით. დრავიდულ ენათა ოჯახი ოთხ ჯგუფს აერთიანებს: ტელუგუ, ტამილური, კუნძულოვან ენათა ჯგუფი (კუი, კუხური, გონდი, მალტო) და ბრაჰუი. ითვლება, რომ დრავიდული ენები უნდა იყოს ინდოეთის უძველესი მოსახლეობის ენა; ინდოეთში შემდეგღა არის გავრცელებული ინდური ენები (ინდოევროპული ენები).

დუალურ-გვაროვნული ქორწინება – ჯგუფური ქორწინების სისტემა, რომელიც არა ცალკეულ ინდივიდუალურ ნათესავებს, არამედ მათ ჯგუფებს, კლასებს განასხვავებს. მაგალითად, ავსტრალიელი აბორიგენი ქალი „დედას“ უწოდებს არა მარტო ღვიძლ დედას, არამედ მისი საქორწინო კლასის ყველა ქალს, „ქმარს“ უწოდებს არა მხოლოდ თავის ნამდვილ ქმარს, არამედ მისი საქორწინო კლასის ყველა მამაკაცს, „ვაჟს“ უწოდებს არა მარტო საკუთარ ვაჟს, არამედ თავისი საქორწინო კლასის ყველა ქალის ვაჟებსაც. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ასეთი სისტემა წარმოიშვა არა ინდივიდუალურ, არამედ ჯგუფურ ოჯახში, რომლის წევრები საკუთარ შვილს ნებისმიერი ნათესავის შვილისგან არ განასხვავებდნენ. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანებმა არ იცოდნენ თავიანთი უახლოესი სისხლით ნათესავები, არამედ იმას, რომ აღიარებდნენ არა ბიოლოგიურ, არამედ სოციალურ ჯგუფურ ნათესაობას.

ე

ეგზოგამია (ბერძნ. exo – გარეშე, გარეთ + gamos - ქორწინება) – ქორწინება გარკვეული ერთობის ფარგლებს გარეთ, ანუ სხვა განსაზღვრული ერთობის ფარგლებში. ეგზოგამია წარმოიქმნა, როგორც გვარის ეგზოგამია, უერთდებოდა რა ენდოგამიურ ტომში გაერთიანებულ გვარებს. ბევრ ხალხში პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პროცესში მონათესავე ჯგუფების ან ლოკალური ერთობების ეგზოგამია წარმოიქმნა. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების შედარებითი შესწავლის საფუძველზე, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ჯერ კიდევ უძველესი ტომების ჩამოყალიბებამდე ადამიანთა ტერიტორიული ჯგუფები, შედუღაბებულნი საერთო სამეურნეო საქმიანობით, იყოფოდნენ ორ ნახევრებად, რომელთა შიგნით მკაცრად იკრძალებოდა ქორწინება და საერთოდ სქესობრივი კავშირები მამაკაცებსა და ქალებს შორის. საქორწინო ურთიერთობა შეეძლოთ მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოების სხვადასხვა ნახევრებში

შემავალ ადამიანებს. ამ ნახევრებს ეთნოლოგიურ მეცნიერებაში „ფრატრიებს“ („საძმოებს“) უწოდებენ, ხოლო მასთან დაკავშირებულ პირველყოფილი საზოგადოების ორგანიზაციას - „დუალურ“ („ორმაგი“) ორგანიზაციას. მხოლოდ სხვა ნახევრის წევრებთან ქორწინების ჩვეულებას ეწოდა „ეგზოგამია“. ეგზოგამიის ჩვეულება, ერთ-ერთი უძველესი ჩვეულება კაცობრიობის ისტორიაში, როგორც ჩანს, ცხოველური ინსტინქტების თანდათანობითი ალაგმვის პროცესში წარმოიქმნა.

ეგზოგლოსური ენობრივი სიტუაცია – ენობრივი სიტუაცია, რომელიც შედგება სხვადასხვა ენებისგან.

ეგზოეთნონიმი - იხ. ეთნონიმიკა. ალოეთნონიმი.

ეგზოლექტი (ბერძნ. exo „გარეშე, უცხო“ + lect) – მოცემულ ტერიტორიაზე ან ადმინისტრაციულ ერთეულში მოგვიანებით მოსული, არაავტოქთონური მოსახლეობის ენა.

ეგზოტიზმი – უცხო ენიდან ნასესხები სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ უცხო ხალხებისა და ქვეყნებისთვის დამახასიათებელ რეალობას, კულტურას, ადათ-წესებს.

ევფემიზმი (ბერძნ. euphemismos) – სიტყვა ან გამოთქმა, რომლითაც შეცვლილია სხვა, რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა ან გამოთქმა; კეთილსიტყვაობა.

ეთნიკოსი (ბერძნ. ethnicos – ხალხური, ხალხისთვის დამახასიათებელი) – ერთი და იმავე ხალხის წარმომადგენელთა ეთნოკულტურული ერთიანობა (საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად) მისი განვითარების ყველა ეტაპზე. ტერმინი „ეთნიკოსი“, „ეთნოსოციალური ერთობის“ ცნებასთან ერთად, სამეცნიერო მიმოქცევაში საბჭოთა ეთნოლოგმა ი. ბრომლეიმ შემოიტანა. ეთნიკოსის არსებობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თაობათშორის (დიაქრონულ) ინფორმაციულ კავშირებს, აგრეთვე, მათი შემადგენელი ადამიანების თვითშეგნებას. ეთნიკოსი უნდა განვასხვაოთ ეთნოსისაგან, როგორც ეთნოსოციალური ორგანიზმისაგან, რომელსაც ტერიტორიული, პოლიტიკური და სოციოკულტურული ერთიანობა გააჩნია. მისგან განსხვავებით, ეთნიკოსი წარმოადგენს ერთი ეთნიკური კუთვნილების პირთა ერთობლიობას მათი ტერიტორიული განსახლებისგან დამოუკიდებლად. ეთნოსის ნაწილები, რომლებიც ეთნოსოციალურ ორგანიზმში არ შედიან, ეთნიკური ჯგუფებია.

ეთნიკური ადაპტაცია – ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების ადაპტაცია სოციალურ-კულტურულ და ეთნომეტყველების გარემოსთან. ეთნოლოგიის დარგი, რომელსაც ეთნოეკოლოგიას უწოდებენ.

ეთნიკური ავტოსტერეოტიპები (ბერძნ. autos – თვით + stereos – მყარი, მაგარი + typos – კვალი, ანაბეჭდი) - მოცემული ეთნიკური ერთობის წარმომადგენელთა აზრები, მსჯელობები, შეფასებები თავიანთ ეთნოსის შესახებ. როგორც წესი, ემოციურად შეფერილი, საკუთარი მდგრადი ხატი, რომელიც ხალხს (ეთნოსს) უყალიბდება. ეთნიკური ავტოსტერეოტიპი დიდწილად დადებითი შეფასების კომპლექს შეიცავს. ეთნოსი მიდრეკილია დაინახოს თავისი თავი და თავისი ინტერესები და მოთხოვნილებები, როგორც უპირატესი, უცილობელი, მართლზომიერი და ბუნებრივი. ეთნიკური ავტოსტერეოტიპის სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება განისაზღვრება განსაკუთრებული ცნებით - სოციალური სტერეოტიპით, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევასა და პრაქტიკაში ამერიკელმა

ჟურნალისტმა უ. ლიპმანმა შემოიტანა. ასე აღნიშნა მან საზოგადოებრივ შეფასებებში გავრცელებული წინასწარ აკვიატებული წარმოდგენები ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური და პროფესიული ჯგუფების წევრების შესახებ. განსაკუთრებით გავრცელებულს წარმოადგენს ეთნიკური სტერეოტიპი, როცა ამა თუ იმ ჯგუფის ცალკეული წარმომადგენლების შესახებ არსებული შეზღუდული ინფორმაციის საფუძველზე კეთდება წინასწარ აკვიატებული შეფასებები მთელ ჯგუფთან მიმართებაში. რაც შეეხება ეთნიკურ ავტოსტერეოტიპებს, ამ შემთხვევაში საქმე ეხება თავისი ეთნოსის ქცევის, ხასიათის, კულტურის არაკრიტიკულ, ტრადიციულ აღქმას. მსგავსი გადაჭარბებული, შელამაზებული, ღრმად პოზიტიური თვითშეფასება ეთნოცენტრიზმის, იშვიათად შოვინიზმის საფუძველს შეადგენს., რის შედეგადაც იქმნება განდიდებული ხატი საკუთარი ეთნოსისა, როგორც მრავალგვარი სათნოების ცენტრისა, რომელიც, თითქოს, სხვა ეთნოსებს არ ახასიათებს. ასეთ წარმოდგენებზე დაფუძნებით, შესაძლებელია „ჩვენი“ ეთნოსი, როგორც უცილობლად რიგიანი, ჰუმანური, დაუპირისპიროთ სხვებს, „არაჩვენ“ ხალხებს, რომლებიც საპირისპირო ნიშან-თვისებებით გამოირჩევიან. ეს ავტოსტერეოტიპული შეხედულებები, აგრეთვე, სხვების მიმართ სტერეოტიპული განწყობები ბადებს ეროვნებათშორის შუღლს, ზიზღს, მტრობასა და სხვ. ეთნიკურ ავტოსტერეოტიპებს, როგორც ზოგადად სტერეოტიპებსაც, შეუძლიათ შეასრულონ ნეგატიური როლი, აყალიბებენ რა ადამიანთა მცდარ ცოდნას საკუთარ თავსა და სხვებზე, რითაც სერიოზულ ვნებენ ეროვნებათშორის, ინდივიდთაშორის ურთიერთობებს. ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეთნიკური ავტოსტერეოტიპები მოიცავენ არაოდენ საკუთარი ეთნოსის ცალმხრივ, მცდარ საქებარ შეფასებებს, არამედ ზოგიერთ რეალურად არსებულ ეთნიკურ თვისებებს და „თვითკრიტიკასაც“ კი. სხვადასხვა ხალხების თვითშეფასებებში პოზიტიურისა და ნეგატიურის შეფარდება სხვადასხვაგვარია. შეიძლება ითქვას, რომ რიცხობრივად მსხვილ ერებში კრიტიკული ელემენტები საკუთარი „იმიჯის“ შეფასებებში უფრო ხშირად ვლინდება, ვიდრე მცირერიცხოვან ხალხებში.

ეთნიკური (ეროვნული) აკულტურაცია (ლათ. acculturare) – ეთნიკურ კულტურათა ურთიერთ ზეგავლენის პროცესი და შედეგი, რაც იწვევს ერთ-ერთი მათგანის (ნაკლებგანვითარებულის) მიერ სხვა კულტურის ელემენტების მიღებას. ამასთან, პირველი კულტურა ინარჩუნებს თავის საკუთარ კულტურულ მოდელს, მაგრამ იმავდროულად მეტნაკლები სისრულით ითვისებს სხვა კულტურის ნორმებს. ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს აზიის, აფრიკის, ოკეანიის, ლათინური ამერიკის ხალხებში.

ეთნიკური ანთროპოლოგია – ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის მიჯნაზე ჩამოყალიბებული სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ძირითადად შეისწავლის ეთნოსების წარმოშობის პრობლემებს რასოგენეზის, რასობრივი ნიშნების ევოლუციის, რასათა შორის მეტისაციის პროცესებთან კავშირში. ეთნიკური ანთროპოლოგია იხილავს, აგრეთვე, რასათა შორის და ეთნოსთა შორის კონტაქტების პირობებში გამოვლენილი რასობრივი ცრურწმენების წარმოშობას.

ანთროპოლოგიური ნიშნები ეთნიკურ გამიჯვნაში გარკვეულ როლს ასრულებენ. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ არსებით ანთროპოლოგიურ განსხვავებებს, რომლებიც ძირითადი რასების გამოსაყოფად გამოიყენება, აღმოჩნდება, რომ რასობრივი თვალსაზრისით მსოფლიოს ხალხების დიდი უმ-

რავლესობა და ბევრი ენობრივი ოჯახიც კი შედარებით ერთგვაროვანია. მაგალითად, ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახის ენებზე მეტყველ ადამიანთა თითქმის 100% მონღოლოიდურ რასას განეკუთვნება; ინდოევროპელ ხალხებში შემავალი ადამიანების თითქმის 90%, და ურალური ლინგვისტური ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ხალხების 95% ევროპეიდულ რასას განეკუთვნებიან. ძირითადი რასობრივი ტიპების რიგი მრავალფეროვნება შეინიშნება იმ ხალხებში, რომლებიც სემიტურ-ქამიტურ (70% - ევროპეიდული და 20%-ზე მეტი - ეთიოპიური რასა) და ალთაურ (60% - ევროპეიდული და 20% - მონღოლოიდური, დანარჩენი - შერეული რასები) ოჯახებში შემავალ ენებზე მეტყველებენ, მაგრამ ეს ორი ენობრივი ოჯახი ჯამში მთელი კაცობრიობის 4%-ზე ნაკლებია. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 30% რასობრივი თვალსაზრისით შერეულ და შუალედურ ჯგუფებს განეკუთვნებიან.

რასობრივი განსხვავებები ყოველთვის მემკვიდრეობითია: ისინი მშობლებიდან შვილებს ბევრი თაობის განმავლობაში გადაეცემათ. ამ განსხვავებათა შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებას მემკვიდრეობითობის შესახებ - გენეტიკას (ძვ. ბერძნ. genos – გვარი, მოდგმა, წარმოშობა), პირველ რიგში, ადამიანის გენეტიკას ანუ ანთროპოგენეტიკას. გასაგებია, რომ სხვადასხვა ადამიანებში ან ადამიანთა ჯგუფებში ბევრი მემკვიდრეობითი ფიზიკური ნიშნების მსგავსება მათი საერთო წარმოშობის ანუ გენეტიკური ნათესაობის დასტურია.

ეთნიკური ანთროპოლოგიის კვლევის ძირითადი ერთეულებია – რასობრივი ნიშნებით განსხვავებულ ადამიანთა არეალური ერთობები (პოპულაციები). ეთნიკური ანთროპოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული გენოგეოგრაფიასთან, რამდენადაც კარგად შესწავლილი მემკვიდრეობითობის ნიშნები ხშირად გვევლინებიან მარკერებად, რომლებიც პოპულაციების ფორმირების, განსახლების, მეტისაციის და მათზე დაფუძნებით ჩამოყალიბებული რასის ისტორიას გამოხატავენ. ადამიანთა საზოგადოებაში პოპულაციები დაკავშირებულია მათთვის დამახასიათებელ სოციალურ ერთობებთან, მათ დანაყოფებთან და პოლიეთნიკურ ჯგუფებთან. სხვადასხვა ქვეყნებსა და ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში ეთნოსებსა და რასებს შორის ურთიერთობების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ეთნიკური ანთროპოლოგიის მონაცემები ისტორიული წყაროს სახით გამოვიყენოთ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, ევოლუციის, პოპულაციური გენეტიკის, რასების წარმოქმნის, ეთნოგენეზისა და ანთროპოლოგიური ეთნოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების დამუშავებაში.

ეთნიკური არეალი – (ლათ. area – ფართობი, სივრცე) – ხმელეთის ნაწილი, რომლის ფარგლებში ცხოვრობს ესა თუ ის ეთნოსი. ეთნიკური არეალი ძირითადად ერთიან ტერიტორიას წარმოადგენს, მაგრამ არცთუ იშვიათად მის ცალკეულ განაპირა მონაკვეთებში სხვა ეთნოსის წარმომადგენლებიც სახლდებიან. ასეთ მონაკვეთებს „ექსლავებს“ უწოდებენ. ასხვავებენ ასევე ანკლავებს - პატარა ეთნიკურ არეალებს, რომლებიც ძირითადი ეთნიკური ბირთვიდან დაშორებული სხვა ხალხების ეთნიკური ტერიტორიების შიგნით მდებარეობენ.

ეთნიკური ასიმილაცია (ლათ. assimilatio - მიმსგავსება, დამსგავსება) პროცესი, რომლის მსვლელობისას უცხო ეთნიკურ გარემოში აღმოჩენილი ეთნოსები

ან მისგან გამოყოფილი პატარა ჯგუფები სხვა ეთნოსის ენასა და კულტურას ითვისებენ, თანდათან ერწყმიან მას და თავს ამ ეთნოსს აკუთვნებენ. ეთნიკური ასიმილაციის დროს ასიმილირებული ჯგუფი მთლიანად ან თითქმის მთლიანად კარგავს ეთნიკურ თვისებებს და ასევე მთლიანად ითვისებს ახალს. ამ პროცესის ბოლო სტადიად ეთნიკური თვითშეგნების ცვლა განიხილება.

განასხვავებენ ბუნებრივ და ძალადობრივ ასიმილაციას. ბუნებრივი გზით მიმდინარე ეთნიკური ასიმილაცია ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, გამორიცხავს ძალადობას. ბუნებრივი ასიმილაცია წარმოიქმნება მოსახლეობის ეთნიკურად სხვადასხვაგვარ ჯგუფებს შორის უშუალო კონტაქტის დროს და განპირობებულია საერთო სოციალური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების მოთხოვნებით, ეთნიკური თვალსაზრისით შერეული ქორწინებებით და სხვ.

ძალადობრივი ეთნიკური ასიმილაცია იმ ქვეყნებში გვხვდება, სადაც ერებს უთანაბრო უფლებები აქვთ, და თანხლებულია სამიზნე ეთნოსის ღია ან ლატენტური იძულებით, რაც საბოლოო ჯამში მშობლიური ენის, კულტურის, ტრადიციების დაკარგვას იწვევს.

ეთნიკური განწყობები – პიროვნების მზაობა შესაბამისად აღიქვას ეროვნული ცხოვრებისა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ესა თუ ის მოვლენა და ამ აღქმის შესაფერისად იმოქმედოს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. ეთნიკური განწყობები აფიქსირებენ ადამიანთა მრწამსს, შეხედულებებს, აზრებს თავიანთი ეთნიკური ერთობის ისტორიასა და თანამედროვე ცხოვრებასთან, აგრეთვე, ხალხთაშორის ურთიერთობასთან მიმართებაში.

ეთნიკური განწყობები და ურთიერთობები სხვადასხვაგვარად ყალიბდება. არის ურთიერთობები, რომლებიც სპონტანურად წარმოიქმნებიან, მაგრამ მათი უმრავლესობა პიროვნების სოციალიზაციის პროცესში წინასწარ არის განსაზღვრული.

ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის ნეგატიურ განწყობებს, ჩვეულებრივ, წინასწარ შეგონებულს უწოდებენ. ამასთან, წინასწარი შეგონების ქვეშ გაიგება რაიმე მოვლენის მიმართ ნეგატიური სოციალური დამოკიდებულება, რაც კრიტიკულად შემოწმებულ ცდას არ ეფუძნება.

ეთნიკური დიალექტი – იხ. ეთნოლემა.

ეთნიკური დივერგენცია (ლათ. divergere – სხვადასხვაობის, წინააღმდეგობის გამოვლენა) – ეთნიკური სისტემური მთლიანობის დაყოფა ასეთივე ტიპის ახალი სისტემის წარმოქმნისთანავე. შეიძლება განხორციელდეს ეთნოსისაგან რომელიმე მისი ნაწილის გამოყოფის გზით, ნაწილისა, რომელიც შემდეგ დამოუკიდებელ ეთნოსად ყალიბდება. თავის დროზე რიგი ასეთი ეთნოსები წარმოშვეს კოლონიებში გადასულმა ევროპელებმა. ასე გაჩნდნენ იანკები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბურები - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ავსტრალიელები და ა. შ.

ეთნიკური დივერგენცია შეიძლება განხორციელდეს, აგრეთვე, რამდენიმე ახალ სისტემად ეთნოსის დანაწევრების გზით. მაგალითად, XIII საუკუნეში, რუსული ეთნოგენეზის პროცესში მომხდარი ბიძგის შემდეგ, ერთი ძველრუსული ეთნოსისგან ჩამოყალიბდა სამი მსხვილი ეთნოსი: ველიკოროსები, მალოროსები (უკრაინელები და ბელორუსები), ასევე, კაზაკების, პომორებისა და სხვ. სუბეთნოსები.

ეთნიკური დისპერსიზაცია (ლათ. dispersio – გაფანტვა, განბნევა) – შედარებით პატარა ეთნიკური ჯგუფების გამოყოფა პირველადი ეთნოსიდან და უცხოეთნიკურ ტერიტორიაზე დასახლება. ეთნიკური დისპერსიზაცია დამახასიათებელია მსოფლიოს მრავალი ხალხისთვის. ამ პროცესის ძირითადი ფაქტორია - მიგრაცია. მაგალითად, მიგრაციისა და იძულებით გადასახლების შედეგად ჩერქეზთა უდიდესი უმრავლესობა (დაახლოებით 85%) ისტორიული სამშობლოს ფარგლებს გარეთ მრავალ ქვეყანაში ცხოვრობს. მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე განთესილი ხალხი ებრაელები არიან. 20 მილიონი ებრაელიდან ისრაელში მხოლოდ 5 მილიონი ცხოვრობს.

ეთნიკური დომინანტი (ლათ. dominans – გაბატონებული) – პოლიტიკური, იდეოლოგიური ან რელიგიური ფასეულობები, რომელიც ნებისმიერი ეთნიკური მთლიანობის გამოჩენისთანავე იქმნება და რომელიც მისთვის გამაერთიანებელ საწყისს ემსახურება. მთლიანობაში ეთნიკური დომინანტი შეიძლება დავახასიათოთ როგორც მოვლენათა ერთობლიობა ახალ ეთნიკურ სისტემაში გაერთიანების მოსურნე ადამიანთა საზოგადოებრივ შეგნებაში. ამ ადამიანთა ორმხრივი დადებითი კომპლიმენტარობა შეესაბამება ახლობელ აზრთა ხატს. როგორც ლ. გუმილიოვი თვლიდა, VII საუკუნეში არაბებისათვის ეთნიკური დომინანტის როლი ახალმა რელიგიამ – ისლამმა ითამაშა. VII საუკუნეში პასიონარული ბიძგის შედეგად არაბეთის ნახევარკუნძულზე წინასწარმეტყველის დროშის ქვეშ შეიკრიბნენ პასიონარები; შეიქმნა არაბთა ხალიფატი პამირიდან ესპანეთამდე. ეს მაგალითი განეკუთვნება ახალი სუპერეთნოსების გამოჩენის პერიოდს. მაგრამ სავსებით მართლზომიერია ვილაპარაკოთ ეთნიკური დომინანტის შესახებ სხვადასხვა ერთობების (ეთნოსების და სუბეთნოსების) ჩამოყალიბებისას უკვე ეთნოგენეზის მიმდინარეობის დროს. მაგალითად, XVII საუკუნის რუსეთში სტაროობრიადების სუბეთნოსის წარმოქმნისათვის დომინანტი გახდა ნიკონის რეფორმის საწინააღმდეგო მოქმედებები.

რა თქმა უნდა, ეთნიკური დომინანტს ყოველთვის როდი ახლავს მძაფრი იდეური ან რელიგიური ხასიათი. ზოგჯერ ახალი მთლიანობის წარმოქმნისათვის საკმარისია მკვეთრი პოლიტიკური გამიჯვნა არსებული ტრადიციებისგან (მაგალითად, ვიკინგები, პასიონარული ბიძგი VIII საუკუნეში). ეთნიკური დომინანტი წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმ პასიონართა გაერთიანებისათვის, რომლებმაც ეთნიკური სუბსტრატის ტრადიციებს გაემიჯნენ. ასეთია ლ. გუმილიოვის აზრი.

ეთნიკური ველი – ლ. გუმილიოვის ჰიპოთეზა, რომლის ეთნიკური სისტემების ერთიანობის, მისი შემადგენელი ელემენტების კოორდინირებული მოქმედების ფენომენის ასახსნელად ეთნოსები მხოლოდ ზოგჯერ ემთხვევიან ცენტრალიზებულად მართულ ორგანიზაციებს, მაშინ, როდესაც ერთი ეთნიკური სისტემის წევრებისათვის ქცევისა და გარემომცველ სამყაროზე რეაქციის ერთიანობა მუდამ შეინიშნება.

ეთნიკური ველის შესახებ ჰიპოთეზის სერიოზულ არგუმენტს წარმოადგენს კომპლიმენტარობის ფენომენი (ეთნიკური სიახლოვის ან სიუცხოვის ქვეცნობიერი შეგრძნება), რომელიც სხვა პოზიციიდან რთული ასახსნელია. ეთნიკურ ველებს, სხვა სახეობის ველების მსგავსად, გააჩნიათ რყევის განსაზღვრული რიტმები. ადამიანთა გარკვეულ ჯგუფში ამ რიტმების სიახლოვე მათში ბადებს ურთიერთსიახლოვისა და სხვა დანარჩენების მიმართ დაპი-

რისპირების გრძნობებს („ჩვენ – არა ჩვენ“). სხვა რიტმის მატარებლებთან შეჯახება იწვევს უცხოობას, უმსგავსოებას, ზოგჯერ ანთიპათიას. ცნობილია, რომ უცხოობაში მყოფ ადამიანებში წარმოიქმნება განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა – ნოსტალგია, რომლისთვისაც დამახასიათებელია სევდის, წუხილის, უგუნებობის გრძნობები. ეთნიკური ველის ჰიპოთეზის პოზიციიდან, ეს სავსებით ახსნადია: ნოსტალგია გამოწვეულია ადამიანზე უცხო ეთნიკური ველის რიტმის ზემოქმედებით, აგრეთვე, თავის გარემოსგან, თავის ეთნიკურ ველისგან მოწყვეტით.

მიუხედავად ამისა, მიიჩნევენ, რომ ჰიპოთეზა პასიონარული და ეთნიკური ველების შესახებ შემდგომ შესწავლასა და დამტკიცებას მოითხოვს; დღესდღეობით ის არ შეიძლება იყოს ეთნიკური კვლევის პროცესების ეფექტური საშუალება, ისევე როგორც პასიონარობის თეორია.

ეთნიკური ველის განხეთქვა – ლ. გუმილიოვის მიერ ეთნოლოგიაში შემოტანილი ცნება, რომელიც დაფუძნებულია ზოგად წარმოდგენებზე ეთნიკური ველის შესახებ თავისი რიტმის მიხედვით (რყევების სიხშირით). მეცნიერი ამ ცნებით აღნიშნავს რომელიმე ეთნიკური სისტემის ფარგლებში ქცევის სტერეოტიპებისა და მენტალობის მკვეთრ დაშორიშორებას, რაც თანხლებულია ახალწარმოქმნილ მთლიანობებს შორის კომპლიმენტარობის განცდის დაკარგვით. სუპერეთნოსის დონეზე მოცემული მოვლენა განსაკუთრებით აშკარად ვლინდება გაბზარვის ფაზაში. მაგალითად, რეფორმაციის დროს დასავლეთევროპული სამყარო გაიყო ორ, კათოლიკურ და პროტესტანტულ ნაწილად. განხეთქილება საკმაოდ ღრმა იყო: შემდგომში პროტესტანტული და კათოლიკური ხალხები ძალზე განსხვავებულად იქცეოდნენ კოლონიებში და ერთმანეთისაგან მკაფიოდ განიყვნენ. მაგრამ სუპერეთნოსისადმი („ცივილიზებული სამყაროსადმი“) კუთვნილების საერთო გრძნობა არ დაუკარგავთ. თუ ეთნიკური ველის განხეთქვა თანხლებულია უცხო გავლენებისა და იდეების შემოჭრით, ამ მოვლენის ზემოქმედებაში მყოფი სისტემა სერიოზულ საფრთხეში აღმოჩნდება.

ეთნიკური ველის შესახებ წარმოდგენებიდან გამომდინარე, მისი განხეთქვა ნიშნავს რყევის (რიტმის) ერთი სიხშირის ადგილზე ერთმანეთისგან განსხვავებული ორი ახალი ნაწილის წარმოქმნას, რაც იწვევს კიდეც კომპლიმენტარობის დაკარგვას.

ეთნიკური იდენტიფიკაცია (ლათ. identificare – გაიგივება) – ინდივიდის მიერ თავისი თავის ეთნიკურ ერთობასთან გაიგივების ფსიქოლოგიური პროცესი, რაც ნებას რთავს აითვისოს ქცევის მნიშვნელოვანი სტერეოტიპები და სხვა აუცილებელი მოთხოვნები, დაკავშირებული ეთნიკური ერთობის წევრთა კულტურულ როლებთან. ეთნიკური იდენტიფიკაცია გულისხმობს, რომ ეთნიკური ნორმები, ფასეულობები, სტერეოტიპები წარმოადგენენ პიროვნების შინაგანი არსის განუყოფელ ელემენტებს, აქვე შემოდის პიროვნების პოზიტიური ფასეულობითი დამოკიდებულება საკუთარი ხალხის ისტორიასთან, კულტურასთან, ტრადიციებთან და ჩვეულებებთან, მის იდეალებთან, გრძნობებთან და ინტერესებთან, ფოლკლორთან და ენასთან, ეთნოსის საცხოვრებელ ტერიტორიასთან და სახელმწიფოებრიობასთან.

ეთნოსთან ინდივიდის იდენტიფიკაცია ეთნიკური (ეროვნული) კუთვნილე-

ბის თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე ხდება. ამ პრინციპის მიხედვით, ადამიანი ეკუთვნის იმ ეთნიკურ ერთობას, რომელთანაც იგი თავად მიიჩნევს დაკავშირებულს ენის, კულტურის, ყოფის საერთოობით. ადამიანის ეთნიკური კუთვნილება წინასწარ განსაზღვრულია მშობლებისაგან ბიოლოგიური მემკვიდრეობის გზით მიღებული „სისხლის“ ფაქტორით. ამასთან ერთად, ეთნიკური (ეროვნული) კუთვნილება არის ადამიანის აღზრდისა და სოციალიზაციის შედეგი, რომელთა პროცესში მასში იმ ეთნიკური გარემოს თვისებები ინერგება, რომელშიც აღმოჩნდა. უმრავლეს შემთხვევაში ადამიანი იმ ეთნოსს აკუთვნებს თავს, რომელსაც მისი მშობლები მიეკუთვნებიან. ეთნიკური იდენტიფიკაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ რომელ ეთნიკურ გარემოში ცხოვრობს ოჯახი. თუკი ოჯახი იმ ხალხში ცხოვრობს, რომელსაც იგი თავს მიაკუთვნებს, ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვების ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა, როგორც წესი, არავითარ გართულებას არ იწვევს. ეთნიკური თვითშეგნების სხვა სურათს იძლევა ის ვითარება, როცა მშობლები სხვადასხვა ეთნოსს მიეკუთვნებიან. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ეთნოსს აირჩევს შვილი, მამისას თუ დედისას, დამოკიდებულია იმ კონკრეტული ვითარებაზე, რომელშიც ოჯახი ცხოვრობს: ენაზე, საოჯახო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ტრადიციებსა და ჩვევებზე, დაბოლოს, ეთნიკურ გარემოზე. იხ. ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია.

ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია – ადამიანის ეთნიკური თვითგამორკვევის აქტი, გარკვეული ეთნიკური ერთობისათვის თავისი თავის მიკუთვნება. ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია წარმოადგენს პიროვნების მიერ იდენტობის გაცნობიერების მეორე ეტაპს, სხვა ეთნოსებისგან თავის გამოყოფის შემდგომ, ცნობილი ფსიქოიდენტიფიკაციის ფორმულის („ჩვენ – ისინი“) თანახმად. ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის პროცესში გამოიყოფა ორი მხარე: ხარისხობრივი, ანუ მისი შემადგენელი ელემენტების სტრუქტურა და პროცესუალური - მისი მიმდინარეობის დინამიკის განმაპირობებელი ფაქტორების სისტემა. ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის ფაქტორები ძირითადად სამია: მშობლები, ენა და ეთნიკური თვითშეგნება. მიუხედავად ამისა, ინდივიდის განათლებისა და კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად, იზრდება იდენტიფიკატორების რიცხვიც.

ეთნიკური თვითშეგნება – გარკვეული ეთნოსისადმი მიკუთვნების შეგნება და გრძნობა, სხვა ეთნიკურ ერთობებთან შეფარდებისას თავისი განსხვავებისა და მსგავსების გაცნობიერება ეთნიკური ერთობის მნიშვნელოვანი თვისებაა. გარეგნულად ეთნიკური თვითშეგნება თვითსახელწოდების – ეთნონიმის – ფორმაში ვლინდება. სინამდვილეში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ, მაგალითად, ქართველების, ესპანელების თუ ფრანგების ცალკეული ჯგუფები ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყანაში, ამ ჯგუფებიდან ნებისმიერი აცნობიერებს გარკვეულ საერთოობას ყველა ჯგუფთან, რომელიც იმავე თვითსახელწოდებას ატარებს. გარდა ამისა, ყოველი ასეთი საერთო სახელწოდების მქონე ადამიანების ერთობლიობა სხვა ერთობების წარმომადგენლებისგან თავს განასხვავებს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ანტითეზა „ჩვენ – ისინი“.

ეთნიკურ თვითშეგნებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს წარმოდგენები საერთო წარმოშობისა და ისტორიული ბედის შესახებ, რაც საერთო გენეალოგიურ გადმოცემებს, ისტორიულ მოვლენებში მონაწილეობას, მშობლიურ ენასთან და ტერიტორიასთან კავშირს ეფუძნება. თავისი ეთნიკური კუთვნილების

გაცნობიერება, თავის ჯგუფთან იდენტიფიკაცია ბადებს გრძნობათა მთელ გამას: თავისი ეთნიკური ერთობის ბედის თანაზიარების გრძნობა, ისტორიული ეთნიკური სამშობლოს, თავისი ხალხის, მისი ეთნიკური თავისებურებების, კულტურის სიყვარული, სიამაყის ან წუხილის გრძნობა თავისი ხალხის ბედის გამო თავგანწირვისთვის მზაობა და სხვ. ეთნიკური თვითშეგნების განვითარების კატალიზატორი, მასტიმულირებელი და დამაჩქარებელი იყო ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საგარეო აგრესია, დაპყრობა, კოლონიზაცია, რაც ეთნიკურ ერთობას ასიმილაციით, კულტურის ან ფიზიკური მოსპობით ემუქრებოდა. გრძნობებისა და განცდების მსგავსი კომპლექსის საფუძველზე წარმოიქმნება ქცევით პლანში ემოციურად შეფერილი და მიზანმიმართული ფსიქიკის მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს თავისი ხალხის ბედნიერებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისი თავისუფლებისა, სუვერენიტეტისა და აღორძინებისათვის ბრძოლის მისწრაფებებს. მიუხედავად ამისა, გარკვეულ ვითარებაში ეთნიკურ თვითშეგნებას შეუძლია ნეგატიური როლიც ითამაშოს. ეს შესაძლოა, ხილული გახდეს ისეთი მოვლენების წარმოქმნის დროს, როგორიცაა კარჩაკეტილობა (კონტაქტების სურვილის არქონის სურვილი თავისი ეთნოსის ფარგლებს გარეთ), ეთნოეგოიზმი (მისწრაფება საკუთარი ეთნოსის უპირატესობის უზრუნველყოფისაკენ სხვათა ხარჯზე) და ეთნოცენტრიზმი (ანუ სხვა, „უცხო“ ხალხების მიმართ მტრობა).

ეთნიკური იერარქია – ეთნიკურ სისტემათა დინამიური თანადაქვემდებარება, რომლის დროსაც შედარებით მაღალი რანგის ყოველი ეთნიკური სისტემა უფრო დაბალი რანგის რამდენიმე ეთნიკურ სისტემას შეიცავს. ლ. გუმილიოვის მიერ შემოთავაზებულია ოთხდონიანი ტაქსონომიური სისტემა, რომელიც აღწერს ეთნიკური იერარქიის ისტორიულად დაფიქსირებულ ყველა სახეობას: „კონსორციას (კონვიქსიას) – სუბეთნოსს – ეთნოსს – სუპერეთნოსს“. ეთნიკურ სისტემათა თანადაქვემდებარება არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული მკაცრი სტრუქტურა, პირიქით, ეთნოგენეზის პროცესში ეთნიკური სისტემები დინამიურად იცვლებიან. მაგალითად, თავდაპირველი კონსორციიდან ყალიბდება სუბეთნოსი, რომელშიც იზრდება შინაგანი მრავალგვარობა და შედეგად ფორმირდება თავის მხრივ სუბეთნოსებისაგან შემდგარი ეთნოსი. ასე მიმდინარეობდა ბიზანტიური სუპერეთნოსის ჩამოყალიბების პროცესი: I საუკუნე – ქრისტიანების თავდაპირველი კონსორციები, II საუკუნე – სუბეთნოსი, IV საუკუნე – ეთნოსი რომაულ სუპერეთნოსში, VI საუკუნის დასაწყისი – ბიზანტიური სუპერეთნოსი. ანალოგიურ სურათს იძლევა ძველი რომი და ჩინგიზხანის დროინდელი მონღოლეთი. უკიდურესად მოძრავია ეთნიკური სტრუქტურები ეთნოგენეზის მიმდინარეობის განმავლობაში – წარმოიქმნება და ქრება ბევრი სუბეთნოსი, იცვლება რა სხვა სუბეთნოსით, – მიაჩნია ლ. გუმილიოვს.

ეთნიკური ისტორიის დისკრეტულობა – ცნება, რომელიც გამოხატავს ლ. გუმილიოვის ძირითად იდეას განსხვავებული სუპერეთნოსების წარმოშობისა და განვითარების მადეტერმინირებელი ენერგეტიკული პროცესების დამოუკიდებლობის შესახებ. ლ. გუმილიოვი ეთნიკურ ისტორიაში ხედავს არა დაბალი ფორმებიდან მაღალი ფორმებისკენ აღმასვლას (პროგრესს) და არა ერთი და იმავე ციკლების დაუსრულებელ განმეორებას განსაზღვრული რიტმით, არამედ დისიპატიური (არათანაბარზომიერი) სტრუქტურების (ეთნიკური სისტემების) გაჩენასა და შემდგომ დაშლას, როგორც საგარეო ბიძგების შედეგს.

ეთნიკური კონსოლიდაცია (ლათ. consolidatio – გამკვრივება, გამაგრება, შეზრდა, გადაბმა) - ეთნიკური პროცესების გამაერთიანებელი სახეობა, ენითა და კულტურით ახლომდგომი ეთნოსების ან ეთნოსთა ნაწილების უფრო მსხვილ ეთნიკურ ერთობებად შერწყმა ან უკვე ჩამოყალიბებულ ეთნოსში მასთან ახლომდგომი ეთნიკური ჯგუფის ჩართვა. განასხვავებენ კონსოლიდაციური პროცესების ორ სახეობას: ერთი ეთნოსთაშორისია და მთავრდება ახალი ეთნოსის დაბადებით, მეორე - შიდაეთნიკური, რომელიც არ იწვევს ახალი ეთნიკური ერთობის ფორმირებას.

ორივე მითითებული პროცესი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული; ეთნოსთაშორისი კონსოლიდაცია დროთა განმავლობაში შიდაეთნიკურ კონსოლიდაციაში გადადის. მიუხედავად ამისა, ამ პროცესების არსი განსხვავებულია. პირველის მიმდინარეობისას ეთნიკური თვითშეგნება იცვლება, ანუ იგი ეთნოტრანსფორმაციული ხასიათისაა, მეორე კი თვითშეგნების ცვლას იწვევს, ანუ იგი თავისი არსით ეთნოევოლუციურია. იხ. შიდაეთნიკური კონსოლიდაცია, ეთნიკურ ჯგუფთაშორისი კონსოლიდაცია, ეთნიკური პროცესები.

ეთნიკური კონტაქტები – ეთნოსის კავშირებისა და ურთიერთქმედების სხვადასხვა სახეობები და ფორმები. ეთნიკური კონტაქტები ხდება ცხოვრების ყველა სფეროში: ეკონომიკასა, სოციალურსა, პოლიტიკურსა, სულიერსა, ყოფითსა, საოჯახო და საქორწინო ურთიერთობებსა და სხვა სფეროებში. ტიპის მიხედვით ეთნიკური კონტაქტები შეიძლება გაიყოს შემდეგ სახეობებად: სასაზღვრო, შეღწევადი და მიგრაციული. სასაზღვრო კონტაქტები ხდება ეთნოსების მეზობლობის ზონაში. შეღწევადი ეთნიკური კონტაქტები წარმოადგენენ განვითარებული და მობილური ეთნოსის შეღწევის შედეგს სხვა ეთნოსის იმ ტერიტორიაზე, რომელიც სუსტადაა დასახლებული. ასე ხდებოდა, მაგალითად, რუსების გადაადგილების შემთხვევაში ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის და სხვა დაუსახლებელ ან სუსტად დასახლებულ ტერიტორიებზე. ეთნოსების ურთიერთშეღწევადობა მიმდინარეობდა ვოლგისპირეთის, სამხრეთ ურალის, ყაზახეთის სტეპური ნაწილის ხალხების ტერიტორიაზე რუსების განსახლების შემთხვევაში.

მიგრაციული ეთნიკური კონტაქტები უფრო მეტად დამახასიათებელია ახალი დროსთვის. მიგრანტები ძირითადად კონცენტრირდებიან ქალაქებში, სადაც ეთიკური ჯგუფების ურთიერთქმედებები და ურთიერთგავლენები უფრო მეტად ინტენსიურია, ვიდრე სასოფლო ადგილებში.

ეთნიკური კონტაქტები იწვევენ შერეულ ქორწინებებს, სხვა ეთნოსის ენის, კულტურის ელემენტებისა და ეთნიკური პროცესების სხვა სახეობების სესხებას. ეთნიკური კონტაქტები იოლდება ურთიერთქმედებაში მყოფი ეთნოსების ენებისა და კულტურების სიახლოვით, მათი კონფესიური ან ანთროპოლოგიური (რასობრივი) ერთობით ან სიახლოვით. ეთნიკური კონტაქტების შედეგს წარმოადგენს კონსოლიდაცია, ასიმილაცია და ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია. ეთნიკური კონტაქტების შესუსტებისა ან შეწყვეტის შემთხვევაშიც კი ხდება ეთნოსებსშორისი ურთიერთობის გამწვავება და კონფლიქტების წარმოქმნა. იხ. ეთნიკური პროცესები.

ეთნიკური კულტურა – ეთნოსის მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტების ერთობლიობა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ის კომპონენტებია, რომელთათვის დამახასიათებელია ტრადიციულობა და მდგრადობა: წეს-ჩვეულებები, ხალხური ხელოვნება, ქცევის ნორმები და სხვ. ეთნიკური კულტურა

ყველაზე ნათლად ეთნიკურ სიმბოლიკაში, მატერიალური კულტურის ზოგიერთ ფორმებში (განსაკუთრებით ეროვნულ სამზარეულოში), ფოლკლორში (სიმღერებში, ცეკვებში და სხვ.) ვლინდება; სწორედ ეს ფასეულობები ასრულებენ მოცემულ ეთნოსში შემავალი ხალხის ინტეგრაციისა და სხვა ეთნოსებისაგან დიფერენციაციის ფუნქციებს. ამასთანავე, ეთნიკური სპეციფიკის მატარებლის როლში, არცთუ იშვიათად, პროფესიონალური სულიერი კულტურაც გვევლინება. ეთნოსის წევრთა კულტურული ერთიანობა განუყოფლად არის დაკავშირებული ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან, რაც მათ ხასიათებსა ფასეულობითი ორიენტაციის სპეციფიკასა, გემოვნებასა და სხვა მახასიათებლებში ვლინდება. ეთნოსს ახასიათებს მუდმივმოქმედი სოციოკულტურული ანტითეზა „მე – ისინი“, „ჩვენები – სხვები“. ამიტომ ეთნოსი ადამიანთა ის კულტურული ერთობაა, რომელიც შეიმეცნებს თავის თავს, როგორც ასეთს განასხვავებს რა მას სხვა ანალოგიური ერთობებისაგან. ამგვარად, თვითშემეცნება გვევლინება, როგორც არამარტო რეალურად არსებული ერთობის გამოხატულება, არამედ როგორც რეალურად არსებული განსხვავების განსაზღვრება. დიფერენციაციის მოთხოვნილება იწვევს იმას, რომ კომპონენტებიდან ერთ-ერთი (ენა, რელიგია, კულტურულ-პოლიტიკური სტრუქტურები ან მხატვრული თავისებურებანი) გამოიყოფა სისტემაწარმომქმნელი ფაქტორის სახით, რათა მოცემული ერთობა სხვებთან მიმართებაში გააფორმოს. მაგრამ კულტურის ამა თუ იმ კომპონენტის მნიშვნელობა მუდამ ფარდობითია. კულტურული სახის თავისებურება არის ის ძირითადი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც იმიჯნებიან ერთ ენაზე მოლაპარაკე, სართო ტერიტორიაზე მცხოვრები და მეურნეობრივად მჭიდროდ დაკავშირებული ხალხები.

ეთნიკური ნიშნები – ეთნოსის, ხალხის დამახასიათებელი ნიშნები, რაც მას სხვა ეთნოსებისაგან განასხვავებს.

ეთნიკური პარციაცია (ლათ. Partialis – ნაწილობრივი < pars – ნაწილი) - უწინდელი ერთიანი ეთნოსის დაყოფა რამდენიმე მეტნაკლებად თანაბარ ნაწილებად, როდესაც არცერთი ახალი ეთნოსი არ აიგივებს თავის თავს ძველ ეთნოსთან; წარმოადგენს ეთნოტრანსფორმაციულ პროცესს. თუ პირველყოფილ ეპოქაში ბუნებრივი რესურსების გამოლევის პირობებში ეთნიკური პარციაციის ძირითადი მიზეზი იყო ტომის რიცხობრივი ზრდა, რაც მის ცალკეულ ნაწილებს შორის ტერიტორიული გამიჯვნის აუცილებლობას განაპირობებდა, გვიანდელ ეპოქებში პარციაციას უფრო ხშირად იწვევდა ეთნოსის სხვადასხვა, რიცხობრივად შედარებით თანაბარი ნაწილების დანაწევრებას სახელმწიფო საზღვრით. მაგალითად, ოდესღაც ერთიანი ძველრუსული ეთნოსის ტერიტორიის სახელმწიფო საზღვრებით გახლეჩის შედეგად, მისგან ენითა და კულტურით მონათესავე, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელი სამი ეთნოსი (რუსები, უკრაინელები და ბელორუსები) გამოიყო.

ეთნიკური პროცესები – ეთნიკურ ერთობაში მიმდინარე ცვლილებები ისტორიული განვითარების პროცესში. ეს შეიძლება იყოს ცალკეული ეთნიკური ელემენტების, ეთნოსთა ნაწილებისა და თვით მთლიანად ეთნოსის ცვლილება. არის ორგვარი ეთნიკური პროცესი - ევოლუციური, რომლის დროსაც შენარჩუნებულია უწინდელი ეთნიკური ერთობა და ტრანსფორმაციული, რომელიც ეთნიკური კუთვნილების ცვლილებას იწვევს.

მართალია, ეთნიკური ერთობები მდგრადობით გამოირჩევიან, მაგრამ უცვლელნი არ რჩებიან. ეთნიკურ ერთობათა ცვლილებები, ანუ ეთნიკური პროცესები განპირობებულნი არიან კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ზოგადი მიმდინარეობით. ამ ცვლილებების გამომწვევი პროცესები თავისი არსითა და ეთნიკური ერთობების ამა თუ იმ მხარეზე მათი ზემოქმედების ხარისხით ძალზე მრავალგვარია. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევთ ეთნიკური ერთობების გამიχვნას მათი ისტორიული განვითარების ძირითადი სტადიების მიხედვით. შესაძლებელია გამოიყოს ასევე სოციალურ-კულტურული პროცესები, გამოხატულნი კულტურის სხვადასხვა ელემენტების ცვლილებებში, მაგალითად, მატერიალური კულტურის ტრადიციული ელემენტების გამოდევნა (შეცვლა?) უნიფიცირებული სამრეწველო პროდუქციით; ენობრივ-კულტურული და ეთნოენობრივი პროცესები, რასაც სამეტყველო და სამწერლობო ენების ცვლილებამდე მივყავართ; ორენოვნების გავრცელება და მთლიანად სხვა ეთნოსის ენაზე გადასვლა (ანუ ენობრივი ასიმილაცია) და ა. შ. ისეთ პროცესებს, რომლებიც ეთნოსის (ან მისი ცალკეული ნაწილების) რომელიღაც ელემენტებისა და პარამეტრების ცვლილებას განაპირობებენ, მაგრამ თვით ეთნოსის არსებობას, ეთნიკური სისტემის რღვევას არ იწვევენ, ეთნოევოლუციური პროცესები, ან ეთნოკულტურული ევოლუცია ეწოდებათ.

ეთნოტრანსფორმაციულს უწოდებენ ისეთ პროცესებს, რომლებიც ადამიანთა ამა თუ იმ χგუფების ეთნიკური კუთვნილების ცვლილებას, ერთი ეთნოსის გაქრობასა და ახლის წარმოქმნას იწვევენ; უკანასკნელ შემთხვევაში საუბარია ეგრეთ წოდებული ეთნოგენეტიკური პროცესების შესახებ. ეთნოტრანსფორმაციული პროცესები გამოხატულია ეთნოსის ძირითადი ნიშან-თვისების – ეთნიკური თვითშეგნების ცვლილებაში.

ეთნიკური საზღვარი – პირობითი საზღვარი სხვადასხვა ეთნიკურ ტერიტორიებს შორის. იგი მკაფიოდ ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს ან ბუნებრივ (გეოგრაფიულ) საზღვარს. ჩვეულებრივ ეთნიკური საზღვარი ბუნდოვანია გეოგრაფიულად, რადგან ეთნიკურ χგუფებს შორის სასაზღვრო რეგიონები ეთნიკურად შერეულია. შესაბამისად, ამ რეგიონების მეტყველებასაც შერეული ხასიათი აქვს.

ეთნიკური სეგრეგაცია – დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმა, საზოგადოების ერთი ნაწილის მეორისგან იძულებითი გამოყოფის პოლიტიკა, რასის ან ეროვნების ნიშნით უფლებების შეზღუდვა, იძულებითი გადაადგილება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე (რეზერვაციები, გეტოები).

ეთნიკური სეპარაცია (ლათ. separatio – გამოყოფა, გაყოფა) – ეთნოსისაგან მისი პატარა ნაწილის გამოყოფა, ნაწილისა, რომელიც დროთა განმავლობაში დამოუკიდებელ ეთნოსად ყალიბდება. თუ ეთნიკური პარციაციის დროს ამოსავალი ეთნოსი ფაქტიურად წყვეტს თავის არსებობას, ეთნიკური სეპარაციის შემთხვევაში იგი ნარჩუნდება. აქედან დასკვნა: ეთნიკური სეპარაცია ეთნოტრანსფორმაციულია ამოსავალი ეთნოსის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც დამოუკიდებელ ხალხად ცალკევდება. ეთნოსის ძირითადი ნაწილისათვის კი ეს პროცესი ეთნიკური თვითშეგნების ცვლილებას არ იწვევს, ანუ იგი ეთნოევოლუციურია.

ეთნიკური სეპარაცია შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული: ამოსავალი ეთნოსის რომელიღაც ჯგუფის გადასახლება, ეთნიკური ტერიტორიის სახელმწიფო საზღვრებით გამიჯვნა, ეთნოსის ნაწილზე სხვა ეთნოსის გავლენის გავრცელება - ეთნიკური ჯგუფის რელიგიური გამოცალკევება და სხვ.

ეთნოსის გარკვეული ჯგუფის საზღვარგარეთ გადასახლების დროს მან თავის ახალ სამკვიდროში აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბოს ადგილობრივი მოსახლეობისგან გამოცალკევებული კომპაქტური მასივი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ აცდება ამ ქვეყნის ძირძველი მკვიდრებთან შერწყმას.

ისტორიაში დაფიქსირებულია ეთნიკური სეპარაციის მრავალრიცხოვანი შემთხვევა გადასახლების შედეგად. პოლინეზიელი ხალხები ჩამოყალიბდნენ საუკუნეების განმავლობაში გაგრძელებული ეთნიკური სეპარაციის შედეგად, რაც გამოწვეული იყო პატარა პოლინეზიური ჯგუფების ერთი არქიპელაგიდან მეორეში გადასახლებით. ისლანდიელები თავიანთ წარმოშობას ძირითადად IX-X საუკუნეებში დაუსახლებელ ისლანდიაში გადასახლებული ნორვეგიული მიგრანტების ჯგუფიდან აითვლიან. ფრანკო-კანადელები არიან ფრანგი კოლონისტების იმ პატარა ჯგუფის შთამომავლები, რომლებიც XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თანამედროვე კანადის ზოგიერთ რაიონში დამკვიდრდნენ.

ეთნიკური მასივის ნაწილის პოლიტიკური განცალკევების შედეგად წარმოქმნილი ეთნიკური სეპარაციის მაგალითებია ფრანგებისგან – ვალონების, გერმანელებისგან – ელზასელების, იტალიელებისგან კორსიკელების გამოყოფა.

კონფესიურმა (რელიგიურმა) სხვაობამ განაპირობა ეთიოპიაში მუსულმანი ხარარების – ქრისტიანი ამხარასგან, ხოლო ბირმაში მაჰმადიანი არაკანების – ბუდისტი ბირმელებისგან გამოცალკევება.

ეთნიკური სიმბოლიკა - ეთნოსის მატერიალური და სულიერი კულტურის მოვლენებისა და ელემენტების კომპლექსი; ასრულებს ეთნოგანმასხვავებელი ნიშნის ფუნქციას და მათი მატარებლების ეთნიკურ კუთვნილებას აღნიშნავს. მაგალითად, სამოსის ეთნიკურ სიმბოლოებია: იაპონელებში - კიმონო, კავკასიელებში - ბოხოხი და ა. შ. რუსეთისათვის ეთნიკურ სიმბოლოებს წარმოადგენს ვოლგა და არყის ხე, იაპონიისთვის - საკურა (ალუბლის ხე) მონღოლეთისთვის (მონღოლებისთვის) - სტეპი და ა. შ. ჩუქჩების სიმბოლოებია ჩუქურთმა ლომვეშაპის ეშვზე, ნაქარგი ტყავზე.

ეთნოსის განვითარების პროცესში ეთნიკური სიმბოლიკა არ რჩება უცვლელი ან მოცემული ხალხის ყველა წარმომადგენლისათვის აუცილებელი. მაგალითად, ევროპული ქვეყნების ქალაქის მოსახლეობა, ჩაცმულობის თვალსაზრისით, ეთნიკური თავისებურებებით პრაქტიკულად არ განსხვავდებიან; საკვებიც მნიშვნელოვნად უნიფიცირდება. თანამედროვე ეტაპზე ეთნიკური სიმბოლიკა ძირითადად თავმოყრილია სულიერი კულტურის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფასეულობითი ავტოსტერეოტიპები, მატერიალური კულტურის ცალკეული ელემენტები, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ჰერალდიკა და სხვ.

ეთნიკური სისტემის გამარტივება – ლ. გუმილიოვის შეხედულებით, ეთნიკურ სისტემაში სისტემური კავშირების სიმტკიცის დაქვეითება, მისი შინაგანი მრავალგვარობის დაცემა. ეთნიკური სისტემის სირთულის კრიტერიუმად მიჩნეულია მოცემული სისტემის ქვესისტემების რაოდენობა მათ ამოსავალ რიცხვთან

შედარებით. ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით ემპირიულად დადგენილია, რომ ეთნიკური სისტემის გამარტივება ყოველთვის დაკავშირებულია პასიონარობის დაცემასთან და, შესაბამისად, პირუკუ – გართულება დაკავშირებულია პასიონარობის ამაღლებასთან. ეთნიკური სისტემის გამარტივებას შეიძლება ჰქონდეს ხელოვნური, გამიზნული ხასიათი – თუ ადგილი აქვს სისტემაზე ინტენსიურ საგარეო ზემოქმედებას (გენოციდს, ანტისისტემის ჩამოყალიბებას).

მოცემულ ეთნიკურ სისტემაში გამარტივება დაკავშირებულია არამარტო ქვესისტემების რიცხვის შემცირებას, არამედ სისტემური კავშირების დარღვევას, რაც თანამედროვეთა მიერ რეგისტრირდება, როგორც ნორმისგან გადახვევა, როგორც არაორდინარული ვითარება: მოვლენებით სავსე დროები ისტორიკოსთა მიერ აღიწერება, როგორც „მშფოთვარე“, „გარდამტეხი“ და ა. შ. რეალურად, მძიმე რყევები იწვევს ეთნიკური სისტემის გამარტივებას: გაბზარვის შემდეგ, აკმატური ფაზის აყვავება და მრავალფეროვნება მთელი მოცულობით არასოდეს არ აღდგება.

ეთნიკური სისტემის უკიდურესი გამარტივება მისი სასიცოცხლო ციკლის დასასრულს მოასწავებს. მაგალითად, IV საუკუნის რომის იმპერიაში ძირძველი რომაელების შთამომავლები არსებობდნენ მცირე სუბეთნოსის სახით. იგივე შეიძლება ითქვას ბიზანტიელი ბერძნების შესახებ 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის წინ. უკიდურესად გამარტივებულ სისტემა არსებობას განაგრძობს როგორც პერსისტენტი ან კვდება გარე ფაქტორების ზემოქმედებით.

ეთნიკური სისტემის გართულება – ეთნიკურ სისტემაში სისტემური კავშირების სიმტკიცის ზრდა, მისი შინაგანი მრავალგვარობის ზრდა. სისტემის გართულების ნათელი მაგალითია აღმავლობის ფაზა. გადის რა ამ ფაზას, ეთნიკური სისტემა უბრალო, პირველადი კონსორციიდან გარდაიქმნება სუპერეთნოსად. ასე მოხდა, მაგალითად, არაბ-მუსულმანებთან V-VIII საუკუნეებში, ქრისტიანებთან – I-IV საუკუნეებში. ანალოგიურია პროცესები უფრო დაბალი რანგის სისტემებისთვისაც – სუბეთნოსებიც და კონსორციებიც (კონვიქსიებიც) ყოველთვის უმარტივესი „ჩანასახისგან“ წარმოიქმნებიან, შემდეგ რთულდებიან და საბოლოოდ იშლებიან (მარტივდებიან და ქრებიან, ან იმავე რანგის რამდენიმე სისტემად იყოფიან). ასეთია ლ. გუმილიოვის თვალსაზრისი.

ეთნიკური სისტემის დაბერება – ლ. გუმილიოვის თეორიის თანახმად, ეთნიკურ სისტემაში პასიონარული ბიძგის ინერციის პროცესის დაკარგვა, რაც, ბუნებრივი გადარჩევის გზით, პოპულაციიდან პასიონარული ნიშან-თვისების თანდათანობით გაქრობაში მდგომარეობს. მას შემდეგ, რაც სისტემა მაღალი პასიონარული გახურების ფაზას გაივლის, პასიონარული ძაბვის დაქვეითების ხანგრძლივი და უთანაბრო პროცესი იწყება. ამ პირობებში შესაძლოა, შენარჩუნებულ იქნას მდიდარი კულტურული ტრადიცია, უზარმაზარი ტერიტორია და სახელმწიფო სტრუქტურა, მაგრამ ქმედითი ენერგიის დაკარგვას სისტემა ეთნიკური სიბერის მდგომარეობაში მოჰყავს, რის შემდეგაც იგი ისტორიის სცენიდან გაჰყავს. ასე მოუვიდა რომის იმპერიასაც, ბიზანტიასაც, ძველ ჩინეთსაც და სხვა ცივილიზაციებსაც, რამაც შესაძლებელი გახადა განზოგადება: ნებისმიერი ეთნიკური სისტემა, ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, ბავშვობის (ზრდისა და ექსპანსიის), სიმწიფის (მაქსიმალური აქტივობის) და სიბერის (დაცემისა და დაშლის) სტადიებს გადის.

ეთნიკური სისტემის რეზისტენტობა (ლათ. Resistentia – წინააღმდეგობა) – ლ. გუმილიოვის მიხედვით, ეთნიკური სისტემის უნარი დაუპირისპირდეს საგარეო ზემოქმედებას: უცხოელთა შემოჭრას, ანტისისტემების დამშლელ მოქმედებას, ეკოლოგიურ კატასტროფებსა და სხვა მოვლენებს. ეთნიკური სისტემის რეზისტენტობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია პასიონარობაზე, რომელიც განსაზღვრავს სისტემის უნარს ენერგიულად გაუმკლავდეს საგარეო ზემოქმედებას, გარემო პირობების შესაბამისად ეფექტურად გარდაქმნას შინაგანი სტრუქტურა. პასიონარობის დაკარგვის შემთხვევაში სისტემა უკიდურესად დაუცველი, აქტიური წინააღმდეგობისათვის გამოუსადეგარი ხდება. პასიონალური აღმავლობის ფაზაში კი სისტემა მომატებული რეზისტენტობით გამოირჩევა.

მიუხედავად ამისა, პასიონარობა არ არის ეთნიკური სისტემის რეზისტენტობის განმსაზღვრელი ერთადერთი ფაქტორი. არანაკლებ მნიშვნელოვანია შინაგანი მონოლითურობა, ანუ ერთიანი, დაურღვეველი ეთნიკური ტრადიციის ქონა. შიდა კონფლიქტებისა და ერთიანი მენტალობის დაკარგვის პერიოდებში შესაძლებელია შემოიჭრას ანტისისტემური სწავლებები, რომლებიც ეთნიკური სისტემების არსებობისათვის საფრთხეს წარმოადგენენ. ასე იყო X საუკუნეში არაბთა ხალიფატის განადგურების დროს, ჩინეთში „სამეფოთა ომების“ ეპოქაში (ძვ. წ. IV საუკუნე).

ეთნიკური სუბსტრატი (ლათ. Substratum – საფუძველი) – ეთნოსთა ერთობლიობა, რომელმაც საფუძველი დაუდო ახალი ეთნოსის ჩამოყალიბებას. ადამიანები, რომელთა წინაპრები სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთისგან ძალზე დაშორებულ, ეთნოსებში შედიოდნენ, პასიონარული ბიძგის შედეგად ქმნიან ახალ ეთნიკურ მთლიანობას, რომელიც, გამოიმუშავებს რა ქცევის ორიგინალურ სტერეოტიპს, იწყებს თავისი თავის გამიჯვნას ყველა სხვა ეთნოსებისგან. ახალი ერთობა ქმნის ეთნიკურ დომინანტას, რომელიც ეთნიკური სუბსტრატის ეთნოსებში გაბატონებულ ზნე-ჩვეულებებსა და მსოფლმხედველობას უპირისპირდება. იმავდროულად ეთნიკური სუბსტრატის ტრადიციები ეთნიკურ დომინანტას თავის დაღს მაინც ადებს. შემდგომში ეთნოგენეზის მიმდინარეობისას ოდესღაც ეთნიკური სუბსტრატის შემადგენელი ეთნოსები ქრებიან; მათი შთამომავლები ან ამოწყდებიან, ან ახალი ერთობის შემადგენლობაში ერთვებიან.

ლ. გუმილიოვის აზრით, ისტორიიდან ცნობილი, თითქმის, ყველა ეთნოსი ეთნიკურად არაერთგვაროვანი სუბსტრატიდან წარმოიშვა. მაგალითად, ინგლისელები ანგლების, საქსების, კელტების, დანების, ნორვეგებისა და დასავლელი ფრანგების შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ესპანელები წარმოიქმნენ იბერებისა, კელტებისა, გერმანული ტომებისა, რომაელი კოლონისტებისა და არაბი დამპყრობლების შთამომავლებისაგან, აგრეთვე, რიგი სხვა ეთნოსებისგან. ძალზე მრავალგვარი კომპონენტებისაგან (ესპანელები, ინდიელები, ნეგრები) ჩამოყალიბდნენ სამხრეთ ამერიკის თანამედროვე ეთნოსები.

ეთნიკური ტერიტორია – არეალი, რომლის ფარგლებში წარმოიშობა და არსებობს ეთნოსი. მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების განსაკუთრებულობით ეთნიკური ტერიტორია არსებით გავლენას ახდენს ეთნოსის ცხოვრებაზე, მის კულტურასა და ყოფაზე. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ტერიტორიული მთლიანობა, როგორც ეთნოსის წარმოშობის პირობა და მისი არსებობის ფაქტორი. ტერიტორიის მთლიანობა ეთნოსის ფორმირების უმნიშვნელოვანესი

პირობაა, მაგრამ აუცილებელი არაა უკვე ჩამოყალიბებულმა ხალხმა იგი შეინარჩუნოს. სხვადასხვა, თუნდაც ძლიერ დაშორებულ ტერიტორიებზე მცხოვრები, ერთი ეთნონიმის მატარებელი ხალხი, არცთუ იშვიათად, თავის ეთნიკურ კუთვნილებას თაობიდან თაობაში ინარჩუნებს (მაგალითად, ჩერქეზები მსოფლიოს 40 ქვეყანაში, სომხები რუსეთში, ლიბანში, სირიასა და აშშ-ში და ა. შ.).

ეთნიკური ტერიტორია ძირითადად ერთიანია, მაგრამ ზოგჯერ – წყვეტილი. ასეთად იგი ითვლება იმ შემთხვევაში თუ ერთი ეთნოსით დასახლებულ ორ ან რამდენიმე რაიონს შორის მნიშვნელოვანი შუალედური მანძილია, რაც მის გაყოფილ ნაწილებს შორის კონტაქტს ართულებს ან შეუძლებელს ხდის. პირველადი ტერიტორია, რომელზედაც ეთნიკური ერთობის ფორმირება ხდება, ეთნოსის განსახლების შედეგად შეიძლება შემდეგ გაფართოვდეს ან კომპაქტურობა დაკარგოს, შემცირდეს თავის ზომებში, დაიყოს ნაწილებად მის ფარგლებში უცხო ეთნიკური ჯგუფების მიგრაციის გამო.

თავისი ისტორიის განმავლობაში ხალხმა შესაძლოა ტერიტორია მთლიანად ან თითქმის მთლიანად შეიცვალოს და ახალ ადგილზე გადაინაცვლოს. უნგრულმა ეთნოსმა უკანასკნელი ათას ხუთასი წლის განმავლობაში ოთხჯერ, შესაძლოა, ხუთჯერ შეიცვალა განსახლების ტერიტორია. ამგვარად, არის რა ეთნოსის ფორმირების პირობა, ტერიტორიის მთლიანობა არ წარმოადგენს მკაცრად აუცილებელ ფაქტორს ეთნოსის შემდგომი აღწარმოებისათვის.

მაგრამ ტერიტორიის არსებობა წარმოადგენს ნებისმიერი ეთნოსის წარმოქმნის აუცილებელ პირობას. ტერიტორია ემსახურება სამეურნეო, სოციალურ-პოლიტიკური, ენობრივ-კულტურული და სხვა კავშირების განვითარებას ფორმირებადი ეთნოსების შიგნით, ხოლო მისი ბუნებრივი პირობები გავლენას ახდენს სამეურნეო საქმიანობის მიმართულებაზე, განსაზღვრავს მატერიალური და ნაწილობრივ სულიერი კულტურის, ყოფისა და ნორმატიული სისტემების თავისებურებებს.

ეთნიკური ტრადიცია – მოცემული ეთნოსისათვის დამახასიათებელი და თაობიდან თაობაში გარდამავალი ქცევის სტერეოტიპებისა და წესების, კულტურული კანონების, პოლიტიკური და სამეურნეო ფორმების, მსოფლმხედველობრივი განწყობების ერთობლიობა. ამ ეთნიკური ტრადიციებით განისაზღვრება ყოველი ეთნოსის თავისებურება, მისი ადგილი სხვა ხალხების რიგში. ეთნიკური ტრადიცია ყალიბდება ეთნოსის ახალგაზრდობის პერიოდში, როდესაც იგი გარემოსთან (ეთნიკურთან და ბუნებრივთან) შეგუების ჩვევებს აქტიურად გამოიმუშავებს.

ეთნიკური ტრადიცია შეიძლება დარღვეულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ეთნოსი ქიმერას მსხვერპლი ხდება, ანუ ნეგატიური ეთნიკური კონტაქტის დროს. ეთნოსის ნორმალურად განვითარების პირობებში ეთნიკური ტრადიცია, აღწევს რა უდიდეს აყვავებას და თავისებურებას, იწყებს გამარტივებას და ქრება თვით ეთნოსის დაცემასთან და გაქრობასთან სინქრონში. მიუხედავად ამისა, მისი ელემენტები შეიძლება გადავიდეს სხვა ახალგაზრდა ეთნოსზე, რომელიც ამ ელემენტებს აქტიურად ითვისებს და გადაამუშავებს. მაგალითად, ანტიკური ცივილიზაციის კვდომის შემდეგ, ელინიზმის ეპოქის ხელოვნების კანონები მრავალი ახალი ეთნოსებში გადავიდა და დღემდე ცოცხლობს. ამგვარად, ნებისმიერი ეთნოსის ეთნიკური ტრადიცია ცარიელ ადგილზე არ იქმნება, არამედ

წარმოადგენს წინამორბედთაგან ნასესხები ელემენტებისა და პრინციპულად ახალი თვისებების ორგანულ შეხამებას.

ეთნიკური უმცირესობა – ამა თუ იმ ეთნიკური (ეროვნული) კუთვნილების მქონე ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც რიცხოვნობით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მიმდებარე არაეთნიკურ მოსახლეობას მისი მთავარი დასახლების (ეთნიკური ტერიტორიების) ტერიტორიაზე ან შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში.

ეთნიკური ფუზია (ლათ. fusio – შერწყმა) – ენითა და კულტურით მონათესავე რამდენიმე ადრე დამოუკიდებელი ეთნოსების შერწყმა ახალ, უფრო მსხვილ ეთნოსად. ეთნიკური ფუზიის პროცესი, მასზე მოქმედი ფაქტორების (ქვეყნის სოციალური და ეთნიკური განვითარების დონე, მის ცალკეულ წევრებს შორის სამეურნეო და სხვა კავშირების ინტენსივობით) კომპლექსის ძალით, სხვადასხვა სიჩქარით მიმდინარეობს. რაც უფრო მაღალია ქვეყნის განვითარების დონე და რაც უფრო მჭიდროა კავშირები, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს ეთნიკური ფუზია. ეთნიკური ფუზიის ინტენსიური მიმდინარეობისათვის ძალზე არსებითია, აგრეთვე, პროცესში მონაწილე ჯგუფების ენობრივი, კულტურული, რელიგიური და რასობრივი სიახლოვე; გარკვეული გავლენა შეიძლება იქონიოს ტერიტორიის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურების სირთულემაც, რამდენადაც მცირე ეთნიკური წარმონაქმნების ძალზე დიდი რიცხვი (თუნდაც ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით ძალზე ახლომონათესავენი იყვნენ) ეთნიკური ფუზიის პროცესს უეჭველად ანელებს.

ეთნიკური ჯგუფი – ეთნოსის (ტომის, ერის) ნაწილი, რომელიც მიზეზთა გამო ეთნოსის ბირთვისგან გამოყოფილია და ცხოვრობს არა მშობლიურ, არამედ სხვა ეთნიკურ გარემოში. როგორც წესი, იგი მცირერიცხოვანი ჯგუფია, რომლის გაერთიანების საფუძველია ეთნიკური ნიშან-თვისებები: ენა, საერთო წარმომავლობის შეგნება, კულტურა, ყოფა, შემონახული ტრადიციები და ჩვევები.

ეთნიკური ჯგუფები შეიძლება იმყოფებოდნენ კომპაქტურ და დისპერსიულ მდგომარეობაში. პირველს ეწოდება ეთნოარეალური ჯგუფები, მეორეს - ეთნოდისპერსიული ჯგუფები. ეთნიკურ ჯგუფებს არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. ბევრ სახელმწიფოში არსებობს ეთნიკურ ჯგუფების უთანაბრობა, ე. წ. „ეთნიკური სტრატიფიკაცია“.

ეთნიკური ჯგუფები სხვადასხვა მიზეზის შედეგად ყალიბდებიან. უწინარესად, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს თავიანთი ეთნოისტორიული წინარე სამშობლო და სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში ეთნოკულტურული არეალები ჩამოაყალიბეს. მეორე მხრივ, ისინი მიგრაციების, ემიგრაციების, დეპორტაციების, საზღვრების ცვლილების შედეგად თავიანთი ეთნოსისაგან გამოყოფილი ადამიანების ერთობებია, რომლებიც სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ. მაგალითად, საქართველოში ეთნოგრაფიულ ჯგუფებს წარმოადგენენ: სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ქურთები, ქისტები და სხვ.

უმრავლეს შემთხვევებში ეთნიკური ჯგუფები მათ მიმღებ სახელმწიფოში უმცირესობებს წარმოადგენენ. ამასთან, ეთნიკური ჯგუფების კავშირები თავიანთ ეთნოსებთან სუსტია, ხშირად არარეგულარულია და შემთხვევითი ხასიათისაც კი. თაობიდან თაობაში მათი ეთნიკური თავისებურებები სუსტდება, მიმდინარე-

ობს ასიმილაციის პროცესები ეთნოსებთან, რომლებთანაც ერთად ისინი მუდმივად ცხოვრობენ. ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ეთნიკურ ჯგუფებს პრაქტიკულად საერთო არაფერი აქვთ ეთნოსებთან, რომლებსაც წარსულში მოწყდნენ. მათთვის საერთოა წარსულში ჩამოყალიბებული და შემდგომში მემკვიდრეობით მიღებული ეთნიკური ნიშან-თვისებები.

ეთნიკურ ჯგუფთაშორისი კონსოლიდაცია (ლათ. consolidatio – გამკვრივება, გამაგრება, შეზრდა, გადაბმა) - ადრე დამოუკიდებელი, მაგრამ ენითა და კულტურით მონათესავე ხალხების ახალ, უფრო მსხვილ ეთნოსად შერწყმა.

თანამედროვე პერიოდში ეთნიკურ ჯგუფთაშორისი კონსოლიდაცია დამახასიათებელია განვითარებადი და აზიის რიგი ქვეყნებისათვის (მაგალითად, ნიგერიისა, ზაირისა, კენიისა, მონღოლეთისა, ინდონეზიისა და სხვათათვის).

ეთნიკურ ჯგუფთაშორისი კონსოლიდაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული შიდაეთნიკურ კონსოლიდაციასთან და სავსებით შესაძლებელია გადავიდეს მეორეში. მიუხედავად ამისა, ეს პროცესები განსხვავებულია: ეთნიკურ ჯგუფთაშორისი კონსოლიდაციის მიმდინარეობის დროს იცვლება ეთნიკური თვითშეგნება, ანუ იგი ეთნოტრანსფორმაციულ ხასიათს ატარებს, შიდაეთნიკური კონსოლიდაცია კი არ იძლევა თვითშეგნების ცვლილებას, ანუ იგი თავისი არსით ეთნოევოლუციურია.

ეთნიკური ჰომეოსტაზი (ძვ. ბერძნ. ὁμοιοστάσις < ὅμοιος – ერთნაირი, ერთგვარი + στάσις – მდგომარეობა, უძრაობა) – ეთნოსის სტატისტიკური ან პერსისტენტული მდგომარეობა. ლ. გუმილიოვის მიხედვით, ეთნიკური სისტემის მდგომარეობა, რომლის დროსაც მისი სასიცოცხლო ციკლი არსებითი ცვლილებების გარეშე თაობიდან თაობაში მეორდება და სისტემა ინარჩუნებს ლანდშაფტთან და ყველა მსგავს (ანუ სტატისტიკურ) ეთნიკურ სისტემებთან წონასწორობას, ამასთან, რაიმე ფორმით გარემოს შემცვლელ მიზანმიმართულ აქტივობებს არ ავლენს. ეთნიკური ჰომეოსტაზის მდგომარეობაში მყოფი ეთნოსი შედგება საკმაოდ შრომისმოყვარე ადამიანებისგან, მაგრამ მოკლებულია მოთხოვნილებასა და უნარს ცხოვრებაში რაიმე შეცვალოს. პასიონარები სტატისტიკურ ეთნოსებში გამონაკლისის სახით გვხვდებიან და, ვერ პოულობენ რა სამშობლოში თავიანთი უნარების განხორციელების შესაძლებლობას, როგორც წესი, ემიგრირებენ. სუბპასიონარებიც შედარებით იშვიათობაა: ისინი მოკლებულნი არიან სრულფასოვანი ადაპტაციისა და შრომისმოყვარეობის უნარს, რაც ეთნიკური ჰომეოსტაზის პირობებში სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ეთნოსი ეთნიკურ ჰომეოსტაზში ეთნოგენეზის ყველა ფაზის გავლის შემდეგ გადადის და შეუძლია ამ მდგომარეობაში განუსაზღვრელად დიდხანს, თუკი იგი აგრესიის, გენოციდის, სტიქიური უბედურების ან ასიმილაციის მსხვერპლი არ გახდება. სტატისტიკური ეთნოსების მაგალითია ავსტრალიელები, თანამედროვე ჩრდილოამერიკელი ინდიელები, უკიდურესი ჩრდილოეთის მკვიდრი ხალხები (ჩუქჩები, ესკიმოსები. ალეუტები და სხვ.), პიგმეები (ცენტრალური აფრიკა) და სხვ.

ეთნიკურობა (Ethnicity) – ჯგუფის იდენტიფიკაცია, რომელიც დაფუძნებულია აღქმულ კულტურულ გარჩევაზე, რაც ჯგუფს „ხალხად“ აქცევს. ითვლება, რომ ეს გამორჩეულობა გამოხატულია ენაში, მუსიკაში, ღირებულებებში, ხელოვნებაში, სტილში, ლიტერატურაში, ოჯახურ ცხოვრებაში, რელიგიაში, რიტუა-

ლში, საკვებში, სახელწოდებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მატერიალურ კულტურაში. ამგვარი კულტურული ყოვლისმომცველობა – კულტურული მახასიათებლების უნიკალური ნაკრები, რომელიც აღიქმება, როგორც საკუთარი თავის გამოხატვა ჩვეულებრივ უნიკალური გზებით მოსახლეობის სოციოკულტურულ ცხოვრებაში – ახასიათებს ეთნიკურობის კონცეფციას. ის მოიცავს არა მხოლოდ „მოსახლეობას", ციფრულ ერთეულს, არამედ „ხალხს", სრულიად უნიკალურ კულტურულ ერთეულს. ეთნიკური წარმომავლობის ცნება ეწინააღმდეგება რასის კონცეფციას, რომელიც ეხება მოსახლეობის აღქმულ უნიკალურ საერთო ფიზიკურ და ბიოგენეტიკურ მახასიათებლებს. ეთნიკური ჯგუფის დასახასიათებლად გამოყენებული კრიტერიუმები – იქნება ეს ყოვლისმომცველი უნიკალური კულტურული თუ ბიოგენეტიკური მახასიათებლები – განსაზღვრავს, განიხილება თუ არა ჯგუფი ეთნიკურ/რასობრივ ჯგუფად.

ეთნოარქეოლოგია (ბერძნ. ἔθνος + ტომი, ხალხი + ἀρχαῖος - ძველი + λόγος - სიტყვა, მოძღვრება) – სამეცნიერო დისციპლინა, რომლის კვლევის ობიექტია ძველი და თანამედროვე ხალხების მატერიალური კულტურა, ხოლო საგანი – ამ კულტურაში ადამიანთა სამეურნეო თავისებურებებისა და მათი სოციალური ურთიერთობების ასახვა. საამისოდ წარმოებს ეთნოგრაფიული დაკვირვებები და ძველი დასახლებებისა და სადგომების არქეოლოგიური გათხრები. მოპოვებული განათხარი მასალის ეთნოგრაფიულ მონაცემებთან შეჯერება შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს კავშირები მატერიალურ კულტურასა და მის ნაშთებს შორის, ერთი მხრივ, და თანამედროვე სოციალური სინამდვილეს შორის, მეორე მხრივ.

ეთნობოტანიკა - ეთნობიოლოგიის განშტოება, რომელიც მცენარეებთან ადამიანების ურთიერთქმედებას სწავლობს. მეცნიერების ამ დარგის ძირითადი ამოცანაა: გაიგოს, როგორ გამოიყენება და აღიქმება მცენარეულობა ადამიანთა საზოგადოებაში, როგორია მცენარეების როლი სოციალურ ცხოვრებაში.

ტერმინი „ეთნობოტანიკა" 1895 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ასოციაცია შეკრებაზე წარმოთქმულ მოხსენებაში პირველად გამოიყენა ამავე უნივერსიტეტის ახალგაზრდა ბოტანიკოსმა ფონ ჰარშბერგერმა (J. W. Harshberger), განსაზღვრა რა მისი საგანი, როგორც „მცენარეები, გამოყენებულნი პირველყოფილი და ადგილობრივი (Туземные) ხალხების მიერ". 1896 წელს გამოქვეყნებული მოხსენებიდან მალევე მეცნიერების ამ მიმართულების აღმნიშვნელი ყველა დანარჩენი ტერმინი ეთნობოტანიკამ საბოლოოდ ჩაანაცვლა (რ. ფორდი). ხალხური ბოტანიკის მიმართ ეთნოლოგთა მასობრივი ინტერესის მაუწყი გახდა იმ ამერიკელი მეცნიერების კვლევები, რომლებმაც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩრდილოამერიკელი ინდიელების მიერ გამოყენებული სხვადასხვა სახეობის მცენარეების შეგროვებასა და აღწერაზე დაიწყეს მუშაობა. თავიდანვე იყო რა ინტერდისციპლინური მეცნიერება, ეთნობოტანიკა ვითარდებოდა თავისი ინტერესების სფეროების გაფართოების მიმართულებით. მალე ეთნობოტანიკა გახდა დამოუკიდებელი სპეციალობა ამერიკის უნივერსიტეტებში. 1930 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტში დაარსდა ეთნობოტანიკის ლაბორატორია. 2003 წლიდან ჰავაის უნივერსიტეტი გამოსცემს სპეციალურ ჟურნალს "Ethnobotany" (საიტის მისამართი: http://www.ethnobotanyjournal.org/).

ეთნოგენეზი (ბერძნ. ἔθνος – ხალხი, ტომი და γένεσις – წარმომავლობა) – ამა თუ იმ ხალხის ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი.

მეცნიერება იცნობს ორი სახის ეთნოგენეზს – პირველი გულისხმობს ხალხის ისტორიის საწყის სტადიას, როდესაც ერთ გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრებ მონათესავე და ზოგჯერ არამონათესავე ტომებს უყალიბდებათ საერთო ნიშნები, საერთო ენა, კულტურა, სამეურნეო ტრადიციები, მსოფლაღქმა – ყოველივე ის რაც ერთობლიობაში ეროვნულ თვითშეგნებას განსაზღვრავს. მეორე ტიპის ეთნოგენეზი ახალი დროის მოვლენაა, იგი შეიძლება განვითარდეს მიგრაციების შედეგად, უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსთა ასიმილაციისა და კონსოლიდაციის გზით. შესაძლებელია პირიქითაც მოხდეს, უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსის შიგნით მოხდეს ახალი ეთნოსის წარმოშობა.

ეთნოგენეტიკური მიქსაცია (ლათ. mixacio – შერევა) – გამაერთიანებელი ეთნიკური პროცესების სახეობა: რამდენიმე არამონათესავე ეთნოსების (ან ეთნოსთა ნაწილების) შერევა, რის შედეგადაც ახალი ეთნოსი წარმოიქმნება. ჩამოყალიბებული ახალი ეთნიკური ერთობა შეიცავს მასში შემავალი ეთნოსების კულტურის ელემენტებს, ამასთან, ამ ელემენტების ნაწილი მასში უფრო მეტად არის წარმოდგენილი, სხვა კი სუბსტრატის სახით ფიქსირდება.

ეთნოგენეტიკური მიქსაცია ზოგჯერ საკმაოდ ძნელია განვასხვაოთ სხვა ტიპის ეთნოგამაერთიანებელი პროცესებისგან, და ამიტომაც ისინი შედარებით გვიან განსაკუთრებულ ტიპად გამოიყო. ეთნოგენეტიკური მიქსაცია უფრო ახლოა ასიმილაციის პროცესთან. გამაერთიანებელი პროცესები ჩვეულებრივ განპირობებულია ტერიტორიული შერევითა და შერეული ქორწინების დიდი რიცხვით, რაც კონტაქტში მყოფი ეთნოსების მნიშვნელოვან მეტისაციას იწვევს. ეთნოგენეტიკური მიქსაცია განსაკუთრებით დამახასიათებელია ლათინური ამერიკისათვის, სადაც სხვადასხვა რასობრივი და ეთნოენობრივი კომპონენტებისაგან წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩარჩოებში ჩამოყალიბდა რიგი მსხვილი ხალხები (ბრაზილიელები, მექსიკელები, კოლუმბიელები და ბევრი სხვა).

ეთნოგრაფიული დიალექტიზმი – დიალექტიზმის ტიპი, რომელიც გამოხატავს მოცემული ტერიტორიისთვის დამახასიათებელ ეთნოგრაფიულ – ყოფის, კვების პროდუქტების და ა.შ. თავისებურებებს.

ეთნოგრაფიული ჯგუფი – კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ნაწილი, რომელსაც აქვს ენობრივი (დიალექტური), კულტურული და ყოფითი მახასიათებლები. ასეთ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არ არსებობს მკაფიო საზღვრები და მათი დამახასიათებელი ნიშნები იზოგლოსურად გამოყოფს სხვა ჯგუფების „საზღვრებს“.

ეთნოგეოგრაფია (ეთნიკური გეოგრაფია) – ეთნოლოგიისა და გეოგრაფიის ზღვარზე ჩამოყალიბებული სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც იკვლევს ეთნიკური ერთობების გეოგრაფიულ განლაგებას, მათი დასახლებებისა და ტერიტორიული ურთიერთკავშირების თავისებურებებს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ბუნებრივ და სხვა ფაქტორებთან მჭიდრო დამოკიდებულებაში; ამასთან, გათვალისწინებულია განსახლების ხასიათი (მაგ., ბინადარი და მომთაბარე), ტერიტორიის ათვისების ხარისხი, მოსახლეობის სიმჭიდროვე და ა.შ. ეთნოგეოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია – მსოფლიოს ქვეყნების ეროვნული შედგენილობის განსაზღვრა, ცალკეული ხალხებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფების (აგრეთვე, რასობრივი, ენობრივი, რელიგიური და სხვ.) რაოდენობის

დინამიკის დადგენა, როგორც ძირითადი დასახლების ქვეყნებში, ისე ამ ქვეყნების ფარგლებს გარეთ.

ეთნოდემოგრაფია (ეთნიკური დემოგრაფია) – სამეცნიერო დისციპლინა, ჩამოყალიბებული დემოგრაფიისა და ეთნოლოგიის მჭიდრო ურთიერთკავშირის, კვლევების სფეროში მათი საერთო ინტერესების არსებობის საფუძველზე. ეთნიკური დემოგრაფია მეცნიერების შედარებით ახალი დარგია (ჩამოყალიბდა XX საუკუნეში), რომლის გადასაწყვეტი პრობლემების წრე ძალზე ფართოა. რამდენადაც ეთნიკური დემოგრაფია განიხილება, როგორც ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მისი კვლევის ობიექტს, ისევე, როგორც მთლიანად ეთნოლოგიის, წარმოადგენს ხალხი (ეთნოსი). იმავდროულად შედის რა დემოგრაფიული მეცნიერების სისტემაში, ეთნოდემოგრაფია, ისევე, როგორც მთლიანად დემოგრაფია, მოსახლეობის აღწარმოების თავისებურებებს იკვლევს, ამგვარად, ეთნიკური დემოგრაფია შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც სხვადასხვა ტერიტორიის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, ხალხთა რიცხოვნობის დინამიკას, ბუნებრივი აღწარმოების თავისებურებებს შეისწავლის. ზოგიერთი ეთნოდემოგრაფი თავის კვლევებში არცთუ უსაფუძვლოდ ყურადღებას ამახვილებენ მიგრაციის ეთნიკურ ასპექტზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის განსაზღვრის მეთოდების შემუშავებასაც.

ეთნიკური დემოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ცალკეული ქვეყნების, რეგიონების და მთლიანად მსოფლიოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის განსაზღვრა. ამასთან, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შეისწავლება არაოდენ სტატიკაში, არამედ დინამიკაშიც, ე. ი. იმის გარკვევა, როგორი იყო იგი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. ეთნოდემოგრაფები იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენას ახდენენ, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის ცვლილებებს იწვევს; ეს შეიძლება იყოს იქ მცხოვრები ხალხების განსხვავება ბუნებრივ მატებაში, მიგრაციები, დაბოლოს, ეთნიკური თვითშეგნების ცვლილებათა პროცესები. ეთნოდემოგრაფთა ამოცანაა ამ სამი შემადგენლის კუმულაციური ეფექტის შესწავლა.

ეთნიკური დემოგრაფიის ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანაა ხალხთა რიცხოვნობის დინამიკის ანალიზი. მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც აღწერა რეგულარულად ტარდება და მის პროცესში მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა განისაზღვრება, ამ ამოცანის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია. ხალხთა რიცხოვნობის დინამიკის ტენდენციის გამოვლენა საშუალებას იძლევა არამარტო ქვეყანაში ეთნოდემოგრაფიული სიტუაციის განვითარების ღრმა ანალიზისათვის, არამედ ამა თუ იმ ხალხის მოსალოდნელი რიცხოვნობის დაახლოებითი განსაზღვრისათვის.

ეთნოდემოგრაფები აქტიურად მონაწილეობენ მოსახლეობის აღწერის მომზადებაში: ადგენენ ეთნიკურ და ენობრივ კითხვარს, ხალხების სიას, რომელთა საფუძველზე ხდება აღწერის მასალების დამუშავება.

ეთნოდემოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნებრივი აღწარმოების პროცესების ეთნიკური ფაქტორების გამოკვლევას. სხვადასხვა ხალხში შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები არსებითად განსხვავდება, და მკვლევრისთვის აუცილებელია ასეთი სხვაობის მიზეზების ცოდნა.

ამიტომ ეთნოდემოგრაფები სწავლობენ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუნებრივი მატების მაჩვენებლებზე. კონკრეტულ ხალხებში შობადობის ანალიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს მამაკაცთა და ქალთა საქორწინო ასაკთან, ქორწინება-უქორწინობასთან, ქორწინებამდელ და ქორწინების გარეშე კავშირებთან, მრავალშვილიანობასთან და უშვილობასთან დამოკიდებულების ტრადიცია, ქორწინებისა და ოჯახის გავრცელებული ფორმები, სქესობრივი ტაბუს არსებობა-არარსებობა, ოჯახში ქალის მდგომარეობა. შეისწავლება ხალხის სოციალური და კულტურული ცხოვრების სხვა ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენენ შობადობის დინამიკაზე.

ეთნიკური დემოგრაფია ეთნიკურ ფაქტორს სიკვდილიანობის დონის ანალიზის დროსაც ითვალისწინებს. სიკვდილიანობის მაჩვენებელზე გარკვეული გავლენა შეიძლება იქონიოს ტრადიციული საქმიანობის ხასიათმა, სიცოცხლის უზრუნველყოფის ზოგიერთმა ელემენტმა (საცხოვრებელი, სამოსი, საკვები).

ეთნიკური დემოგრაფიის ამოცანებში შედის არამარტო შობადობასა, სიკვდილიანობასა და სხვა დემოგრაფიულ მოვლენებზე გავლენის მქონე ფაქტორების შესწავლა, არამედ სხვადასხვა ხალხებში ამ მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი; შეისწავლება, აგრეთვე, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ხალხების ბუნებრივი მატების მაჩვენებლები.

ეთნოდემოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მიგრაციის (მიგრაციული ნაკადების ეთნიკური სტრუქტურის გამოვლენა, მიგრაციული სალდოს განსაზღვრა სხვადასხვა ეროვნებებისათვის და ა. შ.). გარდა ამისა, ეთნოდემოგრაფს აინტერესებს, თუ როგორ ახდენს გავლენას მიგრაცია მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის დინამიკასა და ამა თუ იმ ხალხის განსახლების ხასიათზე.

ეთნიკური დემოგრაფიის წინაშე მდგარი ამოცანების წრით განისაზღვრება ეთნოდემოგრაფიულ კვლევებში გამოყენებული ძირითადი ხასიათის წყაროები. უმნიშვნელოვანესი წყაროებია: მოსახლეობის აღწერები, მიმდინარე სტატისტიკური მონაცემები შობადობის, სიკვდილიანობის, ქორწინება-განქორწინების, შიდა და გარე მიგრაციის შესახებ. ეთნოდემოგრაფიულ კვლევებში ზოგჯერ გამოიყენება საველე ეთნოგრაფიული მასალები კულტურისა და ყოფის იმ სფეროებზე, რომლებიც დემოგრაფიულ ქცევებზე უშუალოდ ზემოქმედებენ.

ეთნოეკოლოგია – სამეცნიერო დისციპლინა, წარმოქმნილი ეთნოლოგიისა და ადამიანის ეკოლოგიის მეცნიერებების მიჯნაზე. ეთნოეკოლოგიის ამოცანაა ეთნიკური ერთობების სიცოცხლის უზრუნველყოფის ტრადიციული სისტემების თავისებურებათა შესწავლა სპეციფიკურ ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. მისი ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია გარემოსთან ეთნოსების ურთიერთობის ფორმებზე, აგრეთვე, ბუნებრივი და სოციალური გარემოს თავისებურებების გავლენას ადამიანსა და ადამიანთა ჯგუფებზე. ეთნიკური ეკოლოგია ესაზღვრება ისეთ სამეცნიერო დარგებს, როგორიცაა ეთნოგეოგრაფია (იხ.), ეთნოდემოგრაფია (იხ.), ეთნოფსიქოლოგია (იხ.), ეთნოგრაფია (იხ.), ეთნოსოციოლოგია (იხ.). იგი მოიცავს ბუნებასთან და სოციალურ გარემოსთან ეთნოსების ურთიერთკავშირის, ადაპტაციის, ეთნოკულტურული გარემოს დაცვის, ეთნიკური ცნობიერების სტრესული მდგომარეობის, ეთნოლოგიური კრიზისებისა და აკულტურაციისა და ეთნიკური ფასეულობების დაკარგვის და სხვა პრობლემების ფართო წრეს.

ეთნოენობრივი ასიმილაცია - ეთნიკური ასიმილაციის ეტაპი, უცხო ენობრივ გარემოში ამა თუ იმ ეთნოსის მიერ მშობლიური ენის დაკარგვა თვით შიდაეთნიკური კომუნიკაციის სფეროშიც კი. ენობრივი ასიმილაცია წარმოადგენს ეთნიკური ასიმილაციის მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც კულტურულ-ყოფითი ასიმილაციის შემდეგ იწყება და ეთნიკური თვითშეგნების დაკარგვასთან ერთად მთავრდება.

ეთნოენობრივი ჯგუფი – კონკრეტული ეროვნების ხალხთა ჯგუფი, რომელიც ცხოვრობს თავისი ისტორიული სამშობლოს გარეთ და აგრძელებს თავისი ეთნიკური ენის გამოყენებას, როგორც შიდაჯგუფური კომუნიკაციის საშუალებას.

ეთნოკონფესიური ჯგუფი – იხ. ეთნორელიგიური ჯგუფი.

ეთნოკონფლიქტოლოგია – კონფლიქტოლოგიის განსაკუთრებული დისციპლინა, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის ეთნოსთაშორის (ერთაშორის) კონფლიქტებსა და მათთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. ეთნოკონფლიქტოლოგია, როგორც კონფლიქტოლოგიური მეცნიერების დამოუკიდებელი მიმართულება, XX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა და ამდენად, ცოდნის შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად განვითარებადი დარგია.

ეთნოკონფლიქტოლოგიის შესწავლის ობიექტია ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი, როგორც სოციალური კონფლიქტის განსაკუთრებული ფორმა. მისი საგნობრივი დარგი მოიცავს ეთნიკურ ჯგუფთაშორისი კონფლიქტების წყაროებსა და მიზეზებს, გამოვლინებებსა და კონტაქტებს, დინამიკასა და შედეგების კანონზომიერებებს, აგრეთვე, კონფლიქტის რეგულირების საშუალებებსა და მექანიზმებს. ფუნქციონალური თვალსაზრისით, ეთნოკონფლიქტოლოგიის სტრუქტურაში გამოიყოფა კვლევის თეორიული და პრაქტიკული დონეები. გამოყენებით კვლევებში აქტიურად გამოიყენება თეორიულ დონეზე მიღწეული დასკვნები და დებულებები, ხოლო გამოყენებითი კვლევების შედეგები, თავის მხრივ, შესაბამისი თეორიული განზოგადების საფუძველი ხდება, ხელს უწყობს კონფლიქტური პროცესებისა და მათი რეგულირების პრინციპების ანალიზის ახალი საშუალებების გამომუშავებას. ფუნქციური თვალსაზრისით ეთნოკონფლიქტოლოგიის სტრუქტურაში გამოყოფენ კვლევის თეორიულ და გამოყენებით დონეებს. გამოყენებით კვლევებში აქტიურად გამოიყენება თეორიულ დონეზე მიღწეული დასკვნები და დებულებები, ხოლო შედარებითი გამოყენებითი კვლევების შედეგები საფუძვლად ედება შესაბამის თეორიულ განზოგადებებს, ხელს უწყობს კონფლიქტური პროცესებისა და მათი რეგულირების ახალი საშუალებების ანალიზს.

იხ. ერთაშორისი (ეთნიკურ ჯგუფთაშორისი) კონფლიქტი.

ეთნოკრატია (ბერძნ. ethnos – ხალხი + kratos - ხელისუფლება) – ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში ერთი ერის ან ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური ელიტის დომინირება ან განუყოფელი ბატონობა; სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც პოლიტიკური ხელისუფლება თავმოყრილია ერთი ერის ან ეთნიკური ჯგუფის ვიწრო ელიტარული ფენის წარმომადგენელთა ხელში. ეთნოკრატიის პირობებში პოლიტიკური ხელისუფლება ხორციელდება სატიტულო ან პრივილეგირებული ერის პოზიციებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.

მრავალეროვან, პოლიეთნიკურ სახელმწიფოში ეთნოკრატიული გამო-

ვლინებების დაძლევა შესაძლებელია ერთაშორისი ურთიერთობების დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის საფუძველზე, აგრეთვე, ეროვნული კუთვნილების გაუთვალისწინებლად ადამიანის უფლებათა დაცვის პირობებში. ერთაშორისი თანხმობა, ურთიერთპატივისცემა და ნდობა მიღწევადია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში ყველა ერის წარმომადგენლების პროპორციული მონაწილეობით.

ეთნოკულტუროლოგია – ეთნოლოგიასთან და კულტურის კვლევებთან დაკავშირებული სამეცნიერო დისციპლინა, რომლის საგანია ეთნიკური კულტურა. იგი სწავლობს ხალხთა შორის კულტურული პროცესების განვითარებას მათი ისტორიის მანძილზე. ეთნოკულტუროლოგიის მიერ შესწავლილი პრობლემებია: ეთნოსი, როგორც სოციოკულტურული საზოგადოება; ეთნოკულტურული პროცესების გარემო; ცხოვრების წესი და კულტურა ეთნიკურ ჯგუფში და ა.შ.

ეთნოკულტურული დიფუზია (ლათ. diffusio – გავრცელება) – ეთნიკური ერთობის სისტემებწარმომქმნელი ერთ-ერთი ნიშან-თვისების – ეთნიკური კულტურის – გავრცელების პროცესი. ეთნოკულტურული დიფუზია თავისი ინტენსიური განვითარების სტადიაზე შესაძლოა ეთნიკური კულტურის ნგრევის დასაწყისი გახდეს, და ამგვარად ეთნიკური ერთობა თავის ეთნიკურ იდენტობას კარგავს. ამ დროს მრავალრიცხოვანი ერის კულტურა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის კულტურაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს. განსაზღვრულ პირობებში ეთნოკულტურულ დიფუზიას დროთა განმავლობაში შეუძლია მცირერიცხოვანი ეთნიკური ერთობების ეთნოკულტურები გაქრობამდე მიიყვანოს. ეთნოკულტურის დაცვისა და განვითარების პრობლემა ეთნოსთაშორის კონფლიქტებს იწვევს. ეთნოკულტურის განვითარებისა და სრულყოფის მოთხოვნილება ეთნიკური ჯგუფის ბაზისური მოთხოვნილებაა, რამდენადაც ინდივიდისათვის საკუთარი ენით, სოციოკულტურული ფასეულობებით, ტრადიციებით, მატერიალური და სულიერი კულტურით სარგებლობა თავისი „ეთნიკური ფესვების“ შენარჩუნებას ნიშნავს. მრავალეროვან სახელმწიფოში სხვადასხვა ეთნიკური კულტურების მრავალმხრივი ინფილტრაცია მიმდინარეობს. ეთნიკური კულტურების ურთიერთმოქმედების პროცესს შეუძლია მოჰყვეს როგორც დადებითი, ისე ნეგატიური შედეგი. დიდ სახელმწიფოებში ეთნოკულტურული დიფუზიის პროცესი სახელმწიფოს, აგრეთვე, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სხვა ორგანიზაციების კონტროლით ხორციელდება.

ეთნოკულტურული მარგინალობა (ლათ. margo – საზღვარი, კიდე) – ორი ეთნიკური კულტურის ერთდროული კუთვნილება, რაც ორმაგ ეთნიკურ თვითშეგნებას წარმოშობს; თან ახლავს აკულტურაციისა და ასიმილაციის პროცესებს, დამახასიათებელია ეთნიკურად შერეული ქორწინებით შობილი ადამიანებისთვის, აგრეთვე, უცხო ეთნიკურ გარემოში ჩართული ეთნიკური უმცირესობისათვის. თანამედროვე პირობებში ეთნოკულტურული მარგინალობა ხშირად დაკავშირებულია უნიფიცირებულ „ევროპული“ ურბანისტული კულტურის ექსპანსიასთან, რომელიც ეთნიკურად სპეციფიკურ ტრადიციულ კულტურებს ეჯახება.

ეთნოკულტურული მარგინალობა თანხლებულია კულტურების სოციალური სტატუსის უთანასწორობის შესახებ წარმოდგენებით და ფსიქოლოგიურად გამოხატულია ინდივიდის მიერ თავისი სტატუსით უფრო „მაღალ“ კულტურასთან ზიარების სიმწირისა და ამოსავალ უფრო „დაბალ“ კულტურასთან

არასრული წყვეტის გაცნობიერებაში. მარგინალური ჯგუფი მეორე თაობაში მიისწრაფვის ჩქარა მოიცილოს ამოსავალი კულტურის თვისებები, მესამეში კი ხშირად შეინიშნება ტრადიციულ კულტურასთან დაბრუნება და ეთნიკური კულტურის სპეციფიკის აღორძინების გაძლიერება (მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ასიმილირებულ ხალხში).

ეთნოლემა – ერთ ენაზე მოსაუბრეთა ჯგუფი, რომლებსაც აერთიანებთ ეროვნული კუთვნილება.

ეთნოლექტი (ბერძნ. ethnos „ხალხი“ + lect) – ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილი მრავალფეროვნება, რომელიც ფუნქციონირებს ენობრივი კონტაქტის ზონაში და შეიძინა სპეციფიკური მახასიათებლები ორენოვანთა მშობლიური ენის (ენების) გავლენით. ხანგრძლივმა კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს სისტემური ცვლილებები მოცემულ ენაში, რომელიც გამოიყენება მოცემულ ტერიტორიაზე, რაც საბოლოოდ იწვევს ამ ენის „ლოკალური“ ვერსიის ჩამოყალიბებას. ენის ცვლილებები გავლენას ახდენს ენის სხვადასხვა დონეზე: პროსოდიურზე (ინტონაციური სტრუქტურების ნიმუშის ცვლილება), ფონეტიკა (ბგერათა გამოთქმა, აქცენტის ნიმუშები), სინტაქსი, ლექსიკა. მშობლიური ენა მოსახლეობას შეუძლია შეიძინოს ეთნოლექტის სახით. ეთნოლექტის მატარებლების კომუნიკაციური საზოგადოების დემოგრაფიული ბაზა შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისგან.

ეთნოლინგვისტიკა (ბერძნ. ethnos „ხალხი“ + ლათ. linguistica) – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ენას მის კულტურასთან მიმართებაში; ლინგვისტური, ეთნოკულტურული და ეთნო-ფსიქოლოგიური ფაქტორების ურთიერთქმედებას ენის ფუნქციონირებასა და ევოლუციაში. უფრო ფართო გაგებით, ეთნოლინგვისტიკა განიხილება, როგორც რთული დისციპლინა, რომელიც სწავლობს კულტურის, ხალხური ფსიქოლოგიის და მითოლოგიის „შინაარსის გეგმას“ ლინგვისტური მეთოდების გამოყენებით. ეთნოლინგვისტიკა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეთნოგრაფიის წიაღში ჩაისახა და განვითარება ჰპოვა ამერიკის შეერთებული შტატების ენათმეცნიერებაში, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის მრავალრიცხოვანი ინდიელი ტომების ინტენსიურ შესწავლასთან დაკავშირებით. მაგრამ თავდაპირველად ძირითადი ყურადღება საკუთრივ ეთნოგრაფიულ მასალაზე იყო გადატანილი. ეთნოლინგვისტიკა სპეციალურ, ენათმცოდნეობით, პლანში მხოლოდ XX საუკუნის პიველ მეოთხედში წარმოიშვა. ფ. ბოასმა და მისი მოწაფების პირველმა თაობამ ამერიკულ ლინგვისტიკაში ახალ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი, მონიშნა რა პრობლემათა გარკვეული წრე და მათი შესწავლის მეთოდები (ამერიკელ მეცნიერთა ნაშრომებში ტერმინი „ეთნოლინგვისტიკა“ ჩანაცვლებულია ტერმინებით „ანთროპოლინგვისტიკა“, „ეთნოსემანტიკა“ და სხვ.). ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ამერიკელ ინდიელთა ენების გენეტიკური ნათესაობა წარმოადგენდა. თავდაპირველად ეთნოლინგვისტიკის ინტერესების სფეროში სემანტიკის პრობლემები შედიოდა. XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩნდება ბოასის მოწაფეების მეორე თაობის ნაშრომები. ამ პერიოდში წარმოქმნილი დესკრიფციული ლინგვისტიკა ლინგვისტური დისციპლინების წრიდან გამორიცხავს სემანტიკას; ენის შინაარსობრივი მხარისადმი ინტერესის აღორძინება XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისს განეკუთვნება, რაც მნიშვნელოვნად სეფირ-უორფის ჰიპოთეზის გაცხოველებულმა განხილვამ განაპირობა,

ჰიპოთეზისა, რომელიც ეთნოლინგვისტიკის ფარგლებში წარმოიქმნა და ნეოჰუმბოლდტიანობის ამერიკული ნაირსახეობის მიღწევებს დაეფუძნა. სამეცნიერო პრაქტიკაში შემოვიდა კომპონენტური ანალიზის მეთოდი. 50-70-იან წლებში სემანტიკის ეთნოლინგვისტური პრობლემების შესასწავლად ფართოდ გამოიყენება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიური მეთოდები. 70-იან და 80-იანი წლების დასაწყისში წარმოებს სხვადასხვა ენების სემანტიკური მოდელების, ხალხური ტაქსონომიის (folk taxonomy), პარალინგვისტური მოვლენებისა და სხვა პრობლემების კვლევა; დღის წესრიგში დგება ენობრივი მონაცემების საფუძველზე სულიერი ეთნიკური კულტურის ისტორიისა და რეკონსტრუქციის პრობლემების შესწავლის აუცილებლობა. 70-80-იან წლებში ეთნოლინგვისტიკის საგნისა და ამოცანების გაფართოებას ხელი შეუწყო კვლევებმა ფოლკლორისტიკის დარგში, სადაც ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის ახალი მხარეები გამოვლინდა. სსრ კავშირში ეს ეს პრობლემები ნ. ტოლსტოის ხელმძღვანელობით მუშავდებოდა. სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, ეთნოგრაფიის ფარგლებში დგება შემდეგი ამოცანები: კონკრეტული ენების (ენათა ოჯახების) ისტორიის აღწერა მათი მატარებლების ეთნიკურ ისტორიასთან მჭიდრო შეხამებით; ეთნოლინგვისტური ატლასების შექმნა (ეთნოლინგვოგეოგრაფიის განვითარება); ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემის ფარგლებში შესწავლა ცნებითი კონსტანტებისა, რომლებიც ენასა და კულტურაში სხვადასხვაგვარად ვლინდება, მაგრამ ერთი არსი (აზრი) გააჩნიათ; ენათმეცნიერებისა და მითოლოგიის მოსაზღვრე სფეროების შესწავლა ამ მოვლენებზე, როგორც სემიოტიკურ ნიშნად სისტემებზე, ერთიანი შეხედულების საფუძველზე.

ეთნოლინგვისტური ინტეგრაცია – პროცესების სახეობა, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური ჯგუფის გაერთიანებას და, შედეგად, მისი ენის ერთგვაროვნებას.

ეთნოლოგია (ბერძნ. ἔθνος, ეთნოსი – ხალხი + λόγος – სწავლება, მეცნიერება) – ანთროპოლოგიის განშტოება, აანალიზებს და ადარებს კაცობრიობის ეთნიკური, რასობრივი და/ან ეროვნული თავისებურების წარმოშობას, გავრცელებას, ტექნოლოგიებს, ისევე როგორც, მათ რელიგიებს, ენებს და სოციალურ სტრუქტურას. ეთნოლოგია იკვლევს ეთნიკური კულტურათა საერთო და განსხვავებულ ფორმებს, მათი განვითარების კანონზომიერებებს, იმას, თუ რა წვლილი შემოუტანია კაცობრიობას კულტურის საგანძურში ამა თუ იმ ხალხს. ეთნოლოგია იმასაც სწავლობს, თუ რა განაპირობებს და ასაზრდოებს სხვადასხვა ხალხში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ყოფაქცევის ნორმებს. ტერიტორიული მოცულობის მიხედვით ეთნოლოგია არის ზოგადი და რეგიონული. ეთნოლოგიის მთავარი წყაროა უშუალოდ ცოცხალ სინამდვილეში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, რომლის ფიქსირების დროს ეთნოლოგია ემყარება საველე კვლევა-ძიების მეცნიერულ მეთოდს (იხ. ეთნოგრაფია) ინფორმატორთა გამოკითხვით ან შესწავლილ ობიექტზე უშუალო დაკვირვებით. საველე მასალასთან ერთად იგი ფართოდ იყენებს მომიჯნავე დისციპლინების (ენათმეცნიერება, ისტორია, არქეოლოგია, გეოგრაფია, ფოლკლორი, ანთროპოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვ.) მონაცემებს.

ეთნომიგრაციული პროცესები - ქვეყნებს, რეგიონებს, ქალაქებსა და დასახლებებს შორის სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მიერ განხორციელებული

გადაადგილების პროცესების ერთობლიობა. ასხვავებენ შიდა (ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გადაადგილება) და გარე (ერთი ქვეყნიდან მეორეში) მიგრაციებს (ლათ. migratio – გადასახლება). გამოიყენება აგრეთვე ტერმინი იმიგრაცია (ლათ. immigrare - ჩასახლება) - უცხოელთა მიერ რომელიმე ქვეყანაში ჩასვლა იქ მუდმივი ცხოვრების მიზნით და ემიგრაცია (ლათ. emigrare - საცხოვრებლად გადასვლა) - ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლება, გამოწვეულიო სხვადასხვა მიზეზით (ეკონომიკურით, პოლიტიკურით, რელიგიურით და სხვ.). ხშირად ტერმინი „ემიგრაცია“ აღნიშნავს რომელიმე ქვეყანაში მცხოვრები ემიგრანტების ერთობლიობას. შიდა ეთნომიგრაციული პროცესები განპირობებულია: 1. ცხოვრების დონისა და ხარისხის რეგიონული სხვადასხვაობით; 2. წარმოებისა და სამუშაო ადგილების განთავსებაში ცვლილებებით; 3. შრომითი რესურსების აღწარმოების მასშტაბებით, ხასიათითა და რეგიონული განსხვავებით.

ეთნონაციონალური პოლიტიკა (ეთნოპოლიტიკა) – ახალი კონცეფცია მეცნიერებაში, რომელიც გამოხატავს, ერთი მხრივ, თანამედროვე ეთნიკური ჯგუფების შიდა პოლიტიზებას და მათ ჩართულობას აქტიურ საერთაშორისო პროცესებში, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროებასა და საშუალებებს.

ეთნონიმი (ბერძნ. Ethnos „ტომი, ხალხი“, onima „სახელი“) – ეთნიკური ჯგუფის სახელი (ხალხი, ტომი, ეროვნება, ერი და სხვ.). ეთნიკური ჯგუფის სახელწოდება შეიძლება გავრცელდეს მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ამ შემთხვევაში ეთნონიმთან ერთად არის ეთნოტოპონიმი.

ეთნონიმიკა (ბერძნ. Ethnos „ტომი, ხალხი“, onima „სახელი“) – ონომასტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ეთნიკური თემის (ტომები, ხალხები, ეროვნებები, ეთნიკური ჯგუფები და ა.შ.) სახელებს (ეთნონიმებს), მათ შორის ეთნონიმების ისტორიას (დიაქრონიული ასპექტი), ფუნქციონირების (სინქრონული ასპექტი), შედგენილობის კანონზომიერებს (სტრუქტურული ასპექტი).

ეთნოპოლიტოლოგია - პოლიტიკური მეცნიერების დარგი, რომელიც პოლიტიკისა და ეთნოსების ურთიერთქმედების სფეროს სწავლობს. ეთნოკონფლიქტოლოგიის საგნისა და პრობლემატიკის ქვეშ გაიგება: ეთნონაციონალურ ერთობათა (ეთნოსთა, ერთა, ეთნიკურ ჯგუფთა) ადგილი და როლი კაცობრიობის ისტორიასა და საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ ურთიერთქმედებას ერთმანეთთან, სახელმწიფოსთან და მის ორგანოებთან, ეთნოპოლიტიკური პროცესების კანონზომიერებას, ეთნონაციონალური პოლიტიკის საწყისსა და პრინციპებს, ხალხთა პოლიტიკურ მისწრაფებებსა და მათ მიერ ამა თუ იმ ფორმის ნაციონალური სახელმწიფოებრიობის მოპოვებას, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების რეგულირების გზებსა და მეთოდებს და ეთნოპოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა ცალკეულ სახელმწიფოებსა და მთლიანად მსოფლიოში.

თავდაპირველად ეთნოპოლიტიკური სფეროს პრობლემატიკა აღინიშნებოდა როგორც „ნაციონალური საკითხი“ და მოიცავდა პრობლემების ძალზე ფართო წრეს: ფილოსოფიურს, სოციალურს, ფსიქოლოგიურს და სხვას, დაკავშირებულს ერებთან და მათი გადაწყვეტის პოლიტიკურ საშუალებებთან. მხოლოდ 60-იანი წლების დასარულსა და 70-იანების დასაწყისში დაიწყო ეთნოსებთან დაკავშირებული ეთნოპოლიტიკური პრობლემატიკის გამოცალკევება და მის კვლევებში სოციოლოგიური მეთოდების გამოყენება.ამაში პრიორიტეტი ამერიკულ პოლიტიკურ სოციოლოგიას ეკუთვნის.

ეთნოპოლიტოლოგიაში გამოიყოფა ეთნოპოლიტიკური ქმედების სხვადასხვა სუბიექტები, მათ შორის – პიროვნება, ეთნიკური ერთობები (ეთნოსები), განსხვავებული ეთნოპოლიტიკური ინსტიტუტები. მნიშვნელოვან მოქმედი პირები, პოლიტიკის ჯგუფური სუბიექტები, არიან ეთნიკური ერთობები (ეთნოსები). ეთნოსები წარმოადგენენ არამარტო სუბიექტებს, არამედ ობიექტებსაც, რამდენადაც გარკვეული მიზნით შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურები შეიმუშავებენ და ახორციელებენ ეთნიკურ (ეროვნულ) პოლიტიკას. მოცემული სტრუქტურების ანალიზს, აგრეთვე, მათ მიერ შესრულებული ფუნქციების ანალიზს ეთნოპოლიტოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამგვარად, ეთნოპოლიტოლოგია არის ორი სამეცნიერო დისციპლინის - ეთნოლოგიისა (თეორიული ხალხთმცოდნეობა) და პოლიტოლოგიის (მეცნიერება პოლიტიკის შესახებ) სინთეზი. გარდა ამისა, ეთნოპოლიტოლოგია მჭიდროდ ეკვრის ცოდნის ისეთ დარგებს, როგორიცაა ეთნოგრაფია, ეთნოსოციოლოგია, ეთნოფსიქოლოგია, ეთნოკონფლიქტოლოგია და სხვ.

ეთნორასობრივი ჯგუფი – ადამიანთა ჯგუფი, რომელიც განსხვავდება ადგილობრივი მოსახლეობისაგან ეთნიკური (ლინგვოკულტურული) და გარეგნული ანთროპოლოგიური მახასიათებლებით. ეთნორასობრივი ჯგუფის წარმოშობა დაკავშირებულია ხალხის შორ მანძილზე მიგრაციასთან სხვა ეთნიკური და რასობრივი კუთვნილების ხალხით დასახლებულ რეგიონებში.

ეთნორელიგიური (ეთნოკონფესიური) კონფლიქტი – რელიგიურ-ეთნიკური უთანხმოების ნიადაგზე წარმოქმნილი მწვავე წინააღმდეგობა, რომელშიც სოციალური ჯგუფები ან ინდივიდები არიან ჩართულნი. საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მასობრივ ცნობიერებაში რელიგიისა და ეთნოსის მჭიდრო კავშირის პირობებში რელიგიები ეთნოსთაშორის ურთიერთობაში უშუალოდ არის ჩართული. ამ ურთიერთობათა სისტემაში რელიგია ეთნოდეზინტეგრაციულ და ეთნოინტეგრაციულ ფუნქციებს ასრულებს. პირველი ფუნქცია ეს არის ეთნიკური და ეთნორელიგიური ჯგუფების გამოცალკევებისა და გამიჯვნის ფუნქცია. მას შეიძლება ჰქონდეს, როგორც პოზიტიური რეზულტატი (მაგალითად, ეთნიკური იდენტობის, ეთნიკური კულტურის შენარჩუნება), ისე ნეგატიური შედეგი (მაგალითად, ეთნიკური უთანხმოების გაძლიერება რელიგიურ ნიადაგზე, ერთაშორისი მტრობის გაღვივება. ყოველივე ამას მოჰყვება ეთნორელიგიური კონფლიქტი. რელიგიურმა სხვაობამ შესაძლოა ეთნორელიგიური (ეთნოკონფესიურ) ჯგუფების ურთიერთობაში კომუნიკაციური ბარიერი შექმნას, რომელიც პოლიეთნიკური საზოგადოების პირობებში ხალხთა ეთნოკულტურული თავსებადობის (კონგრუენტულობის) ჩამოყალიბება დააბრკოლოს, რაც შეიძლება ეთნორელიგიური კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი გახდეს. საყურადღებოა, რომ ეთნორელიგიური კონფლიქტის საფუძველი მუდამ რელიგიური წინააღმდეგობა და ეთნიკური უთანხმოება როდია. ეთნორელიგიური კონფლიქტის საფუძველი, როგორც წესი, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებია. ამასთან, არ შეიძლება რელიგია განვიხილოთ, როგორც კონფლიქტის პასიური შემადგენელი. რელიგიური ცხოვრება, როგორც საზოგადოების განსაკუთრებული სფერო, დამოუკიდებელი მნიშვნელობისაა. ყოველი რელიგია გარდა ტრანსცედენტულად ორიენტირებული მოქმედების ფორმებისა, შეიცავს სოციალურ მოქმედების - აქტიურობის, გარკვეულ პოტენციას, მიმართულს საზოგადოების ცვლილებისკენ, არსებობის

მიწიერი რეალიებისკენ. სოციალური გადაწყობის რელიგიური ენერგია შეიძლება ეთნიკურ კონფლიქტებში ამოქმედდეს: მას გამწვავების, კონფლიქტურობის მაღალი დონის ხელშეწყობის, უთანხმოების შერბილების დაბრკოლების ძალა გააჩნია. ეთნმოლოკალური რელიგიები, ჩაკეტილნი ეთნიკური ერთობების საზღვრებში, პოტენციურად უფრო კონფლიქტურნი არიან, ვიდრე ტრანსნაციონალური, ეთნოუნივერსალური რელიგიები.

ეთნორელიგიური ჯგუფი - ეთნიკური წარმომავლობითა და საერთო რელიგიით, კონფესიით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობა. ეთნორელიგიური ჯგუფის წარმოშობას საფუძვლად უდევს ეთნიკური და რელიგიური საწყისების მჭიდრო გადაბმა, შეზრდა. ცნება „ეთნოგრაფიული ჯგუფი“ საერთო წარმომავლობის მორწმუნე ადამიანთა ერთობლიობას აღნიშნავს. მაგალითად, მორწმუნე ქართველები ქართულ ეთნორელიგიურ ჯგუფს ქმნიან. ცნება „ეთნიკონფესიური ჯგუფი” (ბერძნ. ἔθνος - ტომი, ხალხი + ლათ. confession - სარწმუნოება) აღნიშნავს კონკრეტული კონფესიის მიმდევრებს, რომლებიც საერთო ეთნიკური წარმომავლობით არიან გაერთიანებულნი. ეთნორელიგიური ჯგუფი შეიძლება მოიცავდეს განსხვავებული კონფესიის ჯგუფებს. მაგალითად, ქართულ ეთნორელიგიურ ჯგუფში შედიან ქართველი მართლმადიდებლების, ქართველი კათოლიკეების, ქართველი პროტესტანტების (ორმოცდაათიანელები, ბაპტისტები, იეღოვას მოწმეები) ქართველი მუსლიმების და სხვა ეთნოკონფესიური ჯგუფები. რამდენადაც ქართული მართლმადიდებლობა სარწმუნოებრივი მოძღვრების, საკულტო და ორგანიზაციული თვალსაზრისით არაერთგვაროვანია, ქართველი მართლმადიდებლური ჯგუფის ეთნოკონფესიური ჯგუფების საერთო სტრუქტურაში შედის ე. წ. ძველ მართლმადიდებელთა ჯგუფი. ეთნორელიგიური ჯგუფების არსებობა და საქმიანობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ყველა თანამედროვე სოციუმის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეთნორელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა თანამედროვე მსოფლიოში უდიდეს როლს თამაშობენ.

ეთნოსების კლასიფიკაცია – მსოფლიოს ეთნოსების განაწილება აზრობრივ ჯგუფებში ადამიანთა ამ ერთობების ნიშან-თვისებების, პარამეტრების მიხედვით. არსებობს რამდენიმე კლასიფიკაცია, მაგრამ მათ შორის ყველაზე გავრცელებულია არეალური და ეთნოლინგვისტური კლასიფიკაციები.

არეალური კლასიფიკაციის დროს ხალხები ჯგუფდებიან მსხვილი რეგიონების, ანუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების მიხედვით, რომელთა ფარგლებში ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში გარკვეული კულტურული ერთობა ჩამოყალიბდა. უპირველესად ამ ერთობას თვალი მიედევნება მატერიალური კულტურის სხვადასხვა ელემენტებში, აგრეთვე, სულიერი კულტურის ცალკეულ მოვლენებში. არეალური კლასიფიკაცია შესაძლოა განვიხილოთ როგორც თავისებური ისტორიულ-ეთნოგრაფიული დარაიონება. ხალხთა არეალური ჯერჯერობით საკმარისად არ არის შესწავლილი. მეცნიერებმა ჯერაც ვერ მიაღწიეს ერთიან შეხედულებას მსოფლიოს ძირითად ისტორიულ-კულტურულ რეგიონებთან, ასევე, ამ რეგიონების საზღვრებთან დაკავშირებით.

სპეციალისტთა შორის შედარებით პოპულარულია ეთნოლინგვისტური კლასიფიკაცია, ანუ ხალხთა დაჯგუფება ენობრივი ნათესაობის ნიშანის მიხედვით. ენა ეთნოსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა და ეთნოლინგ-

ვისტური კლასიფიკაციისას გამოიყოფა ხალხთა ჯგუფები, რომლებსაც საერთო წარმოშობთ, ან ხანგრძლივი კულტურული კონტაქტები. თავისი ფორმით ეთნოლინგვისტური კლასიფიკაცია ძალზე ახლოს დგას ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან. ეთნოლოგები მსოფლიოს ხალხთა დაჯგუფებისათვის თითქმის ყოველგვარი ცვლილების გარეშე იყენებენ ლინგვისტების მიერ გამომუშავებულ სისტემას.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ეთნოსების კლასიფიკაცია ხალხთა საერთო წარმოშობის საფუძველზე, ე. წ. ეთნოგენეტიკური კონები: ეთნოგენეტიკური ხეები, ეთნოგენეტიკური ბუჩქები, ეთნოგენეტიკური ღეროები, ეთნოგენეტიკური შტოები. კონკრეტული ეთნოგენეტიკური შტოების გამოყოფის ამ ვარიანტში ძირითადი კრიტერიუმია ენობრივი ერთობა, აგრეთვე, დასაჯგუფებელ ხალხებში საერთო ანთროპოლოგიური სუბსტრატის არსებობა, სუბსტრატისა, რომლის ფორმირება შორეულ წარსულს განეკუთვნება. იხ. ეთნოგენეზი, ეთნოსი, ეთნოსოციალური ერთობა.

ეთნოსემანტიკა (Ethnosemantics) – ეთნოგრაფიული კვლევებისა და ეთნოლინგვისტიკის მეთოდი, რომელიც ფოკუსირებულია სემანტიკაზე, თუ როგორ ანაწილებენ ადამიანები თავიანთ ენებში სიტყვებს. ეთნოსემანტიკა არკვევს, თუ როგორ ასახელებენ და აკლასიფიცირებენ ადამიანები თავიანთ სამყაროში არსებულ კულტურულ, სოციალურ და გარემო ფენომენებს და აანალიზებენ ამ კლასიფიკაციების სემანტიკურ კატეგორიებს, რათა გაგებულ იქნეს კულტურული მნიშვნელობები, თუ როგორ აღწერენ ადამიანები თავიანთ სამყაროში არსებულ ნივთებს. ეთნოსემანტიკა ეყრდნობა ფრანც ბოასის კულტურული ფარდობითობის თეორიას (იხ.), ასევე ლინგვისტური ფარდობითობის თეორიას (იხ.). კულტურული ფარდობითობის გამოყენება ეთნოსემანტიკურ ანალიზში ემსახურება ანალიზების ფოკუსირებას ცალკეულ კულტურასა და მათ ენობრივ ტერმინებზე, ვიდრე ეთნოსემანტიკის გამოყენებას კულტურის ყოვლისმომცველი თეორიების შესაქმნელად და როგორ ზემოქმედებს ენა კულტურაზე.

ეთნოსი (ბერძნ. ethnos - ტომი, ხალხი) - განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული მდგრადი ერთობა ადამიანებისა, საერთო ნიშნებითა და კულტურისა (ენის ჩათვლით) და ფსიქოლოგიური წყობის სტაბილური თავისებურებით, აგრეთვე, თავიანთი ერთიანობისა და სხვა მსგავსი წარმონაქმნებისგან განსხვავების შეგნებით, ფიქსირებული თვითსახელწოდებით (ეთნონიმით).

ეთნოსის ჩამოყალიბებისა და ნიშან-თვისებების ფაქტორები განსხვავდება. ეთნოსის ფორმირება ხდება ტერიტორიისა და ეკონომიკური ცხოვრების ერთიანობის საფუძველზე, მაგრამ შემდგომი განვითარების პროცესში ბევრი ეთნოსი ტერიტორიის ერთიანობას კარგავს. ნიშან-თვისებები, რომელიც უკვე არსებული ეთნოსის სისტემურ თვისებებსა და სხვა ეთნოსებისაგან განსხვავებას გამოხატავს, - ეს არის ენა, ხალხური შემოქმედება, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ქცევის ნორმები, ჩვევები, ანუ კულტურის კომპონენტები, რომლებიც, გადაეცემა რა თაობიდან თაობას, აყალიბებს ე. წ. ეთნიკურ კულტურას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სტილით.

კულტურის კომპონენტებიდან არცერთი არ წარმოადგენს აუცილებელ ეთნომადიფერენცირებელ ნიშან-თვისებას, რამდენადაც ეთნოსი განსაზღვრული

მთლიანობაა, უსათუოდ გააჩნია ანტითეზა „ჩვენ“ – „ისინი“. ამიტომ ეთნოსი არის მხოლოდ ისეთი კულტურული ერთობა, რომელიც თავის თავს სხვა ანალოგიური ერთობებისგან განასხვავებს, ანუ ფლობს ეთნიკურ თვითშეგნებას. ეთნიკური თვითშეგნების მნიშვნელოვანი კომპონენტია წარმოდგენები ეთნოსის ყველა წევრის საერთო წარმომავლობა, რომლის ქვეშაც მათი წინაპრების ერთობლივი ისტორიული პრაქტიკა გაიგება. ეთნოსის წევრთა კულტურული ერთობას შეუძლია ჩამოაყალიბოს ფსიქიკური წყობის ერთობაც. ეთნიკური თვითშეგნება გამოიხატება აგრეთვე საერთო ეთნონიმის გამოყენებაშიც.

ზოგჯერ ეთნოსის ფორმირებას ხელს უწყობს მასში შემავალი ჯგუფების რელიგიის ერთობა, აგრეთვე, რასობრივი თვალსაზრისით მათი სიახლოვე ან გარდამავალი მეტისური ჯგუფების წარმოქმნა (მაგალითად, ბრაზილიელებში, კუბელებში და სხვ.).

ჩამოყალიბებული ეთნოსი გვევლინება, როგორც სოციალური ორგანიზმი, რომელიც ეთნიკურად ერთგვაროვანი ქორწინებისა და ახალი თაობისათვის თვითშეგნებისა და კულტურის გადაცემის გზით თავის აღწარმოებს. ეთნოსს გაჩნია ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის ტენდენცია, მაგრამ მისი არსებობა ეთნოსისათვის აუცილებელი არაა, ხოლო ზოგიერთი პერიოდისათვის - დამახასიათებელი არაა. დროთა განმავლობაში კულტურა, გეოგრაფია, განსახლება, ეთნოსის არსებობის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობები შეიძლება არსებითად შეიცვალოს, მაგრამ, ვიდრე მათ შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური თვითშეგნება, როგორც ძირითადი ეთნიკური მსაზღვრელი, ისინი უწინდელ ეთნოსს ეკუთვნიან.

ეთნოსის ჩამოყალიბების საფუძველში დევს კომპლიმენტარობისა და ქცევის სტერეოტიპების პრინციპი, რომელიც ისტორიული განვითარების პროცესში წარმოიქმნება.. ამიტომ ეთნოსის გამოყოფის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ისტორიული ბედის ერთობა, რომელიც აყალიბებს ეთნოსის ქცევის განსაკუთრებულ ტიპს, სუბიექტურ ფასეულობით ურთიერთობათა სისტემას, სადაც ენა და რელიგია წარმოადგენს ამ პროცესის მნიშვნელოვან, მაგრამ დამატებით ელემენტებს. საერთო წარმოშობით, მატერიალური და სულიერი კულტურით შეკრულ ადამიანთა ერთობა, რომელიც ეთნოსს აყალიბებს, თავის თავში მოიცავს როგორც ფიზიკური და ფსიქიკური წყობის (ტემპერამენტი), სოციალურ-ეკონომიკური პირობების (წარმოშობის ტერიტორია, „განვითარების ადგილი“), ისე ყოფითი უნარებისა და სოციალურ-კულტურული ფაქტორების (ენა, რელიგიური და სულიერ ტრადიციები) მთელ ერთობლიობას. იხ. ტომი, ხალხი, ერი, გვარი/მოდგმა, ეთნიკოსი, ეთნოსოციალური ერთობა.

ეთნოსის მენტალობა (ფრანგ. mentalite < ლათ. mentalis - გონებრივი, სულიერი) – ამა თუ იმ ეთნიკურ მთლიანობაში შემავალ ადამიანთა ფსიქიკური წყობისა და მსოფლმხედველობის, ეთნოსის ისტორიულად ჩამოყალიბებულ აზრთა ხატის, გრძნობებისა და მსოფლგანცდის განსაკუთრებულობა, რომლებიც მისი ისტორიული განვითარების პროცესში საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. არის რა ეთნიკური ტრადიციის არსებითი ნაწილი, ეთნოსის მენტალობა გამოიხატება იდეების იერარქიის, სამყაროს შესახებ შეხედულებების, წარმოდგენების, გემოვნების, კულტურული კანონების სახით. ეთნოსის მენტალობა ფორმირდება ეთნოგენეზის პროცესში (მათ შორის ეთნიკური კონტაქტების გავლენით).

ეთნიკური სისტემის რანგის ამაღლებასთან ერთად ეთნოსის მენტალობა უფრო მკვეთრად ვლინდება. სუპერეთნოსში, სადაც ქცევის სტერეოტიპების მრავალფეროვნება შეინიშნება, ეთნოსის მენტალობა ძირითად მაკონსოლიდირებელ ფაქტორს წარმოადგენს. მაგრამ სუპერეთნიკურ მენტალობაში ყოველთვის შეიძლება გამოიყოს ეთნიკური სხვაობები, აგრეთვე, გამოვლინდეს მენტალობის სუბეთნიკური ნიუანსები.

ეთნოსის მოზაიკურობა - ეთნოსის არაერთგვაროვნება, რაც უფრო დაბალი რანგის ეთნიკური სისტემების (სუბეთნოსების, კონსორციების, კონვიქსიების) არსებობით არის განსაზღვრული. ხელს უწყობს ეთნოსის ადაპტაციას ეთნოლანდშაფტურ გარემოში, არ არღვევს რა მის მთლიანობას. ეთნოსის ქვესისტემების შინაგანი არაანტაგონისტური შეჯიბრებითობა ზრდის მის რეზისტენტულობას. ეთნიკურ სისტემათა მოზაიკურობა მათი იერარქიის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს. იხ. კონვიქსია, კონსორცია, ეთნიკური სუბსტრატი.

ეთნოსის ქცევის სტერეოტიპი - ყოველი ეთნიკური კოლექტივის სპეციფიკური ქცევითი ჩვევების სისტემა, რომელიც სასიგნალო მემკვიდრეობითობის გზით თაობიდან თაობას გადაეცემა. ეთნოსის ქცევის სტერეოტიპი გარემოსთან ეთნიკური სისტემის ადაპტაციის პროცესში ყალიბდება. ეს გარემო (ლანდშაფტური და ეთნიკური) ყოველი ეთნოსის განუმეორებელ სახეს განსაზღვრავს. ეთნიკური კოლექტივის წევრების მიერ საკუთარი ეთნოსის ქცევის სტერეოტიპი აღიქმება, როგორც ადამიანთა ურთიერთობის, ცხოვრების წესისა და მოქმედების ერთადერთი შესაძლებელი, ნორმალური სტანდარტი, ხოლო უცხო ეთნოსისა - როგორც უცნაური, გაუგებარი, იწვევს გაკვირვებას, დაცინვას, ან ღვარძლს, თუმცა, ზოგიერთი ეთნოსები ადვილად ახერხებენ საერთო ენის გამონახვას; მაგრამ გვხვდება ურთიერთმიუღებლობის შემთხვევებიც. განსაკუთრებით მძაფრ რეაქციას იწვევს უცხო სტერეოტიპები სქესთა შორის ურთიერთობის, მიცვალებულებთან, ღირსების პრინციპებთან და სხვ. დამოკიდებულების სფეროებში.

არაკეთილსასურველი ეთნიკური კონტაქტების პირობებში ადამიანთა ქცევის სტერეოტიპები კარგავენ შინაგან სტრუქტურას: მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთობა იკარგება, ადამიანებს ერთმევათ ფასეულობითი ორიენტაციები, კულტურული ტრადიციები, წარმოიქმნება ეთნოსის შინაგანი არამდგრადობა. ნაყოფიერი ეთნიკური კონტაქტების შემთხვევებში კი შეიძლება, ახალი, ორიგინალური ქცევის სტერეოტიპი ჩამოყალიბდეს, რასაც, ლ. გუმილიოვის აზრით, ზოგჯერ ახალი ეთნიკური ერთობის ჩასახვა მოჰყვეს.

ეთნოსოციალური ერთობა – ეთნიკურ ერთობის სახეობა, თანხლებული ე. წ. სოციალური ორგანიზმებით. ამ სიმბიოზზე გაჩენილ განსაკუთრებულ წარმონაქმნებს ბევრ შემთხვევაში აქვთ შედარებითი დამოუკიდებლობა, რაც ეთნოსის მდგრადობისა და მისი აღწარმოებისათვის ხელსაყრელ პირობებს უზრუნველყოფს. ამგვარ წარმონაქმნებს, ეთნიკურთან (უპირველესად კულტურულთან) ერთად, გააჩნიათ ტერიტორიული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ერთობა.

ეთნოსოციოლოგია (ბერძნ. ethnos – ხალხი + societas – საზოგადოება + logos – სწავლება, მოძღვრება) – ეთნოლოგიისა და სოციოლოგიის გადაკვეთის ზღვარზე წარმოქმნილი მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ეთნოსების

გენეზისს, არსს, ფუნქციებს, ეთნოსთაშორისი ურთიერთობების განვითარების ზოგად კანონზომიერებებს და გამოიმუშავებს მათი კვლევის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს.

ეთნოსოციოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამედროვე მსოფლიოში საკუთრივ ეთნიკურ (ეროვნულ) და სოციალურ (ვიწრო გაგებით) მოვლენებს - ეთნიკურ პროცესებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში და სოციალურ პროცესებს სხვადასხვა ეთნიკურ ერთობებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეთნოსოციოლოგია მიისწრაფვის ნათელი გახადოს კულტურისა და ყოფის, ფასეულობითი ორიენტაციების, შრომითი და თავისუფალი დროის ქცევების, ჩვეულებების, ადამიანთა შორის ურთიერთობის ეთნიკური ხასიათის სოციალური განპირობებულობა; გამოავლინოს ისეთი მოვლენებისა და პროცესების ეროვნული თავისებურებანი, როგორიცაა დარგობრივი და პროფესიული დაკავებულობა, მიგრაციული და სოციალური მობილობა, დემოგრაფიული და სოციალური რეპროდუქციულობა და ა. შ. რამდენადაც ეთნიკური სპეციფიკა შედარებით ხილულად ვლინდება კულტურისა და ყოფის სფეროში და რეპროდუცირდება ოჯახის მეშვეობით, ამდენად ეთნოსოციოლოგიური კვლევები აღნიშნული მიმართულებით ფოკუსირდება. შესაბამისად, ეთნოლოგიის ობიექტს წარმოადგენს სოციალური პროცესების ეთნიკური ასპექტები, კულტურისა და ყოფის ეთნიკური ხასიათის სოციალური განპირობებულობა და სოციალური მრავალგვარობის ფუნქციონირება. ეთნოსოციოლოგიის საგანია - ეთნიკური ფაქტორების გავლენა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურასა და მიგრაციაზე, მათი ეთნიკური კუთვნილების გათვალისწინებით, შრომითი რესურსების გამოყენება და რაციონალური განაწილება; ეროვნული თვითშეგნების, ეროვნულ კულტურაში ცვლილებების (მათ შორის ენაში, ეროვნულ ორიენტაციებში) სოციალური განპირობებულობა; ეთნოსთაშორისი კონტაქტები; სოციალურ ჯგუფებში სტერეოტიპული ქცევების ფასეულობითი ორიენტაციის, კულტურული ინტერესებისა და მოთხოვნილებების ეროვნული თავისებურებები და სხვ.

ეთნოსფერო – მიწის გარსი, ეთნიკური თვალსაზრისით მოზაიკური ანთროპოსფერო, ჩამოყალიბებული ეთნიკური ბუნებრივი სისტემების მთელ ერთობლიობაზე, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური სისტემა ადაპტირდებოდა. ეს პროცესი შეისწავლა და აღწერა ლ. გუმილიოვმა.

ეთნოსი თავისი ჩამოყალიბების მომენტში ეგუება გარკვეულ ლანდშაფტს. ეთნოსები უშუალოდ და მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ბუნებასთან თავიანთი სამეურნეო საქმიანობის მეშვეობით. შემდგომში, გადასახლების დროს ეთნოსი ეძიებს იმის მსგავს ლანდშაფტს, რომელშიც ჩამოყალიბდა.

ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ტომების უმრავლესობა ეწერებოდა ლანდშაფტში და არ ცდილობდა მის შეცვლას. ასეთები იყვნენ მონადირეები, მეთევზეები, მესაქონლეები და შემგროვებლები, აგრეთვე, მიწათმოქმედი ტომების ნაწილი, რომელიც ხელოვნურ მორწყვას არ იყენებდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ხალხები (ეგვიპტელები, შუმერები, ძველი ირანელები, ინდოელები და ჩინელები, რომლებიც ლანდშაფტს თავიანთ მოთხოვნებს უქვემდებარებდნენ), რომლებიც ინტენსიურ მიწათმოქმედებას ეწეოდნენ.

ჩამოყალიბებული ეთნოსებისა და ლანდშაფტების კავშირი ეთნიკური კოლექტივისა და მისი სამეურნეო საქმიანობის გარკვეულ პირობებთან შეგუებაში

ვლინდება. დროთა განმავლობაში თანაფარდობა ეთნოსი - ლანდშაფტი ორივესთვის ოპტიმალური ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მდგრადი ლანდშაფტი ეთნოსს სტაბილიზირებას ახდენს. თუკი მკვეთრი კლიმატური ცვლილებების შედეგად ლანდშაფტიც იცვლება, ეთნოსი, კარგავს რა შეგუებულ პირობებს, ღარიბდება, რიცხობრივად მცირდება, და შესაძლებელია მისი ან კვდომა, ან მიგრაცია ჩვეული პირობების საძიებლად.

ეთნოგენეზის პროცესები კლიმატური ცვლილებების მონაწილეობის გარეშე წარმოიქმნებიან, მაგრამ, ვიკვლევთ რა ეთნოგენეტიკური პროცესების საწყისი წერტილის ისტორიულად დაფიქსირებული მომენტებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი დედამიწის ზედაპირის გარკვეულ მონაკვეთებში ხდება. ცხოვრებისათვის ხელსაყრელი ზოგიერთი ტერიტორიები არასდროს არ წარმოადგენდნენ ხალხების სამშობლოს, თუმცა უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსები იქ სახლდებიან და აყვავებასაც აღწევენ.

ერთლანდშაფტოვანი ტერიტორიები, მაგალითად, ციმბირის ტაიგა (აზონალური სამდინარო დაბლობების გამოკლებით), ავსტრალიის შიდა ნაწილი, სავანეები, ტროპიკული ტყეები და სხვ., არასდროს არ იყო ეთნოსის წარმოშობის ადგილი. პირიქით, ევრაზიის კონტინენტის დასავლეთევროპულ ნახევარკუნძულზე ლანდშაფტთა შეხამების მრავალფეროვნება იმდენად ხელსაყრელია ეთნოგენეზისათვის, რომ იქ წარმოიქმნა მცდარი წარმოდგენები, თითქოს, ახალი ხალხების წარმოშობა ჩვეულებრივი საქმეა. სინამდვილეში ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები, რომლის დროსაც შეიძლება მხოლოდ პროცესი დაიწყოს, წარმოადგენს დედამიწის ზედაპირზე უმალ გამონაკლისს, თუმცა გვხვდება კიდეც მსოფლიოს ყველა ნაწილში.

ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ეთნოსის მიერ ლანდშაფტზე განხორციელებული ზემოქმედება, თითქოს, მცირედით შესამჩნევია იმიტომ, რომ ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლუატაციამდე დაიყვანება, მაგრამ ეს ხომ რეგიონის ბიოლოგიური წონასწორობის დარღვევაა. მაგალითად, ახელებმა პელოპონესში თან მოიყვანეს თხები, რომლებმაც მცენარეულობა გაშიშვლებამდე გადაჭამეს, რამაც უკვე V საუკუნეში ატიკაში ნიადაგის ეროზია გამოიწვია; პოლინეზიელებმა ახალ ზელანდიაში გაწყვიტეს ფრინველი მოა, ევროპელმა კოლონისტება ჩრდილოეთ ამერიკაში ცხენები მოაშენეს და ბიზონები გაანადგურეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლანდშაფტზე ანთროპოგენური ზემოქმედება შეიძლება განვიხილოთ როგორც ახალი პოპულაციის, ჩამოყალიბების მდგომარეობაში მყოფი ეთნოსის ადაპტაცია. ხოლო საბოლოოდ ჩამოყალიბებული ეთნოსები ლანდშაფტში იმდენად ეწერებიან, რომ არ შეუძლიათ და არც სურთ სხვა ბუნებრივ პირობებთან შეგუება.

ამგვარად, ნებისმიერი ეთნოსის დინამიკური მდგომარეობისათვის საერთო ნიშან-თვისებაა წარმოქმნილი პოპულაციის ე. წ. ზედაძაბულობის უნარი, რომელიც ვლინდება ან ბუნების გარდაქმნაში, ან მიგრაციაში, ან კიდევ ამაღლებულ ინტელექტუალურ, სამხედრო, ორგანიზაციულ-სახელმწიფოებრივ, საჭირო საქმიანობებში. თავდაპირველად ეთნოსი იკავებს რაიონს, რომელშიც იგი გაჩნდა და მეზობლობს თავის „ტოლებთან“ ხშირად არცთუ ისე მშვიდობიანად. შემდგომში იგი, იკრებს რა ძალას, მიგრირებს, მაგრამ სამშობლოში თავისი შემადგენლობის ნაწილს ტოვებს. ამასთან, იგი ენერგიის თავდაპირველი მარაგის

დიდ წილს კარგავს. ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფები იღუპებიან, სხვანი კი, ექცევიან რა იზოლაციაში ძლიერი მეზობლებისგან, ხდებიან იზოლირებული, რელიქტური ეთნოსები, რომლებსაც მოსახლეობის არც მატება აქვთ, არც საზოგადოებრივი ყოფის თვითგანვითარება, მოდიფიკაციები კი მხოლოდ მეზობელთა ზემოქმედების პირობებში ხდება.

ყოველივე აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ესაა არა თვითგანვითარების მოვლენა, არამედ ეგზოგენური ფაქტორების, თავისებური ბიძგების გავლენა, რომლის შემდეგაც ინერცია თანდათანობით ქრება.

ეთნოფილიზმი (ბერძნ. ethnos – ხალხი + philia – სიყვარული) – მოცემული ეთნოსისადმი კუთვნილებით განპირობებული გრძნობებისა და წარმოდგენების კომპლექსი, რომელიც გამოხატულია ამ ეთნოსის, მისი ენის, კულტურისა და ყოფის დაცვა-განვითარებისათვის ზრუნვაში. ფართო პლანში ეთნოფილიზმი გამოხატავს არამარტო განწყობებს, არამედ ადამიანთა აქტიურ ქცევებს, დაკავშირებულს სპონტანურად ფორმირებად ეთნოცენტრიზმთან.

ეთნოფორი – ეთნიკური საზოგადოების (ეთნოსის) წარმომადგენელი.

ეთნოფსიქოლოგია (ბერძნ. ethnos - ხალხი + psyche - სული + logos - სწავლება) – ეთნოლოგიისა და ფსიქოლოგიის მომიჯნავე დისციპლინა; შეისწავლის ეთნოსთა ფსიქოტიპს. ამ მეცნიერების ფარგლებში შეისწავლება კონკრეტული ეთნიკური თემის წევრების ქცევის თავისებურებები – ფსიქიკის ეთნიკური მახასიათებლები, ეროვნული ხასიათი, ეროვნული იდენტობის ფორმირებისა და ფუნქციონირების ნიმუშები, ეთნიკური სტერეოტიპები.

თავდაპირველად ეთნოფსიქოლოგიის წარმოშობა ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის განვითარებასთან იყო დაკავშირებული, მის მასალებს კი მისიონერების ანგარიშები და მოგზაურთა ჩანაწერები შეადგენდა. სპეციალური დისციპლინის - „ხალხთა ფსიქოლოგიის“ - შექმნა 1860 წელს მ. ლაცარუსომ და ხ. შტეინტალმა საჯაროდ გამოაცხადეს. მათ „ხალხის სული“ განმარტეს, როგორც განსაკუთრებული, ჩაკეტილი წარმონაქმნი, რომელიც გამოხატავდა გარკვეული ერის ინდივიდთა ფსიქიკურ მსგავსებას და იმავდროულად მათ თვითშეგნებას და რომლის შინაარსი ენის, მითოლოგიის, მორალისა და კულტურის შედარებითი შესწავლის გზით უნდა ახსნილიყო. XX საუკუნის დასაწყისში ამ იდეებმა ვ. ვუნდტის „ხალხთა ფსიქოლოგიაში“ ჰპოვა განვითარება და ნაწილობრივი რეალიზაცია. შემდგომში ამერიკის შეერთებულ შტატებში ეთნოფსიქოლოგია გაიგივდა ნეოფროიდულ თეორიასთან.

თანამედროვე ეთნოფსიქოლოგია თავისი თემატიკითა და მეთოდებით ერთ მთლიანობას არ წარმოადგენს. მასში შეიძლება გამოიყოს რიგი დამოუკიდებელი მიმართულებები: 1. ფსიქოფიზიოლოგიის, კოგნიტური პროცესების, მეხსიერების, ემოციის, მეტყველებისა და სხვა ეთნიკური თავისებურებების კვლევები, რომლებიც თეორიულად და მეთოდოლოგიურად ზოგადი და სოციალური ფსიქოლოგიის შესაბამისი განაყოფების ნაწილებს შეადგენენ; 2. კულტუროლოგიური კვლევები, მიმართულნი ხალხური კულტურის სიმბოლოებისა და ფასეულობითი ორიენტაციების თავისებურებათა ახსნისკენ, განუყოფლად არიან დაკავშირებულნი ეთნოგრაფიასა, ეთნოლოგიასა, ფოლკლორისტიკასა, ხელოვნებათმცოდნეობასთან და სხვა დისციპლინებთან; 3. ეთნიკური შეგნებისა და თვითშეგნების კვლევები, რომელთა ცნებითი აპარატი და მეთოდები ნასე-

სხებია სოციალური განწყობების, ჯგუფთაშორისი ურთიერთობებისა და სხვა პრობლემების შემსწავლელი სოციალური ფსიქოლოგიის შესაბამისი დანაყოფებიდან; 4. ბავშვთა სოციალიზაციის ეთნიკურ თავისებურებათა კვლევები, რომელთა ცნებითი აპარატი და მეთოდები ყველაზე ახლოსაა სოციოლოგიასთან და ბავშვთა ფსიქოლოგიასთან.

ეთნოცენტრიზმი (Ethnocentrism) – ტერმინი, რომელიც გამოიყენება კულტურულ ან ეთნიკურ მიკერძოებაზე – იქნება ეს ცნობიერი თუ არაცნობიერი – როდესაც ინდივიდი უყურებს სამყაროს საკუთარი ჯგუფის პერსპექტივიდან, აყალიბებს იდეალურ ჯგუფს, როგორც არქეტიპს და აფასებს ყველა სხვა ჯგუფს ამის მიხედვით. გვირაბული (ვიწრო) ხედვის ეს ფორმა ხშირად იწვევს: 1. უუნარობას ადეკვატურად გაიგოს კულტურები, რომლებიც განსხვავდება საკუთარისგან და 2. ფასეულობათა განსჯას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ჯგუფს და ამტკიცებს მის თანდაყოლილ უპირატესობას, რითაც ეთნოცენტრიზმის კონცეფცია ამკვიდრებს შოვინიზმისა და ცრურწმენის ფორმებს, მათ შორის ნაციონალიზმს, რასიზმს, სექსიზმს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის შესაძლებლობას. ეთნოცენტრიზმის კონცეფცია ჩამოყალიბდა ანთროპოლოგიაში.

ეთოსი (ბერძნ. ἦθος - ამა თუ იმ პირის ან მოვლენის ხასიათი) – მოცემული ეთნიკური ერთობის კულტურის განზოგადებული დახასიათება, რომელიც გამოხატულია ქცევის გაბატონებული ფასეულობებისა და ნორმების მდგრად სისტემაში. „წარმოადგენს კულტურის საერთო თვისებას და მას სუნის მსგავსად მსჭვალავს“ (ა. კრებერი). ეთოსი უწინარესად არის ეთნოსის კულტურაში დომინირებული იდეალები და ფასეულობები, რომელთა დანიშნულება მათი მატარებლების ქცევების კონტროლია.

ეკზორციზმი (ლათ. exorcism < ბერძნ. ἐξορκισμός – ფიცით შეკვრა) – უმრავლეს რელიგიებსა და რწმენა-წარმოდგენებში გავრცელებული მაგიური წესი, რომლის მიზანია ბოროტ სულთა გამოდევნა ადამიანიდან, რაიმე ნაგებობიდან ან საგნიდან მეტ-ნაკლები სირთულის რიტუალის შესრულებით. ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში მოქმედმა ეკზორცისტულმა პრაქტიკამ მოგვიანებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იუდაიზმისა და სხვა ხალხური რელიგიების კულტებში, შემდეგ კი ქრისტიანობაში (კათოლიციზმსა და ნაკლები დოზით მართლმადიდებლობაში). ქრისტიანები „შეპყრობილისგან“ („ეშმაკეულისგან“) ავსულის გამოდევნის ლიტურგიული წესის შესრულებას საფუძვლად უდებენ ახალი აღთქმის ტექსტებს და ეყრდნობიან იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების ეკზორცისტულ პრაქტიკებს. დასავლურქრისტიანულ ეკლესიაში III საუკუნეში დამტკიცებულ იქნა სპეციალური ეკზორცისტული ორგანო და მასთან დაკავშირებული თანამდებობა პრესვიტერ-ეკზორცისტისა, რომელმაც ლიტურგიული რეფორმის ჩათვლით იარსება (რეფორმა ჩატარდა 1962-1965 წლების მეორე ვატიკანის კრების გადაწყვეტილების საფუძველზე). კათოლიციზმში ეკზორციზმს თავდაპირველად მხოლოდ „შეპყრობილის“ მიმართ იყენებდნენ, ხოლო III საუკუნიდან - წარმართული ოჯახების ბავშვების მოსანათლად მომზადების პროცესშიც. ეკზორციზმის წესი, რომელსაც შუა საუკუნეებში უმალ დრამატულ ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ლიტურგიული, მოიცავდა „შეპყრობილზე“ პირჯვრის გადაწერას, ნაკურთხი წყლის მისხურებას, მის თავზე ხელის დადებას და ლათინურ ენაზე

სპეციალური ფორმულების წარმოთქმას. იოანე პავლე II-ის მიერ 1998 წელს დამტკიცებული ახალი რიტუალით ეგზორცისტული ლიტურგიული წესის ჩატარებას მორწმუნეები უნდა ესწრებოდნენ, აუცილებელია მარილისა და წყლის ლოცვა-კურთხევა, ლიტანია (წმინდანთა მიმართ აღვლენილი ლოცვა), იოანეს სახარებიდან ფრაგმენტების წაკითხვა, „შეპყრობილის“ თავზე ხელების დადება და სულიწმიდისათვის მიმართვა, სარწმუნოების აღსარების ტექსტის წარმოთქმა, ჯვრის სიმბოლური მოხაზვა, ღვთისმსახურის მიერ „შეპყრობილისთვის“ სახეში სულის შებერვა და დადგენილი ეკზორცისტული ფორმულის მრავალჯერადი წარმოთქმა ბოროტი ძალების „განდევნამდე“. დღეისათვის კათოლიკურ ეკლესიაში ეკზორციზმის ლიტურგიული წესის შესრულება შეუძლია მხოლოდ ეპისკოპოსს ან მის მიერ დანიშნულ ღვთისმსახურს.

ეკოლექტი (ბერძნ. oikos „სახლი“ + lect) – ენის სახესხვაობა, რომელზეც მეტყველებენ ერთი ოჯახის წევრები.

ენა – ადამიანის კომუნიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა. ენა შედგება სიტყვებისა, ბგერათკომპლექსებისა და ბგერებისაგან, რომლებიც პრაქტიკაში გამოიყენება სტრუქტურირებული გზით, რითაც ადამიანებს შორის კომუნიკაცია ხდება საუბრის, წერისა და ჟესტიკულაციის ფორმით. ენა არის ადამიანის სპეციფიკური უნარი აკუსტიკური და კინესიკური (სხეულის მოძრაობები და ჟესტები – არავერბალური კომუნიკაციის ფორმა) სიგნალების კომპლექსური სისტემების შეძენისა და გამოყენებისათვის აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად. ენა ასევე გამოიყენება ცოდნისა და გამოცდილების გაცვლისათვის. ჩვენი პლანეტის ენობრივი სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით.

ენათა კონფლიქტი – ორ ან რამდენიმე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჯგუფის ერთმანეთისაგან განსხვავებული სტანდარტების, ფასეულობებისა და განწყობების შეჯახების შედეგად წარმოქმნილი კონფრონტაცია, რომელშიც ჩართულია ენობრივი საკითხებიც.

ენათა სოციოლინგვისტური კლასიფიკაცია – ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ერთ-ერთი სახე, ენების დაჯგუფება მათი სოციალური ბუნების შესაბამისად, სოციუმში მათი ადგილისა და როლის შესაბამისად. სოციოლინგვისტური კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნის მიხედვით ხდება: 1. დამწერლობის მქონე/არმქონე ენები; 2. დამწერლობის შექმნის თარიღი; 3. იურიდიული სტატუსი – სახელმწიფო, ოფიციალური, უმცირესობის, გაურკვეველი სტატუსის მქონე ენები; 4. საზოგადოებრივი ფუნქციის მასშტაბი.

ენდოგამია (ბერძნ. endon – შიგნით + gamos – ქორწინება) – ჩვეულება, რომელიც ითვალისწინებს ან რეკომენდირებს ქორწინებას გარკვეული ერთობის ფარგლებში. ენდოგამია წარმოიქმნა, როგორც ენდოგამია ტომისა, რომელიც აერთიანებდა მასში შემავალ ეგზოგამიურ გვარებს. ზოგჯერ ერთმანეთისაგან განასხვავებენ ნორმატიულ ენდოგამიას (ჩვეულებით დადგენილს ან რეკომენდირებულს) და ფაქტიურ ენდოგამიას (რომელიმე ერთ გარემოში სპონტანურად წარმოქმნილი გვარსშიდა ქორწინების უპირატესობის ძალით). ენდოგამიის შედარებით მკაცრი ფორმაა რელიგიური (კონფესიური) ენდოგამია, რომელმაც თავისი მნიშვნელობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დღემდე შეინარჩუნა (განსაკუთრებით აზიაში).

ეთნიკური ენდოგამია ეთნოსის გადარჩენის ერთ-ერთი პირობაა, მისი მნიშვნელოვანი დარღვევა, ანუ ეთნიკურად შერეული ქორწინება, შედეგად იძლევა მეტისაციასა და ასიმილაციას. ეთნიკური ენდოგამიის დარღვევის მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნიკური კონტაქტები და მიგრაციები, განსაკუთრებით გადასახლებულთა სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის დისპროპორციის პირობებში, კერძოდ, მათ შორის ახალგაზრდა მამაკაცების სიჭარბე, მათი ქორწინება ადგილობრივ ქალებთან, რისი შედეგიცაა მეტისაცია. ეთნიკური ენდოგამიის დარღვევის სახესხვაობაა სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს შორის ქორწინება. სწორედ ასე მიმდინარეობდა, მაგალითად, სამხრეთამერიკელი ერების ჩამოყალიბება (ძირითადად ესპანელი და პორტუგალიელი გადასახლებულების შერევით ინდიელთა სხვადასხვა ეთნოსებთან).

ეთნიკური ენდოგამიის დარღვევის სხვა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეთნოსის განსახლება ვრცელ სივრცეში მის ტერიტორიულ ჯგუფებს შორის შედარებით სუსტი ურთიერთობების პირობებში; ამ შემთხვევაში ეთნოსი ფაქტიურად იყოფა მეტ-ნაკლებ ენდოგამიურ პოპულაციებად, რომლებიც საქორწინო ურთიერთობებს ამყარებენ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან, მაგალითად, რუსები ბაიკალის რეგიონში - ბურიატებთან, კამჩატკაზე - იტელმენებთან.

ეთნიკური ენდოგამია სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვა ხარისხით: მაგალითად, კავკასიის ხალხებში ეთნიკური ენდოგამია შედარებით მკაცრად არის დაცული. ეთნიკური ენდოგამია სუსტადაა წარმოდგენილი რუსებში, რომლებთანაც შერეული ქორწინებების რიცხვი ძალიან მაღალია, რაც მათ მეტისაციასა და ასიმილაციას განაპირობებს და ამდენად, წარმოადგენს რუსული ეთნოსის რიცხოვნობის ბუნებრივი მატების ნელი ტემპის ერთ-ერთ მიზეზს.

ენდოგლოსური ენობრივი სიტუაცია – ენობრივი სიტუაცია, რომელიც შედგება ერთი ენის ქვესისტემების ერთობლიობისაგან, განსხვავებით ეგზოგლოზური ენობრივი სიტუაციებისგან, რომლებიც სხვადასხვა ენების ნაკრებია.

ენდოეთნონიმი - იხ. ეთნონიმიკა.

ენდოლექტი (ბერძნ. endo „შიგნით“ + lect) – ავტოქთონური მოსახლეობის ენა.

ენების ურთიერთგავლენა – ორი ან მეტი ენის ისეთი ურთიერთქმედება, რომელშიც კონტაქტური ენები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ენების ურთიერთგავლენა ჩვეულებრივ შეინიშნება თანაბარი ან თითქმის თანაბარი პრესტიჟული პოტენციალის მქონე ენების შეხებისას. ენების ურთიერთქმედება ორი ტიპისაა: 1. სტრუქტურული და 2. ფუნქციური.

ენის ათვისება (language acquisition) – გულისხმობს იმას, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები მშობლიურ ენას; ასევე – მშობლიური ენის გარდა სხვა ენის ან ენების შესწავლას. ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლობენ მშობლიურ ენას, ლინგვისტური კომპეტენცია ვითარდება ეტაპობრივად, ყვირილიდან ერთ ან ორ სიტყვამდე, შემდეგ კი იწყება ტელეგრაფიული მეტყველება (იხ.), ჰოლოფრასტური მეტყველება (იხ.) და ა.შ.

ენის განვითარების კანონები – ეს ცნება ორმაგ მნიშვნელობას შეიცავს: ერთის მხრივ, იგულისხმება ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ხდება ენაში, მეორე მხრივ, ის მოვლენები, რომელიც ავითარებს ენას, ე.ი. აუმჯობესებს მისი გამოხატვის შესაძლებლობებს.

ენის გნოსეოლოგიური ფუნქცია – ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – იყოს აზროვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

ენის დაგეგმვა – ავტორიტეტებისა და სპეციალისტების საქმიანობა საზოგადოებაში ლინგვისტური არსებობისა და გამოყენების რეგულირებაში, აგრეთვე საზოგადოების ჩარევა ენის განვითარების სპონტანურ პროცესში, კერძოდ, ენის ფორმების რეგულირება, ანბანების შექმნა, მართლწერა და ორთოეპია. წესები, ტერმინოლოგიები და ა.შ. ტერმინები „ენობრივი პოლიტიკა“ და „ენის მშენებლობა“ ასევე გამოიყენება ამ მნიშვნელობით.

ენის დოკუმენტირება – იმ მეთოდების, ხერხებისა და თეორიული მიდგომების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებელია ბუნებრივი ენის ან მისი რომელიმე ვარიანტის მოცულობითი, არაერთჯერადი და მრავალფუნქციური მოხმარებისათვის გამოსადეგი ფიქსაციისათვის.

ენის ეთნიკური სუბსტრატი – ენის მატარებელთა ძირითადი ეთნიკური კონტინგენტი.

ენის ეკოლოგია – საენათმეცნიერო მიმდინარეობა, რომელიც სწავლობს ენის „ცხოვრების“ პირობებს ადამიანთა საზოგადოებაში მისი ფუნქციონირებისათვის არსებული და შესაძლო საფრთხეების თვალსაზრისით; ეთნიკური თემისა და მისი ენის იდენტურობის შესანარჩუნებლად აუცილებელი ბუნებრივი, სოციალური და კულტურული პირობები: ტერიტორიის მთლიანობა, ეროვნული კულტურის შენარჩუნება, მშობლიური მოლაპარაკეების საქმიანობის ტრადიციული სფეროები, აგრეთვე ეროვნული იდენტობის მაღალი დონე.

ენის ინტერნაციონალიზაცია - ენის გავრცელება ეთნიკურ (ეროვნულ) ჩარჩოებს მიღმა, მისი გავრცელება რიგი ეთნიკური ჯგუფისთვის (ხალხისთვის).

ენის მოდელირება – დაგეგმილი ენების შექმნა, რომლებიც ეროვნული ენების ანალოგებია; როგორც წესი, ისინი განკუთვნილია საერთაშორისო სფეროში კომუნიკაციაში გამოსაყენებლად.

ენის რეგიონული ვარიანტი – იხ. ეთნოლექტი.

ენის რევიტალიზაცია (< ინგლ. language revitalisation) – მკვდარი ენის აღდგენა-გაცოცხლება ან გადაშენების გზაზე მყოფი ენისათვის ახალი სიცოცხლის შთაბერვა.

ენის სიცოცხლისუნარიანობა – ენის სიცოცხლისუნარიანობა, სტაბილურობა, გადარჩენა; დამოკიდებულია ეთნოლინგვისტური ხასიათის მრავალ ფაქტორზე, როგორიცაა: მწერლობის ტრადიციების არსებობა და დანიშნულება, მომხსენებელთა რაოდენობა, ეთნოლინგვისტური სიტუაციის სპეციფიკური თავისებურებები და ა.შ.

ენის ცოდნა (**ფლობა**) – ენის ცოდნა, მისი ცოდნის დონე, ენობრივი კომპეტენცია.

ენობრივი / დიალექტური არეალი – 1. ენობრივი ან დიალექტური მოვლენების გავრცელების საზღვრები. 2. ენების ან მონათესავე ენების ჯგუფების განაწილების საზღვრები.

ენობრივი აგრესია – ეთნიკური ჯგუფისთვის არამშობლიური ენის იძულებითი დაწესება. ასეთი ფენომენები მრავლადაა კოლონიალიზმის ეპოქაში, როდესაც მეტროპოლიტენის ქვეყნების წარმომადგენლებმა დააკისრეს თავიანთი ღირებულებითი ორიენტაციები კულტურასა და ენებში დაპყრობილ კოლონია-

ლურ ხალხებს. ენობრივი აგრესია ასევე შეიძლება მოხდეს მრავალეროვნულ ტოტალიტარულ ქვეყნებში.

ენობრივი ასიმილაცია – უცხო ენის დაუფლება და მშობლიურად აღიარება.

ენობრივი ბარიერი – 1. საზოგადოების ენის არცოდნა / არასაკმარისი ცოდნა, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს მის წევრებთან ურთიერთობაში; 2. უცხო ენის არასაკმარისი ცოდნით გამოწვეული დაბალი თვითშეფასება, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს ამ ენაზე კომუნიკაციაში.

ენობრივი დეფიციტი – ენობრივი საშუალებების ნაკლებობა / დეფიციტი, რომელიც ხელს უშლის ენის ადეკვატურ ფუნქციონირებას გარკვეულ სფეროში. ჩვეულებრივ, განასხვავებენ ენობრივი დეფიციტის რამდენიმე ტიპს: ლინგვოსტრუქტურულს, ლინგვოფუნქციურს, რეალურს, პოტენციურს, სამეტყველოს და ა. შ.

ენობრივი დივერგენცია – ლინგვისტური ევოლუციის სახეობა, რომელშიც ცალკეული დიალექტები, ეთნოისტორიული გარემოებების გამო, იზოლირებულია. ხდება ახალი დამოუკიდებელი ენების ფორმირება. სწორედ ამ გზით შეიქმნა ოდესღაც ენობრივი ჯგუფები და ოჯახები.

ენობრივი დიფუზია – სიტყვების, გამოთქმის ან გრამატიკული ფორმების ურთიერთ სესხების პროცესი, რომელიც ვითარდება მჭიდროდ დაკავშირებულ ენებს შორის. ამავდროულად, ფორმები ვრცელდება ენის ერთი მატარებლიდან მეორეზე პირდაპირი კომუნიკაციის დროს ხშირი კონტაქტის შემთხვევაში. კონტაქტი შეიძლება იყოს როგორც გეოგრაფიული (ტერიტორიული დიალექტი), ასევე სოციალური (სოციოლექტური) მიზეზების გამო.

ენობრივი ეტიკეტი (ფრანგ. etiquette „იარლიყი“) – მოცემული კულტურის ფარგლებში არსებული მოთხოვნების, წესებისა და ნორმების სისტემა, რომელიც გვკარნახობს, თუ რა ფორმით უნდა დავამყაროთ კონტაქტი სხვა ადამიანებთან, როგორ უნდა გავაგრძელოთ ურთიერთობა და როგორ დავასრულოთ იგი სხვადასხვა სიტუაციისა და საკომუნიკაციო ამოცანის შესაბამისად.

ენობრივი ექსპანსია – დემოგრაფიულად და სოციალურად დომინანტური ეთნიკური ჯგუფის ენის გავრცელების სურვილი უცხოენოვან საზოგადოებაში, მისი სახელმწიფო ენად გამოცხადების მცდელობა.

ენობრივი ექსტრემიზმი – ცალკეულ დიალექტებისთვის ლიტერატურული ენის სტატუსის მინიჭებით ერთი ლიტერატურული ენის ნაცვლად რამდენიმე ლიტერატურული ენის შექმნა.

ენობრივი იმპერიალიზმი (ინგლ. linguistic imperialism) – ეროვნული ენობრივი პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა, რომლის დროსაც ერთი ერი (ჩვეულებრივ დომინანტი) თავის ენას თავს ახვევს მეორეს (ჩვეულებრივ პატარას ან დამორჩილებულს).

ენობრივი ინტერფერენცია – ენობრივი სისტემების ურთიერთქმედება (ურთიერთშეღწევა), რომელიც ხდება ენების კონტაქტში ან ბილინგვიზმის დროს; ინტერფერენცია შეიძლება იყოს კოლექტიური ან ინდივიდუალური.

ენობრივი კავშირი – არამონათესავე ენების მატარებელი არეალურ-ისტორიული საზოგადოების ურთიერთობის სახე, რომელიც ხასიათდება გარკვეული რაოდენობის მსგავსი სტრუქტურული და მატერიალური მახასიათებლებით, რომლებიც შეძენილია ერთ გეოგრაფიულ სივრცეში ხანგრძლივი ინტენსიური კონტაქტის და კონვერგენტული განვითარების შედეგად.

ენობრივი კომპეტენცია – ენის ცოდნის ფაქტობრივი ლინგვისტური დონე, რაც გულისხმობს ენის გრამატიკული და ლექსიკური ასპექტების ცოდნას და ფლობას.

ენობრივი კონტაქტები – ორი ან მეტი ენის ურთიერთქმედება, რომელიც გავლენას ახდენს მათი სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე. ენობრივი კონტაქტები წარმოიქმნება სხვადასხვა ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის აუცილებლობის შედეგად, ერთმანეთთან ინტენსიური ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული კავშირების დამყარების პირობებში. ენობრივი კონტაქტების შედეგები შეიძლება იყოს განსხვავებული და გამოიწვიოს: სესხება, ინტერფერენცია, ენების შერევა, სხვადასხვა სახის ბილინგვიზმი, ენის შეცვლა.

ენობრივი კონტინიუმი – ენის თანდათანობითი ცვლილებები, რომლებიც ხდება შეუფერხებლად და განუწყვეტლივ დროსა და სივრცეში. ისინი, როგორც წესი, ტერიტორიულად წარმოდგენილია იზოგლოსებით.

ენობრივი კონფლიქტი – ენასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემების გამო ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებული დაპირისპირება.

ენობრივი კონფორმიზმი – მშობლიური ენის უარყოფა ან მის მიმართ ნეგატიული დამოკიდებულება იმ გაბატონებული აზრის გავლენით, რომელიც არსებობს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ენების იერარქიის შესახებ, რომელშიც მშობლიური ენა იკავებს არაპრესტიჟულ პოზიციას.

ენობრივი კონფრონტაცია – ადამიანთა ჯგუფების დაპირისპირება, გამოწვეული ენობრივი პრობლემებით; დემოგრაფიულად და სოციალურად დომინანტური ეთნიკური ჯგუფის სურვილი, დაარღვიოს სხვა ეთნიკური ჯგუფების ენობრივი უფლებები; სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის უარყოფითი დამოკიდებულება დომინანტური ეთნიკური ჯგუფის ენის სწავლისადმი.

ენობრივი კუნძული – ენის გავრცელების ბირთვული არეალისაგან გეოგრაფიულად მოწყვეტილი და უცხოენოვან გარემოცვაში მოქცეული ენობრივი ერთობა. იგივეა, რაც კუნძულოვანი დიალექტი.

ენობრივი ნასესხობა – უცხო ენის ელემენტი, რომელიც შეთვისებულია მოცემულ ენაზე პირდაპირი (ეთნოკულტურული კონტაქტებით) ან ირიბი (სხვა ენებისა და კულტურების მეშვეობით) გზით. თავდაპირველად, ნასესხები სიტყვები ინარჩუნებენ გამსესხებელი ენის თვისებებს. თუმცა, დროთა განმავლობაში ისინი ადაპტირებენ მოცემულ ენას; მიიღებენ შესაბამის ფონეტიკურ და გრამატიკულ ფორმას. ყველაზე ხშირად ნასესხები ტერმინოლოგიური ლექსიკა.

ენობრივი ნიჰილიზმი – ეროვნული ენის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, მისი დაუფასებლობა და უარყოფა, ხალხის ეთნიკური, ენობრივი და კულტურული სპეციფიკის უარყოფა.

ენობრივი პოლიტიკა – სახელმწიფოს (პარტიის, კლასის და ა. შ.) საკანონმდებლო აქტების ერთობლიობა, რომელიც შექმნილია საზოგადოების ენობრივი ცხოვრების პროცესებზე აქტიური ზემოქმედებისთვის. ეს ასევე მოიცავს ეროვნული პოლიტიკის ლინგვისტურ ასპექტებს, აგრეთვე სხვადასხვა ენობრივი წარმონაქმნების ურთიერთქმედებასთან (ლიტერატურული ენა და დიალექტები, ორი ან მეტი ენის გამოყენება და ა. შ.) დაკავშირებული პრობლემების სპეციფიკური რეგულირების საკითხებს; სალიტერატურო ენის რეგული-

რებისა და სტანდარტიზაციის საკითხებს; ენობრივი პრობლემების გადაჭრის მეთოდებს და ა. შ.

ენობრივი პროცესები – ეთნიკური ჯგუფის, ეთნოსის მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებები. ენობრივი პროცესების სახეებია: ენის ასიმილაცია (ენის ცვლა, ენათა შერევა), ენის რევიტალიზაცია / აღდგენა, ბილინგვიზმი, მულტილინგვიზმი, ნახევრადლინგვიზმი, საპირისპირო ენობრივი ცვლა. მცირე ხალხებს ახასიათებთ ენობრივი ასიმილაცია, ე.ი. ეთნიკური ენის დაკარგვა.

ენობრივი პურიზმი (ფრანგ. purisme < ლათ. purus) – ენობრივი პოლიტიკა, რომლის მიზანია ლიტერატურული ენის გაწმენდა უცხოური ნასესხებობისგან, სხვადასხვა სახის ნეოპლაზმებისგან და მათი შეცვლა მშობლიური ენის ხელოვნურად შექმნილი სიტყვებით და ფრაზებით. იხ. პურიზმი.

ენობრივი სივრცე – 1. სოციალური ერთენოვანი, ორენოვანი ან მრავალენოვანი ჯგუფი, რომლის წევრებიც ურთიერთობენ სოციალური ინტერაქციის სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით; ადმინისტრაციულ და ეროვნულ ერთეულებში გამოყენებული ენის კოდების ნაკრები. 3. კონკრეტული ენის გავრცელების გეოგრაფიული სივრცე ან მისი არსებობის ფორმა – ენობრივი არეალი.

ენობრივი სუბკოდი – იხ. სუბკოდი.

ენობრივი ტაბუ – პირველყოფილ ხალხებში – რაიმე საგნის, მოქმედების ან სიტყვის აკრძალვა; იგი გამოიხატება გარკვეული სიტყვების, გამოთქმის ან სათანადო სახელების გამოყენების აკრძალვით. ტაბუს ფენომენი ასოცირდება ენის (მეტყველების) მაგიურ ფუნქციასთან, ანუ ენის დახმარებით ჩვენს გარშემო სამყაროზე პირდაპირი ზემოქმედების შესაძლებლობის რწმენასთან. ენობრივი ტაბუ ყველაზე მეტად დამახასიათებელია არქაული კულტურის მქონე ხალხებისთვის, მაგრამ მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა ენაში. მაგალითად, ბევრ არქაულ კულტურაში ქალებს ეკრძალებათ ქმრის სახელის თქმა, რაც ჩანაცვლებულია აღწერილობითი გამონათქვამებით.

ენობრივი უმცირესობა – ამა თუ იმ სახელმწიფოსა თუ რეგიონში მცხოვრები ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ან სავსებით ან სათანადო დონეზე ვერ ფლობენ იქ გავრცელებულ უმრავლესობის ენას.

ენობრივი ქვესისტემა – 1. იგივეა, რაც ენის დონე – შედარებით ერთგვაროვან ენობრივ ელემენტთა ერთობლიობა; 2. ენის არსებობის ფორმა, რომელსაც ჰყავს საკუთარი მოლაპარაკეები, გამოყენების სფერო და ასრულებს სოციალური ფუნქციების გარკვეულ კომპლექსს.

ერგოლექტი (ბერძნ. ergo „საქმე“ + lect) – ბიზნესის ენა; ძირითადად გამოირჩევა ლექსიკო-სემანტიკური თავისებურებებით.

ერთაშორისი (ეთნიკურ ჯგუფთაშორისი) კონფლიქტი – ჯგუფთაშორისი კონფლიქტის ფორმა, რომელშიც ჯგუფები, ეთნიკური ნიშან-თვისებების მიხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებით განირჩევიან; ხასიათდება ორგანიზაციულ-პოლიტიკური ქმედებების, საზოგადოებრივი მოძრაობის, მასობრივი უწესრიგობის, სეპარატისტული გამოხტომებისა და სამოქალაქო ომის წარმოქმნის გარკვეული დონით, ამასთან, დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე ხდება.

პრაქტიკაში ერთაშორისი კონფლიქტის განსაზღვრა რთულია, რადგან იგი „წმინდა სახით“ იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივ, წარმოიქმნება რა ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა არაეთნიკურ საფუძველზე, კონფლიქტი შე-

მდგომ ფაზაში აუცილებლად ეთნიკურ ხასიათს იძენს, თუ, რა თქმა უნდა, საქმე ეხება სხვადასხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, ან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დაპირისპირებას ერთი სახელმწიფოს შიგნით.

ერთაშორისი კონფლიქტის მიზეზების ახსნის რამდენიმე თეორია არსებობს. განსხვავდებიან რა მასშტაბის, სოციალური მნიშვნელობის, წარმოშობის, „ასაკის“, დაძაბულობის მიხედვით, ერთაშორის კონფლიქტებს გააჩნიათ ერთი „საბოლოო ბუნება“, რაც ხელს უწყობს ეთნიკურ მობილიზაციას. მათი სიღრმისეული ფესვებია -ერთაშორის ურთიერთობებში ამა თუ იმ ერის, ეთნიკური ჯგუფის უფლებების, სამართლიანობისა და თანასწორობის დარღვევა. მრავალეროვან, პოლიეთნიკურ სახელმწიფოში ერთაშორისი კონფლიქტი შესაძლოა იყოს ეთნიკური პერიფერიული ჯგუფების ჩაგვრის, უთანაბრო განვითარების, „ბირთვისა“ და „ეთნოეროვნული პერიფერიის“ უთანასწორო მოდერნიზაციის შედეგი. ასეთ შემთხვევებში განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა, აღქმული როგორც კოლექტიური ეთნონაციონალური უფლებების შელახვა, ეთნიკური სოლიდარობის ფორმირებისა და გამოვლენის მიზეზი ხდება.

ერთაშორის კონფლიქტებს საკუთარი დინამიკა გააჩნიათ. მისი შედარებით დამახასიათებელი მომენტები შემდეგია: 1) კონფლიქტის თანდათანობითი გაძლიერება უფრო და უფრო აქტიური ძალების ჩართვის, აგრეთვე, ბრძოლის გამოცდილების დაგროვების ხარჯზე; 2) პრობლემური სიტუაციების რაოდენობის ზრდა და პირველადი პრობლემური სიტუაციის გაღრმავება. კონფლიქტის განვითარების კვალდაკვალ ხდება ახალ-ახალი მოთხოვნების, ბრალდებების წამოყენება და პრობლემური სიტუაციას ახალი არგუმენტები და ფაქტები ემატება; 3) მონაწილეთა კონფლიქტური აქტივობების ამაღლება, კონფლიქტის ხასიათის ცვლილება მისი გამკაცრების, კონფლიქტში ახალი პირების ჩართვის მიმართულებით; 4) კონფლიქტის თანმხლებმა ემოციური დაძაბულობის ზრდამ შესაძლოა, მასში მონაწილეების ქცევებზე როგორც მამობილიზებელი, ისე მადეზორგანიზებელი გავლენა იქონიოს; 5) ერთაშორისი კონფლიქტისათვის დამახასიათებელია „საგარეო მტრის“ მდგრადი ხატის შექმნა, როდესაც კომპრომისი აღიქმება როგორც მოწინააღმდეგის კაპიტულაცია, როდესაც ვლინდება თითოეული მხარის მისწრაფება „გაიმარჯვოს“; 6) კონფლიქტისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია მისი ინტერნაციონალიზაცია, ანუ კონფლიქტში ან მის დარეგულირებაში მესამე ძალის ან საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა.

უნდა ითქვას, რომ კონფლიქტის ჩაქრობა შედარებით იოლია დასაწყისშივე, როდესაც მას ჯერ კიდევ არ მიუღია ფართომასშტაბიანი ხასიათი. თუკი კონფლიქტი გახურდა, იგი გადადის ხანგრძლივ ფაზაში, ჭიანურდება და მაშინ მისი გადაწყვეტა რთულდება, შეიძლება დადგეს შეუქცევადი შედეგები.

ერთაშორისი ქორწინებები (შერეული ქორწინებები) - ქორწინებები სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის; წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების ადამიანებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმას. ასეთი ქორწინებები აძლიერებენ ეთნიკურ კონტაქტებსა და ხელს უწყობენ ხალხთა დაახლოებას. ერთაშორისი ქორწინებები დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: მოსახლეობის ეთნოეროვნულ შემადგენლობაზე, განსახლების, კულტურის, რელიგიის, ტრადიციების, ჩვეულებების, ცხოვრების წესის, ხალხთა ფსიქოლოგიის ხასიათზე.

შერეული ქორწინებები შედარებით გავრცელებულია მოსახლეობის განსხვავებული ეროვნული შედგენილობის მქონე რეგიონებში, ამასთან, ქალაქებში მათი წილი უფრო დიდია, ვიდრე სასოფლო ადგილებში.

შერეული ქორწინებებით იქმნება ოჯახები, რომლებიც ინტეგრაციისა და ასიმილაციის პროცესების მიკროგარემოს ქმნიან. ასეთი ოჯახის შექმნის შემდეგ, ამ მიკროსოციალური კოლექტივის ეთნიკური განვითარების ტენდენცია უპირველესად ვლინდება მეუღლეთა შორის და ბავშვებთან საურთიერთობო ენის განსაზღვრაში (ამასთან, ოჯახებში არცთუ იშვიათად გვხვდება ორენოვნებაც), კულტურულ საყოფაცხოვრებო წყობის ფორმირებაში. ეთნიკური თვალსაზრისით, შერეული ქორწინებების საბოლოო შედეგი ცხადი ხდება სრულასაკოვან ბავშვთა მიერ თავიანთი ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრის დროს. ხშირ შემთხვევაში ეროვნულობის არჩევა ეროვნულ თვითშეგნებას გამოხატავს. რამდენადაც შერეულ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები ერთ-ერთი მშობლის ეროვნებას ირჩევენ, საბოლოო ჯამში ეს გავლენას ახდენს კონტაქტში მყოფი ეთნიკური ერთობების რიცხოვნებაზე. მამისა და დედის ეროვნებებს შორის არჩევა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციით, თუმცა მთელი ოჯახი ჩვეულებრივ მამის გვარს ირჩევს. ბევრი ბავშვი უპირატესობას ანიჭებს დედის ეროვნებას, თუკი ოჯახი მის ეთნიკურ გარემოში ცხოვრობს. იხ. ეთნიკური ასიმილაცია, ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია.

ერთენოვანი – პირი, რომელიც ფლობს მხოლოდ ერთ ენას, მხოლოდ ამ ენაზე შეუძლია კომუნიკაცია.

ერთენოვნება – იხ. მონოლინგვიზმი.

ერთობა – ადამიანთა ერთობლიობა, გაერთიანებული ისტორიულად ჩამოყალიბებული მდგრადი სოციალური კავშირებითა და ურთიერთობებით და გააჩნია რიგი საერთო თავისებური ნიშან-თვისება.

ადამიანთა მიერ შეგნებულად შექმნილი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტებისგან განსხვავებით, ერთობები წარმოიქმნებიან ბუნებრივ-ისტორიულად, ანუ აუცილებლობით, რაც განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოებისა და საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებით. საწარმოო ძალების განვითარების ადრეულ საფეხურისათვის დამახასიათებელი იყო რიცხობრივად მცირე, მაგრამ ძალზე მდგრადი ერთობები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საარსებო საშუალებების, ადამიანთა აღწარმოების და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების ფუნქციონირებას და განვითარებას. ასეთი ერთობები იყო გვარი/მოდგმა, ტომი, ოჯახი, თემი.

ერის / პიროვნების ენობრივი სუვერენიტეტი – ხალხთა და ცალკეულ პირთა უფლებების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს მშობლიური ენის შენარჩუნებასა და განვითარებას, არჩევანის თავისუფლებას და კომუნიკაციის ენის გამოყენების თავისუფლებას.

ეროვნული ენა – ერის დედაენა, მისი ისტორიული და თანამედროვე ვინაობის გამომხატველი.

ესკიმო-ალეუტელთა ენები – გენეტიკურად იზოლირებული ენები, შედგება ესკიმოსური და ალეუტური ენებისგან. პირობითად მიაკუთვნებენ პალეოაზიურ ენებს.

ესპერანტო – ხელოვნური საერთაშორისო ენა, რომელიც გამოიგონა პოლონელმა ექიმმა ლ. ლ. ზამენჰოფმა. შედგენილია ბერძნულ-ლათინური საე-

რთაშორისო სიტყვებისგან, აქვს მარტივი გრამატიკული წყობა, სულ 16 წესისგან შედგება. ესპერანტოზე თარგმნილია უამრავი მხატვრული ნაწარმოები. არსებობს ორიგინალი ლიტერატურაც. ესპერანტო არაა შექმნილი არსებული ენების შესაცვლელად, მას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს თანამედროვე მრავალენოვან სამყაროში.

ესპერანტოლოგია – ინტერლინგვისტიკის დარგი, რომელიც სწავლობს ესპერანტო ენის თეორიასა და პრაქტიკას (მისი აგების და ფუნქციონირების პრინციპები, ესპერანტოს გავრცელებისა და განვითარების ისტორია, ასევე ესპერანტო მოძრაობის კითხვებსა და პრობლემებს).

ესხატოლოგია (ბერძნ. ἔσχατος – ბოლო, უკანასკნელი + λόγος – მოძღვრება) – რელიგიური შეხედულებებისა და რწმენა-წარმოდგენების სისტემა სამყაროსა და ადამიანის საბოლოო ბედისწერაზე, მის აღსასრულზე, აგრეთვე, ღვთისმეტყველების მიმართულება, რომელიც ამ სისტემას ამა თუ იმ რელიგიური დოქტრინის ფარგლებში შეისწავლის. განასხვავებენ ინდივიდუალურ ესხატოლოგიას (სწავლება ადამიანის ბედისწერის შესახებ) და საყოველთაო ესხატოლოგია (სწავლება კოსმოსისა და ისტორიის მიზნის და მათი დასასრულის შესახებ). რწმენა-წარმოდგენებს უნივერსუმის წარმოშობისა და დასასრულის, კეთილი და ბოროტი საწყისების, ნათლისა და ბნელის ბრძოლის შესახებ. თავის განვითარებულ ფორმაში ესხატოლოგია დამახასიათებელია იუდაიზმისა, ქრისტიანობისა და ისლამისათვის.

ეტიკეტი - ვიწრო გაგებით გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში მიღებული ქცევის წესების ერთობლიობა, ფართო აზრით კი - მოცემულ საზოგადოებაში მოქმედი ქცევის ნორმები. ქცევის ეს წესები, ნორმები შორეულ წარსულში, საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად, გაჩნდა და მისი განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდა. ქცევის ნორმების გარეშე ვერცერთი საზოგადოებრივი ფორმაცია ვერ იარსებებდა. ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში გამომუშავდა შიდასაოჯახო, საგვარეულო ურთიერთობის, საკვების განაწილების მარეგულირებელი ნორმები. საკვები პირველადი ცხოვრებისეული აუცილებლობაა, ამიტომ ყველაზე ძველსა და მდგრად კომპლექსს წარმოადგენდა კვებასთან დაკავშირებული ნორმების რეგულაცია.

სიტყვები „ეტიკეტი“ და „ეთიკა“ აღიქმება როგორც მონათესავე მნიშვნელობის ტერმინები, და ეს ბუნებრივიცაა: ასეთ აღქმას ხელს უწყობს არამარტო მათი ჟღერადობა, არამედ მოცემულ ცნებათა მჭიდრო კავშირი. რეალურად ეს სიტყვები შედარებით გვიან დაახლოვდნენ. „ეტიკეტი“ ფრანგული სიტყვაა, ეთიკა კი - ლათინური. ფრანგული Etiqette ორი მნიშვნელობისაა: 1) „იარლიყი“, „წარწერა“ და 2) „ცერემონია“. თავის მხრივ, ფრანგული „ეტიკეტი“ მომდინარეობს ჰოლანდიური სიტყვიდან sticke („პალო“, „წკირა“) და თავდაპირველად აღნიშნავდა ჩხირს ზედმიმაგრებული ქაღალდით, რომელზედაც წარწერილი იყო საქონლის სახელწოდება, მოგვიანებით - წარწერიან ქაღალდს. ამ უკანასკნელიდან განვითარდა შედარებით ვიწრო მნიშვნელობა - წარწერა ცერემონიულ მოქმედებათა თანამიმდევრობის აღნიშვნით და შემდგომ - „ცერემონიალი“.

ცნობილია, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში ყოველდღიური ცხვოვრების ბევრი სფერო - შიდასაოჯახო ურთიერთობები და შრომითი საქმიანობა, რელიგიურ-საკულტო პრაქტიკა და სოციუმის წევრებს შორის კომუნიკაცია - რეგლამე-

ნტაციას ექვემდებარებოდა, ქმნიდა რა ქცევის მკაცრ სისტემას. ნებისმიერი, განსაკუთრებით ტრადიციული, ქცევის სტრატეგია, ყალიბდებოდა გარკვეულ საკრალურ ფასეულობებთან კავშირში. სწორედ საკრალური ელემენტების არსებობა განაპირობებდა ქცევის ამა თუ იმ სტერეოტიპის ძალმოსილებასაც და აუცილებლობასაც.

მოცემულ საზოგადოებაში საკრალური საწყისის აღნიშვნისა და გადაცემის მექანიზმის რეალიზებას ტრადიცია ქცევის უმაღლესი ფორმის - რიტუალური ქმედების - მეშვეობით ახდენდა. ტრადიცია ყოველთვის რიტუალზე ორიენტირდებოდა, რიტუალი კი მუდამ საკრალურ სფეროსთან იყო კავშირში. რიტუალი, როგორც სიმბოლური ქცევა, მიზნად ისახავდა დასაბამიერი, „საწყისი დროის“ წეს-რიგის აღდგენასა და მის დაკანონებას. ამდენად, რიტუალის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა რიტუალური სიტუაციის საკრალურ პრეცედენტთან შეფარდება,რათა მოცემული სიტუაციის საკრალურ ხატთან შესაბამისობა გამოევლინა. ამდენად, რიტუალი - ესაა ტრადიციის უნივერსალური კანონის აღდგენა და სოციუმში ურთიერთობათა ნორმების დამკვიდრება.

რიტუალის შესრულება კოლექტივის ცხოვრებაში მუდამ მნიშვნელოვანი მოვლენაა. მაგრამ ყველა სიტუაცია როდი ქმნის საკრალურ ხატთან მისი შეფარდების შესაძლებლობას: კოლექტივის მთელი ყოველდღიური ცხოვრების თანამდევი არ შეიძლება იყოს რიტუალი. ამიტომ ბუნებრივია, რომ რიტუალური ქმედების ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს რიტუალური ქცევის გარკვეული სქემატიზაცია, რომელიც სოციუმის წეს-რიგის ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ყოფით დონეზე მოქმედებას იწყებს სტერეოტიპული ქცევის სხვა, გამარტივებული ფორმა - ეტიკეტი.

ეტიკეტი საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთობის (კომუნიკაციის) ნორმებს წარმოადგენს. ეტიკეტის სფეროს შეიძლება მივაკუთვნოთ ვერბალური (სამეტყველო ეტიკეტი - მიმართვისა და მისალმება-დამშვიდობების ფორმები და ფორმულები, ევფემიზმები და სხვ.), არავერბალური (ჟესტები და პოზები, საუბრის დროს თავდაჭერის მანერა და სხვ.) და პარავერბალური (საუბრის ტონი, ემოციის გამოხატვა, სივრცის ორგანიზაცია და სხვ.) კომუნიკაცია და ურთიერთობათა სხვა ასპექტები.

სხვადასხვა ეტიკეტური წესების ურთიერთქმედება ქმნის კომუნიკაციის მრავალფეროვნებასა და თვითმყოფადობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეტიკეტის ძირითადი ამოცანაა მოცემული საზოგადოებისათვის ზოგიერთი არსებითი სოციალური (აგრეთვე, ბიოლოგიური) შეფასებითი პრინციპების სიმბოლიზირება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სოციალური ურთიერთობებისა და სქესობრივ, ასაკობრივ და სტატუსურ განსხვავებათა სისტემატიზაციას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეტიკეტი გენეტიკურად რიტუალთან არის დაკავშირებული. როგორც რიტუალი, ისე ეტიკეტი წარმოადგენს სოციალური არსებობის მნიშვნელოვან ფორმას, მაგრამ ისინი საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა დონეებს ასახავენ. რიტუალი კოლექტივში გარკვეული ურთიერთობის ნორმებს ამკვიდრებს, ეტიკეტი კი მათ რეგლამენტაციას ახდენს. ამგვარად, ეტიკეტი რიტუალის გაგრძელებაა, იგი, თითქოს, მხარს უჭერს ურთიერთობის იმ ფორმას, რომელიც რიტუალის მიერ არის ლეგალიზებული. რიტუალის ფუნქციაა ქცევის წესების ახსნა, მისთვის არსებობის უფლების მინიჭება, ეტიკეტი კი მათ ილუსტ-

რირებას ახდენს. რიტუალი და ეტიკეტი თანაარსებობენ და წარმოადგენენ ერთ კომპლექსს, რომლის მთავარი ამოცანაა სოციუმის ჰარმონიული არსებობის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ეტიკეტსა და რიტუალს სოციუმის ცხოვრებაში სხვადასხვა ადგილი უჭირავთ, ერთი და იგივე ქმედება შესაძლოა, შეიცავდეს როგორც რიტუალის, ისე ეტიკეტის ნიშნებს.

ადამიანის ეტიკეტური ქცევა, რიტუალიზების ხარისხის მიხედვით, შეიძლება პირობითად ორ პოლუსს შორის განვათავსოთ: ერთ პოლუსზე იქნება რიტუალური ქმედება, ე. ი. ქცევა მაქსიმალური ნიშნადობით, რაც უპირატესად სიმბოლურია და არა პრაგმატული; მეორე პოლუსი დაეთმობა ყოფით ქცევას, ე. ი. მინიმალური ნიშნადობის ქცევას, ანუ პრაგმატულ ქცევას, რომლის სიმბოლური ფუნქცია მინიმალურია. ქცევითი სქემების კრებულმა, სიტუაციისა და სხვა ფაქტორების მიხედვით, რიტუალიზების სკალაზე შესაძლოა გადაინაცვლოს და ხან ერთი, ხანაც მეორე პოლუსისკენ მიიდრიკოს.

რამდენადაც ეტიკეტის თემა მრავალპლანიანია, მასზე შეგვიძლია ვისაუბროთ სიტყვის ფართო და ვიწრო აზრით: პირველი გაიგება, როგორც ამა თუ იმ სოციუმში მოქმედი ეთიკურად განსაზღვრული ქცევითი ნორმების ერთობლიობა, ხოლო მეორე - როგორც ადამიანთა გარკვეული ჯგუფებში გავრცელებული მატერიალურად ხილული კონკრეტული, ინდივიდუალური ნორმების კრებული, რომელიც მოიცავს ურთიერთობაში მყოფთა სივრცობრივ დისტანციას, მათ პოზებს, ჟესტებს, მიმიკას, სიტყვიერ ფორმულებს და სხვ. ეტიკეტი თავისებური მატერიალიზებული ინსტიტუტია, რომლის მეშვეობით ტრადიცია ცხოვრებაში თავის „პოლიტიკას“, პრინციპებსა და იდეალებს ანხორციელებს. ერთი მხრივ, ამა თუ იმ ქცევის მიზეზი ეფუძნება ტრადიციული შეგნების სფეროს, მეორე მხრივ კი - ტრადიციული ყოფითი კულტურის ემპირიულად დაკვირვებად პლასტში ვლინდება.

ეტიკეტური ქცევა წარმოადგენს ტრადიციის არსებობის შესამჩნევ და მნიშვნელოვან გამოვლენას, რომლის მკაფიო განსაზღვრა, რიტუალური ქცევის სხვა მსგავს ფორმებთან გაიგივება ან შეპირისპირება ძალზე რთულია. ეტიკეტის შესწავლა გულისხმობს მომიჯნავე ინსტიტუტების ცოდნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი მოითხოვს არა ოდენ სულიერი, არამედ მატერიალური კულტურის სხვადასხვა ელემენტების კომპლექსურ შეცნობას. ეტიკეტის კვლევა გვარწმუნებს, რომ ნებისმიერი ტრადიციული კულტურა არის სინთეტური წარმონაქმნი, ე. ი. კულტურაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია და განუყოფელი კომპლექსის სახით თანაარსებობს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალკეული ხალხების სტერეოტიპული ქცევის თავისებურებათა შესწავლისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მოცემულ კულტურულ არეალში ეტიკეტურ-რიტუალური სფეროს განვითარების სპეციფიკა. ბუნებრივია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში, მათ შორის კავკასიელებში, ეთნიკური კულტურის რიტუალურ-ეტიკეტური მიმართულების განვითარება მორალურ-ზნეობრივი ნორმების შესახებ ადგილობრივი წარმოდგენების კონტექსტში მიმდინარეობდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქცევის კულტურა, ეტიკეტური ურთიერთობები, თავისი შინაგანი არსით, პირდაპირ კავშირში იყო ამა თუ იმ საზოგადოებაში მოქმედ მორალურ-ზნეობრივ ნორმებთან. კავკასიის ხალხების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხალხის, ქცევისა და ეტიკეტური

კომუნიკაციის კულტურა არა მარტო ეფუძნებოდა მორალურ-ეთიკური დანაწესებს, არამედ, ერთი მხრივ, ყოველდღიურ-ყოფით და ტიპურ სიტუაციებში ამ დანაწესების „სტაბილიზატორის“ როლში გვევლინებოდა, ხოლო მეორე მხრივ, თავისი დინამიური ამოქმედებით კონკრეტულ გარემოში გაბატონებულ მორალურ ნორმებს ახალი ნიშნებითა და მახასიათებლებით ავსებდა. ტრადიციულ კულტურაში ადამიანის ქცევა რეგულირდებოდა მთელი რიგი მექანიზმებით, რომლებიც ერთმანეთზე რთულად ზემოქმედებდნენ. მაგალითად, ქრისტიანებისთვისაც და მუსულმანებისთვისაც დამახასიათებელია რელიგიური და საერო სამართლის სინთეზი, ამასთან, ეთნოსთაშორისი კულტურული სიახლოვე შეუდარებლად მნიშვნელოვანია მუსულმანებში, ვიდრე ქრისტიანებში, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ვისაუბროთ „საერთომუსულმანურ ეტიკეტზე“ და არა - „საერთოქრისტიანულზე“. შარიათი არეგულირებდა მუსლიმის რელიგიურ ვალდებულებებს, იურიდიულ ნორმებსა და სასჯელს, ადათი კი - ძირითადად ადამიანის საოჯახო ცხოვრებასა და მის სამეურნეო საქმიანობას. განსხვავებით იმ მუსლიმი ხალხებისაგან, რომლებთანაც ეტიკეტი შარიათისა და ადათის ფარგლებში მოქმედებს და, ამდენად, დამოუკიდებელ სისტემად არ გამოიყოფა, კავკასიის მუსულმანურ კულტურებში ეტიკეტი ქმნის განსაკუთრებულ, შარიათიდან და ადათიდან გამოყოფილი სრულიად დამოუკიდებელი კულტურის სფეროს. ასეთი ეტიკეტური სისტემის მაგალითს, რომელიც გავლენას ახდენს ქცევის ყველა დანარჩენ ფორმაზე, აფხაზური ალამისი წარმოადგენს. „ალამისი“ (ან „ნამუსი“) შეიძლება ძალზე ზოგადად განისაზღვროს, როგორც ზნეობრივ ფასეულობათა სისტემა, რომელიც მაღალპრესტიჟულ ქცევებში გამოიხატება. აფხაზური ალამისი ღირსების თავისებური კოდექსია, ამასთან, ესაა ცხოვრების წესი და ის ზნეობრივი იდეალი, რომლისკენაც ადამიანი უნდა ისწრაფოდეს. „ცხოვრების აზრი ალამისშია“, - ამბობენ აფხაზები (შ. ინალ-იფა).

ეტიმოლოგია (ბერძნ. ἔτυμος – ჭეშმარიტება, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა, λόγος მოძღვრება) – ისტორიული ენათმეცნიერების დარგი ენაში სიტყვების წარმოშობის და ისტორიის შესახებ. ეტიმოლოგია ასევე ეწოდება ამა თუ იმ კონკრეტული სიტყვის პირველ მნიშვნელობას.

ეტრუსკული ენა – ეტრუსკული, სავარაუდოდ, წარმოადგენდა ეთნიკურ და ენობრივ ფენას, რომელიც იტალიაში მანამდე იყო გავრცელებული, ვიდრე პირველი ინდოევროპელები გამოჩნდებოდნენ იტალია-ევროპაში და კონტინენტში აგრარული მეურნეობა ჩაისახებოდა და განვითარდებოდა. ამდენად ეტრუსკული იყო რეგიონში გავრცელებული ეტრუსკული ცივილიზაციის ენა. პრეისტორიულად ეტრუსკულმა გავლენა მოახდინა თვით ლათინურ ენაზეც, მაგრამ მოგვიანებით თავად ლათინურმა იმძლავრა და საბოლოოდ მთლიანად ჩაანაცვლა ეტრუსკული მისი გავრცელების სრულ არეალში. თანამედროვე კაცობრიობას ეტრუსკულ ენაზე შემორჩა დაახლოებით 13000 წარწერა, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილია მნიშვნელოვანი (რელევანტური) სიგრძისა და შინაარსის თვალსაზრისით. ზოგიერთი ორენოვანი წარწერა ასევე დამოწმებულია ლათინურ, ბერძნულ ან ფინიკიურ ვარიანტებთან ერთად. წარწერები ნაპოვნია ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ-ცენტრალურ იტალიაში, რეგიონში, რომელიც ახლაც ატარებს ეტრუსკული ცივილიზაციის თანადროულ სახელს, ტოსკანას (საიდან ლათინურში დამკვიდრდა tusci “ეტრუსკები”). ირკვევა, რომ ეტრუსკული მეტყველება გვხვდე-

ბოდა მის თანამედროვე ლაციუმში (ლათინური ენის გავრცელების) ჩრდილოეთითაც, დღევანდელ უმბრიაში, ტიბრის დასავლეთით, ასევე კამპანიასა და პოს ხეობაში, ეტრურიის ჩრდილოეთით.

ენათმეცნიერებსა და ეტრუსკოლოგებს შორის კონსენსუსი არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ეტრუსკული იყო პრაინდოევროპული / პალეო-ევროპული ენა, რომელიც არ უკავშირდებოდა გენეტიკურად არც ინდოევროპულ და არც სემიტურ-ქამიტურ ენებს; ანუ ეს იყო ენა, რომელიც ევროპის კონტინენტზე სრულფასოვნად ფუნქციონირებდა თვით პროტო-ინდოევროპელთა შემოსვლამდე.

ლინგვისტურად, ეტრუსკული ხასიათდება როგორც აგლუტინაციური ბუნების ენა. ისმის საკითხი ეტრუსკული ენის გენეტიკური კუთვნილების თაობაზე. მეცნიერთა ნაწილი მას ქართველურთან მონათესავედ მიიჩნევს და ამის საფუძველი, საერთო ლექსიკის გარდა, გრამატიკაშიც მოიპოვება. ამ თვალსაზრისით საკითხი მეტად საინტერესო და აქტუალურია, რაც მომავალში პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად მის კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს, ლინგვისტთა და ანთროპოლოგთა ფართო წრის აუცილებელი ჩართულობით.

გარდა ამისა, ენათმეცნიერ მ. პიტაუს თანახმად, ეტრუსკული ენა ახლომონათესავე ჩანს პალეოსარდინიული (სარდული) ენისა. ავტორის აზრით, ე. წ. ნურაგიკული მოსახლეობა ლიდიური წარმოშობის ხალხი ჩანს, რომლებმაც კუნძულზე მოიტანეს თავიანთი ინდოევროპული ენა, რითაც ჩაანაცვლეს წინარეინდოევროპული ენები რეგიონში, რომლებზეც ლაპარაკობდნენ წინარენურაგიკული ხალხები.

ექსპანსია – (ლათ. expansio „გაფართოება, გავრცელება“) არის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იძულებით გააფართოოს თავისი გავლენის სფერო სხვა ქვეყნებზე, ხალხებზე და ხორციელდება დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო მეთოდებით. ე. მიზნად ისახავს სხვა ხალხებისა და ერების დამონებას, ახალი ტერიტორიების, საქონლის ბაზრებისა და კაპიტალის დაბანდების ტერიტორიების, ნედლეულის წყაროების ხელში ჩაგდებას. ლიტერატურაში არის ტერმინები „კულტურული ექსპანსია“ და „ლინგვისტური ექსპანსია“. ისინი, შესაბამისად, განსაზღვრავენ ხალხებზე უცხო კულტურისა და უცხო ენის დამკვიდრების საქმიანობას.

ექსპერიმენტული სოციოლინგვისტიკა – სოციოლინგვისტური კვლევის მიმართულება, რომელიც ეწევა სოციოლინგვისტური მასალის შეგროვებას (ენის/მეტყველების ფაქტები გარკვეულ სოციალურ პარამეტრებთან კორელაციაში) გამოკითხვის, ინტერვიუს, დაკვირვებისა და ტესტირების გზით, ანუ ფაქტობრივი სოციოლინგვისტური ექსპერიმენტი. ეს ჩვეულებრივ მოიცავს ინფორმატორების დიდ რაოდენობას.

ვ

ვართაშნული – უდიური (იხ.) ენის დიალექტი. ვართაშნელები ცხოვრობენ აზერბაიჯანში, გავალის რაიონის სოფელ ოღუზში და საქართველოში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ზინობიანში. თავის მხრივ ვართაშნულს ყოფენ ორ ქვე-

დიალექტად. ვართაშნულად და ოქტომბულად (ზინობიანის ყოფილი სახელი), თუმცა ეს დაყოფა პირობითია – უდები ზინობიანში 1922 წელს დასახლდნენ.

ვარიანტულობა (ლათ. variantis) – ერთი და იგივე ენობრივი ერთეულის სხვადასხვანაირად გამოხატვის შესაძლებლობა.

ვირიავუნკულოკალობა (ლათ. vir - ქმარი + avunculus - დედის ძმა + lokus - ადგილი) შეუღლებული წყვილის დასახლება დედის ძმასთან.

ვირილოკალური ქორწინება - იხ. პატრილოკალური ქორწინება.

ვულგარიზმი (ლათ. vulgus „უბრალო ხალხი, ბრბო“) – უხამსი, საauგო, უხეში სიტყვა ან გამონათქვამი.

ზ

ზანური ენა (**კოლხური ენა**) – იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფში შემავალი ენა. ერთიან ზანურზე დღეს არავინ მეტყველებს; ცნება „ზანური“, „კოლხური“ ისტორიული შინაარსისაა. ამჟამად ზანურ ენას აქვს ორი დიალექტი – მეგრული და ლაზური (ჭანური), რომლებიც რეალურად ფუნქციონირებენ. მეგრულ-ლაზურის ერთიანობის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გვხვდება. ნ. მარს ადრე გამოყენებული ჰქონდა ტერმინი „თუბალ-კაენური“ (თუბალურში მეგრული იგულისხმებოდა, კაენურში – ლაზური). შემდეგ მეგრულისათვის ნ. მარმა „ივერიულიც“ გამოიყენა. მეგრულ-ლაზურის მნიშვნელობით ტერმინი „ზანური ენა“ დაამკვიდრა არნ. ჩიქობავამ. ავტორი ემყარებოდა როგორც ისტორიულ წყაროებს, ისე თანამედროვე ენობრივ მონაცემებს. ტერმინი კოლხური პირველად გამოიყენა გერმანელმა მეცნიერმა გეორგ როზენმა, მაგრამ იგი ქართველოლოგიაში არ დამკვიდრებულა. XX ს.60-იან წლებში ტერმინი „კოლხური“ მეგრულ-ჭანურის მნიშვნელობით გამოიყენა ა. შანიძემ და ამის შემდეგ იგი „ზანურის“ პარალელურად შემოვიდა სამეცნიერო ლიტერატურაში. საერთო ნიშნების მიუხედავად, განსხვავება ლაზურსა და მეგრულს შორის მაინც საგრძნობია, რაც აიხსნება იმ ისტორიული ფაქტით, რომ ლაზური საუკუნეების განმავლობაში (დღემდე) მოქცეული იყო უცხოენოვან გარემოცვაში.

ზაქათალური – ხუნძური ენის დიალექტი. გავრცელებულია ბელაქნისა და ზაქათალის რაიონებში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა); მასზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია აზერბაიჯანულმა ენამ, ზეგავლენა იგრძნობა, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკაში. მახასიათებლებით ახლოსაა ანწუხურ დიალექტთან.

ზნე-ჩვეულება – ამა თუ იმ საზოგადოებაში, ან საზოგადოების ნაწილში დამკვიდრებული ეთიკურ- ეტიკეტური ნორმები, ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები.

ზოოლატრია (ბერძნ. ζωον - ცხოველი + λατρεία - მსახურება, თაყვანისცემა) - ცხოველთა თაყვანისცემასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და საწესჩვეულებო პრაქტიკები - რელიგიის ერთ-ერთი ადრეული ფორმა. ზოლოატრიის ჩანასახობრივი სახით წარმოშობაზე მეტყველებს ე. წ. „დათვის გამოქვაბულები“, რომელიც შუა პალეოლითის (მუსტიე, ძვ. წ. 32-33 ათასი წელი) ეპოქას განეკუთვნება. ამ გამოქვაბულებში ნეანდერტალელები ინახავდნენ დათვის თავის ქალებს, რომლებსაც პრიმიტიული რიტუალების ჩასატარებლად იყენებდნენ („ძვლის კულტი“). კრომანოინელებში ზოოლატრიის რუდიმენტების არსებობის

თაობაზე მოწმობს პატარა ქვებსა და ძვლებზე ცხოველთა გრავირებული ნახატები (ზედა პალეოლითი, ორენიაკის ეპოქა, ძვ. წ. 30 ათასი წელი) და პეტროგლიფები, გამოსახულნი ქვის ზედაპირზე (გამოქვაბულებში, ლოდებსა და სხვ.). ე. წ. „გამოქვაბულთა მხატვრობა“ განეკუთვნება ზედაპალეოლითურ ეპოქას (მადლენი, ძვ. წ. 15-10 ათასი წლები). უფრო მოგვიანებით, ნეოლითსა და შემდგომ ხანაში, გამოქვაბულის ნახატებთან ერთად, ცხოველების (ცხენების, ბიზონების, ირმების, დათვების და სხვ.) გამოსახულებები გვხვდება კლდეებზეც. მიიჩნევენ, რომ ეს ნახატები არქაული ადამიანის წარმოდგენით რეალური ცხოველის ორეული იყო და უპირატესად უკავშირდება სამრეწველო მაგიას, რომელსაც წარმატებული ნადირობა უნდა უზრუნველეყო. პირველყოფილი კოლექტივის მუდმივი დამოკიდებულება ცხოველთა სამყაროზე, როგორც სასიკვდილო საფრთხესა და სასიცოცხლო ძალის წყაროზე (ხორცის საკვები), ბადებდა ადამიანთა ინტენსიურ ეგზისტენციალურ ფიქრიანობას, მიმართულს ცხოველებთან ურთიერთობისკენ. ნადირის მიმართ შიში, პირუტყვის სისწრაფე და სიმარდე - ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა ეს და ეს და სხვა თვისებები თაყვანისცემის საგანი ხდებოდა. ზოოლატრიული რწმენა-წარმოდგენები საკრალურზე (წმინდაზე) დაკავშირებულია ცხოველური ძალის შემეცნებასთან, ძალისა, რომელზედაც ადამიანთა სიკვდილი და სიცოცხლე იყო დამოკიდებული. მაგიური რწმენა-წარმოდგენები გულისხმობდა რიტუალური ქმედებებისა და ნადირთა გამოსახულებების მეშვეობით დაედგინა ცხოველთა სამყაროსთან განსაკუთრებული ურთიერთობები, გაბატონებულიყო მასზე წარმატებული ნადირობისთვის, მისი აღწარმოების სტიმულირებისთვის (რეპროდუქციული მაგია) და სხვ. ანიმისტური მსოფლმხედველობა (იხ. ანიმიზმი) ცხოველებს სულს ანიჭებდა, ხოლო ანთროპომორფიზმი (იხ.) – ადამიანის ინტელექტუალურ, ემოციურ, ზნეობრივ და სხვა თვისებებს. ადამიანის შინაგანი და გარეგანი თვისებების პირუტყვზე გადატანამ წარმოშვა წარმოდგენები ზოოანთროპომორფულ არსებებზე. ამის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მოწმობაა ზედაპალეოლითური ტრუა ფრერის („სამი ძმა“, საფრანგეთი) გამოქვაბულის ზოოანთროპომორფული ფიგურა. ძველი კოლექტივების კონკრეტული ყოფითი პირობების, მსოფლაღქმის ეგზისტენციალური საფუძვლების, მაგიური და ანიმისტური წარმოდგენების, ანთროპომორფიზმის შერწყმით წარმოიშვა ზოოლატრიის სხვადასხვა ფორმა. მითოლოგიური შემოქმედებაში მდიდრულად არის წარმოდგენილი ზოოლატრიული სახეები და სიუჟეტები, რომლებშიც ცხოველები გვევლინებიან დამღუპველ ძალად, დემონოლოგიურ პერსონაჟებად ან, პირიქით, ადამიანთა დახმარების, ცალკეული ერთობების პირველწინაპრების (იხ. ტოტემიზმი), სამყაროს შემქმნელების (იხ. დემიურგი), ბუნებრივი სტიქიების, ნაყოფიერებისა და ადამიანთა სიცოცხლისათვის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების განმგებლების სტატუსში.

ზოროასტრიზმი – ირანის ძველი ჰენოთეისტური რელიგია. ბერძნები ჰეროდოტეს დროიდან (ძვ. წ. V ს.), ქურუმთა მიდიური ტომის სახელწოდების მიხედვით, ზოროასტრიელებს მაგებს უწოდებდნენ. ამას უკავშირდება აღნიშნული რელიგიის ისლამური სახელი – მაჯუსიია. ზოროასტრიზმის წინასწარმეტყველი და დამფუძნებელია ზარატუშტრა (საშუალო სპარსული, ახალი სპარსული ზარდუშტი, ბერძნული ზოროასტრი; ყველაზე მისაღები ეტიმოლოგიაა: „ძველი აქლემების მფლობელი“, „ძველი აქლემი“, როგორც დამცავი სახელი). ზოროა-

სტრიზმის ძირითადი წმინდა ტექსტია ავესტა, რომლის შედგენა ზარატუშტრას მიეწერება. მის შემდეგ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საშუალოსპარსული (ფალაური) რელიგიური ლიტერატურა. ზოროასტრული მითოლოგიის საყურადღებო წყაროა ახალსპარსული ეპოსი, განსაკუთრებით ფირდოუსის „შაჰ-ნამე“. ზოროასტრიზმი თავისი ფესვებით ძველი ირანის ინდო-არიულ რელიგიას უკავშირდება. რეკონსტრუქციის მონაცემებით, მისი მიმდევრები ეთაყვანებოდნენ წყალს, ცეცხლს. ამ უკანასკნელის მსხვერპლშესაწირს შეადგენდა შეშა, კეთილსურნელოვნება (ბალახეული) და ცხოველური ცხიმი, ხოლო წყლისა - ე. წ. ხაომა - რიტუალური სასმელი - მცენარის ტოტებიდან გამოწურული და რძენარევი სითხე. ძველ ირანელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების საფუძველს ანიმიზმი შეადგენდა; ეთაყვანებოდნენ მრავალრიცხოვან სულებს, მათ შორის ტიშტრიას (სირიუსის ღვთაება, წყლის მგზავნელი), მითრას (შეთანხმების სული), ვერერთრანგას („რითრის მკვლელი“ - ვედური ტრადიციის ინდრა), აპამ-ნაპატს („წყლის შვილიშვილი“), სრაოშას („მორჩილება“) და ა. შ. სხვა ღვთაებათა სათავეში იდგა ახურა-მაზდა („სიბრძნის ღმერთი“). მსოფლიოს მართავდა სამყაროული კანონი აშა (ძველინდური რთა); მსოფლწესრიგს ეწინააღმდეგებოდა ბოროტება (დრუგი). სიკვდილის შემდეგ ინდივიდუალური სული (ურვანი) ჩადიოდა მიცვალებულთა საუფლოში, რომელსაც იიმა (ძველინდური იამა) მართავდა.

ზოროასტრიზმის წარმოშობის ადგილი, ე. ი ამ რელიგიის ფუძემდებლის საცხოვრებელი ადგილი დღემდე ზუსტად არ არის დადგენილი (ბაქტრია, ხორეზმი, მიდია). წყაროებში ზარატუშტრას ბიოგრაფიასთან დაკავშირებული თარიღები სხვადასხვაგვარია. საშუალო სპარსული წყაროების (ბუნდახიშნი, დენკარდი და სხვ.) თანახმად, ზარატუშტრა სპიტამას გვარის წარმომადგენლის, პურუშასპის, ძეა, დედამისის სახელია დუღდავი; ისლამური წყაროების მიხედვით, მიდიის სამეფოს ანტროპატაკანის ოლქში (ირანის აზერბაიჯანი) დაიბადა; ქადაგებდა ბაქტრიის რაიონიდან სისტანამდე.; მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ იგი აღმოსავლეთ ირანში ცხოვრობდა ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ან ძვ. წ. VI საუკუნის პირველ ნახევარში; 30 წლის ასაკში გამოცხადება მიიღო და ქადაგება დაიწყო. 12 წლის განმავლობაში დევნასა და ხეტიალში მყოფმა, 42 წლის ზარატუშტრამ, მეფე კავი ვიშტასპას სახით, მფარველი და თანამზრახველი ჰპოვა; 77 წლისა ლოცვის დროს მოწინააღმდეგის მახვილმა იმსხვერპლა. წინასწარმეტყველის სიცოცხლეში ახალი მოძღვრება მისი მფარველის, მეფე ვისტასპის, სამფლობელოს ფარგლებს გარეთ არ გავრცელებულა. დასავლეთ ირანში, მიდიაში ზოროასტრიზმის მქადაგებლებს მაგების ქურუმთა ტომი დაუპირისპირდა. მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ მაგებმა ახალი კულტი აღიარეს და მისი მსახურები გახდნენ, სხვათა აზრით, ახალ შეხედულებებს მაგები დაუპირისპირდნენ, ზოროასტრიზმმა კი სამხრეთ-დასავლეთში დაიწყო შეღწევა, სადაც მას მიდიის ვასალები მიემხრნენ. ამ თვალსაზრისის თანახმად, მოგვიანებით დარიოსმა მაგები აიძულა ზოროასტრიზმი მიეღოთ. აქემენიდ კიროს II-ის დროს (559-530 წწ.) მოხდა მიდიის დაპყრობა და ახლო და შუა აღმოსავლეთის რიგი ქვეყნების დამორჩილება. დარიოს I-ის მეფობისას (522-486 წწ.) ახურა-მაზდა უზენაეს სამეფო ღვთაებად ოფიციალურად მტკიცდება, რაზედაც ბეხისტუნის წარწერა მოწმობს. ქსერქსეს (486-465 წწ.) ცნობილ „ანტიდევურ“ წარწერაში მოთხრობილია დევთა ბომონების დანგრევისა და ახურა-მაზდას კულ-

ტის დადგენის თაობაზე. არტაქსერქსე II-ის დროს (404-359 წწ.) მკვიდრდება სამი ღვთაების - ახურა-მაზდას, ანაჰიტას და მითრას - კულტი; მაშინვე გაჩნდა მათი სტატუეტები. ალექსანდრე მაკედონელის შეჭრის შემდეგ, ძვ. წ. 330-იან წლებში ზოროასტრიზმის წმინდა ტექსტები დაიკარგა. აქემენიდთა სამეფო ოჯახის დაცემამ ირანი რელიგიურმა ქაოსმა მოიცვა, რამაც დაახლოებით 400 წელიწადი გასტანა. როგორც კი სასანიდების დროს ოფიციალურ რელიგიად ზოროასტრიზმი გამოცხადდა (დაახლოებით 224 წ.), ავესტის ტექსტების რედაქციებიც შედგა. ზოროასტრიზმის, როგორც ირანის სახელმწიფო რელიგიის, გაფორმებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უმაღლესმა ქურუმმა კარტირმა (კირდერმა), რომელსაც მრავალრიცხოვანი „ურწმუნოს“ მოქცევა მიეწერება. კარტირის დროიდან ზოროასტრიზმი ირანში გავრცელებულ სხვა რელიგიებს (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ინდუიზმი, ბუდიზმი) მყარ ოპოზიციაში უდგება და ყველა ახალი მიმდინარეობა ოფიციალური რელიგიის მიერ შეფასებული იყო, როგორც ერესი. VII საუკუნეში, არაბთა მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ, დაიწყო ზოროასტრელების ძალდატანებითი მოქცევა ისლამზე. ზოროასტრელთა ნაწილი X-XI საუკუნეებში დასავლეთ ინდოეთში გადასახლდა და მათ დღემდე პარსებს უწოდებენ, ხოლო ირანში დარჩენილებს - ღებრებს. IX საუკუნეში შეიქმნა ფალაური საღვთისმეტყველო თხზულებანი (დადესტან-ი დინიგი, დენკარდი, ზადსპრამი, შქანდ-ჰუმანიგ-ვიზარი). ქალაქები ქერმანი და იეზდი (იაზდი) მსხვილი ზოროასტრული ცენტრები გახდნენ. ფეხლევთა დინასტიის მმართველობის დროს, დაწყებული რეზა-შაჰიდან (1925-1941 წწ.), ზოროასტრიზმის რელიგიურ-ფილოსოფიური დოქტრინა მოდაში შემოვიდა და ინტელიგენცია და მმართველი ელიტა მოიცვა. თეირანის უნივერსიტეტში ავესტის, ზოროასტრული საღვთისმეტყველო ლიტერატურის, რელიგიის, ეთიკისა და ფილოსოფიის სწავლება დაიწყო; ოფიციალურად შემოღებულ იქნა ზოროასტრული კალენდარი; ძალზე პოპულარული გახდა ზოროასტრიზმის ტრადიციული სიმბოლიკა. 1979 წლის დასაწყისის ირანის რევოლუციისა და იმავე წლის დეკემბერში ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ზოროასტრელები, ინდუიზმის მიმდევრებთან ერთად, რელიგიურ უმცირესობად გამოცხადნენ. ჰომეინის მმართველობის პირობებში მათი მდგომარეობა გაუარესდა (შეჩერდა ოფიციალურ თანამდებობებზე არამუსლიმთა დანიშვნა, დაიხურა ზოგიერთი გამოცემა). უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა სიტუაციის გაუმჯობესება.

ზარატუშტრას მოძღვრება ჩამოყალიბებულია ავესტაში - წმინდა წიგნების კრებულში. ავესტის ყველაზე ადრეული ხელნაწერი (ზენდ-ავესტა, საშუალო სპარსული „კომენტირებული ავესტა“) XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება. სასანიდების დროს (III-VII სს.) განხორციელებული კოდიფიკაციის შედეგად ავესტა ჩაწერილ იქნა ამ მიზნით შექმნილი ავესტური ალფავიტით (საშუალი სპარსული ენის საფუძველზე), ამ დრომდე მისი ტექსტი ზეპირსიტყვიერებით გადაიცემოდა. აღნიშნული პერიოდის ავესტა 21 წიგნისგან (ნასკა) შედგებოდა. ჩვენამდე მოღწეული ავესტა მოიცავს იასნას, იაშტებს, ვიდევდატს (ან ვენდიდადს), ვისპერედს; ლოცვები გადმოცემულია ე. წ. მცირე ავესტაში. იასნა შედგება 72 თავისგან, რომელთაგან 17 შეადგენს გათებს - ზარატუშტრას ჰიმნებს, შესრულებულს სალექსო ფორმაში, და 7 თავს - ე. წ. „იასნის შვიდ თავს“, რომელიც თავისი ენითა და წარმოშობის დროით ყველაზე ახლოს დგას გათებთან და იასნის ნაწილია. იაშტები შედგება 21 რელიგიური ჰიმნისგან, რომლებიც ზოროასტრული ღვთაებე-

ბის სადიდებლებია. ჰიმნებში გადმოცემულია ირანული ლეგენდები და მითები, ბევრი სიუჟეტი, რომელიც ფირდოუსმა „შაჰნამეში“ გამოიყენა.

ავესტის 21 ნასკიდან სრულად შემოინახა მხოლოდ ერთი წიგნი – ვიდევდატი, რომელშიც ასახულია ზოროასტრული დოგმატიკის შედარებით გვიანდელი ნაწილები. ვიდევდატი არის კანონთა კრებული რიტუალური სისუფთავის, შესაძლებლისა და აკრძალულის, რელიგიური განბანვის წესების, ცეცხლისა და სხვა სტიქიების კულტების შესახებ.

ზოროასტრიზმის ძირითადი მახასიათებელია დუალიზმი – აღიარებულია ორი ღვთაებრივი საწყისი: ნათელი, განსახიერებული კეთილი ღმერთით – აჰურა-მაზდათი, და ბნელი, განსახიერებული ბოროტი ღმერთით - ანგრო-მაინიუთი (აჰრიმანი), რომელთაგან თითოეულს სათავეში უდგას სულების დასი: ნათლისა და სიკეთისა – აჰურები და ბნელისა და ბოროტებისა – დევები. ეს ორო დიდი ღმერთი წარმოადგენს სამყაროს თანასწორუფლებიან შემოქმედს. პირველმა შექმნა ყოველივე კარგი, გონიერი, სასარგებლო, მეორემ – ყოველივე ცუდი, მავნებელი. ეს ეხება ეთიკის სფეროსაც – სიმართლე, სიკეთე უპირისპირდება ტყუილს, ბოროტებას და ა. შ.

აჰურა-მაზდა აღიარებულია მიწათმოქმედების, ბინადარი ცხოვრების, შინაური ცხოველების, განსაკუთრებით ძროხებისა და ძაღლების მფარველად. აჰრიმანი - მოთარეშე მომთაბარეებისა და მტაცებელი ცხოველების მფარველად. ორივე საწყისს შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს. ავესტის თანახმად, კეთილი ღმერთი ბოროტებაზე პასუხს ვერ აგებს, რამდენადაც იგი სხვა, მისგან დამოუკიდებელმა ძალამ გააჩინა. ბოროტებისა და ტანჯვის მოცილება შეიძლება მომავალში, მას შემდეგ, რაც გაიმარჯვებს აჰურა-მაზდას, გაერთიანდება მთელი კაცობრიობა, რომელიც ერთიან ენასა და სართო სახელმწიფოებრივ მმართველობას შეიძენს. ბოროტების დაძლევის გზა მისგან განწმენდაა, როგორც მორალური, ისე საკულტო, რომელშიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს წყლის თაყვანისცემა და მისი შეწირვა. ეს უკანასკნელი შედგება სამი ელემენტისგან: რძისა და ორი მცენარის ფოთლების წვენისგან. რიცხვი „სამი“ წმინდად მიიჩნეოდა, მსხვერპლშეწირვის სამი ელემენტი მცენარეული და ცხოველური სამყაროს სიმბოლოა. ზოროასტრელების კულტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცეცხლს, როგორც განმწმენდ ძალას. მას უდგამდნენ საკურთხევლებს, ხოლო მოგვიანებით - ტაძრებს. ცეცხლს (ათარს) სამი ელემენტისგან შემდგარ მსხვერპლს სწირავდნენ: ეს იყო სუფთა თივა, კეთილსურნელოვანი მცენარის ფოთლები და ცხოველურ ცხიმს. ზოროასტრიზმი კრძალავდა მიცვალებულის გვამის დამარხვასა და კრემაციას, რამდენადაც ეს მიწის, ცეცხლისა და მცენარის წაბილწვას ნიშნავდა; ამიტომ გვამს უდაბურ და ამაღლებულ ადგილზე მტაცებელი ცხოველებისა და ფრინველების საკვებად ტოვებდნენ. ზოროასტრიზმი აღიარებს სულის უკვდავებას და მორწმუნეებს უბიწოებისათვის ჯილდოდ საიქიო ნეტარებას პირდება. ზოროასტრიზმში დიდი ადგილი უკავია განწმენდის კანონებს და რიტუალური სისუფთავის მისაღწევად შემუშავებულია მრავალრიცხოვანი წესი, რომელთა შორის უმარტივესი შეიძლებოდა სახლის პირობებში შესრულებულიყო, მაგრამ სათანადო ლოცვებით თანხლებულ საგულდაგულო განწმენდას მხოლოდ ღვთისმსახურები ასრულებდნენ. ყველაზე ქმედითად ითვლებოდა სამგზის განწმენდა ძროხის რძით, სილითა და წყლით. ზარატუშტრას თანახმად,

ღვთაებებმა (ამეშა სპენტა) გააჩინეს შვიდი სრულყოფილი ქმნილება: ცა, მიწა, წყალი, მცენარეები, თვინიერი და გულკეთილი ძროხა, ცეცხლი და ადამიანი. მათ წინააღმდეგ გამუდმებით მოქმედებენ აჰრიმანი და მისი დამქაშები. ბევრი ზოროასტრული წეს-ჩვეულება დაკავშირებულია წელიწადის დროებთან და სეზონურ ხასიათს ატარებს. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საზეიმო დღესასწაულია ნოვრუზი - ახალი წელი, რომელიც არაოდენ გამოღვიძებული ბუნებისა და ყოველი მიწიერი სულდგმულის, არამედ სამართლიანობის გამარჯვებისა და ახალი ცხოვრების დასაწყისის სიმბოლოა.

თ

თაბასარანული ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ლეზგიურ ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია სამხრეთ დაღესტანში, თაბასარანისა და ხივის რაიონებში. გამოიყოფა ორი დიალექტი – სამხრეთისა და ჩრდილოეთისა. თაბასარანული სამწერლობო ენაა. სალიტერატურო ენა ეფუძნება სამხრეთის დიალექტს. დამწერლობა შემოღებულია 1932 წლიდან, თავდაპირველად ეფუძნებოდა ლათინურ გრაფიკას, 1938 წლიდან კი – კირილიცას.

თათური ენა – ირანულ ენათა სამხრეთ-დასავლური ჯგუფის ენა. გავრცელებულია აზერბაიჯანსა და დაღესტანში. იყოფა ორ დიალექტად – სამხრული (აზერბაიჯანის თათური) და ჩრდილოურად (დაღესტანში მცხოვრებ იუდეველ თათთა მეტყველება). თათურს მთიელ ებრაელთა ენასაც უწოდებენ. თათების ერთი ნაწილი ცხოვრობს საქართველოში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორში. ისინი საკუთარ თავს ლაიჯელებს უწოდებენ. ლაიჯური თათურის კილოკავს წარმოადგენს. 1920-იან წლებში თათურ ენას დამწერლობა შეუქმნეს ლათინური ანბანის მიხედვით, რომელიც 1939 წლიდან გადაიყვანეს რუსულ გრაფიკაზე. თათური ენა შეტანილია საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო ენების ატლასში.

თალმუდი (ძვ. ებრ.) – ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; შედგენილი ბიბლიის („ძველი აღთქმის") წიგნების განმარტებათა საფუძველზე.

თაობა – 1. შთამომავლობის თითოეული საფეხური (მშობლები, შვილები, შვილიშვილები...); 2. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხდებოდა ალოების დარიგება ყველა წევრისათვის (ქვემო ქართლი).

თეზაურუსი (ლათ. Thesaurus <- ბერძნ. Thesauros „განძი") – ამა თუ იმ ენის ლექსიკის სრული მარაგი; მისი სიტყვების ამომწურავი ლექსიკონი.

თეიზმი (ბერძნ. Theos , θεός ღმერთი) – რელიგიური მოძღვრება განპიროვნებულ ღმერთზე, რომელმაც შექმნა სამყარო, ადამიანი, განაგებს ყოველივეს თავისი უზენაესი ტრანსცენდენტალური ბუნებით, ნებისყოფით, რომელსაც ყოველი არსი ემორჩილება.

თემი – ადამიანთა სოციალურ-ტერიტორიული ორგანიზაციის ისტორიულად პირველი ფორმა, წარმოქმნილი გვაროვნული კავშირების საფუძველზე. გვარის განსხვავებით, თემი არაეგზოგამიურია (აქ მონათესავე ჯგუფებს შორის ქორწინება არ იკრძალება), თუმცა ეგზოგამიური ფაქტორის გარეშე არ ყალიბ-

დება. განვითარებულ პირველყოფილ საზოგადოებაში თემი არა მონოგენური, არამედ ჰეტეროგენური, პოლიგენურია (მრავალგვაროვანი), ანუ უფრო ხშირად ენდოგამიურია. იგი საყოველთაოდ ვრცელდება, როგორც მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაციის ინსტიტუტი, რომლის უპირველესი დატვირთვა კოლექტივის სამეწარმეო და საოჯახო-ყოფითი ფუნქციებია. მასში თანდათან აკუმულირდება კულტურული სპეციფიკის ნიშნები, შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ეთნოსოციალური ხასიათი.

კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესში თემი ხდება სოფლის მოსახლეობის სამეზობლო ორგანიზაცია, რომელიც ყოვლისმომცველ მნიშვნელობას კარგავს: გარდაიქმნება სოციალური სტრუქტურის უმდაბლეს უჯრედად, სოფლის თვითმმართველობის ორგანიზაციად, სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა ორგანიზაციად. სამეზობლო თემის კონკრეტულ-ისტორიული ფორმები და ვარიანტები მრავალრიცხოვანია. თემი, კაპიტალიზმის განვითარების კვალდაკვალ, თანდათანობით კვდება, თუმცა თანამედროვე საზოგადოებაში მისი სხვადასხვა ფორმები კვლავ წარმოიქმნებიან (მაგალითად, სამეწარმეო, რელიგიური და ა. შ.).

თეოკრატია (ბერძნ. Theos ღმერთი და kratos ხელისუფლება) – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც პოლიტიკური ძალაუფლება სამღვდელოებას ეკუთვნის.

თეონიმური ლექსიკა – რელიგიურ-საკულტო სახელთა ერთობლიობა.

თეოსოფია (ბერძნ. Theosophia ღვთის სიბრძნე) – რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც თითქოს შესაძლებელია ზეშთაგონების გზით ღვთის შემეცნება და ე. წ. „მიღმა სამყაროსთან“ ურთიერთობა.

თილისმა – საგანი, რომელსაც სნეულებისგან, მოჯადოებისგან და სხვა ნებისმიერი უბედურებისგან დაცვის თვისება მიეწერება. როგორც მიიჩნევენ, თავდაპირველად თილისმა წარმოადგენდა ღმერთების პატარა გამოსახულებას – სტატუეტს, რომლებსაც სახლებში ან მის წინ დგამდნენ. თილისმის შესახებ რწმენას საფუძვლად უდევს ფეტიშიზმი – წარმოდგენები საგნებში სულის ჩასახლებაზე. ადამიანები ატარებდნენ თილისმას იმიტომ, რომ მათი იდუმალი დამცავი ძალის სწამდათ. თანდათანობით ასეთმა რწმენამ ტრადიციის ხასიათი მიიღო: თილისმის თავდაპირველი არსი დავიწყებას მიეცა და მან სამკაულის მნიშვნელობა შეიძინა. მაგალითად, ბეჭედი ოდესღაც დაკავშირებული იყო საქორწინო წეს-ჩვეულებასთან და წარმოადგენდა იმ ადამიანის მიკროსამყაროს სიმბოლოს, რომელიც მას ატარებდა. ბეჭედი ამ სამყაროს იცავდა. ქალის თავსაბურავის ე. წ. სასაფეთქლე ბეჭდები, შემკულნი ნაყოფიერების ნიშნებითა და ქალის სიმბოლური გამოსახულებით, მიუთითებდნენ მის განსაკუთრებულ ადგილზე მაკროკოსმოსში, ზეცას, მზესა და მიწას შორის. ბეჭედი სიმბოლოა იმ ძალის, რომელიც სხვა ძალების მოქმედებას ზღუდავს: ცხოველის ბრჭყალი და კბილი – სისწრაფეს, მრისხანებას. საყურეთა სისტემაში სავარცხელი უკავშირდება სისუფთავეს, შესაბამისად – ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას. თილისმაზე ჩიტის გამოსახულება დედობასთან (ბარტყების გამოჩეკა) არის დაკავშირებული. წარმართობის პერიოდში თილისმაზე და ამულეტზე სხვადასხვა ვარიანტში გამოსახული ჯვარი (ჩვეულებრივი, სვასტიკა და სხვ.) ოთხივე მხრიდან დაცვის სიმბოლო იყო. თილისმას განსაკუთრებული ადგილი უკავია

მაგიაში. იგი მაგის მნებელობის სიმბოლოა და, პირველ რიგში, ეხმარება მას ან იმ ადამიანს, რომელსაც მაგმა დროებითი გამოყენებისთვის გადასცა. თილისმის ძალა მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტად შეძლო მაგმა მასზე თავისი დოქტრინის არსის გამოსახვა. ასეთ გამოსახულებას პანტაკლი ეწოდება. ოკულტიზმში ამტკიცებენ: თუ სიმბოლო რომელიმე ერთობის გამაერთიანებელი ძალა ხდება, იგი უდიდეს მაგიურ ძალას იძენს, რამდენადაც მასში ჩაწიაღებულია ბევრი ადამიანის ნება. სწორედ ამით აიხსნება ქრისტიანული ჯვრისა და სასწაულმოქმედი ხატების ძალა.

თუშური – საქართველოს ერთი ისტორიული კუთხის, თუშეთის, მოსახლეობის მეტყველება, ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტი, გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. შედის მთის კილოების ჯგუფში. ხევსურულთან და მოხეურთან ერთად ქმნის ვიწრო ჯგუფს, რომელიც ცნობილია „ფხოურის“ სახელით. ვახუშტის მიხედვით აღმოსავლეთით თუშეთს აკრავს დაღესტანი, დასავლეთით ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით ქისტეთი და სამხრეთით კახეთი. ახლა კი ცხოვრობენ ახმეტის რაიონის სოფლებში: ზემო ალვანის ქვედა ნახევარში, ქვემო ალვანში და თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში. თუშურის ლექსიკაში უფრო მეტადაა დამოწმებული ძველი ქართული ენის ლექსიკის ერთეულები, ვიდრე რომელიმე სხვა დიალექტში.

ი

იბერიულ-კავკასიური ენები – კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ენები, მონათესავე ენები. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერის მიერ იწოდებოდა იაფეტურ (ნ. მარი), პალეო-კავკასიურ (კ. ულენბეკი), ქართულ-შარომატულ (ი. ჯავახიშვილი), ალაროდიულ (ფრ. ჰომელი) ენებად. ყველაზე მორგებული ტერმინი აღმოჩნდა იბერიულ-კავკასიური ენები, – ეს არის ის კავკასიური ენები, რომლებიც იბერიულ, ანუ ქართველურ ენებს ენათესავება. იყოფა ოთხ ჯგუფად: 1. ქართველურ, 2. აფხაზურ-ჩერქეზულ, 3. ნახურ, 4 დაღესტნურ ენებად. კავკასიურ ენათა სისტემური აღწერა-გამოკვლევა დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისში. რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის ათვისებასთან ერთად ევროპელმა მეცნიერებმა დაიწყეს კავკასიაში არსებული ენების მეცნიერული შესწავლა. ისინი აგროვებდნენ სხვადასხვა ენის ლექსიკურ მასალას და ქმნიდნენ ლექსიკონებს. კავკასიურ ენათა მიმართ ყურადღება მას შემდეგ უფრო გაიზარდა, რაც განვითარდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება. მიუხედავად იმისა, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ხანდახან დიდი სხვაობა დასტურდება, ისტორიულად დამახასიათებელია: ხმოვანთა მარტივი სისტემა და თანხმოვანთა რთული შემადგენლობა; თანხმოვნებში: ფარინგალური და ლარინგალური სერია, ხშულთა სამეულებრივი სისტემა; ფარინგალური და ლარინგალური სერიის გამარტივების ტენდენცია, წინა წარმოების ხშულების შედგენილობის გართულება; მარტივი ფუძე (ძირეული მორფემა) ერთმარცვლიანია (დახურული); სრულხმოვნობა ძველია, თანხმოვანთა თავყრაში გაიჩევა როგორც პირველადი, ისე მეორეული მოვლენები, ვინაიდან ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა B ტიპი მეტ-ნაკლებად პოვნიერია ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, რაც პალეოკა-

ვკასიური წარმომავლობით აიხსნება. მეორეული კომპლექსების წყარო/მიზეზი უნდა იყოს: ინტენსიური დინამიკური მახვილის მოქმედება ისტორიულად, ჰარმონიული კომპლექსების თავისუფალი დისტრიბუცია; სიტყვის აგებულების პრინციპი აგლუტინაციურია; ზმნა და სახელი გარჩეულია, მაგრამ საერთო ფორმანტებიც შეიმჩნევა (ქართული); ზმნა სახელისაგან მომდინარეობს (ნასახელარ ზმნათა სიჭარბე); ზმნის მორფოლოგია გარკვეულ შემთხვევებში სახელისაზე უფრო ძველია; მაგალითად, ხარისხის ფორმები ზედსართავებში, სადაც პირის კატეგორიისა და სტატიკური ზმნის ოდინდელი არსებობის კვალი შეიმჩნევა. უღლების ჩამოყალიბება ზოგ ენაში უსწრებს ბრუნების ჩამოყალიბებას, თუმცა ორივე კატეგორია სავარაუდო ჩანს პროტო-ენათა (პალეოკავკასიური ფუძეენის) დონეზე; ზოგან ბრუნვა/ბრუნება მოშლილია აფხაზურ-აბაზური ენები, ან მოშლის გზაზეა ადიღური (ჩერქეზული) ენები; ძირითადი მორფოლოგიური კატეგორია – გრამატიკული კლასები (პიროვნებისა: ვინ-კატეგორია და ნივთისა: რა-კატეგორია) – გაირჩეოდა სახელებში (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ზმნაში, ნაზმნარ არსებით სახელებში (მასდარში), ნაზმნარ ზედსართავ სახელებში (მიმღეობებში), ზოგ ზმნისართში. ეს გრამატიკული კატეგორია ზოგ ენას დაეკარგა სხვა ენების გავლენით (პერიფერიაზე); კლასოვანი უღლება ყველაზე ძველია, კლასოვან-პიროვანი მისგან მოდის, პიროვანი უღლება მივიღეთ კლასოვან-პიროვანისაგან (სათანადო ენაში გრამატიკული კატეგორიის დაკარგვის შემდეგ); ბრუნვათა სისტემაში სპეციფიკურია ერგატივი (მოთხრობითი) და დამახასიათებელია აკუზატივის უქონლობა; ზოგან ატრიბუტულ სინტაგმას ისტორიულად პოსტპოზიციური წყობა ახასიათებდა, მაგრამ იქვე ბუნებრივია პრეპოზიციაც, ხოლო რიცხვით სახელებთან მხოლოდ პრეპოზიციაა დამოწმებული; პრედიკატულ სინტაგმათაგან სპეციფიკურია გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქცია. ისტორიულად ქართველური ენებისათვის მეორეული ჩანს ნომინატიური კონსტრუქციის გაბატონება აწმყოს წყებათა გარდამავალ ზმნებში; არქაულია ქართულში პოვნიერი იცის და უწყის ზმნათა ერგატიული კონტრუქცია - კაცმა იცის, ღმერთმა უწყის, რაც ლაზურსა და მთელს კავკასიურ სინამდვილეში ერთადერთია, შდრ. ლაზური კოჩი-**ქ** ოწკენ „კაც**მა** ხედავს“.

იდენტიფიკაციის აქტი – ინდივიდის მიერ სიტუაციის შესაბამისად შერჩეული სამეტყველო ფორმა, რომელიც გამოთქმით, გრამატიკული ფორმით ან სიტყვებით ასოცირდება გარკვეულ სოციალურ ჯგუფთან; მოსაუბრის მიერ საკუთარი თავის დასახელება ამ სოციალური ჯგუფის წევრად.

იდიოლექტი (ბერძნ. idio „თავისი“ + lect) – ინდივიდის მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნიშნების (ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური და სტილისტური) ერთობლიობა; 2.

იდიში – ევროპაში (აგრეთვე აშშ-სა და დსთ-ს ქვეყნებში) მცხოვრებ ებრაელთა ენა. მიეკუთვნება გერმანულ ენათა ჯგუფს, რომელიც შეიცავს ებრაულ ელემენტებს. ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებში, როცა გერმანულ მეტყველებაში გაჩნდა ებრაული სიტყვები (ძირითადად რელიგიური, საკულტო, საყოფაცხოვრებო... შინაარსისა). ზეპირ მეტყველებაში გამოყოფენ სამ თქმას – უკრაინულს, პოლონურს, ლიტვურ-ბელორუსულს. სალიტერატურო იდიში ერთიანია.

იდო – ხელოვნური საერთაშორისო ენა, ესპერანტოს გაუმჯობესებული, გამარტივებული ვარიანტი. ესპერანტოს ბაზაზე შექმნა ლ. დე ბოფრონმა 1907 წელს.

იეროგამია (ბერძნ. ἱερός – ღვთაებრივი, საღმრთო + γάμος – ქორწინება) – საკრალური ქორწინება, ღვთაებრივი პერსონების რიტუალურ-მითოლოგიური საქორწინო კავშირი. ღვთაებრივი წყვილის სექსუალური ურთიერთობა „საბაზისო მეტაფორა“ გახდა საიმისოდ, რომ აეხსნათ გარემომცველი სამყაროს მოვლენების დაბადება და აღწარმოება. იეროგამია ტიპური თემაა უმრავლესი მითოლოგიისათვის, რომლის ამოსავალია აგრარულ კულტურებში გავრცელებული დედა-მიწისა და ცა-ღმერთის ქორწინების სიუჟეტი (მაგალითად, გეასა და ურანისა ბერძნულ მითოლოგიაში, დედა-მიწისა და ცა-მამისა სლავურ მითოლოგიაში და სხვ.). იეროგამიის მითოლოგიური სიუჟეტები ფართოდ გამოიყენებოდა ისეთ კრეატიულ მოდელებში, როგორიცაა კოსმოგონია, თეოგონია, ანთროპოგონია და და ა. შ. არქაულ, განსაკუთრებით ციკლური აღქმით გამორჩეულ აგრარულ კულტურებში იეროგამია განიხილებოდა როგორც განმეორებადი აქტი, რომელიც სიცოცხლის ყოველწლიურ (სეზონურ) აღწარმოებას უზრუნველყოფდა, სტიმულს აძლევდა ნაყოფისა და ადამიანის გაჩენას. რეგულარულად განმეორებადი იეროგამია კალენდარული წეს-ჩვეულებების საკვანძო მითოლოგემას წარმოადგენდა (იხ. აგრარული კულტები). რელიგიურ-მითოლოგიური მსოფლმხედველობის თანახმად, ქორწინების აქტის მონაწილეები იყვნენ ღმერთები და ქალღმერთები, პირველწინაპრები და სხვა მითოლოგიური პერსონაჟები, აგრეთვე მაღალი რელიგიური სტატუსის მქონე პერსონები (შამანები, ბელადები, მეფეები). იეროგამიის მონაწილეების ურთიერთობები მითოლოგიაში გადატანილი სოციალური ნორმებით რეგულირდებოდა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მათ შეიძლებოდა მიეღოთ „ანტისოციალური“ ინცესტუალური მიმართულება. სხვადასხვა რელიგიების რიტუალურ პრაქტიკაში საკრალური კავშირის იდეა იეროგამიის წესით ხორციელდებოდა, სიმბოლურ ფორმაში (მაგალითად, საწესო სიმღერებში) ან რეალურად, გარკვეულ პირთა მონაწილეობით, რომლებიც ღვთაებრივ წყვილებს განასახიერებდნენ. მაგალითად, ბაბილონურ კულტებში საკრალური ქორწინების რიტუალი სრულდებოდა მეფის (ქურუმის) და უმაღლესი ქურუმი ქალის მონაწილეობით, რომელთა სექსუალური კავშირი ღმერთისა (იშთარი) და ქალღმერთის (ინანა) ქორწინებასთან ასოცირდებოდა. შუმერში ურუქის მეფე ქალღმერთ ინანას ღვთაებრივი მეუღლის როლში გამოდიოდა. ამიტომ ინანასთან ქორწინება კორონაციული რიტუალის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა.

იეროფანია (ბერძნ. – ἱερός – ღვთაებრივი, საღმრთო + φαναῖος – მანათობელი) – ღვთაებრივი საწყისის გამოვლენა მიწიერ სამყაროში. იეროფანიის ცნება სამეცნიერო მიმოქცევაში მ. ელიადემ შემოიტანა. ტერმინი გამოიყენება რელიგიური გამოცდილების ფაქტების აღსანიშნავად, რომლის შინაარსია ღვთაებრივის გამოვლენის აღქმა. ტრადიციულ კულტურებში იეროფანიის ნიშნების აღმოჩენა ხდებოდა განსაკუთრებულ საგნებში (ხეები, ქვები, ციური მნათობები და სხვა ობიექტები). ზოგიერთ რელიგიურ კულტურაში (მაგალითად, ქრისტიანობასა და ინდუიზმში) იეროფანიის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული განსაკუთრებულ ბგერებსა და გამოსახულებებს, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა რელიგიური კულტი (მაგალითად, მანტრის წარმოთქმა, ხატების თაყვანისცემა),

აგრეთვე, რელიგიური ხელოვნებისა და ფილოსოფიის (მაგალითად სახელის ფილოსოფია) მნიშვნელოვანი ასპექტები. ჯერ კიდევ არქაულ კულტურების რელიგიურ ცნობიერებაში იეროფანიის ლოკალიზაცია განსაზღვრავდა სივრცობრივი ორიენტაციების სტრუქტურებს, რომელთა საყრდენ პუნქტებს წმინდა ადგილები წარმოადგენენ.

ივრითი – ებრაული ენა, განეკუთვნება სემიტურ ენათა ქანანურ ჯგუფს. ისრაელის სახელმწიფო ენა. ძვ. წ. VI საუკუნემდე იყო საერთო-სახალხო ენა პალესტინაში, შემდეგ დაიწყო მისი არამეიზაცია. უძველესი ძეგლებია ბიბლია, აგრეთვე X-VIII საუკუნეებში შექმნილი ეპიგრაფიკული ძეგლები. თანამედროვე ებრაული ენა გაცოცხლებული ბიბლიის ენაა, რომელზედაც XIX საუკუნის ბოლოდან სისტემატურად იქმნება ლიტერატურა. სემანტიკური თვალსაზრისით განიცდის იდიშის გავლენას.

იზოლექტი (ბერძნ. iso „თანაბარი, მსგავსი“ + lect) – ერთი ინდივიდის განკარგულებაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ენობრივ ერთეულთა მასივი, რომლებიც

იმერული – ქართული ენის დიალექტი, რომელზედაც მეტყველებს ეთნოგრაფიული კუთხის – იმერეთის მოსახლეობა. იმერული ქართული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალექტია, ქართლურის შემდეგ იგი ყველაზე დიდი დიალექტური ერთეულია. იმერულს გარკვეული წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ტენდენციების წარმართვაში. ის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა განფენილი, რაც განაპირობებს მის ნაირგვარობას კილოკავებისა და თქმების მიხედვით. იმერული ორ მსხვილ კილოკავად განიყოფა: ზემოიმერულად (ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი) და ქვემოიმერულად (თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათი, ვანი, წყალტუბო, სამტრედია, ხონი). ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის მკვეთრი ტერიტორიული მიჯნის დადგენა ძნელდება. გამოყოფენ გარდამავალ ზოლს (ოკრიბა-ტყიბულის, თერჯოლის, ბაღდათის რეგიონი), რომელსაც შუაიმერულს უწოდებენ, მაგრამ შუაიმერული არ არის ერთიანი სამეტყველო სისტემა, თქმებად იშლება, რომელთაგან ზოგი (თერჯოლური) ზემოიმერულს უახლოვდება, ზოგიც (ოკრიბული, ბაღდათური) – ქვემოიმერულს. ამიტომაც ერთიან კილოკავად ამ რეგიონის მეტყველების გამოყოფა ჭირს. იმერულის კილოკავები რამდენიმე თქმას აერთიანებენ.

ინგილოური – თანამედროვე საქართველოს საზღვრებს გარეთ, აზერბაიჯანში, კახის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონებში გავრცელებული ქართული დიალექტი. ინგილოური დიალექტი იყოფა კაკურ და ალიაბათურ კილოკავებად. სახელწოდება შერქმეულია სოფლების – კაკი (რომელსაც XX საუკუნის 20-იანი წლებიდან კახი ეწოდება) და ალიაბათი – მიხედვით. კაკურში გამოიყოფა ალიბეგლოური თქმა, ხოლო ალიაბათური იყოფა ალიაბათის, მოსულისა და ითითალის თქმებად. კილოკავებსა და თქმებს შორის დიდი განსხვავებაა. ეს ვლინდება ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში. ინგილოური ყურადღებას იქცევს როგორც არქაიზმებით, ისე ნეოლოგიზმებით. უცხო ენობრივ გარემოში მოქცეული მოწყდა სალიტერატურო ქართული ენის გავლენას და თავისებური გზით განვითარდა.

ინგუშური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ენათა ჯგუფის ენა. ინგუშურ ენაზე მოსაუბრე ხალხი ძირითადად ინგუშეთში ცხოვრობს. ნაწილი

ყაზახეთში, შუა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. ინგუშები ძირითადად ბილინგვები არიან თანაბრად ფლობენ ინგუშურ და რუსულ ენებს, ინგუშებსა და ჩეჩნებს შორის კი პასიური ბილინგვიზმია გავრცელებული. ინგუშური დამწერლობა 1917 წლის შემდეგ. მას ჯერ არაბული გრაფიკა დაედო საფუძვლად, 1923 წლიდან გადაიყვანეს ლათინურ ანბანზე, ხოლო 1938 წლის შემდეგ კირილიცაზე.

ინდივიდუალური ბილინგვიზმი – ორი ენის გამოყენება გარკვეულ (საკმაოდ ვიწრო) გუნდში.

ინდოევროპეისტიკა (ინდოევროპული ენათმეცნიერება) – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ინდოევროპული ენებს იკვლევს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით.

ინდოევროპული ენები – მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და მრავალრიცხოვან ენათა ოჯახი. მისი ძირითადი თორმეტი ჯგუფი მოიცავს ინდურ, ირანულ, სლავურ, ბალტიურ, გერმანულ, იტალიურ, კელტურ, ბერძნულ, ალბანურ, სომხურ, ნესიტურ (ანუ კანესურ), ტოქარულ ენებს. ინდოევროპულ ენათა ოჯახში აერთიანებენ 400-ზე მეტ ენას, რომლებიც გავრცელებულია ყველა კონტინენტზე. ინდოევროპული ენების ამგვარი გავრცელება არის შედეგი ერთი მხრივ მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ხალხთა დიდი გადასახლებისა და ევროპის დიდი ქვეყნების მიერ მსოფლიოს ექსპანსიისა. ამჟამად ინდოევროპულ ენებზე 2,5 მილიარდზე მეტი ადამიანი მეტყველებს.

ინდოირანული ენები – ინდოევროპულ ენათა ოჯახის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე დიდი შტო. აერთიანებს ინდურ და ირანულ ენათა ჯგუფებს. ამ ენებზე მეტყველებს მილიარდზე მეტი ადამიანი. სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია აგრეთვე როგორც არიული ენები.

ინდონეზიის ენები – ინდონეზიაში (კუნძულებზე: იავა, სუმატრა, ბორნეო, ცელებესი, აგრეთვე ნახევარკუნძულ მალაკაზე) გავრცელებული ენები. ინდონეზიის ენათაგან მოსაუბრეთა რიცხვის მიხედვით პირველ რიგში აღსანიშნავია: **იავა ენა**, **სუნდა**, **მადურა, მალაიური** და სხვ. მალაიური ენა ფართოდ გავრცელებულია მალაკის ნახევარკუნძულზე, კუნძულ ბორნეოზე. ამ ენაზე მწერლობა არსებობს XIV საუკუნიდან. ძველი დამწერლობა აქვს **იავას** ენას ანუ **კავი** ენას. ვარაუდობენ, რომ ამ ენაზე მწერლობა არსებობდა პირველი საუკუნიდან. ინდონეზიის ენების გვერდით ასახელებენ პოლინეზიის, მიკრონეზიისა და მელანეზიის ენებს; ეს კვალიფიკაცია გეოგრაფიულია და არაგენეალოგიური. ეგევე ითქმის ავსტრალიის ადგილობრივ მკვიდრთა ტომობრივი ენების შესახებ. ავსტრალიის პრიმიტიულ ტომთა ენებს ყოფენ სამ ჯგუფად: ჩრდილოურ, ცენტრალურ და სამხრულ ჯგუფად.

ინდური ენები – ინდოეთის ინდოევროპული ენები. ინდური ენებია 1. ძველი ინდური – ვედების ენა და სანსკრიტი; 2. საშუალო ინდური: პრაკრიტი, პალი; 3. ახალი ინდური ენები, როგორიცაა, სალიტერატურო ენები: ჰინდი, ურდუ, ბენგალიური... ინდური მეტყველების უძველეს ძეგლს ვედები წარმოადგენს. ვედები ეწოდება სასულიერო შინაარსის საგალობლებს. უძველესი ვედა ჩაწერილია თხუთმეტი საუკუნის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. სანსკრიტიც ძველი ინდური, კლასიკური სალიტერატურო ინდური ენაა. სანსკრიტი სამწერლო ენად იხმარებოდა მეექვსე საუკუნიდან ჩვენ წელთაღრიცხვამდე. სანსკრიტს უპირისპირდება პრაკრიტი („ბუნებრივი“), ე. ი. ხალხური მეტყველება, ცოცხალი დიალექტები. სა-

შუალო ინდური დიალექტებიდან მომდინარეობენ თანამედროვე ინდური ენები. ისინი სამ ჯგუფს შეადგენენ: დასავლურს, ცენტრალურსა და აღმოსავლურს. დასავლურ ჯგუფში შედის ენები: ლაჰნდა ანუ დასავლურ პენჯაბური, სინდჰი, გუჯარათა, მარატჰი. მარატჰი ენაზე წარწერები მოიპოვება ჩვენი წელთაღრიცხვის XII საუკუნიდან; გუჯარათ ენაზე მწერლობა არსებობს XV საუკუნიდან. ცენტრალური ჯგუფის ენებია: საკუთრივ პენჯაბური, ფახარული, დასავლურ ჰინდური, აღმოსავლურ ჰინდური და ბიჰარი-ენა. დასავლურ ჰინდურის მთავარი დიალექტია ჰინდუსტანური. მის საფუძველზე შექმნილია ორი სალიტერატურო ენა: ურდუ – არაბული ანბანით (პაკისტანის მუსულმან ინდოელთათვის) და ჰინდი (ერთგვარად დაპირისპირებული ურდუ ენას). აღმოსავლურ ჯგუფს შეადგენენ ენები: ბენგალიური, ორიჲა და ასამური. ეს ენები მეტად ახლოს არიან ერთმანეთთან. სამივე ენა სალიტერატუროა. ახალ ინდურ ენათა წრეს განეკუთვნება ბოშების ანუ აწინგანთა ენა, რომელსაც დიდი ცვლილება განუცდია ბოშათა მომთაბარეობისა და სხვადასხვა ენებთან კონტაქტის გამო.

ინიციაცია (ლათ. Initiation – კურთხევა, დაფარულთან ზიარება) – სოციალური ან სქესობრივ-ასაკობრივი სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების სისტემა. სამეცნიერო ლიტერატურაში ინიციაცია შედარებით სრულად დახასიათებულია ეთნოლოგისა და რელიგიათმცოდნის ა. ვან გენეპისა და ფილოსოფოსისა და სოციოლოგის მირჩა ელიადეს შრომებში. ვან გენეპის გადასვლის რიტმების თეორიისა და მირჩა ელიადეს ცხოვრებისეული კრიზისების თეორიის თანახმად, ინიციაციის რიტუალები ინტერპრეტირებული უნდა იყოს როგორც ისტორიულად, ისე ეგზისტენციალურად. ისინი მუდამ დაკავშირებულნი არიან კონკრეტული საზოგადოების სტრუქტურასა და ისტორიასთან და საკრალურის განცდასთან. პირველყოფილი კულტურებისათვის დამახასიათებელი ცხოვრების რიტუალიზაცია მოიცავდა ყველა მნიშვნელოვან ეტაპს ინდივიდის, როგორც ჯგუფის წევრის, ცხოვრებაში – დაბადებიდან სიკვდილამდე. ინიციაციის რიტუალი თემის წევრს შესაძლებლობას აძლევდა შეეძინა ახალი სტატუსი, რაც უფლებას ანიჭებდა ეტარებინა იარაღი, მონაწილეობა მიეღო კოლექტიურ ნადირობაში, შეექმნა ოჯახი. წარმოადგენდა რა ადეპტის პერსონალიზაციის გამოხატულებას, ინიციაცია იმავდროულად იყო მისი სოციალიზაციის გამოხატულებაც. რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარე ინიციაციის წეს-ჩვეულებები არცთუ იშვიათად ითვალისწინებდა ინიციანტების თემისგან იზოლაციას, შიმშილით, ცეცხლით გამოცდას, ტატუირებას, წინადაცვეთას, ხოლო შემდეგ უფროს თანატომელთა წრეში საზეიმოდ მიღებას. რაც უფრო მეტად იყო თემი ჩაკეტილი, მით უფრო მეტი სირთულით გამოირჩეოდა მისი ინიციაციური წესები. ინიციაციის წეს-ჩვეულებებში გამოიხატებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც პასუხობდა ჯგუფისა თუ ტომის უმაღლეს ინტერესებს: მოცემული ერთობის შენარჩუნებასა და რეპროდუქციას. ინიციაციის სისტემის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფებს შორის ურთიერთობებში დაძაბულობის მოხსნა, განსაკუთრებით ახალი ცხოვრების ყაიდაზე და ახალ სოციალურ კავშირებზე მათი გადასვლის მომენტში. საზოგადოებრივი წეს-ჩვეულებების საკრალიზაცია, რაც გენეტიკურად მეორადი მოვლენაა, თემის ყოველდღიური ყოფიერების არსებითი ელემენტი იყო. თანამედროვეობაში ინი-

ციაციური რიტუალების რუდიმენტები ვლინდება როგორც რელიგიურ, ისე საერო კულტურაში, არსებითად განსხვავდება რა პირველყოფილი კულტურის ინიციაციისგან. საერო კულტურაში, როგორც წესი, ვითარდება და ნარჩუნდება სამოქალაქო და პროფესიული ცხოვრების ინიციაციური ასპექტები. საერო კულტურის ფარგლებში ხდება ინიციაციის რუდიმენტების დესაკრალიზაცია, იძენს რა თავის თავდაპირველ სოციალიზაციურ ფუნქციას, ზოგჯერ გვევლინება როგორც ე. წ. ხალხური კულტურის შემადგენელი ნაწილი. თანამედროვე რელიგიებში ასაკობრივი ინიციაციის გადმონაშთური ფორმაა გოგო-ბიჭების ეკლესიური კონფირმაცია კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმში, ქრისტიანული ნათლობის საიდუმლო, წინადაცვეთის წეს-ჩვეულება ისლამსა და იუდაიზმში.

ინიციალური (საკუთარი) **სახელი** /აკრონიმი/ – შესიტყვებაში შემავალი სიტყვების საწყისი ასოების შეერთებით წარმოქმნილი აბრევირებული საკუთარი სახელი. ჩვეულებრივ, იხმარება ამგვარ შესიტყვებათა როგორც შეკვეცილი, ისე სრული ფორმა. მაგრამ ზოგი აკრონიმი, განსაკუთრებითი პიროვნული სახელი, მხოლოდ შეკვეცილი სახით გამოიყენება.

ინკულტურაცია (ინგლ. Enculturation - რომელიმე კულტურასთან ზიარება) – ადამიანის ზიარება ბავშვობიდან გარკვეული კულტურასთან, სოციალიზაციის, მათ შორის ენობრივი სოციალიზაციის თანმხლები პროცესი.

ინტეგრალური ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის სახეობა, რომელშიც ორივე ენას (მშობლიური და მეორე ენა) სრულად და თანაბრად შეუძლია შეასრულოს ფუნქციების მთელი სპექტრი, განურჩევლად სიტუაციისა და კომუნიკაციის თემისა. თუმცა, ეს საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

ინტერდიალექტი (ლათ. inter „შორის“ + ბერძნ. dialektos) – დიალექტთა მიჯნაზე წარმოქმნილი ახალი ენობრივი წარმონაქმნი, მაგალითად, კოინე.

ინტერენა (ლათ. inter „შორის“ + ინგლ. language „ენა“) – შესასწავლი ენის სახესხვაობა, რომელიც ინტერფერენციის ობიექტს წარმოადგენს მშობლიური ენის მხრიდან, მაგრამ არ შეიცავს არცერთი მათგანის ელემენტებს.

ინტერლექტი (ლათ. inter „შორის“ + ბერძნ. lect) – მრავალენოვან სახელწიფოებში შუამავალ ენად გამოყენებული მეტყველება. ჩვეულებრივ, ეს არის სახელმწიფოში რიცხობრივად დომინანტი ენა.

ინტერლინგვისტიკა – ენათმეცნიერების ნაწილი; იკვლევს 1. კომუნიკაციის ენის პრობლემებს საერთაშორისო ასპარეზზე; 2. საკითხებს, რომლებიც სხვადასხვა დამხმარე ენის (ესპერანტოს, ინტერლინგვის და სხვ.), აგრეთვე მათემატიკური შუამავალი ენების შექმნასა და ფუნქციონირებასთან არის დაკავშირებული.

ინტერფერენცია (ლათ. inter „შორის“ + ლათ. ferire „დარტყმა“) – ენათა ურთიერთქმედება ორენოვნების პირობებში, რომელიც გამოიხატება მეორე ენაზე საუბრისას მისი ნორმიდან და სისტემიდან გადახვევაში დედაენის გავლენით.

ინხოყვარული ენა - ინხოყვარული, რომელიც ზოგჯერ ხვარშიულის დიალექტად ითვლება, გავრცელებულია მდინარე ხვარშის შუა და ქვედა დინებაში. რეალურად ინხოყვარული სოფელ ინხოყვარის მეტყველებაა.

ირანისტიკა – ინტერდისციპლინური მეცნიერება, რომელიც სწავლობს ირანულ და სპარსულ სულიერ და მატერიალურ მემკვიდრეობას უძველესი დროიდან დღემდე. ირანისტიკა იკვლევს ირანის და მონათესავე ერების ისტორიის, ეთნოლოგიის, ენების, კულტურის პრობლემურ საკითხებს.

ირანული ენები – ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდოირანულ შტოში შემავალი ენები. განარჩევენ ირანული ენების ოთხ ქვეჯგუფს: სამხრეთ-დასავლურს, ჩრდილო-დასავლურს, სამხრეთ-აღმოსავლურს, ჩრდილო-აღმოსავლურს. ეს ენებია: ახალი სპარსული, ტაჯიკური, ავღანური (პაშტუ), პამირული, ბელუჯური, ქურთული, ოსური, სოღდური ენა, თათური, თალიშური... აგრეთვე ე.წ. „მკვდარი“ ენები: ძველი სპარსული, საშუალო სპარსული (ფალაური), ავესტის, სკვითური, ალანური, ხორეზმული, მიდიური.

ისლამი (არაბ.الإسلام – მორჩილება) – ე. წ. მსოფლიო რელიგიის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც არაბეთში VII საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა. ისლამის სარწმუნოება ჩამოყალიბებულია ყურანში, რომელიც, მუსლიმური გადმოცემის თანახმად, ალაჰმა წინასწარმეტყველ მუჰამედს ანგელოზ ჯებრაილის (გაბრიელის) მეშვეობით გადასცა. იგი ეფუძნება 7 დოგმატს: ერთიანი ღმერთის – ალაჰის, ანგელოზების, ყველა საღვთო წიგნის, ალაჰის ყველა დესპანის, სამყაროს დასასრულის, განგების, მიცვალებულთა აღდგომის შესახებ რწმენას. ისლამური სარწმუნოების მიხედვით, სამყაროში ყოველივე არსებული ალაჰმა შექმნა და ყველა მოვლენა და ვითარება, რომელიც მოხდა და მოხდება სამყაროს დასასრულამდე და განკითხვის დღემდე, მის მიერ არის ნაწინასწარმეტყველები და მისივე ნებით ხდება. ისლამის კულტი ეფუძნება რწმენის 5 ბურჯს: ფორმულის – „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, და მუჰამედი ღვთის დესპანია“ – წარმოთქმას, ყოველდღიურ ხუთჯერად ლოცვას, მარხვას რამაზანის თვეში(ურაზა), სავალდებულო ქველმოქმედებას (ზაქიათი), მექაში სალოცავად სიარულს (ხაჯი). სხვა რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან და რიტუალებთან, აგრეთვე, ისლამურ დღესასწაულებთან (ყურბან-ბაირამი, ურაზა-ბაირამი, მავლუდი) ერთად, „რწმენის ბურჯებს“ დიდი მნიშვნელობა აქვთ მორწმუნეებზე რელიგიის გავლენის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ისლამი, სხვა რელიგიების მსგავსად, უცვლელი არ დარჩენილა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ძვრების შესაბამისად ხდებოდა მისი განვითარებაც, რამაც ასახვა ჰპოვა სუნაში - მუჰამედის გამონათქვამებისა და მოქმედებების შესახებ მოთხრობების (ხადისების) კრებულებში. ისლამის იდეოლოგიის განვითარებისათვის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენდა მისი განყოფა 2 მიმდინარეობად: სუნიზმად (იხ. სუნიზმი) და შიიზმად (იხ. შიიზმი).

ისლამური ფუნდამენტალიზმი – ისლამური საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ისლამის ფუნდამენტური წყაროების რწმენის, ყურანისა და შარიათის მოთხოვნების განუხრელად დაცვის, თანამედროვე ცხოვრების აუცილებელი ნორმების სახით ტრადიციული ისლამური დანაწესების განმტკიცებას. პოლიტიკურ პრაქტიკაში ისლამური ფუნდამენტალიზმის გამოხატულებაა ისლამიზაციის პოლიტიკა, რომელსაც რიგი ისლამური სახელმწიფოები ახორციელებენ.

ისლამური სახელმწიფოების კოლონიებად და ნახევრად კოლონიებად გადაქცევის პერიოდში ისლამური ფუნდამენტალიზმი კოლონიალიზმთან და დასავლეთის გავლენების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა გახდა. მისი გაძლიერება XX საუკუნის შუა ხანებში დაკავშირებულია ისლამური ქვეყნების განვითარების გზების ძიების გარშემო არსებული წინააღმდეგობების ზრდასთან. თანამედროვე ისლამური ფუნდამენტალიზმისათვის დამახასიათე-

ბელია ყველა „არამუსლიმური“, უწინარესად საერო, ფორმის იდეოლოგიების პრინციპული მიუღებლობისა და ძალზე განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებთან დროებითი კავშირისკენ მისწრაფების შეხამება. ბევრი ფუნდამენტალისტური ორგანიზაციების იდეოლოგიისა და პოლიტიკური პრაქტიკისათვის დამახასიათებელია ექსტრემისტული მიდგომები, ტერორის მეთოდების გამოყენების ჩათვლით. რიგ ქვეყნებში მუსლიმური ფუნდამენტალიზმი პოლიტიკური იდეოლოგია გახდა (ირანი, პაკისტანი, ლიბია), სხვაგან იგი თავის პოზიციებს აძლიერებს (ავღანეთი, ალჟირი, ეგვიპტე, სუდანი).

ისტორიულ-კულტურული ოლქები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქები) – ტერიტორიები, რომელთა მოსახლეობას ისტორიული ბედის, სოციალურ-ეკონომიკური ერთობისა და ურთიერთზეგავლენის ძალით, მსგავსი კულტურულ-ყოფითი (ეთნოგრაფიული) თავისებურებანი უყალიბდებათ. ყოველივე ეს ვლინდება მატერიალურ კულტურაში – ტრადიციული საცხოვრებლის ტიპების, გადაადგილების საშუალებების, კვების სისტემის, ჭურჭლეულ-ავეჯეულობის, ტანსაცმლისა, ფეხსაცმლის, მორთულობის და სხვა ფორმებში, აგრეთვე, ტრადიციულ სულიერ კულტურაში (კალენდარული წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, ფოლკლორი და სხვ.).

სამეურნეო-კულტურული ტიპები და ისტორიულ-კულტურული ოლქები წარმოადგენენ ორ ტიპოლოგიურად განსხვავებულ სისტემებს, რომლებიც მჭიდროდ არიან გადაჯაჭვულნი, მაგრამ, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევიან. ისტორიულ-კულტურული ოლქები ისევე, როგორც სამეურნეო-კულტურული ტიპები ისტორიული კატეგორიებია, რომლებიც წარმოიქმნებიან, ვითარდებიან და ქრებიან გარკვეულ ტერიტორიაზე კონკურენტი ეთნოსებისა და მათი დაჯგუფებების განვითარების პროცესში. ისტორიულ-კულტურული დარაიონებისათვის მნიშვნელობა აქვს არაოდენ ცხოვრების წესისა და მატერიალური კულტურის თავისებურებებს, არამედ სულიერი კულტურის სპეციფიკურ ფორმებს, დაკავშირებულს აზროვნების, რელიგიური წარმოდგენების სტერეოტიპებთან და ხალხურ შემოქმედებასთან. კულტურის ცალკეული ელემენტებისა და მათი კომპლექსების არეალები ხშირად არ ემთხვევა ეთნიკურ და ენობრივ არეალებს; ერთ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული კულტურის ტიპები ვითარდებიან და იცვლებიან ეპოქიდან ეპოქაში.

ისტორიულ-კულტურული ოლქები ყოველთვის მოიცავს მომიჯნავე ტერიტორიებზე განსახლებულ და რეალურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ხალხებს, თუნდაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონითა და მიმართულებით, ენით და რასობრივი კუთვნილებით განსხვავებულები იყვნენ. უნდა განვასხვაოთ სხვადასხვა ხალხების ისტორიულ-კულტურული ოლქები – შედარებით მსხვილი „პროვინციები“ და პატარა ოლქები, რომლებიც, თავიანთი მხრივ, ქვეოლქებად და ისტორიულ-კულტურულ რაიონებად იყოფიან.

ერთ-ერთ უმსხვილეს ისტორიულ-კულტურულ „პროვინციად“ მიჩნეულია დასავლეთ ევროპა, რომლის ფარგლებში გამოყოფენ ისეთი ისტორიულ-კულტურული ოლქებს, როგორიცაა ცენტრალურევროპული, სამხრეთევროპული (ხმელთაშუაზღვისპირული), დასავლეთევროპული (ატლანტური) და ჩრდილოევროპული ოლქები. ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში გამოყოფდნენ ოთხ ძირითად ისტორიულ-კულტურულ პროვინციას: ევროპულ ნაწილს, კავკასიას

(ჩრდილოკავკასიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეოლქებით), შუა აზია და ყაზახეთი, ციმბირი (შორეულ აღმოსავლეთის მსხვილი ოლქის გამოყოფით). ასეთივე სურათი გვაქვს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება – ლინგვისტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის მონათესავე ენათა განვითარების გზებს შედარებითი მეთოდის მეშვეობით წარმოადგენს ენათმეცნიერების საფუძველს. მონათესავედ მიიჩნევა ისეთი ენები, რომლებიც ერთი ენისგან მომდინარეობენ, ერთი ენის წიაღში არსებულ დიალექტთა დიფერენციაციის პროცესში გაჩნდნენ. ენას, რომლის დიფერენციაციის შედეგად მონათესავე ენები ჩნდება, ფუძე-ენა ჰქვია. ისტორიულ-შედარებითი ლინგვისტიკა სწავლობს როგორ და რატომ იცვლება ენა დროთა განმავლობაში. ისტორიულ-შედარებითი ლინგვისტიკა, გარკვეული გაგებით, არის ენობრივი ნათესაობის შესწავლა, ანუ პრეისტორიულად არსებული გენეტიკური/მემკვიდრეობითი ურთიერთობებისა და მასთან დაკავშირებული ქვესაკითხების კვლევა, რომელიც ვრცელდება დაუმოწმებელი წინაპარი, ანუ პროტო-ენების რეკონსტრუქციაზე. ისტორიულ-შედარებითი ლინგვისტიკა სამართლიანად განიხილება თანამედროვე სამეცნიერო ლინგვისტიკის წარმომშობ დარგად. მას შემდეგ, რაც ყურადღება გამახვილდა ცალკეული ისტორიული ეტაპების შედარებაზე (მაგალითად, ლათინურისა ფრანგულთან, ან ძველი ინგლისურისა თანამედროვე ინგლისურთან), ეს სფერო ახლა მოიცავს უამრავ კვლევას ენის ცვლილებაზე, როგორც პროცესზე, მათ შორის იმ ცვლილებებზე მუშაობას გულისხმობს, რომლებიც ენაში ახლაც/დღემდე მიმდინარეობს. ვინაიდან ენის ყველა ასპექტი ცვალებადია, გარდა ენის შემეცნებითი შესაძლებლობებისა, ისტორიულ-შედარებითი ლინგვისტიკა პირდაპირ კავშირშია ენათმეცნიერების ყველა ქვედარგთან.

იუდაიზმი – ერთ-ერთი უძველესი რელიგია. წარმოიშვა ძვ. წ. I ათასწლეულში პალესტინაში და უმთავრესად ებრაელთა შორის გავრცელდა. ტერმინი ბერძნულია და თავდაპირველად აღნიშნავდა ებრაელთა რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და პრაქტიკას. მორწმუნეთა უმრავლესობა ცხოვრობს ისრაელსა და აშშ-ში, რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოვება.

იუდაიზმის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს წინასწარმეტყველებმა (ძვ. წ. IX-VIII სს.). მათი ქადაგებების ჩაწერა ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს-ში დაიწყეს. იუდაიზმის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკურმა ფაქტორმა – ძვ. წ. 586 ბაბილონის მიერ იუდეის სახელმწიფოს განადგურებამ და ბაბილონის ტყვეობამ. მწიგნობრები (ებრ. სოფერიმ) პოლიტიკურ ერთიანობას მოკლებულ ებრაელთა შორის აგროვებდნენ ებრაულ წმინდა წიგნებს და აერთიანებდნენ მათ. ბაბილონის ტყვეობის შემდეგ კი ამ ტექსტებს რედაქცია გაუკეთეს და ასე ჩაეყარა საფუძველი ძვ. აღთქმის კანონიკურ ტექსტს. მის ბირთვს წარმოადგენს თორა – ხუთი წიგნი, რომლის ავტორობასაც ტრადიცია მოსეს მიაწერს. ამ დროისათვის ჩამოყალიბებულ სახეს იღებს იუდაიზმის ძირითადი რელიგიური დოგმატები: მონოთეიზმი – იაჰვეს აღიარება ერთადერთ ღმერთად; რწმენა იაჰვეს და ებრაელთა შორის დადებული აღთქმისა („შეთანხმებისა“); „ისრაელის ძეთა“ მიჩნევა ღმერთის რჩეულ ერად. ახალი რელიგიური თემის გარეთ დარჩენილმა ებრაელებმა სამარიტელთა სექტა შექმნეს (დღესაც განაგრძობს არსებობას პალესტინაში). თანდათანობით შეივსო და დაიხვეწა

ძვ. აღთქმის კანონიკური ტექსტი, რომელმაც საბოლოო სახე ახ. წ. VII-IX სს-ში მიიღო. ეს არის ე. წ. მასორული ტექსტი ბიბლიისა.

ძვ. წ. III-II სს-ში ელინისტური სახელმწიფოების მბრძანებლებმა იუდეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეგვიპტეში, სირიაში, სომხეთში, საქართველოში და სხვ. ქვეყნებში გაასახლა. თვით იუდეაში მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში იუდაიზმში შეიქმნა მიმდინარეობები: ფარისევლებისა და სადუკევლების რელიგიურ-პოლიტიკური პარტიები, რომელთაც სცადეს თორის მრავალრიცხოვანი მცნებების ახლებური გაგება და მათი შეგუება ახალ პოლიტიკურ-სოციალურ პირობებთან. მათ მიერ დამუშავებული და შეკრებილი კომენტარები თორისა გაერთიანდა თალმუდში, რომელსაც იუდაიზმისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ადრინდელმა ქრისტიანობამ იუდაიზმისგან გადმოიღო სარწმუნოების ძირითადი დოგმატი – რწმენა მესიისა – ცხებულისა, რომელიც მოვლინებულია კაცობრიობის მხსნელად და სხვ.

VIII ს. ერაყში, სირიასა და პალესტინაში წარმოიშვა ყარაიმთა სექტა, რომელიც უარყოფდა ორთოდოქსალური იუდაიზმის მრავალ დებულებას, მათ შორის მესიის მოვლინებასა და მკვდრეთით აღდგომას. იმ ქვეყნებში, სადაც სხვა დოგმატური რელიგიები ბატონობდნენ, იუდაიზმის მიმდევრებს სდევნიდნენ. XIII-XIV სს-ში ჩამოყალიბდა კაბალა – რელიგიური მისტიციზმით გამსჭვალული მიმდინარეობა, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ხასიდიზმზე (ებრ. ღვთისმოსავი), ეს უკანასკნელი წარმოიშვა XVIII ს.-ში პოლონეთის და რუსეთის ღარიბ ებრაელთა მასებში. XIX ს. დას. ევროპასა და აშშ-ში მიზნად დაისახეს იუდაიზმის რეფორმა, რაც მის მოდერნიზაციაში გამოიხატა – შეამსუბუქეს ღვთისმსახურების ზოგიერთი, მხოლოდ გარეგნული, ტრადიციული რიტუალი, იუდაიზმის ძირითადი პრინციპები კი არსებითად ხელშეუხებელი დარჩა.

საქართველოში იუდაიზმი ადრევე იყო გავრცელებული ადგილობრივ ებრაელთა შორის (პირველი ებრაული კოლონია საქართველოში დადასტურებულია ძვ. წ. II ს-ში). აღსანიშნავია, რომ ისტორიულად საქართველოსათვის უცნობია იუდაიზმის მიმდევართა რელიგიური დევნა. საქართველოშია დაცული ებრაული ბიბლიის მასორული ტექსტის ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი – ე. წ. „ლაილაშის ბიბლია“ (XI ს.).

იუვენოლოგია (ლათ. juvenilis – „ახალგაზრდა“, ბერძნ. logos – „სწავლება“, „ცოდნა“) - ცოდნის ინტერდისციპლინური დარგი, რომელიც სწავლობს ახალგარდებს, როგორც სოციალურ-ასაკობრივი ჯგუფს. იუვენოლოგიაში გაერთიანებულია სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, პოლიტოლოგიის, იურისპრუდენციის, მედიცინის და სხვა დისციპლინების სამეცნიერო მიდგომები.

იურილექტი (ლათ. juris + ბერძნ. lekt) – ამა თუ იმ სამართლებრივი სტატუსის მქონე ენა.

კ

კავკასიის ენები – კავკასიაში წარმოდგენილი, იბერიულ-კავკასიურ ენათა არამონათესავე ენები. კავკასიაში წარმოდგენილია ინდოევროპული ენები (რუსული, უკრაინული, სომხური, ოსური, თალიშური, თათური, ქურთული, ბერძ-

ნული...), ალთაური ენები (აზერბაიჯანული, ყუმიკური, ყარაჩაულ-ბალყარული, ნოღაური, თათრული, თურქმენული), სემიტური (სირიული, იგივე ასირიული ანუ აისორული).

კარატაული ენა – იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის დაღესტნის ენების ხუნძურ-დიდოურ-ანდიურ ენათა ქვეჯგუფის ერთ-ერთი ანდიური ენა. კარატაელები ძირითადად ცხოვრობენ ახვახის რაიონში. შედგება საკუთრივ კარატაული და ტოკიტური დიალექტებისაგან. საკუთრივ-კარატაული დიალექტი, რომელიც მოიცავს უამრავ კილოკავს: არჩოი, მაშტადა, რაჭაბალდა, რაციტლი, ჩაბაქორო, ნიჟნეინხელოური, სივუხი. კარატაულ დიალექტში ანჩიხური კილოკავი ყველაზე ძლიერ განსხვავდება სხვებისაგან. ტუკიტური (ტოკიტური) დიალექტი გავრცელებულია ახვახის რაიონის სოფელ ტუკიტაში (ტოკიტაში) და ხასავიურტის რაიონის სოფლებში. კარატაელები ორენოვნები არიან. კარატაულთან ერთად სრულყოფილად ფლობენ ხუნძურ ენას. კარატაული უმწერლობო ენაა.

კასიტური ენა – კასიტები ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზებული ხალხი იყო. მათ შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ თავისდროზე, ძვ. წ. XVI საუკუნის შუა ხანებამდე, მათ დაიპყრეს და კარგა ხანს განაგებდნენ ბაბილონს. სწორედ ეს არის ამ ხალხის მთავარი ისტორიული დამსახურება/ღვაწლ კაცობრიობის წინაშე, რის გამოც ახსოვთ ისინი დღემდე. მიუხედავად კასიტების ოთხასწლიანი დომინირებისა რეგიონში, დღმდე შემორჩენილი კასიტური მასალა, ენობრივი თვალსაზრისით, უკიდურესად ღარიბია; ცნობილია სულ რამდენიმე დოკუმენტი; ერთერთი მათგანი შეიცავს კასიტური ლექსიკის ფრაგმენტს და კასიტურ სახელების სიას აქადურ ეკვივალენტებთან ერთად. გვიანაქადური პერიოდისათვის ფიქსირებულია კასიტური წარმოშობის ასზე მეტი ნივთი (სახელი), რომელთაგან დაახლოებით 10 პროცენტი ღვთის სახელებია. კასიტური სიტყვების რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია, დაახლოებით 60-ზე მეტი, რაც უშუალოდ შეეხება სპეციალიზებულ სემანტიკურ სფეროებს. დაახლოებით 200-მდე დამატებითი მორფემის მოძიებაა შესაძლებელი კასიტური ონომასტიკიდან – ანთროპონიმების, ტოპონიმების, თეონიმებისა და თვით ცხენთა სახელების ჩართვით. 1884 წელს აღმოაჩინეს მოკლე კასიტურ-ბაბილონური ლექსიკონი, რომელის რეგისტრირებულია ბრიტანეთის მუზეუმში (82.9-18). ლექსიკონი გამოქვეყნებულია Delitzsch-ის მიერ და შეიცავს სიტყვების ჩამონათვალს, რომლებიც თარგმნილია საშუალ-ბაბილონურ ენაზე. სახელწოდება Kassiten მომდინარეობს აქადური ტერმინიდან kaššū, რომელიც, როგორც Κοσσαῖοι (Kossaioi) ფორმა, შესაძლოა გვხვდებოდეს სტრაბონთან. ჩვენს ხელთ არსებულ მასალათა სიმცირის გამო, კასიტური გრამატიკის რეკონსტრუქცია ამჟამად პრაქტიკულად შეუძლებელია; თუმცა კასიტური, როგორც ირკვევა, აგლუტინაციური ბუნების ენა იყო. მიუხედავად იმისა, რომ კასიტურის გენეტიკური მიმართებები დღემდე გაურკვეველია, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კასიტური არც ინდოევროპულია და არც სემიტური. კასიტური ენის აღმოჩენიდან ასი წლის შემდეგ, ზოგიერთი სიტყვის ანალიზის საფუძველზე, გამოითქვა ვარაუდი, რომ კასიტური სიტყვები ახლოს დგანან ჰურიტულ-ურარტულ მონაცემებთან. რეალურად დამოწმებული ლინგვისტური ერთეულების ჩვენებათა გათვალისწინებით, დაისმის საკითხი იმის თაობაზე, რომ ძველი ცივილიზაციის კიდევ ერთი ენა, კასიტური უნდა მიეკუთვნებოდეს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს; მისი ადგილი დაღე-

სტნური ჯგუფის ენებს შორისაა, ისევე, როგორც ჰურიტულ-ურარტულისა ნახურ ენათა ჯგუფში.

კატასტროფების ლინგვისტიკა (Disaster linguistics) - შეისწავლის კატასტროფის დროს ენობრივ კომუნიკაციას; დარგი ვითარდება კატასტროფის ლინგვიციზმის კონცეფციის მეშვეობით, როცა უმთავრესია შედარებით შეუსწავლელი, მაგრამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი თემა ენისა და კატასტროფების კვლევის სფეროებში.

კახური – ქართული ენის ერთ-ერთი მსხვილი დიალექტური ერთეული. გავრცელებულია საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს მუნიციპალიტეტებში. ქართლურთან ერთად დიდ როლს თამაშობს სალიტერატურო ქართულის ფორმირებაში, როგორც მისი ფუძე დიალექტთაგანნი (განსაკუთრებით ე.წ. აღორძინების ხანიდან მოკიდებულ ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყაროა სამწერლობო ენისა). კახური კილო ნაირფეროვანია ამ მხარის მოსახლეობის არაერთგვაროვნების შესაბამისად: კახეთში დამკვიდრებული არიან წარმოშობით სხვადასხვა კილოზე მოუბარნი, იმერლები, რაჭველები, ფშაველები, ხევსურები, მთიულები, რომლებსაც კომპაქტური დასახლების ტერიტორიებზე ძირითადად შენარჩუნებული აქვთ თავიანთი კილოური ნიშან-თვისებანი, განთესილი დასახლებისას კი კახურ მეტყველებაზე არიან გადასული. კახეთში ცალკეული „ენობრივი კუნძულების“ სახით წარმოდგენილია აზერბაიჯანული, ოსური, ბერძნული, უდიური, ბაცბური (წოვა-თუშური), ქისტური მეტყველებაც. გამოიყოფა 3 კილოკავი: გარეკახური, შიგნიკახური და ქიზიყური. გარეკახური გავრცელებულია თბილისი გარეუბანში, საგარეჯოსა და ნაწილობრივ გურჯაანის მუნიციპალიტეტებში; შიგნიკახური – გურჯაანის, ლაგოდეხის, თელავის, ახმეტის, ყვარლის მუნიციპალიტეტებში; ქიზიყური – სიღნაღის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. კახურში განსაკუთრებით გამოირჩევა ქიზიყური, რომელსაც მეტად შემოუნახავს არქაიზმები (ზოგი მკვლევარი მას ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფს). კახური დიალექტის ნიმუშები ჭარბად გვხვდება საისტორიო ძეგლებში, მოყოლებული XV ს-იდან.

კელტური ენები – ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი ჯგუფი. შემორჩენილია მხოლოდ ევროპის უკიდურეს დასავლეთში. ოდესღაც კელტურ ენებზე მეტყველებდნენ დასავლეთ და ცენტრალური ევროპის დიდ ნაწილში. კელტური ენებიდან ამჟამად ცოცხალია: 1. ირლანდიური, უძველესი გლოსები ცნობილია VII საუკუნიდან, მდიდარი ლიტერატურა აქვს XI საუკუნიდან; 2. შოტლანდიური, რომელიც წარმოშობით ახლოს დგას ირლანდიურთან, XVI საუკუნიდან გაიჩინა საკუთარი სალიტერატურო ენა; 3. უელსური – ინგლისის დასავლეთ სანაპიროზე; გლოსები ამ ენაზე ცნობილია VIII საუკუნიდან; შუა საუკუნეებიდან მოეპოვება მდიდარი ლიტერატურა, კერძოდ, ორიგინალური პოეზია. 4. ბრეტონული ენა – საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე, ბრეტანის ნახევარკუნძულზე. უძველესი გლოსები VIII საუკუნისაა; ლიტერატურა აქვს XIV საუკუნიდან.

კლარჯული – ქართული ენის დიალექტი, ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველება. კლარჯულის გავრცელების ძირითადი არეალია ჭოროხის ხეობა; კლარჯეთის უმეტესი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, მურღულისა და არტანუჯის რაიონებშია, ნაწილი კიდევ – საქართველოში, – მირვეთი, ქვემო მარადიდი და კირნათი (აჭარის არ, ხელვა-

ჩაურის მუნიციპალიტეტი). თურქეთის კლარჯეთის მოსახლეთა ერთ ნაწილს ქართული მეტყველება შენარჩუნებული აქვს, მეორეს – არა. ისტორიულ კლარჯეთში ქართული ისმის ბორჩხისა და მურღულის რაიონებში და კლარჯეთის საქართველოს ნაწილში, – მირვეთში, ქვემო მარადიდსა და კირნათში. ქართულენადავიწყებულ კლარჯეთში შენახულია ქართული ტოპონიმია, უმეტესად დაცულია მცენარეთა ქართული სახელები, ქართული ლექსიკა დალექილა კლარჯთა თურქულ მეტყველებაშიც, ქართული კვალი ჩანს აქაურთა ყოფაში. ყველაფერი თქმულის გათვალისწინების გარეშე კლარჯული კილოს ერთიანი სურათის აღდგენა ვერ მოხერხდება. მუჰაჯირობისა (1877-1978 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ) და ახალი მიგრაციების შედეგად კლარჯებს სოფლები დაუარსებიათ თურქეთის რესპუბლიკის სხვა პროვინციებშიც, საინტერესოა, რომ ისტორიული კლარჯეთის ზოგიერთ სოფელში ქართული აღარ იციან, მაგრამ ქართულად ლაპარაკობენ ამავე სოფლიდან თუ ხეობიდან მუჰაჯირად წასულთა შთამომავლები, რაც კიდევ უფრო ზრდის მუჰაჯირ კლარჯთა მეტყველების ლინგვისტურ ღირებულებას.

კოგნიტური ანთროპოლოგია – იხ. ეთნოსემანტიკა

კოდების შერევა – 1. ბილინგვის არამოტივირებული გადასვლა კომუნიკაციის პროცესში ერთი ენიდან მეორეზე; 2. მეტყველების სტრატეგიის ტიპი ბილინგვურ სიტუაციაში, როდესაც ერთი ენიდან მეორეზე გადასვლა ხდება წარმოთქმის (მეტყველების) ფარგლებში. ამავდროულად, უცხო ენის ჩანართმა შეიძლება შეასრულოს ეთნიკური ან სოციალური იდენტიფიკატორის ფუნქცია.

კოინე (ბერძნ. koine „საერთო (ენა)“) – ზეპირმეტყველების ზედიალექტური ნაირსახეობა, რომელიც დიალექტთაშორისი ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. იგი რამდენიმე სხვადასხვა დიალექტის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს აერთიანებს და მასში ნიველირებულია სპეციფიკური კილოკავური მოვლენები, რის გამოც ერთნაირად გასაგები და მისაღებია სხვადასხვა დიალექტის მატარებლებისათვის; საერთო-სახალხო ენა, რომელიც შექმნილია გაბატონებული დიალექტის საფუძველზე.

კომონიმი – ოიკონიმის სახეობა. სოფლის სახელწოდება.

კომპარატივისტიკა – შედარებითი მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს ენათმეცნიერებაში ენების განვითარების შესწავლის შესაძლებლობას. მეთოდი რეალიზდება ორი ან მეტი ენის საანალიზო მახასიათებლ(ებ)ის ურთიერთშედარების გზით, პროტოფორმების, ანუ ფუძეენის ამოსავალი თვისებების დასადგენად. შედარებითი მეთოდი შეიძლება უპირისპირდეს შიდა რეკონსტრუქციის მეთოდს, რომლის დროსაც ერთი ენის შინაგანი განვითარების დასკვნითი დებულებები მიიღება ამ ენის მახასიათებლების ანალიზით. როგორც წესი, ორივე მეთოდი კომბინირებულად გამოიყენება პროტო-ენათა პრეისტორიულად სავარაუდო ფაზების აღსადგენად; მეთოდის მიზანია ენის ისტორიულად შემორჩენილი სისტემის ცარიელი უჯრედების შევსება; ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სხვა ლინგვისტური იერარქიების განვითარების ეტაპების აღმოჩენა-რეკონსტრუქცია და არსებულ ენებს შორის ჰიპოთეტური ნათესაობრივი ურთიერთობების დადასტურება ან უარყოფა. შედარებითი მეთოდი ისახება და მკვიდრდება მე-19 საუკუნის დასაწყისში ინდოევროპეისტიკის დაბადებასთან ერთად. მეთოდის შექმნაში უმთავრესი წვლილი შეიტანეს დანიელმა მეცნიე-

რებმა რასმუს რასკმა (1787–1832), კარლ ვერნერმა (1846–1896) და გერმანელმა მეცნიერმა იაკობ გრიმმა (1785–1863). პირველი ლინგვისტი, რომელმაც შემოგვთავაზა რეკონსტრუირებული ფორმები პროტო-ენიდან იყო ავგუსტ შლაიხერი (1821–1868) თავის ნაშრომში Compendium der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen, რომელიც თავდაპირველად 1861 წელს გამოქვეყნდა. ავტორის მიერ მოპოვებულიქნა მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა იმ ვარაუდის უსაფუძვლობაზე, რომ ინდოევროპული ენები მომდინარეობენ ძველინდურიდან (იგივე სანსკრიტიდან).

კომუნიკაციის ამორფული სფერო (არარეგლამენტირებული კომუნიკაცია) – არაფორმალური კომუნიკაციის სფეროები, რომლებშიც ენა არ რეგულირდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ: ოჯახური კომუნიკაციის სფერო, ყოველდღიური კომუნიკაციის სფერო, ინტერპერსონალური კომუნიკაციის სფერო.

კონვიქსია – ყოფის ხასიათისა და საცხოვრებელი ადგილის საერთოობით დაკავშირებულ ადამიანთა პატარა ჯგუფი, რომელიც რამდენიმე თაობის განმავლობაში არსებობს. კონსორციის მსგავსად, წარმოადგენს ეთნიკური იერარქიის დაბალი ტაქსონს. კონვიქსიის მაგალითებია სასოფლო თემები, შუა საუკუნეების ხელოსანთა კვარტლები, წვრილი ტომები. კონვიქსია გამოირჩევა აქტიურობისა და რეზისტენტობის არცთუ მაღალი ხარისხით.

კონსოლიდაცია (ლათინური: consolidation) – 1. ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების შერწყმა; 2. ცალკეულ პირთა, დაჯგუფებათა გაერთიანება საერთო მიზნებისათვის.

კონსორცია (ლათ. consortio – თანამონაწილეობა, ერთობა) – საერთო მიზნითა და ისტორიული ბედით დაკავშირებულ ადამიანთა პატარა ჯგუფების გაერთიანება. კონსორციას მიეკუთვნება „წრეები“, პოლიტიკური დაჯგუფებები, სექტები, ბანდები, არტელები და სხვ. ნებაყოფილობითი გაერთიანებები. კონსორციების როლი ეთნოგენეზში ძალზე არსებითია, რამდენადაც მათგან წარმოიქმნება შედარებით მაღალი რანგის ეთნიკური სისტემები: მაგალითად, ქრისტიანთა პირველი კონსორციიდან წარმოიშვა ბიზანტიური სუპერეთნოსი, მდინარე ტიბროსზე შეკრებილი კონსორციიდან – რომის იმპერია, ჩინგიზხანის თანამოაზრეთა ჯგუფიდან – მონღოლთა იმპერია. ეს, რა თქმა უნდა, შედარებით ნათელი მაგალითებია, მაგრამ სხვა შემთხვევებშიც პროცესს იგივე მექანიზმი გააჩნია: ვიდრე ესა თუ ის ეთნიკური მთლიანობა ისტორიულ სარბიელზე გამოჩნდება, როგორც აქტიური ძალა, წყაროები აფიქსირებენ რიგ პასიონარებს, რომლებიც თავიანთ გარშემო იკრებენ თანამოაზრეთა ჯგუფებს (კონსორციებს). მაგრამ კონსორციების უმრავლესობა ჯერ კიდევ მათი დამფუძნებლების სიცოცხლეში იშლებიან, ან კონვიქსიაში გადადიან, და მხოლოდ მცირედნი გადაიზრდებიან მაღალი რანგის ეთნიკურ სისტემებში, - აღნიშნავდა ლ. გუმილიოვი.

კონტაქტური ბილინგვიზმი – ბილინგვიზმი, რომელშიც არის ბუნებრივი კონტაქტი ორენოვან საზოგადოებაში სხვადასხვა ენის მოსაუბრეებს შორის. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ეთნიკურ საზღვრებზე შერეული ორეთნიკური დასახლებების მეტყველება.

კრიპტოლექტი (ბერძნ. kryptos „ფარული, საიდუმლო“ + lect) – საიდუმლო საკომუნიკაციო საშუალებად გამოყენებული ესა თუ ის იდიომი.

კრიწული ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნის ენათა ჯგუფის ლეზგიურ ენათა ე. წ. შაჰ-დაღის ქვეჯგუფში შემავალი ენა. კრიწულის ძირითადი დიალექტებია: კრიწ-ერგუჯული (საკუთრივ კრიწული), ხაპუტლური, ჯეკური, ალიკური. უმწერლობო ენაა. გასული საუკუნის 30-იან წლებამდე კრიწულის დიალექტებს ცალკეულ ენებად მიიჩნევდნენ. ასკვნიდნენ: ჯეკური, ხაპუტლური და კრიწული დამოუკიდებელი ენებიაო (ი. ჰერბერი, ნ. მარი). ლეზგურ ენათაგან კრიწული ყველაზე ახლოს დგას ბუდუხურთან. კრიწულ ენაში შეიმჩნევა აზერბაიჯანულ ენის ლექსიკური ერთეულების, სიტყვაწარმოებითი საშუალებების და ზოგიერთი გრამატიკული ფორმის გამოყენება.

კუზენური ქორწინება (ფრანგ. Cousin – ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი ვაჟი) – ქორწინების ერთ-ერთი სავალდებულო ან სასურველი ფორმა, დამახასიათებელი გვაროვნული და ადრეკლასობრივი საზოგადოებისთვის. გამოიყოფა კუზენური ქორწინების ორი ძირითადი ტიპი: კროსკუზენური (ჯვარედინ-კუზენური - ქორწინება დედის ძმისშვილ გოგოზე ან მამიდაშვილზე; ორთოკუზენური (პარალელურ-კუზენური) – ქორწინება მამის ძმისშვილ გოგოზე ან დეიდაშვილზე. კროსკუზენური ქორწინება, დუალურ ორგანიზაციასთან ერთად, წარმოიშვა და გვაროვნული წყობილების დროს ქორწინების ძირითადი ფორმა იყო, რადგან იგი ორი ეგზოგამიური გვარის საქორწინო ურთიერთობას უზრუნველყოფდა. მასთან ერთად წარმოიქმნა და ხშირად სასურველი იყო ორთოკუზენური ქორწინება მამის ძმის ქალიშვილზე (განსაკუთრებით არაბებში, დაღესტნისა და შუა აზიის ზოგიერთ ხალხში და სხვ.) ან იშვიათად – დეიდაშვილზე, რამდენადაც ასეთი ქორწინება ხელს უწყობდა ქონების შენარჩუნებას დიდი ოჯახების ან სხვა ახლომონათესავე ჯგუფების ფარგლებში.

კულტი (ლათ. Cultus) – თაყვანისცემა, მოვლა, პატივის მიგება) – სახელმწიფოს, ღმერთის, ადამიანის ან ადგილის თაყვანისცემის გამომხატველ წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა.

კულტურა (ლათ. cultura – დამუშავება, აღზრდა) – უკიდურესად ფართო, მრავალდონიანი ცნება, დაკავშირებული ადამიანის მწარმოებლურ, შემოქმედებით საქმიანობასთან „მეორე ბუნების“ შესაქმნელად. არსებობს ათეულობით განსაზღვრება, რომელიც კულტურას ახასიათებს ფილოსოფიურ-კონცეპტუალური თვალსაზრისით. ყველაზე ხშირად კულტურის ქვეშ იგულისხმება: 1. საზოგადოების, ადამიანის შემოქმედებითი ძალებისა და უნარების განვითარების ისტორიულად განსაზღვრული დონე, გამოხატული ადამიანთა ცხოვრების ორგანიზაციისა და საქმიანობის, მათი ურთიერთობების, აგრეთვე, მემკვიდრეობით მიღებული და მათ მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ფასეულობების ტიპებსა და ფორმებში; 2. ადამიანური ძალებისა და უნარების მომცველი სულიერი ცხოვრების სფერო, დაკავშირებული არამატერიალურ, იდეალურ (ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიურ) საქმიანობას და გამოხატულია ცოდნაში, უნარში, ჩვეულებაში, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებაში, მსოფლმხედველობაში, ადამიანთა ურთიერთობების საშუალებებსა და ფორმებში; 3. საქმიანობის საგნობრივი შედეგები - ნაგებობები, ტექნიკა, სამკვიდრო გარემო მთელი მისი მოცულობით, შემეცნების ყველა მატერიალიზებული ნაყოფი, ხელოვნების ნაწარმოებები და სხვ.; 4. გარკვეული ისტორიული ეპოქების, კონკრეტული საზოგადოებების, ხალხების დახასიათება - უმეტესწილად წარსულისა (მაგალითად, ანტიკური

კულტურა, მაიას კულტურა და ა. შ.); 5. საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ნორმატიულობისა თუ სრულყოფის ხარისხი (წარმოების კულტურა, მეტყველების კულტურა, ზნეობრივი კულტურა, პარლამენტარიზმის კულტურა). ლოკალური კულტურები წარმოიქმნებიან ერთობათა ტერიტორიულ, ეთნიკურ, ენობრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ბაზაზე. ისინი ვითარდებიან დროში, გადიან ჩასახვის, აყვავების და დაცემის ეტაპებს.

კულტურები წარმოიქმნებიან განსაზღვრულ ბუნებრივ გარემოში, ფლობენ სამეურნეო სპეციალიზაციებს, ქმნიან საკუთარ ფასეულობების კონფიგურაციას, გააჩნიათ მსოფლშეგრძნების, კულტურული კლიმატის თავიანთი განსაკუთრებული სტილი. „დიდ კულტურათაგან“ ყოველს (ინდური, ჩინური, ევროპული, ჩრდილოამერიკული და სხვ.) თავის განვითარებაში შედარებითი ავტონომია გაჩნია, დაკავშირებულია რა სხვა კულტურებთან, როგორც მემკვიდრეობითი, ისე უშუალო ურთიერთგავლენით.

კულტურის გარეშე ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრება შეუძლებელია. ყოველი ახალი თაობა თავის ცხოვრებას იწყებს არაოდენ ბუნების გარემოცვაში, არამედ წინა თაობების მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ფასეულობების სამყაროში. ბუნებრივია, ცოდნა, უნარი, ადამიანური გრძნობები ახალ თაობას მემკვიდრეობით არ გადაეცემა – ისინი უკვე შექმნილი კულტურის ათვისების პროცესში ფორმირდებიან. ერთი თაობიდან მეორეში კულტურის მიღწევების გადაცემის გარეშე ადამიანი და მისი ისტორია წარმოუდგენელია. ადამიანი ქმნის კულტურას და კულტურა ქმნის ადამიანს.

კულტურული ანთროპოლოგია - სამეცნიერო მიმართულება, რომელიც იკვლევს ადამიანის ბუნების კულტურულ საფუძვლებს, მისი ქცევის კულტურულ მახასიათებლებს. ფართოდ იყენებს არქეოლოგიისა და ისტორიული ლინგვისტიკის მონაცემებს. კულტურული ანთროპოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა ეთნოლოგმა და ანთროპოლოგმა ფ. ბოასმა შექმნა. კულტურული ანთროპოლოგიის პრობლემატიკა, მეთოდები სხვადასხვა ქვეყნებში ერთგვაროვანი არაა. ინგლისში ყველაზე ხშირად გამოიყენება ტერმინი „სოციალური ანტროპოლოგია“ და ყურადღება ექცევასოციალური კულტურების შედარებით ანალიზს. აშშ-ში კულტურული ანთროპოლოგია ნიშნავს იგივეს, რასაც ეთნოლოგია, ამასთან, ფართოდ გამოიყენება ფსიქოანალიზი, შეისწავლება ჯგუფური ფსიქოლოგია, ეროვნული ხასიათი, ადამიანისთვის დამახასიათებელი ცხოვრების თვისებები, რომელიც მოიცავს შეგნებას, ენას, იარაღის დამზადებას, სოციალურობას, ნიშნებისა და სიმბოლოების გამოყენებას, შექმნილი ფასეულობების განმტკიცებას და ა. შ., ამასთან, კულტურა განიხილება ადამიანთა ქცევისა და ურთიერთობის კონტექსტში, როგორც გარემოსთან ადაპტაციის, მასზე ზემოქმედების, კომუნიკაციის, შემეცნების, ინდივიდის არსობრივი ძალების აქტუალიზაციის ინსტრუმენტი. მეთოდოლოგიურ პლანში კულტურული ანთროპოლოგია აქცენტს აკეთებს აღწერილობით მეთოდიკაზე. კულტურული ანთროპოლოგიის ამოცანაა ადამიანის, როგორც შემოქმედისა და კულტურის მატარებლის, თეორიის შექმნა. კულტურული ანთროპოლოგიის თავდაპირველი ობიექტი იყო აფრიკის, აზიისა და უკიდურესი ჩრდილოეთის უდამწერლობო ხალხები მათი ტრადიციული კულტურითურთ. XX საუკუნეში დამწერლობამდელი კულტურების მოდერნიზაციასთან დაკავშირებით

აღნიშნული მიმართულების ინტერესი ეროვნული უმცირესობების, ევროპის, აზიისა და ამერიკის განვითარებული ეროვნული კულტურების კვლევაზე გადაერთო. უკანასკნელ ხანებში რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის დასამყარებლად გააძლიერა ინტერესი კულტურული ეკოლოგიის, მცირერიცხოვანი ხალხების უნიკალური და თვითმყოფადი კულტურების გადარჩენის, აგრეთვე, კულტურული კავშირების აუცილებლობის საკითხებისადმი.

კულტურული ასიმილაცია – იგივეა, რაც აკულტურაცია.

კულტურული ინოვაციები (ინგლ. Innovation – განახლება) – ეთნიკური კულტურის ახალი მოვლენა, რომელიც ეთნოსის განვითარების უწინდელ სტადიებზე არ არსებობდა, მაგრამ მომდევნო პერიოდში გამოჩნდა და მისი ორგანული ნაწილი გახდა. კულტურული ინოვაციები შეიძლება წარმოიქმნას კულტურის განვითარების შინაგანი პროცესების შედეგად გამოგონების ფორმით ან სხვა კულტურებიდან ნასესხობის სახით. კულტურული ინოვაციების შედარებით გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს სესხება, რაც ხელს უწყობს მისი მიმღები კულტურის ტრანსფორმაციის სტიმულირებას. კულტურული ინოვაცია კულტურაში ჩანერგვის სამ ეტაპს გადის. ეს ეტაპებია: 1. შერჩევა, 2. მოდიფიკაცია და 3. ინტეგრაცია. ამ ეტაპების გავლის შემდგომ იგი შესაბამის ეთნიკურ კულტურას „ესისხლხორცება“ და მისთვის ტრადიციული მოვლენა ხდება.

კულტურული უნივერსალიები (ლათ. universalis - საერთო) - ცხოვრების ტიპური ასპექტები, რომლებიც დამახასიათებელია ყველა კულტურისათვის, მიუხედავად მათი გეოგრაფიული ადგილისა, ისტორიული დროისა და საზოგადოების სოციალური წყობისა.

შედარებითი, კროს-კულტურული და ტიპოლოგიური მეთოდების გამოყენებამ სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენლებს საშუალება მისცა გამოევლინათ კულტურული უნივერსალიები, რომლებიც ყველა საზოგადოებაში დასტურდება. ამერიკელმა ანთროპოლოგმა ჯ. მერდოკმა (1897-1985) 1930-იანი წლების დასასრულს ჩამოაყალიბა კროს-კულტურული კვლევების მეთოდიკისადმი ახალი მიდგომა - რეპრეზენტაციული შერჩევები, რომლებიც მსოფლიოს ყველა კულტურულ არეალს მოიცავდა. მისი შეხედულებით, კროს-კულტურული შერჩევითი კვლევები - ეს არის კომპარატიული სტატისტიკური ანალიზი, რომელშიც ათვლის ერთეულებია „ტომი“, „საზოგადოება“ და „კულტურა“, ხოლო შერჩეული ერთობლიობა მსოფლიოში არსებული ყველა სოციალური სისტემის ტიპებს გამოხატავს. ჯ. მერდოკმა შეიმუშავა უნივერსალური კულტურული მოდელისა და ნათესაობის სისტემის ევოლუციის კონცეფცია. მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ნათესაობის ყველა ფორმა დეტერმინირებულია ეკოლოგიური პირობებით, რომლებიც, თავიანთი მხრივ, სამეურნეო ტიპსა და შრომის სქესობრივ დანაწილებას განსაზღვრავენ. ნათესაური ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპები, გარემო პირობების ცვლილების კვალდაკვალ, სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებიან. 1959 წელს ჯ. მერდოკმა, იელის უნივერსიტეტელ კოლეგებთან ერთად, გამოყო 80-ზე მეტი კულტურული უნივერსალია - ყველა კულტურისათვის საერთო ელემენტები: სამოსი, სამკვიდრო ადგილი, ქონება, დღეობები, საჩუქრები, სტუმარმასპინძლობა, გამომსახველობითი ხელოვნება, შრომა, ნათესაური კავშირები, ჩვილობა და ბავშვობა, სიკვდილი და დაკრძალვა,,

რელიგიური წარმოდგენები, სოციალური სტრატიფიკაცია, შრომის იარაღების გამოყენება, ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტები და ა. შ.

კულტურული უნივერსალიების უფრო მოკლე ჩამონათვალი კ. უისლერს ეკუთვნის. მან გამოყო ყველა კულტურისათვის დამახასიათებელი ცხრა ე. წ. ფუნდამენტური პატერნა - მეტყველება, მატერიალური ნიშნები, ხელოვნება, მითოლოგია და მეცნიერული ცოდნა, რელიგიური პრაქტიკა, ოჯახი და სოციალური სისტემა, საკუთრება, მთავრობა, ომი. უნივერსალიები წარმოიქმნებიან იმიტომ, რომ ადამიანები, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, ფიზიკური აგებულებითა და ბიოლოგიური მოთხოვნებით ერთგვაროვანნი არიან და გამკლავება უწევთ ერთნაირ პრობლემებთან, რომლებსაც ადამიანთა მოდგმის წინაშე გარემო აყენებს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული კულტურული უნივერსალიების კონკრეტული შინაარსი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ოჯახი ამა თუ იმ სახით ყველა საზოგადოებაში არსებობს, მაგრამ ზოგიერთი სოციუმი - მონოგამიურს, ზოგიერთი - პოლიანდრიულს, ზოგიერთიც პოლიგინიურს ამჯობინებს.

კულტურული ფარდობითობის თეორია – იგივე კულტურული რელატივიზმი, ანუ მტკიცება იმისა, რომ ეთიკური პრაქტიკა განსხვავდება კულტურებს შორის და ის, რაც ერთ კულტურაში ნორმად ითვლება, მეორეში შეიძლება არასწორ ქცევად ჩაითვალოს. კულტურული რელატივიზმის ძირითადი პოსტულატი ისაა, რომ არცერთი საზოგადოება არ აღემატება მეორეს, ისინი უბრალოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კულტურული რელატივიზმი ეწინააღმდეგება ეთნოცენტრიზმს, რომელიც მოუწოდებს ადამიანებს შეხედონ სამყაროს მხოლოდ საკუთარი კულტურის პერსპექტივიდან.

„კულტურული წრეების“ თეორია - კულტურის ეთნოლოგიური კონცეფცია, შემუშავებული გერმანელი ეთნოლოგის ფ. გრებნერის მიერ. ამ კონცეფციის თანახმად, კულტურის ყოველი ელემენტი მისი ჩასახვის რომელიმე ერთი ცენტრიდან წარმოიშობა, ისტორიაში მხოლოდ ერთხელ გარკვეულ ადგილზე ჩნდება და განეკუთვნება ერთ „კულტურულ წრეს“, რომელთანაც ერთად ვრცელდება სხვა ქვეყნებსა და კულტურებში. გრებნერმა სულ ექვსი „კულტურული წრე“ გამოყო. ყოველი „კულტურული წრე“ წარმოადგენს თვითნებურად შერჩეული ელემენტების ხელოვნურად შექმნილ ნაერთს; ასეთი „წრე“ დროში არ ვითარდება, მხოლოდ ურთიერთმოქმედებს სხვა „წრეებთან“ გეოგრაფიულ სივრცეში. კულტურული ელემენტებისა თუ კომპლექსების სივრცეში გავრცელება ეთნოსების მიგრაციის ან შერწყმის შედეგად ხორციელდება; ამასთან, ერთი „წრის“ ელემენტები შეიძლება გავრცელდეს დიფუზიის გზით და სხვა „წრის“ ელემენტებს უერთდება. დროში ერთმანეთის მონაცვლე „კულტურული წრეები“ წარმოქმნიან კულტურულ ფენებს. კულტურის მთელი ისტორია - ეს არის რამდენიმე „კულტურის წრის“ ადგილმონაცვლეობისა და მათი მექანიკური ურთიერთქმედების ისტორია.

კუნძულოვანი დიალექტი – დიალექტი, რომელიც გარშემორტყმულია სხვა ენით ან სხვა დიალექტებით და მკვეთრად განსხვავდება მისი ენობრივი მახასიათებლებით იმავე ენის სხვა დიალექტებისაგან. მისი არსებობა დაკავშირებულია განსაკუთრებულ სოციალურ-ისტორიულ პირობებთან, რამაც განსაზღვრა ფიზიკური ან კულტურულ-ენობრივი იზოლაცია და, შესაბამისად, სპეცი-

ფიკური არქაულის შენარჩუნება ან განსხვავებული ენობრივი ნიშნების გაჩენა. მეორე მხრივ, უცხო ეთნიკურ და უცხოენოვან გარემოში ყოფნისას, ასეთი დიალექტები შესაბამისი ენების გავლენის ქვეშ არიან.

კუსურული – ხუნძური ენის დიალექტი. გავრცელებულია რუთულის რაიონში. მახასიათებლებით ახლოსაა ანწუხურ და ზაქათალურ დიალექტებთან. კუსურულმა ისტორიულად წახური ენის მნიშვნელოვანი გავლენა განიცადა.

ლ

ლაზური (ჭანური) – ზანური (მეგრულ-ლაზური) ენის დიალექტი. ლაზები ძირითადად ცხოვრობენ თურქეთის რესპუბლიკაში (რიზეს და ართვინის პროვინციებში). მცირე ნაწილი ცხოვრობს საქართველოში, აჭარაში (ისტორიულ ლაზეთში). მიუხედავად არაერთსაუკუნოვანი იზოლაციისა ჯერ ბიზანტიის, შემდეგ ოსმალეთის იმპერიებში, შემდგომ თურქეთის რესპუბლიკაში, ლაზებმა შეინარჩუნეს თავიანთი ეთნიკური ვინაობის შეგნება, ენა, ჩაცმულობა, ბევრი ადათ-წესი. ლაზურს (ჭანურს) აქვს ხოფური, ვიწური, არქაბული, ათინური კილოკავები. ათინურში გამოიყოფა ბულეფურ-არტაშენული თქმა, ხოფურში ცალკე თქმას წარმოადგენს ჩხალური მეტყველება. ლაზური კილოკავები საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან. ყველაზე კარგად დაცულია არქაბეში, ყველაზე სუსტად – ათინაში. მიზეზი ჯერ ბერძნული, შემდგომ კი ოსმალური / თურქული ენების გავლენაა. ლაზური მეტყველება არც საქართველოში ყოფილა ერთგვაროვანი – სარფში ხოფური კილოკავია გავრცელებული, მაგრამ თხინვალში ათინურის არტაშენული თქმისათვის დამახასიათებელი თვისებები შეინიშნება (არნ. ჩიქობავა), სოფ. მახოში – ვიწური მეტყველება. აფხაზეთში მცხოვრებ ლაზთა მეტყველებაში სოფ. შაწკვარაში, ფაჩანთასა და ფშალთილუღში, ასევე წარაშუბარაში (ეშერის თემი) არქაბული და ათინური კილოებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები ვლინდებოდა.

ლაკური ენა – იბერიულ-კავკასიური ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთი ახალი სამწერლობო ენა. გავრცელებულია მთიან დაღესტანში, ლაკის, კულისა და ნოვოლაქსკის რაიონებში (ლაკებით დასახლებული ზოგი აული გვხვდება დაღესტნის სხვა რაიონებშიც). გამოიყოფა ვიცხიური, ღუმუქური, ხლიური, აშტიკულური, ბალხარული კილო-თქმები. სამწერლობო ლაკურ ენას საფუძვლად უდევს ღუმუქური დიალექტი. აგრეთვე ხლიური, აშტიკულური, ბალხარული კილოები. 1928 წლამდე ლაკები იყენებდნენ არაბულ დამწერლობას. 1928-38 წლებში ლათინურ ანბანს, 1938 წლიდან კი – კირილიცას.

ლაშხური – სვანური ენის დიალექტი. გავრცელებულია ცხენისწყლის ხეობაში, ჟახუნდერის, ჩიხარეშის და ცანას თემების სოფლებში: სასაში, ჩუკული, ახალშენი, შგედი, მელე, ხერია, ლაშხრაში, ლეღვანი, მახაში, ლეკოსანდი, ლუჯი, ნაცული, ღობი, მარგვიში, ლემზაგორი, ლამგარაში, მებეცი. სოფლების მცხოვრებთა მეტყველება თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან, ვინაიდან ლაშხური დასახლებები ერთმანეთის გვერდიგვერდაა და ურთიერთობებიც ინტენსიურია. თანამედროვე ლაშხურს სვანურის სხვა დიალექტებისგან განარჩევს უმლაუტის არქონა.

ლეგენდა (ლათ. Legenda ის, რაც უნდა წაიკითხონ) – 1. ხალხური ზეპირი გადმოცემა უპირატესად რელიგიური ხასიათისა; თქმულება. 2. (გადატ.). არაჩვეულებრივი ამბავი, შელამაზებული მოთხრობა ვისიმე ცხოვრების ან რაიმე ამბის შესახებ. 3. წარწერა ლითონის ფულზე. 4. ახსნა-განმარტებითი ტექსტი, რომელიც დართული აქვს გეგმას, რუკას, დიაგრამას და მისთ. 5. მოგონილი, შეთხზული ბიოგრაფია მზვერავისა.

ლეზგური ენები – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ლეზგურ ენათა ქვეჯგუფი. გავრცელებულია დაღესტნის სამხრეთ რეგიონში და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის რაიონებში. ტრადიციულად ლეზგურ ენათა ქვეჯგუფში განიხილება საკუთრივ ლეზგიური, თაბასარანული, აღულური, რუთულური, წახურული, კრიწული, ბუდუხური, არჩიბული, უდიური და ხინალუღური ენები. გენეტიკური სიახლოვის მიხედვით ლეზგიური ენები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1. აღმოსავლურ-ლეზგიური: ლეზგიური, თაბასარანული, აღულური; 2. რუთულურ-წახურული, 3. შაჰდაღის (აზერბაიჯანის ტერიტორია) – კრიწული და ბუდუხური. საქართველოსა და აზერბაიჯანში გავრცელებულია უდიურიც. ხინალუღური, უდიური და არჩიბული შედარებით განსხვავდება სხვა ლეზგური ენებისგან.

ლეზგიური (**კიურიული**) **ენა** – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ლეზგური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. ლეზგიური ენა შეიცავს კიურიულ, ახტის, ხუდათის დიალექტებს და არაერთ კილო-თქმას. სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს კიურიული დიალექტი. 1928 წლამდე გამოიყენებოდა არაბული დამწერლობა, 1938 წლამდე ლათინური, 1938 წლიდან კი ლეზგიური ანბანი ეყრდნობა რეფორმირებულ კირილიცას.

ლენტეხური – სვანური ენის დიალექტი. გავრცელებულია ცხენისწყლის ხეობაში, საკუთრივ ლენტეხსა და სოფლებში ხელედი, ხოფური, რცხმელური. გამოირჩევა ოთხი კილოკავური სხვაობით: საკუთრივ ლენტეხური, რცხმელურული, ხოფურული, ხელედური. ლენტეხურს სვანურის სხვა დიალექტებისგან განარჩევს რედუქციის უქონლობა.

ლექსიკა (ბერძნ. lexikos „სიტყვისა“) – რომელიმე ენის ან დიალექტის სიტყვათა ერთობლიობა, სიტყვების მარაგი; სიტყვები, რომლებიც გვხვდება ამა თუ იმ ავტორის თხზულებებში.

ლექსიკის მოდერნიზაცია – ენის ლექსიკური მარაგის შევსება ცხოვრებაში მიმდინარე ახალი რეალიებისა და ცნებების შესაბამისად.

ლექსიკოგრაფია (ბერძნ. lexikos „სიტყვისა“, grapho ვწერ) – 1. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ლექსიკოგრაფიაზე დაყრდნობით ამუშავებს ლექსიკონების შედგენის თეორიის საკითხებს. 2. ლექსიკონების შედგენა, სალექსიკონო მუშაობა.

ლექსიკოლოგია (ბერძნ. lexikos „სიტყვისა“, logos „მოძღვრება“) – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ლექსიკას.

ლექსიკონი (ბერძნ. lexikon) – 1. წიგნი, რომელშიც ანბანზეა გაწყობილი ამა თუ იმ ენის სიტყვები და მოცემულია მათი განმარტება იმავე ენაზე ან თარგმანი რომელიმე სხვა ენაზე. 2. ვისიმე სიტყვების მარაგი; ლექსიკა.

ლეჩხუმური – ქართული ენის დიალექტი. გავრცელებულია ძირითადად

ცაგერის მუნიციპალიტეტში, ნაწილობრივ წყალტუბოს ტერიტორიაზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. ლეჩხუმურ დიალექტზე მოსაუბრენი ჩასახლებული არიან გურჯაანის, ახმეტის, ბოლნისის მუნიციპალიტეტებში. განიცდის სვანურისა და მეგრულის გავლენას (ისტორიულად დღევანდელი ლეჩხუმის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სვანები და ზანები). განსაკუთრებით ეს ჩანს ტოპონიმიკასა და ლექსიკაში. ძირითადად ლეჩხუმური ქვემოიმერულის ტიპისაა, ახლოს დგას ქვემორაჭულთანაც. ლეჩხუმური პირობით შეიძლება დავყოთ ქვემოლეჩხუმურად და ზემოლეჩხუმურად. ქვემოლეჩხუმური გავრცელებულია მდ. რიონის შუა წელზე, სოფ. მექვენის ზემოთ, ალპანამდე, ზემოლეჩხუმური კი – რიონის ხეობის ერთ ნაწილსა და ცხენისწყლის ხეობის რეგიონში. ზემოლეჩხუმურში არის მცირეოდენი შინაგანი სხვაობა, იყოფა ცაგერსქვემოურ და ცაგერსზემოურ მეტყველებად. ლეჩხუმურის ზოგი თავისებურება დამოწმებულია XVII- XVIII სს. ისტ. საბუთებში.

ლინგვა ფრანკა (იტ. lingua dei Franchi -> Lingua Franca „ფრანკების ენა“) – საშუამავლო ენა, რომელიც დამხმარე საურთიერთო საშუალებად გამოიყენება განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე ადამიანების მიერ.

ლინგვაციდი (ლათ. lingua „ენა“ + cidium „კვლა“) – ენობრივი გენოციდი. ენის განზრახ მიყვანა გადაშენებამდე მასზე მოლაპარაკე ადამიანების დაშინების ან გაწყვეტის გზით.

ლინგვისტური ანთროპოლოგია - ლინგვისტური ანთროპოლოგია ყურადღებას ამახვილებს ენაზე და მის მნიშვნელობაზე კაცობრიობის ისტორიის, კულტურისა და ბიოლოგიის უკეთ გასაგებად. ლინგვისტური ანთროპოლოგია, ინტერესებიდან გამომდინარე, იკვეთება ზოგადად ენათმეცნიერებასთან, მაგრამ ხასიათდება მეტი აქცენტით საველე სამუშაოებზე და ადამიანის უფრო ფართო ანთროპოლოგიურ გაგებასთან. ლინგვისტური ანთროპოლოგიის სპეციალიზაცია მოიცავს უმცირესობების და ძირძველი ენების დოკუმენტაციას, ენის ურთიერთობას სოციალურ სტრუქტურებთან (სქესი, კლასი, ეთნიკური წარმომავლობა) და ურთიერთობას ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებასა და არქეოლოგიას შორის.

ლინგვისტური ტიპოლოგია – ენათმეცნიერულ კვლევათა მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანია დაადგინოს მსგავსება-სხვაობანი ნებისმიერ ენათა შორის, მიუხედავად იმისა, გააჩნიათ თუ არ გააჩნიათ ურთიერთშორისი გენეტიკური მიმართებები ან რაიმე ტიპის ზეგავლენა.

ლინგვისტური ფარდობითობის თეორია – იგივე სეპირ-ვორფის პოზიცია, ამტკიცებს, რომ ენა „არ არის მხოლოდ იდეათა გამოხატვის რეპროდუცირებადი ინსტრუმენტი, არამედ თავად არის იდეების, პროგრამირებისა და ფორმირების საშუალება, სახელმძღვანელო ინდივიდის აზრიანი ქმედება-საქმიანობისთვის“. ენა განსაზღვრავს (ან აყალიბებს) ჩვენს აღქმას რეალობის შესახებ. სოციალურ მეცნიერებაში დებულების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია, ალბათ, ესკიმოსების პრაქტიკა, რომლებსაც ასზე მეტი სიტყვა აქვთ თოვლის აღსანიშნავად. ასეთი დახვეწილი დიფერენციაცია საშუალებას აძლევს ამგვარ კულტურებს უფრო ნათლად დაინახონ საკუთარი კულტურის მნიშვნელოვანი ასპექტები.

ლინგვოკულტურა (ინგლ. linguaculture) – ინტერდისციპლინარული მიმდინარეობა, რომელიც შეისწავლის ენის, კულტურისა და აზროვნების ურთიე-

რთობასა და ურთიერთქმედებას; ანთროპოცენტრული ენათმეცნიერების კვლევის საგანი, რომელიც გააზრებულია როგორც ენისა და კულტურის განუყოფელი მთლიანობა, რაც მოცემული ერის კულტურის სხვადასხვა კომპონენტში მჟღავნდება.

ლინგვოკულტურული ინტერფერენცია – ერთი ენის კულტურულ კონოტაციათა სრული ან ნაწილობრივი აცილება მასთან კონტაქტში მყოფი რომელიმე ენის კულტურულ კონოტაციებთან.

ლინგვისტური ტიპოლოგია – ენათმეცნიერულ კვლევათა მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანია დაადგინოს მსგავსება-სხვაობანი ისეთ ენათა შორის, რომელთაც არ გააჩნიათ გენეტიკური მიმართებები ან რაიმე ტიპის ურთიერთზეგავლენა.

ლინგვონიმი [< ლათ. lingua „ენა“ + ბერძნ. onym „სახელი“] – ენის სახელწოდება.

ლიტერატურული ლინგვისტიკა (Literary linguistics) – შეიქმნა თეორიული ლინგვისტიკისა და ლიტერატურული კვლევის ჰარმონიული კომბინაციისთვის. დასავლეთში (1983 წლიდან) შემუშავდა ექსპერტიზა და კვლევა ლიტერატურის ფსიქოლოგიურ ანგარიშებში, რომლებიც დღეს ლინგვისტური და ფსიქოლოგიური მიდგომების გაფართოებული პორტფოლიოს ნაწილია. დარგი მოიცავს ასევე ლიტერატურული ფორმის ენობრივ მიდგომებს, რომელიც პოეტურ და სხვ. ფორმებს აკავშირებს სამუშაო მეხსიერების შესაძლებლობებთან.

მ

მაგია (ბერძნ. μᾰγείᾱ – ჯადოქრობა, მისნობა) – მოქმედებები, დაკავშირებულნი რწმენასთან, რომ ადამიანს შესწევს უნარი გავლენა იქონიოს ბუნების ძალებზე, საგნებზე, სულიერი არსებების, მათ შორის ადამიანის, ბედზე. განეკუთვნება უძველესი საკრალური ქმედების ტიპს, რომელიც გულისხმობს საბოლოო პრაქტიკული შედეგის მიღწევას ან მისტიკური და რელიგიური წესების წანამძღვრის უზრუნველყოფას. პირველ შემთხვევაში მაგიის მიზანია დაცვა და მკურნალობა ან, პირიქით – ვნების მიყენება (შესაბამისად ასხვავებენ თეთრ და შავ მაგიას). ფართო გავრცელება ჰპოვა სამრეწველო და აგრარულმა, აგრეთვე, სასიყვარულო („მომჯადოებელმა“) მაგიამ. მეორე შემთხვევაში მაგია მოწოდებულია გამოიწვიოს ადამიანის ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობა (ექსტაზი, ჰალუცინაცია) წინასწარმეტყველების მისაღწევად ან ღვთაებათა ვიზუალიზაციისთვის (წარმოადგენს ინიციაციის შემადგენელ ნაწილს). ჰიპნოზური მაგია არის ჯადოქრის ან ავსულის მიერ გამოწვეული „მონუსხვა“; ანალოგიური ფსიქოტექნიკას, რომელიც ადამიანებში კოლექტიურ ილუზიებს, ხილვებს იწვევს, შამანები და იოგები იყენებენ. მაგიის განვითარებული სისტემებისგან განსხვავებით, მარტივი საწესო მოქმედებები არ მოითხოვს სპეციალურ მომზადებას, მაგრამ, როგორც წესი, მაგიით დაკავებულნი ამ საქმიანობისთვის სპეციალურად ნაკურთხი (ინიციაციაგავლილი) ადამიანები - მაგები. თავიანთი ძირითადი მოვალეობის პარალელურად, ამ როლის მორგება შეუძლიათ ქურუმებს, შამანებს, ლამებს და ბევრი რელიგიის მღვდელმსახურებს. მაგიაში გამოიყენება სხვადასხვა საკრა-

ლური ფეტიშები: ჯადოსნური კვერთხები (ასეთ კვერთხებს ფლობდნენ მოსე წინასწარმეტყველი და სოლომონ მეფე), ძლევამოსილი მახვილები (მაგალითად, მეფე არტურისა), აგრეთვე, ყოველგვარი ამულეტები – თვლიანი და უთვლო ბეჭდები, სამაჯურები, ძვირფასი და წმინდა ქვები. მაგიურ წესებში გამოიყენება სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები (დამცავი პენტაგრამები და წრეწირები); განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზოგიერთ რიცხვს (1, 3, 9, 108 და სხვ), წმინდა სიტყვებს, შელოცვებს, მანტრებს (ვერბალური მაგია). მაგიის საშუალება შეიძლება იყოს განსაკუთრებული ჟესტები (მაგალითად, ინდუისტურ-ბუდისტური მუდრები), სხეულის მოძრაობები (თავის დაკვრა, მუხლის მოყრა). მაგიურ რიტუალებში გამოიყენება ცეკვებიც, მუსიკაც და თავისებური ხმიანობა (ყვირილი და დოლისკვრა ბოროტი სულების შესაშინებლად). დამცავი მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიას, ჯვარს, ყურანს, წმინდანთა ნაწილებსა და საფლავებს. მაგიის მეთოდები მრავალგვარია და საფუძვლად უდევს მის კლასიფიკაციას რიგ სახეობებად საკრალური ქმედებებისა და მნიშვნელობის მიხედვით. ასხვავებენ კონტაქტურ (დაფუძნებული ზებუნებრივი ძალის გადაცემის რწმენაზე მის მატარებელთან ადამიანის შეხებისას – ამულეტით, შინნამზადი წამლით), პარციალურ (მანიპულაცია ხდება მაგიის ობიექტის ტანსაცმელზე), იმიტაციურ (მანიპულაცია ხდება მაგიის ობიექტის გამოსახულებაზე) მაგიას.

მამაკაცის მეტყველება – მამაკაცური და ქალური ენების კონტრასტი. ჩნდება ენის სოციალური სტრატიფიკაციის საფუძველზე სქესის მიხედვით. მამაკაცის მეტყველებაში უფრო დიდია ჟარგონი სიტყვებისა და გამონათქვამებისადმი მიდრეკილება, უხამსობა, ტექნიკური ტერმინოლოგიის უფრო თავისუფალი გამოყენება და ა.შ. იშვიათ შემთხვევებში იქმნება ურთიერთგაგების დეფიციტი, რაც იწვევს ხალხის ნაწილის იზოლირებას მისი დანარჩენი მასისგან.

მასობრივი ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის სახეობა, რომელიც გავრცელებულია ეთნოსის (ხალხის) მნიშვნელოვან ნაწილს შორის.

მატრიარქატი (ლათ. matris – დედა + ბერძნ. ἀρχή – ძალაუფლება) – „დედის ძალაუფლება“. ტერმინი გამოიყენება საზოგადოებასა და ოჯახში ქალების დომინირებული მდგომარეობის აღსანიშნავად. ლიტერატურაში „მატრიარქატის“ ცნებას რამდენიმე აზრი გააჩნია. მათ შორის შედარებით გავრცელებული დაკავშირებულია XIX საუკუნეში შემუშავებულ მატრიარქატის თეორიასთან, რომლის მიხედვითაც პირველყოფილი საზოგადოების ისტორიაში საწყის საზოგადოებრივ პერიოდს წარმოადგენს ეპოქა, როცა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ქალებს დომინირებული მდგომარეობა ეკავათ. ამ თეორიას ასაბუთებდნენ დედისეული ხაზის ისტორიული პრიორიტეტით, რითაც განისაზღვრებოდა ქონების მემკვიდრეობითობა და ქალის სოციალური მდგომარეობა, აგრეთვე, საქორწინო დასახლების მატრილოკალობითა (იხ. მატრილოკალური ქორწინება) და დისლოკალობით (იხ. დისლოკალური ქორწინება). საზოგადოებრივი მოწყობის მოცემული ტიპი სავარაუდოდ პირველყოფილი საზოგადოების ადრეულ ეტაპზე არსებობდა და წინ უსწრებდა პატრიარქატს. მატრიარქატული პერიოდი პირველად გამოყო ი. ბახოფენმა ძველი კლასიკური მითების ანალიზის საფუძველზე. მატრიარქატი ისტორიულად რეკონსტრუირდება ტიბეტის ხალხებში, ძველი ეგვიპტეში და სხვა ძველ სახელმწიფოებში. მატრიარქატის გადმონაშთები შემორჩათ მიკრონეზიის რიგ ხალხებს.

მატრილოკალური ქორწინება (ლათ. matris – დედა + locus – ადგილი) – მატრიარქატის ეპოქაში გავრცელებული საქორწინო დასახლების ფორმა, რომლის დროსაც ქმარი საცხოვრებლად ცოლის თემში გადადის – შეუღლებული წყვილის ერთად ცხოვრების პირველი ფორმა. მატრილოკალური ქორწინება გვაროვნულ თემს დედისეული ხაზის საოჯახო თემად გარდაქმნის და ხელს უწყობს მამაკაცის დამოუკიდებელი, არაგვაროვნული საკუთრების წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობა მატრილოკალობიდან პატრილოკალურ ქორწინობაზე (იხ.) გადასვლისათვის.

მეგრული – ზანური (მეგრულ-ლაზური) ენის დიალექტი. მეგრელები, გარდა სამეგრელოსი, ცხოვრობენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. მეტყველება ამჟამად რიონ-ცხენისწყლიდან იწყება და მდ. ღალიძგამდისაა (სამურზაყანოში) გავრცელებული. მეგრულში გამოიყოფა სამი კილოკავი: სენაკურ-მარტვილური, ზუგდიდურ-ჯვარული და სამურზაყანოული. სენაკურ-მარტვილური კილოკავი მოიცავს აბაშა-სენაკის, ფოთის, ხობის, მარტვილისა და ჩხოროწყუს მეტყველებას. ცალკე თქმებად გამოიყოფა ბანძა-მარტვილისა და ჩხოროწყუს მეტყველება. ჩხოროწყუს მეტყველებას არ ითვალისწინებს მეგრულ კილოკავთა ტრადიციული დაყოფა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ იგი გარკვეულ შემთხვევაში მეტად ავლენს ზუგდიდურ-ჯვარულის თავისებურებებს, შესაბამისად, ნარევი ენობრივი ერთეულია. ზუგდიდურ-ჯვარულ კილოკავში იგულისხმება ზუგდიდისა და წალენჯიხის მცხოვრებთა მეტყველება. მეგრულის მესამე კილოკავს ქმნის ენგურს გაღმა სამეგრელოს (სამურზაყანოს) მეტყველება. იგი გავრცელებულია თანამედროვე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში, აფხაზეთში და მთლიანად მოიცავს გალის რაიონს, ნაწილობრივ – ოჩამჩირესა და ტყვარჩელს. ოკუპაციამდე აფხაზეთში მეგრული მეტყველება ვრცელდებოდა გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში, სადაც მეგრელები კომპაქტურად იყვნენ დასახლებულები.

მედიალექტი (ბერძნ. media „მასმედია“ + lect) – მასმედიის ენა.

მეორე ენა – ენა, რომელსაც ინდივიდი ეუფლება მშობლიური ენის შემდეგ. შემდგომ, ცხოვრებისეული სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ენა შეიძლება დარჩეს ფუნქციურად მეორე, ან გახდეს ფუნქციურად პირველი.

მესხური – მტკვრის აუზის მეტყველება (ახალციხის, ასპინძის, ადიგენის მუნიციპალიტეტები). იგი ჯავახურთან ერთად საქართველოში ისტორიულად გავრცელებული მესხური კილოს ნაშთია; ჭოროხის ხეობის დიალექტთან ერთად ძველ საუკუნეებში წარმოადგენდა ქართული ენის სამხრეთულ განშტოებას. სამხრეთ საქართველოში ცნობილი ისტორიული ცვლილებების შედეგად ამ მხარის ქართული მეტყველება გაქრა და შემორჩა იმერხეულისა და ახალციხურ-ახალქალაქურის სახით. ისტორიულად მესხური წარმოადგენდა სალიტერატურო ენის ერთ-ერთ საყრდენ კილოს. თანამედროვე მესხური ძირითადად ქართლური კილოს ტიპისაა, მაგრამ მასში გამოიყოფა დიდი ფენა, რომელიც ნიშანდობლივია დასავლური კილოებისათვის (უწინარესად ჭოროხის ხეობის მეტყველებისათვის); იგი რამდენადმე გარდამავალი სახეობის დიალექტია; უფრო ახლოს დგას ჯავახურთან. ლექსიკა-ფრაზეოლოგია განიცდის თურქულის გავლენას. შუა საუკუნეებში ზეპირი (აგრეთვე მწიგნობრული) გზით შემოსული ბერძნული, თურქული, სპარსული, სომხური სიტყვები, უპირველ ყოვლისა, სამხრეთ საქართველოს ენობრივი წრის მეშვეობით ინერგებოდა ქართული ენის საზოგადო ლექსიკონში.

მეტაეთნიკური ერთობა (ბერძნ. meta – (რისამე) შემდეგ, (რისამე) გავლით + ethnos – ხალხი) – ეთნოსთა ჯგუფები, ჩამოყალიბებულნი მათი ეთნოგენეტიკური სიახლოვის საფუძველზე, ან ხანგრძლივი კულტურული ურთიერთქმედებითა და პოლიტიკური კავშირებით. მეტაეთნიკური ერთობა გაცილებით მაღალი დონის წარმონაქმნია, ვიდრე საბაზისო ეთნოსი, მაგრამ აქვს ნაკლები ინტესიობის ეთნიკური თვისებები, ვიდრე თითოეულ ასეთ ეთნოსებს.

მეტაეთნიკურ ერთობებს ყოფენ ეთნოსოციალურ და საკუთრივ ეთნიკურ ერთობებად. პირველნი ყველაზე ხშირად გვევლინებიან როგორც მეტაეთნოპოლიტიკური ერთობები, მეორენი – როგორც მხოლოდ მეტაეთნოკულტურულნი. შესაბამისად გამოიყოფიან ეთნოენობრივი (სლავები, გერმანელები, თურქები, არაბები და სხვ.), ეთნორასობრივი მაგალითად, ლადინო ლათინურ ამერიკაში), ეთნოკულტურული მაგალითად, კავკასიის, ვოლგისპირეთის, ციმბირის ხალხები), ეთნოკონფესიური, ეთნოპოლიტიკური (მაგალითად, ბრიტანელები, ინდიელები, შვეიცარიელები და სხვ.), მეტაეთნიკური ერთობები. ამასთან, შესაბამისი კულტურის ძირითადი კომპონენტების (ენის, რელიგიის, მეურნეობის ტიპი) საერთოობის გარდა, ასეთ წარმონაქმნებს გააჩნიათ საერთო ნიშნები საყოველდღეო კულტურის სხვა სფეროებში, ანუ საბოლოო ჯამში კომპლექსურნი არიან.

მეტაენა – სპეციალური ენა, ენის სპეციალიზებულ ფორმა-სიმბოლოთა ან მხოლოდ სიმბოლოთა სისტემა, რომლითაც აღიწერება სხვა ენა ან ენობრივი სისტემა; მეტაენის გამოყენება აქტუალურია ნებისმიერი ენის სტრუქტურის განხილვისა-აღწერისას. ტერმინი გამოიყენება ლოგიკაშიც. იხ. ბუნებრივი ენა, ობიექტის ენა, ფორმალური ენა.

მეტალექტი (ბერძნ. meta „თანა“ + lect) – მოცემულ სახელმწიფოსა თუ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ენობრივი სიტუაციის ფარგლებში გაბატონებული იდიომი, ლექტი, რომელიც ინტერეთნიკური კომუნიკაციის საშუალების ფუნქციას ასრულებს.

მეტისაცია (ლათ. mixticus – შერეული, ნარევი) – ფართო მნიშვნელობით – ფიზიკური შერევა სხვადასხვა პოპულაციებისა, რომლებიც განეკუთვნებიან როგორც ერთ, ისე სხვადასხვა ეთნოსებსა და რასებს. მეტისაცია ხდება პოპულაციის საქორწინო კავშირების წრის გაფართოების გზით. მის ინტენსიურობაზე გავლენას ახდენს სოციალური და პოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით მიგრაციები. მეტისაცია, როგორც წესი, გამაერთიანებელი ეთნიკური პროცესების ერთ-ერთ მხარედ გვევლინება.

შედარებით ხშირად ტერმინი „მეტისაცია“ გამოიყენება ვიწრო მნიშვნელობით სხვადასხვა რასებთან და ანთროპოლოგიურ ტიპებთან მიმართებაში. რასებშორისი ქორწინებით მიღებულ შთამომავლობას მეტისებს უწოდებენ. ისინი ანთროპოლოგიურად, ერთ შემთხვევაში, უახლოვდებიან ერთ-ერთ ამოსავალ ანთროპოლოგიურ ტიპს, სხვა შემთხვევაში – ითავსებენ ორივეს ნიშან-თვისებებს. მეტისაციას უწოდებენ ასევე არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ კულტურულ შერევას (აკულტურაციას).

ამერიკაში, სადაც ყველა სამი ძირითადი რასის შერევა მოხდა, საკუთრივ მეტისებად იწოდებიან ევროპელებისა და ინდიელების შერეული ქორწინებებით გაჩენილი შთამომავლები, ნეგროიდებთან ევროპელების შერევამ მულატები მოგვცა, ხოლო ინდიელებთან ნეგროიდების შერევამ – სამბო ანკაფუზო.

მეტისები (ფრანგ. metis – შერეული, ნარევი) – ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიაში – შთამომავლები რასთაშორისი ქორწინებიდან. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, მეტისებს შერეულ რასებს შორის შუალედური ადგილი უკავიათ. ამერიკაში, სადაც ყველა სამი ძირითადი რასის შერევა მოხდა, მეტისებს თეთრებისა და ინდიელების ქორწინებით და უქორწინო კავშირებით გაჩენილ შთამომავლობას უწოდებენ. ლათინურ ამერიკაში ჭარბობენ მეტისები, შეადგენენ რა მექსიკის, ცენტრალურამერიკული ქვეყნების, ვენესუელის, ჩილეს, პარაგვაისა და სხვა ქვეყნების ძირითად მოსახლეობას. აქ მეტისებს უწოდებენ ევროპელებისა და ინდიელების შერეული ქორწინების შთამომავლებს. ევროპეიდებისა და ნეგროიდების შერევამ მულატები წარმოშვა.

ზოგიერთ შემთხვევაში მეტისები მულატებისაგან ძნელად განირჩევა, რამდენადაც ბრაზილიაში, ვენესუელაში, კოლუმბიასა და სხვა ქვეყნებში ინდიელებთან ნეგროიდების შერევამ მოგვცა სამბო და კაფუზო. ამავე ქვეყნებში მოსახლეობის ნაწილს შეადგენენ ინდიურ-ნეგროიდულ-ევროპეიდული წარმოშობის ჯგუფები.

მეტისაციის, ანუ ფიზიკური შერევის პროცესები ყველა ისტორიულ ეპოქაში მიმდინარეობდა, მაგრამ მსოფლიოს სხდასხვა ნაწილში ევროპელთა შეღწევის შედეგად განსაკუთრებით გაძლიერდა. შერეული რასობრივი წარმოშობის ჯგუფების წილი განუწყვეტლივ იზრდება. იხ. მეტისაცია.

მეტროპოლია (ბერძნ. metropolis < metro – დედა + polis - ქალაქ-სახელმწიფო) – კოლონიის მქონე სახელმწიფო. ადრეული კოლონიზაციის პერიოდში (V-VI საუკუნეებში) კოლონისტები ამ ტერმინით აღნიშნავდნენ თავიანთ სამშობლოს, რომლის კანონებითაც ისინი ცხოვრობდნენ და რომლის ხელისუფლებასაც აღიარებდნენ. ამჟამად ტერმინი „მეტროპოლია“ გამოიყენება წარსულში კოლონიური ტერიტორიების მფლობელ ქვეყნებთან მიმართებაში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ესპანეთი, პორტუგალია და სხვ.). მეტროპოლიის იურიდიული ბატონობა გამოიხატებოდა იმაში, რომ მეტროპოლიის მთავრობა და პარლამენტი კოლონიური ტერიტორიების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავდნენ, ნიშნავდნენ იქ თავიანთ ჩინოვნიკებს (გუბერნატორებს, რეზიდენტებს და სხვ.). რიგ შემთხვევაში კოლონიურ და დამოკიდებულ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა მეტროპოლიის კანონები.

კოლონიური მმართველობის კლასიკური სქემა მდგომარეობდა იმაში, რომ მეტროპოლია კოლონიაში ნიშნავდა ადმინისტრატორებს, რომლებსაც იქ სრული ძალაუფლება ჰქონდათ; ადმინისტრატორები ზოგჯერ ადგილობრივ გვაროვნულ-ტომობრივ ელიტას ეყრდნობოდნენ, იყენებდნენ ფეოდალურ-სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ფორმებს, კერძოდ, პროტექტორატს, რომლის დროსაც არსებული სახელმწიფო ორგანიზაცია კოლონისტების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგაც ნარჩუნდებოდა, მაგრამ მეტროპოლიის ადმინისტრაციას ემორჩილებოდა. დაპყრობილ ტერიტორიებზე მეტროპოლიის წარმომადგენელთა დასახლების რიცხვის ზრდისა და ადგილობრივთა განათლების დონის ამაღლების კვალდაკვალ კოლონიები ამა თუ იმ ზომით ავტონომიას იძენდნენ და მათში თვითმმართველობის სხვადასხვა ფორმები ინერგებოდა.

კოლონიური სისტემის დამარცხებასთან ერთად ტერმინმა „მეტროპოლიამ“ უწინდელი შინაარსი დაკარგა. მეტროპოლი-ქვეყნები თავიანთი ყოფილი

კოლონიური სამფლობელოების სახელმწიფო სისტემაში განსაკუთრებულ მდგომარეობას ინარჩუნებენ (მაგალითად, ინგლისი ერთა თანამეგობრობაში, საფრანგეთი ფრანგულ კავშირში).

მეტყველების ეტიკეტი – საზოგადოების მიერ შემუშავებული სტაბილური საკომუნიკაციო ფორმულების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თანამოსაუბრეთა შორის ვერბალური კონტაქტის დამყარებას მათი სოციალური პოზიციის შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებულებას ოფიციალურ და არაოფიციალურ გარემოში.

მეტყველების ჟანრი (სოციოლინგვისტიკაში) – ფუნქციური სტილის ნაირსახეობა, რომელიც გამოიყენება ურთიერთობის გარკვეულ სფეროსა და სიტუაციაში.

მთიულურ-გუდამაყრული – ქართული ენის დიალექტი. როგორც თვით სახელწოდება მიგვანიშნებს, გამოიყოფა ორი კილოკავი: მთიულური და გუდამაყრული. საკუთრივ მთიულური (მთიულთა მეტყველება) გავრცელებულია თეთრი (მთიულეთის) არაგვის აუზში, საქართველოს სამხედრო გზაზე. მთიულეთი იწყება ანანურის ზემოთ ჭართლის ხეობით და თავდება ჯვრის გადასავლით. ჩრდილოეთით მისი საზღვარია ხევი, სამხრეთით ჭართლის ხეობა, დასავლეთით ქსნის ხეობა და აღმოსავლეთით გუდამაყარი. საკუთრივ გუდამაყრული (გუდამაყრელთა მეტყველება) გავრცელებულია გუდამაყრის ქედიდან გამომდინარე მდ. გუდამაყრის არაგვის ხეობაში (სოფლები: მაცხო, ჩოხი, ათნოხი, გამსი, მაქართა, წინამხარი, ლუთხუბი და სხვ.). ამ კილოს წარმომადგენლები ცხოვრობენ სხვაგანაც (თიანეთი, თელავი, კასპი, დედოფლისწყარო, ასპინძა და სხვ.). გუდამაყრული მიჩნეულია მთიულურის კილოკავად; ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია „გრძელი ხმოვნები“, გამოწვეული ტონური მახვილით (გაქრობის გზაზეა, ამჟამად ძირითადად მოქმედია დინამიკური მახვილი) და ქართლურის გავლენით წარმოშობილი ახალი წარმონაქმნებით თუ სხვა მოვლენებით. მთიულურ-გუდამაყრული შედის მთის კილოთა ჯგუფში, უმთავრესად არქაული მოვლენების მიხედვით. ახალი მოვლენებით ენათესავება ქართლურსა და კახურს.

მითი და მითოლოგია - მითი (ძვ. ბერძ. μῦθος – თქმულება, გადმოცემა) წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების პირველ ფორმას, რეალობის შესახებ ქვეცნობიერად, იმპულსურად შობილ განზოგადებულ კოლექტიურ იდეას, გარემომცველი სამყაროს კონცეპტუალური შეცნობის საშუალებას, რომელიც წარმოიქმნება სამი მიზეზის ძალით: როგორც სურვილი, აიხსნას უნივერსალური, ზოგადი მოვლენები, რომელთა თაობაზე ცოდნა ჯერაც არ არის (მაგალითად, ბუნების, კოსმოსის, სიცოცხლის, თვით ადამიანისა და სხვათა წარმოშობის შესახებ); როგორც ადამიანთა შემოქმედებითი წარმოსახვის შედეგი; როგორც რეზულტატი იმის რწმენისა, რაც მოგონილია. ამდენად, მითი კოლექტიური შემოქმედებაა და დაფუძნებულია მხატვრულ მსოფლგანცდებზე, საზოგადოებრივ ილუზიებზე, რომელიც ადამიანთა დიდი ჯგუფის მიერ სოციალური პროცესებისა და ამ პროცესებში მისი როლის არაადექვატური აღქმის შედეგად წარმოიშობა. მითისთვის შეუმეცნებელ-აუხსნელი არაფერი რჩება; იგი ახალი, გამოგონილი რეალობაა, რომელშიც არქაული საზოგადოება ცხოვრობს და რომელიც მისი „კომფორტული“ არსებობის აუცილებელი პირობაა. ამიტომ ფუნქციონალური თვალსაზრისით მითი უმნიშვნელოვანეს ფენომენს წარმოადგენს.

მითი მოგვითხრობს ღმერთებზე, ღვთაებრივ და დემონურ არსებებზე, თავიანთი წარმომავლობით ღმერთებთან დაკავშირებულ გმირებზე, პირველწინაპრებზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ქვეყნიერების, მისი ბუნებრივი და კულტურული ელემენტების შექმნაში მონაწილეობენ. მითოლოგია, როგორც მითების ერთობლიობა, სამყაროს შესახებ ფანტასტიკური წარმოდგენების სისტემაა, და იმავდროულად მითების შემსწავლელ მეცნიერებასაც აღნიშნავს. მითოლოგია დაფუძნებულია რაციონალური, ლოგიკური აზროვნების საპირისპირო, პოზიტიური ცოდნის ნორმებისათვის შეუსაბამო კოსმოლოგიურ ცნობიერებაზე, მითოსურ აზროვნებაზე, რომელშიც აზრი კონკრეტულ ემოციურ, პოეტურ სახეებში, მეტაფორებში გამოიხატება. აქ ერთმანეთთან არის დაახლოებული ბუნებრივი და კულტურული მოვლენები, გარემომცველ სამყაროზე გადატანილია ადამიანური თვისებები, რის შედეგადაც გასულიერებულია კოსმოსი და სხვა ბუნებრივი ძალები. ამიტომ მითში მკვეთრად არ არის გამიჯნული სუბიექტი და ობიექტი, საგანი და ნიშანი, არსება და მისი სახელი, დრო და სივრცე და ა. შ. როგორც ერთიანი მსოფლაღქმის პროდუქტი, „სამყაროს მითოლოგიური სურათი“ – სამყაროს ხატი – დატვირთულია პოეტური სახეებით, მეტაფორებით. მითის ქსოვილში უცნაურად არის შეკრული რეალური და ირეალური, ბუნებრივი და ზებუნებრივი, აზრი და გრძნობა, ცოდნა და რწმენა.

მითი მრავალგვარ ფუნქციას ასრულებდა: მისი მეშვეობით ხორციელდებოდა „დროთა“ კავშირი, ყალიბდებოდა ამა თუ იმ ხალხის კოლექტიური წარმოდგენები, თაობათა სულიერი ერთობა. მითოლოგიური ცნობიერება განამტკიცებდა მოცემული საზოგადოების წიაღში შობილ ფასეულობათა სისტემას, ქცევის გარკვეულ ფორმებს.

მოგვიანებით მითიური დრო, შესაქმის, პირველქმნადობის დრო, ქვაზი-ისტორიულიდან ისტორიულ დროში გადადის. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია მითის შინაარსის ისტორიზაცია, ანუ დემითოლოგიზაცია. ამ პროცესის ტიპური მაგალითია სომხური წერილობითი ტრადიციით გადმოცემული მითები, რომლებშიც არქაული ღმერთები და გმირები გარდაქმნილნი არიან სომეხთა ეპონიმებად, ქვეყნისა და სახელმწიფოს დამაარსებლებად (მაგალითად, ჰაიკი, არამი, არა გეხეციკი, ვაჰაგნი და სხვ.); მითიური მოქმედებები კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში ვითარდება; კოსმიური თუ ხთონური ბოროტი ძალები ფიგურირებენ, როგორც მტრული სახელმწიფოების ბელადები, მეფეები და დედოფლები (მაგალითად, აჟდაჰაკი, ჰაიკის ანტაგონისტი ბაბილონელი ბელი, ბარშამინი და სხვ.); ქაოსსა და კოსმოსს შორის ბრძოლა სომხეთსა და უცხო ხალხებს, სახელმწიფოებს შორის სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებად არის გარდაქმნილი. ძველსომხური მითოლოგიის ცენტრალური სიუჟეტი უცხოელ მოძალადეებთან პროტოსომხებისა თუ სომხების დაპირისპირება გახდა. არქაული მითების დემითოლოგიზაციისა და ისტორიზაციის და ეპოსის ფორმირების დროს სხვადასხვა მითოლოგიურ პერსონაჟებს შორის გარკვეული გენეალოგიური კავშირები ყალიბდება: სომეხთა ერთ-ერთი ეპონიმი არამი – პირველწინაპარ ჰაიკის შთამომავალია, არა გეხეციკი – არამის შვილი, ანუშავან სოსანვერი – არა გეხეციკის შვილი; ჰაიკის შთამომავლები არიან ეპიკური მეფეებიც (ტიგრანი, არ-თაშესი, ართავაზდი). ქართლის ისტორიის ადრეული ეტაპის კოსმოლოგიური აღწერის ნიშნებს ლეონტი მროველის თხზულებაც შეიცავს.

ცხოვრების პირველყოფილი ფორმების გაქრობასთან ერთად, მითი, როგორც ადამიანთა ცნობიერების განვითარების ადრეული საფეხური, ისტორიის სცენიდან გადის, მაგრამ საბოლო-ოდ არ კვდება. თანამედროვე ცხოვრებასა და კულტურაში ვლინდება მითოლოგიური ცნობიერების მრავალი რეფლექსი, უფრო მეტიც, მისი ფუძემდებლური პრინციპები, „ბაზისური“ ელემენტებიც კი. ასეთ ფუძემდებლურ პრინციპს განეკუთვნება, მაგალითად, ბინარული ოპოზიცია „თვისი – უცხო“, რომელზედაც ბაზირებულია ქსენოფობიური მითები; მითოლოგიური საფუძველი გააჩნია შეთქმულებათა თეორიასაც; სამყაროს დასასრულის თაობაზე მითებში ხორცშესხმული ესქატოლოგიური მოდელი თანამედროვე მასობრივი ადამიანის განცდებშიც ვლინდება, გამოხატულია მოტივებში: „სამყაროს სიკვდილი დათბობით“, „ბუნებრივი რესურსების ამოწურვა“, „ოზონის ხვრელები“ და ა. შ. მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ მეცნიერული საფუძ-ველი, შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებრივი საშუალო, ტიპიური ადამიანი მეცნიერებიდან ისევე ისრუტავს მასალებს, როგორც შორეულ წარსულში ემპირიული დაკვირვებიდან ისრუტებოდა და ისინი მითოლოგიური მსოფლმხედველობით გადამუშავდებოდა მაგრამ არქაული და თანამედროვე მითების საფუძველი სხვადასხვაგვარია: არქაულ საზოგადოებაში მითოსური აზროვნება საყოველთაოა, ტოტალურად ბატონობს, თანამედროვე ადამიანის ცნობიერება კი მოზაიკური და ფრაგმენტირებულია. მასში ის ფუნქციები, რომელიც უძველეს საზოგადოებაში მითს გააჩნდა, გადანაწილებულია ისეთ ცალკეულ ტრადიციებში, როგორიცაა ლიტერატურა, ხელოვნება, მასობრივი კულტურა.

მისტიციზმი – მისტიკაზე დაფუძნებული რელიგიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობა; მიდრეკილება მისტიკისადმი.

მონათესავე ბილინგვიზმი – ორი მონათესავე ენის ფლობა და გამოყენება. იწვევს შერეული მეტყველების განვითარებას და ენობრივ ინტერფერენციას.

მონათესავე ენები – ამა თუ იმ ენის ისტორიული დიალექტები (ეთნიკურ-ტერიტორიული ნაირსახეობანი), რომელთა შორის ენობრივი განსხვავება დროთა განმავლობაში იმდენად გაიზარდა, რომ დიალექტები დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდა.

მონოგამია (ბერძნ. Monos ერთი და gamos ქორწინება) – 1. ქორწინების ფორმა, რომლის დროსაც მამაკაცს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი ცოლი და ქალს – მხოლოდ ერთი ქმარი; ერთქორწინება. 2. ცხოველებში: მამლის შეწყვილება მხოლოდ ერთ დედალთან ერთი ან რამდენიმე სეზონის განმავლობაში.

მონოგენეზი და **პოლიგენეზი** (ბერძნ. μόνος – ერთი, πολύς – ბევრი, γένεσις – გვარეულობა, წარმოშობა, წარმოქმნა) – თეორია ადამიანთა მოდგმის წარმოშობის შესახებ. მონოგენიზმი ანთროპოლოგიაში - სწავლება იმის შესახებ, რომ ადამიანთა რასები თავიანთი წარმოშობით ერთიანია და ბიოლოგიური თვალსაზრისით ერთ სახეობას წარმოადგენენ; პოლიგენიზმი – სწავლება, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანთა სხვადასხვა რასები წარმოადგენენ არა ერთიან ბიოლოგიურ სახეობას, არამედ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დედამიწის სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა პრიმატებისგან გაჩნდნენ. მონოგენეზის შესახებ იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციაში გავრცელებული წარმოდგენით, ბიოლოგიურ პლანში მთელი კაცობრიობა სათავეს იღებს პირველი წყვილისგან – ადამისა და ევასაგან. თეოლოგიური თვალსაზრისით მონოგენეზი პოლიგენეზის თეოლო-

გიური ანტითეზაა, რომლის მიხედვითაც ადამი და ევა ორივე სქესის კრებითი ხატია, ანუ კაცობრიობაა, რომელმაც ღვთისმიერი ევოლუციით სხვადასხვა ეტაპები გაიარა. 1950 წელს პაპმა პიი XII-მ დაგმო პოლიგენეზის თეორია, თუმცა თეოლოგიურ პოლიგენეზს კვლავაც ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

მონოგლოსია (ბერძნ. mono „ერთი“ + glossa „ენა“) – ენის მხოლოდ ერთი ვარიანტის, სახესხვაობის ფლობა ან მისი მოხმარება.

მონოთეიზმი (ბერძნ. μονος – ერთი, ერთადერთი + θεος – ღმერთი) – ერთღმერთიანობა, რელიგიური სწავლება ერთიანი პერსონიფიცირებული ღმერთის შესახებ. არის პოლითეიზმის (მრავალღმერთიანობის) საპირისპირო. ფილოსოფიურ ასპექტში მონოთეიზმი არსი მდგომარეობს სამყაროს შემქმნელი და მისი მმართველი ერთიანი, გონიერი და თავისუფალი საწყისის აღიარებაში. ანტიკური ეპოქისათვის, მიუხედავად მონოლატრიის (იხ.) განვითარებისა, პოლითეიზმი იყო დამახასიათებელი. გარკვეული მონოთეისტური ტენდენციები შეინიშნება პლატონიზმსა და ნეოპლატონიზმში, მაგრამ გვიანდელ ანტიკურ პერიოდში გნოსტიკოსების გავლენით პოლითეიზმის იდეები ვრცელდება. ფილოსოფიური აზრის ისტორიაში მონოთეიზმისადმი განსხვავებული მიდგომები არსებობს.დ. იუმის თვალსაზრისით, რელიგიური ცნობიერების განვითარება მიმდინარეობს ფეტიშიზმიდან პოლითეიზმისკენ, შემდეგ კი - მონოთეიზმისკენ. ფ. ვ. ი. შელინგია თანახმად, პირიქით, ადამიანის ცნობიერებაში არსებობს თანდაყოლილი მონოთეიზმი, მოგვიანებით ვითარდება პოლითეიზმი და მხოლოდ ამის შემდგომ - გაცნობიერებული მონოთეიზმი. მონოთეიზმზე ანალოგიურ შეხედულებას ემხრობოდა შედარებითი რელიგიათმცოდნეობის ფუძემდებელი მ. მიულერი. იყო რა პროფესიონალი ფილოლოგი, მიულერი თავის რელიგიათმცოდნეობით მსჯელობას ლინგვისტური მიდგომების ანალოგიით აგებდა: რამდენადაც არცერთ ენაში სიტყვის მრავლობითი რიცხვი წინ არ უსწრებს მხოლობითს, ამდენად არ შეიძლებოდა პოლითეიზმი უფრო ადრე წარმოქმნილიყო, ვიდრე მონოთეიზმი. მონოთეისტურ რელიგიებია იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, მაგრამ მონოთეიზმის პრინციპი ყველაზე მკაცრად ისლამსა და იუდაიზმშია გატარებული. ქრისტიანობაში ღმერთი სამების სახით (მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმიდა), ამიტომ ქრისტიანული მონოთეიზმზე შეიძლება ვისაუბროთ ამ სიტყვის ფართო გაგებით.

მონოლატრია – იხ. ჰენოთეიზმი.

მონოლინგვიზმი – ერთი ენის ცოდნა და გამოყენება კომუნიკაციაში.

მონოლინგვური – იხ. ერთენოვანი.

მონოფუნქციური ენა – ენა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ერთ სფეროში (ვთქვათ, ზოგიერთი უძველესი ენა გამოიყენება მხოლოდ რელიგიურ სფეროში).

მოსანანიებელი ჰეტერიზმი – ჩვეულება, რომელიც წყვილად ქორწინებაში (იხ.) შესვლის წინ ქალიშვილს თავის პოტენციურ ქმრებთან სქესობრივ კავშირს ავალდებულებდა („პირველი ღამის უფლება“).

მოჩვენება – მაცდუნებელი ხილვადობა, მიცვალებულის, რიგ შემთხვევაში არმყოფი ადამიანის მოლანდება; უკავშირდება რწმენას, რომლის მიხედვითაც კვდება მხოლოდ ადამიანის სხეული, ხოლო სული ცოცხალი რჩება და შეუძლია იარსებოს სხეულის გარეშე ან ჩასახლდეს სხვა ადამიანის, ან ცხოველისა თუ

მცენარის გარსში. სულის დამოუკიდებლად არსებობის შესახებ წარმოდგენებმა წარმოშვა რწმენა მიცვალებულთა სულებთან კონტაქტის შესაძლებლობაზე. ამას კი საფუძვლად უდევს პირველყოფილი აზროვნება, დაკავშირებული ობიექტურ (ის, რაც ადამიანის გარეთ არსებობს) და სუბიექტურ (ის, რაც მისი გონების პროდუქტია) განურჩევლობასთან. მაგალითად, ადამიანის მიერ სიზმარში ნანახი სახეები ისე რეალურად აღიქმება, როგორც მისი გარემომცველი სამყარო, ისიც და ესეც – ობიექტურად ნიშნიერია. ამიტომ მიცვალებულთა სახეები, რომლებთანაც ადამიანი სიზმარში ურთიერთობს, ანალოგიის მიხედვით, რეალურ სტატუსს იძენენ, და მათთან ურთიერთობა გათანაბრებულია ცოცხალ ადამიანებთან ურთიერთობასთან. მიუხედავად ანალოგიის პრინციპის მერყეობისა და უსაფუძვლობისა, ამ ნიადაგზე ხდება მიცვალებულთა სულებთან შეხვედრის ტრადიციის გამომუშავება, წარმოიქმნება გარდაცვლილთა კულტთან დაკავშირებული რიტუალები და წეს-ჩვეულებები. იმავდროულად შიში მიცვალებულთა სულების მიმართ ბადებს დამცავ წეს-ჩვეულებათა მთელ სისტემას, რომლებიც მათш მოჩვენების გამოჩენის წინააღმდეგ არის მიმართული. ამას ემსახურება დაკრძალვის წესები (სახლიდან ცხედრის უცნაური წესით გამოსვენება, დამარხვისას სხეულის მდებარეობა და სხვ.). ცოცხალ ადამიანებს მოჩვენება ეცხადებათ უსხეულო ჩრდილის სახით. ძალზე ხშირად ეჩვენებათ ის სულები, რომელთა გვამები ჩვეულების მიხედვით არ იყვნენ დამარხულნი და ნაგლოვნი, აგრეთვე, თვითმკვლელთა ან ძალადობით მოკლულთა სულები.

მოხეური – ქართული ენის დიალექტი, ხევის (ისტორიული წანარის ხევის) მეტყველება, გავრცელებულია სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, მდ. თერგის ორივე მხარეზე გაშენებულ სოფლებში, აგრეთვე თერგის მარჯვენა შენაკადის, სნოსწყლის ანუ ღუდუშაურის არაგვის ხეობაში. ხევში, გარდა მოხევეებისა, ბინადრობენ ხევსურები, ქისტები, ოსები. მოხეურს უხვად შემოუნახავს არქაიზმები და უმთავრესად ამით ენათესავება მთის კილოებს, ბევრი საზიარო ფორმა აქვს აგრეთვე ქართლურთან და კახურთან. ხევზე გადის საქართველოს სამხედრო გზა, რითაც გაადვილებულია კავშირი საქართველოს ბართან. ამის გამო „მოხეურს ყველაზე უფრო ატყვია სხვა კილოებისა და სალიტერატურო ენის გავლენა“ (ა. შანიძე).

მოჯაჰედები (არაბ. – რწმენისთვის, წმ. იდეალებისთვის მებრძოლი; ჯიჰადის მონაწილე) – ისლამურ ქვეყნებში ამ ტიტულით აჯილდოებენ ადამიანებს (სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ), რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებში, ან დიდი წვლილი მიუძღვით ისლამური სახელმწიფოს განვითარებაში. თავიანთ თავს მოჯაჰედებს უწოდებენ ზოგიერთი რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და გასამხედროებული დაჯგუფებების წევრებიც.

მრავალენოვნება – ორზე მეტი არაქვესისტემური კომპონენტის შემცველი ენობრივი სიტუაცია.

მსოფლიოს ენები – დედამიწაზე მცხოვრებთა ენები. მათი რაოდენობა არაა ზუსტად განსაზღვრული, გაეროს 2022 წლის მონაცემებით პლანეტაზე ითვლიან 6500-იდან 7150-მდე ენას; ზუსტი რიცხვი უცნობია, რადგან ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი ბევრი რეგიონის ენობრივი მდგომარეობა. აგრეთვე რიგ შემთხვევაში არ არის დადგენილი ზღვარი ენასა და დიალექტს შორის.

მსოფლიო მოსახლეობის რელიგიურობა – პროცენტული შედგენილობა:

ქრისტიანი – მსოფლიო მოსახლეობის 31%, რომელთაგან 50% კათოლიკეა, 37% პროტესტანტი, 12% მართლმადიდებელი და 1% სხვადასხვა.

მუსლიმი – 23%, რომელთაგან 87-90% სუნიტია, 10-13% – შიიტი.

ათეისტები – 16%; აქვე შემოდიან აგნოსტიკოსები და ადამიანები, რომლებიც არ იდენტიფიცირებენ რომელიმე კონკრეტულ რელიგიასთან. შეერთებულ შტატებში ყოველი მეხუთე ადამიანი (20%) რელიგიურად არ არის მარკირებული.

ინდუსი – 15%, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა (94%) ცხოვრობს ინდოეთში.

ბუდისტი – 7%, რომელთაგან ნახევარი ცხოვრობს ჩინეთში.

ლოკალურ-ხალხური რელიგიის წარმომადგენელი – 6%: სარწმუნოება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფთან, ეროვნებასთან ან ტომთან.

სხვა რელიგია – 1%: ბაჰაის რწმენა, ტაოიზმი, ჯაინიზმი, შინტოიზმი, სიქიზმი, ტენრიკიო, ვიკა, ზოროასტრიზმი და ა.შ..

ებრაელები - 0,2%, რომელთაგან ოთხი მეხუთედი ცხოვრობს ორ ქვეყანაში: შეერთებულ შტატებსა (41%) და ისრაელში (41%).

მსოფლიოს ხალხები და ეთნოსები – თანამედროვე ეთნიკური ჯგუფების სია მუდმივად საკამათოა. ეთნიკური ჯგუფის წევრობა, როგორც წესი, ასოცირდება საერთო წარმომავლობასთან, ისტორიასთან, სამშობლოსთან, ენასთან ან დიალექტთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან; სადაც ტერმინი „კულტურა“ კონკრეტულად მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა რელიგია, მითოლოგია და რიტუალი, სამზარეულო, ჩაცმის (ტანსაცმლის) სტილი და სხვა ფაქტორები.

მულტილინგვიზმი (ლათ. multus „მრავალი“ + lingua „ენა“) – იგივეა, რაც მრავალენოვნება; ინდივიდის მიერ ენის გამოყენება, ასევე მისი კომპეტენცია ერთზე მეტი ენის სფეროში. იგივე ტერმინით აისახება სახელმწიფოს შიგნით ისეთი სიტუაცია, როდესაც მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რამდენიმე ენის გამოყენება.

მშობლიური ენა – პირველი ენა, რომელსაც ბავშვი დაბადებიდან ეუფლება („აკვნის ენა“), ჩვეულებრივ ესაა მშობლების ენა („დედა ენა“). მშობლიური ენა ადამიანის ეთნიკური კუთვნილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია.

მცირერიცხოვანი ერები – მცირე (რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ათასეულამდე) რაოდენობის ერები და ეთნოსები, რომლებსაც უმნიშვნელო დემოგრაფიული პოტენციალი აქვთ. მათთვის დამახასიათებელია ტრადიციული ცხოვრების წესის, კულტურის, ეთნიკური ენის, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება.

ნ

ნაგუალიზმი - ტოტემიზმის (იხ.) ერთ-ერთი განვითარებული ფორმა, დაკავშირებული შეგნების ინდივიდუალიზაციის პროცესთან, ე.წ. ინდივიდუალურ ტოტემიზმთან ანუ ნაგუალიზმთან. იგი, როგორც წესი, თან ახლავს შედარებით

განვითარებულ რელიგიურ სისტემებს, მაგალითად შამანიზმს. ნაგუალიზმი დაფუძნებულია გარკვეულ ცხოველთან ადამიანის კავშირის შესახებ წარმოდგენებზე, ცხოველთან, რომელიც მისი ინდივიდუალური მფარველი ტოტემია. მაიას ინდიელების ენაზე ასეთ ცხოველს ნაგუალი ეწოდება; აქედანაა წარმომდგარი შესაბამისი ტერმინი. თავისი სტრუქტურით ნაგუალიზმი უახლოვდება ანიმიზმსაც. რადგანაც, უმრავლეს შემთხვევაში, ნაგუალი განიხილება როგორც ინდივიდუალური მფარველი სული, რომელსაც შეუძლია მძიმე სიტუაციებში დახმარების აღმოჩენა. მსგავსი მფარველი სულის შეძენა შესაძლებელი იყო განსაზღვრული ინიციაციის გავლით. ასეთი ინიციაციის გავლის მსურველები, სიმწიფის ასაკს მიღწეული გოგო-ბიჭები, განცალკევდებოდნენ და ფსიქოტროპული მცენარის გამოყენებით თავს ტრანსში იგდებდნენ. ასეთ მდგომარეობაში მათ მოევლინებოდნენ სულები, რომლებიც შემდგომ მათი მფარველები ხდებოდნენ. იოლი შესამჩნევია, რომ ნაგუალისტური ინიციაცია არსებითად განსხვავდება ტოტემისტური ინიციაციისგან და არა სოციალური, არამედ ინდივიდუალური ხასიათისაა.

ნახური (ვაინახური) ენები – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი ჯგუფი. გავრცელებულია ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, აგრეთვე საქართველოში, ახმეტის მუნიციპალიტეტში. ნახურ ენათა ჯგუფი მოიცავს ჩეჩნურ, ინგუშურ და წოვათუშურ (ბაცბურ) ენებს (იხ. შესაბამისი სიტყვა-სტატია). ჩეჩნური და ინგუშური დამწერლობის მქონე ენებია. წოვათუშურს დამწერლობა არ გააჩნია.

ნეოკოლონიალიზმი – არათანასწორუფლებიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების სისტემა, თავსმოხვეული განთავისუფლებული ქვეყნებისათვის განვითარებული კაპიტალიზმის სახელმწიფოების მიერ და განმტკიცებული ყოველგვარი ზომებით, რათა ეს ქვეყნები მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში მასზე დაქვემდებარებული და ექსპლუატირებული პერიფერიების სახით დარჩნენ. ნეოკოლონიალიზმი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა და შეცვალა „კლასიკური“ (ტრადიციული?) კოლონიალიზმი. კოლონიური სისტემის დაშლის პირობებში ნეოკოლონიალიზმი ახალი, უფრო მოქნილი მეთოდებით ცდილობს შეინარჩუნოს ბატონობა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის სუვერენულად განვითარებად ქვეყნებში.

ნეოკოლონიალიზმის ძირითადი ელემენტებია: არათანასწორუფლებიანი ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები, ტექნოლოგიების გადაცემა, საკრედიტო სისტემა, მუშათა შრომის გამოყენება დისკრიმინაციულ საფუძველზე და სხვ. ნეოკოლონიალიზმი ეყრდნობა განთავისუფლებული ქვეყნების იმ სოციალურ ფენებსა და ჯგუფებს, რომლებიც ეროვნული ინტერესების საზიანოდ უცხოურ კაპიტალთან თანამშრომლობენ. იხ. კოლონიზაცია, კოლონიალიზმი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, განვითარებადი ქვეყნები, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი.

ნეოფიტი – რომელიმე სარწმუნოების ახალი მიმდევარი, ახალ-მოქცეული.

ნოსტრატული ჰიპოთეზა (ლათ. nostrās – ჩვენი, აქაური, ადგილობრივი), ენათა ექვსი ოჯახის (ინდოევროპული, ქართველური, ურალური, ალთაური, დრავიდული, სემიტურ-ქამიტური) ნათესაობის იდეა. ცალკეული ოჯახების გაერთიანებაზე ლაპარაკი დაიწყო მათი ისტორიულ-შედარებითი კვლევის პროცესში, გამოითქვა მოსაზრებები ურალურ-ალთაური, ინდოევროპულ-სემიტური, ინდო-

ევროპულ-ქართველური, ურალურ-ინდოევროპული ოჯახების გენეტურად დაკავშირების შესაძლებლობაზე. უფრო ფართო მასალის განზოგადებამ გააჩინა აზრი გენეტური ნათესაობის საფუძველზე ამ ოჯახების გაერთიანების შესახებ არა წყვილ-წყვილად, არამედ ერთ მაკროოჯახად, რომელშიც შემავალ ენებს ეწოდა ნოსტრატული ენები (ტერმინი შემოტანილია ჰ. პედერსენის მიერ 1903). ნოსტრატული ჰიპოთეზის ერთ-ერთი ავტორის, ვ. ილიჩ-სვიტიჩის მიხედვით, დასახელებული ექვსი ოჯახის ენებს შორის არსებობს მსგავსება, რომელიც ატარებს არა შემთხვევით, არამედ მოტივირებულ ხასიათს. ასეთი მსგავსება არ შეიძლება აიხსნას უბრალო სესხებით (თუმცა ზოგ შემთხვევაში არც ეს არის გამორიცხული). ითვლება, რომ ნოსტრატულ ენათა დაჯგუფებაში შემავალ წინარეენათა გენეტური ნათესაობა ვლინდება მათში საერთო მორფემების არსებობით, რაც ქმნის საფუძველს ბგერათშესატყვისობების დასადგენად. ნოსტრატული მაკროოჯახის დივერგენციის დათარიღება ჰიპოთეზურია. გლოტოქრონოლოგიური მოსაზრებებით, ამ პროცესს ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოებით 8 ათასი წლის წინ. ინტენსიური კვლევის მიუხედავად, ნოსტრატული ჰიპოთეზა ჯერჯერობით ვარაუდის დონეზე რჩება.

ნოღაური ენა – თურქულ ენათა ოჯახის ყივჩაღური ჯგუფის ყივჩაღურ-ნოღაური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებული სტავროპოლის მხარეში, დაღესტანში, ჩეჩნეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში. შედგება სამი დიალექტისაგან: საკუთრივ ნოღაურის, ყარანოღაულისა და აქნოღაურისაგან. დამწერლობა 1928 წლამდე ეყრდნობოდა არაბულ გრაფიკას, 1928 წლიდან – ლათინურს, 1938 წლიდან – კირილიცას.

ო

ობიექტის ენა – სემანტიკასა და ლოგიკაში, სპეციალური ენა, რომელიც გამოიყენება სამყაროში არსებულ საგნებზე ან ობიექტებზე სასაუბროდ – მეტა-ენისგან განსხვავებით, ხელოვნურ ენას, რომელსაც იყენებენ ენათმეცნიერები და სხვ. თავად საგნის ენის წინადადებების ან ელემენტების გასაანალიზებლად ან აღწერისთვის. კონცეფცია შეიმუშავეს მე-20 საუკუნის ლოგიკურმა პოზიტივისტებმა, როგორებიც არიან პოლონელ-ამერიკელი ალფრედ ტარსკი და გერმანელ-ამერიკელი რუდოლფ კარნაპი.

ოიკონიმი (ბერძნ. oikos „საცხოვრისი, სახლი“, onima „სახელი“) – ტოპონიმიკის ნაწილი, რომელიც სოფლების სახელებს შეისწავლის.

ოიკუმენა/ეკუმენა (ბერძნ. oikumene - ვსახლობ, ვმკვიდრობ) – ხმელეთის დასახლებული ნაწილი, მოიცავს ადამიანთა მიერ ყველა ათვისებულ ან სამეურნეო და სხვა საქმიანობაში ჩართულ ტერიტორიებს. ოიკუმენას პირველი აღწერა მოცემულია ძველბერძენ ისტორიკოსთან, გეოგრაფთან და ფილოლოგთან ჰეკათე მილეთელთან (ძვ. წ. VI-V საუკუნის პირველი მეოთხედი).

ოკულტიზმი (ლათ. occultus – საიდუმლო, ფარული) – მისტიკურ მოძღვრებათა საერთო სახელწოდება. ოკულტიზმის მიხედვით ბუნებაში არსებობენ იდუმალი ზებუნებრივი ძალები, რომლებთანაც ადამიანებს შეუძლიათ დაამყარონ ურთიერთობა მაგიური მოქმედებით, ჯადოსნობით და მისნობით.

ოლიმპი (ბერძნ. Ὄλυμπος) – მთის მასივი, მდებარე საბერძნეთში, თესალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე. ძველბერძნული რელიგიური მსოფლმხედველობის თანახმად, წარმოადგენდა ღმერთების სამკვიდროს. ბერძნების რწმენით, თესალიის ოლქში მოხდა ტიტანებისა და უმცროსი თაობის ღმერთების ბრძოლა ზევსის მეთაურობით. მეტაფორის სახით, ოლიმპი აღნიშნავს გამარჯვებული ღმერთების კრებულს, რომლის ცენტრს შეადგენს ზევსის ოჯახი - მისი ძმები პოსეიდონი და აისი, დაჲ და ცოლი ჰერა, შვილები აპოლონი, ათენა და სხვ. ზევსისა და სხვა ღმერთების სასახლეების ოლიმპზე მდებარეობა, ეგზომ ბუნებრივი ძველბერძნული მითოლოგიური ცნობიერებისათვის, გამოძახილია იმ ისტორიული ფაქტისა, რომლის შესაბამისად ბერძნული მითოლოგია თავისი არსებობის კლასიკურ პერიოდში სწორედ მაშინ შევიდა, როცა ბერძნული ტომები ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიიწევდნენ და თესალიის ოლქს ითვისებდნენ. კლასიკური (ოლიმპიური) მითოლოგიის ჩამოყალიბების პერიოდში მატრიარქატს ცვლის პატრიარქალური თემი, რომლის მსოფლმხედველობა უპირატესად მითოლოგიაში გამოიხატა. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, სწავლობდა რა ანტიკური მითოლოგიის ევოლუციას, ისტორიული მეცნიერება თანდათანობით შორდებოდა შეხედულებას მასზე, როგორც უცვლელი სახეების ერთობლიობაზე, პრეისტორიული სახეებისა, რომლებიც კარგავდნენ ხთონურ ნიშნებს და ისტორიულ ეპოქაში ანთროპომორფულ ნიშან-თვისებებს იძენდნენ. ამ ევოლუციის პროცესში ფართოვდებოდა ბერძნული მითოლოგიის გეოგრაფიაც, ოლიმპიური ოჯახის წევრები ხდებოდნენ არაბერძნული, უპირატესად მცირეაზიული ღვთაებები – აპოლონი, არტემიდა, აფროდიტე და ა. შ. ოლიმპიური მითოლოგიისათვის, მითოლოგიური ცნობიერების განვითარების უწინდელი ეტაპებისგან განსხვავებით, დამახასიათებელია მოწესრიგებულობა, თანაზომიერება, ჰარმონიულობა. ანთროპომორფული ღმერთები უკვე არა იმდენად სტიქიებს განასახიერებდნენ, რამდენადაც ძველბერძნული საზოგადოების სოციალურ და მორალურ ფასეულობებს.

ომონიმი (ბერძნ. homonymos) – სიტყვა, რომელიც ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა სხვა სიტყვას, ხოლო მნიშვნელობითა და წარმოშობით განსხვავდება მისგან.

ომონიმია (ბერძნ. homonymia ერთსახელიანობა) – მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვების დამთხვევა ბგერობრივად.

ომონიმიკა – ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც ომონიმებს სწავლობს.

ონომასიოლოგია (ბერძნ. onima „სახელი“, logos „მოძღვრება“) – ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც იკვლევს სიტყვას როგორც გარკვეული საგნის ან მოვლენის სახელს; სემასიოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ენის ლექსიკური და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური საშუალებებით საგანთა აღნიშვნისა და ცნებათა გამოხატვის პრინციპებსა და კანონზომიერებებს.

ონომასტიკა (ბერძნ. onomastikos სახელწოდებასთან დაკავშირებული) – 1. ამა თუ იმ ენაში არსებულ საკუთარ სახელთა ერთობლიობა. 2. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც საკუთარ სახელებს სწავლობს. ონომასტიკის ქვედარგებია: ანთროპონიმიკა, ტოპონიმიკა, ზოონიმიკა, ეთნონიმიკა, კოსმონიმიკა, თეონიმიკა და სხვ.

ონომასტიკონი (ბერძნ. onomastikon) – იგივეა, რაც ონომასტიკა.

ონომასტიკური უნივერსალიები – ონომასტიკური მოვლენები, რომლებიც საერთოა ყველა ან მრავალი ენისათვის და ცხადყოფენ ადამიანის აზროვნების ერთგვარობას ნომინაციის სფეროში . მაგ.: ანთროპოტოპონიმთა წარმოება, ადამიანის ბიოლოგიურ ნიშან-თვისებათა ამსახველი ანთროპონიმები, ხმაბაძვითი ჰიდრონიმები და სხვ. კერძო შემთხვევები: ანთროპონიმიკული უნივერსალიები, ტოპონიმიკური უნივერსალიები.

ონომატოლოგია (ბერძნ. onoma (onomatos) სახელი და logos მოძღვრება) – იგივეა, რაც ონომასტიკა.

ორაკული (ლათ. oraculum, oro – ვამბობ, ვთხოვ) – პიროვნება ან ინსტიტუტი, რომელიც წინასწარმეტყველების ან ბრძნული რჩევის წყაროდ აღიქმებოდა ძველ ბერძნებსა და აღმოსავლეთის კულტურებში; ხშირად სპირიტულ ხასიათს ატარებდა და შეუმცდარ ავტორიტეტად ითვლებოდა.

ორგიასტული კულტები, ორგიები (ბერძნ. όργια – რიტუალი, საიდუმლო წეს-ჩვეულება) – 1. ძველბერძნულ და ძველრომაულ რელიგიებში ასე იწოდებოდა რელიგიური რიტუალები დაკავშირებული აგრარულ კულტებში ფესვგადგმული დემეტრას, დიონისე-ვაქხის, ლიბერისა და სხვ. თაყვანისცემასთან. ანტიკურ სამყაროში ყველაზე ცნობილი იყო დიონისეს – მცენარეულობის, ვაზისა და მეღვინეობის ღმერთის – მისტერიები. მისი სახელობის რიტუალებს აშკარად გამოხატული ექსტაზური სახე ჰქონდა, განპირობებული მითოლოგიითა და ფსიქოლოგიით აგრარული კულტებისა, რომლებიც დაფუძნებულნი იყვნენ სიცოცხლის აღწარმოებისა და ემოციური ექსპრესიულობის იდეაზე. დიონისეს კულტში ეს იდეურ-ფსიქოლოგიური შინაარსი განსაკუთრებული რიტუალების მეშვეობით უკიდურესად ეგზალტირებულ ფორმებში გამოიხატებოდა; საწესო ნორმას წარმოადგენდა თავაშვებული ღვინის სმა, ხმაურიანი მსვლელობა და მამაკაცებისა და ქალების თავშეყრა, ხშირად – უდაბურ ადგილებში და ღამით, ჩირაღდნებისა და ცეცხლის შუქზე. რიტუალური სცენარის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა ცხოველთა მსხვერპლშეწირვა და სისხლმდინარი უმი ხორცის ჭამა. ყოველივე ამას, დიონისეს სახელობის ჰიმნებთან (დითირამბებთან), აღმგზნებ ცეკვებთან, სასულე და დასარტყამი ინსტრუმენტების რიტმულ და მკვეთრ ხმიანობასთან ერთად, ადამიანები გაშმაგებულ მდგომარეობაში მოჰყავდა, რასაც თან სდევდა რიტუალის მონაწილეებს შორის ინტენსიური და მოუწესრიგებელი სექსუალური აღვირახსნილობა – დიონისეს ორგიასტული კულტისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი პრაქტიკა. ორგიასტული კულტების სექსუალური თავაშვებულობა არ იწვევდა მკვეთრ საზოგადოებრივ პროტესტს, რადგან ბერძნებს სწამდათ, რომ ინტენსიური სქესობრივი ცხოვრება მცენარეთა ნაყოფიერებას მაგიურად უზრუნველყოფდა. მიიჩნეოდა, რომ საკულტო პროცესიებში თავად დიონისე მონაწილეობდა. ბერძნული მითოლოგია ორგიასტული კულტების ვნებიანობას აღძრავდა იმის თხრობით, რომ რომ დიონისეს თავის მსვლელობაში ახლდნენ მენადები („შეშლილები“) – მითიური ნახევრად შიშველი ქალები, რომლებიც შემხვედრ მგზავრებს ხოცავდნენ. სწორედ მენადები გახდნენ რიტუალური სახეები იმ ქალებისათვის, რომლებიც დიონისესთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში მონაწილეობდნენ. დიონისე-ვაქხის (ან სხვაგვარად ბახუსის) ორგიასტული კულტი რომაულ კულტურაში იქნა ინტეგრირებული, სადაც დიონისეს კულტის გავრცელება თანხლებული იყო ისეთივე რიტუალური ექსცესე-

ბით, როგორსაც ბერძნები მისდევდნენ. გარდა ამისა, რომში ღვთაების კულტი ვითარდებოდა განსაკუთრებული რელიგიური გაერთიანებების („ვაქხიური კავშირები“) ფარგლებში, როგორც ტიპური მისტერია. ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში დიონისე-ვაქხის რიტუალებმა – ვაქხანალიებმა – თავიანთი ორგიასტულობითა და მისტერიულობით ხელისუფლების მკაცრი დევნა გამოიწვია. მაგრამ დიონისეს ორგიასული კულტი, შეერწყა რა რომაული ნაყოფიერების ღმერთისა (ლიბერის) და აგრარულ კულტების წეს-ჩვეულებებს, მკვიდრად შევიდა რომაელების რელიგიურ ცხოვრებაში. დიონისესა და ლიბერის ერთ-ერთი საკულტო ატრიბუტი იყო ფალოსი, რომლის სიმბოლიკა ორგიასტული კულტებისთვის იყო დამახასიათებელი. დიონისეს კულტის სწორედ ამ თავისებურების გამო „ორგია“ სიტყვამ, რომელიც თავდაპირველად „მღდელმსახურებას“ აღნიშნავდა, უკიდურესი გარყვნილების, ღრეობის, ბნელი ვნებიანობის ნეგატიური მნიშვნელობა მიიღო, ანუ ისეთივე, როგორიც „ვაქხანალია“ სიტყვისთვის იყო დამახასიათებელი. დიონისე-ვაქხის მისტერიებისა და ლიბერის თაყვანისცემის გარდა, რომაულ რელიგიურ ცხოვრებაში ძვ. წ. III საუკუნის დასასრულიდან ფესვგადგმული იყო ნაყოფიერებისა და ველური ბუნების ქალღმერთის, დიდი დედის – კიბელეს – ორგიასტული კულტიც. 2. რელიგიათმცოდნეობაში ცნება „ორგიასტული კულტები“ მიემართება არაოდენ დემეტრას, დიონისე-ვაქხის, ლიბერისა თუ კიბელეს ანტიკურ კულტებს, არამედ რიტუალთა უფრო ფართო წრეს, რომელიც გამოირჩევა რელიგიური განცდის უკიდურესად ექსპრესიული, ექსტაზური ხასიათით, აგრესიულობით, სექსუალობით, ბილწსიტყვაობით, საკვების, მათრობელა სასმელისა და ნარკოტიკების უზომო გამოყენებით. ორგისტული კულტები ტიპური იყო არქაული რელიგიებისათვის (მაგალითად, შამანიზმი). ახლო აღმოსავლეთის რელიგიებში ორგიასტული კულტი განსაკუთრებული სიმკვეთრით ვლინდებოდა ქალღმერთ იშთარის თაყვანისცემაში, რომლის გაშმაგებული მიმდევრები იმ მდგომარეობამდე მიდიოდნენ, რომ თავსაც კი ისაჭურისებდნენ. ძველჩინურ (ინის ეპოქის) რელიგიაში ორგიასტულ კულტებს გააჩნდათ ოფიციალური სტატუსი, რომელთა რიტუალების თანამდევი იყო ღვინის უზომო სმა. შუა საუკუნეებსა და ახალ პერიოდში თითქმის ყველგან გავრცელებული იყო წარმართობაში დაფესვიანებული ან სინკრეტიზმის ნიადაგზე წარმოქმნილი ორგიასტული კულტები (შდრ., ყველიერის წეს-ჩვეულებები). თანამედროვე რელიგიურ ცხოვრებაში ორგიასტული კულტები სატანიზმში, ნეოპაგანიზმის სხვადასხვა მიმდინარეობებში არსებობს.

ორენოვნება – ორი ენის გამოყენება ერთი და იმავე ენობრივი ერთობის წევრთა მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში. ორენოვნება ზოგჯერ მთელ სახელმწიფოსთან მიმართებით იხმარება, ზოგჯერ რომელიმე საზოგადოებასთან მიმართებით, ზოგჯერ კი სულაც იმ ინდივიდის მიმართ, რომელიც ორ ენას ფლობს. ორენოვნება ზოგჯერ იხმარება განზოგადებული, მრავალენოვნების მნიშვნელობით; იგივეა, რავ ბილინგვიზმი.

ორმხრივი ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის ტიპი – კონტაქტში მყოფი ორი ხალხი თანაბრად ფლობს და იყენებს ერთმანეთის ენას ურთიერთობისას.

ოსური ენა – ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა შტოს ენა. გენეტიკურად უკავშირდება სკვითურ-ალანურ ენას. ძირითადად გავრცელებულია ჩრდილოეთ ოსეთში, საქართველოში, ასევე ყაბარდო-ბალყარეთსა და სტავრო-

პოლის მხარეში. აქვს ორი დიალექტი: ირონული და დიგორული. სალიტერატურო ენა დაფუძნებულია ირონულ დიალექტზე. პირველი წერილობითი წყარო, ე.წ. „ზელენჩუკის წარწერა“ შესრულებულია ბერძნული გრაფიკით და თარიღდება 941 წლით. პირველი ოსური ხელნაწერი (1802) შესრულებულია ქართული ასოებით ი. იალღუზიძის მიერ. 1923 წლამდე ოსური იყენებდა რეფორმირებულ კირილიცას, შემდგომ ლათინურს, 1938 წელს კი კვლავ დაუბრუნდა სლავურ გრაფიკას. ამავე წელს სამხრეთ ოსეთში ოსური დამწერლობისთვის დამტკიცდა ქართული ანბანი, რომელიც ფუნქციონირებდა 1954 წლამდე.

ოფიციალური ენა – სახელმწიფო მმართველობის, კანონმდებლობის, სასამართლოს ენა.

პ

პაზიგრაფია (ფრ. pasigraphie < ბერძნ. pas + graphō) – საერთაშორისო გრაფიკული ფორმები, წერის ნიშნები, რომლებიც ერთნაირად გასაგებია ბევრი ხალხისათვის. მაგ., ნოტები, ციფრები; უნივერსალური დამწერლობა.

პალეოაზიური ენები – იგივეა, რაც პალეოციმბირული ენები, პირობითი სახელწოდება იმ ენებისა, რომლებზეც ლაპარაკობენ ჩრდილოეთ აზიის (აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკის) ხალხები. პალეოაზიური ენები გავრცელებულია აღმოსავლეთ ციმბირში, ნახევარკუნძულ კამჩატკაზე, კუნძულ სახალინსა და კურილის კუნძულებზე. პალეოაზიურ ენებში გაერთიანებულია ჩუკოტკურ-კამჩატკური, ესკიმოსალეუტური, იუკაგიტულ-ჩუვანური, ენისეული, ნივხური ენები.

პალეოკორსიკული - დღეისათვის გადაშენებული პალეოკორსიკული ენა, რომელზეც, სავარაუდოდ, საუბრობდნენ სარდინიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსა და კუნძულ კორსიკაში, გენეტიკურად ასევე უკავშირდებოდა სარდინიულ და იბერიულ ენებს ევროპის კონტინენტზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამგვარი ჰიპოთეზის სასარგებლოდ მხოლოდ ენობრივად მწირი მტკიცებულებები არსებობს, რომელიც მხოლოდ ტოპონიმიკურ მასალებს ეფუძნება. აუცილებელია მისი შევსება დამატებითი ანთროპოლოგიური მონაცემებით. იხ. პალეოსარდინიული.

პალეონტოლოგია – ენათმეცნიერების დამხმარე დისციპლინა, რომელიც ენობრივი მონაცემების გამოყენებით სწავლობს ხალხთა დამწერლობისწინარე ისტორიასა და კულტურას.

პალეოსარდინიული (იგივე **პროტოსარდინიული** - **სარდუ**) ენა – ძირძველი სარდების მშობლიური ენა უნდა ყოფილიყო. იგი დაიკარგა მას შემდეგ, რაც ლათინურმა ჩაანაცვლა პალეოსარდინიული (წინარეინდოევროპული) ენა, რომელიც, სავარაუდოდ, გენეტიკურად დაკავშირებულია ბასკურთან, გარკვეული ბერბერული გავლენის ელემენტებით. სარდინიული სუბსტრატი დღესაც გვხვდება თანამედროვე სარდინიული (უკვე ინდოევროპული/რომანული) ენის ლექსიკასა და ტოპონიმიკაში. ისტორიულად კუნძულ სარდინიაზე მცხოვრებთა პოლიტიკური წარმონაქმნის (სახელმწიფოს) დაკარგვამ ავტოქთონური ხალხის სამეტყველო ენის შენარჩუნება შესაძლებელი გახადა მხოლოდ ფრაგმენტაციის (სუბსტრატის) სახით, რაც, სხვადასხვა მომიχნავე ენების (კატალონური, ესპა-

ნური და იტალიური) თანაარსებობის პირობებში, სწორედ რომ ამ ქვესისტემებშია ნაწილობრივ შემონახული.

შვეიცარიელმა ლინგვისტმა იოანე ჰუბშმიდმა შემოგვთავაზა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ პრეისტორიულ სარდინიაში გამოიყოფა საკმაოდ მყარი ტოპონიმიკური მტკიცებულება, რომელიც ვარაუდობს, რომ პალეოსარდინიულ ენას შესაძლოა ჰქონოდა ნათესაური კავშირი ესპანეთის რეკონსტრუირებულ პროტობასკურ და წინარეინდოევროპული ევროპის კონტინენტის იბერიულ ენასთან.

ვარაუდობენ, რომ სუფიქსი -**ara** ისტორიულად მრავლობითობის ნიშანი იყო პროტოსარდინიულშიც (შდრ. ეტრ. clan „ვაჟი“ - clen-**ar** „ვაჟები“), რაც ასევე მიუთითებს მის კავშირზე იბერიულ, პალეოსიცილიურ ენებთან.

უნდა ითქვას, რომ სარდინიული ადგილის სახელები, ისეთები, როგორიცაა: s(a)rd-, kar-, -ini, -ài/-éi, #[θ]- და სხვ. გვაძლევენ წარმოდგენას იმის თაობაზე, რომ რეგიონში გავრცელებულმა პალეოსარდინიულმა ენამ შესაძლოა დატოვა ენობრივი „კვალი“ კუნძულის ტოპონიმიკაში. აქ ადგილობრივთა ენა ალბათ ფუნქციონირებდა ფინიკიელთა მოსვლამდეც. ეჭვგარეშეა, რომ სარდინია ერთ დროს აყვავებული საზოგადოება იყო და, სავარაუდოდ, კომუნიკაციის ენაც პროტოსარდინიული იყო. პალეოსარდინიულმა ენობრივად, სავარაუდოდ, გავლენა იქონია ჩვენთვის ცნობილ, ისტორიულად დადასტურებულ ინდოევროპულ სარდინიულზე, რომელიც დღესაც სასაუბრო ენაა იტალიაში. დამატებითი აღმოჩენების გარეშე, ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ სარდინიელთა პროტოენის სრულად გაშიფვრას. სარდინიის სხვადასხვა ენობრივი სუბსტრატები კი, ბრინჯაოს ხანიდან ან უფრო ადრეულიც, შესაძლოა „გაქვავებული“ ყოფილიყო დღემდე შემონახულ სარდინიულ ადგილ-სახელებში. იხ. ეტრუსკული ენა.

პანდემონიზმი (ბერძნ. παν – ყველა + δαίμων – ღვთაება, სული, დემონი) – რელიგიური წარმოდგენები სამყაროზე, რომელიც ეფუძნება დემონთა ყველგანმყოფობის რწმენას. დემონოლოგიის სხვადასხვა ტიპების მიხედვით, დემონური ყველგანმყოფობა შესაძლოა შედეგი იყოს: ა) უსახო ძალის არსებობის, ძალისა, რომელიც ტოტალურად მოიცავს ყოფიერების ყველა სფეროს (იხ.: ანიმიზმი, პრეანიმიზმი); ბ) ურიცხვი რაოდენობის სულების არსებობის, სულებისა, რომლებიც უხილავად იმყოფებიან ყოფიერების ყოველ ფრაგმენტში და ცხოვრების წვრილმან მხარეებს არეგულირებენ. პანდემონიზმი ყველაზე სრული სახით დამახასიათებელია არქაული რელიგიებისათვის. ბევრ გვიანდელ რელიგიაში, განსაკუთრებით ხალხურ რელიგიებში, პანდემონიზმი შესამჩნევ როლს ასრულებს. ამის ნათელი მაგალითია რომაული რწმენა-წარმოდგენები და ჩინური რელიგიური ტრადიცია. რელიგიის განვითარების მომდევნო ეტაპებზე და თანამედროვეობაში პანდემონიზმი გვევლინება, როგორც რელიგიურობის განსაკუთრებული ტიპის – ცრურწმენის – მკვებავი.

პანდემონიუმი – ე. წ. „დაბალი მითოლოგიის“ ღვთაებების, სულების, წინაპრების, გენიების, ჯადოქრების, კუდიანებისა და სხვა არსებების ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ ეთნორელიგიური ტრადიციის დემონოლოგიას შეადგენს. პანდემონიუმი ყალიბდება ზეადამიანური არსებების შესახებ სინკრეტული არქაული წარმოდგენების ღმერთებისა და სულების, მაღალი ღირსების ღმერთებისა და ლოკალური ღვთაებების, ღმერთებისა და დემონების, „წმინდა

ძალისა“ და „უწმინდური ძალის“ კატეგორიებად გამიჯვნის შედეგად. მაღალი რანგის ღმერთები, „წმინდა სულები“ ქმნიან პანთეონს, დანარჩენი ზეადამიანური არსებები ავსებენ პანდემონიუმს. მაგრამ ყველა გვიანდელ რელიგიებშიც კი ზეადამიანური ძალების დუალისტური გამიჯვნა თანმიმდევრულად და მკაფიოდ როდი ხდება. ხშირად, განსაკუთრებით ხალხურ რელიგიებში, პანთეონისა და პანდემონიუმის საზღვრები გამქრალია, ხოლო ზეადამიანური არსებების დაყოფა პრინციპით „მაღალი“ – „დაბალი“, „კეთილი“ – „ბოროტი“, „წმინდა“ – „უწმინდური“ პირობით ხასიათსაა.

პანთეიზმი (ბერძნ. pan – ყველა, საყოველთაო, Theos – ღმერთი) – ღმერთისა და ბუნების შერწყმის, ერთი მთლიანობის რწმენა, რომელიც უარყოფს ცოცხალი, განპიროვნებული , სულიერი ან ფიზიკური ღმერთის არსებობას, მაგრამ თვლის მას სამყაროში, ყოველ საგანში გადამდნარ, შერწყმულ საწყისად.

პანთეონი (ბერძნ. παν – ყველა + θεός - ღმერთი) – 1. „ყველა ღმერთის ტაძარი“. – ასე ეწოდებოდა ძველ რომში 118-128 წლებს შორის აგებულ ტაძარს; 2. თანამედროვე რელიგიათმცოდნეობაში პანთეონი - მოცემული რელიგიის ღმერთების კრებულის აღმნიშვნელი ტერმინია. როგორც წესი, პანთეონის შემადგენლობაში შედიან პერსონიფივირებული ღმერთები, რომლებსაც რელიგიურ ცნობიერებაში მაღალი იერარქიული მდგომარეობა უკავიათ. „დაბალი მითოლოგიის“ ღვთაებათა კრებულის, გაღმერთებული წინაპრების, სულების, გენიების აღსანიშნავად ტერმინი „პანდემონიუმი“ გამოიყენება.

პანთურქიზმი (ბერძნ. pan – თავსართი მნიშვნელობით „ყველა“) – შეხედულებათა სისტემა, პოლიტიკური დოქტრინა, რომლის თანახმად არსებობს ყველა თურქულენოვანი ხალხის მომცველი ერთიანი თურქული ერი, რომელიც თურქეთის ეგიდის ქვეშ „დიდი თურანის“ ერთიან სახელმწიფოში უნდა შევიდეს. წარმოიქმნა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ზოგიერთ თურქულენოვან ხალხებში. განსხვავებით თურქიზმისაგან, ანუ თურქული ნაციონალიზმისაგან, რომელიც მოითხოვს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას ისტორიულად ჩამოყალიბებული თურქული ტერიტორიის ფარგლებში, პანისლამიზმი გულისხმობს არათურქული მოდგმის ხალხებისადმი აგრესიულ დამოკიდებულებას, თურქების ეროვნული და კულტურული განსაკუთრებულობის პროპაგანდას. პანთურქიზმის წარმოშობა ხელი შეუწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეების კვლევებმა, რომლებმაც დაამტკიცეს თურქული, უნგრო-ფინური, მონღოლური, მანჯურული და სხვ. ენების ერთიანი წარმოშობა. ამის შედეგად, პანისლამიზმის იდეამ შეიძინა თავისი სახესხვაობა (ნაირსახეობა?) – პანთურანიზმი, თურანის მთელი მოსახლეობის გაერთიანების იდეა, თურანისა, სადაც შედის არამარტო თურქულენოვანი ხალხების, არამედ უნგრების, ფინების, მონღოლების და ზოგიერთი სხვა ხალხების ტერიტორიები.

პანთურქიზმის იდეოლოგია, თურქიზმთან და პანისლამიზმთან შეხამებაში, 1908 წლის რევოლუციის შემდეგ ერთიანობისა და პროგრესის პარტიის ოფიციალური იდეოლოგია გახდა. 1918-1921 წლების ქემალისტური რევოლუციის მიმდინარეობისა და განსაკუთრებით მისი გამარჯვების შემდეგ, პანთურქიზმი უკუგდებულ იქნა. 60-იანი წლების დასასრულს თურქეთში პანთურქისტული დოქტრინის საფუძველზე პარტია ნაციონალისტური მოძრაობა ჩამოყალიბდა. პარტიამ თავის მიზნად გამოაცხადა „ასმილიონიანი თურქეთის“ შექმნა, რომელ-

საც უნდა გაეერთიანებინა ყველა „გარე თურქი“. 1980 წლის გადატრიალების შემდეგ, პარტია ნაციონალისტური მოძრაობა აიკრძალა, მაგრამ მისი საზღვარგარეთული სექციების საქმიანობა არ შეწყვეტილა. 1985 წლის ბოლოს თურქეთში შეიქმნა ნაციონალისტური შრომის პარტია, პარტია ნაციონალისტური მოძრაობის მემკვიდრე, რომლის იდეოლოგიის საფუძვლად პანთურქიზმი გამოცხადდა.

სსრკ-ის დაშლისა და დამოუკიდებელი თურქულენოვანი სახელმწიფოების (ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის) გამოცხადების შემდეგ, ამ ქვეყნებში პანთურქისტული პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობა გააქტიურდა თურქეთის პოლიტიკის ორბიტაში მათი ჩართვის მიზნით. მასების შეგნებაში აქტიურად ინერგება პანთურქიზმის იდეები.

პანისლამიზმი (ბერძნ. pan – თავსართი მნიშვნელობით „ყველა“) – რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოდგენები ყველა მუსლიმის ერთიანობის თაობაზე და იმის შესახებ, რომ მუსლიმთა გაერთიანება ხალიფატის მეთაურობით ყველა სხვა სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებაზე უფრო მნიშვნელოვანია. პანისლამიზმის დოქტრინა წამოწეულ იქნა XIX საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში, როგორც მუსლიმური მასების თვითშეგნების იდეოლოგიური მობილიზაციის საშუალება კოლონიური საფრთხის წინააღმდეგ. მის საფუძველში იდო თეზისი ისლამის ხელმძღვანელი როლის შესახებ როგორც სულიერ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პანისლამიზმი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მიისწრაფოდა გაეერთიანებინა ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ მქონებელი კლასებისა და ფენების ინტერესების დასაცავად. 60 წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისში პანისლამიზმის განახლებული და აღორძინებული იდეოლოგია ისლამური სოლიდარობის მოძრაობის იდეური საფუძველი გახდა. ამჟამად არსებობს ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია, რომელიც რელიგიური ერთობის საფუძველზე 56 ისლამურ სახელმწიფოს აერთიანებს.

პანსლავიზმი – სლავი ხალხების ერთიანობისა და ურთიერთდახმარების იდეოლოგია, პოლიტიკა და პრაქტიკა. პანსლავიზმი სლავოფილობის იდეოლოგიის გავლენით რუსეთში XIX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა და მხარდაჭერილ იქნა ჩეხეთის, სერბეთის, ბულგარეთის და სხვა სლავი ხალხების მიერ. იგი ბაზირებული იყო სლავი ხალხების გენეტიკის, ენის, კულტურისა, გეოპოლიტიკური ინტერესებისა და მიზნების, ისტორიული ბედის ერთიანობის იდეაზე. ამ ხალხების ერთიანობის, ძმობის იდეა არაერთხელ გამოჩნდა XIX-XX საუკუნეებში. პანსლავისტები აქტიურად უჭერდნენ მხარს სამხრეთსლაველთა განმათავისუფლებელ ბრძოლას თურქების წინააღმდეგ. პანსლავიზმის დიდი აქტიურობა გამოვლინდა რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში (1877-1878 წწ.), როდესაც მან ძლიერი ზეგავლენა მოახდინა რუსეთის ხელისუფლებაზე, რათა მას უფრო აქტიურად ეწარმოებინა საგარეო პოლიტიკური მოქმედებები.

XIX საუკუნის ბოლოს პანსლავიზმის მოძრაობის პასიურობა შეინიშნებოდა, რაც გამოწვეული იყო რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებებით (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინადრო). მოგვიანებით, პირველი მსოფლიო ომის წინ და მის პერიოდში პანსლავიზმი რამდენადმე გამოცოცხლდა, რაც დაკავშირებული იყო „ნეოსლავური მოძრაობის“ საქმიანობასთან. შემდგომში პანსლავიზმი, როგორც აქტიური და ქმედითი იდეოლოგია,

ჰიტლერულ გერმანიასთან ომში გამოვლინდა, მაგრამ შემდეგ თავისი გავლენები დაკარგა.

პაპუა ენები – ახალ გვინეაში გავრცელებული ენები. მათი რაოდენობა 800-ს აღემატება. ამ ენებზე საუბრობს 240 მილიონი ადამიანი. ოფიციალური ენებია ტოკ პისინი, ინგლისური, ჰირი მოტუ და პაპუა-ახალი გვინეის ჟესტების ენა.

პარალექტი (ბერძნ. para „თანმდევი“ + lect) – სტანდარტისაგან ოდნავ განსხვავებული ლექტი.

პარალინგვისტიკა – 1. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს მეტყველებაში არსებულ არავერბალურ საშუალებებს და ვერბალურ საშუალებებთან ერთად იძლევა სემანტიკურ ინფორმაციას. 2. სამეტყველო კომუნიკაციაში ჩართული არასამეტყველო (არავერბალური) საშუალებების ერთობლიობა.

პართენოგენეზი, უმანკო ჩასახვა (ბერძნ. παρθένος – ქალწული, უმანკოება + γένεσις – წარმოშობა, ჩასახვა) – ბევრი რელიგიისთვის დამახასიათებელი წარმოდგენა ჩვეულებრივი მამაკაცის ქალთან სქესობრივი კონტაქტის გარეშე ბავშვის უბიწო, სასწაულებრივი ჩასახვის შესაძლებლობის შესახებ. რელიგიური ცნობიერების განვითარების ადრეულ საფეხურზე პართენოგენეზი იყო არქაული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ანთროპომორფიზმისა და ჩასახვის ფიზიოლოგიური საფუძვლების არასრული ცოდნის შედეგი. ანთროპომორფიზმმა გზა გაუხსნა ადამიანის გარემომცველ სულიერ და უსულო ობიექტებზე მამაკაცის შვილოსნობის უნარის გადატანის შესაძლებლობას. მითოლოგიურმა ცნობიერებამ წარმოშვა მცენარეთა, ცხოველთა და სხვა არსებათა სახეები, რომელთაც უნარი შესწევდათ ქალთან კავშირის მეშვეობით საერთო შთამომავლობა მოეცათ. სასწაულებრივი ჩასახვის იდეის გავლენით წარმოქმნილმა მითოლოგიურმა სახეებმა და სიუჟეტებმა ტოტემიზმის (იხ.) განვითარებისათვის ნოყიერი ნიადაგი შექმნეს. თავდაპირველად გმირის სასწაულებრივი ჩასახვის შესახებ მითები და პართენოგენეზის სიუჟეტი მითოშემოქმედების ერთ კალაპოტში ვითარდებოდა. არქაულ საზოგადოებაში მითები სასწაულებრივი ჩასახვის თაობაზე ადამიანთა განსხვავებული ფიზიკური ძალის, სიმარდის, ინტელექტის, იღბლიანობის ასახსნელად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ; ტოტემიზმის კონტექსტში ისინი განამტკიცებდნენ გვაროვნულ სოლიდარობასა და სულიერ ძლიერებას, სოციუმის ზეადამიანური თვისებებით გამორჩეული პირველწინაპრის დემონსტრირებით. საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ ეპოქებში სასწაულებრივი ჩასახვის შესახებ მითებს ადამიანთა რეალური უთანასწორობისა და ერთი ჯგუფის (ოჯახების, კლანების, ხალხების) მეორეზე უპირატესობის ახსნის ფუნქცია შემორჩა. მაგალითად, რომალებს სწამდათ, რომ რომის დამფუძნებლები, რომული და რემი, მეფის ასულისა და მარსის კავშირით გაჩნდნენ; ომის ღმერთთან ნათესაობის იდეა სახელმწიფო რელიგიის ერთ-ერთი საყრდენი გახდა. სასწაულებრივი ჩასახვის შესახებ მითების ნაკადში პართენოგენეზური სიუჟეტები თანდათანობით გამოცალკევდა, როგორც მითოლოგიური თხრობის განსაკუთრებული კატეგორია. მისი გენეზისი განპირობებულია იმით, რომ ბევრ არქაულ და შედარებით გვიანდელ რელიგიებში სქესობრივი ცხოვრება, განსაკუთრებით ქალისა, და ბავშვის დაბადების აქტი თანხლებული იყო უწმინდურობისა და ცოდვის შესახებ წარმოდგენებით. გმირის სასწაულებრივი დაბადების შესახებ იმ მითებში, რომლებიც საკუთრივ პართენოგენეზის

მითებად განვითარდნენ, აქცენტი კეთდება დედის სექსუალურ უბიწოებაზე. ამით რელიგიური ცნობიერება მიისწრაფოდა დაეცვა ტრადიციისათვის წმინდა რელიგიური გმირების სახეები ჩვეულებრივი ჩასახვისა და დაბადების „სიბილწისგან“ დაეცვა. დედის ქალწულობა ანუ უმანკო ჩასახვა პართენოგენეზის მითის მთავარი გმირის რელიგიური სიწმინდისა და განსაკუთრებულობის საწინდარი ხდებოდა. დაოსიზმის მითოლოგიის თანახმად, ლაო-ძი დედას ჩაესახა მის მიერ ჩაყლაპული სასწაულებრივი მარგალიტისგან, რომელიც სასიცოცხლო ენერგიით იყო გაჯერებული. მანჯურთა წარმოშობის შესახებ მითი გვამცნობს, რომ ბუქური იონგსონი, საიმპერატორო გვარის წინაპარი, ფეეი ფუქულენს იმ მომენტში ჩაესახა, როცა მან ციური კაჭკაჭის მიერ მოტანილი სასწაულებრივი ნაყოფი ჭამა. მითმა პართენოგენეზის შესახებ შეცვლილი სახით განვითარება ჰპოვა ახალი აღთქმის ტექსტებში.

პარიტეტული ბილინგვიზმი – იგივეა, რაც ორმხრივი ბილინგვიზმი.

პასიონარობა (ფრანგ. passionner – გატაცება; ჟინის, ვნების აღძვრა) – ლ. გუმილიოვის მიერ ეთნოლოგიაში შემოტანილი ტერმინი; აღნიშნავს ბიოსფეროს ცოცხალი ნივთიერების ბიოქიმიურ ენერგიას, რომელიც განსაზღვრავს ეთნიკური კოლექტივების უნარს შეასრულონ სამუშაო, „ისტორიკოსთა მიერ დაკვირვებადი როგორც მათი აქტიურობა (მიგრაციული, ბუნებრივ-გარდამქმნელი, სამხედრო, ეკონომიკური და ა. შ.). ეს აქტიურობა განისაზღვრება სისტემაში ენერგიის რაოდენობით (პასიონარული დაძაბულობით), ანუ სხვადასხვა დონის პასიონარიების რაოდენობით“. შესაბამისად, პასიონარობას, ლ. გუმილიოვის თეორიით, გააჩნია ენერგეტიკული ბუნება: ინდივიდის უნარი განახორციელოს მიზანმიმართული სამუშაოები გარემოს შესაცვლელად, რაც ფიზიკურ დაძაბულობას გულისხმობს და აიხსნება ამაღლებული რაოდენობის ენერგიით, რასაც მოცემული ინდივიდი გარემომცველი გარემოდან იზიდავს (ადსორბირებს).

ადამიანთა კოლექტივებში (ეთნოსებში) ენერგიის სიჭარბე ბადებს მიზანმიმართული აქტივობის მუხტს, რაც ისტორიულ მასალაზე დაკვირვებით აღწერილია, როგორც პასიონარული ბიძგები. ეს ბიძგები იწვევს ახალი ეთნიკური სისტემების წარმოქმნას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ლ. გუმილიოვის ამ დასკვნებს მეცნიერთა ნაწილი უარყოფს და მას ბიოლოგიზატორობაში ადანაშაულებს. პასიონარობის კონცეფცია დღემდე სამეცნიერო დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

პასიონარობა განიხილება, აგრეთვე, როგორც ქცევისა და ფსიქიკის მახასიათებელი, ანუ აქტივობა, რომელიც მიზნისკენ ინდივიდის მისწრაფების, ზედაძაბულობისა და ამ მიზნის მიღწევისათვის თავგანწირვის უნარში ვლინდება. ისტორიულ-ბიოგრაფიულ მეთოდის გამოყენებით ლ. გუმილიოვმა პასიონარობა აღწერა, როგორც ქცევებისა და ფსიქიკური თვისებების მდგრადი, სხვადასხვა ეპოქებისა და ეთნოსებისათვის ინვარიანტული კომპლექსი.

პასიონარული ბიძგი – პოპულაციაში პასიონარული ნიშან-თვისებების გამოვლენის გამომწვევი მიკრომუტაცია, რაც შედეგად ახალი ეთნიკური სისტემის წარმოქმნას გვაძლევს. ასეთი მიკრომუტაციის არსებობის შესახებ დასკვნა გააკეთა ლ. გუმილიოვმა მის მიერ გამოვლენილი ისტორიული კანონზომიერების საფუძველზე, რომლის თანახმად ახალი სუპერეთნოსები წარმოიქმნებიან ერთდროულად და ათასობით კილომეტრზე გადაჭიმულ ერთ ხაზზე (მაგალითად, ახ. წ. I საუკუნის ბიძგი: გოთები – სლავები – დაკები – ქრისტიანები – იუდეველები,

აბისინიელები, ან ახ. წ. VI საუკუნის ბიძგი: არაბები (მუსულმანები) – რაჯიუტები – ბოტები (სამხრეთ ტიბეტი) – ტაბჩაჩები – შუასაუკუნეების ჩინელები – კორეელები – იაპონელები). უშუალოდ პასიონარული ბიძგის შემდგომ პერიოდში მათ სამყოფელ ყველა რეგიონში მიმდინარეობდა ახალი ეთნიკური წარმონაქმნების აქტივობისა და რიცხოვნობის სწრაფი ზრდა, ქცევის სტერეოტიპების ცვლა, ახალი იდეოლოგიური და რელიგიური მიმართულებების წარმოშობა.

საინტერესოა ლ. გუმილიოვის თვალსაზრისი ბიძგის გამჩენი მუტაგენური ფაქტორის წარმოშობის თაობაზე. მისი ჰიპოთეზის მიხედვით, ბიძგებს გააჩნიათ კოსმიური წარმომავლობა (გამოსხივება კოსმოსიდან), რამდენადაც მათი სწორხაზოვანი ფორმისა და დედამიწის ზედაპირზე უზარმაზარი გაჭიმულობის ახსნა ვერავითარი მიწიერი მიზეზებით ვერ აიხსნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა გ. თავადოვის შენიშვნა: „... ახალი ეთნოსების ჩასახვა პასიონარული ბიძგის ხაზის ყველა წერტილში არ ხდება: მუტაცია განცდილნი აქტიურად გადაადგილდებიან და იწყებენ ეთნიკური სისტემების შექმნას მხოლოდ განსაკუთრებით ხელსაყრელ რეგიონებში. ეს ხდება სხვადასხვა ლანდშაფტის გადაკვეთის ადგილზე, სადაც გარშემომყოფი ეთნოსებიდან გამოყოფილი პასიონარები იკრიბებიან. მონოტონური ლანდშაფტი კი, როგორც წესი, დაკავშირებულია იქ მცხოვრები ეთნოსის მდგრად ტრადიციას, ეთნოსისა, რომელიც თავის სტრუქტურაში ვერ იტანს მისთვის სრულიად უცხო მისწრაფებებითა და უკიდურესი აქტიურობით გამორჩეულ პასიონარებს. ამ ადამიანთა პასიონარული ბიძგის შემდგომი პირველი თაობა ან იღუპება, ან ეთნოსის არეალის კიდეს მიელტვის (ანუ გარბის სხვა ეთნოსებთან გადაკვეთის ადგილისკენ და, როგორც წესი, სხვა ლანდშაფტისკენ), სადაც ახალ სისტემებს ქმნის“.

პასიონარული გადამეტხურება - პასიონარობის სიჭარბე ეთნოსში, რაც სისტემის შინაგანი კატაკლიზმებსა და რეზისტენტულობის დაწევას იწვევს. წარმოიქმნება ეთნოგენეზის აკმატურ ფაზაში. პასიონარული გადამეტხურების დროს ეთნიკური სტრუქტურის ელემენტების თანადაქვემდებარება ირღვევა, წარმოიშობა მრავალრიცხოვანი სხვადასხვა მიმართულება და დაჯგუფება, რომლებიც ინტენსიურად ებრძვიან ერთმანეთს საგარეო თავდასხმის საფრთხის მომენტშიც კი. გარდა ამისა, პასიონარული გადამეტხურებისათვის დამახასიათებელია პასიონარების ფიგურები - პატივმოყვარეები, რომლებიც ნებისმიერ ფასად პირადი წარმატებისკენ მიისწრაფვიან და საკუთარი ინტერესებისათვის ეთნიკურ მთლიანობასაც სწირავენ. პასიონარული გადამეტხურების მაგალითებია: IV-V საუკუნეები ბიზანტიაში, „შფოთიანი დრო“ რუსეთში. XI-XII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში პასიონარობის სიჭარბემ მოითხოვა ჯვაროსნული ლაშქრობების ორგანიზაცია. პასიონარული გადამეტხურება თანხლებულია, აგრეთვე, აქტიური ბრძოლებით იდეოლოგიურ და რელიგიურ სფეროებში, - აღნიშნავდა ლ. გუმილიოვი.

პასიური ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის ტიპი, როცა ბილინგვს აქვს სხვა ენაზე მხოლოდ კითხვის და მოსმენილის გაგების უნარი.

პატრიარქატი (ბერძნ. πατήρ – მამა + ἀρχή – ძალაუფლება) – პირველყოფილი თემური ურთიერთობების ყველაზე გავრცელებული ფორმა მისი დაშლის პერიოდში, რომელიც ხასიათდება მეურნეობასა, საზოგადოებასა და ოჯახში

მამაკაცის გადამწყვეტი როლით. პატრიარქატზე გადასვლა საწარმოო ძალების მნიშვნელოვანი განვითარებისა და მეურნეობის ყველა დარგში (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მონადირეობა, თევზჭერა) მწარმოებლური შრომის ამაღლების პროცესში ქალის როლი მინიმუმამდე დავიდა და სრულად გაქრა და მისი შრომა უპირატესად საოჯახო სამუშაოებით შემოისაზღვრა. პატრიარქატმა დედის ხაზით ნათესაობის ათვლა – მამის ხაზით, ხოლო წყვლადი ქორწინება (იხ.) პატრილოკალური ქორწინებითა და მონოგამიით შეცვალა; წარმოიქმნა დიდი პატრიარქალური ოჯახები, შემდგომში ქონებრივი დიფერენციაციის ზრდამ, პატრიარქალური მონობის წარმოქმნამ და საზოგადოების კლასებად დაყოფის ჩასახვამ პატრიარქალური ურთიერთობები უფრო მეტად განამტკიცა. საკითხი საზოგადოების ისტორიაში პატრიარქატის ადგილის შესახებ მრავალი საუკუნის განმავლობაში დისკუსიის საგანი იყო. ფართო გავრცელება ჰპოვა თეორიამ ადამიანთა საზოგადოების პატრიარქალურობის თავდაპირველობის შესახებ.

პატრილოკალური ქორწინება (ბერძნ. πατήρ – მამა + locus – ადგილი) - საქორწინო დასახლების ფორმა, რომლის დროსაც ცოლი საცხოვრებლად გადადის ქმრის თემში ან სახლში. ასეთი ქორწინების უფრო ზუსტი სახელწოდებაა ვირილოკალური (ლათ. vir – ქმარი). პატრილოკალური ქორწინება, როგორც წესი, წარმოიქმნებოდა დედისეული გვარიდან მამისეულ გვარში გადასვლისას. ზოგან პრაქტიკაში იყო დროებითი პატრილოკალური ქორწინება, რომლის დროსაც ქორწინების შემდეგ მეუღლეები მხოლოდ გარკვეული ხანი, ხშირად ბავშვის დაბადებამდე, ქმრის მშობლებთან ცხოვრობდნენ, შემდეგ კი ცოლის სახლში გადადიოდნენ.

პერსისტენტი (სტატიკური ეთნოსები, რელიქტები) – ეთნიკური სისტემები, რომლებმაც გაიარეს ეთნოგენეზის ყველა ფაზა და მდგრადად იმყოფებიან ეთნიკური ჰომეოსტაზის მდგომარეობაში. ასეთი სისტემას, ლ. გუმილიოვის მიხედვით, თითქმის უცვლელად შეუძლიათ დიდხანს იარსებონ და გარე ზემოქმედებისაგან იოლად დაიღუპონ. ზემოქმედება შესაძლოა, შეეხოს თვით ეთნოსს ან ლანდშაფტს და უმნიშვნელოდ გამოიყურებოდეს. მაგრამ რელიქტურ ეთნოსებში დამკვიდრებული ცხოვრების წყობის ნებისმიერმა ცვლილებამ შესაძლებელია შეუქცევადი შედეგები გამოიწვიო, იმდენად რამდენადაც სისტემა მოქნილობას, ახალ პირობებთან შეგუების უნარს მოკლებულია. სტატიკურ ეთნოსებს ხშირად „ველურს“, „პირველყოფილს“, „ჩამორჩენილს“ უწოდებენ, თუმცა სინამდვილეში ისინი ღრმა ეთნიკურ სიბერეში იმყოფებიან და მზრუნველ დამოკიდებულებას ითხოვენ. პერსისტენტების მაგალითებია: თანამედროვე ინდიელთა ტომები, უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხები და სხვ.

პირველადი სოციალიზაციის ენა – ბავშვის მიერ პირველადი სოციალიზაციის პროცესში გამოყენებული ენა / მეტყველება. უპირატესად, დედის ენა.

პიროვნების ენობრივი უფლება – იმ პირის ენობრივი უფლება და თავისუფლება, რომლის მშობლიური ენა არ არის საზოგადოების წევრების უმრავლესობის ენა.

პლეზიოლექტი (ბერძნ. plesios „ახლობელი“ + lect) – ამა თუ იმ ქვეყნის ოფიციალური ენა, რომელიც არ სარგებლობს საერთაშორისო სტატუსით, მაგრამ მაინც ისწავლება მეზობელ ქვეყანაში არსებული ინტენსიური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების გამო.

პოლიანდრია (ბერძნ. πολύ - ბევრი + ἀνδρός - ქმარი) – მრავალქმრიანობა, პოლიგამიის იშვიათი ფორმა, რომლის დროსაც ქალი სხვადასხვა მამაკაცთან რამდენიმე საქორწინო კავშირში იმყოფება. XIX საუკუნეში პოლიანდრია მოქმედებდა ალეუტებში და ესკიმოსების ზოგიერთ ჯგუფში; გვიანდლამდე შემოინახა ტიბეტისა და ინდოსტანის რიგ ეთნოგრაფიულ ჯგუფში. განირჩევა პოლიანდრიის საძმო (ტიბეტი) და არანათესაური (სამხრეთ ინდოეთი) ფორმები: პირველი მათგანი გულისხმობს ორი ან რამდენიმე ღვიძლი ძმის ქორწინებას ერთ ქალზე. ერთი აზრით, პოლიანდრია, უპირატესად განპირობებულია ქალების სიმცირით, რაც გამოწვეულია გოგონების არად ჩაგდება და მათი სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით. სხვა აზრით, პოლიანდრია დამახასიათებელია იმ საზოგადოებებისათვის, რომლებიც ბუნებრივი რესურსების სიმწირეს განიცდიან. რესურსების უკმარობა იწვევს შობადობის შემცირებას და თითოეული ბავშვის გადარჩენის მნიშვნელობის ზრდას. ამასთან, აღნიშნულ საზოგადოებებში ქორწინების ეს იშვიათი ფორმა გავრცელებულია არამარტო გლეხებში, არამედ ზედაფენაშიც. მაგალითად, ტიბეტში სასოფლო-სამეურნეო მიწების დეფიციტია და ყველა ძმის ქორწინება ერთ ქალზე შესაძლებლობას იძლევა არ დანაწევრდეს ქმრების ოჯახის კუთვნილი მიწის ნაკვეთი. ამავე მიზნით, პოლიანდრია მდიდარ მიწათმფლობელშიც მოქმედებს. მათგან განსხვავებით, ძალზე ღატაკებში, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ საკუთარი სახნავ-სათესი ფართობი, იშვიათად გვხვდება პოლიანდრიული ქორწინება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შუასაუკუნეების ევროპაში ოჯახის საკუთრებაში არსებული მიწის გაყოფის თავიდან ასაცილებლად დადგენილ იქნა მაიორატის წესი, რომლის მიხედვითაც ოჯახის მამული უფროს ვაჟს გადაეცემოდა, უმცროსები კი ხშირად ბერ-მონაზვნებად მიდიოდნენ.

პოლიგინია (ბერძნ. πολύ – ბევრი + γυνή – ქალი, ცოლი) – მრავალცოლიანობა, პოლიგამიის ფორმა, რომლის დროსაც ქმარს ერთდროულად რამდენიმე ცოლი ჰყავს. პოლიგინიის ვარიანტია ე. წ. სოროორატული პოლიგინია, რომლის დროსაც მამაკაცის ცოლები ღვიძლი დები არიან. პოლიგინიის ჩვეულება ძირითადად პატრიარქალური წყობის პირობებში მოქმედებდა, მაგრამ იგი კლასობრივ საზოგადოებებშიც, უპირატესად მუსლიმ ხალხებში შემოინახა. ყურანის მიხედვით, მუსლიმს უფლება აქვს იყოლიოს ოთხი კანონიერი ცოლი, მაგრამ უმრავლეს მუსლიმურ სახელმწიფოებში ამ უფლებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა თანდათანობით იკლებს. XX საუკუნის მე-2 ნახევრიდან ბევრ ქვეყანაში (ეგვიპტე, ტუნისი, მაროკო, სუდანი და სხვ.) იზღუდება, ბევრგან პოლიგინია იკრძალება და მხოლოდ ფარულ ფორმებში არსებობს.

პოლითეიზმი (ბერძნ. πολύ – ბევრი, მრავალრიცხოვანი + θεός – ღმერთი, ღვთაება = „მრავალღმერთიანობა“) – რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა სისტემა, დაფუძნებული ამა თუ იმ პანთეონში შემავალი და უზენაეს ღმერთის ქვემდგომი რამდენიმე ან ბევრი ღვთაების თაყვანისცემაზე. პოლითეიზმი წარმოიქმნება პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის სტადიაზე. საფუძვლად უდევს პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენები – ფეტიშიზმი, ტოტემიზმი, ანიმიზმი. მრავალრიცხოვანი ფეტიშს, ტოტემს, სულს (იხ. პოლიდემონიზმი) თანდათანობით ცვლიან ღმერთები, რომლებსაც კონკრეტული გარეგნობა, სახელი და კულტი გააჩნიათ. პოლითეიზმის სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვარი იყო რამდენიმე დასახლების გაერთიანება, რომელთაგან თითოეული თავის ღმერთს

ეთაყვანებოდა. ამასთან, ღვთაებათა იერარქია ამა თუ იმ ხარისხით ადრეკლასობრივი საზოგადოების იერარქიულ სტრუქტურას გამოხატავდა, რის საფუძველზეც ღვთაებათა პანთეონი ფორმირდებოდა. ძველბერძნული და ძველრომაული რელიგიები პოლითეიზმის კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენენ. ამასთანავე, ანტიკური რელიგიურმა სინკრეტიზმმა, რომლის შედეგად სხვადასხვა ღვთაებების შერწყმა მიმდინარეობდა, აგრეთვე, მონარქიული ხელისუფლების ფორმირებამ და გამყარებამ ერთიანი მმართველის ძალაუფლების ქვეშ, სათანადო წანამძღვრები შექმნა თავდაპირველად ერთი ღმერთის თაყვანისცემისათვის სხვა ღვთაებების არსებობის დაშვებით (იხ. ჰენოთეიზმი), ხოლო შემდეგ, როცა ღვთაებათა პანთეონიდან დაიწყო ერთიანი და ერთადერთი ღმერთის გამოყოფა, მონოთეიზმის ფორმირებისათვის.

პოლილინგვიზმი (ბერძნ. poly „მრავალი“ + ლათ. lingua „ენა“) – იგივეა, რაც მრავალენოვნება.

პოპულაცია (ლათ. populus – მოსახლეობა, ხალხი) – გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ და და, სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით, შედარებით მჭიდრო ნათესაობით დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფი. პოპულაციის ეს თვისება განპირობებულია ამა თუ იმ ხარისხის ენდოგამიით. პოპულაცია ნებისმიერი ბიოლოგიური სახეობის, მათ შორის Homo sapiens-ის, ელემენტარული სტრუქტურული ერთეულია. პოპულაციას გააჩნია ბიოლოგიური (გენეტიკური) ბუნება, რაც განასხვავებს მას ეთნოსისგან, როგორც ადამიანთა სოციალური ერთობისგან. მაგრამ ეთნიკური ენდოგამიის შედეგად, ყოველ ეთნოსში ამა თუ იმ ხარისხით თავს იჩენს განსაზღვრული პოპულაცია („ეთნიკური“ პოპულაცია). „ეთნიკური“ პოპულაციის შიგნით გამოიყოფა სუბპოპულაციები, რომლებიც ეთნოსის ფარგლებში შედარებით ენდოგამიური სოციალური ჯგუფების (ლოკალური, კასტობრივი, კონფესიონალური და სხვ.) საფუძველზე ყალიბდება.

ყოველი პოპულაციისთვის დამახასიათებელი გენეტიკური ფონდის ერთგვაროვნობის განმტკიცება რასობრივ ქვედანაყოფად თანდათანობით გადაქცევის ტენდენციაზე მიანიშნებს. ანთროპოლოგთა დიდი ნაწილი ემხრობა რასის პოპულაციურ კონცეფციას, რომლის თანახმად რასები ჩამოყალიბდნენ პოპულაციების განვითარებისა და არეალური ურთიერთქმედების შედეგად. პოპულაციები, როგორც რასები, წარმოადგენენ კაცობრიობის ბიოლოგიური სტრუქტურების ერთეულებს. ამასთან, პოპულაციები რასებისგან განსხვავდებიან შინაგანი გენეალოგიური ნათესაობის ნაკლები ხარისხით, აგრეთვე, დიაქრონულთან შედარებით სინქრონული კავშირების სიჭარბით.

პრაგმატიკა – დარგი, რომელიც შეისწავლის, თუ როგორ მოქმედებს ენაზე ის სიტუაცია, რომელშიც ენა გამოიყენება, ანუ როგორ გამოიყენება ენა ნივთების მისაღებად ან მოქმედებების შესასრულებლად და იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ სიტყვებს გამოხატონ ის, რაც განსხვავდება იმისგან, რასაც ისინი ჩვეულებრივ აღნიშნავენ.

პრათეიზმი (ბერძნ. pra – წინა, ადრეული, Theos – ღმერთი) წინარეღმერთიანობა, რელიგიათმცოდნეობის ტერმინი. პრათეისტები ამტკიცებენ, რომ რელიგია იწყება არა რომელიმე ღმერთის რწმენიდან, არამედ თვით ადამიანის არსშია იმთავითვე ჩამჯდარი ღმერთის, ღვთაებრივის, მიუწვდომელის რწმენა და ესაა მისი ფსიქიკის უღრმესი თვისება, არსი.

პრამონოთეიზმი – რელიგიის წარმოშობის თეორია, რომელიც რელიგიის განვითარების ისტორიაში თავდაპირველ საფეხურად ერთღმერთიანობას აღიარებს. სამეცნიერო სფეროში ამ იდეის პირველი მიმდევრები იყვნენ „მითოლოგიური სკოლის“ წარმომადგენლები: ი. გრიმი, ვ. მანჰარტი, ე. ლენგი და სხვები. პრამონოთეიზმის თეორია სისტემურად განვითარდა ვ. შმიდტის შრომებში, აგრეთვე, მის მიმდევართა კვლევებში. აფრიკისა და ოკეანიის ხალხების შესახებ დიდძალი ეთნოგრაფიული მასალის შესწავლით, შმიდტი ცდილობდა „პრიმიტიულ“ რწმენა-წარმოდგენებში აღმოეჩინა უზენაესი არსების ნიშნები, რაც თავდაპირველი ერთღმერთიანობის არსებობას დაადასტურებდა. თავისი კონცეფციის დასაბუთების მიზნით, ანიმიზმთან პოლემიკაში ეყრდნობოდა XX ს-ის დასაწყისისათვის ავტორიტეტულ პრეანიმიზმის თეორიას (იხ. პრეანიმიზმი). შმიდტის თვალსაზრისით, ციური ღმერთის, შემოქმედი ღმერთის უძველესი ხატი „ერთღმერთიანობის“ გაცილებით „სუფთა“ გამოხატულება იყო; მეურნეობის, განსაკუთრებით მიწათმოქმედების, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებამ (მატრიარქატის დამყარება) ბუნების რელიგიური თაყვანისცემის, ტოტემიზმის (იხ.), ფეტიშიზმის (იხ.), მაგიზმისა (იხ. მაგია) და მითოლოგიის წარმოშობა განაპირობა, რამაც შემოქმედი ღმერთის რწმენაზე დაფუძნებული თავდაპირველი ერთღმერთიანობის თანდათანობითი გაქრობა გამოიწვია. შმიდტის ზოგიერთი დაკვირვება, დაფუძნებული ეთნოგრაფიულ მასალებზე, სერიოზული სამეცნიერო მნიშვნელობისაა, მაგრამ მის შრომებში განვითარებულმა პრამონოთეიზმის ზოგადმა თეორიამ თანამედროვე რელიგიათმცოდნეობაში ფართო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და ძირითადად თეოლოგიური მიდგომების დასაბუთებისათვის გამოიყენება.

პრეანიმიზმი (ლათ. prae – წინა + anima – სული) – რელიგიათმცოდნეობითი ტერმინი, რომელიც სამეცნიერო ბრუნვაში ინგლისელმა ანთროპოლოგმა რ. მარეტმა შემოიტანა. ანიმიზმის თეორიის მომხრეებთან კამათში მარეტი ამტკიცებდა, რომ არქაული რწმენა-წარმოდგენები ეფუძნებოდა არა იმდენად ანიმისტურ მსოფლმხედველობას, რამდენადაც სამყაროში ზებუნებრივი ძალის არსებობის ფუძემდებლურ შეგრძნობას. იგი მიიჩნევდა, რომ მოცემული გრძნობა და მისი თანამდევი შიშის განცდა წინ უსწრებდა ანიმიზმს, გამოდიოდა როგორც მისი ფსიქოლოგიური წანამძღვარი და როგორც რელიგიურობის ჩამოყალიბების ისტორიული საფეხურიც კი. ამ აზრით, არქაული გრძნობა სამყაროში ზებუნებრივი ძალის არსებობაზე შეიძლება აღინიშნოს ტერმინით „პრეანიმიზმი“. ზებუნებრივი ძალის ზემოქმედება, – ამტკიცებდა მარეტი, – არქაულ ცნობიერებაში იღებს ორ განზომილებას – პოზიტიურსა და ნეგატიურს. ზებუნებრივი ძალის პოზიტიური ასპექტია მანა (იხ. ანიმატიზმი). წარმოდგენები ზებუნებრივი ძალის ნეგატიური ზემოქმედების შესახებ პირველყოფილ საზოგადოებას იძულებულს ხდის მისგან დასაცავად შეიმუშაოს აკრძალვათა სისტემა – ტაბუ. მანასა და ტაბუს შესახებ წარმოდგენები, – მარეტის თანახმად, – აყალიბებენ რელიგიური ცნობიერების პირველად დონეს. სწორედ ამ „ზენორმალური“ ძალის მეშვეობით ყალიბდება პირველადი, როგორც მარეტი ამჯობინებდა გამოეხატა „რუდიმენტული“ რელიგია. მარეტის პოზიციას იზიარებდა გერმანელი ანთროპოლოგი კ. პრეისი, რომელიც რელიგიის, სულებისა და ღმერთების წარმოშობის საფუძვლად მანას მსგავსი მაგიური ძალის შესახებ რწმენას მიიჩნევდა. პრეანი-

მიზმის პიონერები (მარეტი, ე. ლენგი) დაჟინებით არ აპელირებდნენ იმ ზებუნებრივი ძალის უსახო, არამატერიალურ ხასიათზე, რომელმაც არქაული ადამიანის პირველი რელიგიური გრძნობები აღძრა. ე. დიურგჰეიმის პრეანიმიზმის თეორია ეყრდნობა სწორედ იმპერსონალურ, ანონიმურ ძალას, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა პირველყოფილი ადამიანის სულიერი სამყაროსა და რელიგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ამ თვალსაზრისთან სიახლოვე დაფიქსირდა მ. მოსის, ლ. ლევი-ბრიულის შრომებშიც. თავის გვიანდელ ვარიანტებში პრეანიმიზმის თეორიას არც კრიტიკა დაჰკლებია.

პრეისტორია (ინგლ. prehistory; ფრანგ. prehistoire; გერმ. urgeschichte) – ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, რომელიც იკვლევს კაცობრიობის განვითარების ადრეულ სტადიებს. სიტყვა „პრეისტორია“ გამოიყენება ორი ძირითადი მნიშვნელობით: პირველ რიგში, ასე ეწოდება ადამიანის არსებობის იმ არქაულ პერიოდს, რომლის შესახებაც არავითარი წერილობითი წყაროები არ არსებობს, მეორე მხრივ, ასე ჰქვია მეცნიერებას, რომელიც ამ პერიოდს სწავლობს. ხშირად ასეთი ცნების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი: „პირველყოფილი საზოგადოების ისტორია“.

პრეისტორიული ეპოქა მთავრდება დამწერლობის წარმოქმნასთან ერთად და იწყება კაცობრიობის განვითარების ისტორიული პერიოდი. მაგრამ, რამდენადაც ეს ვითარება მიზეზობრივად და ქრონოლოგიურად დაკავშირებულია პირველი ცივილიზაციებისა და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფორმირების პროცესთან, პრეისტორიის დასასრული უდამწერლობო ეპოქის უბრალო დასასრული კი არაა, არამედ, უპირველესად, ესაა კულტურისა და საზოგადოების განვითარების განსაზღვრული ეტაპის დასასრული. დამწერლობა ოდენ ფორმალური კრიტერიუმია, რითაც „პრეისტორია“ და „ისტორია“ ერთმანეთისგან იმიჯნება. ამ ორი პერიოდის განსხვავების არსი განუსაზღვრელად ღრმაა და გამოიხატება საზოგადოების ხასიათსა, კულტურის განვითარების მამოძრავებელ ძალებსა და ადამიანთა ფსიქოლოგიაში, ანუ ადამიანთა ქცევის განმსაზღვრელი პრიორიტეტებისა და ფასეულობების სისტემაში. საბოლოო ჯამში, ერთი პერიოდის დასასრული და მეორე პერიოდის დასაწყისი წარმოადგენდა სიცოცხლის უზრუნველყოფის საშუალებათა ძირეული ცვლილების შედეგს, კერძოდ, მიმთვისებლური მეურნეობიდან (მონადირეობა, შემგროვებლობა, მეთევზეობა) მწარმოებლურზე (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა) გადასვლის შედეგს. ამდენად, პრეისტორია - ეს არის მიმთვისებლური მეურნეობის ეპოქა, როდესაც ადამიანები მხოლოდ ბუნების მიერ ბოძებული პროდუქტებით ცხოვრობდნენ.

პრეისტორიის, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერების, საგანი და წყაროთმცოდნეობითი ბაზა ძალზე თავისებურია. მეცნიერების ამ დარგის საგნის განსაკუთრებულობა განპირობებულია იმით, რომ თითქმის მთელი პრეისტორიული პერიოდის განმავლობაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განიცადა არამარტო საზოგადოებამ და კულტურამ, არამედ თვით ადამიანმა, ანუ მისმა ანატომიამ, ფიზიოლოგიამ, ინტელექტუალურმა შესაძლებლობებმა. რამდენადაც არქაული ადამიანის ბიოლოგიური ევოლუცია და კულტურის განვითარება წარმოადგენდა ორ ურთიერთგანმაპირობებელ პროცესს, პრეისტორიის შესწავლა გულისხმობს თითოეული მათგანის რეკონსტრუქციას, აგრეთვე, მათი ურთიერთქმედების ხასიათის გამოვლენას.

პრეისტორიის წყაროთმცოდნეობით ბაზას შეადგენს არქეოლოგიური (მატერიალური ძეგლები, ადამიანის საქმიანობის ნაშთები), ეთნოგრაფიული / ეთნოლოგიური (მონადირეების, შემგროვებლებისა და მეთევზეების ცხოვრების წესის ამსახველი მონაცემები), პალეოანთროპოლოგიური (ადამიანისა და მისი წინაპრების ბიოლოგიური ისტორია), პალეოგეოგრაფიული (წარსული ეპოქების ბუნებრივი პირობები), პალეობოტანიკური და პალინოლოგიური (მცენარეულობა), პალეოზოოლოგიური (ცხოველთა სამყარო) მასალები.

პროგრესული ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის ტიპი, რომელიც ხასიათდება მეორე ენის შემსწავლელთა რაოდენობის ზრდით. თავდაპირველად, მეორე ენის ცოდნა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი: მეორე ენაზე მეტყველება ექვემდებარება პირველის ფონეტიკურ და გრამატიკულ გავლენას, მაგრამ ენის ცოდნა მუდმივად იხვეწება. პროგრესული ბილინგვიზმი შეინიშნება იმ საზოგადოებებში, რომლებიც ცდილობენ გააფართოონ სოციალური კონტაქტები, გამოხატონ ინტეგრაციისა და თანამშრომლობის სურვილი სახელმწიფოს, რეგიონის, კონტინენტის დონეზე.

პრომისკუიტეტი (ლათ. prōmiscuus – განურჩეველი, საერთო) – მოუწესრიგებელი, შეუზღუდავი სქესობრივი კავშირი ბევრ პარტნიორთან. ტერმინი გამოიყენება ორი სხვადასხვა მნიშვნელობით: ა. პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოებაში მოქმედი სქესობრივი ურთიერთობის სავარაუდო ფორმის აღწერისათვის, ბ. ინდივიდის ქაოტური, მოუწესრიგებელი, შემთხვევითი სქესობრივი კავშირების აღწერისათვის.

პროფესიული ლექსიკა – 1. სხვადასხვა პროფესიული ჯგუფებისთვის დამახასიათებელი ლექსიკა; 2. იგივეა, რაც სპეციალური ლექსიკა.

პურიზმი (ფრანგ. purisme < ლათ. purus „სუფთა, წმინდა“) – ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა (უფრო ნეოლოგიზმების) უკუგდება და მათი შეცვლა დედაენის ხელოვნურად გაცოცხლებული (ან შეთხზული) სიტყვებით.

ჟ

ჟარგონი (ფრანგ. Jargon) – ერთგვარი სოციალური დიალექტი, რომელიც გამოიყენება (ძირითადად ზეპირ მეტყველებაში) ადამიანთა გარკვეულ პროფესიულ ჯგუფში.

რ

რასები (ფრანგ. race, იტალ. rassa - გვარი, მოდგმა, ტომი) – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფები, დაკავშირებულნი საერთო წარმოშობით, რაც გამოიხატება საერთო მემკვიდრეობით მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ნიშან-თვისებებში, რომლებიც გარკვეულ ფარგლებში ვარირებენ. რამდენადაც ამ ნიშან-თვისებათა ჯგუფური და ინდივიდუალური ცვალებადობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რასები წარმოადგენენ არა პირთა ერთობლიობას, არამედ პოპულაციათა ერთობლიობას, ანუ ადამიანთა ტერიტორიულ ერთობებს, რომელთა

შიგნით მრავალი თაობის განმავლობაში ქორწინებები გაცილებით ხშირად ხდება, ვიდრე სხვა ერთობების წარმომადგენლებთან. ამგვარად, პოპულაციები რამდენადმე ენდოგამიურ ჯგუფებს წარმოადგენდნენ.

რასები შიდასახეობრივი ტაქსონომიური (სისტემატიკური) კატეგორიებია, მყოფნი დინამიკური წონასწორობის მდგომარეობაში, ანუ ცვალებადნი სივრცესა დროში და, იმავდროულად, გარკვეული, გენეტიკურად განპირობებული, მდგრადობის მქონენი. ყველა ძირითადი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით რასებს შორის მსგავსება დიდია, ხოლო არსებული განსხვავებები არ განეკუთვნებიან ადამიანის ორგანიზმის აგებულებისა და ფუნქციების ბიოლოგიურად მნიშვნელოვან თავისებურებებს და ვლინდებიან ნიშან-თვისებათა შედარებით მცირე რიცხვში.

მეცნიერთა მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია უფრო ხშირად ხილული ნიშან-თვისებების კომპლექსია, რომელშიც შედის კანის ფერი, თავის ქალის ფორმა, სხეულის ზომა და პროპორციები, ყბების ნაშვერი, ცხვირისა და ტუჩების ფორმა, თვალების ჭრილი, თვალისა და თმის ფერი, თმის ფორმა და სხვ.; უკანასკნელ ხანებში დაიწყეს ისეთი ნიშან-თვისებების გათვალისწინება, როგორიცაა სისხლის ჯგუფი, გემოს შეგრძნების თავისებურებები, ფიზიოლოგიური ვარიაციები, ზოგიერთი დერმატოგლაფიკური თავისებურებანი და სხვ. უმრავლესი ანთროპოლოგიური ნიშან-თვისება განისაზღვრება სხვადასხვა გენით და მცირედით არის დაკავშირებული ფიზიოლოგიურ კორელაციასთან, ამიტომ მათი გავრცელების საზღვრები შეიძლება არც კი დაემთხვნენ; არცთუ იშვიათად ისინი კვეთენ ან ფარავენ ერთმანეთს.

ანთროპოლოგები ჩვენი პლანეტის მოსახლეობაში გამოყოფენ სამ დიდ რასას (ევროპეიდულს, მონღოლოიდურს და ნეგროიდულს), რომელთაგან თითოეული შედგება პატარა რასებისგან; პატარა რასებს შიგნით სპეციალისტები, ნაკლებმნიშვნელოვანი მემკვიდრეობითი თავისებურებების მიხედვით, გამოყოფენ ანთროპოლოგიურ ტიპებს.

რასობრივი ჯგუფი – ძირითადი რასობრივი ნიშან-თვისებებით ახლო მდგომ ადამიანთა ლოკალური ერთობლიობა, რომელიც ანთროპოლოგიური მახასიათებლებით არსობრივად განსხვავდება მეზობელი მოსახლეობისაგან; გააჩნია გარკვეული რასობრივი თვითშეგნება და სახელწოდება.

რასობრივი ჯგუფების სოციალური ფუნქციები საკმაოდ ნათლად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ განსხვავებულ რასობრივ გარემოში მიმდინარე კონტაქტების დროს, ანუ სიტუაციებში, როცა მოქმედებას იწყებს ბინარული ოპოზიცია „ჩვენ - ისინი“. იმ შემთხვევებში, როცა ეთნოსი სხვა რასობრივი ტიპის ხალხების გარემოცვაში აღმოჩნდება, წარმოიქმნება ეთნორასობრივი ერთობები. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 30% შერეულ და შუალედურ რასობრივ ჯგუფებს განეკუთვნება.

რასოლოგია - ანთროპოლოგიის განყოფილება, რომელიც ადამიანთა რასებს სწავლობს; სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ძირითადად რასოგენეზის პროცესებს, ხალხთა სოციალური ცხოვრების პირობების, მათი ცხოვრების წესის როლებსა და დროში რასობრივ ნიშან-თვისებათა ცვლილებების სხვა მახასიათებლებს იკვლევს.

თანამედროვე რასოლოგია, ეყრდნობა რა მორფოლოგიისა და ფიზიოლოგიის, გენეტიკისა და მოლეკულარული ბიოლოგიის მონაცემებს, განიხილავს რასების კლასიფიკაციის, მათი წარმოშობის, დედამიწაზე განსახლების, განვითარებისა და ურთიერთქმედების პრობლემებს ადამიანთა პოპულაციების კონკრეტულ ისტორიასთან კავშირში. რასოლოგიაში დიდი ადგილი უკავია რასობრივი ნიშან-თვისებების დასაზღვრის, მათი მემკვიდრეობითობის, გარემომცველ ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სოციალურ-კულტურულ პირობებზე დამოკიდებულების, სქესობრივი განსხვავებების, ასაკობრივი დინამიკის, გეოგრაფიული ვარიაციებისა და ეპოქალური ცვლილებების კვლევას.

რასოლოგიის ამოსავალია ის, რომ რასობრივი სხვაობები არის ჯგუფური ხასიათის, რაც საკმარისად ნათლად იკვეთება მხოლოდ ადამიანთა კოლექტივების შეპირისპირების შემთხვევაში და არა – ცალკეული ადამიანებისა. რასობრივი განსხვავებები მუდამ მემკვიდრეობითია: ისინი მშობლებიდან შვილებს გადაეცემა მრავალი თაობის განმავლობაში. ამიტომ ცხადია, რომ ამ განსხვავებათა შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობითობის შესახებ მეცნიერების - გენეტიკის, პირველ რიგში, ადამიანის გენეტიკის, ანუ ანთროპოგენეტიკის მონაცემებს. გასაგებია, რომ სხვადასხვა ადამიანებში ან მათ მთელ ჯგუფებში ბევრი მემკვიდრეობითი, ფიზიკური ნიშან-თვისება მათი წარმოშობის საერთოობის ან გენეტიკური ნათესაობის დამაჯერებელი მოწმობაა.

რამდენადაც რასოლოგია რასოგენეზთან კავშირში ეთნოსთა წარმოშობის პრობლემებს იკვლევს, იგი ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის გადაკვეთის ზღვარზე იმყოფება. ამ აზრით, რასოლოგია ეთნიკურ ანთროპოლოგიას ერწყმის. შეიძლება აღინიშნოს რასოლოგიის დაახლოებაზე კულტურულ ანთროპოლოგიასთან, უფრო ზუსტად მის იმ ასპექტებთან, რომლებიც ეთნიკური კულტურის სფეროში რასობრივი პროცესის თავისებურ გამოხატვას შეეხება.

რასოლოგიაში გამოიყოფა რამდენიმე მიმართულება: 1) კვლევა რასისტული იდეოლოგიებისა, რომელთა თანახმად ეთნიკური ჯგუფების სოციალური უთანასწორობის საფუძველი ადამიანთა გენეტიკური თვისებებია; 2) ანალიზი ობიექტური სტრუქტურებისა, რომლებიც რასიზმისა და რასისტული იდეოლოგიების არსებობას განაპირობებენ; 3) კვლევას სოციალური სტრატიფიკაციის ფარგლებში კლასობრივ და ეთნიკურ კუთვნილებებს შორის ურთიერთქმედებებისა, რაც იწვევს სოციალური სტრუქტურის როგორც განსაზღვრული ვერტიკალური, ისე განსაზღვრული ჰორიზონტული სეგმენტების წარმოქმნას; 4) ისტორიული კვლევა რასებისა და რასიზმის წარმოშობისა კოლონიალიზმისა და ანტიკოლონიალიზმის განვითარების პრობლემებზე აქცენტით; 5) კვლევა შრომის ბაზარზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების განთავსების მიმართულებით; 6) კვლევა სოციალური, ისტორიული და კულტურული ფაქტორების მონაცემების როლისა ინდუსტრიული საზოგადოების ფარგლებში ეთნიკური ერთობების უთანასწორობის თანამედროვე სიტუაციის ჩამოყალიბებაში. იხ. რასობრივი დისკრიმინაცია, რასიზმი, რასები.

რაჭული – ქართული ენის დიალექტი. გავრცელებულია ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში. იყოფა მთარაჭულ, ზემორაჭულ და ქვემორაჭულ კილოკავებად, სხვა კლასიფიკაციით – ოთხ კილოკავად: რივნისთაური (ღებისა და ჭიორას მეტყველება), გლოლური, ზემორაჭული და ქვემორაჭული. მთარაჭული გავრცელებულია მთის რაჭის სოფლებში: გლოლაში, ღებსა და ჭიორაში (ონის

მუნიციპალიტეტი), ზემორაჭული – ზემო რაჭაში (ონის მუნიციპალიტეტი გლოლა-ღებ-ჭიორის გამოკლებით და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ლიხეთის ხეობა), ქვემორაჭული – ქვემო რაჭაში (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი). მთარაჭული ახლოს დგას მთის კილოებთან (უმთავრესად გრამატიკულ-ლექსიკური არქაიზმებით). ღები და ჭიორა მჭიდროდ უკავშირდება სვანეთს, ზოგი გვარი აშკარად სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს. სვანური სუბსტრატიც ხელშესახებია. რივნისთაველებს ურთიერთობა ჰქონიათ ჩერქეზებთანაც, რაც აქაურ თქმულება-გადმოცემებშიც არის ასახული. ქვემორაჭული არსებითად უახლოვდება იმერულს და ლეჩხუმურს. რაჭულისათვის, საერთოდ, ნიშანდობლივია არქაული გრამატიკული სისტემების პოვნიერება, ნაკლები ინტენსივობითაა აქ წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს სხვა ქართული დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებებიც. (სადაც გვაქვს, იქაც ხშირია პარალელური, ფონეტიკურად უცვლელი ფორმები). შესაბამისად, რაჭული დიალექტისათვის მნიშვნელოვანი გრადაციებია დამახასიათებელი კილოკავების თვალსაზრისით. მაინც ხერხდება ამ ძირითადი ტენდენციის გამოვლენა, რომელიც ამ ოთხივე კილოკავს ერთ დიალექტად აერთიანებს.

რეგიოლექტი (ლათ. regio „ოლქი“ + ბერძნ. lect) – საშუალო და მცირე ქალაქების მცხოვრებთა მეტყველება, რომლებშიც დიდწილად იგრძნობა ადგილობრივი დიალექტების გავლენა და შეიმჩნევა ხალხური ენის კვალი.

რეგიონალიზმი – 1. ადგილობრივი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც გავრცელებულია გარკვეულ ტერიტორიაზე და იყენებს რეგიოლექტის წარმომადგენელი; 2. ნასესხები ლექსიკური ერთეული, რომელიც გამოიყენება მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე – ენობრივი კონტაქტის ზონაში.

რეგიონული ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის ტიპი, რომელიც ემყარება გეოგრაფიული დაყოფის პრინციპს – ადმინისტრაციულ ან ტერიტორიულად შეზღუდულ რეგიონში ფუნქციონირებს ორი ან მეტი ენა.

რეგრესული ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის ტიპი, რომელშიც ინტეგრალური (ადეკვატური) ბილინგვიზმის ეტაპის შემდეგ, ახალი ენა (ჩვეულებრივ, ემიგრანტების საცხოვრებელი ქვეყნის სახელმწიფო ენა) იწყებს დომინირებას ეთნიკურზე. რეგრესული ბილინგვიზმი მიგრანტთა ჯგუფებისა და ეროვნული უმცირესობებისაა დამახასიათებელი.

რეზერვაცია (ლათ. reservo – შენახვა) – სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორიები ქვეყნის აბორიგენების (მაგალითად, ინდიელები აშშ-ში, კანადასა და ბრაზილიაში, აბორიგენები ავსტრალიაში და სხვ.) ან მოსახლეობის სხვა ჯგუფების (რასობრივი ან ეროვნული დისკრიმინაციის მსხვერპლთა) ძალადობრივი დასახლებისათვის. როგორც წესი, რეზერვაციები გამოიყოფა მძიმე ბუნებრივი პირობების მქონე რაიონებში, სადაც მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა რაიონებში.

რეზერვაციებისთვის დგინდება არსებობის განსაკუთრებული რეჟიმი: მისი მოსახლეობის მიმართ არცთუ იშვიათად ხორციელდება დამსჯელი ღონისძიებები, ირღვევა სამოქალაქო უფლებები. რეზერვაციის ერთ-ერთი სახეობაა გეტო.

რელევანტურობა – სემანტიკური შესაბამისობა კითხვასა და პასუხს შორის, კვლევის პრობლემასა და მის გადაწყვეტას შორის; აზრობრივი შესაბამისობა საინფორმაციო მოთხოვნასა და მიღებულ ცნობას შორის.

რელიგიოლექტი – ამა თუ იმ რელიგიის საკულტო ენა (ძველი ქართული და სლავური – ქართულ და რუსულ მართლმადიდებლობაში, ლათინური – კათოლიციზმში, კლასიკურ არაბული – ისლამში, სანსკრიტი – ჰინდუიზმში და ა. შ.).

რელიგიური ჰეტერიზმი, საკულტო პროსტიტუცია – რიტუალურად რეგლამენტურებული სექსუალური ურთიერთობის პრაქტიკა რელიგიური თემის, ტაძრის, წმინდა პერსონების ინტერესების გათვალისწინებით. რელიგიური ჰეტერიზმის ყველაზე ადრეულ მოწმობას განეკუთვნება მონაცემები შუმერის ისტორიიდან. ძვ. წ. III ათასწლეულში შუმერულ რელიგიაში არსებობდნენ ქურუმი ქალები, რომელთა ფუნქციას შეადგენდა ღვთაებასთან ან მის შემცვლელ პერსონასთან – მეფესთან, ქურუმთან, ჩვეულებრივ მოკვდავთან, გარკვეულ პირობებში სექსუალური ურთიერთობის დამყარება. ამ წმინდა ქურუმი ქალების სტატუსები იერარქიული წყობისა იყო – იერარქიის მწვერვალზე იდგა ქალი - ენი, თავისი მდგომარეობით, თითქმის, ქალ-ქურუმის თანასწორი, ქვედა საფეხურებზე იდგნენ ნუგიგები, თითქმის, თანასწორნი ჩვეულებრივი ქუჩის მეძავებისა, რომლებსაც კარ-კინგს („ბაზრებში მოხეტიალენი“) უწოდებდნენ. ქალ-ქურუმთა სექსუალური ცხოვრება ქალღმერთ იშთარ-ინანის კულტის ნაწილი იყო, იშთარ-ინანისა, რომელიც „ციური მეძავის“ წმინდა სახელს ატარებდა. მისი კულტი აგრარული კულტის ფორმას ფორმას წარმოადგენდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული იეროგამიის, წმინდა ქორწინების მითოლოგიასთან. ნაყოფიერების დამჩქარებელი, მითოლოგიური წარმოდგენების თანახმად, ბუნების ცხოველმყოფელი აღწარმოებისათვის მეფესთან სექსუალურ კონტაქტში მყოფი იშთარ-ინანის მაგალითის მიმდევარი ქურუმი ქალები თავიანთი სტატუსის შესაბამისად სექსუალურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ სხვა კატეგორიის ადამიანებთან, უცხოქვეყნელთა ჩათვლით. ამ კულტის გვიანდელ ფორმებს ბაბილონში აკვირდებოდა ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ძვ. წ. V საუკუნე), რომლის აღწერით, „ყოველი ბაბილონელი ქალი ცხოვრებაში ერთხელ აფროდიტეს (იშტარის) სალოცავში ფულის სანაცვლოდ უცხოტომელთან სქესობრივი კავშირი უნდა დაამყაროს. ფულზე უარის თქმა ქალს აკრძალული აქვს, რამდენადაც ეს ფული წმინდაა. ქალიშვილი ყოველგვარი უარის გარეშე უნდა დაემორჩილოს იმ მამაკაცს, რომელმაც მას ფული ესროლა“. მიიჩნეოდა, რომ უცხოქვეყნელები ფლობდნენ განსაკუთრებულ საკრალურ ძალასა და სტატუსს, ამიტომ საკულტო პროსტიტუცია ისე, როგორც იგი ჰეროდოტემ აღწერა, ქალღმერთისადმი მსხვერპლის გაღების მოტივთან ერთად, თავისი შინაარსით უცხო მამაკაცისგან განსაკუთრებული შვილიერების ძალის მიღებისა და თავისი მფარველი ქალღმერთის კულტთან ამ ძალის ზიარების იდეას შეიცავს. საკულტო პროსტიტუცია ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთში, სადაც მხოლოდ აფროდიტეს ტაძარში იყოფებოდა ათასამდე ქურუმი ქალი, რომლებიც მზად იყვნენ სათანადო ფასად მომსვლელებთან სარეცელი გაეყოთ. საბერძნეთში საკულტო პროსტიტუციასთან დაკავშირებული მოსამსახურეები შეიძლებოდა მონები ყოფილიყვნენ ან მათ ღმერთების საკუთრების სტატუსი ჰქონოდათ, ამიტომ ტაძრის მეძავეებს იეროდულებს (ბერძნ. Ieros - წმინდა + doulos - მონა) უწოდებდნენ. მიიჩნეოდა, რომ მომსვლელებთან სექსუალური კონტაქტით „წმინდა მონა ქალები“ ქალღმერთისათვის მსხვერპლშეწირვის აქტს ასრულებდნენ; მამაკაცები ფულის შეტანას განიხილავდნენ, როგორც რიტუალურ წვლილს. უძველესი წარსულიდან ახალი

დროის ჩათვლით საკულტო პროსტიტუცია არსებობდა ინდუიზმშიც, სადაც ამით დაკავებულნი იყვნენ დევადასები (სასნსკრ. ღვთისმსახური ქალები) - ქალები, რომლებიც რომელიმე ღვთაებას ეკუთვნოდნენ და მასთან წმინდა ქორწინებაში იმყოფებოდნენ. სიყვარულის ხელოვნების გარდა, დევადასები ბრწყინვალედ ფლობდნენ რიტუალურ ცეკვებსაც. შესაძლოა, დევადასის პროტოტიპი იყვნენ მოხენჯო-დაროს ცივილიზაციის ტაძრების მოცეკვავეები (ძვ. წ. III ათასწლეული), რომელთა ბრინჯაოს გამოსახულებები არქეოლოგების მიერ არის აღმოჩენილი. საკულტო პროსტიტუციის პრაქტიკა ზოგიერთ თანამედროვე არატრადიციულ რელიგიურ მოძრაობებშიც („სიყვარულის ოჯახი“, „ღვთის შვილები“) მოწმდება, სადაც მას „ფლირტი-ფიშინგს“ უწოდებენ და მდგომარეობს იმაში, რომ სექტის მომხიბვლელი მიმდევრები - „ღმერთის მეძავები“ - ფლირტის მეშვეობით ახალ მდიდარ მამაკაცებს უკავშირდებოდნენ და მათ ფულს ცანცლავდნენ. რიგ ქვეყანაში (საფრანგეთი - 1978, ბრიტანეთი - 1995 და სხვ.) ეს საქმიანობა კვალიფიცირებულ იქნა, როგორც პროსტიტუცია, ხოლო თვით მოძრაობა აიკრძალა, მისი ლიდერზე კი საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

რელიკვია (ლათ. reliquiae (მრ.) ნარჩენები) – 1. რელიგიური თაყვანისცემის საგანი: წმინდანთა ნაშთები, წმინდა ტანსაცმელი და სხვ.; 2. ვისიმე ან რისიმე სახსოვარი საგანი, რომელსაც პატივს სცემენ და თაობებს გადასცემენ.

რეპრეზენტაცია, მენტალური რეპრეზენტაცია – სამყაროს წარმოდგენის პროცესი ადამიანის აზროვნების პროცესში – რაიმეს ხელახლა წარმოდგენა.

რეტორომანული ენები – რომანულ ენათა ქვეჯგუფში შემავალი ენები. გავრცელებულია შვეიცარიაში (გრაუბიუნდენის კანტონში) და ჩრდილოეთ იტალიაში. რეტორომანული ენები ხასიათდება ერთგვარი არქაულობით და წარმოადგენს რელიქტურ ზონას დასავლეთ და აღმოსავლეთ რომანულ ენათა შორის.

რიტუალი - არაუტილიტარული ხასიათის პერიოდულად განმეორებადი სიმბოლური მოქმედება ან მოქმედებათა თანმიმდევრობა, რომლის პროცესში ინდივიდი ან ადამიანთა ჯგუფი განსაკუთრებული ტიპის ობიექტთან, ეგზისტენციალთან, კომუნიკაციის არხს ქმნის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის იმ მდგომარეობის განცდა, რომელიც დაკავშირებულია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ და ეგზისტენციალურ გამოცდილებასთან. რიტუალის გარეშე არც მაგიური მოქმედება სრულდება და არც – რელიგიური კულტი. მისი მიზანია აწმყოში დააფიქსიროს, თუ შეიძლება ითქვას, სულიერად აღადგინოს მითიური ვითარება, რომელიც ხალხისა თუ ადამიანთა ჯგუფის ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპთან არის დაკავშირებული, და ამით თვალნათელი გახადოს მათი ერთიანობა. მაგალითად, კავკასიის ხალხებში გავრცელებული პირველი ხნულის გავლების წეს-ჩვეულება, ანუ რიტუალური ხვნა, გარკვეულწილად მხოლოდ იმისთვის სრულდება, რომ მას სწორედ ასე აკეთებდნენ მათი მამა-პაპანი: ამით ხაზგასმულია როგორც წინაპართა და შთამომავალთა შორის კავშირი და მათ მიმართ ერთგულება, ისე რიტუალის მონაწილეთა ერთიანობა. ისინი ამ საგაზაფხულო სამუშაოს განხორციელებას რი-ტუალის გარეშეც მოახერხებდნენ, მაგრამ ეს იქნებოდა არა გლობალური სიმბოლიზმით დატ-ვირთული აქტი, არამედ – უბრალო ხვნა. თავისი სიმბოლური ხასიათის ძალით რიტუალი შიდაეთნიკური რეგულაციის მექანიზმის როლს თამაშობს: ინარჩუნებს ეთნიკური სტატუსების გარკვეულ იერარქიას; ეხმარება ეთნოსის წევრებს ნორმებისა და ფასეულობების

ათვისებაში; ანიჭებს მათ საკრალურად განპირობებულ ერთობასა და სოლიდარობას; ეხმარება სტრესების მოხსნაში; აძლევს ღვთიური მხარდაჭერის განცდას კრიზისულ მომენტებში. გარდა აღნიშნულისა, რიტუალი ამკვიდრებს ზღვრული ნიშნით აღბეჭდილი გადასასვლელების (სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, ასაკობრივ და სტატუსურ ჯგუფებს შორის) საკრალურ აზრს. გადასვლის რიტუალი (კულტურულ ანთროპოლოგია-ში – rites de passage) ნებისმიერი რიტუალური აქტის უნივერსალურ შინაგან სტრუქტურას განსაზღვრავს, რამდენადაც იგი სხვადასხვა სფეროებს, პერიოდებსა და ყოფით მდგომარეობებს შორის საკრალური ბარიერის გადალახვის აღმნიშვნელია. რიტუალი ემსახურება ტრადიციის განმტკიცებას, რამდენადაც მისით აისახება, აღდგება ყველაზე არქაული (არქეტიპული) საკულტო სტრუქტურები (ანალოგიურ როლს თამაშობს წინაპართა კულტთან დაკავშირებული დაკრძალვის რიტუალიც). ტრადიციულ საზოგადოებაში, სადაც ცოდნის შენახვისა და გადაცემის დაუწერელი, სახეობრივი, ემოციურად დატვირთული საშუალებები დომინირებს, რიტუალი ქმნის და განუწყვეტლივ აახლებს სიმბოლური უნივერსუმის მთლიანობას. ამ ტიპის კულტურების სიმბოლურ უნივერსუმებში ჩართულია არამარტო ინფორმაციის მატარებელი ჩვეულებრივი, ვერბალური საშუალებები (ენა, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი), არამედ ფიზიკური სამყაროს მოვლენები – საცხოვრებელი და მისი შიდამოწყობილობა, საკვები და პირუტყვი, ბუნება და სტიქიები და სხვ. სიმბოლური უნივერსუმის ნაირი სფეროების გამსჭვალავი კავშირები ქმნის ქვეყნიერების შეცნობისა და აღწერის ტოტალურ მეტაფორულობას.

განსხვავებული მასშტაბისა და ხანგრძლივობის რიტუალებისა და რიტუალური ქმედებების ანალიზი საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, რომ ხალხურ კულტურაში რიტუალის პრაგმატიკა მიემართება ერთდროულად ორ სამყაროს – იმქვეყნიურსა და სოციალურს, მიწიერს. რიტუალებში წარმოდგენილი სიუჟეტები ასახავენ შესაქმის, დაბადების აქტებს, მათი წინაღობების დაძლევას, აღორძინებასა და განახლებას. სოციალურ პლანში რიტუალები ადგენენ ადამიანური არსებობისათვის აუცილებელ სხვადასხვა წესებსა და ნორმებს, პირველ რიგში, ნათესაობისა და საქორწინო ურთიერთობების სისტემებს, მისაღები ქცევების სქესობრივ და ასაკობრივ საზღვრებს, ახდენენ შრომითი ცხოვრების რეგლამენტაციას.

სხვადასხვა კონფესიის საკულტო პრაქტიკებში რიტუალის კოლექტიური და ინდივიდუალიზებული, ექსტატიური და აუტისტური კომპონენტების თანაფარდობა არსობრივად განსხვავებულია: თანამედროვე პროტესტანტიზმის რიგ ქვაზინაციონალურ ფორმებში რიტუალი ფაქტიურად ჯგუფური და ინდივიდუალური ლოცვებით შემოიფარგლება, მაშინ, როდესაც კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობაში კოლექტიურ რიტუალთა განვითარებული სისტემა ეკლესიის, როგორც მორწმუნეთა ინსტიტუტისა და ერთობის, ძირითადი საქმიანობაა.

საჯარო და კერძო ცხოვრების სეკულარიზაციის პროცესში ჩამოყალიბებული საერო რიტუალები მნიშვნელოვანწილად ასახავენ შესაბამისი საკულტო აქტების გარეგნულ, მათ შორის ფსი-ქოლოგიურ, სტრუქტურას, რომელსაც საკრალური შინაარსი გამოცლილი აქვს. როგორც ოფი-ციალურ სახელმწიფო ცერემონიებში (ინაუგურაცია, აღლუმები, შეხვედრები), ისე რაიმე ღირ-სშესანიშნავი მოვლენის (მაგ., სამოქალაქო მდგომარეობასთან, სტატუსთან დაკავშირებულ)

სადღესასწაულო გაფორმებაში საერო რიტუალებით სოციალურ ერთობაში ინდივიდის გაწევ-რიანება და ინდივიდუალურიდან კოლექტიურ ფასეულობაში გადასვლის მნიშვნელობა აღი-ნიშნება. სამეცნიოერო ნაშრომებში „რიტუალი“ და „წეს-ჩვეულება“ სინონიმურ ტერმინებად არის გამოყენებული. ვფიქრობ, რიტუალი და წეს-ჩვეულება იდენტური ცნებები არაა, თუმცა ქართულ ენაში კონვენციონალურად გვევლინებიან, როგორც სინონიმები. (შდრ. რუსული обряд სიტყვის მიმართება ტერმინ რიტუალთან). ქართულ ტერმინში ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვის („წესი“ და „ჩვეულება“) გაერთიანებით, თითქოს, „რიტუალი“-ს ტოლმნიშვნელოვანი ცნება მიიღება, მაგრამ არსობრივად საქმე ეხება სხვადასხვა ხარისხის ორ ფენომენს. წესი, თუ მას რუსული обряд სიტყვის შესატყვისად გავიგებთ, არის დესაკრალიზებული რიტუალი, რომელიც თან ახლავს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს (დაკავშირებულს დაბადებასთან, ქორწინებასთან, სიკვდილთან, ინიციაციასთან, საოჯახო და კალენდარულ ღონისძიებებთან) და რომლის მეშვეობით ეთნიკური ჯგუფის წევრთა სასიცოცხლო მდგომარეობის სოციალური მნიშვნელობა მკვიდრდება. რიტუალის რელიგიური არსი, რომელიც წესს საფუძვლად უდევს, გამქრალია, იგი არსებობას განაგრძობს ტრადიციის ძალით და პრინციპით – „ასე იყო დასაბამიდან“. მაგალითად, ყველამ როდი იცის, რომ კავკასიელებში (ვაინახებში, ოსებში), მათ შორის ქართველებში (სვანებში, მეგრელებში, აღმოსავლეთ სა-ქართველოს მთიელებში), აგრეთვე ევროპის ხალხებში გავრცელებულ, საახალწლო მორთან, როგორც ძველი წლის სიმბოლოსთან, დაკავშირებულ წესებში რეკონსტრუირდება უძველესი მითოლოგემა – ჭექა-ქუხილის ღვთაების მიერ მსოფლიო ხის ქვეშ მობინადრე გველის მოკვლა. ეს აქტი, არქაული ადამიანის მსოფლმხედველობით, ქაოსის დაძლევისა და კოსმიური წესრიგის დამკვიდრების ტოლფასი იყო. საახალწლო მორთან დაკავშირებულმა წესმა, გადაინაცვლა რა კულტიდან ყოფაში, დაკარგა უწინდელი მაგიურ-რელიგიური მნიშვნელობა, მაგრამ იგი, ზოგან, დღესაც აგრძელებს არსებობას.

წესისა და რიტუალისგან განსხვავებით, ჩვეულებას არამარტო მაგიურ-რელიგიური, არამედ პრაქტიკული ფესვები აქვს. ჩვეულება, რომელიც დესაკრალიზებული რიტუალის ანუ წესის მკრთალ ემანაციას, თუ შეიძლება ითქვას, მის ნამსხვრევს წარმოადგენს, გარკვეულ საზოგადოე-ბასა თუ სოციალურ ჯგუფში გამომუშავებული ქცევისა და მოქმედების სტერეოტიპული ნორმაა, რომლის დაცვა ამ საზოგადოების (სოციალური ჯგუფის) თითოეული წევრისთვის აუცილებელია (დამრღვევის მიმართ ხორციელდება არაფორმალური სანქციები – გაკიცხვა, შერცხვენა, დაწყევლა, იზოლაცია და სხვ.). ამდენად, ჩვეულება ქცევის რეგულატორია, ცნობიერებიდან ჩვევაში გადასული, ანუ ესაა რელიგიურ და მორალურ ნორმათა ერთობლიობა, რომელმაც თავისი ცნობიერი ხასიათი დაკარგა. ჩვეულების სტაბილურობა, ცვლილებებისადმი მისი წინააღმდეგობა იმითაა განპირობებული, რომ იგი მუდამ საზოგადოებაში ფორმირდება და, წარმოადგენს რა ამ საზოგადოების ფასეულობას, კოლექტიური მოთხოვნების ძალდატანებით განისაზღვრება.

რიტუალური სიცილი – საწესო ქცევა, რომელიც ექსპრესიულ გარეგნულ ფორმებში დემონსტრაციულად გამოხატავს დადებით ემოციებს. წარმოადგენს ე. წ. „გადასვლის რიტუალების“ (Les rites de passage) ტიპურ ელემენტს, სადაც

სიცილი გვევლინება, როგორც ინდივიდის ან ჯგუფის ახალ მდგომარეობაში ჩართვის წესის თანამდევი (მაგალითად, საქორწილო რიტუალები). რიტუალური სიცილის არსებობა დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებებში მოტივირებულია სიცილის, როგორც სიკვდილის დამთრგუნველის, სიკვდილზე გამარჯვების მაგიური საშუალების, შესახებ წარმოდგენებით. სამყაროს არქაულ სურათში სიცილი სასიცოცხლო ძალებისა და აღორძინების ენერგიის გამომხატველი იყო. ამის საფუძველზე რელიგიური შეგნება მას ცხოველმყოფელ ძალთა იეროფანიასთან მჭიდრო კავშირში აყენებდა. არქაულ საზოგადოებაში სიცილის მაგიური ძალის შესახებ რწმენა-წარმოდგენებით აიხსნება მისი მნიშვნელოვანი როლი აგრარულ კულტებში, განსაკუთრებით იმ კულტებში, რომლებიც „მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების“ მითოლოგიას უკავშირდება. საქორწილო, სამგლოვიარო, აგრარული წეს-ჩვეულებები და ყოფის სხვა სფეროები, თანხლებულნი რიტუალური სიცილით, ერთობლივად საზოგადოების სიცილის კულტურას აყალიბებდნენ. მრავალ ტრადიციულ კულტურაში არსებობდა განსაკუთრებულ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც რიტუალური სიცილის შესრულებაში დახელოვნებულნი იყვნენ. რიტუალური სკაბრეზული თამაშობები, ხუმრობები და სხვა ხერხები, რომლებიც დამსწრეთა სიცილს იწვევდნენ, არქაული რელიგიებისათვის ტიპურ მოვლენას წარმოადგენდა. ზოგიერთ ძველ მითოლოგიაში (მაგალითად, სკანდინავიურში) შემონახულია ცნობები პირველყოფილი მისტერიების ასეთი ხუმარებისა და მასხარების შესახებ. მათი სახეები გაღვთაებრივებული იყო, პანთეონში ჩნდებოდა დამცინავ-გამჭილავი ღმერთები და ტრიქსტერთა ფიგურები. ქრისტიანობა შეეცადა რიტუალური სიცილი საკულტო პრაქტიკიდან ამოეძირკვა, მაგრამ მისი სრულად გაქრობა მაინც ვერ შეძლო. რიტუალური სიცილი უნიკალურ როლს თამაშობდა ძენ-ბუდიზმში. ველური ხორხოცი, მასხრობა და ღვთაებების მიმართ ბილწსიტყვაობა, ბუდას დაცინვა ძენურ ტრადიციაში ჩვეულებრივ მოვლენა იყო. ძენური სიცილი ძენის ფილოსოფიის არსს პარადოქსულად ავლენდა და საკრალურსა და პროფანულს შორის ზღვარს შლიდა. არსებითად ასეთივე ხასიათისა იყო ჩრდილოკავკასიური და ქართული საგაზაფხულო კარნავალური დღეობები, რომლის დროსაც გათამაშებულ სცენებში ზღვარი იშლებოდა არაოდენ საკრალურსა და პროფანულს შორის, არამედ დარღვეული იყო სოციალური იერარქიაც.

რიტუალური ტირილი – საწესო ქცევა, უარყოფითი ემოციების დემონსტრაციულად გამოხატვა ცრემლით, სამწუხარო წამოძახილებით, მოთქმით და სხვა ექსპრესიული მოქმედებებით. საწესო ტირილი ტიპურ ელემენტია ე. წ. „გადასვლის რიტუალის“ (იხ.). იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაკრძალვა-გლოვისა და ქორწილის წეს-ჩვეულებებში.

რომანული ენები – (ლათ. romanus), ინდოევროპული ენების ოჯახის ენათა ერთ-ერთი ჯგუფი, რომელიც წარმოიშვა რომაელთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე გავრცელებული ხალხური ლათინურისაგან (ამიტომ ენათა ამ ჯგუფს ნეოლათინურ ენებსაც უწოდებენ). გავრცელებულია ევროპაში, აფრიკაში, ამერიკის ორივე კონტინენტზე. განარჩევენ რომანული ენების ორ ქვეჯგუფს: დასავლურ რომანულსა (პორტუგალიური, ესპანური, კატალონიური, პროვანსული, ფრანგული, ჩრდ. იტალ. დიალექტები) და აღმოსავლურ რომანულს (სამხრ და ცენტრ. იტალიის დიალექტები, იტალიური, აწ მკვდარი დალმაციური, რუმინული

და მოლდავური...). მეორე (უფრო დეტალური) კლასიფიკაციით განასხვავებენ ქვეჯგუფებს: იბერიულ-რომანულს (ესპანური, პორტუგალიური, კატალანური, გალისიური), გალურ-რომანულს (ფრანგული, პროვანსული), იტალიურ-რომანულს (იტალიური, სარდინიული), რეტორომანულ და ბალკანურ-რომანულს (რუმინული, მოლდავური და სხვ.). ამჟამად ცოცხალ რომანულ ენათაგან: იტალიურის უძველესი ძეგლი თარიღდება 960 წლით; იტალიურს საფუძვლად დაედო ქალაქ ფლორენციის განათლებული წრეების მეტყველება (Lingua toscana). ფრანგული ენის ყველაზე ძველი ძეგლი 842 წელს ეკუთვნის. ახალი ფრანგული ენა XVI საუკუნეში ჩამოყალიბდა. პროვანსულ ენაზე მწერლობა იქმნება XI საუკუნეში. პორტუგალიური ენის უძველეს დოკუმენტს 1192 წლით ათარიღებენ, კატალონიურისას – 1171 წლით, ესპანურისას – 1145 წლით. რუმინულ ენაზე მწერლობა არსებობს XVI საუკუნიდან.

რუთულური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ლეზგიურ ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია დაღესტანსა (რუთულისა და ახტის რაიონები) და აზერბაიჯანის (კახისა და შაქის რაიონები) ტერიტორიაზე. ასევე თურქეთსა და სირიაში. რუთულურ ენას აქვს ოთხი დიალექტი: რუთულური, შინაზური, მუხრეკულ-იხრეკული და ბორჩულ-ხინავური. რუთულელები ორენოვანი ხალხია. თანაბრად ფლობენ მშობლიურ და რუსულ, აზერბაიჯანში მცხოვრებნი კი აზერბაიჯანულ ენებს. 1992 წლიდან რუთულური სამწერლობო ენაა.

ს

საერთაშორისო ენა – სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა საურთიერთო ენა. ამ ფუნქციით შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ენები. თანამედროვე მსოფლიოში ენისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ექსტრალინგვისტური (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული) ფაქტორების ერთობლიობაზე.

სათემო კულტები – კოლექტიური რწმენა-წარმოდგენები და პრაქტიკა, დამახასიათებელი შედარებით ჩაკეტილი ჯგუფებისათვის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნათესაური, ტომობრივი, ეთნიკური, მეზობლური ან ტერიტორიული ნიშნით. სათემო კულტების მონაწილეებს გააჩნიათ მითოლოგიურ წარმოდგენათა საერთო ფონდი და იდენტურ რიტუალებს ასრულებენ. სათემო კულტების გენეტიკური ფესვები უკავშირდება ადამიანთა პირველყოფილ გაერთიანებებს, რომელთათვის რელიგიური კოლექტიური რწმენა-წარმოდგენები და რიტუალურ პრაქტიკები იყო დამახასიათებელი. არქაულ საფეხურზე სათემო კულტები მოიცავდა რელიგიური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: სამრეწველო, სამხედრო, აგრარული, მაგიას, ტოტემისტურ რწმენას, დაკრძალვის რიტუალებს, ბელადთა და სატომო ღვთაებათა თაყვანისცემას, ინიციაციას და ა. შ. ამასთან, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან სათემო კულტები მისი მონაწილეების სხვადასხვა რელიგიურ სტატუსს გულისხმობდა, რაც განპირობებული იყო სქესით, ასაკით, სპეციალიზაციითა და სხვა ობიექტური მიზეზებით. ეს განსხვავებები ბადებდა სათემო კულტების უძველეს სახეობებს (მაგალითად, სამონადირეო, სამხედრო ინიციაციები), რომლებსაც, მართალია, კოლექტიური ხასიათი

ჰქონდათ, მაგრამ მათში მონაწილეთა მხოლოდ განსაზღვრულ წრე დაიშვებოდა. სათემო კულტების ევოლუცია, დეტერმინირებული უპირატესად პირველყოფილი კოლექტივის განვითარებით, მიმართული იყო შინაგანი დიფერენციაციის ზრდისკენ. პირველყოფილი სათემო კულტების ევოლუციის ერთ-ერთი პირველი ისტორიული პროდუქტი გახდა საოჯახო-საგვარეულო კულტები, წარმოქმნილნი საგვარეულო, შემდეგ კი საოჯახო თემის ნაწილობრივი გამოყოფის შედეგად. საოჯახო-საგვარეულო კულტების მონაწილეთა რაოდენობა შემოფარგლული იყო ნათესავებით, ხოლო სათემო კულტის მოცემული სახეობის ძირითად შინაარსს შეადგენდა წინაპართა კულტი და სასიცოცხლო ციკლის რიტუალები (დაბადების, საქორწილო და დაკრძალვის წეს-ჩვეულებები). ინდივიდუალური საწყისების გაძლიერება და არქაული ერთობიდან ინდივიდის თანდათანობითმა გამოყოფამ წარმოშვა რელიგიური ცხოვრების ინდივიდუალური ფორმები, რომლებიც თავდაპირველად სამკურნალო, სასიყვარულო და შავ მაგიასთან იყო დაკავშირებული. რელიგიური ცხოვრების ინდივიდუალურ ფორმათა ზრდის მიუხედავად, საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე სათემო კულტები თავიანთ არსებობას ტრანსფორმირებულ ფორმებში აგრძელებენ (მაგალითად, პოლისური კულტების, ეთნიკური და სახელმწიფო, აგრეთვე, დიასპორათა რელიგიების ფორმებში).

საკონტაქტო ენა – ენის გარკვეული ფორმა, რომელიც სპონტანურად წარმოიქმნება მრავალეთნიკურ გარემოში (ტერიტორიაზე) კომუნიკაციის საჭიროების შედეგად.

საკრალური (ლათ. sacer წმინდა) – 1. ზებუნებრივი თვისებებით აღჭურვილი მითოლოგიური არსებები, გმირები, გამოგონილი არსებები წმინდა არსებათა რანგში, 2. რწმენა, საიდუმლოება, ეკლესია, წმინდა რამ, 3. საეროს საპირისპირო, რელიგიურ სფეროში წარმოსახული საგნები, ტექსტები, მოქმედებანი, ეკლესია, ფორმულები, საკულტო შენობა და ა. შ.

სალიტერატურო ენა – ენის ნორმირებული, სტანდარტიზებული და კოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც ყველაზე პრესტიჟულია და, მიუხედავად სახელწოდებისა, არ წარმოადგენს მხოლოდ ლიტერატურის ენას. იგივეა, რაც სამწიგნობრო ენა.

სამაროვანი – ძველი სასაფლაო. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იხმარება არქეოლოგიური შესწავლის ობიექტის აღსანიშნავად.

სამენოვნება – 1. სამი ენის ფუნქციონირება ტერიტორიულ საზოგადოებაში (სახელმწიფო, რეგიონი, ქალაქი, ქალაქი). როგორც წესი, თითოეული ეს ენა დაკავშირებულია კომუნიკაციის კონკრეტულ სფეროსთან. 2. სამი ენის ცოდნა ინდივიდის მიერ მისი კომუნიკაციური საჭიროებების ფარგლებში.

სამეტყველო კოდების შერევა – 1. ორენოვანის არამოტივირებული გადასვლა ერთი ენიდან მეორეზე ვერბალური კომუნიკაციის პროცესში. 2. მეტყველების სტრატეგიის ტიპი ბილინგვიზმის სიტუაციაში, რომელიც გულისხმობს ორივე ენის კარგად ფლობას და კომპეტენციის მაღალ დონეს, როდესაც ხდება ერთი ენიდან მეორეზე გადასვლა სათქმელის ფარგლებში.

სამეურნეო-კულტურული ტიპები - მეურნეობისა და კულტურის კომპლექსი, რომელიც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ხალხებში მსგავსი საცხოვრებელი ბუნებრივ პირობებისა და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის საერთო

სახეობების შედეგად. სამეურნეო-კულტურული ტიპები ძირითადად დამახასიათებელია ეთნოსებისათვის, რომლებიც განვითარების ინდუსტრიამდელ სტადიაში იმყოფებიან. მათი გეოგრაფიულ გავრცელებას აქვს ზონალურ-ბუნებრივი ხასიათი. ანალოგიური ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების არსებობის შემთხვევაში სამეურნეო-კულტურული ტიპები შეიძლება წარმოიქმნას იმ ხალხებშიც, რომლებიც ერთმანეთისგან შორს ცხოვრობენ და უშუალოდ არ ურთიერთზემოქმედებენ.

სამეურნეო-კულტურულ ტიპებს შორის განსხვავება, პირველ რიგში, ეხება მოსახლეობის უმრავლესობის ძირითად საქმიანობას - რეწვას, სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას, აგრეთვე, შრომის იარაღებს, კვებას, საცხოვრებელს, გადაადგილების საშუალებებს, ავეჯეულობას, ჭურჭლეულობას და მატერიალური კულტურის სხვა ელემენტებს. სულიერი კულტურის სფეროში სამეურნეო-კულტურულ ტიპებს შორის განსხვავება ძირითადად იმ წეს-ჩვეულებებსა, გამომსახველობითი ხელოვნების თავისებურებებსა, რწმენა-წარმოდგენებსა, კულტებსა და ფოლკლორში ვლინდება, რომლებიც შედარებით ნათლად გამოხატავენ შრომისა და ყოფის ფორმებს ამა თუ იმ ლანდშაფტურ პირობებში.

სამეურნეო-კულტურული ტიპების გამოყოფა გარკვეულ როლს თამაშობს, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, განვითარების სხვადასხვა სტადიაში მყოფი ხალხების ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის დროს, რამდენადაც თავად ტიპები, წარმოადგენენ რა ისტორიულ კატეგორიებს, არ შეიძლება არსებითი ცვლილებების გარეშე დარჩნენ. ეს ცვლილებები შესაძლოა იმდენად ღრმა აღმოჩნდეს, რომ ერთსა და იმავე ხალხსა და ერთსა და იმავე ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში ერთი სამეურნეო-კულტურული ტიპის ადგილზე წარმოიქმნას და განვითარდეს სრულიად სხვა ტიპი.

კაპიტალიზმის ეპოქამდე ჩამოყალიბებული სამეურნეო-კულტურული ტიპები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ტიპები, რომლებშიც უპირატეს ეკონომიკურ როლს თამაშობს მონადირეობა, შემგროვებლობა და ნაწილობრივ მეთევზეობა, მეორეში - თოხის (ხელის) მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, მესამეში – გუთნის (სახნავი) მიწათმოქმედება შინაური ცხოველების გამწევი ძალის გამოყენებით. საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ თანამედროვე ხალხებში, შეიძლება შევხვდეთ სამეურნეო-კულტურული ტიპების სამივე ჯგუფს. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ეს ტიპები, ერთ შემთხვევაში, ეკონომიკასა და ყოფაში ასე თუ ისე შესამჩნევ როლს თამაშობენ, სხვა შემთხვევაში შენარჩუნებულია, როგორც გადმონაშთი.

სამწიგნობრო ენა – ენის ნორმირებული, სტანდარტიზებული, კოდიფიცირებული და ყველაზე პრესტიჟული ვარიანტი. იგივეა, რაც სალიტერატურო ენა, სტანდარტი.

სარეწაო კულტები – სამონადირეო, სამიწათმოქმედო, სათევზაო და სხვა რეწვაში წარმატების მოპოვებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ერთობლიობა, დაფუძნებული ანიმისტურ და მაგიურ რწმენა-წარმოდგენებზე. სარეწაო კულტის ელემენტარული სახეობაა სარეწაო მაგიის წესები. მისი მაგალითები მრავალგვარია: ჯადოქრობა სარეწაო ინვენტარზე, კოლექტიური ცეკვები, მაგიური აკრძალვები და სხვ. ყველა ეს ხერხი ძალზე მდგრადია, ბევრმა

თანამედროვეობამდეც კი მოაღწია. სარეწაო კულტი არსებობს არა მარტო პრიმიტიულ ხალხებში, არამედ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ საზოგადოებებში. აღნიშნული კულტი თავდაპირველად გვაროვნული ხასიათისა იყო. გვაროვნული წყობილების დაშლის კვალდაკვალ იგი საოჯახო წეს-ჩვეულებებს შეერწყა. არსებობდა გვართაშორისი სარეწაო მაგიურ-რელიგიური მოქმედებები, დაკავშირებულნი ტოტემიზმთან, რომელშიც ჩართულია წარმოდგენები ადამიანისა და გარემომცველი ბუნების, უწინარესად ცხოველებისა და მცენარეების – ტოტემების – ურთიერთკავშირის შესახებ. საკულტო რიტუალის აუცილებელი მომენტი ტოტემზე მაგიური ზემოქმედება იყო. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სარეწაო კულტის გამოცალკევება, განსაკუთრებულ რელიგიურ ფორმაში მისი გამოყოფა შეიძლებოდა მხოლოდ პირველყოფილი თემის დაშლის პერიოდში დაწყებულიყო. აღნიშნული კულტის ძირითად აზრს სარეწაო რესურსებით გვარის უზრუნველყოფა და მისი მატერიალური კეთილდღეობის შენარჩუნება შეადგენდა. კულტის ამ სახეობას მეცნიერები აკავშირებენ მოკვდავი და აღდგომადი ნადირის შესახებ იდეასთან, რომლის საფუძველზე მონადირეები მოკლულ ნადირზე მაგიურად ზემოქმედებდნენ მისი გაცოცხლების მიზნით. როგორც ითქვა სარეწაო კულტი დაკავშირებულია ანიმისტურ მსოფლმხედველობასთან: არსებობდა იდეები ე. წ. „პატრონ სულებზე“ (მაგალითად, ტყის, მდინარის, მთის, ზღვის სულები), რომლებიც მონადირეს ნადირს უგზავნიდნენ; ესენია ცხოველთა იმ ჯიშის „პატრონები“, რომლებზედაც ადამიანი ნადირობდა. მსგავსი წარმოდგენები განსაკუთრებით განვითარდა ჩრდილოეთ აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, კავკასიის ხალხებში (შდრ.: ქართული წარმოდგენები ნადირთპატრონებზე). ცნობილია სარეწაო კულტში ფართოდ გავრცელებული აკრძალვები: არ შეიძლებოდა ნადირის სახელის წარმოთქმა, ვინმესთვის იმის გამხელა, როდის მიდიოდნენ სანადიროდ, დიდი ოდენობით ცხოველების დახოცვა, მოქმედებდა სქესობრივი ტაბუ და სხვ.

სარკაზმი (ბერძნ. Σαρκάσμος) – ინდივიდის ან მცხოვრების მანკიერი მხარეების, უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების მკაცრი დაცინვა. აქტიურად გამოიყენება პუბლიცისტურ, მხატვრულ და სასაუბრო სტილში.

სატიტულო ენა – ენა, რომლის სახელწოდება თანხვდება (შეესაბამება) ეთნოსის სახელწოდებას.

სახელმწიფო ენა – ძირითადი ენა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო დაწესებულებებში, საქმის წარმოებაში, სამართალწარმოებაში, სხვა ოფიციალურ სტრუქტურებში. სახელმწიფო ენის სტატუსს განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია; ენა, რომელიც მოცემული სახელმწიფოს სიმბოლოა.

სემანტიკა (ბერძნ. Semantikos „მნიშვნელობის მქონე“) – 1. (ლინგვ.). მნიშვნელობა (სიტყვისა, გამოთქმისა, გრამატიკული ფორმისა). 2. იგივეა, რაც სემასიოლოგია.

სემანტიკური ველი – ლექსიკურ-სემანტიკური პარადიგმა, რომელიც აერთიანებს მნიშვნელობებით დაკავშირებულ სიტყვებს.

სემასიოლოგია (ბერძნ. Semasia „მნიშვნელობა“, logos „მოძღვრება“) – ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობას, მის აგებულებას და დროში ცვალებადობას.

სემილექტი (ლათ. semi „ნახევარი“ + ბერძნ. lect) – არასრული იდიომური შედგენილობის მქონე ლექტი; ასეთად მიიჩნევა, მაგალითად, ტექნოლექტი.

სემიოლოგია (ბერძნ. Sema ნიშანი და logos მოძღვრება) – იგივეა, რაც სემიოტიკა.

სემიოტიკა (ბერძნ. sēmeiotikon < sēmeion „ნიშანი“) – დისციპლინა, რომელიც იკვლევს ნიშანთა სისტემების ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებას. მისი შესწავლის ობიექტია ყველანაირი ტიპის ნიშანი.

სემიტური ენები – აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე გავრცელებული მონათესავე ენები, რომელთა ისტორია 6 ათას წელს მოიცავს. ამათგან ნაწილი – აქადური, ამორეული, ფინიკიური, უგარითული, არამეულისა და ეთიოპიურის რიგი დიალექტები – უკვე მკვდარ ენად ითვლება. სემიტური ენები ორ ჯგუფად იყოფა – აღმოსავლურად და დასავლურად. სემიტურ ენათაგან ევროპაში ყველაზე ადრე დაიწყეს ებრაულის, როგორც დაბადების (ბიბლიის) ენის, შესწავლა. ებრაულის უძველეს ძეგლად მიჩნეულია დებორას საგალობელი მსაჯულთა წიგნიდან (მიახლოებით X ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ამჟამად ყველაზე გავრცელებულია არაბული ენა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი სამწერლო ენა აქვს. უძველესი დოკუმენტი – წარწერა საფლავის ქვაზე – თარიღდება ჩვ. წ.-აღის 328 წლით.

სვანური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფის ენა, გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ რეგიონში, მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში, ენგურის, ცხენისწყლის და კოდორის ხეობებში. სვანური ენა იყოფა შემდეგ დიალექტებად: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული (ამ უკანასკნელზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანი აზრია გამოთქმული). დიალექტებად დაყოფის ძირითადი საფუძველია სვანური სპეციფიკური ხმოვნების – უმლაუტიანი, გრძელი, გრძელი უმლაუტიანის განაწილება (სვანური 18 ხმოვანს ითვლის). სვანური ენის დიალექტები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება. განსხვავება, პირველ ყოვლისა, ფონეტიკაში იგრძნობა („გრძელი ხმოვნები“, უმლაუტი, ხმოვანთა ამოღება, ე. ი. ფუძეთა შეკვეცა თუ უკვეცელობა); შემდეგ მოდის სხვაობა ბრუნება-უღვლილებასა და ლექსიკაში. სვანურის შემადგენლობაში გამოირჩევა: ზანური ფენა, ადიღეური (ჩერქეზული) ფენა, ძველი ქართულის დამახასიათებელი ერთი ფენა. ქართველურმა საწყისმა გაიმარჯვა ადიღურზე. სვანურ ენას ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ მას ძველი ქართული თუ შეედრება. იუნესკოს მიერ სვანური ენა შეტანილია საფრთხეში მყოფ ენათა ატლასში.

სიმეტრიული ბილინგვიზმი – ორენოვნების ტიპი, რომელშიც ბილინგვის მიერ გამოყენებული ენები ფუნქციურად თანაბარია.

სიმილექტი (ლათ. similis „მსგავსი“ + ბერძნ. lect) – ენის ნაირსახეობა, რომელიც შეისწავლეს და რომელზეც საუბრობენ სხვა დედაენის მქონე ადამიანები. ამგვარ სამეტყველო ნაირსახეობას აშკარად ატყვია მოსაუბრეთა დედაენის გავლენა.

სინონიმი (ბერძნ. Synonymos) – სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით სხვა სიტყვას ემთხვევა ან ძალიან უახლოვდება, ბგერითი შემადგენლობით კი განსხვავდება მისგან (მაგ., „ლამაზი“ და „მშვენიერი“, „პატარა“ და „მცირე“).

სინონიმი სრული – იდენტური მნიშვნელობის სიტყვები.

სინონიმია (ბერძნ. Synonymia „ერთსახელიანობა“) – (ლინგვ.). სხვადასხვა სიტყვის მსგავსება მნიშვნელობის მიხედვით.

სინონიმიკა – 1. ამა თუ იმ ენის სინონიმთა ერთობლიობა. 2. ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც სინონიმებს სწავლობს.

სინოფსისი (ბერძნ. σύνωνοπσίς მიმოხილვა) – 1. გარკვეულ, კონკრეტულ საკითხზე, თემაზე მასალების შეგროვება-განხილვა; 2. გამოუქვეყნებელი ნაშრომის მოკლე მიმოხილვა.

სიონიზმი – ნაციონალისტური იდეოლოგიის სახესხვაობა, დაკავშირებული მათი შორეული წინაპრების მიწაზე, „აღთქმულ მიწაზე" – სიონის მთაზე (ამჟამად ისრაელის სახელმწიფოში) „ყველა ებრაელის" გადასახლების იდეასთან. სიონისტები ამტკიცებენ, რომ მთელი მსოფლიოს ებრაელები შეადგენენ „მსოფლიოს ევროპულ ერს" – სრულიად განსაკუთრებულ ექსტერიტორიულ წარმონაქმნს. სიონიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული იუდაიზმის რელიგიურ სწავლებასთან.

სიონიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, XIX საუკუნის ბოლოს წარმოიქმნა. მისი ძირითადი კონცეფციები ჩამოყალიბდა ავსტრიელი ჟურნალისტის, გ. გერცელის, ბროშურაში „ევრაზიული სახელმწიფო" (1896 წ.), რომელშიც განსაკუთრებული ებრაული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა მოწოდებული იყო, როგორც ებრაული საკითხის ერთადერთი გადაწყვეტა. ამასთან ერთად, XIX საუკუნის დასასრულს წარმოიქმნა „სულიერი სიონიზმი", რომელმაც რელიგიურ-მისტიკური პოზიციებიდან ყველა ებრაელი უკვე არსებულ „ერთიან, განსაკუთრებულ, სულიერ ერად" გამოაცხადა. 1897 წელს სიონისტთა პირველ კონგრესზე დაფუძნდა მსოფლიოს სიონისტური ორგანიზაცია. დღეისათვის მას თავისი ფილიალები აქვს 60 ქვეყანაში; შტაბ-ბინები – ისრაელსა და აშშ-ში.

სიონიზმის იდეოლოგიური დოქტრინა იუდაიზმის რელიგიურ დოგმებისა და უკიდურესი ნაციონალიზმის, სოციალ-შოვინიზმის შეხამებაა. იგი ებრაელი ხალხის „განსაკუთრებულობიდან", სხვა ხალხებზე მისი რასობრივი და კულტურული „უპირატესობიდან" ამოდის. სიონისტები აცხადებენ, რომ „ებრაელი ერი" - ყველაზე გამოჩენილი კაცობრიობის ისტორიაში, „რჩეული ერის" (ღვთისგან რჩეულის) ბეჭედს ატარებს, ისტორიაში „უნიკალურ როლს" ასრულებს და ა. შ. პოლიტიზებულ და იუდაიზმის მოდიფიცირებულ დოგმატებთან ერთად, სიონიზმის იდეოლოგიის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დოგმა „სამუდამო ანტისემიტიზმზე", რომელიც, თითქოს, ყველა ხალხს ახასიათებს. ებრაული საკითხის „გადაწყვეტის" სახით სიონიზმი აცხადებს ებრაელთა კონსოლიდაციას სიონისტური დროშის ქვეშ და მათ გადასვლას ისრაელში. სიონიზმი, როგორც სხვა ნებისმიერი ნაციონალიზმი, არათუ წყვეტს, არამედ ამწვავებს ნაციონალურ საკითხს.

სიტუოლექტი (ლათ. situatio „მდგომარეობა" + ბერძნ. lect) – სიტუაციური ფაქტორებით განპირობებული და მოცემული კულტურის ნორმებზე დაფუძნებული ვარიანტი ენისა.

სლავური ენები – ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი ჯგუფი. იყოფა სამ – აღმოსავლურ, დასავლურ და სამხრეთ სლავთა ენების შტოდ. აღმოსავლურ შტოს შეადგენს რუსული, უკრაინული და ბელორუსული; დასავლურსლავურს – პოლონური, ჩეხური, სლოვაკური, სორბული, კაშუბური, სლოვინცური და პოლაბური ენები, ხოლო სამხრეთსლავურს – ბულგარული, მაკედონური, სერბული,

ხორვატული, ბოსნიური, ჩერნოგორული და სლოვენური ენები. ბულგარული ენის ერთ-ერთ დიალექტზე კირილემ და მეთოდემ თარგმნეს საღმრთო წერილი და სამღვდელმსახურო წიგნები IX საუკუნეში. ამ თარგმანთა ენას ეწოდება ძველი სლავური ენა.

სლენგი (ინგლ. slang) – 1. იგივეა, რაც ჯგუფური ჟარგონი; 2. იგივეა, რაც ახალგაზრდული ჟარგონი; 3. ჟარგონების ნაკრები, რომლებიც ქმნიან სასაუბრო ლექსიკის ფენას, ასახავს უხეშად ნაცნობ, ზოგჯერ იუმორისტულ დამოკიდებულებას მეტყველებისადმი. იგი ძირითადად გამოიყენება მარტივი კომუნიკაციის პირობებში.

სომხური ენა – ინდოევროპული ოჯახის ერთ-ერთი დამოუკიდებელი განშტოება. გამოყოფენ დიალექტთა ორ ჯგუფს: **აღმოსავლურსა** და **დასავლურს.** აღმოსავლურ ჯგუფს ქმნის სომხეთის მიწა-წყალზე (თუ სხვაგან) ხმარებული სომხური. დასავლურ ჯგუფს თურქეთში მცხოვრებ სომეხთა მეტყველება განეკუთვნება. აქვს უძველესი დამწერლობა, რომელიც IV-V საუკუნის მიჯნაზე შექმნა მესროპ მაშტოცმა. ძველი სომხური იწოდება „გრაბარ“-ად („სამწერლო ენა“); მას უპირისპირდება ახალი სომხური, „აშხარაბარ“ („ხალხური ენა“).

სორორატი (ლათ. soror – და) – ქორწინების სახეობა, რომლის დროსაც მამაკაცი ერთდროულად ან რიგრიგობით ქორწინდება ცოლის რამდენიმე დაზე ან ბიძაშვილზე, როგორც მეუღლის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ. ფართოდ იყო გავრცელებული არქაულ და ტრადიციულ საზოგადოებებში სასურველი ან სავალდებულო ნორმის სახით. მიიჩნევა, რომ სორორატი დაკავშირებულია საცოლის სყიდვის ტრადიციასთან: ცოლის სიკვდილი, რომლისთვისაც გამოსასყიდია გადახდილი, მისი ნათესაური ჯგუფის მიერ უნდა იყოს ანაზღაურებული, განსაკუთრებით მაშინ, თუ გარდაცვლილს შვილები არ დარჩა. ადრე სორორატი აიხსნებოდა როგორც ჯგუფური ქორწინების გადმონაშთი, აგრეთვე, – როგორც პოლიგინიის (იხ.) ფორმა.

სორორატული ქორწინება დღესაც პრაქტიკაშია ჩრდილოამერიკელი ინდიელების ზოგიერთ ტომებში, ასევე, ინდოეთის ხალხებში. რიგ კულტურებში სორორატი დაშვებულია იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი ცოლი უნაყოფო აღმოჩნდება. ასეთ ვითარებაში გაჩენილი ბავშვები პირველი ცოლის შვილებად ითვლებიან.

ტერმინი „სორორატი“ მიმოქცევაში შემოიტანა ბრიტანელმა რელიგიათმცოდნემ და ეთნოლოგმა ჯ. ფრეზერმა.

სორორატული პოლიგინია – იხ. პოლიგინია.

სოციალური ანთროპოლოგია - სამეცნიერო მიმართულება ეთნოლოოგიაში, რომლის შესწალის ობიექტს წარმოადგენს პრიმიტიული და ტრადიციული საზოგადოებრივი სისტემები. სოციალური ანთროპოლოგია, როგორც განსაკუთრებული თეორიული დისციპლინა თავისი საგნითა და მეთოდოლოგიით ჩამოყალიბდა ინგლისში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევოლუციონიზმთან დაპირისპირების დროს, რომელსაც ფ. ბოასის ე. წ. ისტორიული სკოლა აწარმოებდა. ტერმინი „სოციალური ანთროპოლოგია“ პირველად ჯ. ფრეზერმა გამოიყენა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში სოციალური ანთროიპოლოგიის კვლევის ძირითად ობიექტებად პრიმიტიული საზოგადოებები მიიჩნეოდა. ამ მიმართულების თანამედროვე კონცეპტუალური საფუძვლები შეიმუშავეს უ. რივერსმა,

ა. რადკლიფ-ბრაუნმა, ბ. მალინოვსკიმ, რომლებმაც ეთნოლოგიური კვლევების წინა პლანზე კულტურების შესწავლა წამოწიეს,

XIX საუკუნის დასასრულს პრიმიტიული საზოგადოებების მასიური გაქრობის შედეგად წარმოიქმნა გამოყენებითი ანთროპოლოგია, რომელიც სწავლობდა პრიმიტიული ტომების ბედსა და მათი გადარჩენის პრაქტიკული ღონისძიებების შესაძლებლობას თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში. გაირკვა, რომ პირველყოფილი ტომების გაქრობა ნიშნავდა არა მათ ფიზიკურ განადგურებას, არამედრთულ პროცესებს შედარებით მსხვილ ეთნოსებში შესვლის, ადაპტაციისა და ასიმილაციის, სადაც ამ ტომებს უმცირესობის ან მარგინალური ერთობის სტატუსს ანიჭებდნენ. დღეისათვის სოციალური ანთროპოლოგიის მთავარ საგანია ადამიანთა საზოგადოებებისა და მათი კულტურების ფორმირების პროცესების კვლევა. ამერიკული ანთროპოლოგიისგან განსხვავებით, სოციალური ანთროპოლოგიის კვლევებში ლინგვისტიკა და არქეოლოგია არ არის ჩართული.

სოციალური დიალექტი (სოციოლექტი) (ინგ. sociolect, ლათ. socio- „სოციალური“, lect „მეტყველების ნაირსახეობა“) – ენის ნაირსახეობა, რომელიც გამოიყენება გარკვეულ სოციალურ (პროფესიულ, ასაკობრივ) ჯგუფში. სოციალური დიალექტი მოიცავს ენის ისეთ სახეობებს, როგორიცაა 1) პროფესიული ჟარგონი, 2) სხვადასხვა ჯგუფის ჟარგონი. სოციალურ დიალექტს ახასიათებს სპეციფიკური სახელები (სიტყვები, ფრაზები) და სინტაქსური კონსტრუქციები.

სოციოლემა – ერთ ენაზე მეტყველი სოციალური საზოგადოების (გვარის, ტომის ეროვნების, ერის) მიერ გამოყენებული ლექსიკური ფორმა.

სოციოლინგვისტიკა (ლათ. socialis საზოგადოებრივი + ლინგვისტიკა)– ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს საზოგადოების ერთი რომელიმე ან ზოგადად ყველა ასპექტის გავლენას მეტყველებაზე. სოციოლინგვისტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორ იცვლება მეტყველება გარკვეული სოციალური ცვლადების (ეთნიკურობა, რელიგია, სქესი, საზოგადოებრივი სტატუსი, განათლების დონე და ა.შ.) მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებს შორის. მეტყველება იცვლება როგორც დიალექტის, ასევე სოციალური კლასების მიხედვით.

სოციოლინგვისტური ზონა – ტიპოლოგიურად მსგავს კომუნიკაციურ საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც ემთხვევა, არ ემთხვევა სახელმწიფო საზღვრებს.

სოციოსემანტიკა – სოციოლინგვისტიკისა და სემანტიკის მომიჯნავე დისციპლინა, რომელიც იკვლევს სიტყვის სემანტიკაზე სოციალურ გავლენას; გამოიხატება სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკურ სტრუქტურასა და სიტყვების სემანტიკური შეერთების წესებში.

სოციოსტილისტიკა – სოციოლინგვისტიკისა და სტილისტიკის მომიჯნავე დისციპლინა, რომელიც ეხება სტილისტურ ფენომენებსა და მათ მოლაპარაკეების სოციალურ მახასიათებლებს შორის სტაბილური კორელაციების იდენტიფიცირებას და შესწავლას, ისევე როგორც კომუნიკაციური აქტის სხვა პარამეტრებს.

სოციოფონეტიკა – სოციოლინგვისტური კვლევის მიმართულება, რომელიც სწავლობს სოციალურ-ფონეტიკურ კავშირებსა და დამოკიდებულებებს.

სოციუმი (ლათ. socium – საერთო, ერთობლივი) – დიდი მდგრადი სოცი-

ალური ერთობა, რომელიც ხასიათდება ადამიანთა ცხოველქმედითობის პირობების ერთიანობითა და საერთო კულტურით. სოციუმის უმაღლესი ფორმაა – საზოგადოება, როგორც ერთიანი სოციალური სისტემა. სოციუმის სხვა სახეობებია – საოჯახო-ნათესაობითი, სოციალურ-კლასობრივი, ეროვნულ-ეთნიკური და სხვა ერთობები. ნებისმიერი სოციუმი წარმოადგენს მთლიანობას, რომელიც დაფუძნებულია მასში შემავალ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის საქმიანობის გაცვლაზე, გვევლინება სხვა სოციალურ ერთობებთან ურთიერთდაკავშირებული შედარებით ავტონომიური წარმონაქმნის სახით. მოცემული სოციუმის ჩარჩოებში მისი შემადგენელი ჯგუფებისა და ინდივიდების საქმიანობა რეგულირდება ტრადიციით განმტკიცებული სოციალური ნორმებით, იურიდიული ან ძალის მქონე მორალური ჯეროვნობით. ცნება „სოციუმი“ გამოიყენება სოციალურ-კულტურული მთლიანობის, ინდივიდთა ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების დახასიათებისთვის.

სოციუმის ეთნონაციონალური ფორმებია გვარი (გენსი), ტომი, ერი. უმაღლეს სოციალურ-ეთნიკურ ერთობას წარმოადგენს ერი. თუ ერისწინარე სოციუმები ოჯახურ-ნათესაობით, ეთნიკურ ნიადაგზე ყალიბდება, ერი სოციალურ-ეკონომიკურ და სახელმწიფო-პოლიტიკურ საფუძველზე ფორმირდება. ერში, როგორც სოციუმში, გადამწყვეტი როლი სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებს ეკისრებათ.

სპეციალური ენა – ენის ქვესისტემა, რომელიც ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლების მიერ გამოიყენება თავიანთ პროფესიულ სფეროში მოღვაწეობის პროცესში.

სპეციალური ლექსიკა – 1. ცოდნისა ან საქმიანობის გამომხატველ სიტყვათა და ფრაზათა ერთობლიობა: ა. ტერმინები; ბ. პროფესიული ლექსიკა; 2. იგივეა, რაც ტერმონოლოგია.

სრული სინონიმი – იდენტური მნიშვნელობის სიტყვები.

სტანდარტი (ენობრივი სტანდარტი) (ძვ. ფრანგ. estandart „მტკიცედ დგომა“) – ენის ნორმირებული და კოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც აღიარებულია მის მატარებელთა უმრავლესობის მიერ და გამოდის ნიმუშის როლში. იგივეა, რაც სამწიგნობრო ენა, სალიტერატურო ენა.

სტრუქტურული ანთროპოლოგია - სამეცნიერო მიმართულება ეთნოლოგიაში, შექმნილი ფრანგი ანთროპოლოგისა და ეთნოლოგის კლოდ ლევი-სტროსის მიერ პირველყოფილი კულტურის კვლევის საფუძველზე. კულტურული ანთროპოლოგიის ძირითადი მიზანია პირველყოფილი ლოგიკისა და სიმბოლიკის შეცნობა, რაც აზროვნებისა და აზრობრივი სქემების კანონზომიერებაში ვლინდება. ამის შესაბამისად კულტურა შეისწავლება, როგორც მრავალდონიანი სტრუქტურა მისი გარეგანი და შინაგანი კავშირების ერთობლიობაში, აღიწერება რა სემიოტიკის საშუალებით. ყოველი კულტურული მო- ვლენა ანალიზდება სინქრონულ სოციოკულტურულ გარემოში მისი მრავალვარიანტულობის გათვალისწინებით. ასეთი მეთოდის შედეგი ხდება „სტრუქტურის მოდელირება“, რომელიც შესაძლებლობას ქმნის განისაზღვროს მოვლენათა ფარული ლოგიკა. ლევი-სტროსის კონცეფციის საფუძველია სტრუქტურული ლინგვისტიკის მეთოდის გამოყენება სიმბოლოთა სისტემის აღსადგენად, სისტემისა, რომელიც კულტურის სტრუქტურას მისი ელემენტების მრავალგვარობით გამოხატავს.

ლევისტროსმა შეძლო გადაელახა ეთნოგრაფიის ემპირიზმი და სტრუქტურული ანთროპოლოგია ექცია სპეციფიკურ სამეცნიერო დარგად, რომელიც ინფორმატიკის, ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის, მათემატიკური ლოგიკის მკაცრ და ზუსტ მეთოდებს ეფუძნება.

სტუმარმასპინძლური ჰეტერიზმი – მამაკაცის უფლება თავის პოტენციურ ცოლებზე სხვა გვარში მისი მისვლისას, ხოლო შემდგომ განვითარებაში – სტუმრის უფლება მასპინძლის ცოლზე ან ქალიშვილზე. ეს ჩვეულება დაფიქსირებულია თითქმის მთელ მსოფლიოში, შუასაუკუნეების ევროპის ჩათვლით.

სუბეთნონიმი – სუბეთნოსის (ეთნიკური χგუფის) აღმნიშვნელი.

სუბეთნოსი (ლათ. sub – ქვეშ + ბერძნ. ethnos – ხალხი) – ეთნოსის ნაწილი, რომელიც კომპაქტურად ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე და რომელსაც გააჩნია კულტურული და ენობრივი სპეციფიკა და საერთოეთნიკური თვითშეგნება. ეთნოსის შიგნით სუბეთნოსი გამოიყოფა თავისი ქცევის სტერეოტიპით და თავს უპირისპირებს.

სუბკოდი (ლათ. sub- „ქვე-“ + codex „კანონთა კრებული“) – 1. ენის მრავალსახეობა, „კოდზე“ დაბალი დონის საკომუნიკაციო ქვესისტემა. სალიტერატურო ენა აღიწერება, როგორც „სუბკოდი“ ეროვნულ ენასთან („კოდთან“) მიმართებაში, მაგრამ სალიტერატურო ენის ქვესახეობების – წერილობითი, წიგნიერი, სასაუბრო-ლიტერატურული ფორმების – აღწერისას ეს უკანასკნელები განიხილება, როგორც სუბკოდები და ლიტერატურული ენა არის კოდი. 2. ენის არსებობის ფორმა (ფართო გაგებით).

სუბლექტი (ლათ. sub- „ქვე-“ + lect) – ენის ესა თუ ის ნაირსახეობა, როგორებიცაა კილოკავი, თქმა, ქცევა.

სუბსტრატი (ლათ. Substratum – ძირი, საფუძველი) – 1. ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის ენა, მეტყველება; 2. მკვიდრი მოსახლეობის ენობრივი თავისებულების კვალი არამკვიდრი, შემოსული ხალხის მეტყველებაში.

სუბსტრატული ტოპონიმი – უცხოენოვანი ტოპონიმის სახეობა“ ადრინდელი /სხვა ან მონათესავეენოვანი/ მოსახლეობის მიერ შექმნილი გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც შეითვისა ამ რეგიონში შემდეგ მოსულმა და დამკვიდრებულმა ეთნოსმა. სუბსტრატული ტოპონიმი ხშირად ისეა გათავისებული მიმღები ენის მიერ, რომ მისი „უცხოობა“ არც იგრძნობა.

სუპერეთნონიმი – სუპერეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინი.

სუპერეთნოსი – (ლათ. super - ზე + ბერძნ. ethnos - ხალხი) - რამდენიმე ეთნოსისგან შემდგარი ეთნიკური სისტემა, რომელიც წარმოიქმნება პოლიეთნიკური სახელმწიფოს საზღვრებში ან ერთ რეგიონში კულტურულ-ისტორიული ერთობის ბაზაზე. ლ. გუმილიოვის მიერ შემოტანილი ტერმინ „სუპერეთნოსის“ გამოჩენამდე, ასეთი სახეობის მთლიანობას „ცივილიზაციას“, „კულტურას“ ან „სამყაროს“ უწოდებდნენ (მაგალითად, „ისლამური სამყარო“, „ბიზანტიური კულტურა“, „ბრიტანული ცივილიზაცია“). სუპერეთნოსის ერთიანობა ვლინდება საერთო მენტალობაში, რომლითაც სხვადასხვაგვარი ეთნოსები კონსოლიდირდებიან. ამიტომ სუპერეთნოსი განასახიერებს იდეურ-ზნეობრივ და კულტურულ მთლიანობას, რომლის არსი გაცილებით ღრმად დევს, რამდენადაც საუბარია, აგრეთვე, სუპერეთნოსის შიგნით ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ურთიერთობის შესახებ.

სუპერეთნოსის ბირთვია ეთნოსთა ჯგუფი, რომელიც ერთ რეგიონში წარმოიქმნა და ეთნიკური დომინანტის გარშემოა გაერთიანებული (მაგალითად, VI საუკუნეში ისლამის საფუძველზე ჩამოყალიბებული არაბული სუპერეთნოსი; ბიზანტიაში გამაერთიანებელი საწყისის როლი მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ ითამაშა). შემდგომში უკვე ჩამოყალიბებული სუპერეთნოსის ორბიტაში შესაძლოა ჩართულ იქნან სხვა გენეზისის მქონე ხალხები.

სუპერეთნოსს ახასიათებს დივერგენცია, ანუ დაყოფა რამდენიმე ეთნოსად. მისი იდეურ-კულტურული ტრადიციები შესაძლოა, შემდგომშიაც შენარჩუნდეს, გადაეცეს სხვა ახალგაზრდა ეთნოსებს და მიიღოს ახალი ფორმები.

სუპერეთნოსის მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ტიპის ერთობები - „ამერიკელი ხალხი“, „ინდოელი ხალხი“. სუპერეთნოსი უნდა განვასხვაოთ მეტაეთნიკური ერთობისგან.

სუპერსტრატი (ლათ. Superstratum) – 1. ახალმოსულთა ენა, რომელიც ვერ ანაცვლებდა ადგილობრივი მოსახლეობის ენას, მაგრამ ამ უკანასკნელში მეტ-ნაკლებად მკაფიო კვალი დატოვა ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე. უცხო ენის ელემენტების ადგილობრივ ენაში შეღწევა მოხდა ეთნიკური შერევისა და მეტ-ნაკლებად ფართო და გახანგრძლივებული ბილინგვიზმის შედეგად. 2. ენობრივი სისტემის მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც არ არის მიღებული ენის განვითარების შინაგანი კანონებიდან და აიხსნება მოცემულ ენაში ახალმოსული ეთნიკური ჯგუფების ენის დაშლის შედეგად, ხშირად თავდაპირველი მოსახლეობის მიერ ათვისებული. სუპერსტრატი ვლინდება უპირველეს ყოვლისა ფონეტიკასა და გრამატიკაში, ლექსიკაში, როგორც წესი, ძნელია მისი განსხვავება ნასესხებისაგან.

ტ

ტაბუ, ტაპუ (პოლინეზ. აკრძალვა) - დანაწესი, რომელიც გარკვეული საგნების, ცხოველების, ადამიანების, სიტყვების, მოვლენების მიმართ ქმედებების მკაცრ აკრძალვაში გამოიხატება. თავის „კლასიკურ“ ფორმაში ტაბუს სისტემას მოგზაურები და ეთნოგრაფები პირველად პოლინეზიაში გაეცნენ. მოგვიანებით მისი ანალოგები სხვა ქვეყნებსა და ხალხებშიც გამოვლინდა.

ყოველ ეთნოსში, როგორც სოციალურ-კულტურულ წარმონაქმნში, გარკვეული წესებისა და ნორმების თანაარსებობის სისტემა მოქმედებს, შესაბამისად, ყალიბდება რიგი აკრძალვა - ტაბუ. ადგენს რა დაშვებულსა და დაუშვებელს შორის ზღვარს, ტაბუ ზემოქმედებს ცხოვრების წესსა და ეთნოსაზოგადოების თითოეული წევრის ქცევებზე. ისტორიულად და ტრადიციულად დადგენილი ნორმების დამრღვევი ადამიანები ხშირად საზოგადოების ჩარჩოებს მიღმა რჩებიან. არის აკრძალვები, რომლებიც მხოლოდ ერთი კონკრეტული ეთნოსისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ არის, აგრეთვე, უნივერსალური, მთელი კაცობრიობისათვის აქტუალური ტაბუც. ეთნოსის აკრძალვების სისტემაში ხდება გადახრები, რაც შესაძლოა მკაცრი დასჯის, გაკიცხვის, ზიზღის, დაცინვის, საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობის შესაძლებლობის დაკარგვის, აგრეთვე, ნაწილობრივი ან სრული მარგინალიზაციის მიზეზი გახდეს.

ტაბუს კლასიკურ კვლევებს ზ. ფროიდის, ფ. შტაინერის, ჯ. ფრეზერის ნაშრომები განეკუთვნება. თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში ინტენსიურად მიმდინარეობს ტაბუს ანთროპოლოგიური, ეთნოსოციალური, ლინგვისტური და სხვა ასპექტების შესწავლა.

ეთნოსის კულტურულ-ისტორიული განვითარების სპეციფიკა აკრძალვათა სისტემაზეც აისახება. ტაბუ ერთი ეთნოსისათვის შესაძლოა არ იყოს აქტუალური სხვა ხალხისთვის, ასევე შეიძლება განსხვავდებოდეს დასჯის ხარისხი დარღვევისათვის. ძველი, ტრადიციული (თავდაპირველი) ტაბუსთვის დამახასიათებელია რელიგიური საფუძველი, რაც გულისხმობს აკრძალვას გარკვეულ ქმედებებზე, რომლის ჩადენა არ შეიძლება, რათა დამრღვევს ან მის ახლობლებს უბედურება არ დაატყდეს. სამეცნიერო ლიტერატურაში ტაბუ ხასიათდება, როგორც არამოტივირებული ანუ რაციონალური თვალსაზრისით დაუსაბუთებელი აკრძალვა, მეორე მხრივ, – როგორც კატეგორიული ანუ უპირობო. მოტივაციის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება, მაგრამ აკრძალვის ძალა თანამედროვე ეთნოსების ქცევის კოდექსის რეგლამენტაციაშიც შეიმჩნევა.

სხვადასხვა კვლევებში ტაბუს ცნება, ისევე როგორც რიტუალისა, ფართო და ვიწრო აზრით გამოიყენება. ფართო აზრით ტაბუ მოიცავს ყველა არსებულ აკრძალვას, აგრეთვე, გენეტიკურად მონათესავე მოვლენას, ვიწრო გაგებით კი ტაბუ, როგორც წესი, მხოლოდ აკრძალვათა კერძო სახეობაა, რომლის დანარჩენი ვარიანტები წარმოადგენენ შემდგომ ფორმალურ-ლოგიკურ გრადაციას. მაგრამ თანამედროვე მკვლევართა აღნიშვნით, ტაბუს ფენომენი უნდა გაიმიჯნოს მონათესავე კულტურული მოვლენებისგან, კერძოდ, ცრურწმენების, აღთქმების, რჩევების, რეგლამენტაციებისა და სხვა მსგავსი ფენომენებისგან, რისთვისაც შემოთავაზებულია კრიტერიუმების კომპლექსი. მათ შორის ყველაზე არსებითი – ესაა დისკურსიული რელატივიზმის არარსებობა; კატეგორიულობის/დავალდებულების ხარისხი აკრძალვის უპირობო შესრულების შემთხვევაში; კულტურული დეტერმინაციის სპეციფიკურობის არსებობა; ფორმალური კოდიფიკაციის არარსებობა. საკუთრივ აკრძალვებისაგან, რომლებიც ხშირად ზოგადი ხასიათისაა, ტაბუ უწინარესად გამოხატული კულტურული სპეციფიკით გამოირჩევა. გარდა ამისა, იგი საკრალურობის აუცილებელ ელემენტს შეიცავს.

ეთნოსოციალურ სივრცეში მოქმედი ტაბუ გრძნობითი აღქმის მიხედვით შეიძლება ტაქტილურ (მაგალითად, უცხო ქალის შეხების აკრძალვა არაბულ საზოგადოებებში), ვიზუალურ (მაგალითად, ისეთი სამოსის ტარება, რომელიც უცხოთაგან ხელებს, ფეხებს, სახეს არ მალავს), „გემოვნურ“ (მაგალითად, ღორის ხორცის ჭამა და ალკოჰოლური სასმელების გამოყენება მუსლიმებში; მარხვის დროს ხორცისა და რძის პროდუქტების გამოყენება ქრისტიანებში) აკრძალვებად დაიყოს. დარგის სპეციალისტები გამოყოფენ ტაბუს თემატურ სახეობებს, დაკავშირებულს რელიგიასთან, სიკვდილთან, დაბადებასთან, მძიმე და უკურნებელ სნეულებებთან, ნათესაურ, საქორწინო, ინტიმურ ურთიერთობებთან, აგრეთვე, ესთეტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და სხვა სფეროებთან. ცალკე ჯგუფად გამოიყოფა კომუნიკაციური (ლექსიკური) ტაბუ – ევფემიზმები.

ტაბუირებული (საკუთარი) სახელი – საკუთარი სახელი /ჩვეულებრივ, ან-

თროპონიმი, თეონიმი, მითონიმი/, რომლის წარმოთქმაც აკრძალულია რელიგიურ თუ მისტიკურ რწმენასთან დაკავშირებით. მის ნაცვლად სხვა სახელს არქმევენ.

ტაოური – საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ არსებული დიალექტი, გავრცელებული იყო ჭოროხისა და მისი შენაკადების – ბანისწყლის, ოლთისისწყლის და თორთუმისწყლის ხეობებში საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. თანამედროვე თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფით, ტაო შედის ართვინისა და ერზრუმის ილებში (გუბერნიებში) და იყოფა შვიდ ილჩედ (რაიონად): ართვინის ილი - იუსუფელის რაიონი; ერზრუმის ილი - ოლურის, შენქაიას, ოლთისის, უზუნდერეს, თორთუმისა და ნარმანის რაიონები. ტაოური აჭარულთან, შავშურთან და კლარჯულთან ერთად ქმნის ქართული ენის სამხრულ დიალექტთა ჯგუფს. ძველი წყაროებით ტაო ორ ნაწილად იყოფოდა – ამიერტაო და იმიერტაო. ძველად ტაოს ქვეყანა დასახლებული იყო ქართული ტომით – ტაოელებით (ისტორიული წყაროებით - ტაოხები...), რომელთა შთამომავლების მეტყველებაა ტაოური დიალექტი. ოდესღაც ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტის ნაშთებიღა გადარჩენილა ამიერტაოს რამდენიმე მცირე სოფელში, რომელიც თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით სამ სამამასახლისოში, სამუხტროშია გაერთიანებული. ქართული მეტყველება ისმის ასევე ჩევრელში (რომლის ერთი უბანი – გივითი ქუაბაგიდან გადმოსახლებულებითაა დასახლებული) და ბინათში – კლარჯეთისა და ტაოს სასაზღვრო სოფელში. საუკუნის წინ, როცა ამ მხარეში ექსპედიცია მოაწყო ექვთიმე თაყაიშვილმა, ქართულად მოლაპარაკე ტაოური სოფლების რაოდენობა მეტი ყოფილა, ქართული ისმოდა ოთხთა ეკლესიაში, ჭიმჭიმში, ტაოსკარში, იშხანში, შესაბამისად, ფართო იყო ტაოური კილოს გავრცელების არეალიც.

ტაპანთური – აბაზური ენის დიალექტი. გავრცელებულია ყარაჩა-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში. ნაწილობრივ – 1864 წელს თურქეთში გადასახლებულ აბაზათა შორის. ტაპანთურ დიალექტზე მეტყველებს აბაზათა უმრავლესობა. ტაპანთურის ყუბინაელბურგანის კილოკავი (შედარებით მარტივი ფონემატური სტრუქტურისა) უდევს საფუძვლად აბაზურ სალიტერატურო ენას.

ტელეგრაფიული მეტყველება (Telegraphic speech) – მოკლე გზავნილი, რომელიც ხასიათდება სამსიტყვიანი მოკლე ფრაზების ან წინადადებების გამოყენებით, რომლებიც შედგება ძირითადი შინაარსის სიტყვებისგან. ტელეგრაფიულ მეტყველებაში გარკვეული სიტყვების და გრამატიკული მორფემების გამოტოვება ჰგავს იმას, რაც ჩვეულებრივ ჩანს მოკლე დეპეშაში, აქედან გამომდინარეობს ტერმინიც ტელეგრაფიული მეტყველება. ტელეგრაფიული მეტყველება განვითარებულია, როდესაც ბავშვი გადადის ენის განვითარების ორსიტყვიან, ურთიერთობით სტადიას და იწყებს უფრო გრძელი, სამსიტყვიანი წინადადებების გამოხატვას გრამატიკული კატეგორიების, როგორიცაა: არსებითი სახელი, ზმნები და ზედსართავი სახელები..., მეტ-ნაკლებად გამოყენებით.

ტერიტორიული დიალექტი – ენის ნაირსახეობა, რომელიც წარმოიქმნება ენის მატარებელთა იზოლაციის შედეგად.

ტერმინი (ლათ. terminus - ტერმინი < ლათ. terminus „ზღვარი, საზღვარი“) – სიტყვა (ან შესიტყვება), რომელსაც იყენებენ რომელიმე სპეციალური დარგის ცნების ან სპეციალური საგნის აღსანიშნავად.

ტერმინოლოგია (ტერმინი და ბერძნ. logos მოძღვრება) – მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რაიმე დარგში ხმარებულ ტერმინთა ერთობლიობა.

ტექნოლექტი (ბერძნ. techne „ხელობა, ხელოვნება“ + lect) – ამა თუ იმ დარგისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიური ლექსიკა.

ტინდიური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენა. ტინდიელები მოსახლეობენ დასავლეთ დაღესტნის მაღალმთიან რეგიონში. ტინდი (იდარი / იდი), ანღიდა, აქნადა, ეჩედა, თისი. სოფლების (ტინდი (იდარი / იდი), ანღიდა, აქნადა, ეჩედა, თისი) მონათესავე ენებთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო მას ბაგვალურის დიალექტადაც განიხილავენ. გადაშენების პირას მყოფი ენაა.

ტომთა კავშირი – საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის ფორმა, წარმოქმნილი პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის ეპოქაში. წარმოიშობა თარეშის გავრცელებასა და დაცვის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რაც იწვევდა ტომების გაერთიანებას უფრო მსხვილ საზოგადოებრივ სტრუქტურებში. თავდაპირველად ტომთა კავშირები წარმოადგენდნენ მათი წევრების დამოუკიდებლობასა და თანასწორობაზე დაფუძნებულ გაერთიანებებს (მაგალითად, ჩრდილოამერიკელ ინდიელებში – იროკეზთა ლიგა, კრიკების კავშირი, პრერიის დიდი კონფედერაცია და სხვ.), მაგრამ შემდგომში ისინი გარდაიქმნენ იერარქიულ საზოგადოებებად, ანუ დაქვემდებარებული და გაბატონებულ ტომების კავშირებად, რომლებსაც ამ უკანასკნელთა სათავეში მდგომნი მართავდნენ. ასეთი კავშირები ცნობილია ახალი კალედონიისა და ფიჯის მელანეზიელებში, არაბეთის ბედუინებში და სხვ. ტომთა გაერთიანებების წარმოშობა თანხლებული იყო მის შემადგენლობაში შემავალი მონათესავე და არამონათესავე ტომებს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაძლიერებით, მათი შერწყმითა და თანდათანობით ახალი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბებით.

ტომი – ეთნოსოციალური ერთობის ტიპი, პირველყოფილი თემური წყობილების ეპოქის ძირითადი კომპაქტური ეთნიკური წარმონაქმნი. ეთნოსის ამ ტიპისთვის შედარებით დამახასიათებელი იყო ის, რომ მისი შინაგანი – გვაროვნული – სტრუქტურა ეფუძნებოდა სისხლით ნათესაობის პრინციპს, რომლის დროსაც გვაროვნული ეგზოგამია ტომობრივ ენდოგამიას ეხამებოდა. ტომებს, როგორც წესი, შედარებით მცირერიცხოვანნი არ იყვნენ, რასაც პირველ რიგში საწარმოო ძალების სუსტი განვითარება განაპირობებდა. ტომობრივი თვითშეგნება ძირითადად ეფუძნებოდა ყველა თანატომელის საერთო წარმომავლობას მითიური წინაპრისგან; იგი სუსტად უკავშირდებოდა საერთოობას ენისას, რომლის დიალექტებზეც რამდენიმე მონათესავე ტომები მეტყველებდნენ, და ტომის მიგრაციის დროს ცვალებად ტერიტორიასთან.

თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზე ტომები კულტურის საერთო ნიშნებითა და საერთო წარმოშობის შეგნებით შეკავშირებული გვარების ერთობლიობას წარმოადგენდნენ. განვითარებულ პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში ტომებს ჰქონდათ პოლიტიკური ხასიათის არმქონე ხელისუფლების ორგანოები, ერთიანი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეულებები და საკუთარი სახელწოდება.

დღეისათვის ტომები თავიანთი კლასიკური სახით იშვიათობაა. მხოლოდ ძალზე ჩამორჩენილ და მცირერიცხოვან ეთნიკურ ერთობებს გააჩნიათ ტომებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, ხშირად კი ეთნოსები გადმონაშთის

სახით ინარჩუნებენ გვაროვნულ-ტომობრივი სტრუქტურას. გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის ნიშნები ძირითადად მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ხალხებმა შემოინახეს.

ტოპოლექტი (ბერძნ. topos „ადგილი“ + lect) – მცირე გეოგრაფიულ ტერიტორიაზე გავრცელებული მეტყველება.

ტოპონიმი – რაიმე გეოგრაფიული ადგილის (სოფლის, მთის, ტყის, მინდვრის და ა. შ.) სახელწოდება.

ტოპონიმია – იგივეა, რაც ტოპონიმიკა

ტოპონიმიკა (ბერძნ. Topos ადგილი და onyma სახელი) – 1. რომელიმე ადგილის გეოგრაფიულ სახელთა (დასახლებული პუნქტების, მდინარეების, მთების და მისთანების სახელთა) ერთობლიობა. 2. ლექსიკოლოგიის ნაწილი, ონომასტიკის ქვედარგი, რომელიც სწავლობს გეოგრაფიულ სახელებს.

ტოტემიზმი – რელიგიის ერთ-ერთი ადრეული ფორმა, რომლის არსს შეადგენს რწმენა ადამიანთა ჯგუფსა (გვარი, ტომი) და გარკვეული სახეობის ცხოველს ან მცენარეს, იშვიათად ბუნების მოვლენებსა და უსულო საგნებს, ანუ ტოტემებს შორის განსაკუთრებული მისტიკურ-გენეტიკური კავშირის არსებობის შესახებ. რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ამ ფორმის სახელწოდება წარმომდგარია სიტყვიდან „ტოტემი“, რომელიც ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ტომის – ოჯიბვეს – ენაზე ნიშნავს „გვარი მისი“. ტოტემიზმის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ მისი წარმოშობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველყოფილი ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან – შემგროვებლობასა და მონადირეობასთან. ადამიანის არსებობის უზრუნველმყოფი ცხოველები და მცენარეები თაყვანისცემის ობიექტები ხდებოდნენ. ტოტემიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე ასეთი თაყვანისცემა - არათუ გამორიცხავდა, არამედ გულისხმობდა ტოტემური ცხოველებისა და მცენარეების საკვებად გამოყენებას. ამიტომ პირველყოფილი ადამიანები ზოგჯერ ტოტემისადმი თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ შემდეგი ფრაზით: „ეს ჩვენი ხორცია“. მაგრამ ადამიანებსა და ტოტემებს შორის ამგვარი კავშირი ძალზე არქაულ პერიოდს განეკუთვნება, და მისი არსებობაზე მხოლოდ უძველესი გადმოცემები და მდგრადი ენობრივი მონაცემები მეტყველებს. რამდენადმე გვიან ტოტემიზმში ჩნდება სოციალური, პირველყოვლისა სისხლითნათესაური ურთიერთობის ელემენტები, რომლის საფუძველზე გვაროვნული ჯგუფის (სისხლით ნათესავების) წევრები თავიანთი ჯგუფის დამფუძნებლად, პიველწინაპრად და მფარველად ტოტემურ ცხოველს ან მცენარეს მიიჩნევდნენ. ამან, ერთი მხრივ, წინაპართა კულტის გაძლიერება გამოიწვია, ხოლო მეორე მხრივ, შეცვალა ტოტემის მიმართ დამოკიდებულება, კერძოდ, აიკრძალა ტოტემის საკვებად გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მის ჭამას რიტუალური ხასიათი მიენიჭა. შემდგომში ტოტემიზმის ჩარჩოებში წარმოიქმნა აკრძალვების - ტაბუს - მთელი სისტემა.

ტოტემისტურმა რწმენა-წარმოდგენებმა დიდი როლი ითამაშა პირველყოფილი საზოგადოების ფორმირების პროცესში. ეს წარმოდგენები, აერთიანებდნენ რა ამა თუ იმ ჯგუფის ადამიანებს მათ მიერ აღიარებული ტოტემის გარშემო, მაინტეგრირებელ ფუნქციას ასრულებდნენ. ისინივე საკმაოდ ეფექტურად არეგულირებდნენ ადამიანთა ქცევებს მრავალრიცხოვანი აკრძალვებით, რომლებიც ტოტემური ჯგუფის ყველა წევრს ზედმიწევნით უნდა დაეცვა.

შეიძლება გამოიყოს ტოტემისტური კულტებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები: 1. ცხოველ-ტოტემის მოკვლის ან მისი ხორცის საკვებად გამოყენების აკრძალვა (ტაბუ), გარდა განსაკუთრებული რიტუალური შემთხვევებისა – ტოტემის ერთობლივი ჭამის დღესასწაულებისა; 2. ტოტემის რიტუალური მიბაძვა; 3. საკულტო მიზნით ჩატარებული რიტუალის დროს მოკლული ცხოველ-ტოტემის ნაწილების (ბრჭყალების/კლანჭების, კბილების, ტყავის) გამოყენება, და ტოტემური ფეტიშების გაჩენა; 3. შესაქმის ტოტემისტური მითის არსებობა, რომელიც მოცემული ტოტემისტური ერთობის წარმოშობას აღწერს; 5. ტოტემისტური ჯგუფის ეგზოგამიურობა, ანუ ჯგუფის შიგნით სქესობრივი კონტაქტების აკრძალვა; 6. ტოტემისტური ინიციაციის რიტუალისა და მასთან დაკავშირებული მითის არსებობა.

ტოტემისტური ინიციაციის რიტუალი მსგავსი ცნობილი რიტუალებიდან ყველაზე ძველი და არქაულია. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ტოტემისტური ინიციაცია წარმოადგენს დღემდე არსებული ყველა ინიციაციური რიტუალის პირველსახეს, როგორც რელიგიურ, ისე საერო სფეროებში.

ტოტემისტური ინიციაციის პროცედურა რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა. სქესობვრივი სიმწიფის ასაკის მიღწევისთანავე, როგორც წესი, ბიჭებს (იშვიათად გოგოებსაც) ცალკე ჯგუფად გამოყოფდნენ და მათ რიგ რიტუალურ დანაწესს (კვებითს, სექსუალურს და სხვ.) უსაზღვრავდნეწ. ზოგიერთ ტომში ამ ჯგუფის წევრები უნდა განრიდებოდნენ ქალის შემოხედვასაც კი; ეკრძალებოდათ თავისუფალი ურთიერთობები, კომუნიკაციისთვის მხოლოდ პირობით ნიშნებს იყენებენ. პარალელურად ყმაწვილებს ასწავლიდნენ სავალდებულო სამონადირეო ჩვევებს, ტომის მითებსა და გადმოცემებს, რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მითი ინიციაციის დროს ურჩხულის მიერ ბიჭების „მოკვდინებისა“ და ხელახალი „დაბადების“ შესახებ. წინასწარი მომზადების დასრულებისთანავე ინიციანტს უნდა გაეკეთებია შეგნებული არჩევანი და ინიციაცია გაევლო, ანუ ურჩხულის „ლუკმა“ გამხდარიყო. თუ ყმაწვილი უარს იტყოდა, იგი ტომში ცხოვრებას მაინც აგრძელებდა, მაგრამ მისი სრულუფლებიანი წევრის სტატუსის გარეშე. ბიჭები, რომლებიც ინიციაციის პროცედურის გავლაზე თანხმობას განაცხადებენ, ტომის უფროს წევრებს მიჰყავდათ ბოროტი ურჩხულის სამკვიდროდ მიჩნეულ ადგილზე, სადაც მათ ტკივილის ამტანობასა და თმენის უნარზე ცდიდნენ. რიტუალის კულმინაციური მომენტი იყო ინიციანტის სიმბოლური შეჭმა ურჩხულის მიერ. ურჩხულის განსახიერებას წარმოადგენდა გამოქვაბული, ხის მაკეტი ან დიდი ზომის „კბილებგარჭობილი“ გვერგვი, რომელშიც ბიჭს უნდა გაევლო. სიკვდილისა და დაბადების ნიშნად გამოსაცდელს ტანს მჭრელი იარაღით დაუსერავდნენ; გავრცელებული იყო წინადაცვეთის პროცედურა, კბილების დაძრობა, თმების გლეჯა და სხვ. ინიციანტს უხსნიდნენ ინიციაციის ეზოთერულ მითს, ინიციაციის მფარველი კეთილი სულის შესახებ, უყვებოდნენ, რომ არ არსებობდა ბიჭების მჭამელი არავითარი ურჩხული.

სოციალური თვალსაზრისით, ტოტემიზმი შეიძლება ჩაითვალოს ადამიანთა ერთობის სოციალური სტრუქტურირების პირველ ნაბიჯად, ერთობისა, რომელიც მსხვილ ტოტემურ ერთეულებში – ფრატრიებში – გაერთიანებული ტოტემური გვარების არსებობით იყო უზრუნველყოფილი; უფრო მეტიც, სტრუქ-

ტურალისტური თეორიის თანახმად, სოციალური სტრუქტურირება წარმოადგენს ტოტემიზმის არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს.

ტრადიცია (ლათ. tradditio – გადაცემა) – სოციალური და კულტურული ელემენტების მემკვიდრეობა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემოინახება საზოგადოებებში, სოციალურ და ეთნიკურ ჯგუფებში. ტრადიოცია არ დაიყვანება ოდენ თავის სტერეოტიპულ სახეობებამდე, კერძოდ, ჩვეულებებამდე და წესებამდე, იგი ვრცელდება გაცილებით უფრო ფართო სოციალური მოვლენების სფეროებზე. ტრადიცია ფუნქციონირებს ყველა სოციალურ სისტემაში და გარკვეული ზომით წარმოადგენს მათი ცხოველმყოფელობის აუცილებელ პირობას. ტრადიცია დამახასიათებელია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებისათვის – ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლის, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის და სხვა დარგებისთვის. მაგრამ მისი ხვედრითი წილი ამა თუ იმ მიმართულებით არაერთგვაროვანია, იგი თავის მაქსიმუმს რელიგიაში აღწევს.

პოლიეთნიკურ, მრავალკონფესიურ საზოგადოებაში ყოველ ეთნიკურ და რელიგიურ სფეროს თავის საკუთარი ტრადიცია გააჩნია. აქედანაა ტრადიციის სიმრავლე და წინააღმდეგობრიობა და მის მიმართ დამოკიდებულება. ყოველი თაობა გარკვეული ზომით ირჩევს ამა თუ იმ ტრადიციას. ამ აზრით, იგი ირჩევს არამარტო თავის მომავალს, არამედ წარსულსაც. ტრადიციის არსებობის ხანგრძლივობა თავგისთავად არ განსაზღვრავს მის თანამედროვე მნიშვნელობას; ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობა ეფუძნება მომავალ თაობებში მის შემდგომ განვითარებას. საზოგადოება, ეთნოსი, ჯგუფი, იღებს რა სოციალური მემკვიდრეობის გარკვეულ ელემენტებს, იმავდროულად უარყოფს სხვას. ამიტომ ტრადიცია შესაძლოა იყოს როგორც პიზიტიური (გააჩნია ვინ როგორ აღიქვამს), ისე ნეგატიური.

ტრაიბალიზმი (ინგლ. tribe – ტომი) – ტომთაშორისი შუღლი, ტომების მისწრაფება გამოყოფისკენ, განცალკევებისკენ. ტრაიბალიზმი ვლინდება საზოგადოებაში, რომელშიც ჯერ კიდევ არსებობს გვაროვნულ-თემური დაყოფის გადმონაშთები (ძირითადად აფრიკაში). ტრაიბალიზმი გვხვდება ზოგიერთ სხვა რეგიონშიც, სადაც ტომური ფსიქოლოგია სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, როგორც მაგალითად, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში. ამ მოვლენასთან ახლო დგას კლანურობა (კლანი – ახლო და შორეული ნათესავების გაერთიანება). ტრაიბალიზმის ასპექტია ეთნიკური (ტომური) ფაქტორის მნიშვნელოვანი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე, პრივილეგიის მინიჭება გარკვეული ტომის წარმომადგენლებისათვის სხვა ტომის წარმომადგენელთა დისკრიმინაციის ხარჯზე.

ტრანსკულტურაცია (ლათ. trans – გამჭოლ, გავლით + cultura – განათლება, განვითარება) – კულტურის გავრცელების ფორმა, წარმოქმნილი ეთნოკულტურული ერთობის ნებაყოფილობითი მიგრაციით ან ძალდატანებითი გადასახლებით. მაგალითად, თეთრკანიანი კოლონისტების მიერ ჩრდილოეთ ამერიკისა და ავსტრალიის დასახლება და ათვისება, სადაც აბორიგენულმა ტომებმა, თავგანწირული ბრძოლისა და სულიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ვერ შეძლეს შესამჩნევი გავლენა მოეხდინათ დამპყრობელთა კულტურაზე, პირიქით კი განხორციელდა.

ტრანსფერენცია – კომუნიკაციური ურთიერთქმედებისთვის უმნიშვნელო, მინიმალური ტიპის არარეგულარული ჩარევა მხოლოდ ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე.

ტრანსგლოსია [< ლათ. trans „გავლით“ + glossa „ენა“] – დინამიკური ხასიათის მქონე დიგლოსიური სიტუაცია, რომლის ფარგლებშიც ხდება და ენათა და მათ სახესხვაობათა ტრადიციული როლების გადაფასება არსებული ვითარების კვალად.

უ

უბიხური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში შემავალი ენა. გავრცელებული იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ახლანდელი სოჭის მიდამოებში. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში უბიხთა ძირითადი ნაწილი იძულებით გაასახლეს თურქეთში. მცირე ნაწილი შეერწყა კავკასიაში დარჩენილ ჩერქეზებს და დროთა განმავლობაში დაიკარგა ენაც და იდენტობაც. თურქეთში მცხოვრები უბიხები გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ინარჩუნებდნენ ენას. დღეს უბიხური მკვდარ ენად ითვლება.

უდიური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ლეზგურ ქვეჯგუფში შემავალი ენა. ითვლება კავკასიის ალბანეთის უძველეს ენად. შეიცავს ორ დიალექტს – ნიჯურსა და ვართაშნულს. უდინები ცხოვრობენ საქართველოში სოფ. ზინობიანში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, აზერბაიჯანში – ოღუზში (ყოფილი ვართაშენი) და ნიჯში. უდიურ ენაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს აზერბაიჯანული ენა, ანდა აზერბაიჯანულის გზით შემოსული სპარსული, არაბული, ბოლო დროს რუსული ლექსიკაც. სოფ. ზინობიანის უდიურ მეტყველებაზე (ვართაშნული დიალექტი) გარკვეულ გავლენას ახდენს ქართული ენა... უცხო ელემენტების გამოყოფის შემდეგ უდიურში გვრჩება ძირითადი ფენა, რომელიც აშკარად იბერიულ-კავკასიურ ენათა სამყაროს განეკუთვნება.

უკონტაქტო ბილინგვიზმი – სოციალური ბილინგვიზმის სახეობა, რომლის შემთხვევაში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეებს შორის არ არის რეგულარული კონტაქტები.

უმწერლობო ენა – დამწერლობის არმქონე ენა, რომელიც მხოლოდ ზეპირმეტყველებაში არსებობს.

უნგრულ-ფინური ენები – გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში (სკანდინავიიდან ურალამდე), ვოლგა-კამის აუზის უდიდეს ნაწილში, შუა და ქვემო ობის აუზში, დუნაის აუზის მცირე ნაწილში. უნგრულ-ფინური ოჯახის შემადგენლობაში შედის: ფინური ენა ანუ სუომი ენა. ფინურთან ყველაზე ახლოს დგას კარელიური; ესტონური ენა, გაირჩევა ორი დიალექტი: ტალინისა და ტარტუსი; ლაპლანდიური ანუ საამური – ფინეთისა და შვედეთის ჩრდილო მხარეებში; მორდოვული; ჩერემისული ანუ მარიული; ვოტიაკური ანუ უდმურტული; ზირიანული ანუ კომი; უნგრული; უნგრულთან ახლოს მდგომი მანსი ანუ ვოგულური და ხანტი ანუ ოსტიაკური; ე.წ. სამოედური (სამოდიური) ტომების ენა-კილოები, მათ შორის ნენური, ტავგიური, სელკუპური; უნგრულ, ფინურ და ესტონურ ენებს მრავალსაუკუნოვანი დამწერლობა და ლიტერატურული ტრადიციები აქვთ. სხვა

უნგრულ-ფინური ენების უმრავლესობა ახლადდამწერლობიანი ენებია, ხოლო ზოგიერთი უნგრულ-ფინური ენა უდამწერლობოა.

უნიტარიზმი – ენობრივი პოლიტიკის სახე, რომელიც ორიენტირებულია პრინციპის – „ერთი სახელმწიფო – ერთი ერი – ერთი სახელმწიფო ენის“ რეალიზაციაზე.

უნიფიკაცია (unus „ერთი“, facio „ვაკეთებ“) – რისამე გაერთგვაროვნება, ერთიანი ნორმების შემუშავება და დაქვემდებარება; საერთო ნორმაზე გადაყვანა; გაერთნაირება, გაერთიანება.

ურბანოლექტი (ლათ. urbanus „ქალაქური“ + ბერძნ. lect) – ქალაქში გავრცელებული, ქალაქისთვის დამახასიათებელი მეტყველების ვარიანტი.

ურბანონიმი – ტოპონიმის სახეობა. ნებისმიერი შიდასაქალაქო ობიექტის საკუთარი სახელი; მათ შორის აგორონიმი, ჰიდრონიმი, ქალაქის ქორონიმი, ცალკეული შენობის სახელწოდება.

ფ

ფაზა აკმატური (ბერძნ. acme – რისამე უმაღლესი ხარისხი) – ლ. გუმილიოვის მიხედვით, ეთნოგენეზის ფაზა, რომელშიც პასიონარული დაძაბულობა მოცემული სისტემისათვის უმაღლეს დონეს აღწევს, დგება აღმავლობის ფაზის შემდეგ. მოცემულ ფაზაში ეთნიკური სისტემა ქვესისტემების (სუბეთნოსების) მაღალი რიცხვით, ეთნიკური ისტორიის მოვლენების უკიდურესი სიხშირით ხასიათდება. აკმატურ ფაზაში ინდივიდუალიზმის ზრდას, ჭარბ პასიონარობასთან ერთად, ეთნოსი ხშირად პასიონარული გადამეტხურების მდგომარეობაში მოჰყავს. პასიონარული გადამეტხურების პირობებში ჭარბი ენერგია, რომელიც ამაღლების ფაზაში მძაფრ ზრდასა და ექსპანსიაში იხარჯებოდა, შიდა კონფლიქტებით შრეტას იწყებს.

ფაზა აღმავლობის – ლ. გუმილიოვის თანახმად, ეთნიკურ სისტემაში პასიონარული ძაბვის ინტენსიური ზრდის ფაზა პასიონარული ბიძგის შედეგად, რაც ამ სისტემის გაჩენას იწვევს. ხასიათდება ახალწარმოქმნილი ეთნოსის ენერგიული ექსპანსიით, მისი აქტიურობის ყველა სახეობის მკვეთრი ზრდით, დემოგრაფიული აფეთქებით, ეთნიკური სისტემის ქვესისტემების რიცხვის სწრაფი ზრდით. აღმავლობის ფაზაში ყალიბდება ახალი ეთნიკური დომინანტი და სოციალური ინსტიტუტები. მოცემული ფაზისთვის დამახასიათებელია მკაცრი დისციპლინა, სადაც მკაცრ რეგლამენტაციას ექვემდებარება კოლექტივის წევრთა ქმედებები, საქორწინო ურთიერთობები, ლანდშაფტის გამოყენება.

აღმავლობის ფაზა თავდაპირველად – ფარული, შემდეგ კი აშკარა ინკუბაციური პერიოდით იწყება. გარემომცველი ეთნოსები აღმავლობის ფაზას აღიქვამენ, როგორც უკიდურესად აქტიური იმ ადამიანების ერთობის წარმოქმნას, რომლებიც იცავენ თავიანთ უცნაურ იდეალებს და რომლებიც, ხშირად მეზობელთა ხარჯზე, ცის ქვეშ თავიანთ ადგილს ისაკუთრებენ. აღმავლობის ფაზის შემდეგ აკმატური ფაზა დგება.

ფაზა გაბზარვის – ლ. გუმილიოვის თეორიით, ეს არის აკმატური ფაზის შემდეგომი პასიონარული დაძაბულობის მკვეთრი დაცემის ფაზა, თანხლებული

ეთნიკური ველის განხეთქვით, სუბპასიონარების რიცხვის ზრდით, ეთნიკური სისტემის შიგნით მწვავე კონფლიქტებით. ყოველივე ეს მთლიანად სისტემის რეზისტენტულობის არსებით შემცირებასა და, ნეგატიური ეთნიკური კონტაქტისა და ანტისისტემის მოქმედების შედეგად, მისი დაშლისა და კვდომის მზარდ შესაძლებლობას იწვევს. შეიძლება ითქვას, რომ გაბზარვა ნებისმიერ ეთნოგენეზში ძალზე სპეციფიკური ეტაპია, რომელიც მისი დაწყებიდან დაახლოებით 600 წლის შემდეგ დგება. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეთნიკური სისტემის „ასაკობრივი სნეულება“.

ფაზა ეთნოგენეზის - დროითი ჩარჩოების მქონე ეთნოგენეზის პროცესის სტადია, განსაზღვრული მიმართულებით, სიჩქარითა და ეთნიკურ სისტემაში პასიონარული დაძაბულობის დონის ცვლილების უკიდურესობით. ეთნოგენეზის ფაზა ხასიათდება: ა. ცვლილებების მიმართულებითა და ეთნიკური სისტემის აქტიურობის დონით (მიგრაციული, დემოგრაფიული, სამეურნეო, იდეურ-პოლიტიკური, სამხედრო); ბ. მოცემულ ფაზაში გაბატონებული გარკვეული დონის პასიონარული ტიპებით, აგრეთვე, სუბპასიონარების რიცხვითა და როლით; გ. მოცემული ფაზისათვის ქცევის საზოგადოებრივი იმპერატივის ერთიანობით; დ. სისტემის შინაგანი სირთულის ხარისხით, სისტემისა, რომელიც ქვესისტემების (სუბეთნოსების) რაოდენობის საზღვრებისა და მიმართულების ცვლილებით ხასიათდება; ე. ცვლილების მიმართულებით და ეთნიკური სისტემის რეზისტენტობის დონით.

ფაზა ინერციული (ლათ. iners, inertis – უმოქმედო, ინერციის ფაზა) - ეთნოგენეზის ფაზა, რომელშიც, ლ. გუმილიოვის თეორიის მიხედვით, გაბზარვის ფაზის მერე პასიონარული დაძაბულობის დონის რამდენადმე ამაღლება და შემდეგ თანდათანობითი დამდაბლება იწყება. ხასიათდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და სოციალური ინსტიტუტების განმტკიცებით, მატერიალური და კულტურული ფასეულობების ინტენსიური დაგროვებით, ლანდშაფტის აქტიური გარდაქმნით. ინერციულ ფაზაში გადასვლა ჩვეულებრივ გამოიყურება, როგორც დამშვიდება გაბზარვის ფაზის კატაკლიზმების შემდგომი შემოქმედებითი საქმიანობის დასაწყისში. შიდა კონფლიქტების ჩამხშობი ძლიერი ცენტრალიზებული მმართველობის არსებობის პირობებში, ეთნოსი ინერციის ფაზაში ახორციელებს უზარმაზარ სამუშაოებს, რაც სასარგებლოა კულტურისათვის, მაგრამ დამღუპველია ბუნებისათვის. ინერციული ფაზის მაგალითებია: პრინციპატის ეპოქის რომი; თურქული კაგანატის მიერ დიდი სტეპის გაერთიანება (545-747 წწ.); ირანში - სასანიდური იმპერია (224-499 წწ.); ჩინეთში - სუნის იმპერია (960-1127 წწ.).

ფაზა მემორიალური (ლათ. memorialis) - ლ. გუმილიოვის თეორიით, ეთნიკურ ჰომეოსტაზთან დაახლოებული ეთნოგენეზის ფაზა, რომელიც ამ პროცესის დასრულებას მოასწავებს. მემორიალური ფაზაში ეთნიკური სისტემა პასიონარობას უკვე კარგავს, მაგრამ მისი ცალკეული წევრები კვლავაც აგრძელებენ წარსულის კულტურული ტრადიციების შენახვას. წინაპართა საგმირო საქმეების შესახებ ხსოვნა არსებობას ფოლკლორულ ნიმუშებში აგრძელებს.

მემორიალური ფაზის ცნება შეიძლება გამოვიყენოთ ცალკეული სუბეთნოსების მიმართაც, სუბეთნოსებისა, რომელიც ეთნოგენეზის ძირითადი ნაკადიდან ამოვარდა და, მისეული ცხოვრების წესისა და მსოფლაღქმის დაკონსერვების მიზნით, იზოლაციაში თავი მოიქცია. ასეთნი არიან XVII საუკუნეში ჩამოყალიბე-

ბული სტაროვერები - სუბეთნოსი-იზოლატი.

მემორიალური ფაზიდან ეთნიკური ჰომეოსტაზის დასრულებულ ფორმაში გადასვლა გამოიყურება, როგორც წარსულის ტრადიციების თანდათანობითი დავიწყება.

ფაზა ობსკურაციის (ლათ. obskurans – დამაბნელებელი) – ეთნოგენეზის ფაზა, რომელშიც, ლ. გუმილიოვის მიხედვით, სუბპასიონარების რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე პასიონარული დაძაბულობა ჰომეოსტატიკურ („ნულოვან“) დონეზე დაბალ ნიშნულამდე მცირდება. ეთნოსი არსებობს იმ მატერიალური ფასეულობებითა და ჩვევებით, რაც წინა ინერციულ ფაზაში დაგროვდა. განაყოფიერებული სუბპასიონარობა შეუძლებელს ხდის კონსტრუქციულ საქმიანობას, ითხოვს რა მხოლოდ ერთს – თავისი უძღები მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამის შედეგად საზოგადოებრივი ორგანიზმი დაშლას იწყებს. დგება დეპოპულაცია, ობსკურაციის ფაზის დასასრულისათვის მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება; ნაწილობრივ ეს პროცესი მუხრუჭდება მეზობელი და უცხო ეთნოსების წარმომადგენლების მოდინებით, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებას იწყებენ. ეთნიკური სისტემა კარგავს რეზისტენტობას და შეიძლება შედარებით მაღალი პასიონარობის მქონე მეზობლების იოლი ლუკმა გახდეს. ობსკურაციის ფაზა წინ უძღვის ეთნიკური სისტემის კვდომას ან მის გადასვლას ეთნიკური ჰომეოსტაზის მდგომარეობაში, ამასთან, ჰომეოსტატამდე შეიძლება მიაღწიოს ეთნოსის მხოლოდ უმნიშვნელო ჯანმრთელმა ნაწილმა.

ობსკურაციის ფაზა ძველ რომში II საუკუნის ბოლოს დაიწყო და დასავლეთ რომის იმპერიის კვდომით დასრულდა; ბიზანტიაში ანგელოზთა დინასტიის მმართველობის პერიოდში ობსკურაციამ მოიცვა სუპერეთნოსი და 1204 წელს კონსტანტინოპოლის დაცემა (და 1453 წელს საბოლოო კვდომა) გამოიწვია; ჩინეთში ობსკურაციის ფაზა XVII საუკუნეში გამეფდა და იგი მანჯურებმა დაიპყრეს (მანჯურთა დინასტია ქვეყანას მართავდა 1911 წლის სინხაის რევოლუციამდე, რომელიც უკვე ახალი ეთნოგენეზის გამოვლინება იყო).

ფაზა რეგენერაციის – ლ. გუმილიოვის თეორიით, ეთნიკური სისტემის შესაძლო აღდგენა ობსკურაციის ფაზის შემდეგ არეალის კიდეებზე შემორჩენილი პასიონარობის ხარჯზე. ბიზანტიაში ასეთი დროებითი აღდგენა იყო 1204 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ წარმოქმნილი ნიკეის იმპერია. მიუხედავად ამისა, რეგენერაციის ფაზა მხოლოდ ძალზე მოკლე გამონათებაა ეთნოგენეზის პროცესის დასრულების წინ. შემდეგ იგი მემორიალურ ფაზაში გადადის. 1453 წელს ოსმალებმა საბოლოოდ გაანადგურეს ბიზანტიის სახელმწიფო, ხოლო ბიზანტიელი ბერძნები დარჩნენ, როგორც მცირე რელიქტი.

ფაშიზმი (იტალ. fascismo < fascio – კონა, შეკვრა, გაერთიანება) – მუსოლინის კორპორაციული პოლიტიკური სისტემა, რომელიც იტალიაში 1922-1945 წლებში არსებობდა. მაგრამ ტერმინი „ფაშიზმი“ ხშირად გამოიყენება გარკვეულწილად ამ სისტემის მსგავსი პოლიტიკური მოძრაობების, მაგალითად, გერმანული ნაციზმისა და ესპანური ფალანგის აღსანიშნავად.

პირველად ფაშიზმი, როგორც პოლიტიკური მოძრაობა და პარტია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იტალიაში დააფუძნა სოციალისტმა ბ. მუსოლინიმ, რომელმაც 1922 წელს ამ ქვეყანაში ხელისუფლება მიიტაცა. ორ მსოფლიო

ომს შორის ფაშიზმი საერთოევროპულ მოძრაობად გადაიქცა და მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ძალა გახდა რიგ ქვეყნებში (დიდ ბრიტანეთში – „ფაშისტების ბრიტანული კავშირი“; საფრანგეთში – „ფრანგული სახალხო პარტია“ და ისეთი დაჯგუფებები, როგორიც იყო „ფრანგული მოქმედება“, „საბრძოლო ჯვრები“ და სხვ.; ესპანეთში – „ესპანური ფალანგა“, რომელმაც 1939 წელს ხელისუფლებაში გენერალი ფ. ფრანკო მოიყვანა; რუმინეთში – „რკინის გვარდია“, რომელთანაც თანამშრომლობითა და ბრძოლით გენერალმა ა. ანტონესკუმ 1940 წელს პროფაშისტური რეჟიმი დაამყარა; ანალოგიური პროცესები წარიმართა ავსტრიასა, ხორვატიასა, ბელგიასა და რიგ სხვა ქვეყნებში.

ფაშიზმი წარმოადგენს ავტორიტარულ, ნაციონალისტურ, ანტიდემოკრატიზმით გამორჩეულ პოლიტიკურ მოძრაობას, წარმოქმნილს სოციალური და ეკონომიკური კრიზისის შედეგად, კრიზისისა, რომელიც პირველ მსოფლიო ომს მოყვა და ბევრმა ლიბერალიზმისა და დემოკრატიის გაკოტრებული პოლიტიკის დამადასტურებლად აღიქვა. ამ მოძრაობის პოლიტიკური ფილოსოფია თანმიმდევრული არ იყო და ნაციონალიზმამდე, კომუნიზმის სიძულვილამდე, დემოკრატიული პოლიტიკის უნდობლობამდე, ერთპარტიულობის მომხრეობამდე და ქარიზმატული ლიდერების რწმენამდე დაიყვანებოდა. გერმანიაში ფაშიზმი (ნაციზმის ფორმაში) გამოირჩეოდა რასიზმითა და ანტისემიტიზმით. ფაშისტური მოძრაობების სოციალურ ბაზას სამხედროები და საშუალო კლასის წარმომადგენლები (აგრეთვე, მუშათა კლასის ნაწილი) შეადგენდნენ.

ფერეიდნული – ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, ფერეიდუნ შაჰრის პროვინციაში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება, კუნძულოვანი დიალექტი. მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის ბრძანებით კახეთიდან ირანში გადაასახლეს 200 ათასზე მეტი ქართველი. იზოლირებულად განვითარებული და სპარსულის გავლენის ქვეშ მოქცეული მეტყველება გამოეყო კახურს და ახალ ქართულ დიალექტად ჩამოყალიბდა, ამავდროულად შეინარჩუნა არქაული ლექსიკა. ცოცხალ ქართულ კილოთა შორის ფერეიდნული არსებითად განსხვავებულია იმის გამო, რომ სრულიად მოწყვეტილია მოძმე ქართულ კილოებს, აცდენილია სალიტერატურო ქართულის ზემოქმედება-გავლენას; მოქცეულია სხვა ენების გარემოცვაში; უპირველეს ყოვლისა, განიცდის სპარსული ენის ძლიერ გავლენას. ფერეიდნელები ორენოვანნი არიან. ირანიზმები უხვად გვხვდება ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, ქართულ სიტყვას სპარსული ცვლის, დიალექტში დიდი რაოდენობით გვხვდება სპარსული (და მისი მეშვეობით – არაბული) ლექსიკური ერთეულები. ირანიზმები შეჭრილია ქართული მეტყველების ფსიქოლოგიაშიც: ფრაზები აგებულია სპარსული ენის თარგზე, უხვად არის კალკები; უცხოური ენის გავლენას ვერ ასცდა არტიკულაციაც. შეინიშნება შინაგანი ევოლუციის გზით მიღებული ახალი თავისებურებანიც. ზოგიერთი საზიარო მოვლენა ქართული კილოებისაგან დამოუკიდებლად გაჩენილა.

ფეტიშიზმი (ფრანგ. Fetish) – კერპი, ბუნებრივ ან ხელით ნაკეთებ საგანთა თაყვანისცემა. ამ საგნებს მიეწერებათ ზებუნებრივი, მისტიკური თვისებები, მფლობელთა სასარგებლო მოქმედების უნარი, ფეტიში შეიძლება იყოს თმა, ჯოხი, ქვა, ნიჟარა, ფრჩხილი და ა. შ.

ფიზიკური (ბიოლოგიური) ანთროპოლოგია – მეცნიერება ადამიანის წარმოშობისა და ფიზიკური ორგანიზაციის ევოლუციისა და ადამიანთა რასების

შესახებ; ჩამოყალიბდა XIX საუკუნის შუა ხანებში. ანთროპოლოგიური შესწავლის ძირითადი ობიექტებია: ანთროპოგენეზი, ადამიანის მორფოლოგია (მოძღვრება ზრდის კანონზომიერებებისა და მთელი კაცობრიობისათვის საერთო სხეულის ვარიაციებისა და აგებულების შესახებ) და ეთნიკური ანთროპოლოგია, ანუ რასმცოდნეობა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ანთროპოლოგია უფრო ფართოდ გაიგება და, გარდა ფიზიკური ანთროპოლოგიისა, მოიცავს სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიებს, რომელთა შესწავლის საგანი და შინაარსი ეთნოლოგიის ადეკვატურია.

ფოლკლინგვისტიკა (ინგლ. folk „ხალხი, ხალხური“ + ლათ. linguistica) – ხალხური წარმოდგენები ენ(ებ)ის შესახებ, რას ფიქრობენ ადამიანები თავიანთი და სხვათა ენობრივი ქცევის თაობაზე.

ფოლკლორი (ინგლ. folk – ხალხი + lor – ცოდნა) – ხალხური მხატვრული შემოქმედებისა და ხალხური ხელოვნების ნაწარმოებები, შექმნილნი ამ შემოქმედების პროცესში. ფოლკლორულ ნაწარმოებებს განეკუთვნება ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრი (ეპოსები, ზღაპრები, ლირიკული და საწესო ლექს-სიმღერები და სხვ.), ხალხური ცეკვები, ფერწერა, გრაფიკა, ორნამენტი, სკულპტურა, მუსიკა, ხელოსნობა. ცნება „ფოლკლორი“ სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ინგლისელმა არქეოლოგმა χ. თომასმა. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ხალხური კულტურის ნაწარმოებთა ერთობლიობას. ფოლკლორი წარმოადგენს ეთნოსების მხატვრული შემოქმედების ისტორიულად ყველაზე ადრეულ ფორმას, რომელიც დღემდე შემოინახა; არის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რამდენადაც მასში კონცენტრირებულია ეთნოსების მხატვრული აზროვნება, ვლინდება მათი ტალანტი და ზნეობრივი ნორმები და ფასეულობები. ფოლკლორისთვის დამახასიათებელია ნაწარმოებთა ტრადიციულობა და თაობიდან თაობაში მათი გადაცემა, საუკეთესო ნიმუშების, სიუჟეტების, სახეების, ფორმებისა და მხატვრული ხერხების ხანგრძლივი დროით შემონახვა. ფოლკლორში აკუმულირებულია ყოველივე საუკეთესო და ფასეული, რაც კი ხალხურ კულტურას შეუქმნია. იგი აღწერს მის პირველ პლასტს - ისტორიულ წარსულს.

ფოლკლორისტიკა - ჰუმანიტარული მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ფოლკლორს – სიტყვიერ, სასიმღერო, მუსიკალურ (საკრავიერო), ქორეოგრაფიულ, დრამატულ ხალხურ კოლექტიურ შემოქმედებას. ფოლკლორისტიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ფოლკლორის ნაწარმოებთა შეკრების (ჩაწერის) და მათი გადამუშავების ხანგრძლივი პროცესი მწერლების, დრამატურგების, კომპოზიტორების შემოქმედებაში. ევროპაში ფოლკლორის მიმართ მეცნიერულ ინტერეს ხელი შეუწყო XVIII საუკუნის განმანათლებლების მოღვაწეობამ. ხალხური შემოქმედების შესწავლას სტიმული მისცა რომანტიზმის განვითარებამ, რომლის ფარგლებში გაჩნდა ფოლკლორისტიკის მიმართულება – მითოლოგიური სკოლა. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ფოლკლორისტიკის ძირითადი მიმართულება იყო მიგრაციული თეორია (ნასესხობის თეორია – ტ. ბანფეი) ანთროპოლოგიური სკოლა (სიუჟეტთა თვითჩასახვის თეორია – ე. ტაილორი) ფსიქოლოგიური სკოლა (ვ. ვუნდტი), ისტორიულ-გეოგრაფიული (ფინური) სკოლა (ი. და კ. კრუნები). მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, დარჩნენ რა ევოლუციონიზმისა და პოზიტივიზმის ფარგლებში, დასახელებულმა მიმართულებებმა მოახერხეს ფოლკლორისტიკის

პროგრესულ საფეხურზე დაყენება. XX საუკუნის ევროპულ და ამერიკულ ფოლკლორისტიკაში იდეალისტური ტენდენციები ყველაზე მეტად ფსიქოანალიტიკურ, ნეომითოლოგიურ და მაგიურ-რიტუალისტურ სკოლებში გამოიხატა. 1950-იანი წლების შუა ხანებში მსოფლიო ფოლკლორისტიკის წამყვანი მიმართულება გახდა სტრუქტურალიზმი (კ. ლევი-სტროსი), სსრკ-ში ფოლკლორი ისწავლებოდა, როგორც ხალხთა მასების შემოქმედებითი საქმიანობის სოციალურად განპირობებული, ისტორიულად განვითარებადი სპეციფიკური სახეობა; შეისწავლებოდა სხვადასხვა ხალხების ფოლკლორის ეროვნული თავისებურება და ურთიერთზემოქმედება. ფართოდ გაიშალა საველე მასალის მოკვლევა ახალი მეთოდიკის, ჩაწერისა და გაშიფვრის ახალი ტექნიკური საშუალებებით გამოყენებით. 60-70-იან წლებში ვითარდებოდა ხალხური შემოქმედების სხვადასხვა სახეობების კომპლექსური შესწავლა, რამაც ფოლკლორისტიკას, როგორც სინთეტიკურ მეცნიერებას, კარგი პერსპექტივა შეუქმნა.

ფოლკსკუნდე – მიმართულება გერმანულ ეთნოლოგიაში, რომელიც გერმანულენოვანი ხალხების ყოფასა და კულტურას შეისწავლის. კვლევის ეს მიმართულება XIX საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა და თავდაპირველად ორიენტირებული იყო გერმანელი გლეხობის ცხოვრების წესისა და კულტურის შესწავლაზე. 1960-იანი წლების მეორე ნახევარში ფოლკსკუნდეს საგნობრივი სფერო არსებითად გაფართოვდა და დღეისათვის იგი მოიცავს ფოლკლორისტიკას, საყოველდღეო კულტურის პრობლემებს, კულტურათშორისი კომუნიკაციის საკითხებს.

ფორმალური ენა – ენა, რომელიც შექმნილია იმ სიტუაციებში გამოსაყენებლად, რომლებშიც ბუნებრივი ენა შეუფერებელია, მაგალითად, მათემატიკაში, ლოგიკაში ან კომპიუტერულ პროგრამირებაში. ასეთი ენების სიმბოლოები და ფორმულები ერთმანეთთან ზუსტად განსაზღვრულ სინტაქსურ და სემანტიკურ ურთიერთობებში იმყოფებიან.

ფრაზეოლოგია (ბერძნ. Phrasis „გამოთქმა“, logos „მოძღვრება“) – 1. ამა თუ იმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, სიტყვათა თავისებური შეერთებანი. 2. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც ასეთ გამონათქვამებს სწავლობს. 3. ამა თუ იმ მწერლის, ორატორის, ლიტერატურული მიმართულების, საზოგადოებრივი ფენისა და მისთ. დამახასიათებელი სტილისტური ხერხების ერთობლიობა. 4. მაღალფარდოვანი უშინაარსო გამოთქმები, ფრაზები.

ფრატრია (ბერძნ. phratría - საძმო) - ტომის ნაწილი - ეგზოგამიური გვარი, საქორწინო ურთიერთობით დაკავშირებული იმავე ტომის სხვა ეგზოგამიურ გვართან; წარმოიქმნა ერთი „დედისეული“ გვარის რამდენიმე „შვილობილ“ გვარად დაყოფის შედეგად. იშვიათ შემთხვევაში ფრატრია არანათესაური გვარების ხელოვნური გაერთიანების რეზულტატს წარმოადგენდა. მისი ყველაზე ადრეული ფორმაა ნათესაური გვარის მხოლოდ ორ დაჯგუფებად, დუალურ ორგანიზაციად ფორმირება. თავდაპირველად ფრატრიისთვის ნიშანდობლივი ეგზოგამიურობა „შვილობილ“ ეგზოგამიურ გვარებად მისი დაყოფის შემდგომ ქრება. ფრატრიისათვის (მაგალითად, ხანტებსა და მანსებში) დამახასიათებელია თვითსახელწოდება, მასში შემავალი გვარების მჭიდრო სოლიდარობა და სხვა ფუნქციები.

ფსიქოლინგვისტიკა – ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის მომიჯნავე მეცნიერება, რომელიც სწავლობს მეტყველების ფორმირების პროცესებს, აგრეთვე მეტყველების აღქმას და ფორმირებას მათ კორელაციაში ენობრივ სისტემასთან.

ფუნქციოლექტი (ლათ. functio „აღსრულება“ + ბერძნ. lect) – ამა თუ იმ პროფესიის ან საქმიანობის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობაში გამოყენებული მეტყველების თავისებურება.

ფუნქციონალიზმი (ლათ. function – შესრულება, განხორციელება) - მიმართულება ეთნოლოგიაში, წარმოქმნილი XX საუკუნის პირველ ნახევარში. ფუნქციონალურმა სკოლამ XX საუკუნის 20-იან წლებში შესამჩნევი გავლენა მოიპოვა, თუმცა ფუნქციონალური მეთოდის ფუნდამენტური პრინციპები ჯერ კიდევ 1895 წელს ფრანგი სოციოლოგის ე. დიურკჰეიმის მიერ იქნა ფორმულირებული და სოციალური მოვლენების ფუნქციის შესწავლაში მდგომარეობდა. ფუნქციონალიზმის თეორიული საფუძვლები კოლონიურ ქვეყნებთან მიმართებაში, თითქმის, ერთდროულად იქნა ჩამოყალიბებული გერმანიაში რ. ტურნვალდის და ინგლისში ბ. მალინოვსკის მიერ. მაგრამ გერმანიაში ფუნქციონალისტური მიმართულება წარმმართველი ვერ გახდა, მაშინ როდესაც ინგლისში იგი მსხვილ მიმართულებად ჩამოყალიბდა და სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა იქონია. მალინოვსკის თეორიული დებულებების მიხედვით, ეთნოლოგიის ამოცანები მდგომარეობს კულტურული მოვლენების ფუნქიის, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის შესწავლაში. პარალელურად არსებობდა ფუნქციონალისტური სხვა ვარიანტი – ა. რადკლიფ-ბრაუნის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორია. ავტორი ამტკიცებდა, რომ ადამიანის შემსწავლელი მეცნიერების ძირითად საფუძველს წარმოადგენს ანთროპოლოგია, რომელიც შესაბამისად სამ მიმართულებად იყოფა: ადამიანის ბიოლოგიად, ისტორიამდელ არქეოლოგიად და ეთნოგრაფიად. უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა ეთნოლოგიად და სოციალურ ანთროპოლოგიად, რომელთაგან თითოეული სპეციფიკურ მეთოდს იყენებს. ეთნოლოგიის ძირითად მეთოდია კულტურის ისტორიული რეკონსტრუქცია, რომელიც წერილობითი წყაროების მონაცემებს ეყრდნობა. ისტორიული მეთოდით მოქმედი ეთნოლოგია სწავლობს კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც ცალკეული ხალხების წარსულსა და თანამედროვეობას ეხება. მალინოვსკისა და გამოჩენილი ფუნქციონალისტების - რადკლიფ-ბრაუნის, ე. ევანს-პრიდჩარტისა და სხვათა მოწოდება იყო ყოველი საზოგადოების კულტურის, როგორც ერთიანი მოვლენის შესწავლა, მოვლენისა, რომელშიც ყველა ელემენტი ერთმანეთთან განსაზღვრული ფუნქციით არის დაკავშირებული. ფუნქციონალისტებმა დიდძალი სარწმუნო ეთნოგრაფიული მასალა შეკრიბეს.

ვაანალიზებთ რა ფუნქციონალისტური მიმართულების ცნობილი წარმომადგენლების კონცეფციებს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ისინი პრობლემების განსაკუთრებული დასმითა და კვლევის სპეციფიკური მეთოდებით გამოირჩეოდნენ. მაგრამ ყველანი იცავდნენ ფუნქციონალიზმის მთავარ, ამოსავალ პოსტულატებს, რომლებიც ძირითადში შემდეგია: ადამიანთა საზოგადოება, არის რა ობიექტური სამყაროს ნაწილი, ვითარდება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და ამ თვისებით არსებობს იმდენად, რამდენადაც მისი შემადგენელი ელემენტები გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ, ე. ი. ადამიანთა საზოგადოების აგება ხდება ურთიერთდაკავშირებული და ერთურთის შემავსებელი კულტურული ელემენტების სტრუქტურაზე. ნებისმიერი სოციალური სისტემა სტრუქტურებისა და მოქმედებებისგან შედგება. სტრუქტურები წარმოადგენენ მდგრად მოდელებს, რო-

მელთა მეშვეობით ინდივიდები ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთობას ახორციელებენ. ისინი ყალიბდებიან სოციალური ურთიერთქმედებათა და ნორმათა შედეგად, რომლებიც სოციალურ ურთიერთობებს არეგულირებენ. ყველა სტრუქტურული ელემენტის ფუნქცია სოციალურ სოლიდარობისა და სოციალური სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფაა. კულტურა ინდივიდის საჭიროებებს, უწინარესად მის ძირითად მოთხოვნებს ემსახურება: საბაზისოს (კერძოდ, საკვების აუცილებლობას და სხვა ფიზიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება), წარმოებულსა (საკვების განაწილების, შრომის დანაწილების, თავდაცვის, სოციალური კონტროლის მოთხოვნები) და ინტეგრალურს (ფსიქოლოგიური უსაფრთხოების, სოციალური ჰარმონიის, კანონების, რელიგიის, მაგიის, მითოლოგიის, ხელოვნებისა და სხვ. მოთხოვნები). კულტურის ყოველ ასპექტს აქვს თავისი ფუნქცია ზემოჩამოთვლილი ერთ-ერთი მოთხოვნის ფარგლებში. კულტურა წარმოადგენს ობიექტების, მოქმედებებისა და დანაწესების სისტემაა, რომელშიც ყველა მის შემადგენელ ნაწილს გარკვეული მიზნის განსახორციელებელი საშუალებებიც გააჩნია. ყველა ეს ობიექტი, საქმიანობის სახეობები და დანაწესები ორგანიზებულია სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანების გადასაწყვეტად ისეთი ინსტიტუციების ფორმაში, როგორიცაა ოჯახი, კლანი, თემი, ტომი. ეს ორგანიზებული სტრუქტურა ეკონომიკური კორპორაციების, პოლიტიკური, სამართლებრივი და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის სათანადო ნიადაგს ქმნის. კულტურაში საკვანძო როლი განეკუთვნება ჩვეულებებს, რიტუალებს, მორალურ ნორმებს, რომლებიც ადამიანთა ქცევის რეგულატორებია. ასრულებენ რა ამ ფუნქციას, ისინი ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მათი თანაარსებობის კულტურული მექანიზმები ხდებიან.

აუცილებელია აღინიშნოს ფუნქციონალისტური კვლევების პრაქტიკული მიმართულებაზე. ამ მიმართულების მომხრეები ისწრაფოდნენ შეექმნათ სოციალური ანთროპოლოგია, როგორც გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც შეძლებდა უზრუნველეყო აქტუალური პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა, უწინარესად ბრიტანულ კოლონიებში. პირველ რიგში, სამეცნიერო მონაცემები გამოიყენებოდა აღნიშნულ ტერიტორიებზე დომინირებული ტრადიციული კულტურის სამართავად. ფუნქციონალიზმი ხელს უწყობდა „ირიბი“ მართვის კონცეფციის შემუშავებას ინგლისურ პოლიტიკაში, რომელიც ხელისუფლების ტრადიციულ ინსტიტუტებს და ჩამოყალიბებულ სოციალურ სტრუქტურებს ეყრდნობოდა.

ფუნქციური ბილინგვიზმი – ინდივიდუალური ბილინგვიზმის ტიპი, როდესაც ბილინგვი მეორე ენას იყენებს ურთიერთობის გარკვეულ სფეროში.

ფუძეენა – ენა, რომელიც ქმნის მონათესავე ენათა ისტორიული ერთიანობის მატერიალურ საფუძველს, რომლის დიალექტებისაგან წარმოიშვა მონათესავე ენები.

ფშაური – ქართული ენის მთის კილოების ჯგუფში შემავალი დიალექტი, რომელიც გავრცელებულია დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, თელავის, ყვარლის მუნიციპალიტეტებში. ტიპობრივი ფშაური კილო უფრო უკანა ფშავშია შემონახული: ფშავის არაგვის შუა წელში მდებარე სოფლების მეტყველებას ჭარბად ატყვია ქართლურის გავლენა. ჟინვალის ზემო სოფლებში ნარევი მოსახლეობაა, რაც თავის გამოხატულებას პოულობს დი-

ალექტში. განსხვავებულია ერწო-თიანეთის ფშაურიც. შედარებით უკეთ აქვთ შემონახული ფშაური კილო ქვემოქედელ ფშავლებს, რამდენადაც ისინი აქ კომპაქტურად არიან დასახლებული. მთის კილოთაგან ფშაური იმითაც გამოირჩევა, რომ მას ძლიერ ატყვია ბარის კილოების გავლენა. მართალია, ფშაური კილოკავებად არ იყოფა, მაგრამ ფშაური მეტყველება მაინც ყველგან ერთნაირად არაა წარმოდგენილი. საფუძვლიანად იგი უკანა (უკვენა) ფშავშია დაცული. ამას თვით ფშაველებიც გრძნობენ და ზედმიწევნით განარჩევენ.

ქ

ქალთა კულტები – რელიგიური რწმენები და პრაქტიკები, რომლებშიც მდედრული საწყისის იდეა, ქალური სახეები და წეს-ჩვეულებები მათივე რეალური ან სიმბოლური მონაწილეობით დომინირებულ როლს თამაშობს. ამგვარი კულტების უძველესი ნიშნების არსებობა უკავშირდება ზედა პალეოლითის ეპოქას, რომელსაც განეკუთვნება ქალთა შიშველი ფიგურები (თიხის სტატუეტები, ბარელიეფები) უტრირებული სასქესო ნიშნებით (დიდი ზომის მუცელი, თეძოები და მკერდი). ეს ე. წ. „პალეოლითის ვენერები“ მიკვლეულია ევრაზიის სხვადასხვა რეგიონში, რაც მოწმობს მათთან დაკავშირებული წარმოდგენებისა და პრაქტიკების უნივერსალურ ხასიათზე. „პალეოლითური ვენერა“ წარმოადგენდა რიტუალური კომპლექსის ნაწილს, რომელიც დამბადებელი ქალური საწყისის თაყვანისცემასა და საკრალიზაციაზე იყო ორიენტირებული. ქალური საწყისის დეიფიკაციამ წარმოშვა დედა-ქალღმერთის (დიდი დედის) კულტი. ქალთა კულტის გენეზისი განპირობებული არ იყო ადამიანთა ცხოვრების მხოლოდ სექსუალურ-რეპროდუქციული საფუძვლებით. ქალთა და მამაკაცთა შორის შრომის განაწილებამ, სპეციფიკური ქალური საქმიანობის გაჩენამ თავისი დაღი დაასვა აღნიშნული კულტის ფორმირებას. მრავალ ეთნორელიგიურ ტრადიციაში არსებობს ამა თუ იმ საქმიანობის (მაგალითად, ქარგვის, ფეიქრობის და ა. შ.) მფარველ ქალთა კულტები. რელიგიათმცოდნეობაში სადისკუსიოდ რჩება ქალთა კულტის ევოლუციისა და მამაკაცთა კულტთან მისი მიმართების პრობლემა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რელიგიათმცოდნეობაში ვითარდება თვალსაზრისი, რომლის თანახმად ქალთა კულტი მამაკაცთა კულტზე უფრო ადრე წარმოიქმნა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბატონობდა. თავდაპირველად ეს კონცეფცია ი. ბახოფენის მატრიარქატის თეორიას ეყრდნობოდა. შემდეგ დაიწყო მისი ახსნა ფსიქოანალიზის და ფემინიზმის პოზიციებიდან.

ქალის მეტყველება / ენა – ქალის მეტყველების სპეციფიკური მახასიათებლები მამაკაცის მეტყველებასთან შედარებით; ქალის მეტყველება / ენა სქესის მიხედვით მეტყველების დიფერენცირების გამოვლინებაა. გენდერული განსხვავებები ძალზე მრავალფეროვანია. მათი არსებობა განპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით (კულტურული, სოციალური, რელიგიური). გენდერული განსხვავებები გავლენას არ ახდენს ენის სისტემურ სტრუქტურებზე, აღინიშნება მხოლოდ მეტყველების დონეზე და რაოდენობრივი ხასიათისაა. თუმცა, ზოგიერთ ენაში დიფერენციაცია შეიძლება გამოიკვეთოს ფონოლოგიის დონეზე და ამგვარად, გავლენას ახდენს ენობრივ სისტემაზე.

ქამიტური ენები – აფრიკაში გავრცელებული, გენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული ენები. მათ შორისაა ბერბერული, ლიბიური, ძველი ეგვიპტური, კოპტური, კუშიტური. ქამიტური ენებიდან ყველაზე დიდი ხნოვანებისაა ძველი ეგვიპტურის ძეგლები, იეროგლიფებით ნაწერი (მიახლოებით 4000 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ სემიტურ და ქამიტურ ენებს ერთ ოჯახში აერთიანებენ და სემიტურ-ქამიტურ ენებს უწოდებენ (იხ. აგრეთვე აფროაზიური ენები).

ქართველური ენები – ახლომონათესავე ენათა ჯგუფი, რომელიც შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში. ქართველური ენებია: ქართული, ზანური (მეგრულ-ჭანური ანუ კოლხური) და სვანური. ამ ენებზე ლაპარაკობენ ქართველები, რომლებიც კომპაქტურად სახლობენ ძირითადად საქართველოში, აგრეთვე საინგილოში (აზერბაიჯანის კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები), ქ. სოჭის მახლობლად სოფ. პლასტუნკაში, იმერხევსა და ლაზეთში (ამჟამად თურქეთი), ფერეიდანში (ირანი). ტერმინი ქართველური ენები ჰუგო შუხარდტმა შემოიღო. სინონიმური ტერმინებია იბერიული (ივერიული) ენები (ფ. ბოპი, ა. ცაგარელი), სამხრულ-კავკასიური ენები, სამხრულ-დასავლური ენები. ერთხანს (1908-15) ქართველურ ენებს იაფეტურ ენებს უწოდებდა ნ. მარი. ა. შანიძე გვთავაზობდა აგრეთვე ტერმინს ქამესური. ზანური და სვანური ქართულდამწერლობიანი ენებია, - ყველა ქართველისათვის საერთო-ეროვნული და სამწერლობო ენა ისტორიულად და ამჟამადაც არის ქართული.

ქართლური – ქართული ენის ერთ-ერთი უმსხვილესი დიალექტური ერთეული. მას უჭირავს საქართველოს ცენტრალური (შუაგული) ადგილი და ვრცელდება კახეთიდან იმერეთამდე. გავრცელებულია ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, დმანისის, დუშეთის, დედოფლისწყაროს, კასპის, მარნეულის, მცხეთის, ქარელის, წალკის, ხაშურის მუნიციპალიტეტებში. ქართლური სალიტერატურო ქართულის ფუძედიალექტია. შიგადიფერენციაციის საფუძველია ქართლურ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე – აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებთან ერთად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები, რომლების ქართულად მეტყველებენ. დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ქართლი იყოფა ოთხ ძირითად ნაწილად: ა) ცენტრალური ქართლური: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელის რეგიონი; ბ) ჩრდილო (ზემო) ქართლური, რომელშიც გამოიყოფა ორი თქმა: არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველება; გ) სამხრეთ (ქვემო) ქართლური, რომელსაც შეიძლება ეწოდოს თრიალეთური კილოკავი; გამოიყოფა რამდენიმე თქმა: გომარული, წერაქვ-სიონური, რეხული, ალგეთური... დ) დასავლეთ ქართლური, რომელშიც შეიძლება გამოიყოს ორი თქმა: ხაშურ-სურამისა და ბორჯომის ხეობის მეტყველება. ქართლური შეიცავს დიალექტთა ურთიერთგავლენის საფუძველზე აღმოცენებულ რამდენიმე გარდამავალ ერთეულს (ქართლურ-მთიულური, ქართლურ-ფშაური, ქართლურ-ჯავახური, ქართლურ-მესხური, ქართლურ-იმერული). ქართლურის ნიშანდობლივი ელემენტები თავს იჩენს მხატვრულ ლიტერატურაში.

ქართული ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველური ჯგუფის ენა. ქართული ენა ქართველი ერის ნიშანთა შორის ყველაზე ძველი ნიშანია: ის მრავალი საუკუნით ადრე არსებობდა, ვიდრე ერთიანი ტერიტორია, ეკონომიკა და ფსიქოლოგიური წყობა ქართველი ერის ერთიანობას განსაზღვრავდა.

ქართული ენა ძველი მწერლობის მქონე ერთადერთი ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის და ამ ენათა წარსულის შესწავლის თვალსაზრისით დოკუმენტირებულ ძველ ქართულ ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები მე-5 საუკუნით თარიღდება, არსებობს თვალსაზრისი, რომ ის გაცილებით ძველია. ქართულის უძველეს ძეგლებად ითვლება იუდას უდაბნოს წარწერები (430) და ბოლნისის სიონის წარწერები (V საუკუნის ბოლო მეოთხედისა). პირველი თარიღიანი ხელნაწერია „სინური მრავალთავი“ (864), თარიღიან ოთხთავთა შორის ყველაზე ძველია ადიშის ოთხთავი (897), რომელიც დღეს მესტიის მუზეუმშია დაცული. ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ძეგლი, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ V საუკუნეში შეიქმნა. ქართული ენის განვითარებაში გამოიყოფა ძველი და ახალი ქართული (სხვა თვალსაზრისით ძველი, საშუალი და ახალი). ქართული დამწერლობის სამი სახეობა – ასომთავრული, ნუსხური და მხედრული იუნესკომ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

ქვედიალექტი – კრებითი შინაარსის მქონე ტერმინი კილოს შიდა დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილი ნაირსახეობებისა, როგორებიცაა კილოკავი, თქმა, ქცევა.

ქვეენა – ენობრივი ქვესისტემა, რომელიც ემსახურება საკომუნიკაციო მიზნებს სამეტყველო ერთობის ფარგლებში. თავდაპირველად ეს ტერმინი იხმარებოდა მხოლოდ გამოყენებით ლინგვისტიკაში, სადაც იგი აღნიშნავდა ლექსიკურ და გრამატიკულ ერთეულთა მინიმალურ ერთობლიობას, რომლებიც საურთიერთოდ გამოიყენებოდა საზოგადოებრივი ურთიერთქმედების ამა თუ იმ სფეროში.

ქვესისტემა – სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულთა და გრამატიკულ კონსტრუქციათა მოწესრიგებული ერთობა, რომლის ფარგლებშიც ისინი ერთიანდებიან იდენტური სოციალური ღირებულების მიხედვით, და რომელსაც მოცემული სოციალური ჯგუფი ამა თუ იმ საკომუნიკაციო მიზნით გამოიყენებს.

ქიმერა – სხვადასხვა სუპერეთნიკური სისტემების შეუთავსებელი ეთნოსების კონტაქტის ფორმა, რომლის დროსაც მათი თავისებურებანი ქრება. კონტაქტის ზონაში აღზრდილი ადამიანები არ განეკუთვნებიან ურთიერთობაში მყოფ არცერთ სუპერეთნოსს, რომელთა შორის თითოეული ორიგინალური ეთნიკური ტრადიციებითა და მენტალობით გამოირჩევა. ქიმერაში ბატონობს ერთმანეთთან შეუთავსებელი ქცევის ხასიათების უსისტემო შეხამება, ერთიანი მენტალობის ადგილს საზოგადოებაში გამეფებული გემოვნების, შეხედულებებისა და წარმოდგენების სრული ქაოსი იკავებს. ყოველი ეთნოსისათვის დამახასიათებელი ადაპტაციური ჩვევების დაკარგვა მკვებავი ლანდშაფტისგან მოსახლეობის მოწყვეტას იწვევს. ამგვარად, ქიმერა შეიძლება დავახასიათოთ როგორც დეეთნიზებულ ადამიანთა ერთობა. ეთნოსისაგან განსხვავებით, ქიმერას განვითარება არ შეუძლია, უნარი აქვს იარსებოს მხოლოდ გარკვეული ხნით, შემდეგ კი იშლება, ხდება თავისებური ეთნიკური „ანიჰილაცია“ (ლათ. annihilatio – „(სრული) მოსპობა, მოშლა“). ქიმერას წიაღში წარმოქმნილი ანტისისტემები, როგორც წესი, სისხლიანი კონფლიქტების ინიციატორები არიან, ან ქიმერა მეზობელი ეთნოსების მსხვერპლი ხდება. ქიმერას მაგალითებია: ჰუნებისა და ჩინელების კონტაქტი III საუკუნეში, ჰუნების მიერ ხანების ჩინეთის უმეტესი ნაწი-

ლის დაპყრობის შემდეგ. კონტაქტმა მასში ჩართული თითქმის ყველა ეთნოსის დაღუპვა გამოიწვია; არაბული ხალიფატი X საუკუნეში, როცა არაბები ჰარემების შექმნით სხვა სუპერეთნოსებს შეერწყნენ; ანალოგიური პროცესები წარიმართა ოტომანთა პორტაში, მაგრამ ქიმერა უვნებელი გამოდგა (ანტისისტემები XIX საუკუნემდე არ წარმოქმნილა). ქიმერა იყო ბულგართა სამეფო (ბულგართა მიერ 660 წელს სლავების მიწებზე შექმნილი). აქ გავრცელდა ბოგუმილების ანტისისტემა. ქიმერები არსებობდნენ, აგრეთვე, კოლუმბამდელ ამერიკაში (ინკებისა და მუისკების სახელმწიფოები). ისინი ესპანელმა კონკისტადორებმა გაანადგურეს.

ქორონიმი (ბერძნ. χώρα "რეგიონი" ან "ქვეყანა" + ბერძნ. ὄνομα "სახელი") – ტერმინი, რომელიც მიუთითებს ცალკეული რეგიონის ან ქვეყნის საკუთარ სახელზე. რეგიონული და ქვეყნების სახელთა შესწავლა ცნობილია როგორც ქორონიმია, ან ქორონიმიკა. ვინაიდან ქორონიმები ტოპონიმების ქვეკლასია, ქორონიმიკური კვლევები წარმოადგენს ტოპონიმიკური კვლევების გამორჩეულ ქვეველს და განეკუთვნება ონომასტიკური კვლევების ფართო სფეროს. ქორონიმული კვლევები, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქორონიმების წარმოშობასთან (ეტიმოლოგიასთან) და მნიშვნელობებთან (სემანტიკასთან). ქორონიმული, სოციოლინგვისტური და ეთნოლინგვისტური კვლევები მჭიდრო კავშირშია ურთიერთთან. ტერმინი ქორონიმი ლინგვისტურ ტერმინოლოგიაში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შემოვიდა.

ქრისტიანობა – ძირითადი რელიგია, რომელიც მომდინარეობს იესო ნაზარეველის (ქრისტეს, ღვთივ ცხებულის, ღმერთის) ცხოვრებიდან, სწავლებებით და ჯვარცმით ახ. წ. I საუკუნეში. ქრისტიანობა გახდა ყველაზე დიდი მსოფლიო რელიგიათა შორის, ხოლო გეოგრაფიულად, – ყველაზე ფართოდ გავრცელებული. დედამიწის მასშტაბით ჰყავს ორ მილიარდზე მეტი მორწმუნე მრევლი. ქრისტიანობის ყველაზე დიდი ჯგუფებია: რომის კათოლიკური ეკლესია, მართლმადიდებლური და პროტესტანტული ეკლესიები. აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიები წარმოადგენენ ქრისტიანული ტრადიციის ერთ-ერთ უძველეს განშტოებას, რომლებიც დიდხანს არ იყვნენ კავშირში დასავლურ ქრისტიანობასთან. მნიშვნელოვანია მოძრაობები ქრისტიანულ სამყაროში, რომლებიც ზოგჯერ აღემატება კონფესიურ საზღვრებს, – ორმოცდაათიანელობა, ქარიზმატული ქრისტიანობა, ევანგელიზმი, ფუნდამენტალიზმი და სხვ. გარდა ამისა, მსოფლიოში უამრავი დამოუკიდებელი ეკლესიაა: ანგლიკანიზმი; ბაპტისტური; კალვინიზმი; კონგრეგაციონალიზმი; ევანგელური ეკლესია; ლუთერანიზმი; პრესვიტერიანობა; რეფორმირებულ-პრესვიტერიანული ეკლესიები და ა.შ. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ძირითადი თემები და ტერმინებია: წმიდა წერილი; ფსალმუნი; ქრისტოლოგია; სჯულისკანონი; მირონი; დოქტრინა და დოგმატი; ეკუმენიზმი; ესქატოლოგია; ეგზეგეტიკა; რწმენა; მადლი; სამოთხე; ჯოჯოხეთი; ერესი; ანგელოზი და დემონი; ბიბლია; ბიბლიური ლიტერატურა; კანონიკური სამართალი; სარწმუნოება; ლიტურგიული მოძრაობა; მილენიალიზმი; სასწაული; ბერმონაზვნობა; მონოთეიზმი; ახალი და ძველი აღთქმა; ცოდვა; თავდაპირველი ცოდვა; მრევლი; მღვდელ-მღვდლობა; ლოცვა; მღვდელმსახურება; განსაწმენდელი; ზიარება; ხსნა; განხეთქილება; თეიზმი; ღვთისმეტყველება; თაყვანისცემა და მრავალი სხვ. საქართველოს ქრისტიანული ეკლესია შეიქმნა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთა-

ნავე – დაახლოებით 326 წელს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იერარქიულად საბერძნეთის ეკლესიას ექვემდებარებოდა. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა მცხეთის საეპისკოპოსო შეცვალა ქართლის საკათალიკოსოთი და კათალიკოსი ანტიოქიის პატრიარქისგან დამოუკიდებელი გახადა. ამგვარად, ვახტანგ გორგასალმა ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა. დაახლოებით IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ეკლესია — აფხაზეთის საკათალიკოსო გამოვიდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის დაქვემდებარებიდან და ქართლის საკათალიკოსოს დაექვემდებარა. XI საუკუნიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი მესაჭე კათალიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდა და რიგით მეექვსე იყო მსოფლიო პატრიარქთა შორის. 1054 წლის საეკლესიო განხეთქილების შემდეგ კი მართლმადიდებლურ სამყაროში დარჩენილმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მეხუთე ადგილზე გადმოინაცვლა ალექსანდრიის, ანტიოქიის, კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებს შორის. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში მოციქულ ანდრია პირველწოდებულს და სიმონ კანანელს მიეწერება. ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვათა“ გეოგრაფიის მიხედვით წმ. მოციქული ქრისტიანობის საქადაგებლად სამჯერ ყოფილა საქართველოში. პირველად იგი სირიის ქ. ლაოდიკიაში ჩასულა, საიდანაც გადასულა კაპადოკიაში, ქ. ტჳანაში, შემდეგ გალათეის ქ. ანკჳრიაში, პონტოს სინოპეში, ამასინელთა ქალაქში, მოუვლია ტრაპეზუნდი „სამეგრელოჲსა“, საიდანაც ქართლში წასულა, ბოლოს პართიაში ყოფილა. წმინდანს მესამე მოგზაურობისას ერთხანს თან ახლდნენ სვიმონ კანანელი, მატათა, ბართლომე და თადეოზი.კათოლიკური ეკლესია საქართველოში მოღვაწეობს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან, პირველი პროტესტანტული ეკლესიები კი მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაარსდა.

ქრონოლოგია (ბერძნ. Chronos დრო და logos მოძღვრება) – 1. ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობა დროის მიხედვით. 2. დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც ადგენს ისტორიული ამბებისა და საბუთების თარიღებს.

ქსენია (ბერძნ. xenios – უცხო) – ეთნოსთა ნეიტრალური თანაარსებობის ფორმა ერთ რეგიონში, რომლის დროსაც ისინი ინარჩუნებენ თავიანთ თავისებურებებს და ერთმანეთს არ ერწყმიან და სიმბიოზისათვის დამახასიათებელ ურთიერთობაშიც არ შედიან. ეთნოსებს შორის არ წარმოიქმნება მძაფრი კონფლიქტები, მაგრამ ლანდშაფტში ადაპტაციისას ფუნქციების გაყოფაც არ ხდება. კონტაქტის ასეთი ფორმა ხშირად გვხვდება ერთი სუპერეთნიკური სისტემის ეთნოსებს შორის (მაგალითად, ფინელებსა და შვედებს შორის ფინეთში). ნეიტრალური ეთნიკური კონტაქტი შესაძლებელია სხვადასხვა სუპერეთნოსებს შორისაც, თუ მათ შორის კომპლიმენტურობა ძალზე უარყოფითი არ არის, ხოლო ხელისუფლება არ ეწევა ხელოვნური შერწყმის პოლიტიკას.

ქსენოლექტი (ბერძნ. xenos „უცხო, უცხოელი“ + ბერძნ. lect) – უცხოური შეფერილობის მქონე სახესხვაობა ენისა. იგი ეფუძნება ენის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი სიმბოლური ღირებულების მატარებელ ცვლილებებს. შეიძლება დადასტურდეს ან არ დადასტურდეს სხვა მატარებლებთან.

ქსენოფობია (ბერძნ. xenos – უცხო + phobos – შიში) – უცნობ ადამიანთა მიმართ აკვიატებული შიში, სხვა სარწმუნოების, კულტურის, ეროვნების, უცხოების მიმართ გამოვლენილი არაკეთილგანწყობა, შეუწყნარებლობა, აგრეთვე, ზიზღი

რაიმე უცნობის, უცხოს, უჩვეულოს მიმართ. ქსენოფობია ეთნოსოციოლოგიაში - ეს არის ფსიქოლოგია, იდეოლოგია და სოციალური პრაქტიკა, დაკავშირებული თავისი ეთნიკური ერთობის განსაკუთრებულობის აღიარებასთან, სხვა ერთობების მიმართ მტრულ დამოკიდებულებასთან. შოვინიზმის, ეთნოფობიის და სხვა უკიდურესი ფორმების გამოკლებით, ქსენოფობია წარმოიქმნა, როგორც დაცვითი რეაქცია, გვარის, ტომის, ეთნოსის, ერის ბუნებრივი მისწრაფება უცხო გავლენებისგან დაეცვა თავისი წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ენა, კულტურა.

შენიშნულია, რომ ქსენოფობია დიდწილად დამახასიათებელია იზოლაციაში მცხოვრები ეთნოსებისათვის, აგრეთვე, მცირერიცხოვანი ეთნოსებისა და იმ ხალხებისათვის, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვა ხალხებისაგან ეროვნულ ჩაგვრას, აგრესიას განიცდიდნენ.

ქცევის იმპერატივი – ეთნიკურ კოლექტივში ინდივიდის ქცევის იდეალური პრინციპი, რომელსაც მას ეს კოლექტივი კარნახობს. აღნიშნული იმპერატივი ყველას მიერ ქვეცნობიერად აღიქმება, როგორც ქცევის ნორმა, რომლის ფარგლებს გარეთ გასვლით ინდივიდი თავისი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას კარგავს. ქცევის იმპერატივი ეთნოგენეზის ფაზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

ღ

ღოდობერიული ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ენათა ჯგუფის ხუნძურ-დიდოურ-ანდიურ ენათა ქვეჯგუფში შემავალი ენა. გავრცელებულია ორი სოფელში – ღოდობერში, ბელედსა და ზიბირხალში. შესაბამისად შეიცავს ორი დიალექტს – ღოდობერიულსა და ზიბირხალურს, რომლებიც ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან, განირჩევიან მხოლოდ გამოთქმით. ღოდობერიული ენა ძალიან ჰგავს ჭამალურსა და ბოთლიხურს. მას დამწერლობა არ გააჩნია. მოსაუბრეთა სიმცირის გამო იუნესკოს შეფასებით ღოდობერიული გადაშენების პირას მყოფი ენაა.

ყ

ყაბარდოული ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა აფხაზურ-ადიღური (ჩერქეზული) ენების ჯგუფის ადიღურ ქვეჯგუფში შემავალი ენა. გავრცელებულია ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკებსა და მოზდოკის რაიონში. მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის ძალადობრივი პოლიტიკის გამო მუჰაჯირებად წასული ყაბარდოელების შთამომავლები ცხოვრობენ თურქეთში, იორდანიაში, ლიბიაში. ენას აქვს რამდენიმე დიალექტი: მოზდოკური, ბასლენური, ყუბანური და დიდი ყაბარდოს დიალექტი. თანამედროვე ლიტერატურულ ყაბარდოულ ენას საფუძვლად უდევს დიდი ყაბარდოს დიალექტი. ყაბარდოული ანბანის პირველი ვარიანტი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა, მაგრამ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში. 1923 წელს შეიქმნა ლათინურ დამწერლობაზე დაფუძ-

ნებული, მხოლოდ 1936 წელს მოხდა მისი კირილურ დამწერლობაზე გადაყვანა.

ყარაჩაული ენა – თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახის ენა, გავრცელებულია ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში. ყარაჩაული ენა ძალიან ჰგავს ბალყარულს (იხ.). ენათმეცნიერთა დიდი ნაწილი მათ ერთი ენის დიალექტებად განიხილავს. ბალყარული ანბანი შეიქმნა ჯერ არაბულის (1924-26 წწ.), შემდგომ ლათინურის, 1937 წლიდან კი კირილიცას საფუძველზე.

ყარახული – ხუნძური ენის დიალექტი. გავრცელებულია ჩაროდინსკის რაიონში, მოიცავს ხუთ კილოკავს, ესენია: ზემოყარახული, ქვემოყარახული, თლესერუხული, მუკრატლური და რისიბული.

ყიზლარმოზდოკური – ქართული ენის დიალექტი, რომელიც გავრცელებული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ. მოზდოკსა და ყიზლარში მცხოვრებ ქართველთა შორის. (ყიზლარის ყოფ. ოლქის სოფლები: სასოფლო და სარაპანი). ხალხური გადმოცემით, ქართველები ამ რეგიონში ჩასახლებულან XVIII ს-ში ქართლიდან, კახეთიდან, უმთავრესად ლეკთა ლაშქრობების გამო, ზოგიერთი მათგანი შამილის წინააღმდეგ ომის მონაწილე ყოფილა. ისტორიული წყაროების მიხედვით, ყიზლარში ქართული ახალშენი დააარსა 1724 წელს რუსეთს მიმავალი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ამალის ერთმა ნაწილმა. შემდგომ ამ მოსახლეობას თანდათან ემატებოდნენ ქართველთა სხვა ჯგუფებიც. შემორჩენილია ქართული გვარები (ზედგენიძე, ლომიძე, ფხაკაძე, ბიწაძე და სხვ.). დღეს ამ ტერიტორიაზე ქართული მეტყველება გამქრალია. ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ქართული კილოს თავისებურებათა შერევა და რუსული ენის ძლიერი გავლენა.

ყურანი (არაბ. ხმამაღლა კითხვა, რეჩიტატივი, დეკლამაცია) – მუსლიმთა მთავარი წმინდა წიგნი, წარმოადგენს თავისებურ კრებულს, რომელშიც დაფიქსირებულია ისლამის დამფუძნებლის – წინასწარმეტყველ მუჰამედის ქადაგებანი, წარმოთქმულნი „ღვთაებრივი გამოცხადების“ ფორმაში. შეიცავს ამ რელიგიის დოგმატებს, მითებს შესაქმის, ბოროტი და კეთილი სულებისა და სხვათა შესახებ. ყურანი შედგება 114 თავისგან (სურა), რომლებშიც გადმოცემულია ლოცვები, შელოცვები, წინასწარმეტყველებანი სამყაროს დასასრულის, ჯოჯოხეთისა და სამოთხის შესახებ, აგრეთვე, მითითებები, რომლებიც არეგულირებენ საოჯახო და საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ყურანში ზოგი რამ ბიბლიიდან (ძველი აღთქმიდან და ახალი აღთქმიდან) არის ნასესხები. სურები ყურანში დალაგებულია მასში შემავალი „ლექსების“ რაოდენობის მიხედვით. ყურანის ტექსტმა რამდენიმე რედაქცია გამოიარა, რომელთაგან საბოლოო VII საუკუნეს განეკუთვნება.

შ

შავშური (**იმერხეული**) – საქართველოს საზღვრებს გარეთ, ისტორიული შავშეთის ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტი. შავშეთი ღადოს მთებით იყოფა ორ ნაწილად: დასავლეთი შავშეთი – მაჭახლის ხეობა და აღმოსავლეთი შავშეთი – მდინარეების შავშეთისწყლისა და იმერხევის (ფაფართის) ხეობები. საკუთრივ შავშეთი, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე (მოწყვეტილია ქა-

რთულ გარემოს), ორ ნაწილად დაიყოფა: მექართულე შავშეთი (იმერხევი ხეობის ქართულად მოლაპარაკე სოფლები, ასევე უსტამისი, ჩირისხევი...) და მეთურქულე შავშეთი – შავშეთისწლის ხეობის უმეტესი სოფლები, რომელთა მკვიდრნი უმეტესად მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან, თუმცა მათ მეტყველებაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქართული ელემენტი. მეთურქულე შავშეთში ახსოვთ ძველი ქართული გეოგრაფიული სახელები, კარგადაა შენახული ქართული ზემო მაჭახელში (თურქეთის მაჭახელში). შავშურ კილოში, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, გამოიყოფა ორ კილოკავი – იმერხეული და მაჭახლური.

შაფსუღური – ადიღეური ენის დიალექტი. საკუთრივ ისტორიულ ჩერქეზეთში წარმოდგენილია მხოლოდ კრასნოდარის მხარეში. მუჰაჯირობის შედეგად განბნეულ შაფსუღთა უდიდესი ნაწილი კავკასიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს: თურქეთის რესპუბლიკაში, სირიაში, იორდანიაში, ისრაელში. შაფსუღურ დიალექტში გამოიყოფა აგრეთვე არქაული ფონოლოგიური აგებულების მქონე ჰაკუჩური თქმა.

შელოცვა – მაგიური ძალის მქონე სიტყვიერი ფორმულა. შელოცვა სიტყვიერი მაგიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც გვხვდება როგორც პირველყოფილ, ისე განვითარებული კულტურის ხალხებში ისტორიულად ჩამოყალიბებული საბაზისო რელიგიური ტრადიციებისგან დამოუკიდებლად. მისი არსი ხასიათდება როგორც სურვილი, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს, ან როგორც მოცემული თუ მოგონილი სასურველი მოვლენის შედარებითი სიტყვიერი გამოხატულება. მაგრამ შელოცვის ყველა სახეობა როდი ჯდება სურვილისა და შედარების ფორმებში. მათ შეიძლება მიიღონ ლოცვის, მაგიური ჩამონათვლის, გაუგებარი სიტყვების ნაკრების, ბრძანების და სხვა ფორმები. აზრი იმის შესახებ, რომ შელოცვები დაფუძნებულია სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე, არ მართლება, რამდენადაც შელოცვის ფორმულების აბსოლუტური უმრავლესობა განიხილება მხოლოდ მის თანამდევ მოქმედებებთან ერთად. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ თავდაპირველად შელოცვის საფუძვლიანობა სიმპატიკური რიგის საწესო მოქმედებაში მდგომარეობდა, სადაც განსაკუთრებული ძალა მიეწერებოდა საგანს ან შელოცვის ობიექტთან დაკავშირებულ აქტს. ამასთან, იგულისხმებოდა, რომ შელოცვის ობიექტი შეიძენდა საგნის თვისებას, ხოლო სიტყვიერი თანხლება მოქმედების აზრს გასაგებს გახდიდა. შელოცვის ფორმულების გავრცელებისა და ვულგარიზაციის შესაბამისად, მათ თანდათან დამოუკიდებელი მნიშვნელობა, მაგიური ავტონომია შეიძინეს, ხოლო საწესო მოქმედებებმა მეორე პლანზე გადაინაცვლეს. ამგვარად გამომუშავდა რწმენა სიტყვიერი ფორმულის დამოუკიდებელი ძალის შესახებ, რომლის წარმოთქმა განსაზღვრულ პირობებს დაექვემდებარა (მაგალითად, აუცილებლად განთიადზე, გზაჯვარედინზე, უცხოების გარეშე, ჩურჩულით და ა. შ.). ამის შედეგად არქაულ სინკრეტულ ელემენტებთან შელოცვის აქტის სრული წყვეტა, როგორც წესი, არ ხდება. შელოცვის ფორმა მუდამ მჭიდრო კავშირშია ეთნოკულტურულ ტრადიციებთან, და მის ტექსტებში ეთნიკური ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ლექსიკისა და რიტმის ნიშნები დომინირებს.

შერეული (გარდამავალი) დიალექტი – დიალექტი, რომელიც შუალედურ ადგილს იკავებს სხვა დიალექტებს შორის და აერთიანებს რამდენიმე დიალექტის დამახასიათებელ ნიშნებს.

შერეული ბილინგვიზმი – 1. მშობლიური და მეორე ენების შერევის შემთხვევა, რომელიც არსებობს მოლაპარაკის გონებაში, როგორც თანაბარი საკომუნიკაციო სისტემები; 2. ორი განსხვავებული ენის ალტერნატიული გამოყენება, არა ყოველთვის ერთი და იგივე კომპეტენციით, არამედ ერთსა და იმავე სოციალურ კონტექსტში.

შერეული მეტყველება – ბილინგვის მეტყველება, რომელიც ხასიათდება მეორე ენის ელემენტების შეგნებული ან არაცნობიერი ჩართვით მშობლიურ ენაზე გამოთქმაში.

შიდაეთნიკური კონსოლიდაცია (ლათ. consolidatio - გამკვრივება, გამაგრება, შეზრდა) – მეტნაკლებად მსხვილი ეთნოსის შინაგანი შეკვრის, შემჭიდროების პროცესი მის შიგნით არსებულ სუბეთნიკურ და ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის განსხვავებათა ნიველირების მიმდინარეობისას. შიდაეთნიკური კონსოლიდაცია ხდება დიალექტებისა და კულტურულ-ყოფითი განსხვავებების ნიველირების გზით საერთოეთნიკური თვითშეგნების განმტკიცების შედეგად. თანამედროვე პირობებში ეთნოსების კონსოლიდაციის ეს სახეობა თანხლებულია ერთიან ლიტერატურულ ენაზე განათლების გავრცელებით, შესაბამისი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებით, პროფესიული კულტურის ზრდითა და სხვ.

შიდაეთნიკური კონსოლიდაციები დღეისათვის ფართოდაა გავრცელებული, ამასთან, ისინი ხშირია სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ძალზე განვითარებულ (უპირატესად ევროპულ) ეთნოსებში. შიდაეთნიკური კონსოლიდაცია თავისი არსით ეთნოევოლუციური პროცესია და ბუნებრივად და თანდათანობით მიმდინარეობს.

შიდა კოლონიზაცია – ტერმინი, რომელიც მოცემული საზოგადოების რეგიონებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური უთანასწორობის აღწერისათვის გამოიყენება. ამ ცნებას პოლიტიკური სოციოლოგია რეგიონულ საფუძველზე სახელმწიფოს განვითარების არათანაბარი შედეგების დასახასიათებლად იყენებს. რასობრივი ურთიერთობის თეორია მას შედარებით ფართო საზოგადოების ფარგლებში უმცირესობების დამცრობილი სტატუსისა და ექსპლუატაციის აღწერისათვის იყენებს. აღნიშნული ცნების გამოყენების ამ ვარიანტებს გააჩნიათ საერთო ელემენტები: 1. ისინი უარყოფენ აზრს იმის შესახებ, რომ ინდუსტრიული განვითარება, საბოლოო ჯამში, ბადებს ინტეგრირებულ საზოგადოებას, შეკავშირებულს საერთო კულტურითა და სამოქალაქო უფლებების თანასწორობით; 2. რეგიონული უთანასწორობა წარმოდგენილია, როგორც აუცილებლობა და არა ინდუსტრიული საზოგადოების დროებითი ნიშანი.

კოლონიალიზმის პირობებში მეტროპოლიასა და კოლონიას შორის ურთიერთობა არათანასწორუფლებიანი და ექსპლუატატორულია, შიდა კოლონიზაციის დროს ცენტრსა და გეოგრაფიულ პერიფერიას შორის ასევე ექსპლუატატორულს წარმოადგენს. შიდა კოლონია აწარმოებს სიმდიდრეს იმ ოლქების სასარგებლოდ, რომლებიც სახელმწიფოსთან უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ასეთი კოლონიის მკვიდრები, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური აღმსარებლობის, ენის თვალსაზრისით, შესაძლოა განსხვავდებოდნენ; გარდა ამისა, ისინი ღიად ან ფარულად არ დაიშვებიან პრესტიჟულ სოციალურ და პოლიტიკურ პოზიციებზე, რომლებსაც მეტროპოლიის წარმომადგენლები იკავებენ.

შინაგანი რეკონსტრუქცია - მეთოდი ენათმეცნიერებაში, რომლის დროსაც ერთი ენის შინაგანი განვითარების დასკვნითი დებულებები მიიღება მხოლოდ ამ ენის მახასიათებლების ანალიზით. შინაგანი რეკონსტრუქციით მოვიპოვებთ ცოდნას ცალკე აღებული ენის ისტორიულ ცვლილებათა შესახებ, რათა სწორად შევიმეცნოთ ლინგვისტური ისტორია. ენათმეცნიერს ხელეწიფება ამის მიღწევა სისტემაში არსებული სინქრონიული მტკიცებულებების მოძიებით, რომელიც მიუთითებს ადრეულ ენობრივ ცვლილებათა კვალზე ლინგვისტურ ერთეულში.

შუამავალი ენა – 1. საერთაშორისო ურთიერთობის ენა; 2. ნებისმიერი ენა, რომელიც გამოიყენება კომუნიკაციის საშუალებად „საერთო“ ენის არარსებობის პირობებში.

შუმერული ენა - ამ ენაზე საუბრობდა შუმერი, დასახლებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4500-4000 წლებში. შუმერი, უძველესი ცნობილი ცივილიზაციის ადგილი, რომელიც მდებარეობს მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილში, მდინარეებს ტიგროსსა და ევფრატს შორის, იმ მხარეში, რომელიც მოგვიანებით გახდა ბაბილონი, თანამედროვე სამხრეთ-ერაყი, ბაღდადიდან სპარსეთის ყურემდე. დარგის პირველი საყურადღებო ნაშრომები ქართულ-შუმერულ მიმართებაზე ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნეს ქართველმა მეცნიერებმა, ალექსანდრე სვანიძემ [1936] და მიხეილ წერეთელმა [1913]. მ. წერეთელი 1913 წლიდან პერიოდულად აქვეყნებდა ნაშრომებს, რომლებშიც ავითარებდა ჰიპოთეზას, რომ შუმერული და ქართველური ენები (საკუთრივ ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური) ბევრ საერთოს ავლენენ ენობრივი იერარქიის ყველა საფეხურზე, ეს იქნება ლექსიკის, მორფოლოგიისა, თუ სინტაქსის სფერო; თუმცა მ. წერეთელი გენეტიკურ ნათესაობას შუმერულსა და ქართველურ ენებს შორის ბოლომდე, ბუნებრივია, ვერ ჩაწვდა. მ. წერეთლის მიერ წარმოდგენილი შუმერულ-ქართველური ლექსიკური პარალელებიდან აღსანიშნავია შემდეგი: შუმ. Agar „ტრამალი, მინდორი“ – ქართ. აგარა, აგარ-აკ-ი; შუმ. Bar „უარყოფა“ – ქართ. ვერ, მეგრ. ვარ, ლაზ. ვარ; შუმ. Bir „ცეცხლის გაჩაღება“ – ქართ. ბრ- „ბრიალი“; შუმ. Dag „სადგომი“ – ქართ. დგ- „დგომა“; შუმ. Dih „ქვა“ – ქართ. თიხა : მეგრ. დიხა, ლაზ. დიხა / ნდეხა „მიწა“; შუმ. Dug „დოქი“ – ქართ. დოქ-ი; შუმ. Eme „ენა“ – ქართ. ენა; შუმ. Enem, enim „ენა, სიტყვა“ – ლაზ. ნენა, მეგრ. ნინა „ენა, სიტყვა“ : სვან. ნინ „ენა“; შუმ. Erim, eren „ჯარი, ხალხი“ – ქართ. ერი; შუმ. Nu „არა“ – ქართ.-მეგრ. ნუ / ნუ-მ; შუმ. Ud „დღე, მზე, დრო“ – ქართ. ოდ-, ოდ-ეს : მეგრ. ონდ-ო „სანამ“; შუმ. Zag „გვერდი, საზღვარი“ – ქართ. ზღვარ-ი.

მომდევნო ეტაპზე ამავე პრობლემას უკვე პროფესიონალი შუმეროლოგი ჯემალ შარაშენიძე ამუშავებდა. ცნობილმა მეცნიერმა პრობლემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მისი პოზიცია მეტად ფრთხილი იყო და დასკვნებსაც ავტორი ორაზროვნად გამოხატავდა; იგი საგანგებოდ მიუთითებდა: „ცნობილია, რომ ენების მორფოლოგიური და სინტაქსური სიახლოვე სრულიადაც არ გამოდგება საყრდენად მათი გენეტიკური (ნათესაური) კავშირის მტკიცებისას. ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა ტიპოლოგიურად ერთი რიგის ენები გენეტიკურად სულ სხვადასხვა ოჯახებში ერთიანდებიან. გამონაკლისს არც შუმერული წარმოადგენს. თუ ტიპოლოგიურად იგი ქართველურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, გენეტიკურად შეიძლება უკავშირდებოდეს მას და შეიძლება არა“. აქვე მოვიტანთ იმ შუმერულ-ქართულ ენობრივ თანხვედრებსაც, რომლებზეც ყურადღება ჯ. შარაშენიძემ გაა-

მახვილა: შუმ. Ga „ადგილი, ბორცვი“ – მეგრ. გა „სერი“; შუმ. Gud „ხარი (ტყავი)“ – ქართ. გუდა; შუმ. Hara „მიწაში ჩადგმული მარცვლის ჭურჭელი“ – ქართ. ხარო; შუმ. Dur.gar „დურგალი“ – ქართ. დურგალ-ი; შუმ. Ni.ga „საწყაო ერთეული“ – ქართ. ნიგა „ხის ჭურჭელი“; შუმ. Sila „საწყაო ერთეული“ – ქართ. სილა „(საწყაო ერთეული)“; შუმ. Pa „ცალი, ტოტი“ – მეგრ. ფა „ფურცელი, შდრ. ქართ. ცალ-ფა; შუმ. Had „ბრწყინვა, ნათება“ – ქართ. ღადარ-ი...

შუმერული და ქართველური ენების ურთიერთშედარებისას თანამედროვე გერმანელმა ქართველოლოგმა ჰ. ფენრიხმა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია ამ ენათა შორის არსებულ ტიპოლოგიურ-სტრუქტურულ მსგავსება-თანხვედრებს. მანვე გამოავლინა ორასზე მეტი დამატებითი კოგნატი ქართველურსა და შუმერულ ენებს შორის. მეტად მნიშვნელოვანი ჰ. ფენრიხის კვლევებში ამ ენებს შორის გამოვლენილი კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა სისტემაა, რომლებიც უცილობელს ხდიან შუმერული და ქართველური ენების ურთიერთმიმართებას გენეტიკური კუთხით.

ჩ

ჩეჩნური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფის ენა ინგუშურთან და ბაცბურთან (წოვა-თუშურთან) ერთად. ჩეჩნური დიალექტურად საკმაოდ დიფერენცირებული ენაა, მასში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი დიალექტები: ბარის, რომელიც საფუძვლად დაედო ლიტერატურულ ენას, ახიური (იგივე ავხოური, გავრცელებულია დაღესტანში), გალანჭოჟური, ვედენოური, ითუმყალური, მელხოური (მითხოური), ფხარჩოული, ქისტური (გავრცელებულია საქართველოში, ახმეტის მუნიციპალიტეტი), შაროული, ჭებერლოური, ხილდიხაროული. დასახელებული დიალექტები ნაწევრდება კილოკავ-თქმებად, რომელთა შორის განსხვავებები შედარებით მცირეა. სალიტერატურო ენად ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნეში ჩეჩნური ენის ბარის კილოზე დაყრდნობით. დამწერლობას საფუძვლად დაედო ჯერ არაბული ანბანი, შემდეგ კი (1938 წლიდან) კირილიცა.

ჩვენებურების ქართული – ზოგადი სახელი ისტორიული ქართული დიალექტებისა, რომლებიც დღეს გავრცელებულია თურქეთის ისლამურ რესპუბლიკაში. ისტორიული საქართველოს – ტაო-კლარჯეთის მკვიდრთა, ქართველ მუჰაჯირთა – აჭარიდან და ჯავახეთიდან მიგრირებულთა (რომლებიც განსახლებული არიან მეტწილად თურქეთის შიდა რაიონებში) – მეტყველება. ეს დიალექტებია: ტაოური, კლარჯული, შავშური (იმერხეული), მაჭახლური, ნიგალურ/ლივანური მეტყველება.

ჩინურ-ტიბეტური ენები, სინური ენები – მსოფლიოში გავრცელებული ერთ-ერთი უდიდესი ენათა ოჯახი, რომელიც გავრცელებულია ჩინეთში, ბირმაში, ჰიმალაისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის არაერთ ქვეყანაში. სხვადასხვა მონაცემებით შეიცავს ასზე მეტ, ან რამდენიმე ასეულ ენას. ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახში შემავალი ენები იყოფა ორ შტოდ: ჩინურ-სიამურ და ტიბეტურ-ბირმულ შტოდ. ჩინურ-სიამურ შტოში შედის ენები: ჩინური, ტაი (ანუ სიამური), კარენი, ვიეტნამური (ანამური). ტიბეტურ-ბირმული შტო შედგება ორი ჯგუფისა-

გან, ტიბეტურისა და ბირმულისაგან. ტიბეტურ ჯგუფში შედის: საკუთრივ ტიბეტური ენა, ტიბეტურ-ჰიმალაიური ენა-კილოები, ჩრდილო ასამის ენები; ბირმულ შტოს შეადგენს: ბირმული ენა, ენა კუკი-ჩინ, ოცდაექვსი დიალექტით. ჩინური იეროგლიფური დამწერლობის უძველესი ძეგლები (პიქტოგრაფები) ძვ. წ.-ის II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება.

ჩოლურული – სვანური ენის დიალექტი. გავრცელებულია სოფლებში: ფანაგი, ლეუშერი, თეკალი, ველიერი, საყდარი, მამი, უკლეში, ქუნიში, ლესიერი, ბულეში, დურაში, ჭვერფი და ტვიბი. მეცნიერთა ნაწილის მიერ ჩოლურული არ არის ცალკე დიალექტად გამოყოფილი და ლაშხურსაა მიკუთვნებული, თუმცა თავად სვანური ენის დიალექტებად დაყოფის პრინციპი (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, რედუქცია) გვიჩვენებს, რომ ის ცალკე დიალექტია, რადგანაც ბალსზემოურის მსგავსად, პოვნიერია გრძელ უმლაუტიან ხმოვანთა სისტემა, რომელიც სხვა დიალექტებში, მითუმეტეს, ლაშხურში არ გვხვდება.

ც

ცალმხრივი ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის ტიპი – ორი მონაწილე ხალხიდან მხოლოდ ერთი საუბრობს მეორის ენაზე და იყენებს მას მასთან ურთიერთობისას.

ცივილიზაცია (ლათ. civilis – სამოქალაქო, სახელმწიფოებრივი) - გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელობით: 1. კულტურის სინონიმი (ტერმინი „ცივილიზებული“ ასოცირებულია ტერმინთან „კულტურული“, „განათლებული“, „თანამედროვე“); 2. საზოგადოების, ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების დონე, საფეხური (ანტიკური ცივილიზაცია, თანამედროვე ცივილიზაცია). ამ მნიშვნელობით ტერმინი „ცივილიზაცია“ მოიცავს ხალხთა ჯგუფებს, აგრეთვე, უზარმაზარ გეოგრაფიულ სივრცესა თუ მთელ კონტინენტებს და გულისხმობს ისეთი ცივილიზაციების არსებობას, როგორიცაა ევროპული ცივილიზაცია, აზიური ცივილიზაცია, არაბული ცივილიზაცია და ა. შ.; 3. საზოგადოებრივი განვითარების საფეხური, რომელიც, ლ. მორგანის კლასიფიკაციით, ბარბაროსობას მოსდევს; 4. სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით – მსოფლიო პროგრესის საფეხური, რომელიც გამოირჩევა წარმოების, სოციალური ურთიერთობების, პოლიტიკური ცხოვრების, მეცნიერებისა და მატერიალური და სულიერი კულტურის სხვა ელემენტების განვითარების საფეხური. ცივილიზაციის განვითარების ამჟამინდელი ეტაპის ბირთვს წარმოადგენს ზოგადკაცობრიული ფასეულობები, ჩართულნი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ძირითად სფეროებში, როგორც მათი შემადგენელი ორგანული ნაწილები (ადამიანურ ურთიერთობათა ჰუმანისტური საწყისები, ადამიანთა ჩვევები და გამოცდილება, მორალის ნორმები, ცივილიზებული ბაზარი, ზოგადკაცობრიული კულტურა და სხვ.); საწარმოო ძალები, დაფუძნებულნი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებზე, ინტეგრაციის თანამედროვე ფორმებზე, მეცნიერებისა და კულტურის ინტერნაციონალიზაციაზე; ცხოვრების მაღალი დონე. თანამედროვე ცივილიზაციის პოლიტიკური ფასეულობები: ცხოვრების დემოკრატიული წყობა, თავისუფლების პრინციპების, სოციალური და ეროვნული თანასწორობის, სამა-

რთლიანობის, სამართლებრივი სახელმწიფოს დაფუძნება და რეალური უზრუნველყოფა, მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის განხორციელება, ხალხთა შორის ორმხრივი პატივისცემა. თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილებია – საზოგადოებრივი წყობისა და პოლიტიკური ხელისუფლების არჩევის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ დეკლარაციისა და ქარტიის დაცვა.

წ

წარმართობა – ტერმინი მიმოქცევაში შემოტანილია მონოთეისტური რელიგიების (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) ღვთისმეტყველთა მიერ ყველა იმ რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების აღსანიშნავად, რომელიც პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების წიაღში ჩაისახა და განვითარდა. აღნიშნული ტერმინით მონოთეისტური რელიგიის მომხრე ღვთისმეტყველები ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ იმ ძველი (პრიმიტიული) რწმენა-წარმოდგენებისა და ეთნორელიგიური ჯგუფების მიმართ, რომლებმაც ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის შესახებ. კულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენლების თვალსაზრისით, ტერმინი „წარმართობა“ იმ ჯგუფების ეთნოცენტრისტულ პოზიციას გამოხატავს, რომლებიც თვლიან, რომ ყველა, ვინც მათი კულტურის მატარებელი არაა, ფასეულობებს მოკლებულია. ცნობილი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის ს. ტოკარევის განსაზღვრით, ტერმინ „წარმართობას“ არ გააჩნია საკუთარი მეცნიერული შინაარსი და შეესატყვისება ტერმინს „ტომთა კულტი“. მაგია, ანიმიზმი, ანიმატიზმი, ფეტიშიზმი, ტოტემიზმი და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სხვა ფორმები, რომელთაც ტერმინი „წარმართობა“ მიემართება, გამონაკლისის გარეშე საფუძველი გახდა ყველა გვიანდელი რელიგიისათვის (როგორც ეთნიკური, ისე მსოფლიო რელიგიებისთვის). ქრისტიანობა ჩამოყალიბდა იუდაიზმის, მითრაიზმისა და სხვა უფრო ადრეული რელიგიების საფუძველზე; თავის მხრივ, ამ რელიგიების წარმოდგენები და კულტები კლასობრივამდელი წყობის წარმართულ რწმენებსა და წეს-ჩვეულებებს ეფუძნება. მრავალგვარი წარმართული რწმენა-წარმოდგენები, ქმნიდნენ რა კონკრეტულ ეთნორელიგიურ კომპლექსებს, მუდამ გადაჯაჭვულნი იყვნენ სხვადასხვა ხალხების მსოფლმხედველობასთან. ძველი ეგვიპტის, ძველი მესოპოტამიის „წარმართული“ რელიგიები, აგრეთვე, ძველი კელტების, გერმანელების, სკანდინავების, ამერიკელი ინდიელების, სლავების, კავკასიელების, მათ შორის ქართველებისა და სხვა ხალხების რელიგიები, ჰქონდათ რა საერთო მსოფლმხედველობრივი საფუძველი, ერთმანეთისგან საკუთარი მფარველი ღვთაებების ეთნოტომობრივი სპეციფიკით და რიტუალური თავისებურებებით განსხვავდებოდნენ.

ძველ კულტურებისათვის, რომელთა მიმართ ტერმინი „წარმართობა“ გამოიყენება, დამახასიათებელი იყო მსოფლმხედველობის მითოლოგიური ფორმა. ამ ფორმაში ერთიანდებოდნენ რელიგიური, შემეცნებითი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ადამიანის გამოცდილების სხვა სახეობები, რომლებიც გარემომცველ სამყაროზე საერთო წარმოდგენებს გამოხატავდნენ. წარმართულ

ცნობიერებასა და წარმართულ მითოლოგიაში გამოიხატებოდა ბუნებაში განვითარებისა და მილევის, შრეტის ციკლები, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირი, დამახასიათებელი არქაული გვაროვნულ-ტომობრივი კულტურისათვის, აგრეთვე, წარმოდგენები თემის წევრთა საყოველთაო თანასწორობის შესახებ. ასეთი წესრიგის საკრალიზაცია ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების სოციალურ ფენებად დაშლას იქ, სადაც წარმართობა მსოფლმხედველობის ძირითად ტიპად რჩებოდა.

ნახური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ენათა ჯგუფის ლეზგიური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია დაღესტანსა და აზერბაიჯანში. იყოფა ოთხ დიალექტად – ნახურული, მიშლეშური, მიქიქური, გილმიწურ-ყურდულური. ისტორიული დოკუმენტების თანახმად ნახური ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში იყენებდა არაბულ დამწერლობას, თუმცა ეს ტრადიცია არ განვითარებულა და ბოლო დრომდე რუსულ და აზერბაიჯანულ სამწერლობო ენას / ანბანს იყენებდნენ ურთიერთობისთვის. ამჟამად შემუშავებულია ნახური დამწერლობა (რუსულის საფუძველზე) და მიმდინარეობს მისი დანერგვა სასკოლო პრაქტიკაში.

წინაპართა კულტი – გარდაცვლილი მშობლებისა და ახლო ნათესავების რელიგიური თაყვანისცემა, საოჯახო და გვაროვნული კულტის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, ჩამოყალიბებული ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე. წინაპართა კულტი მიემართება გვარის უხუცესებს ან ოჯახის მეთაურებს. წინაპართა სულები მიიჩნევიან გვარის ძლევამოსილ წევრებად, რომლებზედაც მისი სრულფასოვანი ცხოვრებაა დამოკიდებული. თანდათანობით ეს კულტი – ტომის ბელადის, შემდეგ კი სატომო ღვთაების კულტში გადაიზარდა. წინაპართა კულტმა განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა აფრიკის ხალხებში, აგრეთვე, ანტიკურ, ძველინდურ, ძველსლავურ რელიგიებში, ვოლგისპირეთისა და კავკასიის ხალხებში (მათ შორის ქართველებში), ჩინეთის, იაპონიის, კორეის რელიგიურ სისტემებში, ისლამსა და ქრისტიანობაში. სხვადასხვა რელიგიებში წინაპართა კულტის ასე ფართოდ გავრცელების საფუძველზე რიგმა მკვლევრებმა (გ. სპენსერი, ვ. ვუნდტი, ი. ლიპერტი და სხვ.) დაასკვნეს, რომ იგი რელიგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმა იყო, დამახასიათებელი ჯერ კიდევ მატრიარქატის პერიოდისათვის, რაც ფაქტიური მონაცემებით არ დასტურდება.

ნოვათუშური (ბაცბური) ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ენათა ჯგუფი ენა. ამ ენაზე ლაპარაკობს საქართველოში, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალვანში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი. ნოვა-თუშური უმწერლობო ენაა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის პირველი სამეცნიერო გრამატიკა (ქართულზეც კი უწინარეს) სწორედ ნოვა-თუშურისა გამოიცა 1856 წელს – ანტონ შიფნერის „Ferzuch uber die Tush-sprache“. ბაცბურ ენაში დიდი რაოდენობითაა შესული ქართულიდან ნასესხები სიტყვები. მკაფიოდ გამოხატული სესხების წესები ჩამოყალიბებულია ბაცბური ენის ლინგვისტური მოდელის მიხედვით.

წყვილადი ქორწინება – პირველყოფილი თემური წყობილების დროს მოქმედი ქორწინების ფორმა, რომელმაც უფრო ადრინდელი სავარაუდო ჯგუფური ქორწინება (იხ. პრომისკუიტეტი) შეცვალა. მონოგამიურისგან განსხვავებით, წყვილადი ქორწინებით შექმნილი ოჯახი არ წარმოადგენდა ეკონომიკურ უჯრედს და მის პირობებში შესაძლებელი იყო „ძირითადთან“ ერთად „დამატებითი“ ცოლებისა და ქმრების ყოლა, ანუ ქორწინებამდელი და ქორწინების გა-

რეშე სქესობრივი კავშირების არსებობა. სხვა თეორიით, წყვილადი ქორწინება, შეხამებული სქესთაშორისი ურთიერთობის ჯგუფურ ელემენტებთან, ქორწინების უძველესი ფორმა იყო.

ჭ

ჭამალური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ენათა ჯგუფში შემავალი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია წუმადის რაიონში, მდინარე ანდიის ყოისუს მარცხენა სანაპიროს სოფლებში: აღვალი, ზემო ჰაკვარი, ქვემო ჰაკვარი, გადირი, ჰიჰათლი, რიჩაგანიხი და წუმადა, აგრეთვე მომიჯნავე ჩეჩნეთის შატოის რაიონში, მდ. კენხის ხეობის სოფელ კენხში. გარდა ამისა, ხასავიურტის რაიონის სოფლებში მუცალაულში, ტერეჩნოესა და ბაირამაულში, ყიზილიურტის რაიონის სოფ. ნეჩაევსკსა და კომსომოლსკოეში, ყიზლარის რაიონის სოფ. ბოროზდინოვსკაიაში. ფუნქციონირებს მხოლოდ ყოფასა და ფოლკლორში. ჭამალები ორენოვნები არიან და ძირითადად იყენებენ ხუნძურ ენას. დამწერლობა არ აქვს.

ჭემგუური – ადიღეური ენის დიალექტი. გავრცელებულია თანამედროვე ადიღეს რესპუბლიკაში. გარდა საკუთრივ ჭემგუელებისა ადიღეს რესპუბლიკაში ამ დიალექტზე საუბრობენ ის პირებიც, ვისაც მიღებული აქვს სულ მცირე საშუალო განათლება. შედარებით მარტივი კონსონანტური სისტემის გამო ჭემგუური სალიტერატურო ადიღეური ენის საფუძველია.

ხ

ხათური ენა – ცენტრალური და აღმოსავლეთ ანატოლიის ჩრდილოეთ ოლქებში გავრცელებული უძველესი მკვიდრი მოსახლეობის, პროტოხეთების ენა, რომელიც არ განეკუთვნება ინდოევროპულ ან სემიტურ ენათა ოჯახს. პირველად, ჯერ კიდევ 1920-იან წლებში, შვეიცარიელმა ორიენტალისტმა ემილ ფორერმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ხათური ენა გენეტიკურად დაკავშირებულია დასავლეთ კავკასიის ავტოქთონ ენებთან, კერძოდ, აფხაზურ, ადიღურ და უბიხურ ენებთან. ოდნავ მოგვიანებით სპეციალურ ნაშრომში იგივე ვარაუდი გამოითქვა ამერიკელი ორიენტალისტის მესაროშის მიერ. საფუძვლიან ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით ზოგიერთი მკვლევარი დღემდე სერიოზულად ვარაუდობს გენეტიკურ ურთიერთობას ხათურ და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის. არსებობს სტრუქტურული მსგავსებისა და ფორმანტების მატერიალური სიახლოვის გარკვეული ნიშნები, რომელთა ადეკვატურობაზე, ანუ, როგორი იყო იეროგლიფური ჩანაწერების მიღმა დაფარული ფონემების რეალური გახმოვანება-ჟღერადობა, დღეს მხოლოდ ვარაუდების სახით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ამავდროულად, ხათურ და ქართველურ ენებს შორის სტრუქტურული მსგავსების ხარისხი, როგორც ჩანს, ნაკლებია, ვიდრე ხათურ და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, აღინიშნოს, რომ ხათური ენა, რომელიც ავლენს სავარაუდო სტრუქტურულ-ლექსიკურ მსგავსებებს აფხაზურ-ადიღურ და ნაკლე-

ბად ქართველურ ენებთან, არ ამჟღავნებს რაიმე სახის რელევანტურ საერთო ნიშანს ნახურ და დაღესტნურ ენებთან. აფხაზურ-ადიღურის კუთხით, შემთხვევითი არც ის ფაქტი უნდა იყოს, რომ **ხათი/ხათუ**-სა-ს გვერდით, რომელიც თანამედროვე ჩერქეზთა სუბეთნიკური ჯგუფის სახელწოდება **ხათუ**-ქა-ს ემთხვევა, იმავე რეგიონში წარმოჩნდება **ფახუვა** ფორმა ერთ-ერთი ხალხის აღსანიშნავად. ეს უკანასკნელი ძალიან ჰგავს როგორც თანამედროვე **ფახუა** „უბიხი“ ეთნონიმს, ისე ქართულიდან კარგად ცნობილ ფხო-/ფხო-ვ- სახელებს, შდრ. ნახ. ფჰ̄ე / ფჰ̄ა „სოფელი“. ცნობილი მეცნიერები იან ბრაუნი და ვიაჩესლავ ივანოვი, რომლებიც ჩერქეზების ნათესაობას ხათებთან თანმიმდევრულად ამტკიცებდნენ, გამოთქვამდნენ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ხათების ენა, რომელიც უკავშირდება ჩერქეზულ ენობრივ სამყაროს, შეასრულებს ისეთსავე როლს კავკასიოლოგიაში, როგორიც თავის დროზე სანსკრიტს ჰქონდა ინდოევროპული ენებისა და კულტურის შესწავლის თვალსაზრისით.

ხალხური ეტიმოლოგია – ხალხში გავრცელებული თავისებური ახსნა-განმარტება მნიშვნელობაგაუჩინარებული /დეეტიმოლოგიზებული/ ონიმისა. ემყარება მხოლოდ ბგერათა შემთხვევით მსგავსებას და არ ითვალისწინებს ფონეტიკურ გადასვლათა კანონზომიერებებს, მორფოლოგიურ სტრუქტურას, ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებს.

ხატის სახელი – აპოტროპული სახელის ერთი-ერთი სახეობა. ამა თუ იმ ხატის სახელი, რომელსაც ბავშვს შეარქმევენ გარკვეული რელიგიური მოსაზრებით. მაგ., ფშავ-ხევსურებში ყველაზე გავრცელებული ხატის სახელებია აშექალი, მზექალი, სამძივარი, გიორგი. იხ. აგრეთვე სულის სახელი, მრავალსახელიანობა.

ხევსურული – ქართული ენის დიალექტი. ხევსურები, გარდა საკუთრივ ხევსურეთისა, ცხოვრობენ საქართველოს რამდენიმე რეგიონში. ამ გეოგრაფიული განფენილობის გამო ხევსურული კილო გავრცელებულია დუშეთის, სტეფანწმინდის, თიანეთის, ახმეტის, მცხეთის, თელავის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, გარდაბნისა და ზოგ სხვა მუნიციპალიტეტებში. ხევსურულის გავრცელების ძირითადი არეალია პირიქითი ანუ გადაღმა ხევსურეთი ან პირაქეთა ანუ გადმოღმა ხევსურეთი. ხევსურული განეკუთვნება „მთის კილოებს“. ხევსურული ძირითადად მონოლითური დიალექტია, მაგრამ მასში არის შინასხვაობაც. არხოტულ-შატილური მეტყველება ფონეტიკურ-მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებებითა და ინტონაციით რამდენადმე განსხვავდება პირაქეთური ხევსურულისაგან. ამის გამო პირობითად გამოიყოფა 2 კილოკავი: პირაქეთულ-არხოტული და შატილურ-მიღმახეური. გეოგრაფიული არეალია ბარისახოსა და ბაცალიგოს (პირაქეთ ხევსურეთში) და არხოტისა და შატილის (პირიქით ხევსურეთში) რეგიონები (ახლანდ. ბარისახო). ხევსურული მდიდარია არქაიზმებით და ინოვაციებით.

ხელოვნური ბილინგვიზმი – ბილინგვიზმის სახეობა, რომლის დროსაც მეორე ენის შეთვისება ხდება მისი დიდაქტიკური გზით სწავლის პროცესში.

ხვარშიული ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენა. მოიცავს 2 დიალექტს: საკუთრივ ხვარშიულსა და ინხოყვარულს. ხვარშიული ენისთვის დამახასიათებელია მარტივი ხმოვნები: ა, ე, ი, ო, უ და მათი გრძელი და ნაზალიზებული ვარიანტები. გრამატიკული კატეგორიები უმთავრესად ნაწარმოებია სუფიქსებით. სახელისა და ზმნის საერთო კატეგორიებია გრამატიკული კლასი და რიცხვი. გარჩეულია 4

კლასი. ძირითადი ბრუნვები: სახელობითი, ერგატივი, მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი. დამახასიათებელია ლოკატიური ბრუნვების სერიათა რთული სისტემა. ბრუნება ერთფუძიანიცაა და ორფუძიანიც. ხვარშიული ენა უდამწერლობოა. სამწერლობო ენად გამოიყენება ხუნძური.

ხთონური, ხთონურობა (ბერძნ. Χθώνιός - მიწიერი, მიწისქვეშეთური) – 1. ამოსავალ ბერძნულ გამოყენებაში ცნება „ხთონური ღმერთები“ მიემართებოდა დემეტრას, პერსეფონეს, პლუტონს, ჰერმესს და მიწისქვეშეთის ზოგიერთ სხვა ღმერთს; 2. თანამედროვე სამეცნიერო ლექსიკაში ამ ტერმინით აღინიშნება მითოლოგიური არსებებისა და ძალების კატეგორიები, დაკავშირებულნი მიწისქვეშა სამყაროსთან. სამყაროს არქაული სურათის სამეცნიერო რეკონსტრუქციებში ხთონური ეწოდება სამყაროს ქვედა იარუსს. ხთონურის გამოყოფა და ზეციურთან, ურანულთან (ძვ. ბერძნ. οὐρανός - ცა, ზეცა) მისი შეპირისპირება მსოფლაღქმის უძველეს ზოგადკაცობრიულ ფორმებს განეკუთვნება. ბევრ რელიგიაში ხთონური მითოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული კვდომადი და აღდგომადი ღმერთის სიუჟეტთან. დაკრძალვის უძველეს წეს-ჩვეულებებში სხეულის მიწაში დაბრუნება, მარცვლის მსგავსად, მიიჩნეოდა, როგორც მომავალი აღორძინების საწინდარი. ამასთან, ხთონური აღიქმება არაოდენ დამბადებელ, გამჩენ წიაღად, არამედ მიცვალებულთა სასუფევლადაც. სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთს ხვდება ხთონურ სამყაროში, როგორც ერთი მთელის ორი იპოსტასი. ხთონური სამყარო, როგორც მიცვალებულთა საძვალე თუ მათი მიწისქვეშა დარბაზი, თანდათანობით სიკვდილთან ასოცირდება და ბნელეთის სახეს იღებს. სასიკვდილო საწყისი ხთონურს ანიჭებს ნეგატიურ თვისებებს, რომელიც თავის განსახიერებას პოულობს უბოროტეს მითოლოგიურ სახეებში. რწმენა-წარმოდგენები ხთონურს ბნელის, შემზარავის, საშიშის თვისებებს მიაწერს. ხთონურის, როგორც მომაკვდინებლის, საშიშროებას ემატება მისი ქაოტურობა: ძველ კოსმოგონიებში სამყაროს „ქვეშეთი“ წარმოდგება ზეციური ღმერთებისადმი მტრულად განწყობილი ურჩხულების სამკვიდროდ, იქიდან ეძიებენ მიწის ზედაპირზე გამოსასვლელს პირველადი უმართავი სტიქიები, ხორცშესხმულნი ქალური და მამაკაცური მტრული არსებების სახეებში. მითოლოგიური ცნობიერება ხთონურის პირველად სტიქიურობას მოიაზრებს, როგორც განახლებადი სასიცოცხლო ძალების მკვებავ გარემოს: ხთონური სიღრმიდან პერიოდულად ამოდიან ჩასახვისა და ზრდის ძლევამოსილი ძალები. ხთონური სამყაროს ასეთ აღქმას შეესატყვისება მინდვრებში გამართული საგაზაფხულო არქაული რიტუალური სექსუალური წეს-ჩვეულებები და დასუსტებული გმირის მიერ მიწისგან ძალღონის მოკრების მითოლოგიური სიუჟეტები. ხთონურმა სამყარომ, როგორც სტიქიურმა და იმავდროულად სიცოცხლის მომნიჭებელმა ძალამ, წარმოშვა წარმოდგენები თავაწყვეტილი ვნებიანობის, სექსუალობის შესახებ, რაც ორგიასტულ წეს-ჩვეულებებში გამოიხატა. ხთონურის სტიქიურობა, იჭრება რა სულიერ სამყაროში, იმოსება არამარტო ვნებიანობით, სასიცოცხლო ენერგიით, არამედ გაშმაგებითა და სიგიჟითაც (ხთონური წეს-ჩვეულების ცნობილი მაგალითია ვაქხანალიები). ბევრ მითოლოგიაში ხთონურობა გამოხატულია, როგორც დასაბამიდან ქალურ-დედისეული, მაგრამ მასთან თანაზიარობა მამრული ბუნების ღვთაებებსაც ახასიათებდა (მაგალითად, ძველეგვიპტური ოსირისი, სლავური ველესი). ზევსის სახე ითავსებს ურანულ და ხთონურ იპოსტასებს. ძველგერმანულ პანთეონში გა-

მოიყოფა ღვთაებათა ორი კატეგორია - ასები - სოლარული, ზეციური ღმერთები და ვანები - ნაყოფიერების ღმერთები. მ. ვებერი მიიჩნევდა, რომ ზეციური ღმერთები უფრო ხშირად წარმოადგენენ „რაინდული“ კულტურის პროდუქტს, მაშინ როცა ხთონური ღვთაებები „გლეხურ“ კულტურას განეკუთვნებიან, რის გამოც მათ უფრო ლოკალური და ხალხური ხასიათი აქვთ.

ხინალუღური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ენათა ჯგუფის ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფში შემავალი ენა. გავრცელებულია აზერბაიჯანში, ყუბაში, ხაზმაზში, ხინალუღსა და სუდათში. განიცდის აზერბაიჯანული ენის დიდ გავლენას. ხინალუღურზე ლაპარაკობს 3 ათას კაცამდე. იუნესკოს მიერ შეტანილია სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა სიაში.

ხუნზახური – ხუნძური ენის დიალექტი. გავრცელებულია ხუნზახისა და უნცუკულის რაიონებში. ხუნზახური დიალექტი საფუძვლად უდევს ხუნძურ სალიტერატურო ენას.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ენათა ჯგუფში შემავალი ქვეჯგუფი. გავრცელებულია მთიან დაღესტანში. ქვეჯგუფში შემავალი ენები (იხ. შესაბამისი სიტყვა-სტატია) გენეტიკურად იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან (მაგ. ბოთლიხური და ღოდობერიული, ბაგვალური და ტინდიური, ბეჟიტური და ჰუნზიბური), რომ მეცნიერთა ნაწილი მათ დიალექტებად მიიჩნევს.

ხუნძური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ენათა ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფში შემავალი ენა. ხუნძურ ენაში განირჩევა დიალექტთა 2 მთავარი ჯგუფი: ჩრდილოეთისა (ხუნზახური) და სამხრეთის (ჰიდურ-ანდალალურ-ყარახული, ანწუხური, ჭარული). სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ჩრდილოეთის (ხუნზახური) დიალექტი. დამწერლობა ემყარება კირილიცას, თუმცა არაბულ ანბანით შესრულებული წერილობითი ძეგლები დადასტურებულია მე-16 საუკუნიდან. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე აღმოჩნდა არაერთი არტეფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ ხუნძები ქართულ გრაფიკას იყენებდნენ მე-10 საუკუნიდან.

ჯ

ჯავახური – ქართული ენის დიალექტი, გავრცელებული ახალქალაქის (სოფლები: აფნია, გოგაშენი, ოკამი, პტენა, ჩუნჩხა, კოთელია, მურჯახეთი, ვარევანი, ბარალეთი, გოკიო), ასპინძის (სოფლები: ხიზაბავრა, თოკი, სარო, ვარგავი), ბორჯომის (ბალანთა, ჭიხარულა) მუნიციპალიტეტებში. ჯავახები ამ ბოლო ხანებში სხვა ადგილასაც დასახლდნენ (ლაგოდეხის, ყვარლის, გორის და სხვ.). ისტორიულ წარსულში ჯავახურის გავრცელების არე უფრო დიდი იყო. ჯავახური ახლოს დგას ქართლურთან, განსაკუთრებით მესხურთან (ხშირად ჯავახურს მესხურის კილოკავადაც განიხილავენ). ისტორიულად მესხურთან ერთად ზემო ქართლურს განეკუთვნებოდა. ჯავახური შეზავებულია დასავლურქართული კილოების თავისებურებებით. ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში უხვად არის დანერგილი თურქული და არაბული სიტყვები.

ჯგუფური ანთროპინიმი – ანთროპონიმის სახეობა. რაიმე ნიშნის მიხედ-

ვით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი საკუთარი სახელი; მათ შორის ოჯახის სახელი, საგვარეულოს სახელი, შტოგვარი, ჯგუფური მეტსახელი, ჯგუფური ფსევდონიმი, ანტ. ინდივიდუალური ანთროპონიმი.

ჯიჰადი (არაბ. – თავგამოდება, ძალვა) – ყურანის ერთ-ერთი დანაწესი, რომლის მიხედვითაც ყველა ბრძოლისუნარიანი მუსლიმი ვალდებულია აწარმოოს „წმინდა ომი“ „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ. თავდაპირველად ჯიჰადის ქვეშ იგულისხმებოდა ბრძოლა ისლამის დაცვისა და გავრცელებისათვის. ისლამის კანონების თანახმად, ჯიჰადის მიმდევარი მებრძოლები სიკვდილის შემთხვევაში ხდებიან შაჰიდები, ანუ რწმენისთვის დაცემული წმინდანები, წამებულები, და სამუდამო ნეტარების ღირსნი ხდებიან. მუსლიმი მართლმორწმუნეების მიერ შექმნილი ჯიჰადის სწავლების მიხედვით, „მთელი მსოფლიო იყოფა „ისლამის არედ“ (ანუ „რწმენის არედ“) და „ომის არედ“ (არამუსლიმებით - „ურწმუნოებით“ დასახლებული ქვეყნები).

არამუსლიმებს შორის ჯიჰადი გაგებულია, როგორც შეიარაღებული ბრძოლა ურწმუნოებთან (ამას ბევრი მუსლიმი ხალხი აღნიშნავს ტერმინით „ჰაზავათი“). ჯიჰადი ისლამური თემის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა. გენეტიკურად დაკავშირებულია რა ისლამამდელ არაბეთში გავრცელებულ თარეშის ინსტიტუტთან, შემდგომში ისლამური სახელმწიფოების ტერიტორიული ექსპანსია ჯიჰადის იდეით იყო ნაკურთხი, ხოლო ახალ და უახლეს პერიოდში ეს იდეა ანტიკოლონიური ბრძოლის მიზნით გამოიყენებოდა. უკანასკნელ წლებში ისლამის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით, როგორც ჯიჰადის მიზანი, პროკლამირდება მხოლოდ ზოგიერთი უკიდურესი ფუნდამენტალისტების მიერ, ხოლო პრაქტიკულ პლანში ჯიჰადის ლოზუნგები ძირითადად ისრაელთან ბრძოლაში გამოიყენება.

თანამედროვე ისლამური ლიტერატურა ხაზს უსვამს ჯიჰადის თავდაცვით ასპექტებს, ამასთან, ზოგიერთი ავტორი იბრძვის ჯიჰადის დოქტრინაზე დაფუძნებული „საერთაშორისო ისლამური სამართლის“ ჩართვისთვის ამჟამად მოქმედ საერთაშორისო სამართალში. ფართო აზრით, ჯიჰადი განიხილება, როგორც ისლამური ძალისხმევა ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების მისაღწევად, როგორც ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ჯიჰადის ლოზუნგები აქტიურად გამოიყენება ავღანეთსა, ერაყსა, ლიბიასა, საუდის არაბეთსა და სხვა ისლამურ ქვეყნებში.

ჰ

ჰელიოცენტრიზმი (ბერძნ. Helios მზე, ლათ. centrum ცენტრი) – მეცნიერული წარმოდგენა მზის სისტემაში მზის ცენტრალური მდგომარეობის შესახებ.

ჰენოთეიზმი / ენოთეიზმი (ლათ. henotheismus < ბერძნ. εἷς – ერთი + θεός – ღმერთი) – მაქს მიულერის მიერ სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი ამ ტერმინით აღინიშნება რელიგიური ცნობიერების მდგომარეობა, რომლის დროსაც ღვთაებათა პანთეონის კრებულიდან გამოიყოფა და განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტი ხდება ერთი ყველაზე უზენაესი და ძლევამოსილი ღმერთი. ჰენოთეიზმს მონოთეიზმსა და პოლითეიზმს შორის შუალედური პოზიცია უკავია.

უშვებს რა ბევრი ღმერთის არსებობას, ჰენოთეიზმი მხოლოდ ერთი ღმერთის თაყვანისცემას აღიარებს. მიულერის მიერ ჰენოთეიზმი რეკონსტრუირებული იქნა უპირატესად რიგვედის, რელიგიური აზრის ძველინდური ძეგლის, საფუძველზე, რომლის ჰიმნებში წარმოდგენილი სხვადასხვა ღმერთები (აგნი, ვარუნა, ინდრა და სხვ.) გამოცხადებულია უზენაეს ღვთაებებად. ამასთან, რიგვედის ტექსტების კორპუსში შეუძლებელია ღვთაებათა მკაფიო იერარქიის გამოვლენა. მიულერის მიხედვით, ასეთი სიტუაცია არ შეიძლება აღინიშნოს ტერმინით „პოლითეიზმი“, რომელიც ადეკვატურია ძველი საბერძნეთისა და რომის რელიგიებისათვის, სადაც საკმაოდ მკაცრად არის ორგანიზებული ღვთაებათა იერარქია, ითვალისწინებს რა ერთი ღმერთის უზენაესობას. ჰენოთეიზმის ნიშნებს იგი პოულობდა აგრეთვე ძველაღთქმისეულ იაჰვეს კულტში. მიულერი მიიჩნევდა, რომ ჰენოთეიზმი წარმოადგენდა რელიგიის განვითარების განსაკუთრებულ ფაზას, რომელიც წინ უსწრებდა პოლითეიზმსა და მონოთეიზმს და ავლენდა ევოლუციის ტენდენციებს ან პირველის ან მეორის მიმართულებით. პოლითეიზმისკენ მოძრაობა იწვევს პანთეონის იერარქიზაციასა და უზენაესი ღმერთის, დანარჩენი ღვთაებების მეთაურის შესახებ რწმენის დამკვიდრებას; მონოთეისტური ტენდენცია ხორციელდება მრავალღმერთიანობის შესაძლებლობის გამორიცხვით. მიულერის ნაშრომებში ტერმინ „ჰენოთეიზმის“ გარდა გამოყენებულია ამ უკანასკნელთან დაახლოებული ცნება „კატენოთეიზმი“ (ბერძნ. κατά - შესაბამისად, მიხედვით + εἷς - ერთი + θεός - ღმერთი) - ღმერთის თაყვანისცემის სპეციფიკური სიტუაცია, რომლის დროსაც ლოცვის ტექსტებსა თუ საკულტო მოქმედებებში მორწმუნე დროისა და ვითარების შესაბამისად ღვთაებათა კრებულიდან მხოლოდ ერთ ღმერთს გამოყოფს. თანამედროვე რელიგიათმცოდნეობამ მიიღო ტერმინი „ჰენოთეიზმი“, რომელიც ფართო აზრით ხშირად გამოიყენება ერთი უზენაესი ღმერთის თაყვანისცემის აღსანიშნავად სხვა ღმერთების არსებობის დაშვების პირობებში. ჰენოთეიზმის ტიპურობა დასტურდება მესოპოტამიური და ძველეგვიპტური რელიგიების განვითარების მაგალითზე. რელიგიათმცოდნეობით ლიტერატურაში „ჰენოთეიზმის“ ცნებასთან ერთად გამოიყენება ტერმინი „მონოლატრია“ (ბერძნ. μόνος - ერთი + λατρεία - მსახურება, თაყვანისცემა), რომელიც აღნიშნავს ერთი უზენაესი ღმერთის მსახურების საკულტო პრაქტიკას და გამორიცხავს ნებისმიერ საკულტო მოქმედებას, დაკავშირებულს სხვა ზებუნებრივი არსებების თაყვანისცემასთან.

ჰეტერიზმი (ბერძნ. hetaera – მეგობარი, თანამგზავრი ქალი) – ტერმინი პირველად გამოიყენა შვეიცარიელმა მეცნიერმა, ეთნოგრაფმა იოჰან იაკობ ბახოფენმა თავის ცნობილ ნაშრომში „დედის უფლების თეორია“, ყოვლად განუსაზღვრელი სექსუალური ურთიერთობის აღსანიშნავად (თანამედროვე სამეცნიერო მიმოქცევაში ამ მნიშვნელობით იყენებენ ტერმინს „პრომისკუიტეტი“). ბახოფენის თანახმად, ჰეტერიზმი გამორიცხავდა ყოველგვარ შესაძლებლობას სარწმუნოდ დადგენილიყო ბავშვის მამა, და ამიტომ მისი წარმოშობის განსაზღვრა მხოლოდ დედის ხაზით შეიძლებოდა. ამის შედეგად ქალები, როგორც დედები, როგორც ახალი თაობის ერთადერთი რეალური მშობლები, დიდი თაყვანისცემითა და პატივით სარგებლობდნენ, უფრო მეტიც, საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. ასეთ საზოგადოებას ბახოფენმა გინეკოკრატია (იხ.) უწოდა. თანამედროვე მეცნიერები ტერმინ „ჰეტერიზმს“ იყენებენ სავარა-

უდო ჯგუფური ქორწინების გადმონაშთების (იხ. „მოსანანიებელი ჰეტერიზმი“, „სტუმარმასპინძლური ჰეტერიზმი“) აღსანიშნავად. გარდა ამისა, ცნობილია ე. წ. „რელიგიური ჰეტერიზმი/საკულტო პრისტიტუცია“ (იხ.).

ჰეტეროგენური ეთნოსი – ენობრივი თვალსაზრისით არაერთგვაროვანი ეთნოსი (ხალხი).

ჰეტეროგენური ენობრივი სიტუაცია – ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ჩართულია არამონათესავე ენების კომპონენტები.

ჰეტეროგენურობა – არაერთგვაროვნება, ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული ნაწილებისგან ან საგნებისგან შემდგარი ენობრივი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვ. ფაქტი/მოვლენა.

ჰეტეროგლოსია [< ბერძნ. hetero „სხვადასხვა“ + glossa „ენა“] – კონცეფცია იმის შესახებ, რომ ენა წარმოადგენს არა ერთ, უნიფიცირებულ ოდენობას, არამედ მრავალი სოციალური ენისა (სხვადასხვა პროფესიის, ასაკობრივი ჯგუფების და ა.შ. წარმომადგენლების) და ენის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა თუ კონტექსტში გამოყენების ერთობლიობას.

ჰეტერომორფული ენობრივი სიტუაცია – ენობრივი სიტუაცია, რომელიც მოიცავს ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენებს.

ჰიდრონიმიკა – ტოპონიმიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ჰიდრონიმებს, მათი წარმოშობის, განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს.

ჰინუხური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფის ერთ-ერთი ენა. ჰინუხურად მეტყველებენ დაღესტნის წუნტის რაიონის ერთ აულში – ჰინუხში. სამწერლობო ენა ხუნძურია. ზოგი ენათმეცნიერი ჰინუხურს დიდოური ენის დიალექტადაც მიიჩნევს.

ჰიპერკორექცია – ენის გარკვეული წესების გავრცელება იმ სფეროში, სადაც ეს წესები არ გამოიყენება. მაგ., უცხოელთა მეტყველებაში, ბავშვთა მეტყველებაში და ა. შ.

ჰიპერლექტი (ბერძნ. hyper „ზემოთ“ + ბერძნ. lect) – სოციალურად პრივილეგირებული და ელიტური გრამატიკული და საწარმოთქმო თავისებურებებით მარკირებული ლექტი.

ჰიპერურბანიზმი – ჰიპერკორექტული ფორმა, რომელიც წარმოიშვა ქალაქელების სწორი, ლიტერატურული მეტყველების მიბაძვის შედეგად; გამოიხატება სალიტერატურო ენის ნორმების გაფართოებაში იმ ენობრივ მოვლენებზე, რომლებიც აშკარად კოდიფიცირებული ენის მიღმაა.

ჰოლოფრასტური მეტყველება (Holophrastic speech) – მეტყველების ფორმაა, სადაც ცალკეული სიტყვები გამოიყენება რთული მნიშვნელობის გადმოსაცემად. გვხვდება პირველყოფილ ენებში და ყველა ბავშვის ადრეულ მეტყველებაში.

ჰომოგენური ეთნოსი – ენობრივი თვალსაზრისით ერთგვაროვანი ეთნოსი.

ჰომოგენური ენობრივი სიტუაცია – ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ჩართულია მონათესავე ენების კომპონენტები.

ჰომოგენურობა – ერთგვაროვნება, ერთმანეთის მსგავსი ან ერთი და იმავე ტიპის ნაწილების ან ფაქტების/მოვლენების შედგენილობის ხარისხი, მაგ. კულტურული, რასობრივი და ა.შ.

ჰომომორფული ენობრივი სიტუაცია – ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ჩართულია ტიპოლოგიურად მსგავსი ენების კომპონენტები.

ჰუნზიბური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში შემავალი ენა. ცხოვრობენ დასავლეთ დაღესტანში, მცირე ნაწილი საქართველოში. ჰუნზიბურ ენაში, პირობითად შეიძლება გაირჩეს ორი კილოკავი: ღარბუთლურ-ნაჰადური და საკუთრივ ჰუნზიბური. მათ შორის განსხვავებები უმნიშვნელოა. ჰუნზიბურ ენას არ აქვს დამწერლობა. სადამწერლობო ენა მათთვის ხუნძურია. იციან აგრეთვე დიდოური, კაპუჭური და ქართული (საქართველოში მცხოვრებლებთა) ენები.

ლიტერატურა

Abdulvahabova L. B., Navrazova H. B., Ovhadov M. R., Vagapov A. D., 2019. On The Afinitiy Of Nostratic And Nakh Languages. - Languageshttps://www.europeanproceedings.com›

Barnard A. History and theory in anthropology. Camb., 2000.

Bengtson J. D. Caucasian and Sino-Tibetan: A Hypothesis of S. A. Starostin. General Linguistics 36:1/2.33-49. 1998.

Bomhard A. 2018. Comprehensive Introduction to Nostratic Comparative Linguistics (3rd edition).

Bouda Karl. 1949. Baskisch-Kaukasische Etymologien. Heidelberg.

Braun J. 1994. Хаттский и Абхазо-Адыгский, RO 49. Warszawa. 15-23.

Byrne James. 1892. General principles of the structure of language. London: Kegan Paul, Trench, Trübner & Co.

Dolgopolsky Aharon. 2008. Nostratic Dictionary PDF.

Driem, George van. 2001. Driem, George van. 2005. Sino-Austronesian vs. Sino-Caucasian, Sino-Bodic vs. Sino-Tibetan, and Tibeto-Burman as default theory.

Dumézil, Georges. 1932. Études comparatives sur les langues caucasiannes du nord-ouest morphologie). d'Amérique et d'Orient.

Goldschmidt W. Comparative functionalism. Berk., 1966.

Hodgson B. H. 1853. On the Mongolian Affinities of the Caucasians. Journal of the Asiatic Society of Bengal.

https://www.britannica.com/topic/Christianity; https://allgeo.org/index.php/ka/

http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/

Hymes Ethnolinguistics: Boas, Sapir and Whorf revisited, by M. Mathiot, The Hague, 1979.

J. Gippert, W. Schulze. 2007. Some Remarks on the Caucasian Albanian Palimpsests / Iran and the Caucasus.

Language in culture and society. A reader in linguistics and anthropology, N. Y. (a. o.), 1964.

Marr, Nicholas. Der japhetische Kaukasus und das dritte ethnische Element im Bildungsprozess der mittelländischen Kultur. Leipzig. 1923

Nichols J. "Nikolayev & Starostin's North Caucasian Etymological Dictionary and the methodology of long-range comparison". - Paper presented at the 10-th Conference on the Non-Slavic Languages of the ex-USSR (NSL 10), University of Chicago, 10 May. 1997.

Nikolayev S. & Starostin S. A North Caucasian Etymological Dictionary. Moscow: Asterisk Press. 1994

Orel V. & Starostin S. 1990. Etruscan as an East Caucasian Language. In Shevoroshkin (ed.). 1990

Ruhlen M. Dene-Caucasian: A New Linguistic Family. K. Omoto and P. V. Tobias (eds.), The Origins and Past of Modern Humans – Towards Reconciliation, 231–246. Singapore: World Scientific. 1998

Schulze W. 1997. Review of Nikolayev & Starostin (1994), A North Caucasian Etymological Dictionary. Diachronica 14:1.11

Shevoroshkin V. (ed.) 1992. Nostratic, Dene-Caucasian, Austric and Amerind. Bochum: Brockmeyer.

Starostin S. Sino-Caucasian Glossary. 2005. http://starling.rinet.ru/Texts /glossary.pdf.

Studies in southwestern ethnolinguistics. Meaning and history in the languages of the American D. H., Directions in (ethno-) linguistic theory, в кн.: Transcultural studies in cognition, Menasha, 1964.

Trombetti A. Elementi di glottologia. Bologna: Zanichelli. 1923

Vovin Alexander. 1997. The Comparative Method and Ventures Beyond Sino-Tibetan. - Journal of Chinese Linguistics, 25:2.308-336.

Аль-Масуди. 1963. История Ширвана и ал-Баба. - Пер. с араб. С. Г. Микаэляна. М.: Издательство восточной литературы.

Ареальные исследования в языкознании и этнографии. (Язык и этнос), Л., 1983.

Афанасьев А. Н. Древо жизни. М., 1982.

Браун Я. 1994а. Когда баски потеряли контакт с остальными картвельскими племенами? - Rocznik Orientalistyczny, XLVIII/2.

Гаджиев В. Г. Сочинение Гербера И. «Описание стран и народов между Астраханью и рекою Курой находящихся». М. 1973.

Голан А. Миф и символ. М., 1995.

Голосовкер Я. Э. Логика мифа. М., 1987.

Грицнер П. А. Эпос древнего мира. М., 1971.

Гумилев Л. Н. Этногенез и биосфера земли. М.-1980.

Гумилев Л. Н. Этносфера: История людей и история природы. М., 1993.

Гумилев Л. Н. Древняя русь и великая степь. М. 2012.

Дюмезиль Ж. Боги индоевропейцев. М., 1983.

Евзлин М. Космогония и ритуал. М., 1993.

Евсюков В. В. Мифи о вселенной. Новосибирск, 1988.

Еремина В. И. Ритуал и фольклор. Л., 1991.

Жеребило Т. В. Словарь лингвистических терминов, Нарзань, 2005, изд. Пилигрим

Жуков В. И., Тавадов Г. Т. Большой этнологический словарь. Москва. 2010.

Иванов В. В. Об отношении хаттского языка к северо-западнокавказским. - Древняя Анатолия. М., 1985. с. 26-59.

Иллич-Свитыч В. М. 1971. Опыт сравнения Ностратических языков (Семитохамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидийский, алтайский); Словарь (b-ḳ) М., «Наука», XXXVI (Инст. славяноведения и Балканистики АН СССР).

Иллич-Свитыч В. М. 1976. Опыт сравнения Ностратических языков (Семитохамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидийский, алтайский); т. II. Словарь (l-ʒ́), М., «Наука», т. I (Инст. славяноведения и Балканистики АН СССР).

Исаев М. И. Словарь этнолингвистических понятий и терминов. Москва, 2002.

Кабо В. Р. Проблема пережитков в этнографии // Географическое общество СССР. Доклады Восточной комиссии. 1965. Вып. 1 (2).

Леви-Брюль Л. Сверхъестественнное в первобытном мышлении. М., 1994.

Леви-Строс К. Структурная антропология. М., 1983.

Леви-Строс К. Первобытное мышление. М., 1994.

Лотман Ю. М., Успенский Б. А. Миф-Имя-Культура. Тарту. 1973.

Магомедов Р. М. 2002. История Дагестана. Махачкала. Изд-во НИИ педагогики.

Мелетинский Е. М. Поэтика мифа. М., 1976.

Микаилов К. Ш. 1967. Арчинский язык (Грамматический очерк с текстами и словарём). Махачкала.

Мифология древнего мира. М., 1977.

Мифы народов мира: В 2 т. – М., 1982-1984.

Михальченко В. Ю. Словарь социолингвистических терминов, Москва, 2006.

Народы и религии мира. Энциклопедия. Гл. Редактор В. А. Тишков. М., 1999.

Никишенков А. А. История британской социальной антропологии. СПб., 2008.

Петров М. К. Язык, Знак, культура. М., 1991.

Попов В. Г. Алтайский шаманизм. М., 1996.

Пропп В. Я. Исторические корни волшебной сказки. Л., 1946.

Рыбаков Б. А. Язычество древних славян. М., 1981.

Рыбаков Б. А. Язычество древней Руси. М., 1988.

Смоляк А. В. Шаман: личность, функции, Мировоззрение: Народ Нижнего Амура. М., 1991.

Тайлор Э. Первобытная культура.М., 1985.

Токарев В. А. Ранние формы религии. М., 1981.

Толстой Н. И. Некоторые проблемы и перспективы славянской и общей этнолингвистики // Изв. АН СССР, сер. ЛиЯ, 1982, т. 41, № 5, с. 397-405.

Топоров В. Н. О ритуале: Введение в проблематику // Архаический ритуал в фольклорных и раннелитературных памятниках. М., 1988.

Тэрнер В. Символ и ритуал. М., 1983.

Феномен междисциплинарности в отечественной этнологии. М., 2016.

Фрезер Д. Золотая ветвь. М., 1985.

Фрезер Д. Фольклор в Ветхом Завете. М., 1989.

Фрейденберг О. М. Миф и литература древности. М., 1978.

Элиаде М. Космос и история. М., 1987.

Элиаде М., Священное и мирское. М., 1994.

Элиаде М. Шаманизм: архаические техники экстаза. М., София, 1998.

Энциклопедия религии. Под редакцией А. П. Забияко, А. Н. Красникова, Е. С. Элбакян. Москва.2008.

Юнг К. Г. Проблемы души нашего времени. М., 1994.

Языки мира, Кавказские языки, Москва, 1998, изд. Academia

Яхонтов С. Е. 1990. Глоттохронология: трудности и перспективы. - Сравнительно-историческое языкознание на современном этапе. Конференция памяти В. М. Иллич-Свитыча. - М.

თოფჩიშვილი რ., კავკასიის ეთნოლოგია, თბილისი, 2012

კიკვიძე ზ., სოციოლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი, 2021

ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი, 2008

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, შრომები, ტ. 10, თბილისი, 2015.